329.15(09)
ხ-38
ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი:

		გვ.
1.	**ს. თალაკვაძე**—1905 წელი საქართველოში	1
2.	პარტიული მუშაობადან 1905 წელს (სოც.-დემოკ. ქუთაისის ორგანიზ. და იმერეთ სამეგრელოს კომიტეტის მიერ გამოცემული ფურცლები	14
3.	**ბარონ ბიბინეიშვილი**—ჩვენი წარსულის ფურცლები	30
4.	**ნ. ლეჟავა**—ოცი წლის წინად	35
5.	**ვახო სუხიშვილი**—1905 წლის 18 დეკემბერი ნაძალადევში	67
6.	**იოსებ არუთინოვი**—ს. მჭადიჯვრის აჯანყება 1905 წ.	75
7.	**ვანო მაისურაძე**—გარე-კახეთი 1905 წელს	79
8.	**მიხა ჩოდრიშვილი**—ტფილისში 1905 წელს	83
9.	**ს. დოლიძე**—1905 წელი რკინის გზაზე	87
10.	**კარლ ჯუღელი**—1905 წელი სვანეთში	98
11.	**პ. ჯანაშია**—შეიარაღებული აჯანყება სოჩაში 1905 წ.	104
12.	**მ. ცხოიძე**— " " " "	108
13.	**დავით კილაძე**— " " " "	110
14.	საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობა მთავრობის დახასიათების თანახმად	115
15.	**უშანგი ჯაში**—ბოსკოვის დეკემბრის აჯანყების 20 წლის თავზე	152
16.	**ვ. კანდელაკი**—1905 წ. ოქტომბერ-დეკემბერი მოსკოვში	162
17.	არსენ ჯორჯიაშვილი	167
18.	ს. ჯ. პ. ტუ. ორგანიზაციის 30 წლის არსებობა (მასალები)	175
19.	ტრიბუნა	191

Библиотека

სურათები:

1. ქუთაისის არალეგალური სტამბა 1905—1906 წ.წ.
2. მანიფესტაცია 19 ოქტომბერს (1905 წ.) გოლოვინის პრ.
3. 22 ოქტომბერს (1905 წ.) ჯარისკაცები ხოცავენ გიმნაზიელებს 1-ლ გიმ. დერეფანში.
4. 1905 წ. დეკემბრის 18-ს ნაძალადევში დახოცილი მუშები (ჯგუფი)
5. ტფილისში სომეხ თათართა შეტაკების დროს წითელ წ. ჯარი და მილიციონერები დარაჯად ეყრებიან ქალაქის ქუჩებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ჯარი და მილიციონერები ტფ. ბოტანიკური ბაღის თავზე ციხის ნანგრევებთან სომეხ-თათართა შეტაკების დროს (1905 წ.)
7. მილიციონერები ბარიკადებთან სომეხ-თათართა შეტაკების დროს (1905 წ.)
8. გენ. ალიხან-ავარსკი.
9. არსენ ჯორჯიაშვილი.
10. გენ. გრიაზნოვი.,
11. კომენდანტის სამმართველოში წაყვანა გენ. გრიაზნოვის მკვლელის—არ. ჯორჯიაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წელი საქართველოში [1]).

ამა 1925 წლის 19 დეკემბრიდან ვიდრე 1926 წლის იანვრის 22-მდე პირველ რევოლიუციის 20 წლის თავზე, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი და გლეხკაცობა იწყებს დღესასწაულის ჩატარებას.

საქართველოს პროლეტარიატი და გლეხ-კაცობაც იჭერს მათ შორის ერთ საპატიო ადგილს და იგონებს, შლის ამ სასახელო წარსულის ღირსშესანიშნავ ფურცლებს.

1905 წ. რევოლიუციის მიმდინარეობა და მისი მამოძრავებელი ძალები [2]).

მწყობრი რევოლიუციონური მსვლელობა, ამხედრებულ მშრომელი ხალხის იერიშები მთავრობის წინააღმდეგ, მუშათა მრისხანე პოლიტიკური გაფიცვები და დემონსტრაციები, გლეხკაცობის შეიარაღებული გამუდმებული რევოლიუციონური გამოსვლები, აი რით დაიწყო **1905 წელი** მაშინდელი რუსეთის იმპერიის მთელი მასშტაბით.

საქართველოში ეს რევოლიუციონური გამოსვლები, ეს ფართო მასსიური აჯანყებები უფრო აშკარა და გადამჭრელი ხასიათის გახდა სოფლად —მძიმე ნივთიერ ცხოვრების ქვეშ მგმინავ უმიწოწყლო გლეხობაში.

რევოლიუციის ცეცხლი აგარაკულ ნიადაგზე მოედო ყოველ სოფელს, სოფლის ყოველ კუთხეს.

მებრძოლი მშრომელი გლეხობა რევოლიუციონური წესით ართმევდა მიწას მემამულეებს და იწყებდა დამუშავებას. მემამულე თავად-აზნაურობას და მის დამცველ მთავრობის ბოქაულ-ჩაფრებს, რომელნიც ურჩობას უწევდენ რევოლიუციას და მის მონაპოვარს, იარა-

---

[1]) ის, რაც ითქმის საქართველოზე ამ შემთხვევაში, ითქმის დაახლოებით მთელ ამიერ-კავკასიაზე, რადგან საქართველო, ტფილისის სახით, იყო მოძრაობის ცენტრი ამიერ-კავკასიაში. ამიერ-კავკასია იყო ერთი მთლიანი ნაწილი რუსეთის იმპერიისა.

[2]) იხ. ამის შესახებ მასალა-დოკუმენტები ჟურ. „რევ. მატიანე"-ს №№ 7—8, 9—10, 11-ში.

ღით ხელში ებრძოდენ გლეხები და ბევრ მათგანს სიცოცხლესაც ასალმებდენ.

ხშირი იყო მკვლელობა, წითელ ტერორი ურჩ, ხულიგან ჯაშუშ მემამულეების წინააღმდეგ.

სოფელი და ქალაქი, გლეხი და მუშა რევოლიუციის ერთ ინტერესს მჭიდროდ გადაენასკვა ერთმანეთთან და ასე გაერთიანებული, ისინი ებრძოდენ მშრომელი კლასის თავისუფლებისა და ქეთილ დღეობის ერთ მტერს,—მონარქიულ მთავრობას, მემამულე თავად-აზნაურობას და ბურჟუაზიას.

რევოლიუციის ნიაღვარი წალეკას უქადდა ყოველივე ძველს.

მემამულე თავად-აზნაურობას და მის მოჰირნახულე მონარქიულ მთავრობას შიშის ხარი ეცემოდა.

მათ არ იცოდენ, საიდან დაეწყოთ თავდაცვა, როგორ დაეწყიათ თავი მშრომელი ხალხის რისხვისაგან.

ეძებდენ გამოსავალ გზას...

მთავრობა, პოლიცია—ბოჭკულ—ჩაფრებით იდევნებოდენ სოფლებიდან და მათ ადგილს იჭერდენ აჯანყებულ მშრომელი გლეხკაცობის რევოლიუციონური კომიტეტები.

ყველაზე ძლიერათ რევოლიუციის ცეცხლი მოედო გურიის გლეხკაცობას

იქ სრული ხელისუფლება დამყარდა გურიის მშრომელი გლეხობისა. თვითმპყრობელი მთავრობის „ოპრიჩნიკები“ და მათი შავი რეაქციონური საქმიანობა აღარ ჩანდა. გაზეთები მოურიდებლათ უწოდებდენ გურიას **„რესპუბლიკას“**.

ამიტომ იყო, რომ კავკასიის მთავარ მართებლის თანაშემწემ, გენერალმა **მალიმამ** თავისი ერთგული ჩინოვნიკი სულთან—კრიმ-გირეი თარჯიმანის თანხლებით გაგზავნა გურიის „რესპუბლიკაში“, გურიის რევოლიუციონურ მშრომელ ხალხთან მოსალაპარაკებლად.

ეს იყო, ასე ვთქვათ, მთავრობის „გონიერი“, „ლიბერალური“ ცდა გამოენახა გურიის რევოლიუციონურ მშრომელ ხალხთან შეშფოთხმებელი, დამაკავშირებელი „საერთო ენა“ და ამ გზით რამდენიმეთ „გადაერჩინა“ გურია, მოლად არ დაეკარგა ამ კუთხეში ხელისუფლება—ბატონობა.

კრიმ-გირეიმ და მისმა გამგზავნელმა მონარქიულმა მთავრობამ საწადელს ვერ მიაღწიეს.

მათ ვერ გამონახეს რა თქმა უნდა, „საერთო ენა“, რევოლიუციონურ ხალხთან.

გურიის რევოლიუციონურმა გლეხკაცობამ ბევრი მოიგო ამით.

მტკიცე რევოლიუციონურ ორგანიზაციებში შემჭიდროებულმა გურულებმა რევოლიუციის სასარგებლოდ, რევოლიუციის გასაღრმავებლათ გამოიყენეს ეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთან-კრიმ-გირეის ყველგან, ყველა სოფელში და დაბაში ერთსა და იმავე რევოლიუციონურ მოთხოვნილებებს უყენებდენ; ეს მოთხოვნილებები იბეჭდებოდა ყველა მიმართულების გაზეთებში. მათ თავის დასკვნას უკეთებდა რევოლიუციონური და კონტრ-რევოლიუციონური პრესა. ყველაფერი ეს ვრცელდებოდა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის რევოლიუციით დაინტერესებულ ფართო მასებში, რითაც ხელი ეწყობოდა რევოლიუციის გაზრდა-გაღრმავებას.

ეს გახდა მიზეზი, რომ სულთან-კრიმ-გირეის აღარ დააცალეს ყველა სოფლის მოვლა. იგი მთავრობის მიერ სწრაფად იქნა გაწვეული უკან ტფილისში.

მთავრობა შეეცადა ძალ-ღონის მოკრებას. გააძლიერა რეპრესიები.

მოძრაობისა და სიცოცხლის კანონი არის: სიცოცხლეს სიკვდილი სდევდეს, სიკვდილს სიცოცხლე უპირდაპირდებოდეს.—

ასევე, რევოლიუციას თან სდევს კონტრ-რევოლიუცია. საქართველოშიც წამოჰყო მან თავი.

„შეიარაღებულმა", მშრომელი ხალხის მიერ დეენილმა მემამულე თავად-აზნაურობამ იწყო შავი რაზმის მოწყობა.

ასეთი რაზმი მათ შეჰქმნეს ქართლში (გორის მაზრაში) აბდუშელიშვილისა, ცინცაძისა და სხვა თავადების მეთაურობით.

რაზმის შემადგენლობაში შედიოდენ განსაკუთრებით მემამულე თავად-აზნაურები.

რაზმის მიზანი იყო აჯანყებულ რევოლიუციონურ გლეხ-კაცობისაგან თავის დაცვა, რევოლიუციასთან დაპირდაპირება, რევოლიუციის დაუძლურება, ძველი ყოფა-მდგომარეობის დაბრუნება—შერჩენა.

ზოგიერთ გულუბრყვილო ქართველი პატრიოტის შეცდომაში შესაყვანად მათ თავიანთ „პროგრამაში" შეეტანათ ქართული ენის დაცვა, საქართველოს ავტონომია.

ეს მუხლი მათ, ცოტა არ იყოს, აკლებდა მთავრობის ნდობა-მოპარებას, მაგრამ მთავრობა მათ მაინც თავის ყავარჯნად სთვლიდა, რადგან ორივე ერთად ებრძოდენ ერთ პოლიტიკურ და კლასობრივ მტერს—გამოღვიძებულ რევოლიუციონურ მშრომელ კლასს. მთავრობა აწვდიდა თავად-აზნაურულ შავ რაზმს თოფ-იარაღს, ტყვია-წამალს; ახმარებდა თავის ბოქაულ-ჩაფრებს და ხელს უწყობდა მათ უმსგავსო ხულიგანურ ექსცესების მოწყობაში.

ქუთაისში და ზუგდიდში გაბრირდა თავად-აზნაურთა კრებები და კონფერენციები, სადაც იმუშავებდენ ზომებს რევოლიუციის საწინააღმდეგოთ. აქ ანთხევდენ თავიანთ ანტი-რევოლიუციონურ ბოღმა-ნაღველს. კონტრ-რევოლიუციონური არმიის გასაზარდათ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაძლიერებლად მონარჩიული მთავრობა ხომ უფრო შორსაც წავიდა; მან უფრო ფართო გეგმები შეიმუშავა და შეუდგა მის გატარებას.

მთავრობის ლოცვა-კურთხევით შესდგა ტფილისში პატრიოტი რუსი ჩინოვნიკების და გზა-აბნეული, გახულიგანებული „მუშების" კონტრ-რევოლიუციონური „საზოგადოება", რომლის მიზანი და საშოქმედო „პროგრამა" იგივე იყო, რაც თავად-აზნაურთა შავი რაზმისა იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი არ იმეტებდა **საქართველოს ავტონომიას**, პირველს კი არ ჰქონდა თავის „პროგრამაში" შეტანილი „ღვთისაგან კურთხეულ" მეფის დაცვა. ხოლო უკანასკნელნი კი მას თავიანთი მოთხოვნილების ქვა-კუთხედათ იხდიდენ.

ამ შავმა პატრიოტულმა რუსულმა „საზოგადოებამ" თავისი ძალები რამდენჯერმე გამოფინა ქუჩებში მანიფესტაციის სახით,—დაარბიეს დუქნები და სცემეს გამეღილ მშვიდობიან მშრომელ ხალხს.

მათ გამოჰქონდათ თავიანთ კრებებზე აგრეთვე რეზოლიუციადადგენილებებიც, რითაც მოითხოვდენ მთავრობისაგან—არ დაეთმო რევოლიუციონერებისათვის არაფერი, მიეღო სასტიკი ზომები მათ წინააღმდეგ. უსაყვედურებდენ კიდეც მთავრობას იმის გამო, რომ იგი ვერ იჩენდა სიმკაცრეს, რბილი იყო რევოლიუციონერების მიმართ.

მთავრობის აგენტებმა მოაწყვეს ბაქოში სომეხ-თათართა საშინელი ჭლეტა, წაჰკიდეს ერთმანეთს ორი მეზობელი ერი. გადატანილ იქნა ის ამიერ-კავკასიის სხვა ადგილებში,—ტფილისში და სხვაგან.

რევოლიუციის ხელმძღვანელი სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციები აქ იმის ნაცვლად, რომ მათ თავიანთი პირდაპირი რევოლიუციონურ-სოციალისტური საქმეები ეკეთებინათ—გაელრძვებინათ, განემტკიცებინათ იგი,—უნდებოდენ მთავრობის პროვოკაციით სამტროთ გადაკიდებულ ორი ერის მოძმე მშრომელი ხალხის მორიგებას, მათ შორის უადგილო სისხლის ღვრის შეჩერებას, რამაც ბევრი მოწინავე და მამაცი მებრძოლი რევოლიუციონერი იმსხვერპლა, გამოაცალა ისინი სოციალ-დემოკრატიის რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, პარტიის რიგებს.

ერთი ასეთი მსხვერპლთაგანი გახდა ბაქოში დაღუპული მოწინავე მუშა, ბოლშევიკი პეტრე მონტინი.

მთავრობამაც სწორედ იმ მიზნით მოაწყო სომეხ თათართა ჟლეტა, რომ რევოლიუციონური ორგანიზაციების ყურადღება აქეთკენ მიემართა, ამაზე შეეჩერებია, მათი ძალები დაექსაჭსა და გაეთქვიფა პროვოკაციის ანკესზე წამოგებულ ბრბოებში.

და ეს რამდენიმეთ შესძლო კიდეც მან.

პროვოკაციაში გამოცდილმა მთავრობის აგენტებმა იცოდენ, რომ ამით საკმაოდ შეასუსტებდენ რევოლიუციის ძალებს. ამიტომ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრად ჩასჯიდეს ხელი ამ ხერხს და იწყეს ენერგიული შავი მუშაობა.

ბაქოში სომეხ-თათართა რბევა-ქლეტის წინააღმდეგ შემდგარი ნეიტრალურ პირთა კომისიის კრება—სხდომები და მთავრობის ზოგიერთი აგენტების მოხსენებები [1]) აშკარათ ღაღადებენ ამას.

მთავრობის მიერ რბევის „შესაჩერებლად" სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დახმარება მხოლოდ თვალის ასახვევი საშუალება იყო. აქაც მთავრობა თავის საკუთარ საქმეებს აკეთებდა, რევოლიუციის ჩასაქრობათ დაწყებულ მუშაობას აგრძელებდა.

ასე ირაზმებოდა და მოქმედებდა კონტრ-რევოლიუცია ნორჩი რევოლიუციის ჩასახრჩობათ.

ასე მრავალი, სხვადასხვა ჯურის მტერი გამოეჩინდა რევოლიუციონურ მშრომელ ხალხს.

მაგრამ რევოლიუციონური ორგანიზაციები აქ სულით არ დაცემულან. მათ იმედი არ დაუკარგავთ. თავის მხრივ მთთაც შემოიკრიბეს ძალები კონტრ-რევოლიუციასთან საბრძოლველათ. ინსტიტუტიურათ გაიზარდა პასუხისმგებლობა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში ჩაბმული თითეულ რევოლიუციონერისა, უფრო გაცხოველდა რევოლიუციონური მუშაობა.

შავ რაზმს სოფლად დაუპირდაპირდა რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან დაარსებული მუშათა და გლეხთა წითელი რაზმი.

ასეთი რაზმები შესდგა გურიაში დათიკო შევარდნაძისა და სხვების ხელმძღვანელობით, შორაპნის მაზრაში, (ჯითურის შავი ქვის მრეწველობის რაიონში)—კოტე ცინცაძისა, ვ. ყიასაშვილისა, სტეპკო ინწკირველისა და სხვების მეთაურობა—ხელმძღვანელობით. წითელი რაზმები შესდგა აგრეთვე ქართლში (გორი) და სხვაგან.

ამ წითელმა რაზმებმა შემუსრეს, ალაგმეს გათავხედებული მეშამფულე-თავად-აზნაურობის შავი რაზმები; აჰყარეს მათ იარაღი და სხვა.

რუს-ჩინოვნიკებისაგან შემდგარ შავ-პატრიოტულ „საზოგადოების" დემონსტრაციებს ქალაქებში დაუპირდაპირდა ფაბრიკა-ქარხნებისა, ტრამვაისა და რკინის გზის მრავალრიცხოვანი მუშების პოლიტიკური გაფიცვები, რევოლიუციონური მოთხოვნილებები... გაბშირდა ტერორისტული აქტები, აგრეთვე ნაწილობრივ შეიარაღებული გამოსვლები. ამავე დროს ერთობ ხშირ მოვლენად გადაიქცა პოლიტიკური დემონსტრაციება მოწყობისა გორში, ქუთაისში, გურიაში, ბათომში, ტფილისში და სხვაგან.

---

[1]) იხილ. ამის შესახებ „რევ. მატიანეს"-ს 9—10 ნომერში: „1905 წელი ჩვენში"—მასალები. ა ვ ტ.

მუშების პოლიტიკურ-ეკონომიურ და რევოლიუციონურ მოთხოვნებს ქალაქში „გამოეხმაურა“ საქართველოს სუსტი, ოდნავ მბჟუტავი ლიბერალური ბურჟუაზიაც. ამ „გამწყრალ“ ბურჟუაზიის მიზანი იყო: აღედგინა წესიერება, ბოლო მოეღო გაფიცვებისათვის, რაც აუძლურებდა მრეწველობას, ასუსტებდა მჭირნებელ კლასის ჯიბეს. მას უნდოდა ისე „დაემაყოფილებინა“ მუშები, რომ ბურჟუაზია არ დაზარალებულიყო, რაც სინამდვილეში, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო.

ორი პოლიტიკურად ჩამოყალიბებული სხვადასხვა ძალა დაუპირდაპირდა ერთმანეთს.

ეს იყო 1905 წელში ის მომენტი, როცა მებრძოლი პროლეტარიატი და გლეხკაცობა მთელი რუსეთის სივრცით რევოლიუციის გადამწყვეტ წუთებს უახლოვდებოდა, როცა ოქტომბრის დიდი საყოველთაო მუშათა გაფიცვა მზადდებოდა, როცა ოქტომბერი იწურებოდა, ოქტომბერს დეკემბერი უნდა მოჰყოლოდა, დეკემბრით უნდა დაწყებულიყო პროლეტარიატის შეიარაღებული აჯანყება მოსკოვის ქუჩებში.

არ ეძინა ამ დროს არც მონარქიულ მთავრობას ცენტრში და ისიც ემზადებოდა თავდაცვიდან შეტევაზე გადასასვლელად, მუდმივ შიშისა და საფრთხის თავიდან მოსაშორებლათ, რევოლიუციის ჩახშობათ.

პირველი თავისი ნაბიჯი მან იქითკენ მიმართა, რომ რევოლიუციისათვის ჩამოეშორებია მაზე მიტმასნებული „ნაწყენი“ ლიბერალები. ამ აზრით მთავრობამ გამოაქვეყნა **ბულიგინის** სახელმწიფო სათათბიროს პროექტი. შემდეგ, მთავრობის სათავეში მოაქცია ლიბერალ მონარქისტი **ვიტე—დურნოვი** და გამოსცა 17 ოქტომბრის მანიფესტი. უბოძა რუსეთს ხალხს „უყუდო კონსტიტუცია“.

ცენტრალურმა მთავრობამ ამით რამდენიმეთ მიაღწია მიზანს. ლიბერალური ბურჟუაზია, ლიბერალური ოპოზიციონური პარტიები ამით დაკმაყოფილდენ. აქ ნახეს მათ საზღვარი თავიანთი „პრძოლისა“, თავიანთი „რევოლიუციონერობისა“, მეტიც,—ამით მოსწყუტა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას როგორც რევოლიუციონური ძალა, მისი მემარჯვენე ოპორტიუნისტული ფრთა, მენშევიკები... ისინიც კი თითქმის კმაყოფილებას აცხადებდენ ამით. ამის შემდეგ მათ აღარ დაიტინეს რევოლიუციის გზით სიარული; მეფის გალიბერალებული მთავრობის რეფორმებს შეაცქერდენ და მასში მონაწილეობის მიღებით განიზრახეს „რევოლიუციონური“ **შედეგის** მიღწევა.

მაგრამ პროლეტარიატი, რევოლიუციონური პროლეტარიატისა და გლეხკაცობის ავანგარდი, მაინც თავის გზით წავიდა. მათ გა-

დაჭრით უარჰყვეს 17 ოქტომბრის კონსტიტუციონური მანიფესტი და გაბედულად მოუწოდეს რუსეთის პროლეტარიატს და გლეხობას შეიარაღებული აჯანყებისაკენ.

ლენინგრადში და სხვაგან ამ ხანებში მოეწყო მუშათა დეპუტატების საბჭოები, რომლებმაც მიითვისეს დროებითი რევოლიუციონური მთავრობის ფუნქციები, იკისრეს ხელმძღვანელის როლი დაწყებულ ძლევა-მოსილ რევოლიუციაში. მუშათა ასეთ რევოლიუციონურ საბჭოს ადგილი ჰქონდა ბაქოშიც (მცირე ხნით). იყო ცდა აგრეთვე შემდგარიყო ლენინგრადში მატროსთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოც.

დეკემბერში მოსკოვის პროლეტარიატმა ბარიკადები ააგო ქუჩებში, ომი გამოუცხადა მონარქიულ მთავრობას და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლა მის დამცველ ჯარსა და პოლიციას.

ასეთი შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო გურიაში (ჩოხატაური— ნასაკირალი) შორაპნის მაზრაში (ჭიათურა—ზესტაფონი), რაჭა-ლეჩხუმში, ბაქოში, ბათომში და ტფილისში... მოსკოვის აჯანყებასთან დაკავშირებით ტფილისის შეიარაღებული მუშები შეეცადენ მუშათა რევოლიუციონურ უბნის, ნაძალადევის (ეხლა ლენინის რაიონი) დაცვას გამხეცებულ კაზაკ-ჰლასტუნების შემოსევა-დარბევისაგან.

მთავრობამ შესძლო თავისი არმიიდან კაზაკების სახით ერთგული ნაწილის გამოყოფა.

მოსკოვის პროლეტარიატის აჯანყება დამარცხდა.

თუმცა პროლეტარიატის გადამწყვეტი ბრძოლები რუსეთის სხვა დიდ ქალაქებში ჯერ არ იყო დამთავრებული, ჯერ კიდევ გრძელდებოდა იგი, მაგრამ მოსკოვის პროლეტარიატის დამარცხებამ მათი რევოლიუციონური ტემპი შეასუსტა, დემორალიზაციის ბაცილები შეეტანა რევოლიუციონერთა რიგებში და აძით მათი ბედი წინასწარი დამარცხებით გადასწყვიტა.

საქართველოს აჯანყებული პროლეტარიატი და გლეხკაცობაც იწურებოდა კონტრ რევოლიუციის რკალში, მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ არ იყო გათავებული. გამარჯვების იმედი მებრძოლ მშრომელ ხალხისათვის ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული, იკრებდა იგი ძალებს და ემზადებოდა ახალ რევოლიუციონურ შეტევისათვის.

ეს შეტევა, ბრძოლის გაგრძელება, გამოიხატა წითელი პარტიზანების მოწყობაში, პარტიზანულ გამოსვლებში და სხვა.

ასევე აძლიერებდა თავის ძალებს და შეტევიდან შეტევაზე გადადიოდა გამარჯვებით წეთამამებული მონარქიული მთავრობაც.

საქართველოს ადგილობრივმა მთავრობამ კავკასიის მეფის მოადგილის სახით ტფილისში გამოჰყო ჯარიდან ტახტის ერთგული ნაწილები, უმთავრესად კაზაკები, ჩააბარა ისინი მონარქიის „გმირ“

გენერალ-პოლკოვნიკებს: გრიაზნოვს, ალიხან—ავარსკის, კრილოვს და გაგზავნა სოფლად. სოფელი მისცეს ცეცხლსა და მახვილს, ხოლო ქალაქებში იწყეს უანგარიშო, დაუზოგველი რბევა და ძარცვა დუქნებისა, გამვლელ უდანაშაულო ხალხისა... მათ მთაროზისაგან სრული უფლება და გარანტია მიეცათ, რომ ამაში ისინი არ აგდებდენ პასუხს.

ეს იყო 1906 წლის დასაწყისში (იანვარი, თებერვალი, მარტი), როცა რევოლიუციონურ დასავლეთ საქართველოსაკენ დაძრული გენერალ ალიხან—ავარსკის დამსჯელ ჯარს ჭიათურისა და სამტრედია-ქუთაისის პარტიზანული წითელი რაზმელები უპირდაპირდებოდენ, თავს ესხმოდენ ზესტაფონში და წიფაში; უმართავდენ თავგანწირულ, გმირულ ბრძოლებს. ეს ის ხანა იყო, როცა თვითმპყრობელური ცენტრალური მთავრობა განაგრძობდა რა ერთი ხელით შეტევას აჯანყებული პროლეტარიატის წინააღმდეგ, რევოლიუციის შემუსვრას, მეორე ხელით ქმნიდა „პარლამენტს“—„ხალხურ წარმომადგენლობას“, იწვევდა სახელმწიფო სათათბიროს ხალხის დასაშოშინებლად, საფუძველს უყრიდა მონარქიულ კონსტიტუციონალიზმს. იგი ძალით აჩერებდა რევოლიუციონურ კლასს ცოტათი გადიდებულ იმ მოსატყუებელ „საკენკს“, რომელიც მან აჯანყებულ ხალხს, ბულიგინის დუმის პროექტისა და 17 ოქტომბრის მანიფესტის სახით 1905 წელს შეაძლია, ხოლო ამ კლასმა მშრომელთა ავანგარდის გაელენით და ხელმძღვანელობით უკან დაუბრუნა და ბრძოლის გაგრძელება არჩია.

დამარცხდა ამ ბრძოლაში მშრომელი კლასი მთელი რუსეთისა.

წააგო ეს პირველი რევოლიუცია საქართველოს პროლეტარიატმა და გლეხობამაც.

კონტრ-რევოლიუციამ იწყო განმტკიცება.

იატაკ ქვეშ ჩამძვრალი, ჟანდარმერიის მარწუხებს გადარჩენილი, თითო ოროლა რჩეული რევოლიუციონერი მხოლოდ ხანგამო შეებითი გმირული ტერორით უპასუხებდა გამარჯვებულ, სადღესასწაულო მზადებაში მყოფ კონტრ-რევოლიუციას და მით რევოლიუციაში წაბორძიკებულ მშრომელ ხალხს ნუგეშათ ევლინებოდა, სულიერათ მაღლა სწევდა, მომავალის იმედს უნახავდა...

რევოლიუციის ხასიათი.

1905 წლის რუსეთის პირველ რევოლიუციას ლენინი უწოდებს —სოციალური შინაარსით: **ბურჟუაზიულ—დემოკრატიულს;** რევოლიუციონური შემოქმედებით, რევოლიუციონური საქმიანობის შედეგებით, ბრძოლის საშუალებების მიხედვით: **პროლეტარულს;** ე. ი.

1905 წლის რევოლიუცია ლენინის აზრით იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიულიც და პროლეტარულიც. პროლეტარული არა მარტო იმიტომ, რომ მისი ხელმძღვანელი პროლეტარიატი იყო, არამედ იმიტომ უფრო, რომ მას მოჰქონდა მუშებისათვის საკუთარი კლასობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაც; იგი დაკავშირებული იყო მყვლეფელ კლასის წინააღმდეგ თავისებურ დარაზმვასთან და გლეხობასთან კავშირით მემამულე თავად-აზნაურობისა და კაპიტალისტების აღმგეელ-გადაჭრილ ბრძოლებთან (იხილეთ 9 იანვრის შესახებ გაკეთებული მოხსენება ლენინისა, შვეიცარიაში 1917 წ. თებერვლის რევოლიუციის წინ).

რუსეთის ისტორიკოსი პოკროვსკიც 1905 წლის რევოლიუციას უწოდებს: **„ჩვენს პირველ პროლეტარულ რევოლიუციას“**.

პოკროვსკის აზრით „1905 წლის პირველი რევოლიუცია იყო რეპეტიცია ოქტომბრის დიდი პროლეტარული რევოლიუციისა, მან მისცა დასაწყისი თანამედროვე პროლეტარულ მოძრაობას მთელი დედამიწის ხურგზე“.

რომ ლენინისა და პოკროვსკის ეს შეფასება სწორი და უდაოა, ჩვენ უკვე დავინახეთ აწკარათ ზევით, საქართველოს სინამდვილეზე, როცა გადმოვშალეთ რევოლიუციის მიმდინარეობა და მისი მამოძრავებელი ძალები ჩვენში.

1905 წლის რევოლიუციის საპე საქართველოში მთელათ და განუყოფლად ეპყრო ხელში ქართველ მუშას და გლეხს; ბრძოლის საშუალებები, ბრძოლის მეთოდები მთლად და განუყოფლად იყო პროლეტარული, კლასობრივი, ანტი-ბურჟუაზიული; რევოლიუციონურ საქმიანობის შედეგები, მისი ფორმა და შინაარსი მთლათ და განუყოფლად იყო კლასიური, ანტი-ბურჟუაზიული, პროლეტარულ—სახოგადოებრივი.

პროლეტარული რევოლიუცია მზადდებოდა ბურჟუაზიულ რევოლიუციის გაუელელად; ანუ, ფეოდალებისა და მონარქიის წინააღმდეგ ბურჟუაზიული და პროლეტარული რევოლიუცია ერთ და იმავე დროს იშობოდა, ვითარდებოდა.

ევროპის ბურჟუაზიულ რევოლიუციებზე აღზრდილი და გამოცდილი რუსეთის პროლეტარიატი თითონ მოქცეოდა სათავეში „ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ“ რევოლიუციას; მონარქიულ რეჟიმის დამხობასთან ერთად იგი აყენებდა საკუთარ კლასობრივ ინტერესებს, ანტი ბურჟუაზიულ მოთხოვნებს; უნდოთ უყურებდა ბურჟუაზიას, გვერდს უვლიდა მას.

რუსეთის ბურჟუაზიაც, იმავე ევროპის რევოლიუციების გამოცდილებით, ნაკლებად იტკივებდა თავს რევოლუციის ინტერესებით, მისი „რადიკალიზმით“; იგი კმაყოფილდებოდა რეფორმებითაც, საკ-

საქართველოს ისტორიის

გარისად სთვლიდა მონარქიულ მთავრობის მხოლოდ გადმოხრას, „გალიბერალებას"; ეძებდა იგი შეთანხმებას მასთან: უარყოფითად უყურებდა იგი პროლეტარულ ძალების ჩარევას „ბურჟუაზიულ" რევოლიუციაში.

ყველაზე მეტად ეს საქართველოს სინამდვილემ მოგვცა.

აქ არა თუ არ იყო ბურჟუაზიის ხელი რევოლიუციაში 1905 წელს,—მისი გამომხატველი პარტიები არა სჩადნენ სრულებით საქართველოში: 1905 წლის რევოლიუციას მთლად და განუყოფლად დაპატრონებოდა პროლეტარიატის ერთად ერთი ავანგარდი—სოციალ-დემოკრატიული პარტია.

პარტიები.

1905 წლის რევოლიუციას საქართველოში არ აღმოაჩნდა რევოლიუციით „დაინტერესებული", რევოლიუციის „მასაზრდოებელი" ის მრავალი და მრავალგვარი პარტიები, როგორც მას გამოუჩნდა რუსეთში,—რუსებში: მაგალითად, ესერები, ტრუდოვიკები, სახალხო სოციალისტები, კადეტები, პროგრესისტები და სხვა.

1905 წლის რევოლიუციის სარბიელზე საქართველოში, მისი მოსამზადებელი ხანიდან, განსაკუთრებით 900-იანი წლებიდან მაინც, სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარდა სხვა პოლიტიკურ პარტიებს არავითარი როლი არ რგუნებია.

ესერებს თავიდანვე ვერ მოეპოვებიათ ნიადაგი საქართველოში—არა სჩანდენ ისინი. ხოლო სოციალისტ-ფედერალისტების სახით ჩამოსხმული, თავად-აზნაურობიდან გამოსული ქართველი შოვინისტ-ინტელიგენტების პარტია მუშებისა და გლეხებისაგან სრულებით გარიყული იყვნენ; არავინ ამ კლასიდან მას არაფერს არ ეკითხებოდა მიმდინარე რევოლიუციაში.

რაც შეეხება მსხვილ, წმინდა ბურჟუაზიულ პარტიას, როგორიც იყო კადეტები და „ოქტომბრისტები" რუსეთში, ასეთი აქ, საქართველოში, ვერც კი გამოჩეკილიყო,—თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ თითებზე ჩამოსათვლელ უბრინცპო—უფორმო ლიბერალებს: ჩერქეზიშვილს, ვერმიშევს, ხატისოვს, ამირაჯიბს და გოთუას, რომელთაც ჰქონდათ აგრეთვე თავიანთი ბეჭდვითი ორგანოებიც,—„ეოზროჟდენიე", „ზაკავკაზიე" და „ტიფლისკი ლისტოკ"-ი

ფრაქციული ბრძოლა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და ბოლშევიკების როლი.

1905 წლამდე საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები კავკასიის კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელობით განუ-

ყოფლად იდგენ ძველი „ისკრის“ პოლიტიკურ ხაზზე, საესებით ეთანხმებოდენ ბოლშევიკებს (მეუმრავლესეებს, როგორც მაშინ უწოდებდენ) და განაგრძობდენ მისი პლატფორმა-ტაქტიკით რევოლიუციონურ მუშაობას.

1905 წლის დაწყებით ეს მდგომარეობა რევოლიუციის ხელმძღვანელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებში შეიცვალა.

1905 წელს, დაწყებულ რევოლიუციის გადამჭრელ მომენტებში სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებში დაიწყო ფრაქციული, მწვავე, შეურიგებელი ბრძოლა ბოლშევიკ-მენშევიკების სახით. ახლად შემოსული მენშევიკები, ბოლშევიკური საფუძველზე, ლენინიზმის პრინციპებზე აშენებულ ორგანიზაციებში იჭრებოდენ და დემაგოგიითა და მრავალი ანტი-პარტიული საშუალებებით ასუსტებდენ ორგანიზაციების სიმტკიცეს, არღვევდენ ორგანიზაციების მთლიანობას.

მაგრამ მენშევიკების ბრძოლაში ბოლშევიკებთან იყო რაღაც თავისებურობა; ქართველი მენშევიკები ფრაქციული ბრძოლის ხაზით განსხვავდებოდენ რუსეთის მენშევიკებისაგან...

ქართულმა მენშევიზმმა ანგარიში გაუწია (იძულებული იყო ასე მოქცეულიყო) განსათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმულ იმ მუშებისა და გლეხების უკიდურესობამდე მისულ კლასობრივ ბრძოლის წყურვილს, რომელთა რევოლიუციონური დუღილი აქ, საქართველოში, ვითარდებოდა განსაკუთრებულ პირობებში. ქართული მენშევიზმი არ (ან ვერ) შეეხო ორგანიზაციებს, პარტიის ძველი აპარატი ხელუხლებლათ დასტოვა; მან არ იცნო საჭიროდ შეეცვალა პარტიის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებული **ძველი ლენინისტური ხაზი პოლიტიკური ბრძოლისა.**

ამ **ყველასთან და ყველაფერთან შემგუებელ**, რუსეთის მენშევიკებისაგან **განსხვავებულ** ქართველ მენშევიკების თავისებურებას ჩვენ ვერ აუხვევთ გვერდს, როცა საქართველოში ბოლშევიკ-მენშევიკებს შორის დაწყებულ ფრაქციულ ბრძოლის შეფასებას შევუდგებით.

მენშევიზმი საქართველოში დაუპირდაპირდა ბოლშევიზმს უმთავრესად იდეოლოგიურ ფრონტით,—თეორიულად.

მაგრამ მიუხედავათ ყველა ამ ფრაქციულ ბრძოლებისა, რევოლიუციის დამასუსტებელ შეხლა-შემოხლისა, 1905 წლის რევოლიუცია საქართველოში მთელათ აღებული ჩატარდა ბოლშევიკური ბრძოლის ხაზით. რევოლიუციონერების ბოლშევიკურ ბრძოლის მეთოდებზე აღზრდით.

მენშევიზმს, როგორც პოლიტიკურ მიმართულებას, როგორც ტაქტიკურ—ორგანიზაციულ თავისებურებას არ ხვდომია როლი საქართველოში 1905 წლის რევოლიუციაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის რევოლიუციაში ბოლომდე შერჩა როლი ბოლშევიზმს საქართველოში.

მენშევიკები, ორგანიზაციებში გაბატონების შემდეგაც კი, ბოლშევიკურათ უდგებოდენ რევოლიუციონურ საქმეებს... იძულებული იყვნენ ბოლშევიკურათ ეწარმოებინათ რევოლიუციისათვის ხელმძღვანელობა.

მ ე ნ შ ე ვ ი ზ მ ი.

1905 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში იწყო გაბატონება მენშევიზმმა.

1905 წლის მიწურულში მენშევიკები უკვე ბატონები შეიქნენ საქართველოს ორგანიზაციებში. ბოლშევიკები ყველგან უმცირესობაში მოექცენ, ან სულ გამოიდევნენ ორგანიზაციებიდან. გამონაკლისს შეადგენდა ჰიათორისა და ქუთაისის ორგანიზაციები, სადაც ჯერ კიდევ ბოლშევიკები განაგრძობდენ ხელმძღვანელობას.

1905 წლის მიწურულში, შესუსტებულ რევოლიუციის ფონზე, როცა რუსეთის მენშევიზმი, სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის მოლოდინში ბრძოლის იარაღს ჭარიდა, პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლას მონარქიულ-ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმზე სცვლიდა,—ქართველი მენშევიკები თავიანთი უმეტესობით, მუშური შემადგენლობით, უარს არ ამბობდენ ბოლშევიკებთან ერთად წითელ პარტიზანულ ბრძოლის წარმოებაზე, წელში გამართულ, გათამამებულ მონარქიულ მთავრობის წინააღმდეგ, თუმცა ამავე დროს ისინი არც ამ მონარქიულ-ბურჟუაზიულ პარლამენტარიზმს იეწყებდენ,—„მეორე ხელით“ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობისათვისაც ემზადებოდენ,—გზაჯიდენ იქ თავიანთ კაცებს.

ასეთი სახის იყო ქართული მენშევიზმი, რომელიც რეაქციის გაძლიერებით კიდევ უფრო და უფრო ძლიერდებოდა რევოლიუციის დამარცხებით გულ-გატეხილ, იმედ დაკარგულ ფართო მშრომელ მასაში.

1906 წლის მეორე ნახევრიდან, პირველ სახელმწიფო სათათბიროს გარეკის შემდეგ, მენშევიზმი საქართველოში ერთობ გაიფურჩქნა, გაიშალა. ყოველგვარ რევოლიუციონურ საქმიანობაზე მან ხელი აიღო, მარტო კულტურულ-განმანათლებელ მუშაობით კმაყოფილდებოდა, რაც გამოიხატებოდა ლეგალურ ბეჭდვითი ორგანოების გამოცემაში და პოლიტიკურ-კულტურულ მუშაობაში.

რეაქციის ფონზე.

1906 წლის მიწურულში რევოლიუციის დაუძლურება, მისი დამარცხება უდავო შეიქნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ იყო უკვე რევოლიუციონური აღფრთოვანება.

რევოლიუცია სამუდამოთ წაგებულათ იყო წარმოდგენილი.

ასე არ ფიქრობდა მხოლოდ და არ ეძლეოდა სასოწარკვეთილებას ერთად-ერთი ბოლშევიკური ფრაქცია ლენინის მეთაურობით.

ბოლშევიკები რევოლიუციის დამარცხებას არ უარყოფდენ, მაგრამ მას სთვლიდენ დროებითად. ბოლშევიკებს სწამდა, რომ რევოლიუციონური მშრომელი ხალხი ახლო მომავალში ისევ მოიკრებდა ძალებს და უფრო გამოცდილი, უფრო მოზადებული, უფრო მეტის სიძლიერით ამხედრდებოდა და წალეკავდა ყოველსავე ძველს, გადასწყვეტდა 1905 წლის რევოლიუციის გადაუწყვეტელ საკითხებს.

აჰიტომ ისინი არ დაიბნენ...

ბოლშევიკები ლენინის ხელმძღვანელობით ჩაძვრენ იატაკ ქვეშ და არალეგალობისა და კონსპირაციის სქელ კედლებში იწყეს სიკვდილს გადარჩენილი, გაბნეულ რევოლიუციონერების თავის მოყრა და მათი ახალ საფუძველზე გადაჯგუფება.

ასეთ გადაჯგუფებას, ძალების გადარჩევას აქ, საქართველოშიც, ჰქონდა ადგილი.

რევოლიუციონური ძალების ამ ახალ პირობებში შეჯგუფებამ შემოუარგლა საქართველოში ბოლშევიკური ფრაქცია პარტიული საზღვრებით.

ისე მოეწყო საქმე, რომ ბოლშევიკები საქართველოში სრულებით არ აძლევდენ ანგარიშს მენშევიკებით გაბატონებულ ორგანიზაციებს, იმათ უნებართვოდ და დაუკითხავათ აკეთებდენ რევოლიუციონურ საქმეებს.

დამარცხებულ წითელ რაზმელებიდან ბოლშევიკების მეთაურობით გამოიყო ჯგუფი, რომელიც ტერორისტული ხასიათის გამოსვლებთან ერთად ეწეოდა სახელმწიფო ფულების ექსპროპრიაციას რევოლიუციონური მიზნებისთვის, აგრეთვე გაჰყავდა ხერელები და აწყობდა დასახვრეტ-დასახრჩობ რევოლიუციონერების გაქცევას საპყრობილეებიდან.

გაბატონებულ მენშევიკების ორგანიზაციები ამ ბრძოლას შორიდან უყურებდენ.

ვინც-კი საუკეთესო მებრძოლი იყო მათ შორის, შემოეკედლა ბოლშევიკების ამ ვიწრო პარტიზანულ ჯგუფს და ეწეოდა რევოლიუციონურ საქმიანობას ბოლშევიკური ფრაქციის ხელმძღვანელობით.

ასე, 1906 წლის მიწურულით დასრულდა 1905 წლის რევოლიუციის პერიოდი და მივადექით 1907 წლით დაწყებულ სტოლიპინის მძაფრ რეაქციას.

ს. თალაკვაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული მუშაობიდან 1905 წელს*).

ქავკასიის კავშირი რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ღვინის საწყობების, რესტორანების, სამიკიტნოების, „რენსკოვო პოგრების“, „ზაეზეი დომების“ მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი:

1) კვირა და თორმეტ უმთავრეს უქმე დღეებში სავაჭროების დაკეტვა და მოსამსახურეების სრული თავისუფლება.

2) 1 აპრილიდგან 1 ოქტომბრამდე სავაჭროები იღებოდეს დილის 6 საათზე, იკეტებოდეს საღამოს 10 საათზე. 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე დილის 7 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

3) ოთახები სავაჭროებზე დაშორებული უნდა იქნეს.

4) შეგირდის მიღება ერთი წლით. აიკრძალოს 14 წელზე ნაკლები ხნის ბაღშვის მიღება შეგირდათ.

5) ზრდილობიანი მოპყრობა.

6) გაფიცებისთვის არავინ არ უნდა დაისაჯოს არც დათხოვნით და არც ჯამაგირის მოკლებით.

7) მოსამსახურის დათხოვნა შეიძლება მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ ხაზეინისაგან გამოცხადებული აქვს ერთი თვით ადრე და ამხანაგებისგანაც გადაწყვეტილია მისი დათხოვნა.

8) კვირაში ერთხელ ამხანაგების მოთხოვნით მუშაობისგან განთავისუფლება საღამოს 6 საათზე.

ამხანაგებო! ყველა ამ მოთხოვნილებისთვის ჩვენ ერთხელ გავიფიცეთ და დაგვაკმაყოფილეს კიდეც, მაგრამ ეს დაკმაყოფილება მხოლოდ უსირცხვილო მოტყუილება იყო „ხაზეინებისაგან“. ჩვენ მოგვატყუილეს, მუშაობას მიგვაყენეს და ერთ კვირაში ისეთსავე აუტანელ მდგომარეობაში ჩავცივდით, როგორც წინათ. ამნაირათ ცხოვრება შეუძლებელია, და ჩვენ უნდა მოვიპოვოთ უსათუოთ, რასაც ვთხოულობთ.

---

*) აქ დაბეჭდილი პროკლამაციები გამოცემულია სოც.-დემ. ქუთაისის ორგანიზაციის და იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მიერ 1905 წ.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაბრთხილებთ „ხაზეინებს“, თუ ამ ხუთ დღეში ყველა ეს მოთხოვნილებები არ იქნება შესრულებული მაშინ ჩვენ მივმართავთ გაფიცვას და სხვა ზომებს.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ი. ს. კ.—სა
1905 წ. № 114.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

29 აგვისტოს თავდასხმა.

მოქალაქენო! 29 აგვისტოს საღამოს 8 საათზე თფილისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზს მიაწყდა რამდენიმე ათასი კაცი საბჭოს ჩვეულებრივ სხდომაზე დასასწრებლათ და საერობო სათათბიროში კანდიდატების არჩევაზე გავლენის მოსახდენათ. კარები ღია იყო, პოლიცია კარებთან იდგა, მაგრამ შესულას არავის უშლიდა. კრებაზე არც ერთი ხმოსანი, არც გამგეობა და არც ქალაქის თავი არ გამოცხადებულა. მაშინ კრება გადაიქცა ხალხის მიტინგათ და დაიწყეს ლაპარაკი ბაქოს სომეხ-თათართა შეტაკების შესახებ. უცებ გამოცხადდა პოლიციის ბოჭოული და მოითხოვა კრების დაშლა; კრებამ ამაზე უარი უთხრა. რამდენიმე წუთის შემდეგ ზალაში შემოცვივდენ კაზაკები და ასტეხეს პირდაპირ ხალხში სროლა. იხმაურდა მთელი ხალხი და მიაწყდა კარებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველა გამოსავალი დახშულიყო. ხალხი შეიქნა ყოველ მხრიდან მომწყვდეული. შიგნიდან და გარედმიდან გამხეცებული კაზაკებით გარსშემორტყმული. მრავალ ალაგას კაზაკებმა სინათლე ჩააქრეს და ხალხს დაესივნენ. მთელი სახლი მოიცვა დაჭრილთა და მომაკვდავთა საზარელმა კვნესა გოდებამ. სისხლის გუბე დადგა ყველგან, გალერეიაზე მოკლულთა გვამებს კაზაკები ისროდენ დაბლა ზალაში. ხალის ხალხი გარბოდ-გამორბოდა ეზოში, მათ უკან სროლით მისდევდენ. ვინც კი ალაყაფის კარებზე გადახტომა მოახერხა, მათ ათავებდენ გარეთ მდგომი კაზაკები. ესენი არავის არჩევდენ არც საბჭოს გარეთ. ვისაც კი დაინახავდენ, თავს ესხმოდენ. ქუჩები მოირწყო სისხლით. დაჭრილები ეყარა აქა იქ და მხოლოდ საჭაროთ მოწვეული ექიმები მათ კრეფდენ და ახლო აფთიაქში პრილობებს უხვევდენ. როცა კაზაკებს ტყვია გამოელიათ დაერიენ ხმლებით; მსხვერპლთ მეძებრებივით დაეძებდენ ბნელ კუთხეებში და დაუჭრელათ აღარავის უშვებდენ. ერთი ქალი გაგიჟდა. ბოლოს მივიდა პროკურორი და ეზოში დარჩენილთა ერთი ნაწილი დაიპატიმრა. მიხაილოვის საავადმყოფოში შეკ-

რებილი ცნობებით მოკლულია 36. ამათში რამოდენიმე ქალია. დაჭრილთა რიცხვის აღდგენა ჯერ შეუძლებელია. მრავალი მძიმეთ დაშავებული თავ-თავის სახლებში წვანან.

მუშებო, მოქალაქენო! აი რა საშინელი დანაშაულობა ჩაიდინეს მთავრობამ და მისმა ჯალათებმა. არა ნაკლები წილი ამ საზიზღარ საქმეში უდევს ჩვენ ლიბერალურ ბურჟუაზიას, ქალაქის თავმა ვერმიშევმა და მისმა გამგეობამ თფილისის ხალხი და საბჭო გამხეცებულ კაზაკებს გადასცა დასარბევათ. ის ამნაირათ გაიფთრებულმა თვითმპყრობელობამ და ქალაქის თვითმართველობამ ხელი ხელს მიცეს და ომი გამოუცხადეს უიარაღო ხალხს.

ამაზე ჩვენი პასუხია: **ძირს თვითმპყრობელობა, ძირს მოღალატე ბურჟუაზია.** მოუწოდოთ ყველა მუშას, ყველა მოქალაქეს ზიზღი გამოუცხადოს მოავრობას და მასთანავე ვერმიშევს და მის გამგეობას.

ხუთშაბათს 1 სექტემბერს შეჩერდეს **სხვა კავკასიის ქალაქებთან ერთად** ჩვენი ქალაქის ცხოვრება. ამ **ერთი დღის** სამგლოვიარო გაფიცვით პატივი ვცეთ უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნას და პროტესტი გამოუცხადოთ მთავრობას. დეე ეს დღე გადაიქცეს სამგლოვიარო დღეთ!

მუშებო, მოქალაქენო, ხუთშაბათს ერთი დღით თქვენ შესწევეთ მუშაობას: გამოხურავთ სახელოსნოებს, სტამბებს, ფაბრიკა-ზავოდებს, დახურავთ დუქნებს, რესტორანებს, შეაჩერებთ მიმოსვლას,— ერთი სიტყვით გააჩერებთ ქალაქის მაჯის ცემას.

საუკუნო ხსოვნა მოკლულთ! სიკვდილი მკვლელთ! ძირს თვითმპყრობელობა! ძირს მოღალატე ბურჟუაზია! გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას! გაუმარჯოს რუს. სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

ქუთაისის ორგანიზაცია რ. ს. დ. მ. პ.

მსწრაფლ მებეჭდავი სტამბა ორგანიზაციისა. აგვისტ. 31—10.000 ცალი.

კავკასიის კავშირი რუსეთის სოც.-დემოკ. მუშათა პარტიისა.

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!

ამხანაგებო!

მტრის ტყვიამ კიდევ დაიზუელა ჩვენს თავზე, მტრის ხმალმა კიდევ გაიელვა ჩვენ თვალ წინ და აი წარმოგვიდგა საშინელი, შემაძრწუნებელი სურათი თფილისის თვითმართველობის დარბაზში. აქ მთავრობის ნებართვით შეკრებილა დიდძალი ხალხი საეროზო არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენების გამო. დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ სოც.-დემოკრატები და მუშები. იმართება საუბარი ბაქოს სისხლის ღვრის შესახებ. ეს მოქალაქეთა კრებაა. ეს ადგილობრივ მცხოვრებთა კრებაა. აქ იარაღი არავის მოუტანია, რადგან კრების მიზანია თავისუფალი სჯა-ბაასი დღევანდელ საჭირბოროტო კითხვებზე, აქ მხოლოთ თავისუფალი გონებრივი მუშაობაა. აქ მოქალაქენი თავის აზრებს და გრძნობებს ერთი მეორეს უზიარებენ.

უცბათ გარედან ისმის საშინელი გრიალი და კრებას სამარისებური სიჩუმე იცავს!,. კიდევ თოფის გრიალი, კიდევ და კიდევ, იცხრილება დარბაზის კედლები, იმტვრევა ყოველ მხრიდან კარები და შიგ დარბაზში შემორბის გაცოფებული ყაზახთა რაზმი. ეხლა კი ყველა მიმხვდარია, რომ კრება ულმობელ მტარვალთა მსხვერპლია, სისხლის მსმელ ჯალათთა ბრძყალებშია და სიკვდილს უნდა გაქცევა. იხშობა სინათლე და სრულ სიბნელეში იწყება ენით გამოუთქმელი საშინელება, ხალხის განუკითხავი ქლეტა და მუსერა. თავის შველა შეუძლებელია. გაქცეულს ტყვია ხვდება გულში და წუთისოფელს ასალმებს. სიკვდილი ფართოთ შლის შავ ფრთებს და უცბათ მცირდება ცოცხალთა რიცხვი. გარეთ და შიგნით, ყველგან, ყოველ ნაბიჯზე სისხლის გუბეები, ადამიანის დაგლეჯილი წელები, დასახიჩრებული გვამები, დანთხეული ტვინი, ტანს მოცილებული თავები... დაჭრილთა და მომაკვდავთა გულშემხარავი კვნესა, ტანჯვა ვაების ხმა, სასიკვდილოთ დეენილთა საოცარი ყვირილი. ყველაფერი ეს შეერთებული წარმოადგენს ჯოჯოხეთს, ადამიანების წამების, ტანჯვის და სიკვდილის სურათს.. აი ეს საშინელი სურათი თბილი სისხლით დახატა მთავრობის ბოროტმა ხელმა, ეს თარეშობა თფილისის მოქალაქეებზე გაიწყო თფილ. გახრწნილმა პოლიციამ.

ამხანაგებო! გული სკდება. სული გებუთება და სისხლი თავში გაწვება, როცა ეს თავზარდამცემი ამბები გესმის, როცა ამ ჯოჯოხეთურ საშინელებას ხედავ, მოთმინების ფიალა შხამითა და გესლით ივსება.. ჯალათთა სისხლი გეწუწურა, მათი გაპობილი გულის ნახვა გვწადია. ამხანაგების სიკვდილი გულს გვიღრღნის და სულს გვიშფოთებს.. მაგრამ არ შეგვაშინოს ამან, ამ ახალმა სისხლის ნაკადულმა არ დააცხროს ჩვენ გულში ანთებული რევოლიუციონური ალი, არ შეასუსტოს ჩვენი მარჯვენა საბრძოლველად ამართული. მეტი შეუპოვრობით, მეტი გააფთრებით, მეტი ბრაზით და შურისძიებით გაეცქანით ჩვენ დახოცილ ამხ. სისხლის ასაღებათ. სიკვდილი ყოველთვის თან გვზდევდა ჩვენ, ეს ჩვენთვის არა ახალი, ძველია— მაგრამ ყოველი სისხლის წვეთი უფრო და უფრო ანთებდა ჩვენს გულში ბრძოლის ალს.—აი ეს ალი დღეს ცეცხლის ხღვად გარდაიქცა, მან წარღვნა მთელი რუსეთი, მთელი კაცობრიობა დღევანდელი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიარაღებული აჯანყების დღეა. დაყოვნება ყოულად შეუძლებელია. მეომარნი ყოველ მხრიდან იარაღს ითხოვენ. სარევოლიუციო ჯარი დარაზმულია, საჭიროა **მხოლოდ** იარაღი.

ამხანაგებო! ნუ დავზოგავთ ნურავითარ საშუალებას, ნურც დროს, ნურც ძალას, ნურც ფულს უკანასკნელი პერანგი გავყიდოთ., რევოლიუცია მხოლოთ იარაღით გაიმარჯვებს და ჩვენც ყოველგვარი საშუალება ვიხმაროთ მალე ავუშვათ შეიარაღებული აჯანყების დროშა.

გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!..
დიდება და პატივი დახოცილ ამხანაგებს!..
სიკვდილი მტარვალთ!.. სიკვდილი მკვლელთ!

იმერეთ—სამეგრელოს კომიტეტი.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ი.-ს-ძ-სა
1 სექტემბერი 1905 წ. № 104.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სალდათობა.

„მას ჯარი ნებავს შენ სისხლ საღვრელათ,
„მიართვი მტარვალს შენი ვაჟები...

ხალხის სისხლით რუსეთი ირწყვება... მტარვალმა მეფემ და მისმა მთავრობამ ხალხის ყველფაზე, ხალხის დამონაებაზე, ხალხის დაბეჩავებაზე, ხალხის გაუნათლებლობაზე ააგეს თავისი ბედნიერება. მაგრამ, აჰა, მათ ბედნიერებასაც ბოლო ელება. მეფე და მისი მთავრობა ყოველ ღონეს ხმაობდა ხალხი დაებნელებინა, მაგრამ ხალხმა უკვე თვალები აახილა. ის ნათლათ ხედავს ეხლა თვის მტერს და მოყვარეს, მთავრობა ცდილობდა ხალხი მორჩილ და ყურ მოჭრილ მონათ გარდაექცია. ის ჯჭლუნებდა მას თვალთა ხედვას და ყურთა სმენას, რომ მას არ გაეგონა ხმა თავისუფლების, არ დაენახა დროშა თავისუფლებისა. მაგრამ ხალხმა შეიგნო თავისი მდგომარეობა, ძძლაერათ შეინძრა, აიწყვიტა მონობის ბორკილები და გამოუცხადა სანკვიდრო-სასიცოცხლო ომი თვითმპყრობელ მეფეს. და აი მაინც შემოიკრიბა მთელი თავისი ბნელი ძალები და დაუპირდაპირა ის თავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხს. მთელი რუსეთი ორ ბანაკათ გაიყო: ერთი მხრით მეფე თავის პოლიცია-ჟანდარმებით, მინისტრ ჩინოვნიკებით, კაზაკებით, მეორე მხრით ხალხი. პირველი ბანაკი

შეორესთან შედარებით თავის თავათ უძლურია. მაგრამ ის არის ძლიერი ურიცხვი ჯარით. რითი გიმონებთ თქვენ მეფე? ჯარით. რითი გაძრობსთ ტყავს? ჯარით. რითი გალპობთ ციხეში, რითი გისპობთ სიცოცხლეს სახრჩობელაზე, რითი გხვრეტავთ მტარვალი მეფე? ჯარით და მხოლოთ ჯარით. წაართვით მთავრობას ჯარი. ის სუსტია, უძლურია მაშინ.

მერე ვინ აძლევს მეფეს ამ ჯარს? ვინ და თქვენ. ჯარშია თქვენი შვილები, ძმები, ნათესავები, ჯარშია თქვენსავით გაყვლეფილი მუშა და გლეხი. ამ გვარათ თქვენივე ძალით, თქვენივე შვილების და ძმების წყალობით—თქვენსავით გაყვლეფილი მუშის ხელით მტარვალი მეფე თქვენვე გამარცხებთ, თქვენ მუშტს თქვენვე გაირტყამთ ცხვირპირში: აი რითი ყოფილა თქვენი სისხლის მსმელი მეფე ძლიერი, აი რისთვის ნდომებია ჯარი.

არა, ჯარი გარეშე მტრისაგან გვიფარავსო, იტყვით თქვენ. აქაც შემცდარი ხართ. ყოველი თანამედროვე მთავრობა თვითმპყრობელი მეფეა იგი, თუ მდიდართა მთავრობა, ყოველთვის და ყოველგან თავის თავს იცავს, თავის ჯიბეებს ისქელებს, თქვენთვის კი ცხელი ტყვია და ციცი სამარე აქვს ყოველგან დამზადებული: რა მტრობა ქონდა შენთან იაპონელებს, რომ შენი შვილები, შენი ძმები და შენსავით გაყვლეფილი მუშა ხალხი ასი ათასობით შეაკლა მათ მთავრობამ? რა საქმე ქონდა შენთან იაპონელებს? გიცნობდა? იცნობდი? არა და არა. მეფემ მისთვის ჩახოცა ამდენი ხალხი მანჯურიაში, რომ ახალი მიწები შეეძინა, თავის მდიდარი ვაჭრებისათვის ახალი ბაზარი მოეპოვებია, რომ ამით ისინი კიდევ უფრო გამდიდრებულიყვნენ. ჯარს მარტო ამით არ მოაქვს ოტტანელი ზარალი შენთვის. ჯარი გაღატაკებს შენ, გასნეულებს. იქნება ისა გგონია, რომ ამ ურიცხვ ჯარს მეფე ინახავს თავისი ჯიბით? არა და ათასჯერ არა. მეფესაც და მის ჯარსაც შენ ინახავ შენი ოფლით. თუ შენ ჯიბეში არაფერია, იმიტომ, რომ ამდენ მუქთა ხორას ეელარ გაწდვი. მთავრობა გახდეინებს შენ პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადის სახით ორი ათას მილიონ მანეთს და აქედან თითქმის ნახევარი ჯარს ხმარდება; ჯარის წყალობით მეფე შენ გიმონებს, გაღატაკებს. შენ აძლევ მეფეს შენსავე შვილებს: აჰა, წაიყვანე ესენი, მიეცი თოფი, ასწავლე სროლა, რომ ერთგულათ დაგიმიზნოს შიდ გულში, არ ამაცდინოს თუ ბოროტობა დავგმო და სამართლიზა ბრძოლა ვიწყო, და ამავე ჯარს, რომლითაც მეფე შენზე ნადირობს, როგორც მწყერებზე, შენვე ინახავ! ამაზე უფრო მეტი მოუფიქრებლობა, მეტი უაზრობა იქნება?!

ეს კიდევ ცოტაა. რა ემართება შენს შვილებს, ძმებს ჯარში რომ მიდიან? უმეტესი ნაწილი ჭლექით სნეულდება, ზოგი შორს იხოცება, ზოგი ოჯახშივე ბრუნდება დაჭლექებული; არა თუ სამუდამოთ

აკლდება შენს ოჯახს საუკეთესო მუშა, არამედ სნეულებაც შემოდგა შენს ოჯახში.

ამ გვარათ სალდათობა ხელში აძლევს მთავრობას იარაღს შენ-საე დასამარცხებლათ, სალდათობა შენს ოჯახს აკლებს მუშა ხელს, სალდათობა გაღატაკებს, გაუბედურებს, გლუპავს სრულებით, ოჯახს გისნეულებს. **მაშ ძირს სალდათობა.**

ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მუდმივი ჯარის გაუქმება, უნდა შეიარაღდეს მთელი ხალხი. მაშინ საჭიროების დროს შეიძლება გამოწვევა სახალხო მილიციის, რომელსაც ვერ შეედრება ვერავითარი მუდმივი ჯარი. მერე რა საჭიროა ეს მილიცია? ეს მილიცია იქნება არა მთავრობის და მდიდრების, არამედ ხალხის დამცველი, და აი ჩვენც, რუს. სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია მოვითხოვთ, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელიც უნდა აშენდეს თვითმპყრობელობის ნანგრევზე, მოსპობილ იქნას მუდმივი ჯარი, და შეიარაღონ მთელი ხალხი.

ამნაირათ ჩვენი უახლოესი მიზანი თვითმპყრობელ მეფის დამარცხებაა და ამიტომ უნდა ვეცადოთ, რომ მისი ძალები ყოველ მხრივ შევასუსტოთ, მოუსპოთ ჯარი--ეს უმთავრესი ძარღვი მისი არსებობისა. ამიტომ მოვემზადოთ ყოველ მხრივ, რომ შეძლება გვექნეს ვარი გამოუცხადოთ სალდათობაზე. მოგიწოდებთ თქვენ შეიარაღდეთ, შეადგინოთ წითელი რაზმები, რომ გაუწიოთ წინააღმდეგობა მთავრობის მიერ შემოსეულ ჯალათებს.

ძირს სალდათობა! გაუმარჯოს სახალხო მილიციას! ძირს თვითმპყრობელობა!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას! გაუმარჯოს რ. ს. დ. მუშათა პარტიას!

ჭუთაისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.

მსწრაფლმბეჭდ. სტამ. კომიტ. 12 სექტ. 1905 წ. (№ 33) 25,000 ცალი.

რუსეთის ს.-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ვინ არიან ყაჩაღები?

მოქალაქენო, გათვიცნობიერებული ხალხი დაუღალავად ამსხვრევს მონობის ბორკილებს. ის გამოვიდა ბრძოლის ველზე და სამკვდრო-სასიცოცხლოთ შეებრძოლა ძველ წესწყობილებას, შეებრძოლა თვითმპყრობელ მთავრობას, ხალხმა უარყო ძველი მთავრობა და ბოიკოტი გამოუცხადა ყველა მის დაწესებულებას, რომელნიც არა ხალ-

ხის საკეთილდღეოთ, არამედ მის დასამონებლათ იყო დაარსებული. ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა მეფის სუდს, პოლიციას, მთავრობას საზოგადოთ; ხალხმა უარყო პრისტავ-„ვეზნაჩანიკების“ აპეკუნობა, თავის თავი სრულ წლოვანათ გამოაცხადა. და თავისი ბედ-იღბალის, თავისი საქმეების მოგვარებას, მოწესრიგებას თვითონ კიდებს ხელს. და აი ამ დროს. როდესაც ხალხი იბრძვის განთავისუფლებისათვის, როდესაც ის ანგრევს ძველს და აშენებს ახალ წესწყობილებას და მის შესაფერ დაწესებულებებს მთავრობას გამოუჩნდა ახალი მოკავშირე, ახალი დამხმარე, ესენი არიან ყაჩაღები, რომელნიც სარგებლობენ ამისთანა დროით, ესხმიან თავზე, სცარცავენ და გლეჯენ მშვიდობიან ხალხს. კიდევ ცოტა. ეს ყაჩაღები დადიან ხშირათ ახალ თაობის სახელით, აგროვებენ ფულს ვითომ და კომიტეტის სასარგებლოთ. ამნაირათ ეს ვაგბატონები აწუხებენ საზოგადოებას, უშლიან ხელს ხალხის ბრძოლას და მით აფერხებენ განთავისუფლების საქმეს, რითაც ხელს უწყობენ თვითმპყრობელ მთავრობას და პოლიციას, და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია ეს ის, რომ ეგ ვაგბატონები პარტიის სახელით გამოდიან და მით ჩარქს სცხებენ მუშათა პარტიას. ყველა შეგნებული მუშები ხიზეს უცხადებს იმ ვაგბატონებს და მათ თარეშობას, ვაცხადებთ, რომ მათ არასფერი საერთო არ აქვთ ახალ თაობასთან. რომ ისინი არიან ხალხის და მისი თავისუფლების მტერნი. და აი ჩვენ მოგიწოდებთ ყველა მოქალაქეებს ამ ყაჩაღების თარეშობის ასალაგმავათ, ნუ დაფარავთ მათ, გამოაქვეყნეთ მათი ვინაობა დეე თვითონ ხალხმა დასდოს მათ მსჯავრი მათ თავგასულ მოქმედებას. ავაზაკობა ხელს უშლის ხალხის მოძრაობას, ხალხის განთავისუფლებას, და ამიტომ ხელის დაფარება კი არა, ბრძოლაა საჭირო მათ წინააღმდეგ.

ქუთაისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა კომიტეტისა. № 38
25 სექტემბერს 1905 წ. 6000 ცალი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პორლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წ ი ნ!

ამხანაგებო! კარგახანია მას აქეთ, რაც მოწინავე პროლეტარიატმა აუღო ალღო ცხოვრებას, მან გამოხსნა ცხოვრების ნასკვი— გაიგო რომ მისი, და მასთან ერთათ მთელი კაცობრიობის ხსნა შრომის სამეფოშია, და აი ისიც მედგრად გაეჭანა მუშის აღთქმულ ქვეყნი-

საკენ—სოციალიზმისაკენ. მაგრამ მას გზაზე გადაეღობა ბუმბერაზი ვეშაპი-თვითმპყრობელი მეფე და მისი მთავრობა, და აი ამასაც გამოუცხადა მუშა ხალხმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი; დიდი ხანია სწარმოებს რუსეთში ეს სამოქალაქო ომი, დიდი ხანია მას აქეთ, რაც რომ რუსეთი ბრძოლის ველათ გადაიქცა, სადაც სასტიკათ შებრძოლებიან ერთი-მეორეს მონობა და თავისუფლება, მეფე და ხალხი. და აი ამ ხანგრძლივ ომის დროს სხვადასხვა ზომებს და ხრიკებს მიმართავს თვითმპყრობელი მთავრობა. ჯერ მეფემ სცადა სასტიკი ზომებით, ცეცხლითა და მახვილით ჩაეკრო ახლად გაფუჩქნული მოძრაობა: ტყვია, ციმბირი, მათრახი, ციხე, კატორღა, სახრჩობელა, აი რას მიმართა მან, აი რითი აძლევდა ის პასუხს თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს. მაგრამ ამაოთ; თვითეულ მსხვერპლის ალაგას პროლეტარიატი თავის საშოდან ათობით და ასობით წარმოისროდა თავისუფლებისათვის მებრძოლს.

ამან რომ ვერ გასჭრა, შემდეგ მთავრობამ მას ახალი ზომები მიუმატა. მან მიხვდა, რომ მუშების ძალა მათ ერთობაშია და მოინდომა მათი ერთობის დაშლა, მან სხვადასხვა ეროვნების შეუგნებელი მუშები ერთი-მეორეს გადაკიდა, მათ შორის, შუღლი და მტრობა ჩამოაგდო, (გაიხსენეთ ბაქოში სომეხ-თათართა ჟლეტა; კიშინეევი—გომელი და სხვა). მაგრამ ესეც ამაოთ, ვერც ამით მოიხსნა მთავრობამ საწადელ მიზანს; მუშა ხალხი დღითი დღე იგნებს, რომ მათი ძალა მათ ერთობაშია. და აი მთელი რუსეთის მუშები ერთდება და რკალივით ერტყმებიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დროშას. გაიფთრებულ მთავრობას გზა-კვალი აერია. მან ფერი იცვალა, მოფერების გზას დაადგა, მან გამოგვიცხადა „დამშვიდდით, დაწყნარდით, ნუღარ ბუნტობთ, მე თვითონ ვიცი თქვენი გაჭირვება, მე თვითონ დავდგები ძალამოს თქვენს ტკივილებსო“ და მოყვა ბოდვას რალაც კომისიებზე: აირჩიეთ თქვენი წარმომადგენლები, მომელაპარაკეთ და მეც სახეში მივიღებ თქვენს გაჭირვებასო. მან სცადა ცოტა დათმობით, ბეჭრის დაპირებით ხალხის გული მოეგო, მისთვის თვალები აეხვია და ამნაირათ აეცდინა თავიდან ხალხის რისხვა, ხალხის რევოლიუცია. მუშა ხალხმა მწარე გამოცდილებით დიდი ხანია იცის, რომ მთავრობა მხოლოთ კანს იცვლის დროგამოშვებით, მხოლოთ გული კი იგივე გველური რჩება. მან კარგათ იცის, რომ მეფის არც შემოტანილი ვარგა და არც გატანილი. და აი ხალხმაც ერთხელ კიდევ გამოუცხადა თავისი ზიზღი და ჯნდობლობა თვითმპყრობელ მთავრობას. მეფემ და მისმა დამჭაშებმა ეს იგრძვნეს, იგრძვნეს რომ მათი ლათაიებით ფრონს ვერ გაეედით, ვერ აუხვიეს ხალხს თვალი და მათ აწყარათ მიყვეს ხელი საომრათ მზადებას: ძოუმატეს ჯარების რიცხვს და დაგვანახეს ათიოდე ჩაძველებული ზარბაზანი. რაო და

ჩაჩუმდით, თორემ ტყვიებით გაგისწორდებითო. მაგრამ, ამხანაგებო, განა შეგვაჩერებს ეს მუქარა, ჯარი, თოფ-ზარბაზანი თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს? განა არის ისეთი ძალა, რომ შეაჩეროს რევოლიუციის გრიგალი? განა მოიპოვება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ამომავალი მზის შეჩერება? არა და ათასჯერ არა. არ არის ის ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაკავოს ხალხის ძლევამოსილი მსვლელობა განმათავისუფლებელ გზაზე. მებრძოლმა ხალხმა უკვე სისხლით აღბეჭდა თავის დროშაზე: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება“ და ისიც შედგრად მიექანება გამარჯვებისაკენ. მებრძოლ ხალხს არ ჩვევია დამარცხება, უკან დახევა, მას არ შეშვენის შიში, სიმხდალე. ამხანაგებო! განა შევშინდი მებრძოლნი, მიტომ რომ მთავრობამ ჯარები შემოგვასია? არა და არა. ეს იმის ნიშანია, რომ მთავრობა უკანასკნელ დღეშია და უკანასკნელ ზომებს კიდებს ხელს. მისი დღენი დათვლილია, ის სასიკვდილოთ არის დაჭრილი, ის გამწარებულია და „შემოდგომის ბუზივით“ იკბინება. ეს კი უფრო უნდა გვახსოვდეს გვიათკეცებდეს ვაჟკაცობას, უნდა გვიძლავდეს გულში გამარჯვების იმედებს. განა ის ჯარები, რომელიც მთავრობამ შემოგვისია კი სულელა მისი ერთგული არიან? არა. იმათშიაც კარგიხანია შეანათა უკვე თავისუფლების შუქმა: ჯარში ღალატი შედის, ჯარი შეირყა. შეირყა უმთავრესი ბურჯი თვითმპყრობელობის; ჯარი იგნებს, რომ ის ხალხის ნაწილია და თანდათან გადადის ხალხისაკენ, მართლდება ბრძნის სიტყვები: ხიშტებით ყველაფერის გაკეთება შეიძლება, მხოლოდ ზედ ჯდომა ძიდხანს შეუძლებელიაო“. აჰა ხიშტებიც ეცლება გვირგვინოსან მტარვალს და მიექანება ის სამარისაკენ.

მაშ გამხნევდით, გალომკაცდით ამხანაგებო! ჩვენ მტერს ყოველ დღე ძალა აკლდება, მისი დანაკლისი ჩვენ გვემატება. მაშ მედგრათ წინ და მხოლოთ წინ, თავისუფლებისათვის მებრძოლთ არ შეშვენის უკან დახევა! მაშ შევიარაღდეთ, გავლომგულდეთ! მუდამ მზათ ვიყვეთ, რომ იერიში მივიტანოთ დახავსებულ თვითმპყრობელობაზე, მუდამ მზათ ვიყვეთ გამარჯვებისათვის და გვიმარჯვებთ კიდეც. ჩვენ მხარეზეა სიმართლე, ჭეშმარიტება, ჩვენ მხარეზეა ისტორია, ჩვენ მხარეზეა ისტორიული აუცილებლობა. ეს კი იმისთანა ძალაა, რომელსაც ვერ შეაჩერებს ვერც ზარბაზანის გრიალი, ვერც ტყვიის. ზუზუნი, ეს ის ძალაა, რომელიც წალეკავს ულმობლათ თავის გზაზე თვითმპყრობელობის გახრწნილ ლეშს. ამხანაგებო! რუსეთმა უკვე შეტოპა რევოლიუციის მორევში, მის აზვირთებულ ტალღებზე უგზოუკვლოთ დაეხეტება თვითმპყრობელობის ნავი, რომელიც ცდილობს მშვიდობით ნაპირზე გასვლას, მაგრამ ამაოთ. ჰა! ერთი კიდევ, მხოლოთ ერთი მაგარი ტალღა და მეფის ნავი უკანასკნელათ მიასკდება სალ კლდეს და სამუდამოთ ჩაიძირება უფსკრულში! რევოლიუციის ძლე-

ვა-მოსილი ჰქონა-ქუხილი უკვე გრიალებს კიდით-კიდემდე და მეღ-გრათ გვიწოდებს: „მაშ მებრძოლნო, წინ-წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენი გული. დღე მკერდს აჩნდეს სისხლის დაღი და შუბლს ოფლის ნაკადული"!.

ძირს თვითმპყრობელობა!
გაუმარჯოს რევოლიუციას!
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

ქუთაისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა კომიტეტისა, 28 სექტემბერს 1905 წ.
25,000 ცალი. (№ 41).

რუსეთის ს.-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!

არც ერთი სალდათი მთავრობას!
არც ერთი გროში თვითმპყრობელობას!

ამხანაგებო, რუსეთის რევოლიუცია დაიწყო, მისი ალი მთელ იმპერიას მოეღო კიდით-კიდემდე და ულმობლათ წვავს „ძველ ადათ წესებს, დაგავს „ოქროს კერპებს". ნაცარ-მტვერათ აქცევს მტარვალ მეფის ტახტს. ტახტი არ ცხრება ის სულთ მობრძავის მდგომარეობაშია, მაგრამ განაგრძობს ბრძოლას, იბრძვის, იბრძვის რომ შეირჩინოს თავისი დათვლილი დღეები. ცეცხლი და მახვილი აი რითი მიმართა მან მებრძოლ ხალხს, აი რითი ლამობს ის მოკვეთოს თავი რევოლიუციის ვეშაპს, მას უნდა სისხლში ჩაახრჩოს სისხლით აღ-ზრდილი რევოლიუცია, მაგრამ ამაოთ. ისტორიამ სიკვდილი მიუსა-ჯა თვითმპყრობელობას და აი რევოლიუციაც მხოლოთ მის განაჩენს ასრულებს, რის დამთავრება მხოლოთ დროს საქმეა, დაჩქარება კი ჩვენი.

მთავრობამ აამოძრავა მთელი თავისი ბნელი ძალები და დაუ-პირდაპირა ის ხალხის ნათელ ძალებს, და აი ამ დროს შეჩერება ან უკან დახევა კი არა, წინ, მხოლოთ ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი და შეუპოვარი, მედგარი, მუდმივი, დაუღალავი იერიში მთავრობაზე, მი-სი ძალების დაქსაქსვა, აი ერთად ერთი გზა, რომელსაც უნდა და-ადგეს მებრძოლი ხალხი. მუდმივი ჯარი და ფული ეს არის უკანას-კნელი და უმთავრესი ძალა ტახტის, მაშ ამ ძალების დაშლა-დასუს-ტება, აკვეთა აი უპირველესი ჩვენი მიზანი. ჩვენ ვიცით, რომ მტარ-ვალი მეფე და მისი მთავრობა ჩვენივე შვილების, ძმების ხიშტებზე

ამყარებს ჩვენს მონობას, ამნაირათ ჩვენს ხელში არის ის ძალა, რომლითაც მთავრობა ჩვენ გვიმონებს, ეს არის ჯარი. მაშ, მოუსპოთ ჯარი, უძლიერესი ბურჯი ჩვენს მტერს. მთავრობას აქვს მეორე ძარღვი არსებობის—ეს არის ფული, ხაზინა, რომელიც ჩვენი ჯიბიდან არის ავსებული, რომლითაც ის ჯარებს ინახავს, ქირაობს ჟანდარმ-შპიონებს, პრისტავ ვეზნაჩალნიკებს ჩვენსავე დასამონებლათ. აქაც ჩვენსავე დანით ვეჯრევინებთ ჩვენსავე ყელს. მაშ მოუსპოთ შემოსავალი, აუკვეთოთ გადასახადი. არც ერთი სალდათი მეფეს, არც ერთი გროში თვითმპყრობელ მთავრობას. ბოიკოტი სალდათობას, ბოიკოტი გარდასახადებს, და სასიკვდილოთ განგმირული თვითმპყრობელობაც თქვენ ფეხთა ქვეშ აფართხალდება.

ამხანაგებო, დგება დიდებული წამი ჩვენს ცხოვრებაში, ისკენება ნასკვი უკანასკნელი აქტის იმ დიდი დრამის, რომელსაც ქვია სახელათ რუსეთის დიდი რევოლიუცია, რომლის ცხოველ მყოფელი შუქი უკვე ეფინება რუსეთს და განახლებას და ბედნიერებას პირდება მას. შეუდგეთ მზადებას ამ დიდებული წამის მოსაახლოებლათ, მოვაგროვოთ მთელი ჩვენი ძალები, რკალივით შემოვეჭიდოთ წითელ სოციალ-ოემოკრატიულ დროშას და დავსცეთ საერთო ყიჟინა.

ძირს თვითმპყრობელობა!
არც ერთი სალდათი მეფეს!
არც ერთი გროში თვითმპყრობელობას!
გაუმარჯოს შეიარაღებულ აჯანყებას!
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!
ქუთაისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა კომიტეტისა № 46
13 ოქტომბერს 1905 წ. 30,000 ცალი.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!

ამხანაგებო და მოქალაქენო!

აზვირთებული რევოლიუციონური ტალღები ავორდა მთელ რუსეთში, მის ყოველ კუთხეს ალივით მოედო პოლიტიკური გაფიცვები. შეჩერდა მშრომელი რუსეთი, და მასთან ერთათ შეჩერდა მთელი სახელმწიფო და სამოქალაქო ცხოვრების მაჯის ცემა, შეჩერდა მუშის მარჯვენა და ბუმბერაზი სახელმწიფოც უსულდგმულო გვამათ გადაიქცა: არ ფუტკავს ქარხნის ტრუბები, გაჩერებულა სახელოსნოე-

ბი, აღარ გაკივის ორთქლ-მავალი, აღარ მიქროლავს მატარებელი, არ უკაკუნებს არც ტელეგრაფი, სდუმს რუსეთი, და ეს დუმილი რაღაც საიდუმლოებით არის მოცული, ის მოასწავებს დასასრულის დასაწყისს.

მოდუნებულა ძველი რუსეთის მაჯის ცემა, მხოლოთ გაათკეცებულათ სცემს ახალი რუსეთის მაჯა-მაჯა რევოლიუციისა.

მთავრობას თავზარი დაეცა, მას გზა კვალი აერია. მან ძველებურად ხიშტი აიმუშავა. მთელ რუსეთს, ყველა მის დაწესებულებას ჯარები იცავს; ნეტავი ვისგან? აღარ მოველით იაპონელებს. იმათ მთავრობას ზავით შეეკრა უძლური მეფე. არ ილაშქრებს აღარც ხონთქარი, „ევროპა“ „მეგობრულ“ განწყობილობაშია რუსეთის ტახტთან და მზათ არის თვით დაეხმაროს საერთაშორისო ჟანდარმს, მაშ ვინ არის ეს მტერი? ვისგან სჭირია რუსეთს დაცვა? ეს მტერია თვით რუსეთის მებრძოლი ხალხი და მისი მეღადი პროლეტარიატი, ეს მტერია რევოლიუცია. აი ვის წინააღმდეგ აიმუშავა მთავრობამ კაზაკის მათრახი, დრაგუნის ხმალი, სალდათის ხიშტი. მაგრამ ველარ სჭრის ყველა ესენი და იმედ მიხდილი მეფის მთავრობა „პორტსმუტის გმირის“ (ვიტტე) პირით მუშათა დელეგატებს რაღაც სიტყვის და ჯრების თავისუფლებაზე ებურდღულება; ეს ბურდღლული კი მომაკვდავის უკანასკნელი ამონაკვნესია.

ამხანაგებო და მოქალაქენო! მთავრობას აბრუ გაუტყდა, მასზედ ყოველ მხრიდან მიდიან იერიშით. რევოლიუციის ტალღამ კავკასიის ქედსაც გადმოსტყორცნა. კავკასია გაიფიცა, კავკასია გამოეხმაურა რუსეთს; რიგი ჩვენზეა, ჩვენი სალამი და თანაგრძნობა მებრძოლ რუსეთს, ჩვენც გავიფიცოთ ორშაბათიდან და მით მხარი დაუჭიროთ გაფიცულ რუსეთის მოთხოვნილებას. დეე შეჩერდეს ყველა ქალაქის მაჯის ცემა, ყოველი ქუთხე ჩაებას ამ რევოლიუციონური გაფიცვების ფერხულში; ეს იქნება უკანასკნელი რევოლიუციონური აღლუმი, ეს იქნება პროლოგი იმ საერთო აჯანყების, რომელმაც უნდა დაავიროგვინოს რუსეთის დიდი რევოლიუცია. მაშ რუსეთის პროლეტარიატის ყიჟინას ჩვენც მივსცეთ ბანი და მასთან ერთათ დავსძახოთ:

გაუმარჯოს საერთო პოლიტიკურ გაფიცვას!
ძირს თვითმპყრობელობა!
გაუმარჯოს რევოლიუციას!
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

ქუთაისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა კომიტეტისა. № 48
16 ოქტომბერს 1905 წ. 7,000 ცალი

რუსეთის ს.-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!

ბიულეტენი № 3*).

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

მოსკოვი. კომერციული სასამართლო, თეატრები დახურულია.

რიაზანი. კონდუქტორთა და ორთქმავალთა ბრიგადამ გადასწყვიტა სამსახურის გაგრძელება, მაგრამ რიაზანო-ურალის რკინისგზა არ უშვებს მატარებელს. ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა: შეწყიდოს 8 საათის სამუშაო დღე; გაათმაგოსს მოსამსახურეთა ბინები, დროო გამოშვებით მოუმატოს მათ ჯამაგირი; მისცეს სახარჯო დაბალ მოსამსახურეთ; საბჭომ ნება დართო მოსამსახურეთა კავშირი.

გომელი. კუზნეცკი ქუჩაზე ყაზახთა რაზმს ესროლეს ორი ყუმბარა; სალამოს, ეტლით მიმავალ პოლიციელისტერს, სეჩოს, ესროლეს მესამე ყუმბარა, პოლიციმეისტერი მსუბუქად დაიჭრა; დაჭრილია აგრეთვე ორი კაზაკი და რამოდენიმე ცხენი. კაზაკთა რაზმმა ასტეხა ხშირი სროლა.

თფილისი. შეწყდა სწავლა საშუალო სასწავლებლებში. ფოშტა დაიკეტა. მატარებლებს არ უშვებენ.

რეველი. გაძლიერებული პატრულები და ყაზახ რუსები ფანტვენ მუშებს. ხოლიგანებს რამდენიმეჯერ ესროლეს. დაიწვა უზარმაზარი ქალაქის თეატრი მთელი თავისი მოწყობილობით.

ტომსკი. ციმბირის რკინის გზის მოსამსახურეებმა გამოაცხადეს საერთო გაფიცვა. უკანასკნელი მანამ არ მოიხსნება, სანამ გაფიცული იქნება რკინის გზა შიდა რუსეთში.

კიევი. ქუჩები აესილია პატრულებით და ყაზახ-რუსებით, ხალხი ერიდება ჯართან შეტაკებას. ქალაქის რკინის გზის ზოგიერთ ალაგას გააჩერეს ვაგონები, ქვით ამტვრევდენ ვაგონების ფანჯრებს, ცდილობდენ მათ წაქცევას; დასჭრეს ტელეგრაფის და ტელეფონის მავთულები.

კიევი. საშუალო სასწავლებლების მოწაფეებმა შეიკრიბენ უნივერსიტეტის აუდიტორიაში, სადაც წარმოითქვა მრავალი სიტყვა. სადგურს იცავს ქვეითა ჯარის ცხრა როტა. სადგურის წინ დგას ორი ტყვიის მტყორცნელი (პულემიოტი). ხალხთა და ჯარს შორის შეტაკება არ მომხთარა, თეატრები დახურულია, მდგომარეობა სამშია.

*) ქუთაის კომიტეტმა რ. ს. დ. მ. პ. განიზრახა შეძლებისადაგვარათ მიაწოდოს საზოგადოებას ბიულეტენი დღევანდელი მოძრაობის მსვლელობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტის საბჭომ გადასწყვიტა დროებით დაკეტოს უნივერსიტეტი.

კრემენჩუგი. სამხრეთიდან მუშები მოდიან, მატარებლის მიმოსვლა შეჩერებულია. ქალაქი დიდ გაჭირვებას განიცდის: შიმშილობაა.

ლონდონი. რუსეთის საშინაო მდგომარეობა აწუხებს ყველას, ვისაც რაიმე დამოკიდებულება აქვს რუსეთთან. ყველა გაზეთები მსჯელობენ რუსეთის სერიოზულ მდგომარეობაზე.

გამოცხადებულია კრებების თავისუფლება სხვა და სხვა შემზღუდველი პირობით.

ქუთაისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.

მსწრაფლბეჭდავი სტამბა კომიტეტისა. № 49
18 ოქტომბერს 1905 წ. 800 ცალი.

ოუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო მთელი ქვეყნისა, შეერთდით!

ამხანაგებო! დადგა დიდებული წამი, დადუნებული რუსეთი აღვირთებული რევოლიუციაა; თავზარდაცემული მთავრობა, გალმეკაცებული ხალხი, ტახტის უკან ხევა-მებრძოლთა განუწყვეტელი იერიში, გააფთრებული ბურჟუაზია, წინ და მხოლოთ წინ მიმავალი პროლეტარიატი, აი რუსეთის დღევანდელი სურათი.

ამხანაგებო! ხომ ხედავთ თქვენის თვალით რა სიძლიერეა მუშა ხალხში, რა სიძლიერეა თქვენს ერთობაში. თქვენმა შეერთებულმა ძალამ შეაჩერა მთელი რუსეთის მაჯის ცემა, მან თავზარი დასცა მთავრობას. აუბნია მას დავთარი, თქვენმა ძლიერმა იერიშმა აიძულა თვითმპყრობელობა პრინციპიალურად უარ ეყო თავისი თავი, ის ნაწილ ნაწილ აწერს ხელს თავისთვის სასიკვდილო განაჩენს. ამას მოწმობს მთავრობის ახალი რეფორმა კრების თავისუფლებაზე, ამას მოწმობს დღევანდელი კრება.

მაგრამ შეუძლია განა თვითმპყრობელობას მოგვცეს კრების თავისუფლება თუ გინდ ისე დამახინჯებული, როგორც ეხლა გამოაცხადა? არა და ათასჯერ არა. ის გვაძლევს მისთვის, რომ ცოტა დათმობით დაგვკმაყოფილოს, დროებით შეგვაჩეროს, რომ პირველი „შემთხვევისთანავე" უკან წაიღოს. მაგრამ განა დაეკმაყოფილებით ჩვენ მთავრობის რაიმე დათმობით? რასაკვირველია, არა. ჩვენ განვაგრძობთ ბრძოლას, ჩვენ ვიბრძოლებთ, ვიბრძოლებთ რომ საესებით დავამხოთ მეფის თვითმპყრობელობა და ავაშენოთ დემოკრატიული რესპუბლიკა; და აი მისი დამხობის წამიც მოახლოვდა, ხალხში ხმა დადის მეფე გაიქცაო, ეს იმის ნიშანია თუ ის არ გაქცეულა, ჯნდა

გაიქცეს. დღეს თუ ხვალ, მას დასარჩენი პირი არ აქვს, უნდა აღიგვეს დედამიწის ზურგიდან გასისხლიანებული ტახტი, ასე გრძნობს ხალხი, ამაში დარწმუნებულია ხალხი.

ამხანაგებო! თავხარი დაეცა მეფის მთავრობას, მაგრამ ათრთოლდა ბურჟუაზიაც, ძრწის მხდალი, გაუბედავი: აღარ სწერს კონტრაქტს ნოტარიუსი, შეჩერდა ბანკის ოპერაცია, აღარ თამაშობს ბირჟა თამაშთან და მით შეწუხდა „ფედერაცია“; მეტათ გაბუნრდა ვექსილთ პროტესტი, მან შეაძრწუნა ფედერალისტი. ფედერალისტებმა ორი დღის წინეთ გამოსცეს პროკლამაცია, რომელშიდაც იწოდებდნენ მოქალაქეებს (იგულისხმე ვაჭრებს) გაფიცულიყვენ ერთი დღით და მით თანაგრძნობა გამოეცხადებიათ რუსეთის პროლეტარიატისთვის, რომლისგანაც თხოულობენ, რომ მათ განეგძოთ გაფიცვა ვიდრე თვითმპყრობელობა არ დაეცემა: უყურებთ ხალხის მყვლეფელთა იდეოლოგები თვით მოძრაობის გაყვლეფასაც კი აპირებენ. ერთი დღით თვითონ იფიცებიან, და მუშებს კი იწოდებენ განუსაზღვრელ დრომდე მოიწოდებენ. სხვისი ხელით ნარის კრეფა ხომ მათი სიმბოლო სარწმუნოებისაა. იმათ გამართეს გუშინ კრება, რომ აეხსნათ ერთი მეორისთვის რა მნიშვნელობა აქვს გაფიცვას და მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ ეს მახვილი ბასრი პროლეტარული იარაღი ვერ არის მათთვის მოხერხებული, რომ გაფიცვა მათთვის ორივე მხრივ მჭრელი იარაღია, იანგარიშეს მოგება ზარალი, გაკრეს გამოკრეს სალაკი თითი, და დაინახეს რომ ზარალმა მოგებას გადააჭარბა, დაგმეს გაფიცვა და განიძრახეს იმისი მოხსნა, უკაცრავათ დუქნის გაღება, მაგრამ ეეღარ გაექცენ მუშათა გულის წყრომას და დაემორჩილენ მათ სურვილს. ამხანაგებო ამისანა მარტო ქუთაისის ბურჟუაზია კი არ არის, ეს არსებითი თვისებაა მთელი ბურჟუაზიის. ასე ორჭოფობს, ასე ღალატობს მთელი რუსეთის ბურჟუაზიაც, იცოდეთ რომ ის გამცემელია როგორც მოკავშირე, რომ შუა ბრძოლის ველზე ის გვერდს გიტეხვს, იცოდეთ ეს, გახსოვდეთ კარგათ, რომ არ დაამყაროთ თქვენი იმედი მათთან კავშირზე: „ცალკე ვიაროთ, ერთათ ვცემოთ და თვალი ვადევნოთ ჩვენს მოკავშირეს ისე, როგორც მტერს“.

ძირს თვითმპყრობელობა!
გაუმარჯოს რევოლიუციას!
გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!
გაუმარჯოს რუს. ს.-დემოკრატიულ მუშათა პარტიას!

ქუთაისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.

მსწრაფლმბეჭდავი სტამბა კომიტეტისა. 19 ოქტომბერს 1905 წ.
5,000 ც. № 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წარსულის ფურცლები.

(პირადი მოგონებანი)

ტფილისიდან გადასახლების შემდეგ ძლივს მომცეს ქუთაისში ცხოვრების ნება და 1902 წლის მიწურულში ქუთაისში ჩავედი. ამ დროს ქუთაისში უკვე არსებობდა არალეგალური ორგანიზაცია პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძის მეთაურობით. ალიოშას მე ჯერ კიდევ ტფილისიდან ვიცნობდი და ჩასვლისთანავე მასთან ერთად ჩავედი მუშაობაში. თუ არ ვცდები, ჩემი ჩასვლისას არსებობდა ერთად ერთი წრე ფირალოვის თამბაქოს ქარხანაში, შემდეგ კი გაჩაღდა მუშაობა: მოეწყო წრეები მუშების, წერილი ხელოსნების და მოწინავე ნოქრების. როგორც მოგეხსენებათ, ფაბრიკა-ქარხნები ქუთაისში არ აროის, არის მხოლოდ წვრილი სახელოსნოები და სწორედ ამ სახელოსნოებიდან ვარჩევდით მოწინავე მუშებს და იმათგან ვადგენდით წრეებს. სამაგიეროდ ნოქრები ბევრი იყო და განსაკუთრებული ყურადღება ორგანიზაციამ მათს შეკავშირებასა და გათვითცნობიერებას მიაქცია. რომ ნოქრებს უფრო დავახლოვებოდი, დავდექი ერთ დიდ მაღაზიაში (ძძ. ჯორჯოლაძეების) მოანგარიშედ და მუშაობას შევუდექი. მოწინავე ნოქრებიდან შეიკრა წრეები და გაჩაღდა მეცადინეობა. საზოგადოდ, ქუთაისის ნოქრებს მეტად ცუდ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ხანგრძლივი სამუშაო დღე, მეტად მცირე ხელფასი და, რაც ყველაზე უფრო აუტანელია, არა ადამიანური მოპყრობა,—აი, რა იყო მათი ხვედრი. ჩვენმა მუშაობამ მალე ნაყოფი გამოიღო: 1903 წლის სექტემბერში მოხდა ქუთაისის ნოქრების გაფიცვა, რომელიც გაფიცულთა სრული გამარჯვებით დასრულდა. სამივე არსებითი მოთხოვნილება,—სამუშაო დღის შემცირება, ხელფასის მომატება და ადამიანური მოპყრობა მათ მოიგეს სავსებით. ეს პირველი გაფიცვა იყო ქუთაისში, რომელიც გამარჯვებით დასრულდა და ჩვენმა პარტიამ საბოლოოდ მოიპოვა ნოქრების ნდობა და მოიგო მათი გული. ამას მოჰყვა მათ შორის მრავალი წრის შექმნა და მეცადინეობის გაძლიერება.

გაფიცვის დასრულების შემდეგ, რამდენიმე დღით მე და ნესტორ კალაძე წავყევით სვირში ამხ. გიგა ჯუღელს. დაბრუნებისას გავიგეთ, რომ ყველა ჩვენი ამხანაგები, რომლებიც ტფილისიდან იყვნენ ჩვენთან ერთად გადმოსახლებული: (გ. ჩხეიძე, კ. მაჭარაძე, პ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალანდაძე და სხვები) დაეტუსაღებიათ და გამოეცხადებიათ, რომ ციმბირში არიან გადასახლებულნი. ჩვენს ბინაზედაც მოსულიყვნენ პოლიციელები და შინ რომ არ დავხვდით, დაებარებიათ, დაუყოვნებლივ გამოცხადდენ პოლიციის სამმართველოშიო. როგორც კი ეს გავიგეთ, მე და ნ. კალაძემ დადავწყვიტეთ დამალვა და საზღვარ-გარეთ გაპარვა. შეგვიგროვეს ამხანაგებმა ცოტა ფული და გაეუდეჭით გზას. უნდა გაგველო გურიაში, ჩემს სახლში, და წავსულიყავით ბათუმს. გამოთხოვებისას მამაჩემმა შემდეგი სიტყვებით მომმართა: „შვილო, რომ მაგ გზაზე არ შემდგარიყავ და ოჯახისათვის მოგეხედა, კარგი იყო, მარა, რაკი ეს აგირჩევია, დიდი სიყოჩაღე გმართებს. გახსოვდეს ჩემი უკანასკნელი სიტყვა: კლდესავით მაგრათ უნდა იყო, უკან არაფრის წინაშე არ დაიხიო; სახრჩობელაზეც რომ აჰყავდეთ, სიმღერით უნდა ახვიდეო".

ბათუმში ვერა გავაწყვე-რა. ფულები არ იყო საზღვარ-გარეთ წასასვლელად. ამბ. მიშა გურეშიძემ მაქსიმ გორკის მიერ გამოგზავნილი ფულებით მოახერხა წასვლა. ბათუმში ჩემი ყოფნის დროს ჩამოიყვანეს ტფილისიდან ციმბირში გადასახლებულთა ეტაპი. მე იმათი ნახვა მოვახერხე ციხეში და მათგან გავიგე, რომ მე გადასახლებულთა სიაში არ ვიყავი. დავბრუნდი ისევ ქუთაისში, სადაც გავიგე, რომ ჩემთვის პოლიციის დეპარტამენტს სამი წლით პოლიციის მხედველობის ქვეშ ყოფნა გადაეწყვიტა.

შესაძლებელი რომ ყოფილიყო ლეგალურად ცხოვრება და არა ლეგალური მუშაობა, საჭირო იყო რომელიმე საზოგადო დაწესებულებაში სამსახური და სასტიკი კონსპირაციის დაცვა. ამ მიზნით მე ვიშოვე სამსახური საადგილ-მამულო ბანკში. რაც შეეხება კონსპირაციას, უნდა ითქვას, რომ სასტიკად ვიცავდი მას. იმ ხანებში იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტში შედიოდა ჩემს ჭარდა პრ. ჯაფარიძე, ნ. ხომერიკი, ჰ. ჯიჭინაძე, ს. კილაძე და ბოლოს დათიკო ქავთარაძე, მაგრამ კომიტეტი თითქმის უხილავი იყო. არავინ იცოდა სად იყო ის და ვისგან შესდგებოდა.. იცოდენ მხოლოდ, რომ არსებობს იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს არალეგალურ ორგანიზაციებს და სისტემატიურად სცემს ფურცლებს. რუსეთ-იაპონიის ომის გამოცხადების შემდეგ მუშაობა ფართო ხასიათს ღებულობს როგორც მუშებსა და ნოქრებს შორის, ისე ქუთაისის მოსწავლეთა შორისაც. ხშირად ვსცემთ ომის საწინააღმდეგო ფურცლებს და, ასე გასინჯეთ, თებერვლის პირველ რიცხვებში მოხდა ქუთაისში (კომიტეტის ხელმძღვანელობით) მოსწავლეთა დემონსტრაციაც, რომელიც, რა თქმა უნდა, უცბად იქნა გაფანტული, მაგრამ მას, როგორც პირველ ცდას, მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმავე 1904 წლის დასაწყისში დაბა-სოფლებშიაც ეწყობა ორგანიზაციები, როგორც

მაგ. ხონის რაიონსა, ჭიათურასა, სამტრედიის რაიონში. როგორც მახსოვს, ხონის რაიონში ორგანიზაციებს აწყობდენ და მუშაობას ეწეოდენ ამხ. ბ. მდივანი და „ხუნხუზა“. ჭიათურაში ორგანიზატორებად იყვნენ ვანო ლომთათიძე და ნესტორ ჩხეიძე. პროპაგანდისტი დრო-გამოშვებით იგზავნებოდა, რადგანაც მათი დიდი ნაკლებობა იყო.

ქუთაისში ერთი მეტად პრიმიტიული, სულ პატარა სტამბა მოვაწყვეთ საფირჩხიაზე დურგალი სერაპიონ ჩირაძის სახლში. ასოთამწყობად ერთი ახალგაზრდა ამხანაგი, გვარად ჭყონია, მყავდა (სახელი არ მახსოვს). მე და პროკ. ჯაფარიძემ მოვინდომეთ ჭიათურაში პატარა სტამბის მოწყობა და ერთ მშვენიერ დილაი მისი უმთავრესი ნაწილები ჩავუწყვეთ ხურჯინში აფრასიონ მეოკვილაძეს და გავაგზავნეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ხურჯინი რიონის სადგურზე „ჩავარდა“, თვითონ აფრასიონმა კი ბეწვზე დააღწია თავი დატუსაღებას... მას შემდეგ ჭიათურა სულ ითხოვდა სტამბის მოწყობას, მაგრამ არ მოხერხდა და არც იყო იმდენად საჭირო.

ერთი ღირსშესანიშნავი აქტი, რომელიც მოხდა 1904 წლის იცლისის პირველ რიცხვებში, იყო ეტაპზე თავდასხმა და ამხანაგების განთავისუფლება. ს. დ. კომიტეტმა მიიღო ცნობა, რომ ჭიათურაში დატუსაღებულ ამხანაგებს: ნ. ხომერიკს, დათ. მიქელაძეს, ნეს. ჩხიკვაძეს და კიდევ ორ სხვას გზავნიან ქუთაისის საგუბერნიო ციხეშიო. გადაწყდა ქუთაისში მოგვეწყო თავდასხმა და გაგვეთავისუფლებია ისინი. ამ საქმის მთავარი ორგანიზატორობა იკისრა ამხ. პრ. ჯაფარიძემ, ხონიდან და ჯიხაიშიდან გამოწვეულ იქნა რამოდენიმე ამხ. გლეხი. ამ საქმის ყველა აქტიური და პასიური მონაწილენი დავხვდით ქუთაისის სადგურზე იმ მატარებელს, რომლითაც ეტაპი მოიყვანეს. ტფილისის ქუჩაზე, ფოსტის შესახვევთან ძოხდა თავდასხმა. უცბად ასტყდა სროლა, რომლის დროს ისარგებლეს არეკ-დარევით და გაიქცენ ნ. ხომერიკი და დ. მიქელაძე. დანარჩენებმა არ ვიცი ვერ შესძლეს, თუ არ გაიქცენ. იქვე მოკლულ იქმა ჯიხაიშელი მოწინავე გლეხი, უშიშარი ვაჟკაცი, ჩვენი ამხანაგი პროკ. ლეჟავა. დაიჭრა ამხ. პაველ შავლაყაძე, რომელმაც შესძლო გაქცევა, მაგრამ ხონში, თუ გზაზე, ის იქნა დატუსაღებული. დატუსაღებული იქნა აგრეთვე ხონში თავდამსხმელი ამხ. კვერგელაძე და ქუთაისელებიდან კი ამხ. გიგა ჯულელი, ზიზბიაძე და ბექაია. ამხ. დულია რევაზიშვილმა მოასწრო გაქცევა. ამხ. ლეჟავა მოკლულ იქნა, როგორც მახსოვს, სტრაჟნიკ ქარქაშაძის ტყვიით. მეორე სტრაჟნიკი კაპანაძე დაჭრილ იქნა. მსხვერპლი ჩვენი მხრით თავდადებულ ამხანაგის პრ. ლეჟავას მოკვლის გამო მეტად დიდი იყო, მაგრამ კომიტეტმა ფართოდ ისარგებლა ამ ფაქტით. ტფილისში დავაბეჭდინეთ მრავალი ათასი პირდაპირ

ცეცხლის მფრქვეველი პროკლამაცია ამბ. სერიოჟა ქავთარაძის მიერ დაწერილი, რომელზედაც იყო სურათი ამბ. ლეჟავასი გახვრეტილი შუბლით. ამ ფურცლის მარტო დანახვა ჟრუანტელს ჰგვრიდა ადამიანს. ის მოეფინა მთელ საქართველოს კიდით-კიდემდე...

ამბ. პროკოფი ჯაფარიძე გადარჩა დატუსაღებას, მაგრამ ამის შემდეგ მას ქუთაისში აღარ ედგომებოდა. ერთი კვირის განმავლობაში ის და ნ. ხომერიკი დამალული მყავდა გორაზე ხმალაძის სახლში, შემდეგ გავაპარე ხონის გზით სამტრედიაში, იქიდან კი ტფილისში. როგორც ვიცით, ამბ. პროკოფი დიდხანს არ დარჩენილა ტფილისში. მალე მან ამ-კავკასიის პროლეტარულ ცენტრს, ბაქოს, მიაშურა, სადაც ის ალიოშად მოინათლა. მას შემდეგ პროკოფი გვერდში უდგას ბაქოს პროლეტარიატს, მასთან ერის ჭირსა და ლხინში, ვიდრე რუს ესერებისა და ინგლისელებისაგან, ვეროგულად დახვრეტილი ის თურქესტანის ცხელ სილაში არ ჩაფლეს. ის იყო ერთი მთავარ ოცდა ექვსთაგანი ამბ. სტ. შაუმიანთან ერთად.

ქუთაისიდან გამგზავრების შემდეგ ეს ჩემი სიყრმის მეგობარი აღარ მინახავს. მე მასთან მჭონდა მხოლოდ მიწერ-მოწერა და ისიც 1913 წლამდე. მისი სურათი ღია ბარათზე, გადასახლებულ ამხანაგთა ჯგუფში, ელიკი-უსტიუჟიდან მივიღე მისგან უკანასკნელად...

1904 წლის მკრთე ნახევარში მოშაობა მეტად გაჩაღდა დაბა-სოფლებში. თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნია მოიფინა არალეგალური ორგანიზაციებით. ამ დროს ქუთაისში ჩამოდის ამხ. სოსო ჯუღაშვილი და ხდება ცენტრის გადახალისება. ახალ კომიტეტში ძველთაგან დავრჩი მე და შემოვიდენ ახლებიდან თვითონ ჯუღაშვილი, სერიოჟა ქავთარაძე, კოლია ქარცივაძე და ტფილისიდან გამოგზავნილ იქნა საკავშირო კომიტეტის წევრი ამხ. საშა წულუკიძე.

ახალმა კომიტეტმა კონსპირაციას მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და ყველა ჩვენგანს დავალებული ჰქონდა მისი სასტიკად დაცვა. მახსოვს ერთი წვრილმანი, მარა დამახასიათებელი შემთხვევა. ერთ საღამოს შემთხვევით მოვხვდით ერთად ქუთაისის ბულვარში კომიტეტის მთელი შემადგენლობა და სხვა რისამე გაკეთება რადგან იქ არ შეიძლებოდა, დავითქვით ახალ-ახალი პარტიული სახელწოდება. ვინაიდან „ბარონი“ შებღალული იყო, მე ლეო დავირქვი, სერიოჟამ—„ტოლო“, ქარცივაძემ—„ტუსკი“ და სოსომ—„კობა“. აქხ. ჯუღაშვილის მეტს ბოლომდის ეს სახელი არავის შერჩენია.

უკვე პარტიაში განხეთქილების სუნმა მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ ორგანიზაციებში ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული დისკუსიები. მეტად საინტერესოა, რომ კომიტეტის მთელი შემადგენლობა ბოლშევიკური აღმოჩნდა პირველი დღიდანვე. 1904 თუ 1905 წლის აგვისტოში მოხდა ქუთაისის გუბერნიის ორგანიზაციების კონფერენ-

ცია ქუთაისის ახლოს სოფ. ჯიმშიტაროში, გორაზე, ჰყონიას სახლში, სადაც განხილულ იქნა მეტად სერიოზული ორგანიზაციული და პოლიტიკური საკითხები. მგონი ამავე ხანებში ქუთაისში ჩამოდის ამხ. კამენევი და ილია მაჭავარიანის სახლში მოხდა კრება კომიტეტის წევრების და სხვა პასუხისმგებელ ამხანაგების, უმთავრესად პროპაგანდისტების, ამხ. კამენევის მოხსენების მოსასმენად.

იწყება 1905 წელი. პეტერბურგის პროლეტარიატის გამოსვლა და გაქლეტა 9 იანვარს და ამით გამოწვეული მთელი რუსეთის მასშტაბით პოლიტიკური გაფიცვები ერთი მხრით, მეორე მხრით კი მანჯურიის ველზე რუსეთის ჯარის სასტიკი დამარცხება და ფლოტის წყნარ ოკეანეში,—დღითი დღე ამზადებს ნიადაგს 1905 წლის რევოლიუციისათვის... ჰაერი იტენთება რევოლიუციონური სუნით. ქალაქის მერყეი წვრილი ბურჟუაზია და ინტელიგენცია ხელაღებით რევოლიუციას ემხრობა სოფლის მოწინავე გლეხობასთან ერთად... ადმინისტრაცია იბნევა, ჩვეულებრივი სიმკაცრის გამოჩენას ვერ ბედავს. ეს კი უფრო და უფრო ათამამებს რევოლიუციონერად განწყობილ ელემენტებს და ამგვარად თვითმპყრობელობა სხვილ ბურჟუაზია-მემამულეებთან ერთად გარიყული რჩება...

ქუთაისის გუბ. მთელი თვალსაჩინო ცენტრები მოფენილი იყო ორგანიზაციებით, არ დარჩენილა არც ერთი სოფელი, რომელიც არ დაინტერესებულიყოს მოძრაობით. თითქმის ყველა სოფლიდან მისდიოდა თხოვნა ქუთაისის საგუბ. კომიტეტს, არიქა მოგვაშველეთ „მქადაგებელი“ (აგიტატორ-პროპაგანდისტი) და აგვარჩევიეთ ასისთავ-ათისთავებიო. მთელი გუბერნია დაყოფილი იყო რაიონებად: ჭიათურა, ბაღდადი, ხონი, სამტრედია, ყვირილა-ბელაგორი, რაჭა-ლეჩხუმი, სამეგრელო. გურია და ბათუმი ცალკე იყო გამოყოფილი და იქ არსებობდა ცალკე კომიტეტები, ხელმძღვანელობას ბათუმი უწევდა. ჭიათურასაც ჰქონდა ცალკე კომიტეტის შექმნის ტენდენცია და ბოლოს კიდევაც შექმნა, თუმცა ქუთაისის კომიტეტთან მუდმივი, მტკიცე კონტაქტი ჰქონდა.

არსებობდა პროპაგანდისტთა ორგანიზაცია, პროპაგანდისტები დანაწილებული იყვნენ რაიონებში. ჭიათურის რაიონში მუშაობდა: სტეპკო ინწკირველი, კოტე ცინცაძე, ნიკოდიმოს ბრეგეაძე (კონდუქტორი), გამეზარდაშვილი, (მეფურნე), გალაკტიონ ვაშაძე, დათიკო ლორთქიფანიძე და სხვები. ხონის რაიონში: ბუდუ მდივანი, ხუნხუზა, ადგილობრივ ამხანაგებიდან მუშაობდენ კლასიონ მელაძე და პოლიკო კიკალიშვილი. ხშირხშირად იწვევდნენ დიდ მიტინგებზე კ. ქარცივაძეს და ს. ქავთარაძეს ქუთაისიდან. სამტრედიის რაიონში: რაჟდენ კალაძე და გ. თაყაიშვილი, ყვირილაში შალვა ელიავა. ბელაგორის რაიონში: სამეულ და კოტე ბუაჩი

ძენი, რაჟა-ლეჩხუმში: არჩილ დოლიძე (როსტომი), ლევან დადეშქელიანი, შამშე გელოვანი (გარდაფხაძეების მიერ მოკლული) რუბენ ყიფიანი, (იმ დროს ბოლშევიკი), ბაღდათის რაიონში: ზებედა ტრაპაიძე, მიშა ბიბინეიშვილი, ანდრო ბებუროშვილი და ორგანიზატორად ვალიკო ბაქრაძე (ცეცხლზე), რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა შემდეგ სპარსეთის რევოლიუციაში და იქ აღმოხდა რევოლიუციონური სული ბარბაროსული მოწამებრივი სიკვდილით.

პროპაგანდისტთა კოლეგაში შედიოდენ და მუშაობდენ სხვა და სხვა რაიონში, სხვა და სხვა დროს:

ამხ. ამხ. პავლე მიხეილისძე საყვარელიძე (პატარა პაველი წოდებული) ავრეთვე დიდი პაველიც, კოლია კიკნაძე, გრიშა კუპაიძე, გეორგინტი ჭიქოძე, მიტრო მგელაძე, ილია მაჭავარიანი, ვასო კანდელაკი და მისი ძმა ნიკა, ლადო ემუხვარი, იცკა რიჟინაშვილა და სხვები.

ამავე წლის მარტში თუ აპრილში მოხდა ქუთაისში ვანო გოგორელის ბინაზე მთელი გუბერნიის პროპაგანდისტთა კრება (კონფერენცია). უმთავრესი საკითხი იყო ორგანიზაციული. სოფლებში ასის და ათის თაებების არჩევა, ს. დ. წრეების შექმნა და საკითხი, თუ ვინ უნდა იყოს პარტიის წევრი სოფლად, აგრეთვე მიწის ღალის და დრამა ფულის საკითხი. კომიტეტის „იავკა“ ჩემთან იყო, ვისაც კომიტეტთან ჰქონდა საქმე, ჩემთან მოდიოდა. მახსოვს კურიოზებიც: ჩემთან მოდის ტფილისიდან ამხანაგი და მეტად საიდუმლოდ მეუბნება, ბაროონთან უნდა წამიყვანო, დიდი დავალებები მაქვსო. ერთხელ ოდესის ორგანიზაციის მანდატით მოვიდა ორი ახალგაზრდა სტუდენტი და ქუთაისის ორგანიზაციაში მუშაობის სურვილი განაცხადეს. მე მათ ვეებულობ სიამოვნებით და ერთს მათგანს (კოწია სულაქველიძეს) ვაგზავნი საჩხერეს, მეორეს (გრიშა ლორთქიფანიძეს) ქუთაისში ვტოვებ. სულ მალე გამოირკვა, რომ ორივე მენშევიკი იყო და მათი მიზანი იყო ქუთაისის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში განხეთქილების შეტანა... დაიწყეს პირველ ყოვლისა ჩვენს არალეგალურ ორგანიზაციაში ჩვენ მიმართ არალეგალური მუშაობა და, მოგეხსენებათ, წვრილ-ბურჟუაზიული მასა ქუთაისის ნოქრებისა მაშინვე მიიმხრეს. (ახლა ისინი თითქმის ყველა ვაჭრებია). განსაკუთრებით № 1 წრეში იყო თავმოყრილი ყველა ეს „ბობოლა“ ნოქრები და იქ მოიპოვა გრ. ლორთქიფანიძემ ნიადაგი... როცა განხეთქილების და დისკუსიების ქიბე-ცხელება მინელდა, სიცილით მიამბობდა ის თავის პირველ შთაბეჭდილებას. შევდივარ კრებაზე სულ მშვენიერად ჩაცმული ბალხი, კრახმალიანები, ოქროს პენსნეებით, ოქროს საათებით შემომჩიოდენ, რომ ბარონი ჩვენ არას გვეკითხება და არც გვატყობინებს ისე სწყვეტს საკითხებსო... ამ ხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებში ბინა მქონდა მწვანე ყვავილაზე ერთი კეთილი მოხუცი დედაკაცის ჭირაქიძის სახლში. ჩემთან იდგა დათიკო ლორთქიფანიძე (სანამ ს. მუხაყრუაში არ დაატუსაღეს ის და პაელე საყვარელიძე და ქუთაისის ციხეში არ ამოაყოფინეს თავი). სოფლიდან ჩამოსული პროპაგანდისტები პირველად ჩემს ბინაზე მოდიოდნენ. იქ გადაიცვამდნენ ტანსაცმელს და ქალაქში ისე გამოდიოდნენ. მეზობელი შეჰკითხებოდა ჩემს დიასახლისს, თუ რამდენი ცხოვრობს თქვენს ბინაშიო და მასაც ეპასუხებია: „რა ვიცი, შვილო, ხუთი შვეა, ათი გამოდის და ისე კი ორი ცხოვრობსო". რა თქმა უნდა, შეუნიშნავი არ დარჩებოდა ასეთი ბინა და ქუთაისის ცნობილ შპიკი ჯინორაია ხშირი სტუმარი გახდა. მეც ვიცქერი ბინას, ღამით გადავდივარ მეორე ბინაზე და დილით თავმომწონედ გამოდიგარ დარწმუნებული, რომ ჯინორაიას შეხვედრით არ დავინავსებოდი იმ ერთ დილას მაინც. მაგრამ გამოვდგი გარეთ ფეხი თუ არა, ჯინორაია იქ იდგა. რამდენიმე დღის შემდეგ ეს თავმომაბეზრებელი მავნე ცხოველი ტერორისტის ტყეიამ განგმირა... მთელს გუბერნიაში გახშირდა ტერორისტული აქტები თავგასულ პოლიციელებზე, ჯაშუშ-პროვოკატორებზე და ხულიგან მემამულეებზე... ადმინისტრაცია თავზარდაცემული იყო. თვითეული მისი წარმომადგენელი მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობდა. ასე გასინჯეთ, უშიშარი მხეცი ბოქაული ლავრენტი მახარაძე, რომელმაც, სანამ მოძრაობა ფეხს მოიკიდებდა, რაჭა ლეჩხუმს შეფარა თავი, შემდეგ გამორბის იქიდან ქუთაისში და კომიტეტთან მოლაპარაკებას მართავს კოწია დათეშიძის საშუალებით: თუ არ მომკლავთ, მზად ვარ შევასრულო თქვენი დავალებანიო. კომიტეტმა იქონია ამის შესახებ მსჯელობა და შეუთვალა: შენ ჩვენი ორგანიზაციის წევრები არ გახლებენ ხელს, თუ გადმოგვცემთ: 1. რა ცნობები და მასალები გაქვთ მიღებული ჩვენი ამხანაგების შესახებ, 2. სისტემატიურად გვაცნობებთ მთავრობის ნაბიჯებს და 3. შეგვატყობინებთ ჯაშუშების ვინაობასო. ის თითქო დათანხმდა ჩვენს პირობებზე და გამოგზავნა რამდენიმე უსახელო „დანოსი". ერთ მათგანში ეწერა: „ჯინორაიას მოკვლა მოაწყეს გამოგდებულმა გემნახატმა სერიოჟა ქავთარაძემ და ბარონმა, ბანკში რომ მსახურობსო"... ამით გათავდა მახარაძესთან კონტაქტი. ის დარჩა ჩვენი დაუძინებელი მტერი ბოლომდე... მახსოვს, ერთხელ ერთი ამხანაგი ტერორისტი, რომელმაც მთელი კვირის განმავლობაში უშედეგოდ სდია მას, მოვარდა ჩემთან და მაცნობა: „მახარაძე აქვე ბულვარში სეირნობს თავის ქალიშვილით და, თუ არ მომცემთ ახლა სროლის ნებას, მე არა მაქვს იმედი, რომ შემდეგში მოვახერხო მისი მოკვლაო". მე კომიტეტის სახელით არ მივეცი ნება, რომ მასთან არ დაღუპულიყო უდანაშაულო ბავშვი. თვით მახარაძემ კი რეაქციის ხანაში შორაპნის

მაზრაში არ დაინდო არც დამნაშავე და არც უდანაშაულო, არც დიდი და არც ბავში. სისხლის ღვარი დააყენა და ცეცხლს მისცა მრავალთა სახლ-კარი.

ციხეში მყოფ ტუსაღ ამხანაგებთან კავშირი მეჭირა პირადად მე. ეს კავშირი საუცხოოდ იყო მოწყობილი მოსყიდული ზედამხედველის თუ ფერშალის შემწეობით, რომელთაც მოჰქონდათ იქიდან სისტემატიურად წერილები და ჩემგან მიჰქონდათ როგორც წერილები, ისე ლიტერატურა, ყალბი პასპორტები, ფული, „იავკები" და სხვა და სხვა. მაგონდება ერთი შემთხვევა: ჩვენმა საუკეთესო ამხანაგმა, მოწინავე მუშა გიორგი თელიამ გვაცნობა, რომ ადვილია მისი განთავისუფლება პატარა ციხიდან. ამის შეტყობისთანავე მე და სერიოჟა ქავთარაძემ ერთი ამხანაგის თანხლებით ღამით დანიშნულ საათზე მივადექით პატარა ციხის ალაყაფის კარებს. გადავალაჯდით მძინარე დარაჯს, შევეგებეთ გადაბმულ ზეწრებზე ჩამოშვებულ ამხანაგს. დარაჯის მაგარი ძილის გამო სისხლდაუღვრელად გამოვტაცეთ ტყვეობას თავდადებული ამხანაგი და დავუბრუნეთ მებრძოლ ხალხს...

ამავე 1905 წლის ზაფხულში მოხდა კიდევ კონფერენცია ქუთაისში, გორაზე, გვეტაძის სახლში, სადაც, როგორც მახსოვს, სხვათა შორის დასმული იყო საკითხები: 1. ჩვენი დამოკიდებულება ეროვნულთან და 2. კულტურული ავტონომიის შესახებ. ამ თავითვე კომიტეტის კასის მოლარედ მე ვიყავი. კომიტეტის დირექტივას ხარჯების ეკონომიის შესახებ მეტის მეტი სიმტკიცით ვატარებდი. ხშირად ამხანაგებთან არა სასიამოვნო შეტაკებაც მქონდა ამ ნიადაგზე, რადგანაც, მაგალითად, რკინის გზის ფულს კაპეიკების სისწორით ვუანგარიშებდი ხოლმე. ამ შემთხვევაში ყველას მაგალითი უნდა აეღო ჩვენი უფროსი და საუკეთესო, ძვირფასი ამხანაგის საშა წულუკიძისაგან. იგი ჭიათურის დისკუსიებიდან დაბრუნებული მძიმე ავად იყო და მის სანახავად მივედი. რომ დამინახა, პირველად ანგარიშის გასწორება გაახსენდა და გზის ფულიდან გადარჩენილი რაღაც ერთი მანეთი და შვიდი შაური დამიბრუნა.. საშა, საშა! ეს ყველასათვის საყვარელი, უმწიკვლო, ნათელი პიროვნება, ეს პარტიის გახსახიერებული სინიდისი! ახლაც თვალწინ მიდგას მისი ნათელი სახე, მისი ცეცხლის მფრქვეველი თვალები... ის მტლად დაეყრო, თავი გადაეტანა, სანთელივით დაეწვა პარტიას. სადაც კი გაგეჭირდებოდა, იქ უეჭველად საშა უნდა გაგეგზავნა, ის და კობა იყო ჩვენი მძიმე არტილერია... ეს იყო პარტიული უთანხმოების შესახებ გახურებული დისკუსიების დროს. მენშევიკებმა მობილიზაცია მოახდინეს თავის ძალების და ნოე ხომერიკის მეთაურობით ჭიათურაში შემოგვეტიენ. როგორც კი ეს გვაცნობეს, საშა უშალ იქ გაჩნდა... და აი, რამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიმე დღე და ღამე გრძელდებოდა დისკუსია. საშას დაავადებული ფილტვები ისუნთქავდა მძიმე, მოწამლულ ჰაერს, მაგრამ ყველაზე უფრო აუტანელი იყო ხუნხუზას უპასუხისმგებლო ქცევა, დემაგოგია და ბოლოს საშასადმი მიყენებული პირადი შეურაცყოფაც... ის ქუთაისში ავადმყოფი დაბრუნდა და ვერ მოასწრო მოკეთება, რომ ხონიდან მოვიდა ცნობა. იქაც დისკუსიები იყო დანიშნული და უეჭველად საშას მოითხოვდენ. ავადმყოფი ლოგინიდან დგება და ხონს მიემგზავრება... ჩვენდა საუბედუროდ, ხონის დისკუსიებზე გამოსვლა იყო მისთვის უკანასკნელი. ლოგინად ჩავარდნილი ის შემდეგ აღარ ამდგარა.

მისი გასვენება იყო ამიერ-კავკასიის მასტაბით უდიდესი დემონსტრაცია იქ ხანებში... საქართველოს და ამიერ-კავკასიის მებრძოლმა ხალხმა ღირსეული ბელადი ღირსეულად დაასაფლავა... ჩემი დავალებით ერთი ქართველი სტუდენტის საშვალებით ვენაში დამზადებული 5.000 ცალი მისი სურათი მოეფინა საქართველოს თითქმის ყველა მიყრუებულ კუნჭულებს...

ასეთი დიდი ხელმძღვანელი ორგანიზაციისათვის, როგორიც იყო ქუთაისის საგუბ. კომიტეტი, სხვა ტეხნიკურ დაწესებულებათა და საშუალებათა გარდა საჭირო იყო კონსპირატიული დიდი საწყობი არალეგალური ლიტერატურისათვის. ასეთი საწყობი მოწყობილი მქონდა კოკოჩვის ლიმონადის ქარხანაში, რომელიც, წარმოიდგინეთ, სრულებით გადარჩა ჩავარდნას, იქვე მსახურობდა ლიმონადის გამყიდავად ორი ჩვენი ამხანაგი: ერემია ლომთათიძე და გიორგი ყვანია (პირველი ამათგანი ახლაც ბოლშევიკია და ცხოვრობს გურიაში, სოფ. ხიდისთავში). აი, ამათ ებარა ეს საწყობი. ორივე პარტიის წევრი იყო და კონსპირაციის დაცვის მიზნით მათ დავალებული ჰქონდათ არ მიეღოთ აქტიური მონაწილეობა სხვა პარტიულ მუშაობაში. კავშირი საწყობთან მხოლოდ მე მქონდა. მათ სასტიკად ჰქონდა აკრძალული ვისმესთვის ლიტერატურის მიცემა და სხვა და სხვა. საზღვარ-გარეთიდან მისაღებად ჭქონდა მიჩენილი სხვადასხვა მოსაზრებით სხვილი მაღაზიებისა და საზოგადო დაწესებულებების მისამართი. სხვათა შორის ლიტერატურას ვღებულობდით სქელი კარდონის რგოლით. შუაში დარგოლილი რამე უბრალო მხატვრული სურათი იდვა. კარდონი კი, რამდენადაც შეიძლებოდა, ჩაჭრილი იყო და შიგ ეწყო ფურცლები და გაზეთები. ამგვარად მთელ წვენებასაც ვღებულობდით რამდენიმე რგოლით. ზედ გადაწებებული ჰქონდა ქაღალდი... აი, ეს ლიტერატურა და აგრეთვე ტფილისიდან საკავშირო კომიტეტიდან მიღებული თუ ჩვენს ხტამბაში დამზადებული (სტამბაზე შემდეგ მექნება ლაპარაკი) პირველად საწყობში შემოქონდა და იქ გადაწყობილი და გამზადებული ცალკე რაიონებისათვის შინ

მომჭონდა, საიდანაც მიჰქონდათ პროპაგანდისტ-ორგანიზატორებს თავის რაიონებში, ან ამ საქმისათვის აყვანილ სპეციალურ „ტრანსპორტნიკს“ ამბ. კოლია გეგეჭკორს. რადგანაც საწყობში ხშირად სიარულს ვერიდებოდი, აუცილებელი საჭირო კი იყო, შან მჭონოდა ზოგი გაზეთი, წიგნი და ფურცელი, განსაკუთრებით კომიტეტის წევრთათვის და პროპაგანდისტებისათვის, და აგრეთვე სხვა დოკუმენტები და წერილები. ამ მიზნისთვის სახლში მედგა მშვენიერი გალაქული რგვალი მაგიდა, რომლის სხვილი ტანი ფეხებამდე სავსე იყო ლიტერატურით, მაგრამ ისე კონსპირატიულად იყო მოწყობილი, რომ ჟანდარმთა ხროვას არა ერთხელ დარჩენიათ შეუნიშნავი და მისი საიდუმლოება ბოლომდე დარჩა აღმოუჩენელი.

ზევით ვსთქვი, რომ საწყობში მოსამსახურე ამხანაგებს დავალებული ჰქონდათ არას დროს არავისთვის ლიტერატურა არ მიეცათ თავის ხელით, მაგრამ ერთხელ ამ დავალებას მათ უმტყუნეს. არ ვიცი, როგორ მოხდა, მხოლოდ ფაქტი ის არის, რომ ერთი გორელი სომეხი სალდათისათვის (რომელმაც შემდეგ კალანდაძეთ გამაცნო თავი, როცა იძულებული ვიყავი გავცნობოდი) რომლის გვარი გაუგებარი დარჩა, უძლევიათ მათ სისტემატიურად ლიტერატურა. ჯარის კაცს, რა თქმა უნდა, ეჭვი არ შედიოდა, რომ იქ იყო სწორედ საწყობი. როცა ეს ამბავი გამაგებინეს, მეტად აღშფოთდი და ამხანაგებს გაუჯავრდი. საქმე როგორმე უნდა გამომესწორებია და ამ მიზნით მე ამ სალდათს ვეცნობი. გამოკითხვის შემდეგ ვეუბნები, რომ ის ლიტერატურა, რომელიც მას გადასცეს, ჩემი გაგზავნილი იყო მისთვის. ამასთანავე ვიღებ ჯიბიდან ახალ ლიტერატურას და ვაძლევ... ასე ეხვდებოდით ერთმანეთს თითქმის ორი კვირის განმავლობაში და ვეუბნები მასთან პროპაგანდას, თუმცა არ ვიცოდი კი, თუ ვისთან მჭონდა საქმე. ბოლოს ვატყობ, რომ მეტად მაჩქარებს ჯარის კაცებში წრეების მოწყობას და არსებულზე თავდასხმას იარაღის წასაღებად არა ძალით, არამედ თითქო ჯარის კაცების ნებართვით (შემდეგ ეს კიდევაც მოხდა, თუმცა უშედეგოდ და უმსხვერპლოდ. რა თქმა უნდა, არა ამ ჯარის კაცის მეშვეობით, არამედ სხვისი—ალბად, ასეთივე პროვოკატორის). ამან მე მეტად დამაეჭვა. ამიტომ ვერიდებოდი მის შეხვედრას. ერთ მშვენიერ დღეს შემომითვალა, უეჭველად მნახე იქავე და ლიტერატურაც მომიტანეო. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდა... მე გადავწყიტე წავსულიყავ სანახავად, მხოლოდ არავითარი ლიტერატურა არ წამეღო... შევედი და ვხედავ ევროპიულად ჩაცმულ კაცს, რომელსაც ორი ბოთლი ლიმონადი უკვე დაუცლია და, დამინახა თუ არა, ვიცანი ჟანდარმათ გადაცმული ვახმისტრი, ცნობილი ნოსკოვი. მოვითხოვე ერთი ბოთლი წყალი, დავლიე უკბად და გარეთ გამოვედი. იქვე თვალი

მოვკარი ჩვენს ჯარის კაცს, სვეტთან ატუზულს და გავეჭანე მწვანე ბაზრისკენ, სადაც თავს წავაწყდი ჟანდარმის „ნარიადს“. მათ ვერ მოასწრეს ჩემი შემჩნევა, ისე გაუხვიე გვერდზე და მეორე ქუჩაში გავედი. ამგვარად დავაღწიეთ თავი მოწყობილ საფრანგს. გადარჩა საწყობიც ჩაჯარდნას.

1906 წელს, როცა დამატუსაღეს, ეს ჯარის კაცი წამიყვანეს პირში:.. მე ყველაფერი ვიუარე და თან დავუმატე: „მართალიც რომ იყოს, ოქტომბრის მანიფესტით ამგვარი დნაშაული მაინც ნაპატიები არის მეთქი. ერთად ერთ გამონაკლისს, ვინც იცოდა ჩვენი საწყობის ადრესი, შეადგენდა ამხ. კამო, რომელიც იმ ხანებში ლიტერატურის გადატანაზე მუშაობდა საკავშირო კომიტეტთან. ერთხელ, როცა ჩვენი საწყობის არსებობა მან კიდევ არ იცოდა, ის ლიტერატურით დატვირთული ძარით, (ქვეშ ლიტერატურა ეწყო, ზევით კვერცხები და კიდევ რაღაცნაირი ინდაური) მოადგა გვრ წულუკიძის სახლს ჭუთაისში, კინტოურ ტანსაცმელში გამოწყობილი. ეზოში მას შეეკითხენ, თუ რა უნდა. მან უპასუხა: „ინაჯ საშას ინდაურები მოვართვი“-ო.

ყოველ მგზავრობაზე ის იცვლიდა ტანისამოსს და მოწყობილობას, ხან კიდევ ძარით, ქვეით ლიტერატურა და ზევით ბალი. ხან სტუდენტის ტანსაცმელში გამოწყობილი შეეგებარი ჩემოდნით და სხვა და სხვა... ამხ. კამოზე ბევრი დაიწერა და, ალბად, დაიწერება. კიდევ, ამიტომ აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ძნელი სათქმელია, ოა სჭარბობდა ბასში—გამბედაობა, თუ მოხერხება უფრო მართალი იქნება, რომ ვსთქვათ: ორივე სჭარბობდა. უკანასკნელად ის მასპურობდა ჩემთან ერთად საქართველოს ფინანსთა კომისარიატში და განაგებდა სამაგოს საქმეს. ჩვენ მიხვად გვქონდა აღმოფხვრა იმ ათასგვარი ბოროტმოქმედებების, რომლებიც სამაგოების ირგვლივ ხდება და ეს მან შესძლო.

სწორედ იმ საშინელ, მისთვის უკანასკნელ დღეს ის ჩემთან დიდხანს იჯდა კაბინეთში. ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენი წარსულის შესახებ. მას არ აკმაყოფილებდა სამეურნეო ფრონტზე მუშაობა, მისი ბუნება ითხოვდა რევოლიუციონური ქარ-ბუქის დროს აქტიურ საქმეს. მისი იდეალი იყო ევროპის რომელიმე სახელმწიფოს რევოლიუციაში მონაწილეობის მიღება... „ამ დღისათვის ვეული და ვეუფრთხილდები თავსო“, – მითხრა... „ისე კი, თუ სამართალია, მე ასი წელი უნდა ვიცოცხლო და ვიბრძოლო, რადგანაც თავს კარგად ვგრძნობ: ღვინოს მე არ ვსვამ, ღამეს არ ვათევ, გარყვნილ ცხოვრებას არ ვეწევი, ჯანი და ღონე შერჩენილი მაქვს, ვაშ, რად არ უნდა გაკძლოო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იფიქრებდა, რომ რამდენსამე საათს შემდეგ სულელურად შემთხვევის გამო ის თავის მეზნებარე სულს და უდიდესი ტანჯვა-წამების გამძლე ჯანს ვერის დაღმართზე დალეწდა...

ზედმეტი არ იქნება უფრო დაწვრილებით გავიცნოთ ქუთაისის საიდუმლო სტამბის ისტორია. 1904—1906 წწ. სტამბა მეტად კონსპირატიულად „იყო მოწყობილი და პირველი რევოლიუციის დროს დასავლეთ საქართველოს მოძრაობაში მან უდიდესი როლი ითამაშა... იგი მოთავსებული იყო ქუთაისის განაპირა ადგილას, ძველი ლავრის ქუჩაზე, ჩვენი ამხანაგის (იმ დროს ბოლშევიკი, ამ ჟამად უპარტიო, საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე მდგომი, მიწადმოქმედების კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომელი) ნიწის მზრუნველის ვასო გოგილაძის სახლში. სტამბა იმდენად კონსპირატიულად იყო მოწყობილი, რომ მისი იმ ადგილას არსებობა იცოდა ხოლოდ 3-4 ამხანაგმა და სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სტამბა არ ჩავარდნილა, რაც, სამწუხაროდ, ასე ბევიათი იყო ჩვენი არალეგალური მუშაობის ისტორიაში. სტამბა მეპარა მე და უშვალო კავშირიც მასთან ხოლოდ მე მჭონდა. უკანასკნელი კორექტურა უმთავრესად მე უნდა გამესწორებია და გამზადებული ლიტერატურა (ფურცლები, წიგნაკები) საწყობში მე უნდა გადმომეტანა. თუმცა საწყობის მისამართი სტამბაში მომუშავე ასოთამწყობსაც, ამბ. ვალიკო ლეჟავამაც იცოდა, მაგრამ კონსპირატიული მოსაზრებით მას მასალები ბევიათად მოჰქონდა ხოლმე. რადგანაც ეტლისა ან მუშის საშუალებით შეუძლებელი იყო ლიტერატურის გადმოხიდვა, ხშირად მიხდებოდა რამდენჯერმე მგზავრობა ორი სამი ვერსის მანძილზე. ფურცლები ტანზე უნდა ამეკრა და ისე წამეღო. ტანზე ქალალდების შემოკვრით პირდაპირ საცხით ვიწოდი, მაგრამ შეწუხებას ან დაღლილობას იმ დროს, არა მგონია, თუ ვინმე ჩვენი ამხანაგთაგანი გრძნობდა...

პირიქით, თვითეული ჩვენგანი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი დავალებები აეღო თავზე და რამდენადაც მეტს ვმუშაობდი, იმდენად მეტ კმაყოფილებასა ვგრძნობდი და განა იმაზე მეტი „ბედნიერება“, როგორც არის ასეთი კმაყოფილება, შესაძლებელია? მით უმეტეს, როცა ხედავ შენივე ნაშრომის ნაყოფს, ისტორიულად გამართლებულს...

თუ როგორ გაჩნდა ეს საიდუმლო სტამბა, ამის შესახებ მოვუსმინოთ თვით ამხანაგ ვასო გოგილაძეს, რომელსაც მე ვთხოვე აღედგინა ჩემს მეხსიერებაში ზოგიერთი ცნობები ამ სტამბის შესახებ.

„1903 წლ. ბოლოს ციხეებიდან ჩვენი დაბრუნების შემდეგ,—მოგვითხრობს ამბ. ვ. გოგილაძე,—ამბ. მიხა ცხაკაიამ, რომელიც ის იყო ჩამოვიდა სამხრეთ-ოსეთიდან და დროებით ქუთაისში ცხოვრობდა,

მითხრა, რომ სტამბა უნდა მოეწყოს ქალაქის გინაპირა ადგილასო. საკითხი მე შემეხებოდა, რადგანაც ჩემი სახლი ქალაქის დაკარგულ ნაწილში იყო. ეს საქმე მაშინ არ მოხერხდა, რადგანაც ამ ლაპარაკის სწორედ ერთი კვირით ადრე მეწვია პროკურორი და ბოქაული, რადგან საზღვარ-გარეთიდან ჩემი ცოლის მიერ წამოღებული ლიტერატურა კიევში დაიჭირეს და ჩემს სახლსაც მოაგნეს! ასეთი სტუმრობა კი სახლს შავ ლაქსა სცხებდა... გაიარა ერთმა წელმა, პოლიციას დავიწყებით და ამბ. ბარონმა გამომეორა სტამბის გადატანა პერიფერიაში. მე დავთანხმდი და გაჩაღდა „კონსპირატიული მოქმედებანი". ყველაზე უფრო საფრთხილო იყო მოხუცებული დედა. მას რომ გაგო სტამბის აქ არსებობა, თავისი შაშიანობით ისე გადაპარებებდა ჩვენზე ზრუნვას, რომ ჟანდარმიც რომელიმე სხვა ახლობელ „მოყვარეს" სრულიად უნებლიედ მიახვედრებდა, რომ აქ რაღაც არისო. დედას ავუხსენი, რომ ერთი ოთახი სარდაფის სართულში უნდა გაეკრავა და გადაეცა განცხადება ოთახის გაქირავების შესახებ ორპირის ქუჩაზე ერთ მედუქნეს. სწორედ მეორე დღეს მოვიდა ბარონის მიერ გამოგზავნილი ამბ. ვალიკო ლეკვაკა (ჩემთან მოსვლის შემდეგ „ანდრია ნემსაძედ" მონათლული) და ჰკითხა მედუქნეს, თუ სად უნდა მოენახა ეს ოთახი. მედუქნემაც ასწავლა და მოვიდა ჩემთან გასარიგებლად. მოვრიგდით 4 მანეთად თვეში. ვალიკო შეუდგა საქმეს, მაგრამ მე პირველ დღეებშივე დავრწმუნდი, რომ „გიე" ვალიკო ზედამხედველს საჭიროებდა და. მეტის მეტის სასტიკ ზედამხედველობასაც, რადგან ის ცხვირ-გამურული და ხან ტუჩებ და შუბლ-გაშავებული გამოდიოდა ოთახიდან, ხელებზე ხომ ლაპარაკიც მეტია. მოვთხოვე ვალიკოს საპნის და წყლის ხმარება, რაც შეიძლება ხშირად, განსაკუთრებით ქალაქში წასვლისას, ეს ზედამხედველობა ჩემმა ცოლმა იკისრა, და უნდა ითქვას, პირნათლადაც შეასრულა.

„პირველ თვეში სტამბა ოთახში გექონდა. საჭირო იყო საიდუმლო ალაგის ჩქარა მოწყობა, რასაც მაშინვე შევუდექით. ოთახის დასავლეთ კედელში განჯინა იყო განგებ გაკეთებული, რომ საჭირო დროს საიდუმლო კარად გამომდგარიყო. ამ კედლის იქით იყო ყრუ დერეფანი სიგრძით 5 არშინი და სიგანით არშინ ნახევარი; გამოვიღეთ განჯინის უკანა კედელი, რომელსაც სისქე ჰქონდა ნახევარი აგური; შევუკეთეთ ვიღაც დურგალს ხის მაგარი ჩარჩო; ჩამოვკიდეთ მუხის პოძზე, ამოვამენეთ ჩარჩო აგურით და ცემენტით და გავუკეთეთ მაგარი „პრუჟინიანი" ორი სასხლეტი და ორი ფოლადის სარაზავი ზევით და ქვევით ისე, რომ თავის ნებაზე შორიდან გამოშეებული კარი უსათუოდ დაისხლიტებოდა და განჯინაში ჩანდა მხოლოდ შელესილი კედელი, ამ კედელზე ხელის დარაკუ-

ნება იმედს იძლეოდა, რომ საეჭვოდ არავის მოეჩვენებოდა. როგორ ღებოდა მოსხლტილი კარი? ამისათვის სარაზავის ენებზე მიბმული იყო ინგლისური შპაგატი, რომელიც გაყრილი იყო პატარა ბლოკებში, შპაგატის ბოლოები კი დამალული იყო დერეფნის მეორე კედლის ჭუჭრუტანაში, რომელშიაც ერთი თითი თუ შეეტეოდა. ვალიკო სახლიდან წასვლისას საიდუმლო კარს მოისხლტდა და გასაღებათ კი უნდა შესულიყო სარდაფში, მოეხსნა ჭუჭრუტანა იმ სიბნელეში (წუწუმის ხმარება აკრძალული ჰქონდა) რასაც, რასაკვირველია, მალე შეეჩვია, უნდა გამოეღო შპაგატის ბოლო, მოეწია მაგრა თავისკენ და კარიც გაიღებოდა, ხოლო თუ ის ნელ-ნელა იქნებოდა მოშვებული, აღარ დაისხლტებოდა“.

მართალი უნდა ითქვას, რომ ამ პატარა საკანში მეტის მეტი სივიწროვისა და უჰაერობის გამო მუშაობის პირობები მეტად ძნელი იყო. „კატორღული შრომაო“, რომ იტყვიან, სწორედ აქ იყო. ამასთან მოძრაობა დღითი დღე ძლიერდებოდა და, მაშასადამე, სტაბაში მუშაობა ფართოვდებოდა. უბრალო ხელის მანქანა საქმეს ვერ ასდიოდა, თუ გინდა დღე და ღამეში შეუსვენებლივ ემუშავა. გადაწყდა „ამერიკანკის“ დადგმა. საჭირო იყო ტფილისიდან მისი ჩამოტანა. ეს მეტად ძნელი და „სარისკო“ საქმე იყო. ამისთანებისათვის ჩვენი კამო იყო გაჩენილი და აი, ერთ მშვენიერ საღამოს ჩვენს სტამბას მოადგა დიდი ძღვნით ამბ. კამო. ეს ძღვენი იყო საბეჭდავი მანქანა—„ამერიკანკა“. კამომ მისებური მოხერხებითა და ოსტატობით დაამძრინა თავი კვალ-კვალ მდევარ ჟანდარმებს და სამშვიდობოზე მოიტანა... ეს მისი სტიქია იყო. ეს მხოლოდ მას შეეძლო. „ამერიკანკისთვის“ სათანადო ბინის მომზადება იყო საჭირო. გადაწყდა ამ მიზნისთვის სახლზე სამზარეულოს მიშენება, რომლის ქვეშაც იქნებოდა აგრეთვე სარდაფი. საჭირო გახდა დერეფნიდან კედლის გახვრეტა და ამჯერად „სამანქანო განყოფილების“ გაფართოება. ამ სამუშაოების გაკეთება იკისრა სახლის პატრონმა, ამბ. ვასო გოგილაძემ, და უნდა ითქვას მის სასახელოდ, რომ ყველაფერი ეს ისე იქნა შესრულებული, რომ სახლზე მომუშავე ხელოსნებს (კალატოზებს და ხუროებს) არავითარი იქვი არ აუღიათ. რა თქმა უნდა, ყველაფერ საიდუმლოს ვასო და ვალიკო აკეთებდენ და მეტად დიდი შრომა გასწევიეს. ახლად მიშენებულ განყოფილებაში სასულეტ“ კი იქნა კედელში დატანებული, რასაც ვალიკო შემდეგ ზედმეტ ჭაღალდების დასაწვავად ხმარობდა და ბუხრად გადააქცია.

„შეიძლება იკითხოთ, თუ რამდენად უზრუნველყოფილი იყო სტამბის საიდუმლოება, ე. ი. აღმოაჩენდენ თუ არა მას ჟანდარმები, რომ სახლი გაეჩხრიკათ? ეს ძნელი სათქმელია. სტამბის საიდუმლოება ვიცოდით: ცოლ-ქმარმა გოგილაძეებმა, ვალიკომ, მიხამ, კამომ და

მე. „თავის დღეში არ დამავიწყდება“, განაგრძობს ვასო გოგილაძე „ვალიკოს გაბრწყინებული სახე, როცა მან დაინახა, რომ კამო ვერ მიხვდა სტამბის მოწყობის საიდუმლოებას. ჩვენ ვუთხარით — „აბა, კაცო, თუ აღმოაჩენ ამ სახლში სტამბას თქო? ჩვენ ვალიკოს ოთახში ვიყავით და ვეუბნებოდით: „აქ არის და მონახე თქო?“ კამო ვერ მიხვდა, იატაკის აგურებში დაიწყო ჩხრეკა ეს ახარებდა ვალიკოს. შენ თუ ვერ მიხვედი, ჯანდარმები რას მიხვდებიანო. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს უბრალო „სეკრეტი“ ჩემი გამოგონება იყო და ჩემს სიცოცხლეში ამის მეტი არაფერი გამომიგონებია.

„ვალიკო დაუღალავი მუშაკი იყო. ღამ ღამობით მე და ჩემი ცოლი გამოვეცლებოდით და დავასვენებდით ხოლმე. ღამე მუშაობის დროს, რაც ხშირად დილამდე გრძელდებოდა, ერთი სადარაჯოზე ვიდექით და ჭიჭას ვზვერავდით, რადგან ღამის სიჩუმეში „ამერიკანკის“ ხმაურობა ოდნავ ისმოდა ჭვეთ, თუ მოახლოებული ეტლის ხმას გაეგონებდით, საგანგებო ნიშნით შეეწყვეტინებდით მუშაობას.

„ბევრი სხვა წვრილმანიც მაგონდება, რომლებსაც მიუხედავად მათი წვრილმანობისა ადვილად შეეძლო სტამბა დაეღუპა, თუ დროზე არ იქნებოდა გათვალისწინებული. მაგალითად, ვალიკოს ოთახის გასაღები. მის მოსვლამდე ოთახის კარს რკინის კოჭი ჰქონდა შიგნით და გარეთ, ეს დაუშვებელი იყო, რადგან შიგნიდან კოჭით ჩაკეტილი კარით ყველა მიხვდებოდა, რომ ვალიკო შინაა, მაგრამ რაღაც-დენიც არ უნდა ერახუნებიათ კარებზე, ვერ გააგონებდენ, ისეთ ალაგას მუშაობდა. ეს კი საეჭვო იყო, ამიტომ კოჭები შეცვლილი იქნა კარში ჩატნეული ინგლისური ბოქლომით, რომლის გასაღებიც გამოუშიათ ფოლადის ძეწკვით ვალიკოს მისი ერთად ერთი შვილის სათავეზე, რათა შინ ყოფნის დროს, როცა კარს ჩაკეტავდა, გასაღები კარში არ დაეტოვებია და სხვა და სხვ.“

ვალიკოს დავალებული ჰქონდა პროკლამაციების ხელნაწერები და თითო ცალი დაბეჭდილი ლიტერატურისა შეენახა მომავალი „სარევოლიუციო მუზეუმისათვის“, რასაც ის პირნათლად ასრულებდა, თუმცა, როგორც ეს მასალა, ისე სხვა მრავალი, ვეღარ გადაურჩა საშინელი რეაქციის სუსხს და სადღაც გაჰქრა და დაიღუპა...

1905 წლის რევოლიუციის დღეებში რევოლიუციონური ტემპერამენტით აღვსილ ვალიკოს აღარ ეყო მოთმინება ეკეთებია „უჩინარი, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის რევოლიუციონური საქმე. „ასოების და ამერიკანკის“ ნაცვლად მან თოფს წაავლო ხელი... მაშინ ამბ. ვასო გოგილაძემ მოითხოვა მისი სულ გადაყენება და მის მაგიერ დროებით სტამბაში გაგზავნე „პატარა დათიკო“ (პეშტალჯიანცი). ბოლოს 2—3 თვის განმავლობაში სტამბაში მუშაობდა ამბ. ვარლამ ენუქიძე, რომელსაც, ვასო გოგილაძის გადმოცემით, ერთხელ

მუშაობის დროს ისე ჩასძინებოდა, რომ ლამპიდან ხის კოკებს ცეც-ხლი გასჩენოდა და ვასოს რომ შემთხვევით არ მიეყვრო, სტამბია-ნად შიგ გამოიწვებოდა.

ყვირილის ხაზინიდან კონუსკაციის წესით წამოღებული ფუ-ლები, სანამ საზღვარ-გარეთ გაიგზავნებოდა იარაღის შესაძენად, ჩვენს სტამბაში ინახებოდა.


სტამბის ალაგი შემჩნეული იყო, მისი იქ არსებობა უკვე ბევრ-მა იცოდა, ამიტომ მისი იქ დატოვება საფრთხეს ემუხადებდა, რო-გორც სტამბას, ისე ამხ. გოკიელიძის ოჯახს... ამხ. ვასოც მოითხოვდა მის გადატანას. მე იმ დროს ქუთაისის ციხეში ვიყავი დამწყვდეუ-ლი და ამ საქმის მოგვარება, როგორც მახსოვს, მივანდე ამხ. ვანო ლომთათიძეს. არ ვიცი როგორ და ვისი დახმარებით მოაწყო მან ეს, მხოლოდ მე რომ ციხიდან შინ მივედი, სტამბა ჩემს ოთახში დამხვდა მოწყობილი... ეს დაღლეული იყო კონსპირაციის ელემენტა-რული წესების, მაგრამ, სჩანს, 1906 წლის სასტიკი რეაქციის ხანაში სხვა გამოსავალი, უკეთ რომ ვსთქვათ, სხვა ბიძა ვერ ეშოვათ ამხა-ნაგებს და დარწმუნებული იმაში, რომ რაკი მე ციხეში ვიჯექი, ჩემს პინაზე არავინ მივიდოდა გასაჩხრეკად, სტამბა იქ მოეწყოთ.

სტამბის მოწყობის უკეთ გასაგებად ზედმეტი არ იქნება აქ-ვე მოვათავსოთ სახლის ქვედა სართულის გეგმა. (იხ. გვ. 47)

ყველაზე უკეთ იყო დაწენებული ქუთაისის ორგანიზაციაში პა-სპორტების საქმე. ეს საქმეც სავსებით, დაწყებიდან გათავებამდე, მე მებარა უშუალოდ. არა თუ მარტო ქუთაისის გუბერნიის ორ-განიზაციებს, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებს და ზშირად რუსეთის ცენტრალური კომიტეტის საშვალებით რუსეთის ორგანიზაციებსაც ვაწვდიდით ქუთაისიდან პასპორტებს. სახელმწიფო სათათბიროს ს. დ. ფრაქციის თითქმის ყველა წევრს ჰქონდა ყოველი შე-მთხვევისათვის მომარაგებული ჩვენი პასპორტი. წარმოიდგინეთ, ფონ-ტანკაზე ესერების მიერ მწყობილი ექსის მონაწილეთაც ალმოაჩნდათ ქუთაისის პასპორტები. გადასახლებულ პოლიტიკურებზე ლაპარაკიც მეტია: ყოველი ეტაპის გამგზავრების დროს უეჭველად თვითეული ამხანაგისათვის იგზავნებოდა ციხეში გამზადებული პასპორტი. ყვე-ლაზე უფრო სანდო, ყველაზე მეტად გამძლე იყო ქუთაისის სამაზრო სამმართველოს სახელით გაცემული პასპორტი. რაში მდგომარობდა ამ საქმის საიდუმლოება? საქმე ისაა, რომ ამ პასპორტებს არ შეიძ-ლება ეწოდოთ ყალბი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ნამ-დვილად ყალბი პასპორტი ვარგა მხოლოდ გასაწერათ. ის აკმაყოფი-ლებს მეეზოვეს, სახლის და სასტუმროს პატრონს და ერთა შემთხვე-ვაში ქანცარმთა სამმართველოს, რომლის პირველ შეკითხვისთანავე პასპორტის სიყალბე აშკარაედება. ყველა ჩვენი გაცემული პასპორტი

იყო ნამდვილის ასლები. ამაში იყო მათი „სეკრეტი“, ამით აიხსნება, რომ ის გამომჭვანებულ იქნა მხოლოდ 4—5 წლის შემდეგ და ისიც პროვოკაციის წყალობით...

1904 წლის დასაწყისში ამხ. პროკოფი ჯაფარიძემ გამაცნო ახალგაზრდა რაჭველი, ალფეზ მუსერიძე, რომელიც მსახურობდა რეგისტრატორის თანამდებობაზე ქუთაისის სამაზრო სამმართველოში. „კარგი ყმაწვილია, საჭიროა მისი დაახლოება, ვინძლო მომავალში გამოგვადგეს, ისეთ ალაგას მსახურობსო“,—მითხრა პროკოფიმ. სულ ძალე ეს ახალგაზრდა მეტად დავიახლოვე და დავიმეგობრე, ვაძლევდი ფურცლებს და წერგნაკებს წასაკითხად და პოლიტიკურ საკითხებზე ვებაასებოდი. იმავე წელში მას სალდათობა უწევდა. მივიღე ზომები, რომ მისთვის ეს ამეცილებია და „პროტექციის“ საშუალებით კიდეცაც მოვახერხე. საჭირო იყო ჩვენთვის, რომ რეგისტრატორის თანამდებობის მაგიერ მისთვის უფროსი თანამდებობა გვეშოვა და მაზრის უფროსის ჯანსოს დადეშქელიანის ცოლის საშუალებით ესეც მოვახერხე. ამის შემდეგ შეუდექი პასპორტების ორგანიზაციის საქმეს. მოვატანინე ბლანკების ფორმები, რომლითაც ხაზინიდან გამომჭრიდათ პასპორტების ბლანკები. შეავდგინე ყალბი, მეტად მიმსგავსებული მიმართვა და სრულიად ადვილად ხაზინიდან მივიღე ბლანკების საჭირო რაოდენობა. შემდეგშიაც ამ გვარადვე სისტემატიურად გამომჭრიდა ბლანკები. შემდეგ მუსერიძეს მოვატანინე თითქმის ერთი წლის განმავლობაში გაცემული პასპორტების სია და ყოველ გვარი ცნობები დაწვრილებით გადავიწერე. მაგალითად: როდის გაიცა და ვის მიეცა პასპორტი, რა ნომრით, სადაურია და რა მოხელე. რამდენი წლის, როგორია მისი დამოკიდებულება სახედრო ბეგარასთან და სხვა. აგრეთვე დავიტოვე ნამდვილი ხელის მოწერა მაზრის უფროსისა და საქმის მწარმოებლის. მუსერიძეს მოვაპარვინე სამმართველოს ერთი ნამდვილი (ზედმეტი) ბეჭედი და საქმე გაიჩარხა. როგორც კი პასპორტის მოთხოვნილება გაჩნდებოდა, მე ავარჩევდი შესაფერ წლოვანებას და ვწერდი (შეცვლილი ხელით, ან სხვას ვაწერინებდი) პასპორტს ყოველივე ნამდვილი ცნობებით. თან მაზრის უფროსის და საქმის მწარმოებლის, თუ მდივნის მაგიერ ისე დახელოვნებულად ვაწერდი ხელს (ფანჯარის მინაზე მიდებით), რომ თვით დამწერისათვის რომ მიგეტანა, ვერ იუარებდა, რომ მისი საკუთარი ხელის მოწერაა. ახლაც თვალწინ მესახება მაზრის უფროსის ვარდენ ქელბაქიანის ხელმოწერა. როცა გაცემული პასპორტების ცნობები გამოილეოდა, ასლები მოგვქონდა, და, თუ მეტად სასწრაფო იყო, უკვე გაცემულიდან ვაძლევდით. ასე რომ, იყო ხშირად გაშვებული ორი-ორი და, შეიძლება, სამი ასლიც.



ამ სურათის ახსნა იხილე მეორე გვერდზე. (გვ 48)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის არალეგალური სტამბა *)

1905—1906 წ. წ.

სარდაფის სართულის გეგმა.

ძველი ლაგერის ქუჩა.

1. ასოთამწყობი ვალიკო ლეჟავას ოთახი.
2. განჯინა (საიდუმლო კარი).
3. ყრუ დერეფანი, სადაც იდგა ხელით საბეჭდი მანქანა.
4. ჰუჰრუტანა კედელში, საიდანაც იღებოდა საიდუმლო კარი.
5. „ამერიკანკისთვის" დამზადებული ოთახი.
6. სასულე (ჰაერის გასაწმენდი)

.... გზა, რომელიც უნდა გაევლო ვალიკოს საიდუმლო კარის გასაღებათ.

*) სტამბის სურათი იხ. მე-47 გვერდ.

როცა სხვა და სხვა ქალაქში ჩვენი პასპორტით მცხოვრებ ამხანაგს საეჭვოდ იცნობდენ, ან მის ნამდვილ ვინაობაში დაეჭვდებოდენ, უგზავნიდენ შეკითხვას იმ მაზრის სამმართველოს, საიდანაც იყო პასპორტი გაცემული. და აი, ჭუთაისის სამაზრო სამმართველოს ზედა-ზედ მოსდის ამგვარი შეკითხვები: 1) ვის მიეცა თქვენგან პასპორტი ამა და ამ რიცხვში? 2) პასპორტი № 100-1904 წელში ვის მიეცა და რა რიცხვში? 3) ალექსანდრე გიორგის ძე ლორთქიფანიძეს როდის და რა ნომრით მიეცა პასპორტი?

ამგვარი და სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის შეკითხვები მოდიოდა და მოდიოდა. ჩვენ კი სრული გარანტია გვქონდა, რომ პასუხი ყოველთვის სათანადო იქნებოდა და, მაშასადამე, თუ სხვა სერიოზული მიზეზი არ იყო გარდა საეჭვო ვინაობისა (როცა მიამსგავსებდენ ვინმე პოლიტიკურ მოღვაწეს, უკეთ რომ ვსთქვათ, მიამსგავსებდენ ნამდვილ პიროვნებას), უეჭველად გაუშვებდენ. იყო მრავალი კურიოზიც. მაგალითად, ლენინგრადში მცხოვრები ერთი ჩვენი ამხანაგის, (მკონი გალაქტიონ ვაშაძის) პასპორტის ნამდვილი პატრონი არმოჩნდა ჯიხაიშელი მღვდელი... ძნელად მოიპოვება იმ ხანებში მომუშავე ჩვენი ამხანაგი, რომელსაც ჩემი პასპორტით არ ესარგებლოს. ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, რომ მარტო ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული პასპორტის წიგნაკები მიჰქონდათ ორგანიზაციებს შეუვსებლად. ამ შემთხვევაში აშკარა იყო, რომ შეკითხვის დროს ცნობები არ გამოართლდებოდა და უეჭველად ჩავარდებოდენ. იყო ასეთი შემთხვევა: ბაქოდან ჩამოდის ამხანაგი სპეციალურად და მატყობინებს, რომ იქ დაატუსაღეს ამხანაგების მთელი ჯგუფი (მათ შორის „დიდი პავლე"—პავლე საყვარელიძე, იმ დროს ბალშევიკი, აქტიური მომუშავე), რომელთაც თქვენი პასპორტები აქვთ, მხოლოდ ხონის ორგანიზაციის მიერ შესებული და, მაშასადამე, ცხადი იყო, მოგონილი გვარებით და ცნობებით. როგორმე უნდა უშველოთ. მე, რა თქმა უნდა, ჩვეულებისამებრ, პირველად გავჯავრდი, ახლა აღარაფერი გაეწყობა, მე როგორ შემიძლია შველა მეთქი. მცგრამ შემდეგ შევუდექი საქმის გამოსწორებას. დავუძახე აღფეზი მუსერიძეს და ვაცნობე, რომ ბაქოში დაგვიჭირეს მეტად პასუხისმგებელი მომუშავენი ყალბი პასპორტებით და, რაც არ უნდა გახდეს, უნდა დავეხმაროთ მეთქი. მივეცი ასეთი გეგმა: დღეიდან დაწყებული რა პაკეტიც არ უნდა მოვიდეს ბაქოდან, ყოველ მიზეზის გარეშე რეგისტრაციაში გაუტარებლად და გაუხსნელად შე უნდა მომიტანო მეთქი. მართალია, ასეთი წინადადება კი მივეცი, მაგრამ სრულებით არ მჭონდა იმედი, რომ დათანხმდებოდა. ის დამეთანხმა და იმ დღიდან ყოველ დღე მომდიოდა ბაქოს პაკეტები. მე მათ მეტად ოსტატურად ყველას ვხსნიდი და, რაც ჩვენს ამხანა-

გებს არ შეეხებოდა, ისევ ვწუხავდი და უკან ვატანდი. მე-4-5 დღეს მოვიდა სწორედ ის, რასაც ვეძებდი: „ვის და როდის მიეცა ამა და ამ ნომრის პასპორტები“. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ჩამოგვიტანეს სრული ცნობები, თუ როგორ იყო ის პასპორტის წიგნაკები შევსებული და რა ჩვენება მისცეს თავის ვინაობის შესახებ ჩვენმა ამხანაგებმა.

შეკითხვაზე დავამზადე სათანადო პასუხი და პაკეტი დავლუქე როგორც საჭიროა და გავგზავნე. ბაქოში ქანდარმთა სამმართველოს ადრესზე, რასაც შედეგად მოჰყვა ამხანაგების განთავისუფლება...

ერთხელ ამბ. კამოს მოუხდა მეტად კონსპირატიულ საქმეზე ლენინგრადში გამგზავრება. მისთვის საჭირო იყო სამედო, „დიდი“ პიროვნების პასპორტი. გავუკვირდით სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის კოკი დადიანის (როგორც მახსოვს, მისივე თანხმობით) პასპორტის ასლი და მანაც ჩერჩეზულ ტანსაცმელში, მშვენივრად გამოწყობილმა, მილიციის პრაპორშიკის ეპოლეტებით, პირველი კლასის ვაგონით იმოგზაურა ვიღაც ხულიგან გენერალთან ერთად კუპეში და გადმოიტანა საჭირო იარაღი...

თუმცა ჩვენი პასპორტთა ორგანიზაციის საიდუმლოება 1907 წლის შემოდგომაზე გამომჟღავნდა, მაგრამ ჩვენი პასპორტებით მრავალი ამხანაგი განაგრძობდა ცხოვრებას სრულიად უვნებლად სხვა დასხვა ქალაქში. მგონი 1910 წელს, ლენინგრადში, ერთ ღამეს ჩავარდა ჩვენი პასპორტიანი 10-12 ამხანაგი. მათში ყველაზე უფრო ცუდად საქმე წაუვიდოდა ყვირილის პროცესის ერთ მონაწილეს (ამხ. ნ. ჩხეიძეს), რომ დროზე არ მიგველო სათანადო ზომები. დიდ ხანს ის თავის ნამდვილ გვარს არ ამხელდა და ის უნდა გაეგზავნათ ციმბირში, როგორც მოხეტიალე (бродяга). მე ეს ეევენი გეგეჭკორმა მაცნობა და მთხოვა რამე მომეხერხებინა. მეც შევადგინე განთავისუფლების გეგმა. ლანჩხუთში ვიშოვე ერთი ჩვენი ამგანაგის, მენაღარიშვილის მამა, (რომელსაც შვილი სადღაც რუსეთში ჰყავდა), რომელიც დათანხმდა ეცნო თავის შვილად ჩხეიძე, თუ მას ეტაპით გამოგზავნიდენ. ყველა ცნობები „მამა“ მენაღარიშვილის შესახებ და მისი სურათი მიუვიდა ციხეში ამბ. ჩხეიძეს. აგრეთვე ჩხეიძის სურათი ვაჩვენეთ მენაღარიშვილს. როცა ყველაფერი ეს მოეწყო, ჩხეიძე გამოტყდა, რომ ის მენაღარიშვილია. პეტროგრადიდან მოდის შეკითხვა ლანჩხუთში ჩხეიძის სურათითურთ. იბარებენ მენაღარიშვილს, რომელიც „ცნობილობს“ თავის შვილს. ამის შემდეგ ჩხეიძეს აგზავნიან საქართველოში. „მამა“ შევაგებეთ ბათომში. საჭირო იყო ის ეტაპით ლანჩხუთში არ მოეყვანათ, რადგანაც შესაძლებელი იყო საქმე გამომჟღავნებულიყო. „მამამ მოახერხა შვილის“ ბათუმის ციხეში ნახვა, მაგრამ ჩხეიძის ბათუმში გაშვება კი არ მოხერხდა. ის ოზურგეთში გაგზავნეს. მამა უკან გაეღევნა და, როგორც იქნა, ოზურგე-

თში მოხერხდა „მენაღარიშვილის“ — ჩხეიძის განთავისუფლება. გურული გლეხის, მოხუცი მენაღარიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მეტად არტისტულად ჩაატარა „დაკარგული შვილის“ ხახვის სცენა როგორც ბათუმში, ისე ოზურგეთში. განსაკუთრებით ოზურგეთში ისე ოსტატურად შეაბრალა თავი ყველას, რომ არავისთვის არ იყო საეჭვო, რომ ის მისი შვილი იყო... „ლანჩხუთში რომ დაჭერილი ჩაიყვანოთ, საწყალი დედა მისი, ჩემი მოხუცებული ცოლი, შეიშლებაო, არწმუნებდა ის ყველას ჩაფარიდან დაწყებული მაზრის უფროსამდე და კიდევაც გასჭრა მისმა თხოვნა-ვედრებამ.

თუ რამდენად ძლიერი იყო კომიტეტის გაჭენება 1904—1905 წლებში გლეხების ფართე მასებზე (მუშებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), თუ რა უდიდესი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობდა ის, ამის საილიუსტრაციოდ მეტი არ იქნება რამდენიმე დამახასიათებელი ფაქტი.

1905 წელს, როცა თვითმპყრობელობა გლეხს და მუშას, დიდსა და პატარას ხალხის მოსისხლე მტრად მიაჩნდა, გლეხები ბევრ ადგილას ნებას არ აძლევდენ მღვდლებს მოეხსენებიათ ეკლესიაში წარავის შემდეგ მეფე და მისი სახლობა. მათ მაგიერ მღვდლები, დასავლეთ საქართველოს ბევრ ალაგას, **იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტს** იხსენიებდენ. ერთხელ განსვენებულმა ლეონ დადეშქელიანმა მითხრა: „სვანებს კომიტეტი წარმოდგენილი აქვთ მაღალი, მხუცი კაცის სახით, გრძელი თეთრი წვერით, რომელიც მაღალ კოშკში ცხოვრობს და უბრალო მომაკედავითათვის უხილავია. მათ რომ გაიგონ, რომ შენ, ახალგაზდა პატარა კაცი, კომიტეტი ხარ, ისინი კომიტეტისადმი ნდობას დაჰკარგავდენო“.

აი მეორე ასეთივე მაგალითიც: 1904 წლის მიწურულში ჩემი ძმა, სოფლის მუშა, ეკითხება კოლია ქარციძეს: „ნეტავი როგორია კომიტეტი, ერთი მაჩვენა შაინცო?. კოლია უჩვენებს ჩემზე: „აი, შეხედე შენს ძმასო“. მას გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. გაოცებასთან ერთად მის სახეზე იმედის გაცრუებაც იხატებოდა.

მოგეხსენებათ, თუ რა ძლიერი იყო გლეხობაში სარწმუნოება და საზოგადოდ, ყოველგვარი ცრუმორწმუნეობა. პოლიტიკური მიზნით ამის გამოყენება განიზრახეს გურიაში თვითმპყრობელობის ერთგულმა აგენტებმა: ბლაღოჩინმა ნიკო რამიშვილმა და ოზურგეთის მაზრის უფროსმა ჯაფარიძემ.

როცა დატუსვა დაშინებით და დატყუებით ვერაფერს გახდენ და ვერ ათქმევინეს გლეხებს თუ ვინ „აბუნტებდა“ მათ. როცა, ერთი სიტყვით, არავითარმა საშუალებამ არ გასჭრა, მათ მიმართეს ასეთ ცბიერებას: მოატანინეს შუა სურებიდან თავის „ძლიერებით სახელგანთქმული“ ლომის კარელის ხატი წმ. გიორგისა და გლეხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააფიცეს იმასზე. აშკარაა, ეს იყო ნამდვილი ტრაღედია მორწმუნე გლეხებისათვის. თუ, ერთი მხრით, ისინი პრაპაგანდისტ აგიტატორებში ხედავდენ თავიანთ მხსნელთ და მათი გაცემა იუდასებურ ღალატად მიაჩნდათ, მეორე მხრით, „ძლევამოსილ“ ხატზე ტყუილი ფიცი შიშის ხარს სცემდა... და აი, მოხუცებში გამოჩნდენ ისეთები, რომლებიც დასძლია ხატმა და რამდენიმე აგიტატორი გააცემინა. მათ შორის ამბ. იასონ ძეგრილიძე. ამ ფაქტმა გურიაში დიდი ანტირელიგიოზური როლი ითამაშა და, როცა შემდეგ, ორგანიზაციის დადგენილებით, მოტაცებულ იქნა ეს ხატი, და მისი წამღებნი იქ „გაქვავებულნი“ არ დახვდენ, ამ ამბავს ხალხი გულგრილად შეხვდა.

1905 წ. ოქტომბრის რევოლიუციის სახალხო მოძრაობის აშკარა დიად მომენტებს ჩემს მოკლე მოგონებებში მე არ შევეხები. ამას უკეთ და უფრო ვრცლად სხვები ასწერენ. მე მინდა ხაზი გავუსვა მხოლოდ ერთ გარემოებას, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ, თუმცა ოქტომბრის დღეებში ადმინისტრაცია წელმოწყვეტილი და დამბლადაცემული იყო, თუმცა არსებობდა (ქუთაისში — მაგალითად) პოლიტიკური კლუბები ბალშევიკებისა და მენშევიკებისა ცალცალკე, სადაც თითქო ყველაფერი აშკარად ხდებოდა, მაგრამ ბალშევიკების არალეგალური აპარატი, ის საგუბერნიო კომიტეტი, ჩვეულებრივ ბოლომდე არალეგალურად მუშაობდა... ამან ის ნიყოფი გამოიღო, რომ თითქმის კომიტეტის ყველა წევრი გადარჩა სახელდო სასამართლოებს და, მაშასადამე, სიკვდილით დასჯა-კატორღას... ტყუილა კი არ მეუბნებოდა ნახევრად ხუმრობის კილოთი ყვირილის პროცესის ერთი ამხანაგი: სამართალი რომ იყოს, შენ ადმინისტრატიული წესით უნდა იყო დატუსაღებული, მე კი სახელდო სამართალში მიცემულიო?..

1906 წლის იანვრის პირველ დღეებში, როცა ალიხანოვის ექსპედიცია დასავლეთ საქართველოსკენ დაიძრა, ქუთაისში მოხდა საგუბერნიო კონფერენცია მენშევიკ-ბოლშევიკებისა ერთად... გადასაწყვეტი იყო ერთი უმთავრესი საკითხი.—თუ რა ტაქტიკას უნდა დავდგომოდით: გაგვემაგრებია ლიხის მთა და არ გამოგვეშვა ალიხანოვი (რა თქმა უნდა, სანამ შევსძლებდით), თუ განგვეიარაღებია და დაგვეფანტა ჩვენი შეიარაღებული რაზმები. ამასთან გადასაწყვეტი იყო აგრეთვე, თუ როგორ მოგვეხმარა ყვირილის ხაზინიდან წაღებული 200 ათასი მანეთი.

ჯერ ქუთაისის ორგანიზაციაში გაიმართა ამის შესახებ დისკუსიები. საჭიროა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ დანამდვილებით არ ვიცოდით მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების სასტიკი დამარცხება. იყო მხოლოდ ყრუ ხმები: მოსკოვში აჯანყება დამარცხდაო. ქუთაისის ბალშევიკურ მასაში ორი აზრი ტრიალებდა. პირველის მომხრე-

ნი ამბობდენ: რევოლიუცია უკვე დამარცხდა, წინააღმდეგობის გაწევა ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს გარდა იმისა, რომ კიდევ ზედმეტი სისხლი დაიღვრება, საჭიროა ახლავე რაზმების განიარაღება და მათი დაშლაო. მეორე აზრის მოხსრენი ამბობდენ: დანამდვილებით თქმა, რომ დამარცხდა რევოლიუცია მთელი რუსეთის მასშტაბით, შეუძლებელია. ახლავე რაზმების დაშლა და მათი გადამალვა ხალხზე მეტად ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს. სულ ერთია, გამძვინვარებული რეაქცია უმისოდაც ქვას ქვაზე არ დასტოვებს. ამიტომ, სანამ შეგვეძლება, გავუწიოთ წინააღმდეგობა, რომ ხალხმა არ სთქვას: გაჭირვების დროს ჩვენ მიგვცეს პირში ცეცხლს, თვით კი თავს უშველესო. ხმები თითქმის შუაზე გაიყო და კონფერენციაზე დელეგატებათ არჩეულ იქნა ორივე აზრის გამომხატველნი: პირველის—ამხ. სერიოჟა ქავთარაძე და მეორის—მე. საგუბერნიო კონფერენციაზე დიდი კამათის შემდეგ გაიმარჯვა პირველმა აზრმა, გადაწყდა რაზმების დაშლა. ამ აზრს არ დაეთანხმა შემდეგ ამხ. აფრ. მერკვილაძე და თავის მცირე რაზმით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უწევდა შავი რეაქციის მოციქულთ მთელი ორი წლის განმავლობაში და ბოლოს ეს იშვიათი გმირი რევოლიუციონერი მუხთალი მტრის ტყვიით განგმირული დაეცა.

რაც შეეხება ყვირილის ხაზინიდან წაღებული ფულების დანიშნულებას, ამის შესახებ იყო ზოგი მენშევიკის წინადადება დაგვებრუნებია მთავრობისთვის, მაგრამ უმრავლესობამ გადასწყვიტა ის საჭიროვარაუდო იარაღის შეძენის მოხმარებოდა. ამ დადგენილების პრაქტიკულად განხორციელება, როგორც მახსოვს, კონფერენციამ მიანდო ცალკე კომისიას, რომელშიაც შევიდენ ბოლშევიკებიდან ამხ. სერიოჟა ქავთარაძე და კოლია ქარციძე, მენშევიკებიდან—კოწია სულაქველიძე.

ამას შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ მთელ დასაელეთ საქართველოში თავზარდამცემი ამბები დატრიალდა. ალიხანოვის დამსჯელმა რაზმმა ცეცხლს მისცა მრავალი დაბა-სოფელი, თუ კერძო სახლები რევოლიუციაში აქტიურ მონაწილეთა... ამოქმედდა სამხედრო-საველე სასამართლოები და დაიწყო განუკითხავი ხოცვა გამხეცებული კაზაკების მიერ ცოტად თუ ბევრად შემჩნეულების. ეს ის შინელი შავი დღეები იყო, როცა ციხეში ცოცხლად მიყვანა ბედნიერებად ითვლებოდა... იანვრის უკანასკნელ რიცხვებში ატუსაღებენ ამხანაგებს დულია რევაზიშვილს და თეოფილე შველიძეს და, როცა საპოლიციო ნაწილიდან ციხეში მიჰყავდათ, გზაში მოჰკლეს, თეთრი ხიდის ახლოს. იანვრის 27-ს მატუსაღებენ მეც ქუჩაში, დღისით და მივყავარ ცენტრალურ საპოლიციო ნაწილში. განზრახული იყო ჩემთვისაც ის დღე დაეყენებინათ, როგორც რევაზიშვილისა და შველი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძს, მაგრამ ჩვენებმა მაზრის უფროსი ჯანსოხ დადეშქელიანის მეუღლე მიუგზავნეს ქუთაისის პოლიციმეისტერს ტერ-ანტონოვს წინადადებით, რომ არაფერ შემთხვევაში ღამით კაზაკებისათვის არ გაეტანებიე. მას ანეტა დადიშქელიანმა მაზრის უფროსის თანამდებობის მიცემა აღუთქვა კომპენსაციად. პოლიციმეისტერი ნაწილში მოვიდა. გამომიარა მე და ჩემი თანდასწრებით განკრგულება მისცა ბოქაულს ღამ-ღამობით დაეყვანე ზემო სართულში „ოკოლოდოჩნიკ" კეკელიძესთან და, თუ კაზაკები მოითხოვდენ, ეთქვათ: უკვე წაიყვანესო. ყოველ ღამე მოდიოდენ კაზაკები მოთხოვნილებით, მაგრამ უარით უკანვე ბრუნდებოდენ. მესამე დღეს სალდათების თანხლებით წამიყვანეს ქანდარმთა სამმართველოში, იქ „წამიყენეს პარში" პროვოკატორი სალდათი, როგორც ზევით მოვიხსენიე, და შემდეგ მიმაბრძანეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში... როგორც კი ამხანაგებმა დამინახეს, რომ ცოცხალი ვიყავი და თან უცემი, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ყველა მილოცავდა გადარჩენას... ერთი თვის შემდეგ მოხდა შეცდომა და ჩემს მაგიერ გადაასახლეს ეიღაც მეტუდე სერგო ბიბილეიშვილი, მე კი მის მაგიერ გამანთავისუფლეს.

განთავისუფლების შემდეგ, რეაქციის სუსხმა რომ ცოტათი გაიარა, შევუდექით დანგრეული ორგანიზაციების აღდგენას და მუშაობის განახლებას. მთავარი საკითხი, რომელიც დღის წესრიგში იდგა, იყო სათათბირო არჩევნების ბოიკოტი, ხოლო სათათბიროს გარეკის შემდეგ ვიბორგის მოწოდების დაბეჭდა-გავრცელება. საჭირო იყო რაც შეიძლება ბლომად დაბეჭდილიყო და გავრცელებულიყო მოწოდებები, ლოზუნგებით — „არც ერთი სალდათი მთავრობას, არც ერთი გროში ხაზინას". ამ მიზნით კომიტეტის გადაწყვეტილებით ეწყო მწვავიერ დღეს თავს დავესხით ქუთაისის ორ სტამბას: კურცხალიასა და ფერაძისა და მთელი დღე ვბეჭდავდით პროკლამაციებს, ჩვენი ამბ. ივანე კილაძის სტამბისათვის კი, რომელიც უმთავრესად ყოველთვის დიდ დახმარებას უწევდა არალეგალურ ორგანიზაციებს, ტაქტიკური მოსაზრებით ხელი არ გვიხლია...

1906 წლის გაზაფხულზე, თუ ზაფხულში, მოხდა მეორეთბული კონფერენცია ბალშევიკ– მენშევიკების სოც. ჯგიაბაშში. ბოლშევიკებიდან ვიყავით მე და მიშა ოკუჯავა, მენშევიკებიდან დაესწრო თვით ნოე ჟორდანია და გრიშა ლორთქიფანიძე. უმთავრესი კითხვა, როგორც მახსოვს, იყო ახალი ტაქტიკის შესახებ. დასახასიათებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნოე ჟორდანია სანახევროდ ჩვენს აზრს ემხრობოდა, გრიშა ლორთქიფანიძე კი მტკიცედ იდგა მენშევიკურ პოზიციაზე.

ბაჩონ ბიბინეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცი წლის წინად

საქართველოს მუშებისა და გლეხების ფართო მასა 1905 წ. პირველათ ჩაება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მეფის მთავრობასთან.

თბილისში „ერიქსონის" ფირმის განყოფილებაში მუშაობის დროს პ. მემარნიშვილის საშვალებით კრებებს ხშირათ ვესწრობოდი.

„ენფიანჯიანცის" თამბაქოს ფაბრიკის და „იარალოვის" ქარხნის მუშების ფარულ კრებებს დიდი ხნდა ეტყობოდა. გარდა ამისა, დიდუბეში, „შერემეტიევის" ქუჩაზე მდებარე სახლებშიაც ხშირათ იმართებდა რკ. გზელ მუშების კრებები. ამ კრებებზედაც ვესწრებოდი. კრებაზე დასწრების სურვილი ყველა მუშას ჰქონდა. დიდუბის კრებებზე დამსწრე მუშებიდან ოდნავ მახსოვს კოპალეიშვილები, ფოცხვერიები და გოგაევები. მახსოვს აგრეთვე გაზმირებული მსჯელობა „ზუბატოვჩინის" გაჩენის საშიშროებაზე, მაგრამ ჩვენში მას შეუძლებლათ სთვლიდნენ.

1904 წლის შემოდგომიდან დეპოში მუშაობის დროს ჯერ „მასიური" და შერე „გადარჩეულ ვიწრო საპროპაგანდისტო" წრეში ბლომა მუშები დავდიოდით. პირველ წრეში მხოლოდ დეპოელი და პარკელი მუშები ვიყავით. მეორეში-კი ჩვენთან ერთად მთავარ სახელოსნოს მუშებიც იყვნენ. ორივე წრე სოციალ-დემოკრატიული იყო.

1904 წლიდანვე ვსცდიდით ჩვენს ძალებს სამოქალაქო დაკრძალვისა და დემონსტრაციების დროს. ამ წლის ბოლოში 10 საათის მუშაობა გვქონდა, 8 საათის მუშაობისათვის გაცხოველებულ აგიტაციას ვეწეოდით. ამ ნიადაგზე მასის თანაგრძნობა ჩვენს მხარეზე იყო.

„წმინდა ნინოს" მონაზვნებთან არალეგალურათ ცხოვრობდა აქტიურათ მომუშავე ამხ. გძელიშვილის ქალი (გვარი ამხ. სტეფანე ზაქარაძემ მოიგონა—ნ. ლ.) ავათმყოფობის გამო მას ათი დღის განმავლობაში ეძინა „ლეტარგიული" ძილით. მას ხშირათ ვნახულობდით და შეშინებულ მონაზვნებს ვამხნევებდით. თანაც ვაფრთხილებდით, რომ ეს აბრაკი არსად გაეხელავებიათ, სანამ გამოცდილი ექიმს მივიყვანდით. საიმედო ექიმის შოვნა მაშინ ძალიან ძნელი იყო. მონაზვნებს მაინც ვერ მოუთმენიათ და ვიღაც სამხედრო ექიმისთვის უცნობებიათ. ამ უკანასკნელმა თურმე ავადმყოფს წამლობის მაგიერ თვალში და მარცხენა ძუძუში ქეზაფი ჩაასხა და ასე

მოჰკლა. მისი სამოქალაქო დაკრძალვის დროს მთავარ-სახელოსნოდან და დეპოდან ყველა თანამგრძნობი მუშები დაგვესწრო.

მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირ სამუშაოდან წასულები ვიყავით და არაფითარი მზადება არ გვქონია, საკმაო აღმოჩნდით იმისათვის, რომ ქვების დაშენითაც უკუგვექცია საფლავზე სიტყვის მთქმელი ამხანაგების შესაპყრობათ თავს დამსხმელი ცხენოსანი ყაზახები. მაშინ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სალამატნიმა.

„კრამოლის“ (როგორც მაშინ მთავრობა უწოდებდა რევოლიუციას) აღმოსაფხვრელად და დაკარგული ნდობის გამოსაბრუნებლათ მთავრობა ამიერ-კავკასიის ხალხებს ჯერ უსისხლებდა ურთი-ერთის საქლეტით და მერე თითონვე გამოდიოდა „დამშოშინებლის“ როლში; ჯერ კიდევ 1904 წ. შემოდგომიდან უხვათ აერცელებდნენ პროვოკაციულ ხმებს სომეხ-თათართა მოსალოდნელ ხოცვა-ჟლეტაზე.

ჩვენც დღე და ღამე არ გვეძინა. გაცხოველებული აგიტაცია-პროპაგანდისა და ფურცლების გავრცელებასთან ერთად ხშირათ ვაწყობდით მიტინგებს ნაძალადევში, რკ. გზ. მთავარ სახელოსნოში და სხვაგან. „დაშნაკცუტიუნის“ „სარევოლიუციო“ პარტია ყოყოჩობდა და საომრათ ემზადებოდა. მთავრობის სისტემატიურმა პროვოკაციამ თავისი გაიტანა და სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა უკვე 1905 წ. პირველი თვეებიდან ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ალაგებს მოედო. ჟლეტა პირველად ბაქოდან დაიწყო. რამდენიმე თვის შემდეგ ისევ განმეორდა და გადაედო განჯას, ერევანს, გუმბრსა და სხვ. ჩვენ დაჟინებით მოვითხოვდით კრებების თავისუფლებას ხოცვა-ჟლეტის მიზეზების ფართოდ გამოსარკვევათ და მისი ჩასაქრობი ზომების გაბოსამუშავებლათ. ამ მოთხოვნილებას ქალაქის თვითმართველობის ლიბერალური საბჭოც უჭერდა მხარს. მაგრამ არც ამით გამოდიოდა რა. ქალაქში სამხედრო წესები იყო გამოცხადებული. 29 აგვისტოს საღამოსთვის ქალაქის „შამებთან“ ერთად თვითმართველობის დარბაზში დანიშნული იყო კრება, სადაც შეეძლო დასწრება აგრეთვე ყველა მსურველ მოქალაქეს. იქ უნდა ყოფილიყო მსჯელობა სომეხ თათართა შორის ხოცვა-ჟლეტის ჩასაქრობ საშვალებებზე. ცნობა ამ კრების შესახებ ყველა გაზეთებში იყო მოთავსებული. დანიშნულ დროს ქალაქის საბჭოს შენობას აფარებული ხალხი მიაწყდა; მთავარ სახელოსნოდან, დეპოდან, იარალოვის ქარხნიდან, თამბაქოს ფაბრიკებიდან და სხვა დაწესებულება-წარმოებებიდან, არ დაჰკლებია არც ერთი მოწინავე მუშა-მოსაძსახურე. განსაკუთრებულ ცნობისმოყვარეობას მოსწავლე ახალგაზრდობა იჩენდა. საბჭოს დარბაზის კარები დაკეტილი დაგვხვდა. ხალხის მოზღვავებულ ტალღაში ეს გარემოება უკმაყოფილებას იწვევდა. დაგვიანებით კარების გაღების შემდეგ როგორც დარბაზის ადმინისტრაცია, ისე იქ

შდგომი ჩვენი ამხ. ს. დემოკრატები ყველას აფრთხილებდნენ, რომ იარაღი არავის ჰქონოდა. იარაღიანებს ყველას უკან აბრუნებდნენ. დარბაზი, ქანდარა და კარები დამსწრე ხალხს ფიზზე დგომითაც ვერ იტევდა. დაახლოებით 9 საათი იქნებოდა, რომ კრება გაიხსნა. კრება ამხ. არჩილ (ჯოტი) ჯაფარიძის შესავალ სიტყვით გაიხსნა. შემოსავალ კარებში „ოკოლოდოჩნიკის“ ტანსაცმელით პოლიციელი დაუყოვნებლივ გაჩხრეს. გვერდში მდგომ ამხ. გადმომცა, რომ ის იყო პოლიცმეისტრის პირველი თანაშემწე. პოლიციელმა ხმამაღლა დაიყვირა გენ. გუბერნატორის ბრძანების თანახმად წინადადებას გაძლევთ დაიშალოთო. ხალხმა თითქმის ერთხმათ იგრიალა: „Долой полицию“. ხალხის ამ პროტესტზე ის მაშინვე გაბრუნდა. სიჩუმე ძლივს იყო აღდგენილი და ორატორმა განაგრძო სიტყვა. ამ დროს კარებში შემოვარდა ყაზახების ოფიცერი, რომელმაც გამხეცებული სიბრაზით დაიყვირა: „собрание запрещено в виду военного положения в городе и предлагаю разойтис“. ამ სიტყვებზე კარებშივე გაისმა რევოლვერის ხმა და უცბათ დარბაზში პლასტუნები შემოცვივდნენ, გაიმართა ვინტოვკების ჩხარუნი და „ზალპი“.

როგორც შემდეგ გავიგეთ, იმ ღამეს 300-დე ქალი და კაცი და მოსწავლე ახალგაზრდობა დაებოყათ.

ამ ამბავს ტფილისის და სხვა ქალაქების მუშებმა ერთი დღის საყოველთაო გაფიცვით უპასუხეს. გარდა ამისა, ამ საზიზღარ საქმის ჩადენისათვის ყაზახების ყველა ყაზარმებს ერთ და იმავე დღეს და საათზე სექტემბერში ჩვენი, ტეროროისტები ბომბებით თავს დაესხენ ლოცვის დროს. ცამეტამდის ყაზახი მოჰკლეს.

იაპონიასთან ომში დამარცხებულმა და ხალხთანაც ნდობა გატეხილმა მეფის მთავრობამ პრენერ ვიტეს რჩევით 17 ოქტომბრის „კონსტიტუციონური“ მანიფესტი გამოუშვა. მანიფესტის დეპეშების გამოქვეყნებაზე დაწყებული მხიარული დემონსტრაციებით გოლოვინის ქუჩიდან (რუსთაველის ქ.) დიდუბის მინდვრებამდის მიეღით. დიდუბის მინდორი რკ. გზ. მუშების მოედანთ ითვლებოდა. ამ მანიფესტს ბევრი ჩვენგანი საეჭვო თვალით უყურებდა, მაგრამ ის სააგიტაციო საშვალებათ მაინც მიგვაჩნდა. გავახშირეთ მიტინგები და ღია კრებები. მიტინგებს და კრებებს ბევრი გადაცსული პოლიციელებიც ესწრებოდა. რამდენიმე ამხანაგთან გაზიარებული ჩემი წინადადება ქანდარმერიის იარაღის აყრის შესახებ, არ გადიოდა. წითელ ბანტებს ყველა იკეთებდა. ამ შეკვეცილი კონსტიტუციით ყველა კმაყოფილდებოდა. ჩვენს დემონსტრაციებზე, კრებებზე და მიტინგებზე ჯარის კაცებს არ უშვებდნენ. ზოგი მათი დელეგატი კრებებზე შემოგვიჩივოდა „კუდალა“ „მანიფესტის“ შემდეგ ჯარის კაცების რეჟიმი უფრო გაუარესესო. დაწესებულებათა

ადმინისტრაცია მიტინგებსაც-კი შორიდან უცქეროდა. (ასეთებიდან მახსოვს დეპოს უფროსი შპიკანოვიჩი). ეს ბევრ ჩვენს ამხანაგში იქვს იწვევდა. სამართლიანათ ვამბობდით, რომ „მანიფესტი“ გადმოგდებულია როგორც ძალი და თუ ძალა არ გვექნებოდა, ამასაც უკანვე წაიღებდნენ. ძალაზე კი არავინ ფიქრობდა. მთელი ენერგია მიტინგობაის უნდებოდა. ნაძალადევის მინდვრებზე (ავჭალის მხრით) მთელი კვირაობით მიტინგები იმართებოდა და წითელი დროშები ფრიალებდა. ერთი რამ იყო დადებითი მოვლენა. ეს იყო ის, რომ უფართო ხალხის მასა ერკვეოდა. ხალხის პარტიებათ დაყოფას არ დაუყოვნებია. ცოტა ხნის შემდეგ ს. რევ.-სა და ს. ფედ.-ს ტრიბუნები ცალკე იმართებოდა, ს. დ. (მენშევიკ-ბოლშევიკების) ცალკე, ყველაზე მეტი ხალხი, ს. დ.-ის ტრიბუნისაკენ ეტანებოდა. პოლიცია და ჯანდარმერია მიიმალა, ზოგმაც თავი მოიკატუნა, ამიტომ წესიერებას არავინ არღვევდა. ჯანდარმერია მხოლოდ რკ. გზის სადგურებში ჩანდა. გადამჭრელ ნაბიჯებზე და ძალის აუცილებლობაზე მხოლოდ რამოდენიმე ამხანაგები ეუბნებოდით, მაგრამ ხელმძღვანელ ამხანაგებს შევსცქეროდით.

რეაქციამაც არ დაიგვიანა. იწყეს „კონსტიტუციის შეკვეცა;“ ცენზურის გაძლიერება, დეპუტების დაკავება, მიტინგების პოლიციის უნებართვოთ გაბართვის აკრძალვა, მის პროგრამებთან წინასწარი გაცნობის შემოღება. შემდეგ კრებებიც აკრძალეს. ნაცვლათ მოცემული „თავისუფლებისა“ ხალხის „კანონიერ“ ფარგლებში მოწყვდევა და ხალხის „წარმომადგენლების“ — სახელმწიფო სათათბიროში მოწვევა. როდესაც „სახელმწიფო სათათბიროს“ მოწვევის „უქაზი“ გამოაქვეყნეს, „თავისუფლება“ აღარ არსებობდა. „სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების საკითხმა მენშევიკ-ბოლშევიკთა შორის დიდი დავა გამოიწვია. ჩვენთან (რკ. გზ. დეპოში) გამორკვეული ბოლშევიკები იყვნენ: არაქელა, გიორგი დათიკო (ტილა) ჯავახიშვილები, კ. რაქვიაშვილი და მღვდელაძე. დანარჩენი მოწინავე მუშები ყველა ს. დ. მენშევიკები ვიყავით და „სახელმწიფო სათათბიროს“ არგველე ბოლშევიკებთან ხშირად ვკამათობდით.

ჯერ კიდევ „მანიფესტი“ ბოძებული არ იყო, როდესაც თვითმპყრობელობის აგენტები ნაძირალებიდან და რამდენიმე მოტყუებულ რუსი მუშებიდან შავი რაზმის შედგენას შეუდგნენ. ხატებით და ნიკოლოზის სურათებით თბილისის ქუჩებში „დემონსტრაციის“ ჩატარება იწყეს. 22 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე გიმნაზიის დარბევის დროს შავრაზმელებთან რამოდენიმე ჯარის კაცი და ყაზახიც იყო. ამ ამბების შემდეგ თავდაცვის საკითხი ჩვენ წინ მთელი სიძლიერით წამოიჭრა. მოწინავე მუშებმა იწყეს შეიარაღება. ზოგი ამხანაგი დრუჟინას საჭიროდ არ სთვლიდა, საზარალოთაც მიაჩნდა. ამ

პეტერბურგი 17 ოქტომბრის მანიფესტის პროცესიაზე.

საკითხზე ორგანიზაციების გადაწყვეტილება არ ყოფილა. ამხ. გიორგი მარსაგოვის ხელმძღვანელობით „დრუჟინა“ მაინც დაარსდა. ყველა ტერორისტი მუშების „დრუჟინაში“ გაერთიანება ვერ მოახერხდა.

„მანიფესტის“ შემდეგ შემოღებულ ე. ს. სამუშაო დღის წართმევასაც ლამობდნენ. მდგომარეობა თანდათან მწყავდებოდა.

სოციალ-თათართა ხოცვა-ჟლეტა ამ ხნის განმავლობაში დრო გამოშვებით მეორდებოდა. ჩქარა თბილისის ახლოც სისხლის ღვრა დაიწყო. სისხლის მორევი პირველათ „შეითან-ბაზარს“ ემუქრებოდა, ხოლო იმის შემდეგ მუშათა უბნებს და რკ. გზასაც. ამ ამბავის გაგებაზე შუა დღე იყო, რომ მთავარ სახელოსნოს საყვირის საშვალებით მუშაობა ყველას შევაწყვეტინეთ. ნაძალადევში დიდი მიტინგი გავმართეთ, და შემდეგ მწყობრათ „შეითან-ბაზრისაკენ“ მივაშურეთ. რამდენიმე ათასი მუშა მიგვყვებოდა. გზაში სხვა წარმოებების მუშებიც შემოგვეიერთდა. სომხური „სარკეოლიუციო“ დაშნაკების პარტია სომეხ მუშებს ჩვენთან წამოსვლას უშლიდა. შეითან ბაზრის მაღლობ ადგილზე თავმოყრილ თათრებთან ერთად დიდი მიტინგი გავმართეთ. ისიდორე რამიშვილის მოკლე სიტყვის შემდეგ მოვითხოვეთ გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც უნდა განემარტა ჩვენთვის, თუ რა ზომებია მიღებული დაწყებულ ხოცვა-ჟლეტის ჩასაჭრობათ და მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცდენათ თბილისში. ერთი საათის შემდეგ გამოცხადდა ვიღაც გენერალი (გვარი არ მახსოვს) და აგვიხსნა, რომ „თბილისში ხოცვა-ჟლეტა აშორებულია და სხვა ქალაქებში და მაზრებშიაც გაგზავნილია გამაფრთხილებელი რაზმებიო“ და ხალხს მოუწოდა თანამშრომლობისაკენ. მიტინგი დაღამებულში დაიშალა იმ შინაარსის რეზოლიუციის მიღებით, რომ მოუწოდეთ ყველა მცხოვრებთ, ყველა ეროვნებისას, რომ სომეხ-თათართა ურთიერთის სიძულვილზე აგებულ პროვოკაციას არ წამოგებოდნენ და ყოველ ღონისძიებით დაეცვათ მშვიდობიანობა. აგრეთვე მოეთხოვა მთავრობას გადამჭრელი ზომების მიღება სისხლის ღვრის დაუყოვნებლივ შესაწყვეტათ.

ამ ზომების მიუხედავათ თბილისში სალდათის ბაზარში სისხლი მაინც დაიღვარა. ჩქარა სისხლის ღვრა სომეხ-თათართა უბნებსაც მოედო.

ს. დ. მენშევიკებს მაშინაც სირბილე, ოპორტუნისტობა ეტყობოდა. ჩვენ ვიცოდით, რომ თვითმპყრობელობა თვით აწყობდა ხოცვა-ჟლეტას, მაგრამ მიტინგზე გამოსული ხელმძღვანელი მენშევიკები ამას მთელი სიმკაცრით არ უსვებდენ ხაზს. პირიქით, ისინი მთავრობის დაპირებებს უჯერებდნენ. კერძოთ ხოცვა-ჟლეტის ჩაქრობას შესაძლებლობას სთვლიდნენ მისი დახმარებით. ამ გარემოებამ ჩვენში, მოუნაზე მუშებშიაც, უკმაყოფილება გამოიწვია. უკმაყოფილებამ

უფრო მეტად იჩინა თავი, როდესაც ს. დ. მენშევიკები დასთანახმდენ თბილისის პოლიციმეისტერს ცისისაგან 500 თოფის მიღებაზე. ნაძალადევში შეკრებილ მორწინავე მუშების თათბირზე ბევრი ამხანაგი წინააღმდეგი იყო პოლიციიდან თოფების მიღებისა. მაგრამ რამიშვილის დაჟინებითი მოთხოვნით იმ პირობით დასთანახმდნენ, რომ ამ იარაღით მუშებს უნდა დაეცვათ მხოლოდ მუშათა უბნები. გარდა ამისა, ამხ. არაჭელას წინადადებით დაწყნარების შემდეგ თოფები მთავრობას არ უნდა ჩაბარებოდა. ეს უკანასკნელი პირობა-კი მთავრობას არ უნდა სცოდნოდა.

ამის შემდეგ დროებით მოზიდული თოფები ნაძალადევში ხავთასის სახლიდან ათისა და ასის თავების საშვალებით მუშებს დაურიგეთ. ბევრი უბრალო მოქალაქე ამბობდა, რომ „ს. დ. მთავრობას შეურიგდაო". შეიარაღებული მუშები სოფებ თათართა უბნებში მთელ კვირაობით წესიერების აღსადგენად იბრძოდნენ. აუარებელი გადაცმული პოლიციელი და პროვოკატორი იქნა დაპატიმრებული, რომლებიც ქალაქის თვით-მართველობასთან არსებულ შერეულ კომისიაში მიყავდათ.

ამ საქმემ ბევრი საუკეთესო ამხ. მუშები შეიწირა. ნაწილი სროლაში მოჰკლეს და ნაწილიც უგზო-უკლოთ დაიკარგა. სტურუა (რომელიც მოკლეს) და ტორიკაშვილი (რომელიც დაიკარგა) ორივე რკ. გზელი მუშები იყო.


თვითმპყრობელობამ ეს კიდევ არ იკმარა. ჩქარა გავრცელდა ხმა მუშათა უბნებში „კრამოლნიკების" ამოკლეტაზე. ღამ-ღამობით იწყეს ეგრეთ წოდებულ „საეჭვო" სახლებზე ნახშირის წასმა. ეს ამბავი მუშათა უბნების დაცვას მოითხოვდა.

მუშათა დრუჟინები რიგ-რიგობით ვდარაჯობდით. ხშირად დიდუბეში მიხდებოდა დარაჯობა, სადარაჯოთ დანაწილება ამხ. ჯორჯიაშვილის ხელმძღვანელობით ხდებოდა. ჩვენ რევოლვერებით და ბომბებით ვიყავით შეიარაღებული. ხოლო ვინც ბომბების მოხმარა არ იცოდა, იმას ბომბებს არ აძლევდნენ.

დიდუბის დაცვაში შემდეგი ახხანაგები მახსოვს: ცეროძე, ბუაძეები, ფოცხვერიები და რამოდენიმე რუსი ამხანაგებიც იყო, რომელთა გვარები არ მახსოვს.

1905 წ. დეკემბერში ამხ. მინტინის ბაქოდან ჩამოსვენებას აუარებელი მუშები დაესწრო. ამხ. მონტინის მუშაობა და სახელი ისე დიდი იყო; (ის პარტიულ ყრილობაზე იყო არჩეული) რომ სრულიად არ იყო გასაკვირველი ის უთვალავი გვირგვინები, რომელიც ორგანიზაციებიდან და ფაბრიკა-ქარხნებიდან იყო მოტანილი.

1905 წლის მეორე დიდი გაფიცვა დეკემბრის შუა რიცხვებიდან დაიწყეთ რკ. გზაზე მთელი რუსეთის მასშტაბით. ერთნაირი



ეკ ოქტომბრის აბზაცი ტფილისში. დემონსტრაცია ზოგიერთ კინაზ ლე ცხენოსნებს 1-ლ გიმნაზიის წინაშე.

მოთხოვნილება იყო წარდგენილი. ამ მოთხოვნილებებში 8 საათის სამუშაო დღესთან და სხვ. „სახალხო წარმომადგენლობის"—„დამფუძნებელი კრების" მოწვევაც იყო. ეს მოთხოვნილებები პატარა წინგაკებათაც იყო დაბეჭდილი და ხელს აწერდა „სრულიად რუსეთის რკ. გზების კავშირის ცენტრალური ბიურო".

თბილისში რკ. გზელთა გაფიცვის ც. კომიტეტში არჩეულნი იყვნენ: ს. დოლიძე, ბუნტური, ტ. არუთინოვი, გალუსტოვი, დომროვსკი და სხვა. ხელოსნებიდან კომიტეტში შედიოდნენ: ს. აზმაისპარაშვილი, პ. წულაია და იროდი ბოლქვაძე. გაფიცვა რკ. გზიდან ყველა წარმოებებზე გადავიდა. გაიფიცა თამბაქოს ფაბრიკები, იარალოვის ქარხანა, დადგა ტრაქვაი, გაიფიცნენ ნოქრები, „ხელზე მოსამსახურეები, მეეტლეები და ბოლოს მეპურეებიც. შესწყდა მაჯის ცემა თბილისში. ამას მოყვა სხვა ქალაქების გაფიცვაც. რკ. გზის კომიტეტი გაფიცვას ბრწყინვალეთ ატარებდა. მან მატარებლების მიმოსვლა და სადგურების მუშაობაც შესწყვიტა.

გლეხთა მოძრაობაც თანდათან ძლიერდებოდა. გლხეობა მიწით დაკმაყოფილებას მოითხოვდა. ამ ნიადაგზე ბევრ ადგილას მეშაულეებთან შეტაკებაც ხდებოდა. თავად-აზნაურობამ „შაი რაზმების" შედგენა იწყო. თავად-აზნაურების რაზმები პირველ ყოვლისა ქალაქიდან სოფელში ჩასულ მუშებს ებრძოდა, რადგან გლეხების აჯანყების მიზეზათ მუშებს სთვლიდნენ. გლეხთა მოძრაობაზე მხოლოდ კანტი კუნტათ იწერებოდა გაზეთებში. უფრო სწორ ამბებს ქართული ჟურნალი ბოლშევიკური „მოგზაური" გვატყობინებდა, მაგრამ, ის კვირეული იყო.

ასეთმა ერთსულოვნებამ საყოველთაო გაფიცვამ და გლეხთა მოძრაობამ მთავრობა ჩააფიქრა, მან გაფიცულთა შეკავშირებულ ძალას „ჟეშძარიტ რუსთა" კავშირის ძალა დაუპირდაპირა. ამ უკანასკნელებმა როგორც რუს მუშებში, ისე ქალაქის სხვა მცხოვრებთა შორის პროვოკაცია იწყეს: „ქართველებს თავის საკუთარი მეფე სურთ, რუსები არ უნდათ და მათ ხოცვენო". ყველა ჯურის პროვოკატორები და რეაქციონერები მათ შეუერთდა. „ეროვნული დემოკრატებიც" არ ჩამორჩენია; ეს უკანასკნელები მთელ ქალაქში ავრცელებდნენ ხმებს: „ს. დ. დემოკრატებს" მცხოვრებთა შიშნილით ამოწყვეტა სურსო". მთავრობა ჯარებს აჯგუფებდა დამსჯელი რაზმისათვის: „ჟეშმარიტ-რუსთა კავშირიდან" და რკ. გზელ ბათალიონებიდან გაფიცვის გამტეხებს „შტრეიკბრეხერებს" აგროვებდა. „შტრეიკბრეხერები" საშუაოზე ღამ ღამობით დადიოდნენ და ღვითი კი იქ რჩებოდნენ. მათ ჩვენი ძლიერი ეშინოდათ და ჯანდარმების მფარველობის ქვეშ მუშაობდნენ. დეპოში მომუშავე „შტრეიკბრეხერების" დაზვერვის დროს მე და ამბ. გ. კაკაბაძე ჯანდრებმა დაგვატყვევეს

და სადგურის საკომენდატოში სამი დღის დაკავების შემდეგ გაგვიშვეს.

მიუხედავად მთავრობის ასეთი სიმკაცრისა, გაფიცვამ ორ კვირამდე გასტანა. რკ. გზის ქანდარმერია აიძულა გაქცეულიყო. გაფიცვის კომიტეტის განკარგულებით მხოლოთ „სადელეგატო“ მატარებლები დადიოდა. ცენტრიდან ცუდი ხმები მოდიოდა. გაფიცვა მარცხდებოდა. გაფიცვის კომიტეტისა და მოწინავე მუშების კრება შესდგა ნაძალადევში მაგისტრალის ჭუჩაზე თავისუფალ ეზოში. ამ კრებას ნ. ჟორდანიაც დაესწრო. კრებას იგი ხელმძღვანელობდა. იქ გადაწყდა მთავარ სახელოსნოში და დეპო-პარკში გაფიცვის მოხსნა, ხოლო მოძრაობისა და წევის დარგის გაფიცვის გაგრძელება. ამ უკანასკნელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ ილაშქრებდა რკ. გზის „ახალი უფროსი“ ს. დოლიძე, მაგრამ ამ დარგებში გაფიცვის გაგრძელებას დაჟინებით მოითხოვდა მოშენტი; საჭირო იყო მთავრობისთვის ხელის შეწყლა დამსჯელი რაზმების გადაყვან-გადმოყვანის საქმეში.

ჯარების მიერ თბილისის სადგურის და დეპოს აღების დროს მემანქანე ამხ. ი. გალუსტოვმა დეპოს ვეურიდან ცხელი ორთქლმავალი „კრუგში“ გადაუშვა. ამით დროებით გაკავდა დეპოდან ორთქლმავლების გასაყვანი გზა. ჩვენი წითელი რკინისგზელი რაზმელები ხშირად აფუჭებდნენ ლიანდაგს, რათა შეეფერხებინათ ალიხან-ავარსკისა და სხვა დამსჯელი რაზმების მატარებლები. გაფიცვის დამარცხების შემდეგ მთავრობას უფრო გაუადვილდა „შეამბოხეთა ბუდეების“ დარბევა, როგორც ის ეძახდა მუშათა უბნებს.

23 დეკემბერს ღამით ამხანაგებს დიდი შეტაკება მოუხდათ იუნკრებთან და ყაზახებთან დიდუბის, შერემეტიევისა და ელისაბედის ჭუჩების შესახვევში. იუნკრები და ყაზახები არტილერიით ებრძოდა უბნის მცველ ამხანაგებს. ამ ადგილის ახლო, ზარბაზნების ყუმბარებით ორი სახლი დაზიანეს და ბევრი შიგ მდგომი მცხოვრებნი დახოცეს. ამხანაგებმა ზარბაზნებზე იერიში მიიტანეს და ამ დროს მოკვდა ამხ. „რიგა“ (გიორგი) უფრო მეტი მსხვერპლი ყაზახებმა და იუნკრებმა იგემეს. ეს იმიტომ მოხდა, რომ მთავარიანი ღამეში ჩასაფრებულ ამხანაგებს უკეთესი პოზიციები ეკავა. მტერი-კი ამ დროს ღია ჭუჩაში იყო.

ნაძალადევის მცველ – ჩვენი „დრუჟინის“ მეორე კოლონას პლასტუნებმა ჩერქეზოვის ჭუჩით გზა გადაუჭრეს და ნაძალადევის ბოლო მხებში მოამწყვდიეს. აქ შავრაზმელების ამ ბრაწვასთან გმირულ ბრძოლაში 9 საუკეთესო ამხანაგი დაეცა. ერთიც მძიმედ დაიჭრა. გადარჩენ მხოლოდ კამო, გაგნიძე, სუხიშვილი და ტიტვინიძე.

რეაქცია თანდათან ძლიერდებოდა. დეპოსა და სახელოსნოში იწყეს მუშების შერჩევა „პოლიტიკური კეთილსაიმედობის“ მიხედვით. სამსახურიდან დათხოვნის საქმეს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ კომისიები ხელმძღვანელობდნენ. დეპოს კომისია ბრიგადირი—მანდრიკინის და ზეინკალი იაკოვენკო—ვალიანსკის შემადგენლობით მუშაობდა. დეპოს ადმინისტრაციიდან თანაგვიგრძნობდა უფროსის თანაშემწე—**რანხოდი**. შპიგანოვიჩის წასვლის შემდეგ ლიბერალობდა დეპოს უფროსი ბიჩიკიანცი ამ ხანებში მთელ საქართველოში ცეცხლითა და მახვილით დათარეშობდნენ გ. ალიხანოვ-ავარსკისა და სხვა გენერლების რაზმები, რომელთაც ხელმძღვანელობდა გრიაზნოვი. ომის ისტორიასაც არ ახსოვს ისეთი განადგურება, რაც საქართველოში მეფის ჯალათებმა ჩაიდინეს. მოსალოდნელი იყო უფრო მეტიც, რომ ამხ. ჯორჯიაშვილის ძაღლად ხელს გრიაზნოვი არ მოკლა. გენ. გრიაზნოვი მუშათა უბნების „სამხედრო“ დარბევასაც ამირებდა. საქმე იქამდე მოვიდა, რომ ქუთაისის გუბერნატორი სტაროსელსკი გააყენეს და თბილისშ გამოიწვიეს. მის მატარებელს, რომელიც თბილისის სახელოსნოსთან შეჩერდა, მთავარ სახელოსნოსა და დეპოს მუშები თანაგრძნობით შეხვედით. მუშების სახელით ამხ. არაქელამ მას გრძნობიერი სიტყვით მიმართა. სტაროსლავსკის მადლობა გადაგებადა და შეგვპირდა მშვიდობიანი გზით წესიერების დაცვას.

ყაზახების ზოგიერთ ნაწილებშიაც შეანთა რევოლიუციამ: დ. სამტრედიაში მდგომი ყაზახების ორი ასეული მთავრობამ დარბევის საქმეში ვერ გამოიყენა. უარის თქმის შემდეგ მათ იარაღი აყარეს და ღამით რუსეთში გადაგზავნეს. რკ. გზაზე თანდათანობით სასტიკი რეჟიმს ამყარებდნენ. 1905 წ. რევოლიუციის შემდეგ რეაქციის გაძლიერებას დიდი საფუძველი მაინც არ ჰქონდა. ხალხის ფართო მასსა მას დროებითად სთვლიდა. 1906 წ. შემოდგომისას ჯარში ახლების გაწვევის დროს ქ. ქუთაისში დიდი დემონსტრაციის მოწყობა—ჩატარებით და დაფიცების ჩაფუშვით მთავრობას დავანახვეთ, რომ მისი საქმე არც ისე კარგათ იყო. თვით ქუთაისის სადგურში, სადაც წითელი დროშებით მშვიდობიანათ მოველით, ახალგაწვეულებმა ჯანდარმერიის წინააღმდეგობისათვის სცემა იარაღიც ჰპყარა. ამისათვის გარშემორტყმულმა ყაზახებმა ოცდა ხუთამდის ახლები დაგვაკვეს. სპოლიციო უბანში გადაყვანის დროს კიდეც გვცემეს, მაგრამ ერთი რამ მაინც აშკარა იყო: ეს ის, რომ „მეფისა და სარწმუნოების“ ერთგულ ჯარს ის რეაქციის დროსაც ვერ შეკრეფდა.

1905 წ. რევოლიუციამ ყველაფერს დიდი დაღი დაასვა. ყველა ხედავდა, როგორც მტერი, ისე მოყვარე, რომ ის იყო მასიური, ხალ

ხური და ადრე თუ გვიან ხალხი გაიმარჯვებდა. ძალთა განწყობილება და მუშათა და გლეხთა სულისკვეთება საკმაოთ გამოირკვა.

ასე არ მსჯელობდნენ ს. დ. მენშევიკები, მათ ავიწყდებოდათ მუშებისა და გლეხების სულისკვეთება. ისინი უჯრო ლიბერალური ბურჟუაზიისა და „სახელმწიფო სათათბიროს“ მაჯის ცემაზე ეყრდნობოდნენ.

სწორეთ ამ ხანებში ჩამოშორდა მათ მუშათა მოწინავე ნაწილი. სწორეთ ამ ხანებიდან გაასწრო მათ რევოლიუციის ისტორიამ, და ბოლოს, როგორც ვიცით, მთლათ გარიყა და ბურჟუაზიის კონტრრევოლიუციონურ ბანაკში საბოლოოთ გადაისროლა. მაშინაც-კი, როდესაც მათ მშრომელი მასის უმრავლესობა უჭერდა მხარს ე. ი. 1905 წ. ჩვენში ისინი სათანადო ნიჭსა და ენერგიას ვერ იჩენდნენ რევოლიუციაში.

ბოლშევიკები უმცირესობას შეადგენდენ. ისინი იძულებულნი იყვნენ — საერთო ხელმძღვანელობას დამორჩილებოდნენ და შეგნით ამათუ იმ კითხვის ირგვლივ კამათით დაკმაყოფილებულიყვნენ. საერთოდ ს. დ. რღვევის ხანა რეაქციის დღეებიდან დაიწყო. სწორი პროლეტარული და მარქსისტული გეზი მხოლოდ ბოლშევიკურ ს. დ. შერჩა. მხოლოდ ბოლშევიკები აწარმოებდნენ რევოლიუციონურ აგიტაცია-პროპაგანდასთან ერთად ფარულ ორგანიზაციულ მუშაობას.

ბოლშევიკების მიერ 1905 წ. რევოლიუციის გაკვეთილების და შედეგების სწორმა დაფასებამ და ხელმძღვანელობამ რუსეთის ყოფილი იმპერიის მუშათა კლასი და გლეხობა 1917 წ. ბრწყინვალე გამარჯვებამდე მიიყვანა.

ამაზე პარტიის საქვეყნოთ გაძლიერება და რუსეთის რევოლიუციის გაკვეთილებისა და შედეგების სწორი შესწავლა-დაფასება ლენინიზმის გზით მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს გამარჯვებას მოუპოვებს!

ნ. ლეჟავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წლის 18 დეკემბერი ნაძალადევში.

17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ სოც. დემ. ორგანიზაცია გვაჟალებდა მოწინავე მუშებს შეგვედგინა მებრძოლი რაზმები და ასე, საჭიროების დროს, იარაღით ხელში გამოვსულიყავით.

ერთი ასეთი დავალება მეც მხვდა. მე შევდიოდი 1 რაიონის კომიტეტში ორთქლ.მავალების მემანქანეთა გუნდიდან. მემანქანეების გუნდიდან უნდა შემედგინა მებრძოლი წითელი რაზმი. შევადგინე სია ორმოცდა-ათამდე კაცისა და როდესაც იარაღი მოვითხოვე, შტაბმა უარი მითხრა არ ქონების გამო. რაზმელებს (რამდენიმე კაცს) დაუწერიგე ნათხოვარი რევოლვერები, ამას გარდა საყუდის კანტორიდან ღამე გამოვიტანე ათი „ბერდენკა" თავისი ტყვიებით. ეს თოფები მოეტანა მემანქანე სოლომონ დოლიძეს მემანქანეებისათვის დასარიგებლათ. ამის შემდეგ ნათხოვარი რევოლვერები პატრონთ დაუბრუნე. მხოლოთ სიაში ვინც იყვნენ ჩაწერილები, დავიბარე და აუხსნენი, რომ ისინი მეორე დღეს მიიღებდნენ იარაღს. ამასთანავე ავუხსენი, თუ როგორ იხმარდნენ და რა დროს. მეორე დღეს გამოცხადდენ მხოლოდ მემანქანის თანაშემწეები თბილისის საყუდიდან: 1) მიშა ტატვინიძე, 2) ელიზბარ გაგნიძე 3) ვასო ტვარაძე. 4) გალაქტიონ ძაგნიძე 5) ვასო კაპანაძე—რ. გზის მთავარ სახელოსნოს მჭედლის ჩაქუჩის დამკვრელი, 6) ვანო ხუცურაული,—ზენიკალი რკ. გ. თბილისის საყუდისა, 7) სერგო მარცვალოვი—მელითონე 8) ლუკა ელბაქიძე—რკ. გ. მთავარ საწყობის მუშა, 9) გერმანე დვალი—ზენიკალი რონოდების დარგიდან რკ. გ. მთავარ სახელოსნოსი, 10) ტუხა ლაზარეშვილი, სოფ მუხრანის გლეხი (შტაბმა დაგვიმატა), 11) მინა კალაძე—მუშა ასოთამწყობი, 12) გიორგ ელიავა —ზენიკალი კერძო ქარხნიდან, 13) გრიგოლ ჯაში, 14) პეტრე ცინცაძე—რიხნერის ქარხნიდან (ბათუმში); 15) ილიკო ნინიძე—რკ. გზის მთავარ სახელოსნოს ხარატი. თერთმეტი კაცი თოფებით იყო შეიარაღებული და ხუთი—ბომბებით. შტაბში მოვიდა ცნობა, რომ „17 დეკემბერს საღამოთი ადგილობრივი ხულიგნები აპირებენ ნაძალადევზე (ლენინის უბანი) დაცემას და „პოგრომის" მოხდენასო". ეს მიიღო შტაბმა მხედველობაში. მე, სანდრო მაისურაძე (მეთუნუქე-ტელეგრაფის ფარეხში რკ. გზაში მუშაობდა) და ოსი კოტე ყაზიშვილი (მუშაობდა რკ. გზის მთავარ სახელოსნოში მექვაბეთა ამქარში) ვიყავით დანიშნულები რაზმების უნეროსებათ. თითოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვებარა 40—50 კაცამდე და 15 დეკემბრიდან დაწყებული გამუდმებით ვმორიგეობდით. მხოლოდ 17 დეკემბერს ყველანი გამოველით სადარაჯოთ როგორც ტფილისელნი, აგრეთვე სოფლიდან ჩამოსულებიც. მე შემხვდა წილათ სადარაჯოთ ალაგი ხუდადოვის სახლობის ბაღში (უმთავრეს სადარაჯოთ ის ჩაითვალა) იმ მოედნის თავზე, სადაც მაშინ მიტინგები იმართებოდა და საიდანაც ხუდადოვის ქუჩა იწყება. ხულიგანების გამოსავლელი გზა იქ იყო, ამიტომ ჩვენც იქ ვიყავით ჩასაფრულები.


სანდრო მაისურაძის რაზმი იყო რეზერვში, სასწავლებლის შენობაში დაბინავებული.

ოსი კოტე ყაზიშვილის რაზმი კი ლოთქის გორის უბანში. ჩვენი მიზანი იყო, რომ მუშათა უბანი გადაგვერჩინა განადგურებისა და აწიოკებისაგან.

ძალების განაწილების დროს მე გადმოვითვალე შემდეგი ამხანაგები: 1) მიშა ტიტვინიძე, 2) ელიზბარ გაგნიძე 3) ვასო ტვარაძე 4) გალაქტიონ ძაგნიძე, 5) ვასო კაპანაძე 6) ვანო ხუცურაული, 7) სერგო მარცვალოვი, 8) ლუკა ელბაქიძე 9) გერმანე დვალი, 10) ტუხა ლაზარეშვილი, 11) მინა კალაძე, 12) გიორგი ელიავა, 13) გრიგოლ ჯაში, 14) პეტრე (იესე) ცინცაძე და 15) ილიკო ნინიძე. დანარჩენი კი გაუნაწილეს ოსი კოტეს რაზმს და სანდრო მაისურაძეს. სამნი ახალგაზრდები—მელქო ბურჯულაძე, ლადო სუხიშვილი და გარსო მამაცაშვილი გვეხვეწებოდნენ ძალიან, რომ ჩვენ წითელ რაზმში მიჰყოლოდნენ, მაგრამ არ წავიყვანეთ, ვინაიდან ძალიან პატარები იყვნენ. შემდეგ გავიგე, რომ ისინი იმ ღამეს არ მოსცილებიან სადარაჯოს. შებინდდა თუ არა 17 დეკემბერს, უკვე ჩვენს ალაგებზე ვიყავით.

მთელ ღამემ მშვიდობიანათ გაიარა. გათენებას რომ იწყებდა, მივიღეთ ცნობა, რომ დიდძალი ჯარი და ყაზახები შემოდის ნაძალადევზეო. ჯარს ალყა შემოერტყა რკინის გზის ხიდთან მდგომ რაზმელებისთვის და სანამ შიკრიკი ამბავს მოგვიტანდა, უკვე მოესწროთ ორი სამთო ზარბაზნის და ორი ტყვიამფრქვეველის დადგმა მოედანზე. ჩვენ განკარგულება გვჭონდა შტაბიდან, რომ სალღვთებისთვის არ უნდა გვესროლნა. ეს ამბავი მე ვაცნობე სანდრო მაისურაძეს, იმან გაიყვანა სასწავლებლის შენობიდან რაზმი და სადღაც მიიმალა. ამ დროს ჩემი რაზმი დაწყო შუა ბაღში. ჯარმა რა შეამჩნია ჩვენი ტყეში ყოფნა, დაგვედევნა. შუა ბაღს გავცდით. რაზმმა დაიხია მარცხნით. ვცდილობდი რაზმის ჩქარა შემოყვანას უბანში. ვინც გამიგონა, ყველანი სახლებში მიემალე, ვინც არა,—ისინი პირდაპირ მიდიოდნენ აღმოსავლეთისკენ. მათ ჰგონებოდათ, რომ წინ არაინ შეგხდება და გაეალთ მშვიდობიანათო. ჩემთან წამოსულნი

1905 წლის დეკემბრის 18-ს ნაძალადევში დახოცილი მუშები:



2) გიორგი ელიავა 1) ვასო თევარაძე 3) მინა კალაძე
4) გრიგოლ ჯაში. 5) ტუხა ლახარეიშვილი 6) გერმანე დვალი
7) პეტრე (იესე) ცინცაძე 8) ვანო ხუცირაული 9) ილიკო ნინიძე.

ყველანი მშვიდობიანად გადარჩნენ. მოგვიხმარინენ მცხოვრებელები, მაგალითად კოსტა ბაიტაშვილმა (რომელიც დღესაც მუშაობს თფილისის საყუდის ფარეხში რონოდების გამშინჯავათ) გავედიო ეზოს კარი და ხუთი კაცი შეგვიყვანა სახლში, იქვე მოგვეხმარინენ ტანისამოსის მკერავები ძმები ხაფთასები იარაღის შენახვაში. თუ რომ ამხანაგ კოსტა ბაიტაშვილს არ შევეყვანეთ სწრაფად სახლში, ჩვენ ჯარს ჩაუვარდებოდით ხელში. ბატაშვილის სახლიდან ნახევარ საათის შემდეგ წამოველით ქვევით. დამხვდა ვასო ნარიმანიძე (მეთუნუქეა ტფილისის საყუდში), რომელმაც აღარ გამიშვა, ამ დროს ქვეით უბანში, რომელიც ცენტრად ითვლებოდა, ჩხრეკა-დაპატიმრება ყოფილიყო.

დილის 8 – 9 საათი იქნებოდა, რომ მომესმა სამხედრო საყვირის ხმა. მოგროვდნენ ყაზახები და სალდათები. ჯარს ბრძანება მისცეს უკან, ქალაქში, წასვლისა, პატიმარნი გაანთავისუფლეს; მცირე ნაწილი ჯარმა თან წაიყვანა.

ჩვენ ნელ-ნელა აქა-იქიდან გამოვჩნდით, ატყდა ჩოჩქოლი. დავინახეთ გალაქტიონ ძაგნიძის დედა, რომელსაც მისდევდა ჩვენთან მოდარაჯეთ მყოფი იმ ღამეს სონა ნაცვალოვის ქალი (ჰოწყალების და). მიეღოთ წერილი გალაქტიონისაგან ტყის მცველის საშველებით, თხოულობდა შველას, პრილობების შეხვევას. მრავალი მუშა წავიდა. წაველი მეც.

რა ვნახეთ: გავიარეთ რამდენიმე მანძილი. ვნახე, მოკლული ეგდო გიორგი ელიავა, შემდეგ ვნახეთ გალაქტიონ ძაგნიძე ორი ჭრილობით. დამინახა თუ არა, მაშინვე მითხრა: რატომ არ გაგიგონეთ. ჩვენ გვეგონა, რომ თავისუფლად გავიდოდით ტბებისკენ, ჩვენ კი ყაზახებს შევეფეთენით და მოგვიხდა სროლაო. ამ დროს გული შეუღონდა. ჩემ მისვლამდე მისთვის უკვე შეეხვიენათ ორივე ჭრილობა. დაუდეს ამხანაგ მუშებმა საკაკეზე და ჩამოიყვანეს რაზმელების სამკურნალოში, რომელიც გამართული იყო რკინის გზის ელექტრონულ სადგურის უკან. იქ წინეთ სასწავლებელი იყო. ასევე ეხოვნათ მეორე დაჭრილი გერმანე დვალი, რომელიც სამკურნალოში მეორე დღეს გარდაიცვალა. ჩაველი ძირს ხევში, წყაროსთან, სადაც ბრძოლა ჰქონდა გამართული ჩვენს ამხანაგებს ყაზახებთან. რვა ჩვენი ამხანაგი ეყარა დახოცილი. ტუხა ლაზარაშვილის გარშემო ბევრი ცარიელი გილზი ეყარა, ასე სხვებთანაც. ყველანი ვიცანი, რომ ლებსაც სულ რამდენიმე საათის წინ დავშორდი, ესენი იყვნენ: 1) ტუხა ლაზარაშვილი, 2) გიორგი ელიავა, 3) ვასო თევარაძე, 4) პეტრე ცინცაძე, 5) მინა კალაძე, 6) ილიკო ნინიძე, 7) გრიგოლ ჯაში, 8) ვანო ხუცურაული. დახოცილები გადმოზიდეს და დაასვენეს სასწავლებელში, მეორე დღეს გერმანე დვალიც მოასვენეს სამკურნალოდან. ცოცხლები გადარჩნენ: 1) ვასო სუხიშვილი, 2) მიშა ტიტვინაძე, 3)

ელიზბარ გაგნიძე, 4) გალაქტიონ ძაგნაძე (ორი თვის შემდეგ ჭრილობები მთლად მოურჩა, 5) ლუკა ელბაქიძე, 6) ვასო კაპანაძე (1919 წელში, გარდაიცვალა ტიფით) და 7) სერგო მარცვალოვი (1906 წ. მას თავისი ამხანაგით მიჰქონდათ ბომბები ეტლით. ის შეაჩერეს ავლაბარში, დაპატიმრეს მენგრელსკი პოლკში, აწამეს და რადგანაც საიდუმლოება არ გასცა, გაგზავნეს მეტეხში და გზაში მოჰკლეს).

იმდროინდელ თანამებრძოლ ამხანაგებიდან: 1) გარსო მამაცოვი 1907 წელს მოკლულ იქნა ხულიგან პოორიშკინზე (ცალხელა) თავდასხმის დროს, 2) ლადო ყაზიშვილი 1907 წელს ტერორისტული აქტის შესრულებისათვის დაპატიმრეს და გაგზავნეს ციმბირში, დღესაც არ ვიცით, სად იმყოფება, ან ცოცხალია თუ არა. 3) რამანა (მცხეთელი) და 4) კაკაბაძე (მემანქანის თანაშემწე ტფილისის საყუდლისა სადგურ ევლახის მახლობლათ ტერორისტულ აქტის შესრულების დროს მოუხდათ ბრძოლა ყაზახებთან, სადაც ორივე იქნენ დახოცილნი. 5) კოტე ყაზიშვილი 1918 წ. გაზაფხულზე ცხინვალში მოჰკლეს გიორგი მაჩაბელთან და სანდრო კეცხოველთან ერთად. 6) სანდრო მაისურაძე მოჰკლეს სომხებთან შეტაკების დროს 1918 წ. 7) მელქო ბურჭულაძე, მოჰკლეს 1918 წელში ინგლისელებმა სადგურ ტფილისში, 8) ლადო სუხიშვილი ამ ჟამად ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარეა.

მემანქანე **ვასო წ. სუხიშვილი.**

სოფელ მჭადიჯვარის (დუშ. მაზ.) აჯანყება 1905 წ.

1905 წელს მჭადიჯვარში ბატონობდა გოგია მაგრატიონ-მუხრანსკი. მთელი სოფლის გლეხობა იმყოფებოდა მის ბრჭყალებში, ის სოფლს უხუთავდა ყოველის მხრიდან გაძვალტყავებულ გლეხობას.

მჭადიჯვარის გლეხობის უმცირესობას არ ჰქონდა საკუთარი სახნავი მიწები, არც ვენახები, ნაწილი გლეხობისა ყმები იყვნენ, ნაწილიც ხიზნებათ; ყმებს კიდევ ჰქონდათ ცოტაოდენი ნადელები. როდესაც მოხნავდენ მიწებს და დაამუშავებდნენ, მეოთხედი მოსავლისა უნდა მიეტანათ ბატონისთვის, თუ ეინიცობაა ბატონს დასჭირდებოდა მუშა ხელი თავის საქმე უნდა გაეწია და წასულიყო სამუშაოთ მასთან. გარდა ამისა, გლეხების არც საქონელს უშვებდენ მინდვრებში საძოვარზე. ხიზნები უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდენ, იმათი მოსავლიდან ნახევარი მიქონდა ბატონს და ისინი ზედმეტ ბეგარაზედაც გაჰყავდა.

1905 წლამდე გლეხობას ეგონა, რომ ამნაირი წყობილება დამყარებულია ღვთისაგან და მისი შეცვლა არ შეიძლებაო, მაგრამ დაიწყო თუ არა რევოლიუცია, გლეხობაც გამოფხიზლდა.

მუხრანსკი წინათვე გრძნობდა, რომ მჭადიჯვარის გლეხობის აჯანყება მას არ ასცდებოდა და ის ადრევე შეუდგა მზადებას აჯანყების ჩასაქრობათ. გამოიწვია ტფილისიდან ერთი ასეული ყაზახთა ნაწილი და ერთი ასეული მინგრელსკი პოლკის ჯარისკაცები და ჩააყენა თავის სახლებში. ჭადიჯვარის თემისთვის დიდ ძალას წარმოადგენდა ორი ასეული იმ დროს. გლეხებს, გარდა კეტებისა და ქვებისა არ მოეპოვებოდათ რა, მაგრამ მიუხედაათ ამისა გლეხებს სრულებითაც არ აშინებდა ბატონის ყაზახები.

რამ გამოიწვია აჯანყება, რას მოითხოვდენ გლეხები ბატონისაგან?

როდესაც 1905 წელს ყანები დამკეს გლეხებმა და ათეულათ დადგეს ძნები, ელოდებოდენ თუ სხვაგან როგორ გათავდებოდა მეოთხედის გადახდის საქმე, ამის გამო გლეხობაც აგვიანებდა ძნის ზიდვას კალოებზე. რასაკვირველია, ბატონს არ ესიამოვნა გლეხების ასეთი ქცევა და ერთ კვირა დღეს დაიბარა თავის ეზოში მთელი სოფლის გლეხობა და მუქარით გამოუცხადა მათ, რომ მეოთხედი აუცილებლივ მოეტანათ თავიანთი ურმებით, დაედგათ ბატონის ეზოში და თან გაელეწნათ, თორემ საქმე უსისხლოდ არ გათავდებაო

ასეთს გამოცხადებაზე გლეხობა თანახმა არ გაუხდა, ბატონს უარი განუცხადეს. უთხრეს: ჩვენ ვერ მოგიტანთ მეოთხედს, სანამ საერთოდ არ გადაწყდება საქმეო. გლეხების უარის თქმაზე გაცხარდა გოგია მუხრანსკი და წინადადება მისცა ყაზახთა ოფიცრებს, რათა ყაზახები გამოსულიყვნენ და აეძულებინათ გლეხები ძალით შეებეჭდინათ ურმები მეოთხედის მოსატანათ: ასეც მოიქცა ყაზახთა ოფიცერი: გამორეკა ყაზახები სოფელში, მაგრამ ხალხი სახლებში არ დაუხვედა, ხალხი გაიხიზნა, დაიმალა ვენახებში. ყაზახები იძულებულნი გახდენ თვითონ შეებათ ურმები და თვითონვე მოეტანათ მეოთხედი, მაგრამ რის წვალებით იმ დღეს ძლივს მიზიდეს ას ათეულამდის ძნა, რადგანაც ხარ-კამეჩებს და ქართულ ურმებს ვერ ხმარობდენ, ამისთვის მეორე დღეს მათ შეარჩერეს ძის ზიდვა.

როდესაც ყაზახებმა ძალმომრეობას მიმართეს, ამ დროს გლეხობამ თავი მოიყარა მიყრუებულ ადგილს (მჭადიჯვარიდან ერთი ვერსის მანძილზე) სახელდობრ, ახალშენის ვენახებში და შეუდგა მოწინავე ამხანაგების ამორჩევას, რომელნიც უხელმძღვანელებდნენ ბრძოლის დროს. მართალია, მათ არ ყავდა იმ დროს ისეთი მოწინავე ამხანაგები, რომელნიც მათ კარგათ მოუწყობდა საქმეს, მაგრამ იმ დროს გლეხობას არც კი აგონდებოდა საქმის კარგათ მოწყობა. გლეხები გამწარებულნი იყვნენ ბატონზე, აღარ იცოდენ როგორ მოქცეულიყვნენ. ოლონდ ჯავრი ამოეყარათ როგორმე, რომ მეოთხედი არ დაენებებინათ და სხვას არას დაგიდევდენ. ბევრი ლაპარაკის შემდეგ ამოირჩიეს მოწინავე ამხანაგები: 1) ლექსო მახარაშვილი, 2) შაო ჭარჩაიძე, 3) ბავრატ ბესუაშვილი, 4) გიგო დინუაშვილი, 5) გრიგოლ მელიშვილი. ესენი სოფ. მჭადიჯვარის მცხ. გლეხები იყვნენ. მათ იკისრეს ხელმძღვანელობა, მაგრამ ხალხს განუცხადეს, რომ მარტო მჭადიჯვარი ვერას გახდებოდა ბრძოლაში და ამიტომ შეუდგნენ მჭადიჯვართან მდებარე ახლო სოფლებში კაცების გაგზავნას, რომ კომლზე კაცი გამოსულიყო და მიეღოთ მონაწილეობა მჭადიჯვარლებთან ერთად ბრძოლაში. ამ მიზნით იყო ყრილობაზე გადაწყვეტილი, რომ თუ მჭადიჯვარი განთავისუფლდებოდა მეოთხედის გადასახადისაგან, მაშინ იმ სოფლებსაც ეშველებოდათ, რომლებიც მიიღებენ ბრძოლაში მონაწილეობას. გაგზავნეს კაცები ყველა სოფლებში იმ ღამესვე.

1905 წელს 5 აგვისტოს, გათენდა თუ არა, ხალხმა იწყო ყველა სოფლებიდან წითელი დროშით და სიმღერით და „გაუმარჯოს ჩვენს დღევანდელ ბრძოლას" ძახილით შეკრება. მიესალმნენ ერთმანეთს; დილიდგან დაწყებული შუადღემდის თითქმის უწყვეტლივ მოდიოდა ხალხი და უერთდებოდენ მებრძოლ რიგებს; მთელი მჭადიჯვარის ქუჩები გაივსო ხალხით, თითქმის სამმა ათასმა კაცმა მოიყარა თავი.

მონაწილეობა მიიღო შემდეგმა სოფლებმა: 1) წილკანმა, 2) ძალისმა, 3) ციხედავ, 4) მილის წყაროვ, 5) შუახევმა, 6) იღტოზა, 7) კოდის წყაროვ, 8) უსოვრისმა, 9) ლამის ყანამ, 10) თეზმა, 11) ოკამმა, 12) ოძისმა, 13) ჭილურტმა) 14) ებნისმა, 15) მთელმა გრემისხეების სოფლებმა და ბაზალეთის ნაწილმა. მამაკაცებთან ერთად მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივ მჭადიჯვარის მცხოვრები ქალები. შეიარაღებული იყვნენ ქვებით.

სამი ათასამდე გლეხკაცობა თუმცა უიარაღო იყო, მაგრამ გრძნობას აკარგვინებდა ბატონს. მან ბოქაული გამოგზავნა ხალხთან მოსარიგებლად, ანუ მოსატყუებლებლად. ბოქაული მოვიდა ხალხთან და უთხრა: ხალხნო, რომლებიც გარეშე სოფლიდან ხართ მოსულები, გთხოვთ წაბრძანდეთ თქვენს სახლებში, მხოლოდ მარტო მჭადიჯვარის მცხოვრებლები დარჩით აქ, თუ რაიმე თხოვნა გაქვთ, ამოირჩიეთ სამი კაცი და შევიდეთ ეზოში კნიაზთან მოსალაპარაკებლად, თორემ დიდი უბედურება დატრიალდება, ხომ ხედავთ ყაზახები როგორ მხედა დგანან, ერთი ბძანების მეტი მათ არ დასჭირდებათო. კაცების ამორჩევაზე ხალხი დათანხმდა, მაგრამ ყრილობის დაშლაზე კი უარი გამოუცხადეს, ბოქაულს იმედი გაუცრუვდა.. საიდანღაც გაჩნდა დუშეთის მაზრის უფროსი, მისი თანაშემწე და ბოქაული თავის სტრატეგიებით მჭადიჯვარში. როდესაც კნიაზმა გაიგო, რომ ხალხი მოაწყდა სოფელს სხვა და სხვა სოფლებიდან მის საწინააღმდეგოთ, ამ დროს აფრინა თავის მოსამსახურე დუშეთში და შეატყობინა ყველა ეს ცნობები დუშეთის მაზრის პოლიციას, ბატონი მარტო ყაზახთა და მეგრელსკი პოლკის ჯარის კაცების ნაწილს არ დაეაბულდა. სამი საათის განმავლობაში გაჩნდა დუშეთის მაზრის პოლიცია მჭადიჯვარში; ამ დროს დუშეთში ყაზარმებში იდგა მერვე კავკასიის მსროლელთა პოლკი. იმ ჯარის უფროსსაც მისცეს ბრძანება, რათა ერთი ასეული წამოესხა. კნიაზთან მოსალაპარაკებლად ამოირჩიეს 1) შიო ქარჩიძე, 2) ლექსო მახარაშვილი და 3) გიგო დინუაშვილი; პირველი მოახოვნილება იყო ხალხის, რომ უკანვე დაებრუნებიათ ის ძნები, რომლიც ყაზახებმა მიზიდეს ძალით, მეორეც დაავალეს ამორჩეულ კაცებს, რომ მჭადიჯვარი გაეწითავისუფლებინათ ყაზახებისაგან და დაწყებულიყო მშვიდობიანი ცხოვრება.

ამორჩეული კაცები შევიდნენ ეზოში და თითქმის ერთი საათის ლაპარაკის შემდეგ გამოვიდენ ხალხში და მოახსენეს: ბევრი ველაპარაკეთ კნიაზსა და ლაპარაკით არა გამოვიდა რა, დიდ უარზედ დადგა კნიაზი, არ გვაძლევს ძალით წამოღებულ ძნებს: ასეთი პასუხი მოგვცა კნიაზმაო, რომ ჩემს ხელში არ არის ძნები, ყაზახებს აბარიათო და ასე სთქვეს ყაზახებმა—თავებს დავიხოცავთ და ჩვენს მოზიდულ ძნებს არ დავანებებთო. აი ეს პასუხი მოგვცა კნიაზმაო; ბევრი ველაპარაკეთ, ვეხვეწეთ კნიაზსა, მაგრამ არა გამოვიდარა

ძალიან დიდ უარზედ არის და ახლა თქვენ იცით ხალხნო როგორც მოიქცევით; ასეთს პასუხზე ხალხი ძალიან აღელდა და გადასწყვიტა ან გამოვიტანოთ ძალით ძნები, ან ყველანი აქ დავიხოცოთო.

ხალხის აღელვება რომ დაიწყო, უფროსმა უბრძანა ყაზახთა ასეულს, რომ გაეფანტათ ხალხი. მისი ბრძანება იქნა შესრულებული. გამოვიდნენ ეზოდან ხმლებ ამოღებული ყაზახები ხალხში, მაგრამ ხალხმაც პასუხი გასცა—შეხვდენ ქვებით, კეტებით და ორთითებით, ქალებმაც დაუშინეს ქვები ყაზახებს, დაიწყო ბრძოლა; გლეხმა გრიგოლ მელიშვილმა კეტი სთხლიშა აფიცრის ცხენს თავში, ცხენი წაიქცა, აფიცერი გადმოვარდა ცხენიდან, თავი დაარტყა ქვასა, ხმალი ხელიდან გაუვარდა, კარგა ხანს უსულოდ ეგდო, ერთმა გლეხმა მისი ხმალი აიღო და გაიტაცა. გალომებულნი ებრძოდენ ყაზახებს კეტებით და ქვებით. ყაზახთა ასეული აირ-დაირია, ველარ მოახერხეს რა უნდა ექნათ ხალხში და უკან შეცვივდენ ეზოში, თან შეიყვანეს თავგატეხილი აფიცერიც, მაგრამ ამით ბრძოლა არ დამთავრდა. ხმლები ჩაგეს ქარქაშებში და გადმოიღეს ვინტოვკები: ხელ ახლად შეუტიეს ხალხს, დაიწყო სროლა და როდესაც ხალხმა ნახა რამდენიმე მოკლული და დაჭრილი, ის დაიშალა, კაიფანტა ვენახებში. თითქმის ორი საათი გაგრძელდა ბრძოლა. ყაზახები დაედევნა ხალხს და სადაც კი მოასწრებდენ, დაუდობლად ხოცავდენ, თვით ქნიაზიც არ ჩამორჩა ყაზახებს. ის ჩასაფრებულიყო თავის სახლის კუთხეში და იქიდან ესროდა ხალხს. ერთი ბედნიერება ის იყო ხალხისა, რომ სოფელთან ახლოს მდებარეობდა ვენახები, სადაც თავს აფარებდა ხალხი, თორემ დიდი ხალხი გაწყდებოდა. შეიქნა სოფლებში ტირილ-წივილი, კვნესა დაჭრილებისა.

ამ ბრძოლაში დაიხოცნენ, რამდენათაც მე ვიცი, შემდეგი ამხანაგები: 1) მელიშვილი გრიგოლი, 2) ნაროზაშვილი ეგვარი, 3) მუშელაური ქიტო, 4) ძარელაშვილი გაბრო, 5) სამაშვილი რაჟდენ, 6) გაგოშვილი ილიკო, 7) ბიგნაშვილი შაქრო და კიდევ რამდენიმე ამხანაგი. დახოცილებს გარდა ოცდა ხუთამდის დაიჭრა, ისინიც ზოგნი ახლაც ცოცხლები არიან. გამარჯვების შემდეგ უიარაღო ხალხზე მიიწვია ქნიაზმა ყაზახები და ღვინის ქვევრი აუხადა და დაათრო. ბატონის ეზოდან გაისმოდა ურას ძახილი, სიმღერა, სიცილ-ხარხარი, სოფლიდან კი—კნენსა-ტირილი დახოცილ ოჯახებისა და დაჭრილებისა. გარე სოფლებიდან მოვიდნენ პატრონები ურმებით და მკვდრები წაასვენეს. შიო ქარჩაიძე ციმბირში გადაასახლეს, რამოდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდა სოფელში, სადაც გარდაიცვალა: ბაგრატა ბესუაშვილი გაიქცა მშადიჯვარიდან, დღეს ის ცოცხალია და ცხოვრობს მშადიჯვარში და მეც ვლადიკავკაზისაკენ გავარიდე თავი ათას ცხრაას ცხრამეტამდე და ახლა ისევ ვცხოვრობ მშადიჯვარში. ასე დამთავრდა მშადიჯვარის აჯანყება.

იოსებ არუთინოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარე კახეთი 1905 წ.

იმ დროს ფაბრიკა-ქარხნების მუშებშიაც კი ძნელი იყო საიდუმლო პოლიტიკური მუშაობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და სოფლად მით უმეტეს. მაშინდელი გლეხობა სიბნელით იყო მოცული, მაგრამ მხნე და შეუპოვარი ენერგიული ქალაქის მუშების მეოხებით სოფლებშიაც მოეწყო საიდუმლო ორგანიზაციები.

მაგალითად, გარე კახეთში ასე დაიწყო მუშაობა: ზოგს ნათესავი გეყავდა რკინისგზაში, ზოგს ტრამვაიზე, ზოგის მეზობელი მუშაობდა ადელხანოვის ქარხანაში, ზოგნი სირაჯებთან იყვნენ მოჯამაგირეებათ. ესენი „ბუნტოვჩიკების“ ამბებს სიტყვიერათ გვეუბნებოდნენ ხოლმე. ამათ მასხარათ ვიგდებდით და ტყუილ ოცნებებათ უთვლიდით, ხშირად დაჭერითაც ვემუქრებოდით თუ არ დააყენებდენ ენას..

ასეთი ამბების გაერცელება შემდეგ თანდათან უკეთ ხერხდებოდა. გაზეთი „მოგზაური“ გვქონდა გამოწერილი და თბილისის მუშებისაგან მიღებულ სააგიტაციო პროკლამაციას ჩავდებდი გაზეთში, ანდა ჩავაკრავდი წებოთი და გლეხობას სხვა გაზეთის ამბებთან იმასაც წაუკითხავდი ხოლმე. „ოთხი ძმას“ ყდის შიგნით ცენზურიან ნებადართულ ქაღალდს შეწოვაკრავდი და ამ დიდებულ ზღაპარს გლეხობას ვუკითხავდით—ეს იმ დრომდის, ვიდრე სოფლის იუდები მიგვეხდებოდნენ.

როდესაც მიგვიხვდნენ საიდუმლო მუშაობას,—მუშაობა უფრო გაგვიტაპა და სოფელ გარეთ დღეობებში ან ვენახებში ვაწყობდით კამპანიებს და „სადღერგძელოებთან“ ერთად ჩვენ მუშაობას ვატარებდით.

ფურცლების მოთხოვნილება რომ გაიზარდა და ტფილისის ორგანიზაცია ვერ გვაკმაყოფილებდა, სოფელ ხაშმზე მოვაწყვეთ საიდუმლო გეტკოგრაფით ფურცლების ბეჭდვა.

ღამით მეზობელ სოფლებში ღობეებზედ გავკიდებდით ანდა კამპანიებში ქორწილებში ჯიბეებში უდებდით ჯერეთ შეუგნებელ ამხანაგებს.

ამ მუშაობას მოჰყვა შედეგათ მამასახლისებზე და ხარჯის გამწერ-ამკრეფებზე ამხედრება. იყო საბუთები, რომ ერთი და იგივე ხარჯი ორჯერ და სამჯერ იკრიფებოდა სხვა და სხვა სბორჩიკებით (შეშძას და გაფლანგვას ხშირად ჰქონდა ადგილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ თავად ჩოლოყაშვილსაც მიუკაკუნეთ: გაეურეკეთ ტჭის და მინდვრის ყარაულები, 15—20 მოსამსახურე ჰყვანდა. ხელში ჩავიგდეთ მისი ტყე-მინდორი.

ამან გამოიწვია მაზრის უფროსის და მისი ამალის გამოწვევა სოფლად მეთაურების დასაჭერათ.

ჩვენ ამას წინათვე ველოდებოდით. სოფლის მამასახლისები და ადგილობრივი მევახშე სამღვდელოების და მსუქანი ოჯახების პატრონები დარაზმულები ელოდენ. მაზრის უფროსს, მარა არც ჩვენ გვეძინა:—გადაუგდებდით სახლში მუქარის წერილებს ანდა სადმე ბნელ ორღობეში მოულოდნელათ ავუტეხავდით ჯაჰა-ჟუჰს კეტით ზურგზე, ეს იყო პირველი ხანის „ტერორი“

გვესტუმრა მაზრის უფროსი თავის ამალით. სოფელ საგარეჯოში და ხაშმზე მათ ცხენებს ღობეზე გაუკარით გაზეთები და პროკლამაციები თიეის მაგიერათ, მაზრის უფროსსაც კანცელარიის მაგიდაზე დაბეჭდილი კონვერტი დაეუდეთ, რომელიც უნდა წაეკითხნა და უხმოდ წასულიყო. კონვერტში მთელი პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნილებები იყო წამოყენებული.

მაზრის უფროსი ხაშმიდან წავიდა მარტყოფისაკენ. იქ დაეწყო მარტყოფელების ქება და ხაშჭლებზე ლანძღვა მუქარა. მუქარა იმაში გამოიხატა, რომ მეორე კვირას ასი ცხენოსანი ჯარის კაცი გვეწვია. დაბოცეს გლეხების ეზოში შინაური ფრინველები, რამდენიმე ძროხა დაკლეს, ცხვრები, ღვინოები მოიტანეს და შეუდგენ ქეიფს. ცხენებისთვის ქერის მაგიერ სახლებიდან პურის ფქვილები გამოჰქონდათ და აჭმევდნენ. ეგონათ გამწარებული ხალხი მოთავეებს გასცემდა.

ზოგი ამხანაგი გადაცმულ ტანისამოსში არ შორდებოდა სოფლის ყრილობას. ხალხი ყოყმანში იყო—გაეცათ თუ არა. ჩვენ ხალხს ვამაგრებდით, ვეუბნებოდით, რომ ამაზე მეტს ვერას იზამდენ... საქმე ერთი კვირის ეგზეკუციით გათავდა ხაშზე და საგარეჯოში; ამის შემდეგ ჯარი წავიდა.

ჰალაში ხაშმელები და გარეჯელები (6-კაცი) ჩაუსაფრდით მაზრის უფროსს, ეტლით უნდა ჩამოეველოთ აქ. უჯარმიდან ეგზეკუციით შეშინებული გლეხები წამოგვადგნენ თავს და ამიტომ აქტიც ვეღარ მოვახდინეთ.

1905 წელი მარტო ამით არ გათავდა. პოლიტიკური მუშაობის შემდეგ—ჯერი მიდგა შეიარაღებაზე.

მე მქონდა დავალება ტფილისიდან, რათა შემედგინა რაზმი: თითო ოროლა თოფი შევისყიდე ტფილისში. ერთ მშვენიერ დღეს ხუთიოდე ამხანაგით ავყარეთ იარაღი ჯერ ხაშზე ტყის მცველებს, კერძო არასაიმედო პირებს, მერე გამძლელ-გამომძლელ „სტრაჟნიკებს“, თვით ჩოლოყაშვილს და მის მცველებს. აქედან გავიყოლიეთ

იარაღიანი და უიარაღო გლეხობა სართიჭალაში ბოქაულის და „სტრაჟნიკების“ წინ მოვახდინეთ დემოსტრაცია წითელი დროშით. წინააღმდეგობა ვერავინ გაგვიწია, მივედით სოფ. უჯარმაზე და სხ. ახლო-მახლო ადგილებში აგყარეთ იარაღი ყველა არა საიმედოებს.

მარტო ხაშმზე ასამდე მოხალისე გლეხი შევიარაღეთ. ადგილობრივი ძალა-უფლება ხელში ჩავიგდეთ, მამასახლისს ჯაჭვი გულიდან სახალხოთ ჩამოვკლიჯეთ, სოფლის სოფიებს ჩამოვართვით მენდლები და საამხანაგო სასამართლო დავაარსეთ. ასე მოხდა საგარეჯოშიაც. ეს ორი სოფელი იყო ღერძი მთელი გარე კახეთისა. შეკრებილ ორი სოფლის წითელი რაზმი. გადავდიოდით მეზობელ სოფლებშიაც. გამოჩნდნენ მოხალისე რაზმები გარე კახეთში, წითელი რაზმის რიცხვი 600 მდე აკიდა.

რევოლიუციას დღე-დღეზე ველოდებოდით,—შენახვა გვიჭირდებოდა,—შეძლებულ გლეხობასაც ვაიძულებდით, რომ პურითა და ხორაგით დაგვეხმარებოდნენ. თითოჯერ თუ დაგვეხმარებოდენ, მეორეჯერ უარს გვეუბნებოდენ. ძალადობა კი არასასურველ შედეგს მოიტანდა. ამის გამო რაზმელებში შეიქმნა ბუტ-ბუტი, ლაპარაკობდენ საჭმელზე, მათ ფეხთაც გაუცვდათ, სახლებში ოჯახის წევრებიც აუჯანყდნენ და უშლიდენ ჩვენთან ყოფნას, სახლიდან ხორაგის გატანის დროს ეუბნებოდენ—წადით და ერთობის ხალხმა შეგინახოთო.

თელავთან და სიღნაღთან კავშირი გავაბით. ვაპირებდით თელავის და თუქურმიშის ყაზარმებზე თავდასხმას. გარე კახეთში კი—მეზრავანის და გომბორის ყაზარმებზე. ნაკლები მსხვერპლით ვფიქრობდით მცირე ჯარზე იარაღის აყრას, ისიც ტფილისიდან მოცემულ ნიშნის შემდეგ.

რაზმელებმა შეგვაწუხეს საყვედურებით—რადგან შეგვაიარაღეთ, ნუ გვაცდენთ, დაეცეთ ან მდიდრებს; ან სახელმწიფო დაწესებულებასო. იძულებული გავხდით მე და ალიხანაშვილი, რომ მედუქნეებს გავრიგებოდით, რომ ნისია მიეცათ რაზმელებისათვის, ფულს კი ჩვენ მივცემდით. ჩვენი ბიუჯეტი ხარჯებისათვის პატარა აღმოჩნდა. კონფერენცია დავნიშნეთ ველისციხეში, რათა გადაგვეწყვიტა წითელი რაზმის არსებობის საკითხი. შეკრება ვერ მოვახერხეთ: ჯაშუშებმა მოგვაგნეს. ჩავედით ცხენებით და ეტლებით შეიარაღებული ბომბებით და მაუზერებით სიღნაღში,—იქაც ცნობები მივიღეთ, რომ იცით ჩვენი განზრახვა, ჩვენც თავი დავანებეთ შეკრებას და გადავსწყვიტეთ გზადაჭა მოვახდინოთ თავდასხმა ფოსტებზე განსაკუთრებულმა ჯგუფებმა და რაზმზე დახარჯული ვალები გავასწოროთ და იარაღიც გავაუმჯობესოთ. გარეკახეთის რაზმის შტაბის მეთაურები მე და ალიხანაშვილი ვიყავით, თბილისიდანაც იყვნენ ჩვენთან ამხანაგები. თავდასხმა ფოსტებზე მოვახდინეთ სიღნაღის გზაზე. წაღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ფულით ვალები გავისტუმრეთ; იარაღიც გავიუმჯობესეთ. ტფილისის ამხანაგებს ვაწუხებდი—ჩქარა რევოლიუცია, თორემ შეიარაღებულთ ვეღარ ვიმაგრებ და ლამის არის ადგილობრივ მდიდარ ხალხს დაესხნენ თავზე.

გარეკახეთის წითელი რაზმი მონაწილეობას იღებდა ტფილისში თათარ-სომხების შეტაკების დასაშოშმინებლათ. ნაძალადევში ყაზახების თავდასხმის წინა დღემდე (9 ამხანაგის მოკვლამდე) მე თვითონ დოლიძესთან ერთად ვაწყობდი ჭილობებში შესანახ თოფებს და კალაბებით ყუმბარები გავზიდეთ ნაძალადევიდან მოსალოდნელი ჩხრეკის გამო. სილბისტრო ჯიბლაძის განკარგულებით მე დამეკალა ჩემი შედგენილი წითელი რაზმის დაშლა, რაც ძალიან მეწყინა, მარა პარტიულ დისციპლინას ვემორჩილებოდი. რაზმი დავშალე, რაზმელები იარაღებით რჩევა-დარიგების შემდეგ წავიდნენ თავიანთ ბინებზე გარდა ხუთიოდე კაცისა, რომელნიც არ დაემორჩილნენ. ესენი მთელ რაზმში იყვნენ ძველი ნაყაჩაღრები და გახდენ ბოლოს ჩვენი ხსვერპლნი. დაიხოცნენ გლეხებზე ცარცვა – გლეჯის გამო. ესენი იყვნენ გიორგიწმინდელები და მანავიდან (გორის ჯგუფი).

ამ ბრძოლების შედეგათ ბურჟუაზიული, შეკეცილი კონსტიტუცია მივიღეთ, რომელიც მოკლე დღისა გამოდგა. ჯერი მიდგა სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებზე, სამაზრო ამომრჩეველთა მთელ გარეკახეთში ორი ხმა გვქონდა, თვითეულ თავადს კი ორი ხმა ჰქონდა. ჩვენ 1000 კოლზე ერთი ხმოსანის ამორჩევა შეგვეძლო, შეძლებულ კაპიტალისტს მთელი ხმა ჰქონდა...

ვანო მაისურაძე (ტურა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისში 1905 წელს.

(ზოგიერთი მოგონებანი)


1905 წ. მიწურულში თათარ—სომხების დამშვიდებას და შერიგებას ხელმძღვანელობდენ ბალშევიკ-მენშევიკების ფრაქციები. ვორონცოვ-დაშკოვისაკან მიღებული იარაღის ნაწილი ჩემ ბინაზე (სახელოსნოში) იქნა გადმოტანილი, მეორე ნაწილი—ნაძალადევში: აქ იარაღდებოდენ და ნაწილდებოდა სადარაჯოთ უბან-უბან შეიარაღებული ამხანაგები, აქვე ისვენებდენ და იცვლებოდენ ღამის მოდარაჯენი. თუ რომელიმე ამხანაგი დაიჭრებოდა ბრძოლის ველზე, მე და ჩემს მეუღლეს სხვა ამხანაგებთან ერთად ექიმის შოვნა და დაჭრილი ამხანაგების მოვლა გვქონდა დაკისრებული. დაჭრილი ან სავათმყოში ვაწვენდით ან ჩემს ბინაზე ვფელიდით.

**
*

1904 წელს, რუსეთ-იაპონის ომის დროს ჩვენ ჯარისკაცებშიც გავაჩაღეთ მუშაობა, შევქენით პოლიტიკური წრეები; ორგანიზატორი იყო ამხ. მოსე კვარაცხელია. აგრეთვე ჩვენ, მუშებიც, მუშებს ვუყრიდით თავს ფაბრიკა—სახელოსნოებში და შეძლებისა დაგვარად ვაწყობდით მუშაობას. ჩვენი მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ მუშები გაგვეყავდა ქალაქ გარეთ, ვაწყობდით გაფიცვებს. ასე მომზადდა სასახლის ჭუჩაზე თეატრიულების მკერავ სახელოსნოს და ადელხანოვის ფეხსაცმელების მკერავ მუშების გაფიცვა.

**
*

1905 წელს ბაქოში შავრაზმელების მიერ მოკლულ ამხ. პ. მონტინის ცხედარი ჩამოასვენეს ტფილისში, 100 მეტი გვირგვინებით. მონტინი დაასაფლავეს კუკიის სასაფლაოზე. შემდეგ ძეგლიც დაუდგეს, დასაფლავების წესრიგს მაშინ პოლიციმეისტერი ცისი იცავდა, რადგან 17 ოქტომბრის მანიფესტი იყო „ბოძებული" და ცისიც ამიტომ „ტავარიშჩს". გვეძახდა. დასაფლავების შემდეგ ის აუარებელი გვირგვინები ჩემ სახელოსნოში გადმოიტანეს, შემდეგ გავაკეთე ცალკე, გვირგვინების წარწერილ ლენტებისთვის ჭინებიანი შკაფი და ლენტებით გადაეცა ამხ. პ. მონტინის მშობლებს. შესანახათ, აგრეთვე რამდენიმე გვირგვინი და ფულიც გადაეცა მონტინის მშობლებს, მაგრამ 1906 წლის დასაწყისში გაძლიერდა რეაქცია. შკაფი ლენტებით მონტინის მშობლებიდან ჯანდარმებმა წაიღეს და ჩემი სახელოსნოს



ხიფენ-თათაროთ შეტაკება ტფილისში. ჯარი და მილიციონერები დაიძრნენ ვიოლინკოვის ქუჩაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარდაფიც გაჩხრიკეს, მაგრამ რამდენიმე გვირგვინის მეტი ვერა ნახეს რა. თუმცა ეს სარდაფ-სახელოსნო ბალშევიკური პარტიისათვის ყველაფერი იყო, და პარტიული ამხანაგებისათვის ხომ—ბინა და ბუდეც. აქ ყოველ-გვარი ლიტერატურა და იარაღი ინახებოდა და თითქმის განუწყვეტელი კრებები და თათბირები ეწყობოდა: ეწყობოდა პროფ-კავშირები ამბ. მიხა ცხაკაიას მეთაურობით. აქვე სოსო ჯუღაშვილსაც ჰყავდა მოწაფეთა წრე. ამ ჯგუფში აქვე კამენევიც იყო.

* * *

1905 წელს ტფილისში შემდგარ შავს რაზმს მეთაურობდენ გენერალი გრიაზნოვი, შავროვი და ხუცესი გოროდცევი. 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ, პოლიტიკური პარტიათა ორატორები ილაშქრებდენ არსებული წყობილების წინააღმდეგ, ეს არ მოსწონდათ ჭეშმარიტ რუსებს, პატრიოტულ საზოგადოებას. პატრიოტები ჯერ კიდევ ოქტომბრამდე შეუდგენ დარაზმვას. მათი პოლიტიკური მუშაობა გამოიხატებოდა უქვეშევრდომილეს მანიფესტაციების გამართვაში და „პოგრომის“ მოწყობაში. ასე მოიქცენ ისინი 22 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტზე, დიდუბეში და სხ.

* * *

1905 წელს 22 და 23 დეკემბერს სალდათის ბაზარი მთლათ აიკლეს პლასტუნებმა და ბევრი სიცოცხლესაც გამოასალმეს. დასწვეს აგრეთვე იარმუკაში სამ სართულიანი შენობა, რომლის ძირს სართულში იყო მრავალი წვრილი სახელოსნოები და სავაჭროები, მესამე სართულში კი იყო ექვთიმე ხელაძის სტამბა. ამ სტამბაშივე დასწვეს სტამბის პატრონი ექვთიმე ხელაძე და რამდენიმე კაცი წვრილი ხელოსნები და ვაჭრები. 2—3 დღის შემდეგ დამწვართა გვამები გადაზიდეს ფურგუნებით მიხეილის საავთმყოფოში და იქიდან სასაფლაოზე, ხულიგანებმა დასწვეს და დაანგრიეს დიდუბეში სახლები და შ-გ ამოხოცეს რამდენიმე ჩვენი მებრძოლი ამხანაგები.

1905 წლის დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში მთავრობას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა მუშების რაიონის, ნაძალადევის განადგურება. ამიტომ ყაზახებით ალყა შემოარტყეს ნაძალადევს და ხუდადოვის ტყეს, სადაც ჩვენი ამხანაგები იყვნენ ჩასაფრებული და იცავდენ მუშათა უბანს. ნაძალადევის ეკლესიის სკოლის ეზოში მოწყობილი იყო მუშების შეიარაღებული რაზმის შტაბი, შტაბს ხელმძღვანელობდა სილ. ჯიბლაძე.

* * *

ჩვენს რაზმს მოულოდნელათ თავს დაესხა პლასტუნთა რაზმი. მოგვკლეს ცხრა მებრძოლი ამხანაგი. ამბ. კაჭი შემთხვევით გადარჩა სიკვდილს, მაგრამ ისიც დიპრილ-დაჭრილი მეტების ციხეში გა-

გზავნეს, დანარჩენი დახოცილი ამხანაგები კი მუშებისგან შემდგარ კომასიამ, რომელშიაც ირიცხებოდენ ამხანაგები ექვთიმე სართანია, ზაქრო ჩოდრიშვილი, იასონ ჯორბენაძე და სხვები, დახოცილი ამხანაგები ჩამოასვენეს ნაძალადევის სკოლის შენობაში და შემდეგ ნაძალადევის მაღლა გორაზე ძმათა სასაფლაოზე მიწას მიაბარეს, ზოგიერთი კი ნათესავ-მეგობრებმა და ამხანაგებმა თავ-თავიანთ სოფელში გადაგზავნეს. მეფის ჯაშუშ-ხულიგანებმა მკვდრებიც აღარ მოასვენეს და სასაფლაოს თაღი ჩაანგრიეს...

მიხა ჩოდრიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წელი რკინის გზაზე.

მუშათა მოძრაობის სათავედ თავიდანვე ითვლებოდა რკინის-გზათა მთავარი სახელოსნო ტფილისში.

მთავარი სახელოსნო ერთი დიდი დარგია. აქ მოთავსებულია ხუთი ათასამდე მუშა-მოსაქსახურე. ამიტომ ყველა მაშინდელი რევოლიუციონერი, ჯერ კიდევ 1905 წლამდე, ამ სახელოსნოსაკენ გამორბის, ამ სახელოსნოს მუშებს აპყრობს ყურადღებას: აქ მუშაობს, ეწევა აგიტაციას, ამზადებს მუშებს..

სხვა დარგები-კი იყვნენ უყურადღებოთ დატოვებულნი. სახელოსნოს მუშები იფიცებიან, იუმჯობესებენ თავის ეკონომიურ პირობებს, აღწევენ თითქმის რვა საათის სამუშაო დღეს და ამავე დროს სხვა დარგები—მემანქანე და მათი თანაშემწეები, კონდუქტორ-შეისრეები, ტელეგრაფისტები და სხვადასხვა კანტორის თუ სამმართველოს მოხელენი განხე დგანან. დიდი შეცდომა იყო მაშინ მოთავე ამხანაგების მიერ სხვა დარგების ასე უყურადღებოთ დატოვება.

დიდი მნიშვნელობა ქონდა სახელოსნოს მუშებს, მაგრამ სხვა დარგის მუშების მოძრაობაში ჩაუბმელად საქმე მაინც არ გაეთდა. „გაზაფხული“ არ მოვიდა...

სხვა დარგების მუშა-მოსამსახურეთა რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩაბმა და ამუშავება მოხდა სწორედ 1905 წელს.

1905 წლამდე სახელოსნოს მუშები სხვა დარგის მუშებს „ხულიგნებს“ გვეძახდენ, რადგანაც მათ გაფიცვებში მხარს ვერ უჭერდით.

გამონაკლისს შეადგენდნენ ტფილისის დეპოს მემანქანეთა თანაშემწეები.

ამ თანაშემწეებმა 1900 წელს გამოაცხადეს გაფიცვა და მოითხოვეს ცოტა რამ ეკონომიური პირობების გაუმჯობესება. პირველად მემანქანეები დაჰპირდენ მხარს დაგიჭერთ, ჩვენც გავიფიცებითო, მაგრამ სამარცხვინოთ უმტყუნეს საერთო საქმეს და ყველა გაფიცულნი-მოთავე, კალისტრატე გოგუთი, სამსახურიდან დაითხოვეს და ბევრიც ცივ ქვეყნებში გადაასახლეს.

თანაშემწეების მაგიერ დანიშნეს გამოუცდელი კონდუქტორები, მაგრამ მემანქანეებმა მაინც ვერ გაბედეს ხმის ამოღება.

ასე გათავდა ეს საყურადღებო გაფიცვა სამარცხვინოთ, მაგრამ შედეგი და მნიშვნელობა მისი მაინც დიდი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრ მემანქანეს მოსვენებას არ გვაძლევდა ჩვენი ასეთი საქციელი თანაშემწეების წინაშე და უცდიდით დროს გამოგვესყიდა ჩვენი დანაშაული. დანაშაულის გამოსყიდვა მოგვეხდა მხოლოდ 1905 წელს აპრილში.

ამ ხნის განმავლობაში (1900—1905 წელი) დიდი ამბები ხდებოდა. მოსწავლეთა და მუშათა მოძრაობა მოედო მთელ რუსეთს. ჩვენ რკინის-გზაზეც ხდებოდა გიფიცერები მთავარ სახელოსნოში და ბათომ-ხაშურ-განჯა-ბაქოს დეპოს მუშებში. ეს გაფიცერები ხშირად მუშების გამარჯვებით თავდებოდა.

მემანქანეებს ჯამაგირი გაუნახევრა მაშინდელმა წევის უფროსმა ვარტენბურგმა.

გაფიცების მაგიერ მემანქანეები აგზავნიან ამ მხეც ადამიანთან დელეგატებს და თხოულობენ ეკონომიურ გაუმჯობესებას, მაგრამ ვარტენბურგი მათ ყურადღებას არ აქცევს. აი რას ეუბნება ის დელეგაციას:

„ჯამაგირი არ გაყოფნით მემანქანეებს? გეეუბნება ის.: „იცხოვრეთ ერთ ოთახში, სამი და ოთხის მაგიერ და გეყოფათ“ (თითონ რვა ოთახში ცხოვრობდა სამი სული).

„რათ ატარებთ კრახმალიან პერანგს და გალსტუკს. არ შეგიძლიათ უბრალო ხალათი ატაროთ?“

„რათ აძლევთ შვილებს გემნაზიაში, არ გეყოფათ რკინის-გზის სასწავლებელი“? და ასეთი სიტყვებით გამოგვისტუმრა დელეგატები. აიცსო ამ ჟამად დელეგატების მოთმინების ფიალა... უნდა გამოვიყენოთ ეს გარემოება. ყველა დარწმუნდა იმაში, რომ გაფიცვის მეტი ჩვენ ვერაფერი გვიშველის.

1905 წლის აპრილის ერთ წვიმიან საღამოს ტფილისის დეპოს მემანქანეთა სამკითხველოში მემანქანეების კრებაა,—ვითომდა სამკითხველოს საქმეებზე

ნამდვილად კი დელეგატებს გადაწყვეტილი აქვთ წევის-უფროსის საპასუხოდ გამოაცხადონ გაფიცვა.

კრება საკმაოდ მრავალ რიცხოვანია. თავმჯდომარე მოხერხებულად სამკითხველოს საქმიდან გადადის წევის დარგის უფროსის საქციელზე. კრება ღელდება. გაიძახიან გავიფიცოთ... ვაჩვენოთ ჩვენი ძალა იმ მხეცს და სხვ...

ერთმად წყდება ამელამვე გაფიცვის გამოცხადება. ყველა მატარებლების შეჩერება.

კრების დახურვისთანავე ამორჩეული პირები აწყობენ გაფიცვის თაღარიგს. საღამოს ცხრა საათია, ადმინისტრაციას არხეინათ აქვს თავი. ვინ წარმოიდგენს მემანქანეთა თავხედობას?

დეპოში და სადგურების ყველა ორთქლმავლებიდან ორთქლი გარედ გამოდის. ორთქლმავლები ცივდება.

ახლო სადგურებიდან მომავალი მატარებლები ჩერდება ხედ ისრებზე ავჭალა—ნავთლუღის მხარეს. იქვე ცივდება მათი ორთქლმავლები. ასე სადგური ტფილისი ორივე მხრივ დაკეტილია. გაფიცვა გამოცხადებულია. ყველანი სახლში მივდივართ მეორე დღის კრებამდე.

დეპოში რჩება ერთი ორი მორიგე...

ათ საათზე შეწყდა რკინის-გზის მაჯის ცემა.

სადგურზე აუარება მგზავრებია თავმოყრილი, აღდგომის წინა კვირაა. სახალხო მიტარებლებისთვის ორთქლმავლები არ მიადგნენ სადგურს. ადმინისტრაცია ფეხზე დადგა. მგზავრებში აღელვებაა. ჟანდარმები დაფიცურდენ. წვეის უფროსი ვარტენბურგი დარბის სადგურზე და აღელვებს მგზავრებს, რომ ეს მემანქანეების ბრალია, რომ მათ არა აკლიათ რა და მაინც ურჩობენ.

არც ამორჩეულ ამხანაგებს სძინავთ. ესენიც სადგურზე ტრიალებენ. მგზავრებს საქმის ნამდვილ გარემოებას, გაფიცვის აუცილებლობას უხსნიან. ვარტენბურგის პროვოკაციას აშყლავნებენ. ბევრი მგზავრი სადგურს ტოვებს, სახლში ბრუნდება, ბევრი გაფიცულებს ემხრობა. სადგურზე იმართება მთელი მიტინგი, მაგრამ ჟანდარმები ერეკება სადგურიდან.

შუა ღამეა. სადგურზე ხმაურობა მიწყნარდა. ორთქლმავლის ჩვეულებრივი სტვენა აღარ ისმის. სადგურს სძინავს? კრების მიერ ამორჩეული ამხანაგები, სადგურის ახლოს, ერთ პატარა ოთახში სხედან და მომავალი დღის კრების წესრიგს და გაფიცვის მოთხოვნებს იმუშავებენ...

უცბათ, მოულოდნელად გაისმის ორთქლმავლის „სვისტოკი". ეს ჩვეულებრივი ორთქლმავლის სტვენა ამ ჟამად მეხის დამცემია. ვინ გვიღალატა? ვინ ავიდა ორთქლმავალზე? ოთახი ცარიელდება. ერთად ჩუმად, სულ ყველა ფეხ აკრეფით მივეჩქარებით იქ. საიდანაც ხმა მოდის.

ორთქლმავალზე ასულა მემანქანე გოლოვაჩევსკი (მისიონერთა ეკლესიის ხულიგნების სულის ჩამდგმელი) და ცდილობს ამუშაოს და გაწმინდოს გაფიცულების მიერ შეკრული გზა..

აზუზუნდა ქვები ორთქლმავლისაკენ. იკადრა მოღალატემ ორთქმავლის დატოვება და თავისისწლიანმა უშველა ბნელაში თავს, თუმცა ვეორე დღეს ის და მემანქანე ურუსოვი ისევ შეუდგენ მოღალატურ საქმეს, ამ ჟამად უკვე ჟანდრების თანხლებით; მაგრამ მაინც ბევრს ვერაფერს გახდენ...

მეორე დღეს წარვადგინეთ მოთხოვნები, რაზედაც ვარტენბურგი გაგვიმასპინძლდა ტყვიით. საბედნიეროდ გამოწვეულმა ჯარის კაცებმა თოფები ცოტა ზევით გაისროლეს. გაფიცულთაგან არავინ დაშავებულა. გაიხვრიტა რამდენიმე ნავთიანი ქვაბი და დაიჭრა ერთი შემთხვევით გამვლელი.

ამ გარემოებამ ვარტენბურგი სულ გაამხეცა.

ის ელოდა გაფიცულების სისხლს და სამაგიეროთ ნავთი დაიღვარა.

გაფიცვა მშვიდობიან ტარდება. ადმინისტრაცია გაფიცულებთან მოლაპარაკებას არ კადრულობს.

მესამე დღეს ხაშურიდან ჩამოდის ორი სახალხო მატარებელი, რომელნიც ჩამოყავს მემანქანე ეოლმერს და სტარიკინს. უკანასკნელი გვიერთდება გაფიცულებს. ის ყარს ამბობს უკან მატარებლის წაყვანაზე ეოლმერი კი, არ აქცევს ყურადღებას ჩვენს მიმართვას და მიყავს მატარებელი უკან, ხაშურისკენ. ხოლო ის ხდება მსხვერპლი თავისი ჯიუტობა—შეუგნებლობისა. მას ტყვიით კლავენ ამავე მატარებელზე, კასპის სადგურზე, საცა მატარებელი და მგზავრები ჩერდებიან ორი დღე და ღამე.

ამის შემდეგ თვით გოლოვაჩევსკი-ურუსოვებიც ვეღარ ბედავენ ორთქლმავალზე ასვლას. გაფიცვა ერთსულოვანია. გაფიცვას უერთდებიან კონდუქტორ-მეისრეები.

სხვა დეპოს მემანქანეებიდან მოგვდის თანაგრძნობის ცნობები. სახელოსნოს მუშები თანაგრძნობას გვიცხადებენ, თუ საქმე გამწვავდა, გაფიცვით დახმარებას გვპირდებიან. აღდგომა ახლოვდება. საზოგადოება ღელავს. საქმეში ერევა ქალაქის თვითმართველობა. კრებებისთვის გვიღებენ ტფილისის თვითმართველობის დიდ დარბაზს. გაფიცვა ღებულობს უკვე ფართო ხასიათს. საქმეში ერევა უმაღლესი მთავრობა. ინიშნება კომისია გენერალ მიხაილოვის თავმჯდომარეობით...

კომისია იძლევა პირობას, რომ გაფიცვისათვის არავინ დაისჯება და არც გაფიცული დღეების გამოერიცხებათ. დანარჩენი მოთხოვნები გადაწყდება კომისიაში და ასე, ერთი კვირის შემდეგ გაფიცვა იხსნება, ჩვეულებრივი მოძრაობა მყარდება.

ამ გაფიცვამ აღადგინა მემანქანეების 1900 წელს შელახული სახელი, აქედან დაწყებული საკმარისი იყო ერთი ხმა—გაფიცვა არისო და არც ერთი მემანქანე ორთქლმავალზე არ ავიდოდა. ამ პირველ მერცხალს სხვაც მრავალი მოყვა. გაფიცვები გახშირდა. შედეგათ მოყვა ამავე წლის ოქტომბრის ამბები, შეკვეცილი თავისუფლება თან დაყოლილი ამბებით.

სომეხ-თათართა შეტაკების დროს რკინისგზელები დიდ როლს თამაშობდენ.

როცა მთავრობა ველარას აწყობდა, რკინისგზელები ერეოდენ საქმეში და ამშვიდებდენ ორივე მხარეს... მთავრობის დაქსასვა იმითაც მტკიცდებოდა, რომ მან ხუთასი თოფი საჭირო ტყვია-წამლით მუშებს დაურიგა ქალაქში წესრიგის დასაცავად. მთავრობის ასეთი დაქსასვით ვისარგებლეთ რკინისგზის მუშა-მოსამსახურეებმაც. დაარსდა კავშირები, დამხმარე კასები და კოოპერაციები ყველა დარგში. აღიძრა საკითხი, ერთი რკინისგზელთა კავშირის დასაარსებლად და სამი გზის (ამიერ-კავკასია, კავკავეს და კასპიის იქითა მხარეს მდებარე) ერთად შეერთების შესახებ.

ამ მიზნით 1905 წლის დეკემბერში გაიმართა სამივე გზის მუშა-მოსამსახურეთა კონფერენცია ბაქოში, საც გადაწყდა ყველა გზებზე უპარტიო კავშირების დაარსება და სამივე გზის კავშირების ერთსულოვნათ მუშაობა-მოქმედება მომავალში. კონფერენცია გათავებული არ იყო, რომ რუსეთიდან მოვიდა ცნობა დიდი გაფიცვის შესახებ.

კონფერენცია მიეცხრო საერთო გაფიცვას... აცნობა ეს კონფერენციის წარმომადგენელ გზებს, შესწყვიტა სხდომები და დელეგატები დაბრუნდენ თავიანთ ალაგას, რათა პასუხი გაეცათ საჭარბოროტო კითხვებზე ადგილობრივ. ამიერ-კავკასიის რკინის გზის დელეგატები დაბრუნდა ბაქოდან საგანგებო მატარებლით. ამ მატარებლითვე წამოვასვენეთ იმ დღეებში ვერაგულათ მოკლული გვამი ტფილისელი ამხანაგის პეტრე მონტინისა.

მთელი გზა, ყველა სადგურებზე მუშა-მოსამსახურენი წითელი დროშებით ხვდებოდენ მატარებელს და გვირგვინებით ამკობდენ ამხანაგ მონტინის კუბოს.

ელახის სადგურზე დაბანაკებული დაგვიხვდა 900 ყაზახი. ისინი იგზავნებოდენ ნუხის და შუშის მხარეს გლეხთა მოძრაობის ჩასაქრობად.

მთელი სადგურის შენობები ჯარით იყო სავსე. სადგურის უფროსმა ტარასი ცქრტიშვილმა ჩვენი მატარებლის მოსვლისთანავე გვაცნობა ეს გარემოება, რათა ჯარს დელეგატების მატარებლისათვის არა აეტეხათ-რა.

თენდებოდა როცა ჩვენი მატარებელი სადგურზე გაჩერდა. ჯარს კიდევ ეძინა. გადავსწყვიტეთ ეს ჯარი გავეგვიზვნა თავიანთ სამშობლოში და აგვეცილებინა ეგზეკუცია შუშა-ნუხის მცხოვრებლებისათვის. საბიფათო საქმე იყო, მაგრამ საჭირო. მოხერხებით გაუზიარეთ ჩვენი აზრი რამდენიმე ჯარის კაცს. მოვიმხრეთ ესენი. აუხსენით რუსეთის რევოლიუციის მნიშვნელობა. გავაცანით მაშინდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამპები, თუ როგორ წაიღო მთავრობამ ხელმწიფის მანიფესტით ოქტომბერში გამოცხადებული თავისუფლება, რამაც გამოიწვია მთელ რუსეთში გაფიცვა და აჯანყება.

ის გლეხები, რომელთა დასამშვიდებლად ამ ჯარს აგზავნიან, არ არიან დანაშაული, რომ მთელ რუსეთში მშრომელმა ხალხმა ამოიღო ხმა და სხვა ასეთებით მოვიმხრეთ რა რამდენიმე ათეული ჯარის კაცი,-დავადგინეთ გაგვემართა მიტინგი იქ ეგორთან, საცა ესვენა ამხ. მონტინის ცხედარი.

დაჰკრეს ჯარის მომწვევი საყვირი. ეს 900 კაცი მოგროვდა ხსენებულ ეგორთან. აქ წინადადება მიეცა ჯარის კაცებს აელოთ სამსახურზე ხელი და მიშველებოდნენ თავიანთ სახლ-კარს, შეერთებოდენ მუშებს.

დადგენილ იქნა ერთხმად ჯარის დაშლა და სამშობლოში დაბრუნება, რისთვისაც მათ იმ დღესვე ცალკე მატარებელი დაეწინშნეთ.

ამ დროს ჯარის ოფიცრები პირველი კლასის საგანგებო ოთახში ტკბილ ძილს მისცემოდენ.

ყვირილ-ხმაურობაზე გარეთ გამოცვივდენ, სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ გვიან-ღა იყო.. ჯარის კაცები უკვე რბილ ეგორნებში თავსდებოდენ სამშობლოსკენ გასამგზავრებლად, იმავე დღეს გაეშგზავრნენ, მხოლოდ ზოგი ურჩი ოფიცერი თფილისს მოეკლინა უმაღლეს მთავრობასთან ჩვენზე საჩივრის წასარდგენათ. თფილისში ჩვენ უკვე საერთო გაფიცვა გამოცხადებული დაგვიხვდა. რკინისგზის მოსამსახურეებიც მიმხრობოდნენ გაფიცვას და საერთო გაფიცვის ბიუროში აერჩიათ ამ სტრიქონების დამწერი რკინისგზელებისაგან. ხსენებულ ბიუროში 31 წევრი იყო. ამათში 20 მენშევიკი და 11 ბოლშევიკი.

მართალია, „ბოლშევიკ-მენშევიკობა" მაშინაც იყო, მაგრამ ერთად ვმუშაობდით. ბოლშევიკებისაგან ბიუროში დამამახსოვდა მხოლოდ ერთი ამხანაგის გვარი. ეს იყო მაშინ ახალგაზრდა შალვა ელიავა. მენშევიკებიდან-კი თითქმის ყველა: ჟორდანია, სილ. ჯიბლაძე და სხვანი, რკინისგზელებიდან – მე.

ბიუროს სხდომები ხდებოდა ჩემს ბინაზე, ანდრეევის ქუჩა № 55.

მე არ შევეხები აქ ბიუროს მუშაობას მთელი ქალაქის სახით. შევეხები მხოლოთ რკინისგზელების მუშაობას.

რკინისგზელები იძულებული გავხდით დაგვეარსებინა ცალკე გაფიცვის კომიტეტი რკინისგზაზე, რომელიც მუშაობდა დამოუკიდებლად, მაგრამ მთავარ ბიუროსთან შეთანხმებით.

შეწყდა ყოველ-გვარი მოძრაობა რკინისგზებზე. ინიშნებოდა გაფიცვის კომიტეტის მიერ მხოლოდ სასურსათო და წყლის გადასაზიდი მატარებლები და ისეთი ჯარის წასაყვანი, რომლებიც უარს



სოფლის თათარის შეტაკება ტფილისში. ჯარი და პოლიცია. ბოტანიკ. ბაღის თავზე ცხის ნაბეგრეებთან.

ამბობდა სამსახურზე და მოისურვებდა სამშობლოში დაბრუნებას. ევლახის შემდეგ ასეთ შემთხვევებს ალაგი ქონდა. მოძრაობასთან შეწყდა ფოსტა-ტელეგრაფიც, არ ვიცოდით რა ხდებოდა რუსეთში კი არა, მეზობელ ქალაქში. ბათომი, ქუთაისი, ბაქო თბილისზე მოწყვეტილი იყვნენ. ამ გარემოებამ გააძნელა საქმე. რუსეთში რომ გაფიცებები ჩაჭრეს, ჩვენში კიდევ გრძელდებოდა ის. ასე გავატარეთ 16 დეკემბრამდე. მთავრობა არა ჩანდა. ჩვენ, მუშები, განვაგებდით მთელი რკინისგზის საქმეებს. ენიშნავდით მატარებლებს; ვიცავდით, ვდარაჯობდით რკინის გზის ქონებას. არავითარ მტაცებლობას, ქურდობას არ ჰქონია ალაგი, სანამ გზა ჩვენ ხელში იყო. წეს-რიგი იყო ყველგან სამაგალითო. ორი კვირის განმავლობაში არსად არა დახიანებულა რა. ჯერთი ვაგონიც კი არ დაშავებულა...


მთავრობა თურმე ელოდა ჩვენის მხრივ იარაღით გამოსვლას. რაკი ეს არ მოხდა, რაკი ჩვენი სისუსტე, ამ მხრივ, მან დაინახა, ერთ მშვენიერ დღეს, 16 დეკემბერს შემოგვერტყა ირგვლივ. ისევ ჩაიგდო რკინისგზა ხელში, უბრძოლველად, უომრათ. და ჩვენც დაესტოვეთ რკინისგზა. დაიწყო ვაგონების მტვრევა და ცარცვა-გლეჯა. მემანქანე ჯარის კაცების საშუალებით ამოძრავებს რამდენიმე მატარებელი და გაგზავნეს მუშათა მოძრაობის დამრბევი მატარებელი ბათომ-ბაქოსკენ. მხეც ალიხანოვს ხვდა წილად დასაკლეთ საქართველოს აოხრება-აწიოკება.

სადგურ სვირში ალიხანოვის ჯარებს წინ შეხვდა დელეგატების მატარებელი, რომლებმაც არ იცოდნენ საქმის გარემოება, აქ ალიხანოვმა გამოუძიებლად დახვრიტა რამდენიმე ჩვენი რკინისგზელი.

სამტრედიაში ალიხანოვისვე ბრძანებით, ქუთაისში წაყვანის დროს, მატარებელში ლუკმა-ლუკმა აკუწეს სამტრედიის დელეგატები შემანქანე ფლეში და ფრანკერბერგი. ყველა სადგურზე ააოხრეს ალიხანოვი მოკლულ იქნა, მკონი 1907 წელს, ეხლანდელ ლენინკანში, მაშინდელ ალექსანდროპოლში ტერორისტ ამხანაგ მანჯგალაძის მიერ

1905 წლის დეკემბრის გაფიცვის შესახებ ხელთ მაქვს ჟანდარმების მაშინდელი ოქმი, რომლითაც გაფიცვის მოთავეთ ითვლებოდნენ: ვასილი ბუნტური, კ. დევალი, ს. დოლიძე, ს. ჯუნია, ა. სადოვნიკოვი, იური კობიაკოვი [1], ვლ. დომბროვსკი, ს. მახარობლიძე, დ. ჯახელაძე, კ. ნაზარენკო, ს. დანდუროვი, მ. კავალოვი, ა. ლალიაშვილი, ნ. ზალდასტანოვი, გ. ტერ-არუტინოვი, ს. მათეშვილი, ი. გულეშვილი, კ. ჩიქოვანი, ა. ჩიქოვანი, ი. ქავთარაძე, ი. გალუსტოვი, ნ. დავიდოვსკი, ვლ. ტერ-ასატუროვი, ი. კეზელი, ა. ტროიცკი, მ.

[1] შემდეგ ჯაშუში გამოდგა. რედ.



ხიბეხ თათარია შეტაკება ტფილისში. პოლიციონერები ბარიკადებთან

ფეოდოროვი, ვ. ცვენიევი, ე. კინჩარი, გ. ტაკელოვი, ა. ლუცენკო, ელ. კონშევი, მ. გაბუნია, პერვისი და სხვა.

ჟანდარმების ოქმში ბევრი მომუშავე ამხანაგი გამოტოვებულია, ხოლო ისეთები, როგორც ფეოდოროვი, კეზელი, კინჩარი, ტაკელოვი, ლუცენკო და სხვანი, რომელთაც არა გაუკეთებიათ რა რევოლიუციისათვის, მოხვედრილან პასუხისგებაში. ბევრი მათაგანი კიდევაც აღიარებენ ამას სასამართლოს ჩვენებაში, რომ ისინი შეცდომით მოხვედნ მოთავეთა სიაში.

ზემოხსენებულ ამხანაგებს ბრალად ედება მოწყობა გაფიცვების, რევოლიუციონური პროპაგანდა და სხ.

საინტერესოა, რომ ბევრი რკინის გზელი ამხანაგი იცვლის ფრონტს და რეაქციის გამარჯვების შემდეგ გვერდში უდგება მთავრობას და როგორც მოწმეები ყოველივე დანაშაულს ადებენ პასუხისგებაში მიცემულ ამხანაგებს.

ასეთ მოწმეთა შორის ოქმში ჩამოთვლილია შემდეგი გვარები: ნეკრასოვი, ფატტი, გოლიბიანი, ოსეტროვი, ეგოროვი, კლაჭანი მიხაილოვი, ლემკე, კუზმინი, კლოგანი, სკიბა, ქეპფერი, პროტოპოვი, მოისეევი, კვიტკინი, ხალკოვსკი, ბათორსკი, ზილბერგი, შმატკოვი, გასპაროვი, ოტო, ანისიმოვი, პეტროვი, გოლოვკო, ელისეევი. დალი, ზილბერბერგი, გნატჩენკო, ბელიბინი, ბარინოვი, ბაკდასსკი და მრავალი სხვა.

არავითარ შეიარაღებულ წინააღმდეგობას ალაგი არ ქონია, მაგრამ მიუხედავათ ამისა ოქმი ამბობს: ბარიკადებზე უუროსებათ დანიშნული იყვნენ ჰყონია, თოფურიძე. და ტერ-არუთინოვიო, რომელთაც ემორჩილებოდა ყველანიო.

ბაქოს ყრილობის შესახებ ოქმი ასე მოგვითხრობს: ბაქოს ყრილობაზე წავიდნენ დომბროვსკი, ჰყონია, გაბუნია, ნაზარენკო, მათიაშვილი, ქავთარაძე, ბუნტური, დოლიძე, საიდანაც ამათ გამოგზავნეს დეპეშა და მოითხოვეს შეერთება რუსეთის გაფიცვასთან, როცა იმისი სიგნალი იქნებოდა.

ასეთ ნიშნად გამოდგა პეტერბურგიდან გამიგზავნილი ამბები და მოსკოვის დეპეშა რკინისგზელების ყრილობიდან მოსული ტფილისში 9 დეკემბერს.

ტელეგრამის შინაარსი, რომელიც ჟანდარმებს უპოვნიათ სიმონ ჯუღელის ბინაზე ასეთია: „ამხანაგებო...მთავრობა.. რომელმაც განაცხადა... 17 ოქტომბერს სიტყვის და კრების თავისუფლება, პირონების ხელშეუხებლობა და კავშირების მოწყობის თავისუფლება, ეხლა უარზეა. თავისი მანიფესტი უკან მიაქვს... თავისუფლების მაგიერ კეტავენ საუკეთესო გაზეთებს. კავშირების მაგიერ მუშებს აგზავნიან ციხეებში, დაიჭირეს პეტერბურგში მუშების დეპუტატები, გლეხთა

ვშირის წევრები მოსკოვში და სხვა ქალაქებში.... ათასობით მუშებს ერეკებიან ფაბრიკებიდან...

„მშიერ გლეხებს აჩუმებენ გენერლები თოფ-მათრახებით... გაფიცვისათვის მატროსებს აძლევენ სველე სასამართლოში... ამხანაგებო. ზემო აღნიშნულ დაპირებულ თავისუფლებათა წართმეით ჩვენი მდგომარეობა გაუარესდება.

„მთავრობა გაკოტრების წინაშე სდგას და ჩვენ შეიძლება დავკარგოთ ჩვენი წვა-დაგვით საპენსიო კასაში შეტანილი ორიოდე გროში. მთავრობას უკან მიაქვს 17 ოქტომბრის მანიფესტი.... კრამოლნიკები და მატეჭნიკები ჩვენ კი არა, მთავრობაა

„ჩვენ ვიბრძვით თავისუფლებისათვის, მთავრობას კი უკან მიაქვს მოპოვებული თავისუფლება.... არღვევს მისვე შედგენილ კანონებს.... ამხანაგებო, ამაზე მეტი მოთმენა შეუძლებელია. მთავრობა თვით გვიწვევს საბრძოლველად... იყოს ეგრე.. ბრალი ედება მთავრობას. პეტერბურგის კონფერენცია 29 რკინის გზების წარმომადგენლებისა და ცენტრალური ბიურო"მთელის რუსეთის რკინიგზების კავშირებისა უერთდება მოსკოვის და პეტროგრადის მუშათა დეპუტატების დადგენილებას და 7 ქრისტეშობისთვიდან აცხადებს მთელს რუსეთში საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვას.

„ვაცხადებთ-რა გაფიცვას ჩვენ ვიღებთ ჩვენს თავზე გადმოვიყვანოთ ჯარი მანჯურიიდან რუსეთში.

ამასთანავე მივმართავთ ჩვენ ძმა ჯარის კაცებს მანჯურიაში, რომ მათ მოგზაურობის დროს დაიცვან სრული წესრიგი და დაეხმარონ—დამბორჩილონ ჩვენს ორგანიზაციებს... მგზავრებს, რომელთაც გაფიცვა მოასწრებს გზაში, მიეყვანონ უახლოეს ქალაქამდე. ვეცდებით ყველგან მივაწოდოთ სანოვაგე.

„ამხანაგებო, მხოლოდ დამფუძნებელ კრებას, საყოველთაო და სხვა არჩევნების წესით არჩეულს შეუძლია იხსნას რუსეთი იმ საშინელ მდგომარეობიდან, რაშიაც ჩააყენა ის მოღალატე მთავრობამ. მანამ არ მოიხსნება სამხედრო წესები, მანამ არ დამყარდება სრული თავისუფლება პიროვნების, წერის, სიტყვის, კავშირების და სხვა, პოლიტიკური გაფიცვა არ იქნება მოხსნილი...

„ასე, ამხანაგებო, მედგრათ, თამამად გავსწიოთ წინ კაცობრიობის განთავისუფლებისკენ... ჩვენ მარტონი როდი ვართ. ქალაქის მუშები, მშრომელი გლეხობა და შეგნებული ნაწილი ჯარისა ჩვენკენაა და მოითხოვენ თავისუფლებას და მიწას".

ასეთი დეპეშის მიღებისთანავე ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშა მოსამსახურენი შეუერთდენ რუსეთის გაფიცვასო, ამბობს ოქმი.

ს. დოლიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წელი სვანეთში.

1905 წ. რევოლიუციას შორეულ სვანეთისთვისაც არ ჩაუვლია უმნიშვნელოთ. საერთო მოძრაობას ისიც გამოეხმაურა.

როგორც ვიცით, ზემო სვანეთი ორ ნაწილისაგან შესდგება: თავისუფალი და სადადეშქელიანო სვანეთი. პირველი იწყება მდინარე ინგურის სათავედან (ს. უშკული) და მის ხეობას მისდევს, მეორე კი პირველის გაგრძელებას შეადგენს ჯვარის საზოგადოებამდე (სამეგრელო). მოძრაობა დაიწყო სადადეშქელიანო სვანეთში 1904 წ. ამ დროს აქ მუშაობდენ ამხ. თენგიზ დადეშქელიანი, ვარლამ გელოვანი (კაციასძე) და დანიელ ქინქლაძე. სადადეშქელიანო სვანეთის, როგორც სიტყვიდან სჩანს, ბატონები დადეშქელიანები იყვენენ. ამ დროს აქ ბატონი (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) იყო თათარხან დადეშქელიანი, რომელიც შუა საუკუნეს ნამდვილ ფეოდალს წარმოადგენდა. მახვში (ბატონი) თათარხანს, ყოფილი ლეიბ-გვარდიის პოლკოვნიკს, ეკუთვნოდა მთელი ეს მხარე. გლეხებს არ ჰქონდათ საკუთარი მიწა, ყველაფერი ბატონს ეკუთვნოდა.

გლეხები იხდიდენ მიწის ღალას: სახნავ-სათეთისას, საძოვრისას, ხე-ტყისას, წისქვილისას, ქირის დაწვისას, სახლის აშენებისას და სხ. ამას გარდა კვირაში განსაზღვრულ დღეებში მახვშასთვის დახმარება სავალდებულო იყო. ამას გარდა მახვშის ნებადაურთველად არავის მეეძლო შეუღლება.

ასეთ დუხჭირ მდგომარეობაში მყოფი ხალხი უყოყმანოთ გადუდგა ბატონს და 1904 წ. ძალიან გვიან, მაგრამ მაინც გაინთავისუფლა თავი. ეს თავისუფლება დროებითი იყო, რადგან რეაქციამ იგი შემდეგ მოსპო, მაგრამ ერთხელ ნაგემი თავისუფლება ხალხს არ დავიწყებია, რაც მან შემდეგში დაამტკიცა. ხალხმა ბატონს ბეგარაზედ ური უთხრა, მიწა მიისაკუთრა და თავისი ნაოფლარი ბატონს აღარ მიართვა. მაგრამ, როგორც ხშირათ და თითქმის ყველგან, აქაც აღმოჩდენ მოღალატენი. რამოდენიმე ბატონის ძიძის შვილები და თავისუფალი სვანეთიდან დაქირავებულები მხარში ამოუდგენ ბატონს, რომელმაც თავის ციხე გაამაგრა და შეტაკების დროს ხალხს ძველი ზარბაზნიდან ესროლა. ერთი შეტაკების დროს დაიჭრა ბატონის ძმა, ალექსანდრე დადეშქელიანი.

ამ ხანებში აქ მოვიდენ, მაშინ ვგონებ ესერები: გრ. ლალიძე და ვ. ღამბაშიძე, რომლებსაც ხალხი აღტაცებით შეხვდა. ხსენებთან ერთად ამ დროს აქ მუშაობდა მაშინ მღვდელი მ. სუპატაშვილი და მასწ. ლ. ჯაკობია.

ხალხის გამოსვლამ ბატონ თათარხანს თავზარი დასცა; მას ვერ წარმოედგინა, თუ მისი უსიტყვო მონები თოფით ხელში აღდგნენ ადამიანური ცხოვრების და თავისუფლების მოსაპოვებლად. ბატონი სვანეთიდან გაიქცა.

თავისუფალ სვანეთში მოძრაობა 1905 წ. დაიწყო. როგორც ვიცით, აქ ბატონ-ყმობა აოასდროს არ ყოფილა. ხალხი თავისუფალი იყო, როგორც თვით სახელი მოწმობს. ცხოვრობდენ თემებად. ამიტომ აქ მოძრაობას პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა. მოძრაობას სვანეთში მასწავლებლობა უდგა სათავეში, რადგან ამ შორეულ კუთხეში სხვა ელემენტი რეეოლუციისათვის მომზადებული არა გვყავდა. მუშაობა გაცხოველდა განსაკუთრებით სექტემბერში, როცა გადმოლმიდან (იმერეთ-სამეგრელოდან) მასწავლებლობა დაბრუნდა, რადგანაც იმ დროს სვანეთში სვანი მასწავლებლები ძალიან ცოტა იყუნენ.

პირველი კრება სექტემბრის ბოლო რიცხვებში მოხდა სოფ. ლატალში, ცენტრალურ საზოგადოებაში, ვარ. გელოვანის სკოლაში. კრებას დაესწრო მთელი სვანეთის მასწავლებლობა. როგორც მახსოვს, კრებამ დაავალა ამხანაგებს გაეწიათ ფართო აგიტაცია, მოეწყოთ ორგანიზაციები. როგორც თავის საზოგადოებაში, ისე ახლობელში, სადაც ხელმძღვანელები არ იყუნენ, აერჩიათ კომისრები, ათის და ასის თავები, შეედგინათ რაზმები და სხვა. აქვე არჩეულ იქნა კომიტეტი, რომელსაც ამხანაგების მუშაობისთვის თვალყური უნდა ედევნებია. კრებამ დაავალა ამხანაგებს შემდეგი კრებისთვის, რომელიც დანიშნული იქნა მულახში, წარმოედგინა მუშაობის ანგარიში და შემდეგი მუშაობის გეგმა.

ეს მეორე კრება მოხდა ნოემბრის პირველ რიცხვებში. მულახში ამხანაგებმა წარმოადგინეს, დამაკმაყოფილებელი ანგარიშები მუშაობის შესახებ: ყველგან შექმნილი იყო ორგანიზაციები, დათხოვნილი იყო ძველი მოხელეები და არჩეული ხალხისაგან ახლები. შემუშავებულ იქნა მუშაობის გეგმა და ამხანაგები გაუშურეს თავთავიანთ სოფლებში სამუშაოთ.

ამ დროს თავისუფალ სვანეთში გადმოვიდნენ გადმოლმა სვანეთიდგან თავის სახლებიდან ხალხისგან გამორეკილი იქაური მებატონეები—გარდაფხაძეები. ისინი თავის სოფელში 2 3 თვე იყუნენ გაჰკრებული ციხე-კოშკში, მაგრამ, როდესაც ხალხმა მათი სახლები (ზოგიერთის) გადასწვა, შეშინებული გამოიპარენ. მათ უნდოდათ თავისუფალი სვანეთი ჩაეგდოთ ხელში, გაეხადათ ქომაგათ და დაემორჩილებიათ თავისი ურჩი ყმები. ისინი გლეხებს ეუბნებოდენ: „თქვენ რაღას „ბუნტობთ," თქვენ ხომ მებატონე არ გყოლიათ და არც გყავთ, მოგვემხრეთ და გვიშველეთო". მართლაც, მათ დიდ დახმარებას უწევდენ მათი ნათესავები, ყოფილი აზნაურები: ქურდიანები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსელიანები, დევდორიანები და სხვა. ამიტომ კომიტეტს დასჭირდა მათთან დიდი ბრძოლა. კომიტეტი მოელაპარაკა გარდაფხაძეებს და წინადადება მისცა, რომ სამ დღეში დაეტოვებინათ თავისუფალი სვანეთი. მათ ყოყმანი დაიწყეს, მაგრამ გაიგეს, რომ კომიტეტს შეიარაღებული ძალით უნდა მათი გაძევება,-თვითონ გაიპარნენ. მახსოვს შემდეგი შემთხვევა: სოფ. ჩოლაში ქეიფობენ დევდორიანისას გარდაფხაძეები. იქვე ეკლესიაა არის. მასწყალ. მარიამ ჯუღელმა და იოსებ გუჯეჯიანმა გადასწყვიტეს სწორეთ ამ დროს ეკლესიაზედ ხალხის დაფიცება იმ მიზნით, რომ ერთკვარი დემონსტრაცია მოეხდინათ გარდაფხაძეების წინააღმდეგ. დარეკეს ეკლესიის ზარი, შეიკრიბა ხალხი. ამ დროს გამოცვივდენ გარდაფხაძეები თოფებით ხელში. მათ მოინდომეს ფიცის მიცემის დროს ხელის შეშლა, მაგრამ, როდესაც გლეხებმა თოფები მოიმარჯვეს—უკანვე შეიპარენ დევდორიანის სახლში.

ამაზე ცოტა წინ, როდესაც ხალხს ერთობაზედ ვაფიცებდით, ზოგიერთმა სულიერმა მამებმა დაიწყეს აგიტაცია ხალხში და ხალხს ეუბნებოდენ, რომ მათ ასეთი ფიცი მიეღოთ: „თუ ერთობა გაიმარჯვებს, მისკენ ვიყოთ, თუ ძველი მთავრობა—მისკენ.“ კომიტეტმა მიიღო შესაფერი ზომები და მაძებიც იძულებული გახდენ ასეთ ერთობაზედ ხალხი აღარ დაეფიცებიათ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სვანეთში ფიცის მიღებას ხალხის ურთიერთობაში დიდი ადგილი ეჭირა. ამიტომ ძალაუნებურად აქაური მუშაკნი იძულებულნი იყვნენ (ხალხი ხატებზედ ეფიცებინა).

ამ ხანებში სვანეთიდან გამოიქცა ყოფილი ბოქული იაშჩენკო. მან ამოიარა მულახის სკოლაში, აქ მას პაგონები ახადეს და ისე გაისტუმრეს. ბოქაულათ სვანეთში დარჩა პართენ ყიფიანი; დეკემბრის პირველ რიცხვებში კომიტეტმა გადასწყვიტა პოლიციის განიარაღება. დაატყვევეს ბოქაული, განაიარაღეს „სტრაჟნიკები“ და საშართველოს საქმეებიც დაწვეს. ბოქაული ყიფიანი, როგორც იმ დროს უძლური და არა მავნე პიროვნება, კომიტეტმა გაანთავისუფლა და დაავალა რამოდენიმე ამხანაგს მისითვის თვალყურის დება.

უკანასკნელი საერთო კრება მოხდა 1906 წლის 23 იანვარს, ამ კრებას დაესწრენ ყველა მასწავლებლები და შეიარაღებული რაზმელები მთელი სვანეთიდან. რაზმებს ხელმძღვანელად არჩეულ იქმა ნესტორ ჟორჟოლიანი. ქუთაისში ალიხანოვის 9 იანვრის ჩასვლის შესახებ და რევოლიუციის დამარცხების შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით. კრებაზედ წამოიჭრა კითხვა თუ როგორ გამოეხმაუროს სვანეთი ქუთაისს, თუ საჭირო იქნეს. გამოტანილ იქნა დადგენილება, პირველივე მოთხოვნილებაზედ გაიგზავნოს 500 შეიარაღებული რაზმელი და შემდეგ საჭიროებისა დაგვარად. გაეიდა რამოდენიმე დღე, ვგონებ, 29 იანვარს მულახის ორივე სკოლა ხალხით არის სავსე.

ეწერებიან რაზმში, წვრთნიან ხალხს. ყიტინი, სიმღერა და მხიარულება ისმის. ამ დროს ქუთაისის ხბრიდან ორი ცხენოსანი გამოჩნდა. ისინი აღმოჩნდნენ გიგა ჯუღელი და იოსებ ყიფშიძე (შემდეგ პროფესორი), რომელნიც რეაქციას გამოქცეოდნენ და სვანეთში უნდოდათ თავის შეფარება. გიგამ სიფრთხილით გადასცა ხალხს, თუ რა ხდებოდა ქუთაისისკენ და რომ საშიში არაფერი იყო, ხალხი დაწყნარდა და დაიშალა.

ერთი კვირის შემდეგ ამავე სკოლაში მოვიდენ ქუთაისიდან გამოქცეული: მუშნი დადიანი—ზუგდიდის მაზრის პარტიული რაზმის ხელმძღვანელი და სპირიდონ კედია. გაიმართა კომიტეტის სხდომა. ამხანაგებმა გააკეთეს მოხსენება რევოლიუციის დამარცხების შესახებ. დასმული იყო საკითხი: 1) რა ტაქტიკას დავადგეთ და 2) როგორ შევინახოთ მოსული ამხანაგები ამ საშინელ რეაქციის დროს. პირველ საკითხის შესახებ, როგორც მახსოვს, გამოტანილი იყო დადგენილება მუშაობის გაგრძელების შესახებ, რომ ხალხი სულით არ დაეცეს.

ორიოდე სიტყვა იაკობ გუნიგიანის შესახებ. ის მულახელი გლეხის შვილი იყო. მოძრაობის დროს ის ტერორისტობდა. რეაქციის დროს თავის სახლში, მულახში, დარჩა. ის კომიტეტის დავალებით ხშირად ჩაიპარებოდა ქუთაისში და იქაურ ამბებს გვაწოდებდა, მაგრამ 1906 წ. გაბაუჭულზედ დაიჭირეს ლეჩხუმში და ცაგერის სიტუაღოში მოათავსეს. ერთ დღეს, როდესაც იაკობი ეზოში გამოიყვანეს ვითომ სასეირნოთ, ერთმა დარაჯთაგანმა დაუძახა გაიქეციო, რაზედაც მან უპასუხა: მე გასაქცევი არაფერი მაქვსო! ამ დროს გავარდა ჯალათის თოფი და იაკობ ზურგიდან ტყვიამ განგმირა..

გაძლიერდა რეაქცია. გარშემორტყა სვანეთის თავადები და მათი ზეგავლენით გენ. ალიხანოვის განკარგულებით სვანეთისკენ იქნა დაძრული დიდი ჯარები გენ. შიშკევიჩის მეთაურობით. შიშკევიჩს თან ახლდენ გარდაუხდ ეები და თათ. დადეშქელიანი. ჯარი დაბანაკდა ქვემო სვანეთში, სოფ. ლაშხეთში, სადაც გადასწვეს რამოდენიმე მოსახლე ონიანები. აქედან ჯარის უფროსმა გაჰართა მოლაპარაკება ზემო სვანებთან და რამოდენიმე დღის შემდეგ მას მიუვიდა ოცი დელეგატი, რის შემდეგაც მოხდა შერიგება, რომელიც დამთავრდა ზარბაზნების სროლით და დიდი ზეიმით. ამით უკმაყოფილო დარჩენ დადეშქელიანები, რადგან მათი სურვილი—ჯარის ზემო სვანეთში გლეხების ასალაგმავად წაყვანის იმედები გაუცრუვდა და ჯარის ჟროსის შიშკევიჩის და თათარხან დადეშქელიანის შორის შავმა კატამ გაირბინა. ნაწყენი თათარხანი დაბრუნდა ქუთაისში და ცხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გაემგზავრა სვანეთისკენ და შეუდგა ორი წლის გადაუხდელ ღალების აღებას.

კორ. ჯუღელი.



გენ. ალიხან-ავარსკი.

ცნობილი შავრაზმელის პურიშევიჩის მიერ გამოცემულ წიგნში გენ. ალიხანოვი ასეა დახასიათებული:

...„1901 წლის აპრილში დაბრუნდა კავკასიაში. 1901—1906 წ. ალიხანოვი ასრულებდა სხვადასხვა გვარ მინდობილობას. 1905 წ. დასაწყისში მეთაურობდა იმ რაზმს, რომელიც გურიაში იყო გაგზავნილი წესიერების აღსადგენათ. კავკასში შეიარაღებული აჯანყებების დროს, როდესაც მტკიცე ხასიათის მჭონე და გაბედული ხალხის ნაკლებობა იყო, რომელთაც შეეძლო რევოლიუციონერებთან რბილათ მოპყრობის გამო სამარცხვინო მდგომარეობაში ჩავარდნილი ხელისუფლების ამ მდგომარეობიდან დახსნა, როცა კავკასიის მთავრობა კინაღამ ჩამოგდებული არ იქნა რევოლიუციონერების მიერ,

ამ დროს გენ. ალიხანოვი დანიშნულ იქნა ტფილისის დროებით გენ. გუბენატორათ 1906 წ. იანვარის 3-ს, მაგრამ მან ვერც კი მოასწრო ამ ძმიმე მოვალეობის შედგომა, როცა ერთი დაკვრით ჩაჩაუმებდა რევოლიუციონერებს—5 დღის შემდეგ, ე. ი. იანვრის 8-ს ის დანიშნულ იქნა ქუთაისის დროებით გენ. გუბენატორათ და იმ რაზმის უფროსად, რომელიც გაგზავნილ იქნა რუსის ხელისუფლების აღსადგენათ გუბერნატორ სტოროსელსკის მიერ ჩამოწორებულ ქუთაისის გუბერნიაში. რევოლიუციური რაზმი დამარცხებულ იქნა სურამის უღელ ტეხილთან, რევოლიუციონურმა რაზმმა დასწვა უკან დახევისას სად. ბელაგორი, მარელისი, ყვირილა და სხ. ტერორისაგან განთავისუფლებული გახარებული მოსახლეობა გენ. ალიხანოვის რაზმს პურ-მარილით, ხატებითა და მეფის სურათით ხვდებოდა"... (Книга русской скорби" გვ. 188-189—1908 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიარაღებული აჯანყება სოჩაში 1905 წელს.

I

17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ ცნობა სოჩაში 22 ოქტომბერს მოვიდა. ამ დღეს პირველად იქნა მოწვეული ღია მიტინგი სახალხო სახლში, სადაც წაიკითხეს მანიფესტი. აქვე გადაწყდა მეორე დღეს, 23 ოქტომბერს, მოეწვიათ დიდი მიტინგი ქალაქის მოედანზე. ამ მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს აქვსენტი გვათუამ, გლოვაჩუკმა, პაველკომ და სხ. ამის შემდეგ მიტინგები და დემონსტრაციები ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. მოძრაობის ხელმძღვანელებათ გამოდიოდა ორი პარტია—სოც. დემოკრატია და სოც. რევოლიუციონერები. სოც. დემ. დიდის სიმპატიით სარგებლობდა. რევოლიუციონერ დემონსტრაციებთან ერთად დაიწყო შავრაზმული მანიფესტაციები. რამდენიც არ ეცადენ შავრაზმელები, მაგრამ ისეთი ორგანიზაციის მოწყობა მაინც ვერ შესძლეს, რომელსაც შეეძლებოდა რევოლიუციონერი ორგანიზაციის წინააღმდეგ თვალსაჩინო ძალის დაპირისპირება. და როცა საოლქო მთავრობამ დაინახა, რომ რევოლიუციონერი მოძრაობის წინააღმდეგ ასეთი მუშაობით ვერაფერს გახდებოდა, დაიწყო დამუშრება სამხედრო ძალების ამოქმედებით. ამიტომ რევოლიუციონერ მასაში დაიბადა აზრი მებრძოლი რაზმის—წითელი რაზმის შექმნის შესახებ, რადგანაც მცირერიცხოვანი პოლიცია და ისიც ცენზიანი ქალაქის საბჭოს მიერ მოწყობილი, რევოლიუციის სასარგებლოთ ვერაფერს საბეიროს გააკეთებდა. გადმოსროლილ იქმა ლოზუნგი—სიკვდილი ან თავისუფლება და შეუდგენ წითელი რაზმის მოწყობას. დაარსებიდანვე რაზმში ჩაეწერენ: ამხ. ივანე ბაგატურია, ანდ. და პორ. ხურცილავა, დათიკო კილაძე, ელ. კალანდარიშვილი, ძმ. მინასიანი, ტარ. კუტელია, იულონ და ანდრ. ჩიტაია, სტეფ ჯანაშია, რომ. კუცია, ანდ. ხოროვა, ტარ. კურაშვილი, რომ. გიგაშვილი, ლომინაძე, ფომჩენკო, მუხრან ძიგუა, ილია და იგნ. ცხაკაია, რაკიტიანსკი, ჩაგუბახია, ბუკია, კოზლოვსკი, კონ. ბენია, ვარტ. კისკინიან, გოცირიძე, ახელედიანი, კასრაშვილი, მარტიროზოვი, ადამია, ელ. ნორაკიძე, ის. დადიანი, უჩაძე, ოსიძე და სხვ.

სწორედ ამ დროს გაგრის რაიონში მოვიდა საზღვარგარეთიდან იარაღი (შვეიცარული სისტემის თოფები). გიგზავნილ იქნა ორი ამხანაგი იარაღის მისაღებათ. მიღებული იარაღი დაურიგდა ჩვენს წითელ რაზმელებს. 26 დეკემბერს ამხ. გვათუას გამოწვევით გაგრი-

დან მოვიდა რაზმი 50 კაცისგან შემდგარი უნტერ ოფიცრის ალ. ჯაიანის მეთაურობით. 27 დეკემბერს ხოსტიდან გამოგზავნილ იქნა ურმებით ყუთებში ჩაჭედილი თოფები და ვაზნები ანხ. ბობრიკის თანხლებით. გზაზე ეს შენიშნეს მცველებმა და აცნობეს სადაც ჯერ იყო. იარაღს დაედევნა პოლიციის დარაჯთა უფროსი აფიცერი პოპოვი. იარაღი ბაზარში არც კი იყო შემოტანილი, რომ „სტრაჟნიკები" უკვე გაშიშვლებული ხმლებით გარს შემორტყმოდენ დატვირთულ უროგს და მოითხოვდენ დანებებას. როდესაც მათ ამაზე უარით უპასუხეს, მათ სროლა ატეხეს. რამდენიმე „ხალპის" შემდეგ „სტრაჟნიკებმა" თავი შეაფარეს ქალაქის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ შენობას. ამ დროს მე პლასტუნის და ბაზრის ქუჩების კუთხეში ვიდექი. მე დავინახე საფოთიაქო მაღაზიიდან გამოსული აქვ. გვათუა და ფრონშტეინი რევოლვერებით ხელში, რომელთაც იარაღით და ვაზნებით სავსე ყუთი მიჰქონდათ. ამხ. გოგიამ საიდანღაც მოირბინა და გადმომცა ვინტოვკა და ვაზნები. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ არ მოველოდით თავდასხმას და არ ეყოფილეართ მომზადებულნი, მაინც საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეთ. ბრძოლა გაგრძელდა 27 დეკემბრის ნაშუადღევის 3 საათიდან თითქმის მთელი ღამე. და ბოლოს თვითმპყრობელობის ჯალათებმა უკან დაიხიეს. პირველი ბრძოლის შედეგი ასეთი იყო: მათი მხრით მოკვდა ერთი, დაიჭრა ორი, მოკლულ იქნა რამდენიმე ცხენი და დაიჭრა მოქალაქე ჟარკოვსკი, რომელიც პლასტუნის ქუჩაზე მიეშველა ცხენიდან ჩამოვარდნილ სტრაჟნიკს. ჩვენი მხრით მოკვდა სამი: იარაღის მხლებელი ხოსტიდან ამხ. ბობრიკი, ამხ. ანთია, და ერთიც მუშა (გვარი არ მახსოვს), დაიჭრა ერთი რაზმელი დაგომისის ქუჩაზე ჩასაფრებულ „სტრაჟნიკთა" ჯგუფის მიერ. ამავე ღამეს სროლის შეწყვეტის შემდეგ გადაწყდა—გაგრძელდეს ბრძოლა, რისთვისაც დაეყოვნებლივ ეცნობოს დახმარებისათვის მუშებს და ოლქის კლეწობას. ამ საქმეზე ოლქში გაგზავნილ იქნენ: კონ. მეტაქსა, პ. ჯახშია, იოს. ახვლედიანი. მე მომანდვეს ჩრდილოეთის სოფლების მოვლა. მეორე დღეს დილის 11 საათზე მე უკვე დავბრუნდი შეიარაღებული გლეხთა რაზმით და ერთი „დროგი" იარაღით. გლეხობა დიდი ხალისით ეწერებოდა რაზმში. იარაღი შევაგროვეთ სოფლებში და აგარაკებზე.

მეორე დღე (28 დეკემბერი) ორივე მხარემ მოანდომა წინასწარ მზადებას. ქუჩებში ეწყობოდა ბარიკადები, თხრიდენ სანგრებს, აგროვებდენ ძალებს. შეიარაღებული მუშები მოდიოდენ აგარაკებიდან, გლეხები—სოფლებიდან. ყველა ქუჩები გამაგრებულ იქნა ბარიკადებით, მაგრამ განსაკუთრებულ სიმაგრეს წარმოადგენდა ბაზრის ქუჩა, სადაც მოთავსებული იყო ჩვენი შტაბი და სასადილო. ჩვენი მთავარი პოზიცია რამდენიმე რიგი თხრილებით იყო „ბატარეიკაზე", მაღ-

ლობ ალაგას ქალაქის გარნიზონის ყაზარმების პირდაპირ. აქ მთელი თავისი ძალებით და ხაზინით პირველსავე ღამეს მოთავსდა ოლქის უფროსი როზალინ–სოშალსკი. ჩვენ კარგათ ვხედავდით, თუ როგორ ამაგრებდა ჯარი ყაზარმის გარშემო მდებარე ადგილებს, თხრიდენ თხრილებს და სხ. ჯარის ხელმძღვანელებიც კარგათ ხედავდენ ჩვენს მუშაობას. როცა მოქალაქეებმა შეატყვეს, რომ მდგომარეობა სერიოზული იყო, მიატოვეს ყველაფერი ღვთის ანაბარათ და ქალაქიდან გაიხიზნენ. ქალაქი თითქმის დაცალიერდა. 29 დეკემბერს დილით ჩვენ ძლიერი სროლა დავუწყეთ ყაზარმებს. პასუხიც შესაფერისი მივიღეთ. დაიწყო პოზიციური ბრძოლა. ჩვენ სამხედრო სპეციები არ გვყოლია მეთაურებად, მათ მაგიერობას ჯარში ნამსახური ყოფილ ჯარისკაცები ეწევოდენ. რადგანაც მთავრობის მთელი ძალა თავმოყრილი იყო ყაზარმაში, ჩვენც გადავსწყვიტეთ ქალაქში გაფანტული ჩვენი ძალები მოგვეგროვებია ყაზარმის გარშემო და ასე შეგვემოკლებია გარემოცვის რკალი. ზოგიერთები მოითხოვდენ ყაზარმებზე იერიშის მიტანას, მაგრამ ეს უარყოფილ იქნა. ამხ. კონიაევის და გიორ. ხუციშვილის წინადადებით შეუდექით ძველის ძველი, სადღაც ეკლესიის პარკში მიგდებული ხარბაზნის შეკეთებას. მოვიწვიეთ ამ მიზნით არტილერიის მოხუცი აფიცერი, ლავროვი, ზეინკალი ხარეცკი და სხვა. „მოვაწესრიგეთ“ რა ეს ხარბაზანი, გავტენეთ ის ძველი ყუმბარებით, მაღაზიებიდან გამოტანილი გირებით და სხ. ნივთებით და ასე 31 დეკემბერს დილიდანვე შევუდექით ყაზარმებისკენ სროლას. პირველი ორი უშედეგო სროლის შემდეგ ჩვენი გასროლილი ყუმბარები მიზანში ხვდებოდა. მტრის მხრიდან სროლამ კი თანდათან იკლო და 1 იანვარს ნაშუადღევის 3 საათზე სრულიად შესწყდა და გამოფენილ იქნა თეთრი დროშა, ნიშნად ბრძოლის შეწყვეტისა და დამორჩილებისა. ჩვენ გავგზავნეთ ორი პარლამენტიორი–ექიმი გორდონი და ინჟინერი კონსტანტინოვი. მოვითხოვდით იარაღის და ხაზინიდან წაღებული ფულის გადმოცემას. ჩვენს მოთხოვნაზე ისინი დასთანხმდენ. ყაზარმაში დავტოვეთ მხოლოდ იარაღ-აყრილი ჯარისკაცები, დანარჩენნი—აფიცერი პოპოვი, ოლქის უფროსი როზალიონ-სოშალსკი, ბოქაული ზილესკი და სხ. სულ ას სულზე მეტი გადავიყვანეთ კერძო სიმედრო შენობაში, ზღვის პირად და მივუჩინეთ დარაჯები. როგორც გამოირკვა, სროლის დროს არც ჩვენს, არც იმათ მხარეზე არავინ მომკვდარა. იყვნენ მხოლოდ დაჭრილნი.

მოპოვებული გამარჯვების გამო მეორე დღეს ე. ი. იანვრის 2 ს დანიშნული იყო საზეიმო დემონსტრაცია. წითელარმიელებმა მარსელიოზის სიმღერით ჩამოიარეს ქალაქის მთავარი ქუჩები. ამ დროს არავის ყურადღება არ მიუქცევია ზღვაში მოშორებით მდგარ სამხედრო გემებისათვის, რომლებიც წინა დღით მოსულიყვნენ და ქა-

ლაქის ახლოს მისულას ჯარ კიდევ ვერ ბედავდენ. ზოგიერთი ამხანაგების ინიციატივით ამ დღეს დასწვეს ოლქის უფროსისა და მომრიგებელი მოსამართლის არქივები. ნაღმოსნები მთელი დღე მოშორებით იდგნენ ზღვაში და მხოლოდ შეღამებისას მოუახლოვდენ ნაპირს და იწყეს როგორც ქალაქის, ისე ახლო მდებარე რაიონების პროკლამირებას განათება. მეორე დღეს ნაპირზე გადმოვიდა სანღვაო ოფიცერი, რომელიც მეუდგა ჩვენს რწმუნებულად ამხ. ალექსანდროვსა და გრეჩკინთან მოლაპარაკებას. მოითხოვდა მხოლოდ სამხედრო ტყვეების გადაცემას, რაზედაც დასთანხმდენ ჩვენი რწმუნებულნი. გადაწყდა დატყვევებულთა გადაყვანა რუსთა საზოგადოების კანტორაში, სადაც ისინი უნდა ჩაგვესხა გემში, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი 3 იანვარს ღამით. 4 იანვარს ნაღმოსანის უფროსმა მოითხოვა ხაზინიდან წაღებული ფულის სრულად გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქს ყუმბარებს დაუშენო. რადგანაც ხაზინის ფული 150 ათასი მანეთი სტრატეგიული მოსაზრებით გადაგზავნილი იყო ს. პლასტუნოვკაში (10—12 ვერსტის მოშორებით), იქ გაგზავნილ იქნენ ამხანაგები, რომელთაც ფული საღამოთი მოიტანეს, რაც მაშინვე გადაეცა, რადგანაც უმიზნო იყო ბრძოლის გაგრძელება მოსკოვის ამხანაგების დამარცხების შემდეგ. ყველანი ვგრძნობდით შავი რეაქციის მოახლოებას.

4 იანვარს ღამით დაიწყო ნაპირად დესანტის გადმოსხმა. ქალაქში გამოცხადდა საალყო წესები. ამაღე დღეს დააპატიმრეს ამხ. ივანე ბაღათურია და ათანასე კუცია, რომელნიც ქალაქის ბაღში დახვრიტეს და გვამები ზღვაში გადააგდეს. დაიწყო მასიური დაპატიმრება, ჩხრეკა, დარბევა...

სოჩის შეიარაღებულ საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრებამდე დაპატიმრებულ იქნა 400-მდე კაცი, როცა პატიმართა რიცხვი ციხემ ვეღარ დაიტია, ისინი კერძო სახლებში მოათავსეს. საქმე გაირჩა 1907 წელს ქ. ნოვოროსიისკში სამხედრო სასამართლოში. სასამართლოს წინაშე წარსდგა ასამდე ბრალდებული, დანარჩენნი განთავისუფლებულ იქნენ სასამართლომდე. სხვადასხვა ვადით კატორღა მიესაჯა გრეჩკინს, სალნიკოვს, პოიარკოს და რომან კუციას, ერთ ნაწილს მიესაჯა სამუდამო გადასახლება, დანარჩენთ ციხეში დაპატიმრება. მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა გამართლებული. ყველაზე მეტი იქნა გადასახლებული სოფ. პლასტუნოვკიდან (40—50 კაცი). ეს სოფელი, როგორც „ინოროდცული“, ითვლებოდა რეეულიუციონურად. პირველად ფიქრობდენ მთელი სოფლის გადასახლებას (100 კომლია), მაგრამ შემდეგ დაკმაყოფილდენ ნაწილის გადასახლებით. გადასახლებულ სოფლელთა ერთი ნაწილი დაბრუნდა 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, ნაწილი უკვე დაიღუპა ციმბირში.

პ. ჯანაშია.

II

1905 წ. დეკემბრის 20-ში სიზღვარ გარეთიდან მოვიდა ფოთში სამი გემი შეიარაღული ვინტოვკებით და პატრონებით. ამ საქმეს ხელძღვანელობდა ფედერალისტების ლიდერი თედო სახოკია.

ფოთში ჯაშუშმა, გემის კაპიტანმა, რომელიც ფოთის ნავსადგურში იდგა, ხლვაში შენიშნა სიგნალი, მან ეს აცნობა ფოთის დამცველებს და ისინი დაედევნენ კონტრაბანდისტებს. ორმა გემმა მოასწრო იარაღის წყალში გადაყრა, ხოლო ერთი გემიშეპყრა გაგრისკენ და 1905 წ. 21 დეკემბერს გაგრის ორგანიზაციას მოუვიდა ცნობა, რომ თავად ალექსანდრე ინალიპას სასახლეს ახლოს ნავია 150 ვინტოვკით და 75 იაშიკი პატრონებითო.

ეს ალაგი გაგრასა და გუდაუთას შუა მდინარე ზიბზას შესართავთანაა.

გაგრის კომიტეტის წევრების თანხლებით ფრიად საიდუმლოდ წაეყვდით იარაღის გადმოსატანად. წავიყვანეთ საიდუმლოების შემნახველი წევრები ჩვენი პარტიისა და 21-22-23 დეკემბერს იარაღი მთლად გადმოვტვირთეთ. გადმოტვირთვაში მონაწილეობას ვღებულობდით: მოსე ცხოიძე, ნოე ჩაჩავა, დათიკო ბენდელიანი, მოსე კილურაძე და სხვ.

იარაღი გაგრის ორგანიზაციამ დაურიგა მხოლოდ აქტიურ წევრებს. 24 დეკემბერს გაგრის ორგანიზაციას ესტუმრა აქუსენტი გეგუთა მან ასეთი მოხსენება გააკეთა:

ამხანაგებო! მინდა დაწვრილებით გაგაცნოთ სოჩის ორგანიზაციის მდგომარეობა. თქვენ აქ შეგიქნიათ თქვენი მთავრობა, თქვენ გაქვს თავისუფლება, თქვენ თუ მეტი არა, ოქტომბრის რევოლიუციის მანიფესტით სარგებლობა ცხოვრებაში გაგიტარებიათ. ჩვენ კი არ გვაქვს არავითარი საშუალება, რომ თავისუფლად კრება ან მიტინგი მოვახდინოთ, მოკლედ, არ გვყავს ძალა, არ გვაქვს იარაღი, რომ ანგარიში გაგვიწიოს ოლქის უფროსმა. ასეთი იყო მისი მოხსენება.

მან გვთხოვა ოცდაათი თოფი ჩვენი საწყობიდან. დიდი კამათის შემდეგ ჩვენი სამხედრო ორგანიზაციის წევრებმა წოწორიამ, ჯაიანმა, ბენდელიანმა და მე დავაყენეთ საკითხი—წავსულიყავით სოჩაში გაგრის ორგანიზაციის ზოგიერთი წევრები, რიცხვით 25 კაცამდე და ოლქის უფროსისთვის წაგვეყენებია ულტიმატუმი, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი გაევრცელება უცვლელად სოჩის მოქალაქეებზე. თუ ჩვენ უარით გამოგვისტუმრებდენ და ჩვენს დელეგაციას არ მიიღებდენ, შემდეგ ბრძა გადაწყვეტდა საკითხს. ამ წინადადებას აჰყვა გაგრის პარტიული მასაც და რიცხვით ორმოცდაათმა შეიარაღებულმა ამხანაგებმა 25 დეკემბერს ღამით 10 საათზე

ახალ გაგრიდან (სანდალით) გავემგზავრეთ სოჩის მიმართულებით. სამი საათის მსვლელობის შემდეგ ამოვარდა ქარიშხალი და გაგრიდან ოცი ვერსტის მოშორებით იძულებული შევიქენით ნახევრად სველნი ნავიდან გადმოსულიყავით ნაპირზე. ხმელეთით გაგრიდან რამოდენიმე ამხანაგი მიდიოდა. ჩვენ იმათ დავუცადეთ; მათ იარაღი დროგით მოჰქონდათ და ჩვენც ვისარგებლეთ ამით და მათ შეეურთდით. დილის ოთხ საათზე გავემგზავრეთ ადლერისაკენ, 26 დეკემბერს დილის 5 საათზე ადლერის მთავრობას იარაღი ავყარეთ, დაეატყევევეთ, დავინიშნეთ ჩვენი მილიცია, იარაღი მოვაწყვეთ დელეგენების ქვეშ, ჩვენ კი მაღლად ეკვსი ლინეიკით, ორი დელეგანით და ორი ეტლით გავეშურეთ სოჩის მიმართულებით. ოცდაათი ვერსტი იყო გასავლელი. წავედით დილის 8 საათზე, დღის 3 საათზე ჩავედით სოჩაში, გზაში შემოგვხდა ცხენით ამხანაგი ნადარეშვილი, მან დაგვაიმედა, რომ სოჩაში არ არის შესვლა, რადგან არ იციან თუ ეტლებით მივლენ შეიარაღებულებით. და მართლაც, ისე გავიარეთ ოლქის სამმართველოს წინ, რომ ქორწილი ეგონათ, გზაში კი სოჩის მოშორებით სოსია რაჭველმა დეპეშის მავთულები ცულით დასჭრა. ასე რომ, სოჩაში არ შეეძლოთ არავითარი ცნობის მიღება.

ჩვენ გავჩერდით იქ, სადაც დელეგენები ჩერდება და იარაღით ხელში, მწყობრათ, დროშით, ას კაცამდე დათიკო და სამსონ კილაძეების მეთაურობით ქუჩები გავიარეთ მარსელიოზის სიმღერით. დემონსტრაციის შემდეგ ოლქის უფროსს გავუგზავნეთ დელეგაცია ბიქტორ ერქომაიშვილის მეთაურობით, რათა უსისხლოდ დაგვმორჩილებოდა, მაგრამ არ დათანხმდა. ოლქის უფროსს ჩვენი დელეგაცია დაეპატიჟებია და სტრაჟნიკები დაეთხრო ჩვენთან საბრძოლველად. დელეგატების გაგზავნისას ჩვენი რაზმი გაიყო ორ ნაწილად: ერთი მოთავსდა აგურის შენობაში (სკოლა იყო მგონი), მეორე—აბანოს შენობაში. სრულ 4 საათზე, 27-ს გალეშილი სტრაჟნიკები, რიცხვით 30 კაცამდე თავს დაესხა ჩვენს პირველ ნაწილს. ამ დროს ჩვენმა მეორე ნაწილმა მტერს უკანიდან დაუშინა, აქ მოკალით შვიდი ცხენი, ოცი დავატყევებინეთ, ერთი ინგუშიც ფეხმოტეხილი ეგდო ქუჩაში, ერთიც მოკვდა. ამ დროს გორაკზე გაშენებულ სალდათების უაზარმიდან დაგვიწყეს სროლა, მოგვიკლეს ამბ. გერა მანთაია გაგრელი გლეხი. დასჭრეს—სლესარი—(გაგრელი) აქსიონკო, მოჰკლეს ქუჩაში ერთი არამებრძოლი, (მთვრალი რუსი). აი აქედან დაიწყო ბრძოლა, ბარიკადების აშენება-თხრა.

ხელმძღვანელობდა სოჩიდან აქვსენტი გვათუა და დათიკო კილაძე. გაგრის ამხანაგებიდან—მე, ნოე ჩაჩავა და დათიკო ბენდელიანი.

გაგრის სამხედრო ორგანიზაციის წევრები და სოჩაზე თავდასხმის ინიციატორები იყვნენ გაგრის ორგანიზაციის წევრები: 1) ევგენი ფერაძე, 2) ილარიონ ბენდელიანი, 3) აქვსენტი ბენდელიანი, 4) მოსე ცხოიძე, 5) ნოე ჩაჩავა, 6) დათიკო ბენდელიანი და 7) ეფრემ ცინცაძე. ამათ მოახდინეს სოჩის აყრყანება, რომ ეს ამხანაგები არა, სოჩაში არამც თუ აყრყანებას, არამედ უბრალო დემონსტრაციასაც ადგილი არ ექნებოდა.

აღსანიშნავია აგრეთვე, სოჩის ამხანაგების თავდადებული ბრძოლა, განსაკუთრებით კი დათიკო და სამსონ კილაძეების, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ამ ბრძოლაში.

მ. ცხოიძე.

III.

17 ოქტომბრის პროვოკაციული მანიფესტის შემდეგ პარტიული კომიტეტის ერთ-ერთ კრებაზე გადაწყდა მოწყობილიყო მებრძოლი რაზმი ძალა—უფლების ხელში ჩასაგდებათ. რაზმში ჩაწერის სურვილი 300-მდე კაცმა განაცხადა. სამწუხაროდ იარაღის დიდ ნაკლებობას განვიცდიდით. ბევრი რაზმელი შეიარაღებული იყო სანადირო თოფით. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს მოეპოვებოდა ვინტოვკა და ძველი სისტემის ბერდანკა. ცოტა გვქონდა ვაზნები, თოფის წამალი და სხ. ამ ხანებში გაგრიდან მივიღეთ 120 შეიარაღული სისტემის თოფი და რამდენიმე ყუთი ვაზნები. ჩვენ, მართალია, ვემზადებოდით შეიარაღებული გამოსვლებისათვის, მაგრამ არც მეფის ჯალათებს ეძინათ: ოლქის უფროსმა სოშალსკიმ და კორნეტმა პოპოვმა თავი მოუყარეს სოჩაში 400 მდე მეომარს—ჟანდარმებს, სტრაჟნიკებს და სხ; ამას გარდა ქალაქში იდგა მე-33 ხერსონის ქვეითი პოლკის 2 როტა, დაახლოებით 140—160 კაცამდე; ასე რომ, ბტრის ძალა დიღათ აღემატებოდა ჩვენს ძალას და ასეთ შემთხვევაში ძალა-უფლების ხელში ჩაგდება საძნელო საქმეს წარმოადგენდა. ამიტომ ჩვენ მივმართეთ გაგრას და ესთხოვეთ დახმარება, საიდანაც დასახმარებლათ მოვიდა 70—80 შეიარაღებული რაზმელი. ახლო-მახლო სოფლებიდანაც მოგვეშველენ შეიარაღებული რაზმელები.

24 დეკემბერს შესდგა კომიტეტის კრება, სადაც საკითხი დაისვა ადმინისტრაციის განიარაღების და ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შესახებ. ხმის უმრავლესობით იარაღით გამოსვლა ძალა-უფლების ასაღებათ უარყოფილ იქნა. გადაწყდა 25 დეკემბრისთვის მიტინგის მოწვევა, სადაც უნდა არჩეულიყო დელეგაცია სოშალსკისთან გასაგზავნათ, რომელიც მოითხოვდა ძალა-უფლების ნება-ყოფლობით გადმოცემას. 25 დეკემბერს მართლაც შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მონაწილეობდენ სოც. დემ. გარდა ესერები, დაშნაკები,

კადეტები. სოშალისტებთან გაგზავნილ დელეგაციას უთხრეს, რომ პასუხს 25 დეკემბერს ნაშუადღევის 2 საათზე მიიღებთო. მიტინგი დაიშალა დელეგაციის დაბრუნების შემდეგ. ჩვენი შეიარაღებული რაზმი დაბანაკებული იყო სოჩის ერთ-ერთ სასტუმროში. 26 დეკემბრის შუადღისას, როცა რაზმელები სადილობდენ და არავინ არ ფიქრობდა თავდასხმაზე, სოშალისტმა და კორნეტმა პოპოვმა თავიანთი „სტრაჟნიკებით“ ალყა შემოარტყეს სასტუმროს და ჩვენდა მოულოდნელათ სროლა გაიჩაღეს. მშვიდობიანი პასუხის ნაცვლად ასეთმა მუხანათურმა დავდასხმამ რაზმელებში არეც დარეცა გამოიწვია პირველად, მაგრამ მოვიდენ რა ისინი ჩქარა გონს, გამოვიდნენ სასტუმროდან და გაშალეს მწკრიენი. აშენდა რამდენიმე ბარიკადა და დაიწყო ბრძოლა, რომელიც ღამის 10 საათამდე გაგრძელდა. 10 საათზე მტერმა დაიხია და ჩვენც ბარიკადები წინ წაესწიეთ. მოწინააღმდეგემ ბრძოლის ველზე დასტოვა დაჭრილ-მოკლული 13 ცხენი, ჩვენ დაგვრჩა აგრეთვე 60 ჯანსაღი ცხენი, რაც გადაეცა ცხენოსან რაზმს. ბრძოლის ველზე დასტოვეს ერთი მკედარი „სტრაჟნიკი“. დაჭრილნი კი თან წაეყვანათ, ჩვენის მხრით ერთი მოკლულ იქნა, ერთიც დაიჭრა. ამაეე ღამეს ჩვენ დავიპყარით ფოსტა, ტელეგრაფი, ხაზინა, ოლქის უფროსის კანცელიარია და ყველა საპოლიციო ნაწილები. არსად არც ერთი ვინტოვკა, არც ერთი ვაზნა მტერს არ დაეტოვებია, ყველაფერი თან წაეღო. ხაზინა ცარიელი აღმოჩნდა. ამავე ღამეს სოშალისკი თავისი სტრაჟნიკებით და სხ. ამალით გადაბარგებულიყო ქალაქის მაღლობზე გაშენებულ ჯარის ყაზარმებში. პირველ დღეს ჯარისკაცებს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. 26 დეკემბერს მოწინააღმდეგემ ყაზარმების გარშემო გაიკეთა სანგრები და 27 დეკემბერს დილით ქალაქს ყაზარმებიდან სროლა დაუწყეს. რადგანაც ყაზარმები მაღლობაზე იყო მოთავსებული, ქალაქი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა. მტრის ხელში აღმოჩნდა ის ხიდი, რომელიც სოფელს აერთებდა ქალაქთან, ამიტომ ხიდზე გავლა არავის შეეძლო. ნაშუადღევის 2 საათზე ჩვენმა სახედრო შტაბმა გადასწყვიტა გარს შემორტყმოდა ყაზარმებს და დაეკავებია მის გარშემო მდებარე ყველა მაღლობები.

27 დეკემბერს ღამით შტაბის გადაწყვეტილება სისრულეში იქნა მოყვანილი. სულ აშენებულ იქნა 18 ბარიკადა. 28-ს დილით დაიწყო ორივე მხრიდან განუწყვეტელი სროლა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მეტად სუსტად ვიყავით შეიარაღებულნი, ჩვენი ტყვიები ხშირად მიზნამდეც კი ვერ აღწევდა, მაინც მოვახერხეთ ბარიკადების წინ წაწევა და დავუახლოვდით ყაზარმებს. ასე ჩვენ ყაზარმები მოვსწყვიტეთ ჯარისკაცთა ფურნეს და ჰას, საიდანაც ყაზარმებში წყალი მიჰქონდათ. ამ გარემოებამ ჩვენ გაგვახარა. უწყლობით გვეგონა

დავიმორჩილებდით, მაგრამ იმავე ღამეს მოვიდა წვიმა, მათაც ისარგებლეს წვიმის წყლით. პურის ნაცვლად იხარჯეს „სუხარი“. მათ კარგათ იცოდენ, რომ ჩვენ ვაზნები ცოტა მოგვეპოვებოდა. ამიტომ შემდეგ ხერხს მიმართეს. სანგრებში გამოჩნდებოდა კაცი ხან სტრაჟიკის, ხან ჟანდარმის, ხან ჯარისკაცის ფორმაში, ჩვენებიც ესროდენ—ნამდვილათ კი ეს იყო თორმე საფრთხობელა (чучело). როცა ჩვენ ეს გავუგეთო, ჩვენც მივმართეთ ასეთ ხერხს. ბრძოლა გაგრძელდა 29—30 დეკემბერს. მებრძოლნი დაიქაცენ. გამომცველნი არ მოდიან, წვიმს, ბარიკადებს ნიაღვარი ეხეთქება, არიან დაჭრილი ამბანაგები. ყველაფერს მოწყვეტილნი ვართ. არ ვიცით რა ხდება ჩვენს გარშემო. არავითარი კავშირი არ არის სხვა ქალაქებთან. ჩვენ კი ვგუგრუნთ, რომ რუსეთის დანარჩენ ადგილებში ბრძოლა სწარმოებს. მუშათა კლასი იმარჯვებს. ჩვენის აზრით სოჩის აღებით საქმე გათავებულია—რევოლიუცია გამარჯვებული. ყოველ წამში მოველით დახმარებას შავი ზღვის ფლოტისგან, სადაც სწორედ ამ დროს აჯანყებები ხდებოდა. მაგრამ საქმე თურმე სულ სხვაგვარათ იყო. ამ დროს მოსკოვში და ლენინგრადში რევოლიუცია უკვე დამარცხებული იყო. 31 დეკემბერს რაზმელებში აღფრთოვანებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. ყველა მზადაა იერიშით მივიდეს მტერზე. ამ საკითხის გადასაწყვეტად სხვადასხვა ბარიკადების წარმომადგენლები წავიდენ შტაბში, რომ იქ საბოლოოდ გადაწყვიტონ მიეტანონ იერიში ყაზარმებზე თუ არა. შტაბი ხალისით არ შეგებებია ასეთ წინადადებას, მაგრამ დაბოლოს გადაწყდა იერიშის მიტანა. როცა იერიშის საკითხი ირჩეოდა შტაბში, სხდომას დაესწრო ნოეროსიისკიდან ჩამოსული ინჟენერი გრეჩკინი, მან სურვილი განაცხადა იერიშში მონაწილეობის მიღების. ბარიკადების დასათვალიერებლათ ის ჩვენთან ერთად მოვიდა, როცა „მაიაკთან“ ავედით, გრეჩკინმა აქ შენიშნა ერთი ძველის ძველი ზარბაზანი. დათვალიერების შემდეგ გრეჩკინმა სთქვა, რომ ამ ზარბაზანის გამოყენება შესაძლებელი იქნებაო. იმ წამსვე მოვიყვანეთ ორი უღელი კამეჩები და ზარბაზანი გადავათრიეთ სახელსნოში. აქ ის დავდგით „ვაგონეტკას“ გორგოლაჭებზე. „ვაგონეტკა“ ლიანდაგზე იდგა, ასე რომ, სროლის დროს ზარბაზანს შეეძლო მოძრაობა წინ და უკან. გავსწმინდეთ, შევაკეთეთ ეს ზარბაზანი და 31 დეკემბერს ღამის 12 ს. მივიტანეთ ბარიკადასთან (№ 1); ეს ბარიკადა სწორედ ყაზარმის პირდაპირ იყო აშენებული. ზარბაზანი ისე დაიდგა როგორც საჭიროება მოითხოვდა. დამზადებულ იქნა პატარა ტომრებში თოფის წამალი 20—20 გირვანქა თითოში.. ერთი სიტყვით, ყველაფერი მზად იყო, მხოლოდ არ მოგველპოვებოდა ყუმბარები. მაგრამ აქაც გამოსავალი გამონახული იქნა, ჩერნომორდნიკოვის და სხ. მაღაზიებიდან მოვაგროვეთ 10—

20 გირვანქიანი გირები, რკინის ჯაჭვები და სხ. ჯაჭვები გავსპერით 2—3 არშინად. და ასე, როცა ყველაფერი მზად იყო—1906 წ. 1 იანვრის დილის 6 საათზე მტერს „მიულოცეთ“ ახალი წელი ჩვენი ზარბაზნის გასროლით. გასროლის წინ, როცა პატრუქს გავუჩინეთ ცეცხლი, ჩვენ ყველანი მივიმალ-მოვიმალეთ. ზარბაზნის გასროლის ხმა რაღაც წარმოუდგენელი იყო. ასეთი რამ ჩვენც ვერ წარმოგვედგინა, მტერზე ხომ განსაკუთრებულ გავლენას მოახდენდა ჩვენი გირები და 3 არშინიანი რკინის ჯაჭვები, რომლებიც ყუმბარებათ გავასაღეთ. მიუხედავათ ამისა, რომ პირველი გასროლა მიზანში ვერ მოხვდა, ყაზარმებს გადასცილდა, ამხანაგების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მოისმა ყველა ბარიკადებიდან „ურა“ და რევოლიუციონური სიმღერები. ზარბაზანი გაწმენდილ იქნა, აღებული იქნა ახალი მიზანი. მეორე, მესამე, მეოთხე განსასროლი უკვე მიზანში მოხდა. ყაზარმის სახურავი და კედლები ჩამოინგრა. ჩვენი ზარბაზნიდან სროლა გრძელდება, მტერი არა თუ გვებედება, პირიქით—კიდევ უფრო და უფრო უშენს თოფებიდან ჩვენს ზარბაზანს. ჩვენი ზარბაზნიდან გასროლილ იქნა 51-ჯერ. 3 იანვარს მტერი დაბოლოს დაგვნებდა—გამოჩნდა თეთრი ბაირაღი. გაგზავნილ იქნენ ჩვენგან ამხანაგები მოსალაპარაკებლათ, თუ რა პირობებით უნდა დაგვნებებოდენ: ჯარის ნაწილებს განიარაღებულთ ვანთავისუფლებდით, სტრაჟნიკები, პოლიციელები, ჟანდარმები და მთავრობის წევრები უნდა მოგვეთავსებია ციხეში. ტყვედ წამოყვანილ იქნა 440 კაცი, მათ შორის იყვნენ მღვდლებიც, ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევრები და სხ. ყაზარმებიდან წამოვიღეთ 440 ვინტოვკა, 50 ათასი ვაზნა და სოჩის ხაზინის 60 ათასი მანეთი ფულად. განთავისუფლებულ ჯარისკაცებთან და აფიცრებთან კარგი დამოკიდებულება გვქონდა. ისინი კმაყოფილნი იყვნენ. 5 იანვარს დაახლოვებით შუადღისას სოჩაში მოვიდა ერთი კრეისერი და ორი სამგზავრო გემი. შორიდან შევნიშნეთ ჩვენ ეს გემები და გაგვეხარდა—გვეგონა ჩვენდა დასახმარებლათ მოსულნი. და როგორც კი გაჩერდენ გემები, ნავებით წავიდნენ ამხანაგები მისასალმებლათ. გამოირკვა, რომ ეს მთავრობის გემები იყო. ჩვენს ამხანაგებს განუცხადეს, რომ მისული არიან სოჩის შეიარაღებული აჯანყების აღმოსაფხვრელად. გამოისტუმრეს ამხანაგები და მოითხოვეს დელეგაცია იმის გამოსარკვევად, თუ რა პირობებით უნდა ჩაგვებარებია ქალაქი. წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდენ ქალაქის განადგურებით. გემებზე 1000-მდე პლასტუნი იყო. ამ დროს ჩვენ ნოვოროსიისკიდან უკვე გვქონდა ცნობა აჯანყების დამარცხების შესახებ ყველგან. სამინელი სულიერი განწყობილება სუფევდა. ჩვენს დელეგაციას მოსთხოვეს დაუყოვნებლივ ქალაქის ჩაბარება, დაპატიმრებულთა განთავისუფლება, ხაზინის ქონების დაბრუნება. ამაზე დელეგა-

ცია არ დაეთანხმა. მაშინ მოითხოვეს ჯარის კაცების და აფიცრების გადაცემა. ამაზე ჩვენ დავთანხმდით. დიდის პატივისცემით გავისტუმრეთ გემზე ისინი. როცა ისენი მიღებულ იქნენ გემზე, არ გაუვლია საათ ნახევრს, რომ მოითხოვეს მთელი სამოქალაქო ადმინისტრაციის, ფულის და იარაღის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქს ავაოხრებთ, დესანტს გადმოვსხამთო. მოწვეულ იქნა კომიტეტის სხდომა. გადაწყდა დავნებებოდით. დაიწყო ამხანაგების სოჩიდან გახიზნვა—120 კაცამდე გაგრისკენ გაემგზავრა. გზაში გავიგეთ, რომ გაგრაში უკვე გადმოესხათ დესანტი. ამ დროს ჯარი უკვე შემოსული იყო სოჩაშიც, სადაც რამდენიმე უიარაღო ამხანაგიც კი მოეკლათ. მოეკლათ სხვათა შორის ამხ. კუციაც. ჩვენ მთებში გავიხიზნეთ და იქ დავიფანტეთ. რამდენიმე წლის განმავლობაში ამ ამხანაგებს მე არ შევხვედრივარ, მაგრამ დაბოლოს ყველა ამათ თავი მოუყარეს ნოერასიისკის, ეკატერონოდარას და სოჩის ციხეებში, დაბოლოს გადაგვეყვანეს ყველა ნოეროსიისკის ციხეში და 1908 წელში გაგვასამართლეს. პასუხის გებაში იყო მიცემული 400 კაცამდე. დაპატიმრებული იყო 240 კაცი. სასამართლოს სხდომები გაგრძელდა 23 დღე. როგორც ნიეთიერი დამამტკიცებელი საბუთი, სასამართლოში მოიტანეს ჩვენი ზარბაზანიც. ყველას გაგვეხარდა მისი ნახვა (ეხლა ეს ზარბანანი ლენინგრადშია) განაჩენის გამოცხადების დღეს მოეწყო გაფიცვა, გამოცემულ იქნა ფურცელი. სიკვდილით არავინ დაუსჯია სასამართლოს. კატორღითა და სამუდამო გადასახლებით გათავდა საქმე.

დავით კილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რევოლიუციონური მოძრაობა მთავრობის დახასიათების თანახმად.

მოკლე მიმოხილვა რევოლიუციონური მოძრაობისა ამიერ-კავკასიაში 1904 წლიდან 1909 წლის მაისამდე მომხდარი თვალსაჩინო ტერორისტული აქტების ჩამოთვლით.

ეს საქმე (№86/1909 წ.) ეკუთვნის კავკასიის მეფის მოადგილის კანცელიარიის საგანგებო განყოფილებას. საქმე შედგენილია მეფის მოადგილის დავალებით და ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის ხელმძღვანელობით პროკურორის ამხანაგის მოსკალიოვის მიერ. მთელი მასალა შეიცავს 416 გვერდს მანქანაზე დაბეჭდილს და, როგორც სათაური გვიჩვენებს, განიყოფება ორ ნაწილად: პირველი ნაწილი შეიცავს საერთო მიმოხილვას რევოლიუციონური მოძრაობისას ცალ-ცალკე—დასავლეთ და აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში. მეორე ნაწილში ჩამოთვლილია ტერორისტული აქტები. მიმოხილვა შედგენილია იმ მასალების მიხედვით, რომელიც მოეპოვებოდა ტფ. სასამართლო პალატის, ქუთაისისა და ტფილისის საოლქო სასამართლოთა კამერებს.

საერთო მიმოხილვა ასე იწყება:

„იმ რევოლიუციონურ მოძრაობამ, რომელიც მთელს რუსეთს მოედო 1904—1906 წლებში, განსაკუთრებულის სიძლიერით იჩინა თავი კავკასიაში. იმ საერთო მიზეზებს, რომელთაც ეს მოძრაობა გამოიწვიეს რუსეთის შიდა გუბერნიებში, კავკასიაში ზედ დაერთო ადგილობრივი პირობებით შექმნილი მიზეზები და კავკასიაში მცხოვრებ სხვადასხვა ერთა ურთიერთობანი. ამ აზრით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ორი ფაქტორი, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ რევოლიუციონური მოძრაობის გავრცელებისა და მისი დახასიათებისთვის. ერთი ამათგანია ის ღელვა, რომელმაც თავი იჩინა ოზურგეთის მაზრაში (გურია), ვიდრე რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყებოდა რუსეთის შიდა გუბერნიებში. გადაუმეტებლათ შეიძლება ითქვას, რომ რევოლიუციონური იდეების გავრცელების საქმეში კავკასიაში გურულები ავანგარდს შეადგენენ. ყველაფერი ის, რაც 1905—1906 წ. მოხდა დასავლეთ ამიერ-კავკასიაში, განმეორება იყო დიდის მასშტაბით იმისი, რაც წინად გურიაში მოხდა. ყველა მომხდარი მოძრაობის შედარება როგორც დროთი, ისე ადგილით და

ხასიათით იმის მაჩვენებელია, თითქმის მთელი დასავლეთი ამიერ-კავკასია კვალ-კვალ გურიას მისდევდა. აგრარული არეულობანი, გლეხთა ბრძოლა მემამულეების წინააღმდეგ, სამღვდელობისათვის დრამა ფულის მიცემაზე უარის თქმა, რაც გურიაში 1900 წლის დამდეგიდან დაიწყო, თანდათან მოედო უფრო მეტსა და მეტს რაიონებს, ხოლო მოძრაობის დაწყება ამა თუ იმ ადგილას დამოკიდებული იყო იმისაგან, თუ რამდენათ დაშორებული იყო ეს ადგილი გურიიდან. თანმდებობის პირთა და მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტი, მმართველობის ყოველ სფეროში თითმართველობის შემოღება, „შპიონების“ მკვლელობა—ყველაფერ ამას ადგილი ჰქონდა ჯერ გურიაში, შემდეგ მის მოსაზღვრე ქუთაისის გუბერნიის მაზრებში. დაბოლოს ქუთაისის მოსაზღვრე ტფილისის გუბერნიაში. გურიის მოძრაობა, მინიატურულად აღებული, იძლევა აწყარა წარმოდგენას იმ საერთო რევოლიუციონური მოძრაობისას, რომლითაც ასეთი სიძლიერით იყო მოცული დასავლეთი ამიერ-კავკასია.

„სულ სხვა ხასიათისაა რევოლიუციონური მოძრაობა აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში, სადაც მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ თათრები და სომხები. თათრების მასსა მოძრაობის დაწყებისას და ახლაც ტახტის მომხრეა და მთავრობის საწინააღმდეგო მისწრაფებანი მისთვის უცხო ხილია. ამიტომ რევოლიუციონურმა მოძრაობამ მათში სუსტი გამოხმაურება ჰპოვა. გარდა ამისა, როცა 1904 წელს ბაქოში გამოცემული სომხური პროკლამაციებით მუსულმანებს ძალადობით ემუქრებოდენ, უკეთუ ისინი არ შეუერთდებოდენ რევოლიუციონურ მოძრაობას, მუსულმანებმა სთხოვეს მათ თავი დაენებებიათ, თავის მხრით ისინიც დაემუქუენ სომხებს—„მინდორ-ველებს სოფლებთა გვამების სასაფლაოდ გადავაქცევთო“. რაც შეეხება სომხებს, მათში რევოლიუციონური მოძრაობის აღმოსაცენებლათ განსაკუთრებული მიზეზები იყო. ეს მიზეზი არის სწორედ ის მეორე ფაქტორი, რომელიც გაელენას ახდენდა რევოლიუციონური მოძრაობის ხასიათზე ამიერ-კავკასიაში. ეს მიზეზი მდგომარეობს სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიების მამულების ჩამორთმევაში 1903 წელის ივნისის 12-ს კანონით. ამ მხრით ყურადღების ღირსია სოც. დემოკრატების და სოც. რევოლიუციონერების მიერ გამოცემული პროკლამაცია კავკასიის მთავარმართებელ თავად გოლიცინზე თავდასხმის შემდეგ, რომელიც მოხდა 1904 წლის ოქტომბრის 14-ს. პროკლამაციაში ნათქვამია, რომ თავ. გოლიცინის თავდასხმის მიზეზია სომხების შევიწროვება და საეკლესიო ქონების ჩამორთმევა. შემდეგ ფურცლებში ნათქვამია: „საეკლესიო ქონების ჩამორთმევამ ხელი შეუწყო მით, რომ გაარევოლიუციონერა სომხის მასა, რომელშიაც ნაკლები გასაგები ჰქონდა ჩვენს პროპაგანდას და ასე ჩვენ გაგვიადვილა შრომა.“-ო

რევოლიუციონური მოძრაობა დასავლეთ ამიერ-კავკასიაში.

გ უ რ ი ა.

რუსეთში არსებული სახელწიფო და სოციალური წყობილების დანგრევის და მოპობის იდეის პროპაგანდა იწყება მეოთხმოცდაათე წლების დასაწყისიდან. 1902 წელს წარმოებულ გამოძიებიდან, რომელიც შეეხებოდა „ოზურგეთის მაზრის სოფ. მიქელ-გაბრიელის სოზოგადოებაში არსებულ საიდუმლო დამნაშავე საზოგადოებას“ სჩანს, რომ ოზურგეთის მაზრაში ღამ-ღამობით ხდებოდა გლეხთა კრებები. თითეულ კრებას ესწრებოდა 200-დან 700 კაცამდე. კრებაზე ორატორები ლაპარაკობდენ იმის შესახებ, რომ მიწა, როგორც ჰაერი, ყველას ეკუთვნის თანასწორად, ამიტომ რუსეთში უნდა დაწესდეს წოდებათა სრული თანასწორობა; მიწები უნდა ჩამოერთვას თავადაზნაურობას და გადაეცეს გლეხობას; დრამის ფული ღეჭდლებს არ უნდა ეძლეოდეთ, არ უნდა ეძლეოდეს აგრეთვე მემამულეებს საჯარო გადასახადი და თუ მიეცემა, მოსავლის არა უმეტეს $^1/_{10}$-სა, მეჭამულეებს არ უნდა დაეჭირავოთ, ჯარში არ უნდა წახვიდეთ, როცა გაწვევა იქნება, ახლანდელი მეფე უნდა ჩამოაგდოთ ტახტიდან და მის ნაცვლად უნდა ავირჩიოთ ჩვენი წრიდან. გავლენიანი მემამულენი და საზოგადოდ ყველა ისინი, ვინც წინააღმდეგნი იქნებიან მოძრაობის, უნდა მოკლულნი იქნან; უკეთუ მოძრაობის ჩასაჭრობათ ჯარები იქნება გამოწვეული, მათი ჩვენ არ უნდა შეგეშინდეს, რადგანაც ჯარი პროპაგანდისტების მხარეზეა, ამ დღეებში ჯარს დაურიგდება ფურცლები, სადაც ჩამოთვლილი იქნება, თუ როგორ უნდა იმოქმედონ. ამასთან ერთად ორატორები მოითხოვდენ, რომ გლეხებს ფიცი დაედოთ, რათა ისინი პროპაგანდისტის ნათქვამს შეასრულებდენ. გლეხებიც ფიცსა სდებდენ ხატის წინაშე, რომელიც პროპაგანდისტს ხელში ეჭირა. ამას გარდა გლეხთა კრებაზე ირჩევდენ ჯალათებს, რომელთაც ავალებდენ იმათ მოკვლას, ვინც ხელს შეუშლიდა პროპაგანდას, ჰკრებდენ ფულს, რომელსაც ბარებდენ ამორჩეულ ხაზინადარს. ეს ფული უნდა მოხმარებოდა იმათ, ვინც მოძრაობის მოწინააღმდეგე პირთ მოკლავდა და აგრეთვე იმ გლეხებს, ვინც მოძრაობაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული იქნებოდა. ამ პროპაგანდამ მაშინ მაგრად გაიდგა ფესვები ხალხში, მოედო თითქმის მთელს ოზურგეთის მაზრას. მოქმედებით ეს პროპაგანდა, როგორც შემდეგ გამოძიებამ გამოარკვია, გამოიხატა შემდეგში: ბევრ მემამულეს და მღვდელს ხელმოუწერელი მუქარის წერილი მიუგზავნეს, რათა მათ უარი ეთქვათ საჯარო გადასახადზე და დრამა ფულზე, მიწა კი გაეყოთ გლეხებს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით ემუქრებოდენ“.

აქ ჩამოთვლილია ის მემამულეები და მღვდლები, რომელთაც შურ-ქარის წერილები მიიღეს.

„იუსტიციის მინისტრის უქვეშეერდომილეს მოხსენების თანახმად ხელმწიფე იმპერატორმა ინება პრძანება ამ საქმის ადმინისტრატიული წესით გადასაწყვეტად. პასუხის გებაში მიცემულ 24 პირიდან აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლებულ იქნა პოლიციის აშკარა მხედველობის ქვეშ 13 კაცი, 7—არხანგელის გუბერნიაში. ამას გარდა მღელვარების დასაწყნარებლათ გურიაში საჭირო შეიქნა 1902 წ. რამდენიმეჯერ ჯარის გაგზავნა.

„გურიის ამ მოძრაობის ახსნას პოულობდენ უმთავრესად იმ ეკონომიური პირობებით, რომელშიც იმყოფება გურიის გლეხობა და იქ მომხდარი უწესოებანი იყო წმინდა აგრარული ხასიათისა. ნამდვილათ კი იმ მღელვარების ხასიათი, რომელსაც ადგილი ჰქონდა გურიაში 1902 წ. და რომელიც რამდენიმეთ მიწყნარდა 1903 წელს და მეტის-მეტი სიძლიერით განახლდა 1904 წ. სულ სხვა სახისაა. ეს გამოწვეულია ხელოვნურად სოციალ-დემოკრატ აგიტატორების მიერ, რომელთაც საუცხოვოდ ისარგებლეს იმ უთანხმოებით, რომელიც დიდი ხანია არსებობს ოზურგეთის მაზრაში გლეხებსა და მემამულეებს შორის.

„რაც შეეხება მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის გავრცელებას გურიაში, ამ მხრით ეს მხარე კარგ პირობებშია: 1901 წ. გამოირკვა, რომ ბათუმის მუშებს შორის არსებობდა სოც. დემოკრატიული პარტია კარგათ მოწყობილი კომიტეტით. მუშების დიდ უმეტესობას ბათუმის ქარხნებში შეადგენენ გურიის გლეხები; თითქმის ყველა ეს მუშები მუშაობენ დღიურათ, ბუნებით წარმოადგენენ ცოცხალ, მოძრავ ელემენტს, ისინი სამუშაოზე ბათუმში დიდხანს არ რჩებიან; ასე რომ, მუშების შემადგენლობა მუდამ იცვლება. ამიტომ ოზურგეთის მაზრის თითქმის მთელ მოსახლეობას ან პირადათ უმუშაენია ბათუმის ქარხნებში, ან ახლო დამოკიდებულობაში ყოფილა მთელს გურიაში გაფანტულ ბათუმის ქარხნების ყოფილ მუშებთან. ასეთ პირობებში გურია რამდენიმე წელია სცხოვრობს ბათუმის მუშებთან ერთად ერთის ცხოვრებით, ერთის იდეით. მათი ჰირი და ლხინი საერთოა და ისინი ერთსა და იმავე დროს იმყოფებიან სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდის ქვეშ.

„ბათუმის საიდუმლო კომიტეტის ბინაზე აღმოჩენილ დოკუმენტებში სხვათა შორის აღმოჩნდა „ანგარიში რუსეთის სოც. დემოკრატიული მუშათა პარტიის კავკასიის კავშირის გურიის სასოფლო კომიტეტისა“; აქ ნათქვამი იყო, რომ ოზურგეთის მაზრა ამ ჟამად წარმოადგენს ოშვიათ მაგალითს ინტენსიურ სოც. დემოკრატიულ პროპაგანდისას არა ფაბრიკა-ქარხნების მუშებს შორის, რომელნიც ქა-

ლაქის ცხოვრებას ეწევიან, არამედ სოფელ მიწის მუშათა შორის. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ გურიაში არსებობს ძლიერი სოც. დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც შესდგება 71 წრისგან, რომელთაც როგორც მეორე, ამ სტამბაშივე აღმოჩენილი დოკუმენტიდან სჩანს, ცალ-ცალკე თავმჯდომარე ჰყავდათ. იმავე დოკუმენტიდან სჩანს, რომ გურიის კომიტეტი აწარმოებს ენერგიულ მუშაობას, რომ მან ისესხა თავის საჭიროებისათვის ბათუმის კომიტეტისაგან 118 მანეთი. იქვე ბათუმის კომიტეტის სტამბაში აღმოჩენილ იქნა პროპაგანდისტებისა და აგიტატორებისათვის განსაკუთრებული ინსტრუქცია, სადაც ურჩევენ პროპაგანდის დროს ისარგებლონ მემამულეთა და გლეხთა შორის არსებულ უთანხმოებით. მიუხედავათ ამისა 1904 წლის დამდეგამდე გურიაში არსებული ძლიერი პროპაგანდა გარეგნულათ გამოიხატა სოციალ-დემოკრატიული პროკლამაციების გავრცელებაში, რომელშიაც მოუწოდებდენ არსებული სახელმწიფო ხელის უფლების, კაპიტალიზმისა და წოდებრივობის წინააღმდეგ. ავრეთვე ხდებოდა ხშირად ღამ-ღამობით გლეხთა კრებები, რომლებზედაც გურიის მრავალრიცხოვანი პროპაგანდისტები ქადაგებდენ სოც. დემოკრატიულ მოძღვრებას."

შემდეგ, 1904 წლის დასაწყისში დაარსებულა რევოლიუციონური კომიტეტი, რომელსაც დაუწუია ტერორის, ძალადობის, დაწვისა და მკვლელობის ქადაგება.

„რამდენიმეთ ამ ქადაგების გავლენით, რამდენიმეთ თავიანთი ცოცხალი, გაბედული ხასიათის წყალობით 1904 წლის დასაწყისიდან გურულები შეუდგენ სოც. დემოკრატიული იდეების გატარებას ცხოვრებაში წოდებრივი თანასწორობის, კაპიტალიზმის დამხობის, არსებული სახელმწიფოებრივი წყობილების შეცვლის შესახებ. ამ შემთხვევაში მიმართავდენ მუქარას, ძალადობას, მკვლელობას და ტეროროს. დაიწყო თანამდებობის პირთა მკვლელობა ჯერ სოფლის სამართველოდან,—მამასახლისების, მათი კანდიდატების, თანაშემწეების, სოფლის მწერლების და სხ. შემდეგ შეუდგენ ამიერ-კავკასიის საპოლიციო დარაჯთა მკვლელობას და ყველა იმ პირთა, რომელნიც არ თანაუგრძნობდენ მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობას ან რომელნიც პოლიციის აგენტებს მცირე დახმარებას უწევდენ ამ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში"...

...„ძალადობა-მკვლელობასთან ერთად მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის მეთაურებმა 1904 წლის მეორე ნახევრიდან იწყეს ეკონომიურ ცხოვრებაში ჩარევა. შეეცადენ დაეწესებინათ მუშათა სხვა და სხვა კატეგორიებისათვის შრომის ხელფასი, რაც მათ სამართლიანად მიაჩნდათ. ასე მაგ. 1904 წ. სექტემბრიდან დაწყებული, გურიის რევოლიუციონური კომიტეტის სახელით იწყეს მოთხოვნა, რომ

ის პირნი, რომელნიც ეტლებს ამუშავებდენ ნატანებ-ოზურგეთს შორის არ დამორჩილებოდენ საერთო ნიხრს—სამაზრო ადმინისტრაციის მიერ დაწესებულს და აღლოთ თავიანთი შრომის ხელფასად უფრო მეტი. თვით მეეტლენი, არ საჭიროებდენ რა ნიხრის მომატებაში, განაგრძობდენ ტეხერთის და მგზავრების გადატანას ძველი ფასით. მაშინ კომიტეტის აგენტები თავს დაესხენ ნატანების გზაზე მეეტლეთ და მეურმეთ, მოუკლეს მათ რამდენიმე ცხენი და ხარი, თვით მეეტლეებს სცემეს. ისინი ასეთ შემთხვევაში ყოველთვის სტოვებდენ ძალადობის ალაგას კომიტეტის ბრძანებას ახალი ნიხრის შემოღების შესახებ. საქმე იქამდე მივიდა, რომ 17 სექტემბერს, როცა ოზურგეთიდან ნატანებში დელეგანთი მიდიოდა სუფსის ბოქაული ყიფიანი „სტრაჟნიკებით", კომიტეტის აგენტებმა სროლით გააჩერეს დელეგანსი და სანამ ბოქაული და დარაჯები იარაღს მიმართავდენ, გამოხსნეს დელეგანსის ცხენები და გარეკეს ტყეში, სადაც მიატოვეს, მომხდარი ძალადობის ადგილას კი დასტოვეს კომიტეტის ბრძანება ახალი ნიხრის დაწესების შესახებ. ბოქაული ყიფიანი იძულებული შეიქნა ქვეითათ დაბრუნებულიყო ოზურგეთში.

„ასეთსავე მაგალითებს ჰქონდა ადგილი ოზურგეთის ახლოს. როცა ოზურგეთში მისახიდი ტომრებიდან ფქვილი და მარილი გზაში გადაყარეს იმიტომ, რომ კომიტეტის მიერ დაწესებულ ნიხრს არ იცავდენ. მიუხედავათ იმისა, რომ ოზურგეთის ახლოს აუარებელი ტყეებია, ოზურგეთში მოსამსახურე მოხელეებმა 1904 წლის შემოდგომაზე ვერ შესძლეს ვერც ერთი ნაჯერი შეშის სყიდვა, რადგანაც კომიტეტმა აკრძალა შეშის გაყიდვა საქენის 30 მანეთზე იაფად რაც წინად 8-12 მანეთი ღირდა. სრულიად აკრძალა მოხელეებზე შეშის გაყიდვა. ასე რომ, ოზურგეთის მომრიგებელი მსაჯული იძულებული შეიქნა შეშა სახლში მიეტანა ღამით და პატიოსანი სიტყვა მიეცა გამყიდველისთვის, რომ ის მის ვინაობას არ გაამხელდა. იგივე პირები კომიტეტის სახელით, სიკვდილით დამუქრებით და სხ. აიძულებდენ მუშა-მოსამსახურეთ უარი ეთქვათ შემომულეებთან სამსახურზე. მუქარის წერილების მიღების შემდეგ გურიის ბევრი მემამულეთაგანი იძულებული შეიქნა სრულიად მიეტოვებია თავისი მამული ღვთის ანაბარათ და გაქცეულიყო.

„არ დაკმაყოფილდა რა ყველა ასეთი მოქმედებით გურიის კომიტეტი, მან, მე 69 სათადარიგო ბრიგადის უფროსის გენ. მაიორის ვასილიევის განცხადებით ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ერასკისადმი, წერილი გაუგზავნა არდაგანის პოლკის უფროსს (ამ პოლკის ნაწილები იდგა ბათუმში და ოზურგეთში), რომ ის მეტის-მეტად აეწიროებს ჯარის კაცებს სადარაჯო სამსახურით და მეცადინეობით, წერილში კომიტეტის აგენტები სიკვდილით ემუ-

ქრებოდენ უფროსს, უკეთუ ის არ შეუმსუბუქებდა სამსახურს ჯარისკაცებს.

„გარეშე ამისა 1904 წლის უკანასკნელ თვეებში ისე განვითარდა და გამძაფრდა ძარცვა-გლეჯა როგორც არას დროს. ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ცნობით 1904 წლის სექტემბრიდან 1905 წლის დამდეგამდე ოზურგეთის მაზრაში მოხდა 36 მსხვილი ხასიათის თავდასხმა—ძარცვავდენ კერძო სახლებსა და სავაჭროებს, თავს ესხმოდენ გზად მიმავალ ეტლებს. 1900—1904 წ. გურიაში მომხდარი ამბები ქუთაისის და ტფილისის გუბერნიაში მომხდარი რევოლიუციონერი მოძრაობის დასახასიათებლათ ორს შესაძლებლობას იძლევა: პირველი მათგანი, ერთის შეხედვით, საოცარი და გაუგებარი, იმაში მდგომარეობს, რომ **რევოლიუციონური მოძრაობის ყველა გამოხატულებანი, რამდენათაც ჩათრეული იყო მასში მასსიურად სოფლის მოსახლეობა, აღმოცენებული იყო სოც. დემოკრატიული მოძღვრების პროგრამის მოთხოვნილებებზე.** საოცარი იყო, რომ იმ ქვეყანაში, სადაც არ არის პროლეტარიატი, არ მოიპოვება ფაბრიკა-ქარხნები, იწყება მოძრაობა, რომელიც ეყრდნობა ბრძოლას შრომისა და კაპიტალის, მუშებსა და მესაკუთრეებს შორის. მოძრაობის ასეთი ხასიათი, განსაკუთრებით მისი გაჩენის დასაწყისში, გამოაშკარავდა ყველგან ტფილისის და ქუთაისის გუბერნებში და ეს აიხსნება გურიის გავლენით მთელს დასავლეთ ამიერ-კავკასიაზე. გურიაში კი მოძრაობის ასეთი ხასიათი აიხსნება ბათუმის სიახლოვით, სადაც იმ დროს არსებობდა ფაბრიკა-ქარხნები და აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების პროპაგანდით, რომელსაც ხელოვნურად აწარმოებდენ ამ მოძღვრების ადეპტები მთელი რიგი წლების განმავლობაში.

მეორე განსაკუთრებული სახე დასავლეთ ამიერ-კავკასიაში მომხდარი მოძრაობისა იმაში მდგომარეობს, რომ ეს მოძრაობა თითქოს მოხდა გურიის დირექტივებით. რევოლიუციონური მოძრაობის დრო, ხასიათი და სხ. დასავლეთ ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ადგილებში განისაზღვრებოდა გურიის რევოლიუციონური მოძრაობით. გამოაცხადებდა თუ არა გურია, რომ უარს ვამბობ ყოველგვარ გადასახადზე მემამულეთა სასარგებლოთო,—ასევე იქცეოდენ სხვა ადგილებშიაც. უარს ეუბნებოდა გურია მღვდლებს დრამა ფულზე—ასევე იქცეოდენ სხვაგან. მთავრობის დაწესებულებათა ბოიკოტი, თვითმართველობის შემოღება, სოფლის სამმართველოთა დაწვა, გლეხების დაფიცება, რომლითაც ისინი უარს ყოფდენ მთავრობისადმი მორჩილებას, მოსამსახურე პირთა გაძევება, ტერორი იმათ წინააღმდეგ, ვინც არ მიეხროდა მოძრაობას,—ყველაფერი ეს სისწორით მეორდებოდა დასავლეთ ამიერ-კავკასიაში და თვით რევოლიუციონური მოძრაობა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავლეთ ამიერ-კავკასიაში საერთოდ იმის განმეორება იყო, რაც წინად გურიაში მოხდა. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოება, რომ გურულები როგორც ცხოვრებაში დახელოვნებული გამტარებლები სოც. დემოკრატიულ და სოც. რევოლიუციონურ დოკტრინებისა, საჭიროების დროს ჩნდებოდენ იმ ადგილებში, სადაც საჭირო იყო ცხოვრებაში ამ მოძღვრების გატარება და სადაც სწარმოებდა ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ. მთავარი მოთხოვნა გურიის მოძრაობისა ჯერ კიდევ 1900 წლიდან იყო თვითმართველობის მოპოვება სახელმწიფო წყობილების და სამოქალაქო მართველობის ყოველ დარგში და ეს გადაეცა დასავლეთ ამიერ-კავკასიის ბევრ ადგილებს. ტფილისის სასამართლო პალატის საქმიდან სჩანს, რომ გურიის მოძრაობამ ცხოველი გამოძახილი ჰპოვა გურიის ახლო მდებარე ადგილებში—ქუთაისის გუბერნიის საზღვრებში; ტფილისის გუბერნიის და აღმოსავლეთ ნაწილში ეს არ ემჩნევა. ამით აიხსნება ეგრეთ წოდებული „რესპუბლიკების“ გაჩენა, რა თქმა უნდა, არა პირდაპირი, არამედ—ახლა შემოღებულ აზრით. ასეთი ორგანიზაციები გაჩნდენ ქუთაისის გუბერნიის თითქმის ყველა თვალსაჩინო ადგილებში და ყველაზე უფრო რთული საქმეები ტფილისის სასამართლო პალატას მოეპოვება სწორედ ასეთი ორგანიზაციების სახით. როგორც სჩანს, ტფილისის სასამართლო პალატის საქმედან, ქუთაისის გუბერნიაში არსებობდა შემდეგი ორგანიზაციები:

1. ოზურგეთის ორგანიზაცია

„გამოძიებით ოზურგეთის ორგანიზაციის შესახებ გამორკვეულია შემდეგი: მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა ოზურგეთის მაზრაში გამოიხატა: რევოლიუციონური იდეების გავრცელებაში სოფლად როგორც ზეპირი პროპაგანდით მიტინგებზე და კრებებზე, აგრეთვე პროკლამაციების და არალეგალური ლიტერატურის გავრცელებით, მემამულეთა მიწების ჩამორთმევაში, საიჯარო გადასახადის უარყოფაში; სავაჭრო სამრეწველოთა მოსამსახურეების გაფიცვის მოწყობაში; ბოიკოტის გამოცხადება და მოკვლა როგორც კერძო, ისე თანამდებობის პირთა, რომელთაც სწამებდენ მოძრაობისათვის არა თანაგრძნობას; პოლიციის და სასამართლოსთვის ბოიკოტის გამოცხადება; მთავრობის სასამართლოს ნაცვლად დაწესებულ იქნა „სახალხო სასამართლო“, რომელიც მოქმედებდა რევოლიუციონური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, საკუთარი ადმინისტრატიულ დაწესებულებათა და აღმასრულებელ ორგანოთა ათისთავების, ასისთავების, რაიონის წარმომადგენლების და სხ. სახით; მთავრობის სკოლების ხელში ჩაგდება; მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა, ხალხის

შეიარაღება და „წითელი რაზმის“ დაარსება, რომელშიაც შევიდენ ყველანი (სურვილის წინააღმდეგაც) ვისაც კი შეეძლო იარაღის ტარება; სავალდებულო გადასახადის 20—კაპ. თვიურად კაცის თავზე) დაწესება და იარაღის შესაძენად გადასახადის დაწესება. შემოსული ფულები ხმარდებოდა იარაღის შეძენას და სხ. ხარჯებს. იარაღის შეძენა ყოველგვარი საშუალებით——თავდასხმით კერძო პირებზე, პოლიციაზე და მთავრობის დაწესებულებებზე და ბოლოს, მთავრობის ჯარებზე თავდასხმის მოწყობა—განიარაღება ჯარის კაცთა ცალკე ნაწილებისა და რაზმებისა.

„თავდაპირველად ოზურგეთის მაზრაში მოძრაობას ხელმძღვანელობდა რუსეთის სოც. დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი, შემდეგ კი, 1905 წ. მას გამოეყო ცალკე კომიტეტი, რომელმაც მიიღო „გურიის“ კომიტეტის სახელწოდება, გადმოვიდა ოზურგეთში და ჯერ საიდუმლოთ, 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ კი აშკარად, ხელი მიჰყო რევოლიუციონურ მუშაობას. გურიაში გაბატონებული იყო განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მენშევიკური ფრაქცია“.

ამის შემდეგ „მიმოხილვაში“ ჩამოთვლილია დაწვრილებით გურიის კომიტეტის მუშაობა 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ—პარტიული მუშაობა, მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის, თავდასხმის მოწყობა სხვადასხვა ალაგას ჯარის ნაწილებზე და მთავრობის დაწესებულებებზე და სხ.

ჯ. ფოთის ორგანიზაცია.

1905 წელს ფოთში დაწყებული ეკონომიური კრიზისის გამო მღელვარება დაიწყო მუშებსა და დაქირავებულ მოსამსახურეთა შორის. მათი ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მოთხოვნილებებს თან ჰყვებოდა გაფიცვები, რაც ხშირად გამარჯვებით ბოლოვდებოდა, ამ გარემოებით მაშინვე ფართოდ ისარგებლეს საიდუმლო საზოგადოების წევრებმა, რომელთაც მიზნად ჰქონდათ დასახული არსებული წყობილების დამხობა. ეს საზოგადოება საიდუმლოთ არსებობდა ქ. ფოთში და რევოლიუციონური იდეების ზეპირი პროპაგანდით, აგრეთვე პროკლამაციებით და სხ. არალეგალური ლიტერატურით მოუწოდებდა ხალხს მთავრობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლისათვის. ამ საზოგადოების მიზნად იყო არსებული წყობილების დამხობა და ახალ საფუძველზე ახალი სოციალური ცხოვრების მოწყობა. მიტინგებზე დამსწრეთ მოუწოდებდენ შეიარაღებული და საერთო ძალით დაემხოთ არსებული წყობილება. ამასთან ერთად არალეგალურმა ორგანიზაციებმა დაწესეს გადასახადი. დაწესეს რე-

ეოლიუციონური სასამართლო სახალხო სასამართლოს სახელწოდებით, სადაც არჩევდენ სხვადასხვა საქმეებს. წესრიგის დასაცავად, საველდებულო გადასახადების და სხ. შესაკრებათ არჩეულ იქნენ ათისთავები, სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლები და სხ. იმ მიზნით, რომ გაეჩალებიათ ტერორი, დაეცვათ მოძრაობის ბელადები, ორგანიზაციები და ორატორები მიტინგებზე, დაარსებული იყო სახალხო „მებრძოლი დრუჟინა", „მილიცია" და „წითელი რაზმი". მებრძოლი დრუჟინის დანიშნულებას შეადგენდა კერძო პირიდან იარაღის ძალით ჩამორთმევა ორგანიზაციის საჭიროებისათვის. „წითელი რაზმმა" და სხვა ბნელ პიროვნებათა მიერ მოწყობილმა ტერორისტულმა აქტებმა ხელი შეუშალეს პოლიციის დაბალ მოსამსახურეებს თავიანთი მოვალეობის ასრულებაში და ასე ქალაქი ფოთი 1905 წლის ნოემბერში და დეკემბერში ხელში ჩაუვარდა რეოლიუციონურად განწყობილ ბრბოს.

„13 ნოემბერს ღამით შავი ზღვის ბრიგადის ფოთის მოსაზღვრე რაზმის უფროსმა პორუჩ. კრეჩეტოვმა ცნობა მიიღო, რომ ფოთის ნავსადგურში მრავალრიცხოვანი ბრბო სცლის გემს იარაღით დატვირთულს და იარაღი ქალაქში გადააქვს. ამიტომ კრეჩეტოვმა რამდენიმე ჯარის კაცი გაგზავნა ხიდის დასაკავებლათ, რომლითაც ნავსადგური შეერთებულია ქალაქთან. რამდენიმე წამის შემდეგ ხიდთან დაიწყო სროლა, სადაც რამოდენიმე ჯარის კაცით მიეიდა კრეჩეტოვი და დაედევნა ბნელაში გაქცეულ შეიარაღებულ რამოდენიმე პირს, რომლებიც გარბოდენ და ისროდენ. დაპატიმრებულ იქნა შეიცარული სისტემის თოფებით ხელში იზურგეთის მაზრის მცხოვრებნი—სიო დოლიძე, ბესარიონ თავბერიძე, დითა გიორგაძე, საჩინო ჭედია და აკაკი ლოლუა. ესენი განიარაღებულ იქნენ და მეორე დღეს გადაეცა პოლიციას. ყაზახების მოსულისთანავე კრეჩეტოვმა ალყა შემოარტყა რუსეთის სახზოგადოების საწყობს, სადაც უცნობი პირნი ხსნიდენ ყუთებს. ჯარის კაცების მიახლოვებისთანავე ეს ხალხი გაიფანტა, თან წაიღეს ყუთები შემთხვევით მომავალ მატარებელით და გააჩაღეს სროლა, რაზმმა საწყობში აღმოაჩინა დიდძალი ყუთები—ზოგი გაუხსნელი, ზოგიც გახსნილ-გატეხილი და ცარიელი. აღმოჩენილ იქნა დიდძალი მსწრაფლმსროლელი შეიცარიის სისტემის თოფები, 600 ცალი ხიშტი და ვაზნების საწყობი. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ღამით ნავსადგურს მოადგა გემი, საიდანაც დაიწყო იარაღის გადმოტვირთვა; როცა ხალხი მიეიდა ნაპირად, შემდეგ გემი გავიდა ზღვაში. სულ აღმოჩენილ იქნა 114 იაშიკი თოფებით, ამათგან 31 ყუთი თოფებით და ხიშტებით და 5 ყუთი ვაზნებით აღმოჩნდა გახსნილი, ამ ღამით დაკავებულ იქნა დაახლოებით 800-მდე თოფი, 58 ყუთი ვაზნებით და 600 ხიშტი. მი-

ღო რა ცნობა პორუჩ. კერენსკიმა, რომ გემზე კიდევ იყო დარჩენილი იარაღი, საიდანაც საიდუმლოთ შეეძლოთ იარაღის შემოტანა ფოთში, ნავსადგურის გემ „რიონ"-ზე ის რაზმით გაემგზავრა იარაღიანი გემის მოსანახად. ანაკლიიდან სამი ვერსტის მოშორებით მან დააკვა გემი „მაგრატინა" იარაღით დატვირთული. იარაღთან ერთად გემზე შეპყრობილ იქნენ გლეხები—ზოსიმე ხუბუა, ილია ჰაჩულია, ისიდორე ბოჭუჩავა, ელიზბარ ჩარტია, კირილე კორშია, ევგენი ნანეიშვილი და ლავრენტი გიზბერია. დაპატიმრებულ გემის ეკიპაჟი გადაეცა ადმინისტრაციას, ალმოჩენილი 1200 შეიცარული სისტემის თოფი და ოცი ათასი ცალი ვაზნა კონფისკაციის წესით ჩამორთმეულ იქნა. ამ საქმეზე სამართალში მიცემული იყო 20 კაცი, რომელთაგან ხუბუა, ჩარტია და კორშია გადასახლებულ იქნენ ციმბირში, ცანავას და კალანდარაშვილს მიესაჯა ციხეში დიპატიმრება—პირველს ორის წლით, მეორეს ერთი წლით და მესამეს—8 თვით. ერთი დამნაშავის საქმე არ გარჩეულა, დანარჩენი გამართლებულ იქნენ.

ჰ. სოხუმის ორგანიზაცია.

„მთავრობის საწინააღმდეგო საზოგადოებათა მუშაობა განსაკუთრებით გაცხოველდა 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ. ამ ხანებში მიტინგებზე აშკარად გამოდიოდენ, სადაც ამტკიცებდენ არსებული წყობილების უვარგისობას. მოითხოვდენ ყოველგვარი კავშირის შეწყვეტას არსებულ რეჟიმთან, გადასახადების უარყოფას.

სასამართლოს, ადმინისტრაციის და პოლიციის ბოიკოტს, სახელმწიფო წყობილების შეიარაღებული ძალით შეცვლას და რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებს. ამ პროპაგანდას აწარმოებდენ ზეპირად, აგრეთვე არალეგალური ბროშიურებით და პროკლამაციებით. ასეთმა მდგომარეობამ—ხშირმა გაფიცებებმა, დემონსტრაციებმა, თავდასხმებმა და სხ. მეტის მეტად დაასუსტა მთავრობის დაწესებულება, განსაკუთრებით პოლიცია—სასამართლო, მოსახლეობაც ტერორის საშვალებით დაშინებული იქნა, რადგანაც მთავრობას ძალა არ შესწევდა მფარველობის გაწევისა. სოხუმის მოძრაობაში გავლენა მოიპოვა ორგანიზაციამ, რომელსაც ეწოდა „რუს. სოც. დემ. მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტის სოხუმის ჯგუფი". სოხუმის პოლიცმეისტრის ნაბიბეკოვის თქმით ამ ორგანიზაციისთვის იძულებული იყო ანგარიში გაეწია ადმინისტრაციას. ცალკე საზოგადოებათა წევრების მოქმედებას აერთიანებდა ეს ორგანიზაცია. დაწესა სავალდებულო გადასახადი მოქალაქეთაგან, თვით საზოგადოების, მიტინგების, კრებების და სხ. დასაცავად დაარსებულ იქნა მილიცია, რომელიც შეიარაღეს მოქალაქეთაგან შეკრებილი ფულით. ამ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიციონერებმა ქუჩებში შესცვალეს პოლიციელები, ასრულებდნენ რკინიგზის დაღგენილებებს და ხელს უწყობდნენ რევოლიუციონურ ტერორს. მთელი ქალაქი დაყოფილ იქნა რამდენიმე უბნათ და დანიშნულ იქნენ უფროსებად ყველა უბნებში ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამ ორგანიზაციამ ბოიკოტი გამოუცხადა სოხუმის ქალაქის თვითმართველობას. 1905 წელს ნოემბერში მომხდარ ერთ-ერთ მიტინგზე დადგენილ იქნა სოხუმის ქალაქის თვითმართველობის დათხოვნა და ახლის არჩევა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით. ამ მიზნის სისრულეში მოსაყვანად მოხდა მცხოვრებთა ხელ-ახალი აღწერა, რისთვისაც გამოთხოვილ იქნა ქალაქის თვითმართველობისაგან 200 მან. როცა უარი მიიღო, სოხუმის ორგანიზაციამ ბოიკოტი გამოუცხადა ქალაქის გამგეობას—მცხოვრებთ აუკრძალეს ქალაქის სალაროში გადასახადის შეტანა და ხმოსნებსაც დაემუქრენ—უკეთუ სამსახურს თავს არ დაანებებთ—ყველა სავაჭრო დაწესებულებები გაიფიცება დიდის ხნითო. ამიტომ ხმოსნებმა გამოიტანეს განსაკუთრებული დადგენილება სამსახურის მიტოვების შესახებ, რაც გაუჯავნეს ქუთაისის გუბერნატორს სტროსელსკის, თითონ კი მოვალეობას თავი მიანებეს. ვინაიდან მეტად გახშირდა სოხუმში თავდასხმა-ქურდობა, სოხუმის მცხოვრებლებმა ერთ-ერთ მიტინგზე აირჩია კომისია დამნაშავე პირთა ვინაობის გამოსარკვევად და მათ წინააღმდეგ ზომების მისაღებათ. კომისიის თავჯდომარეთ არჩეულ იქნა ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბორის ზახაროვი, წევრებათ სოხუმის მცხოვრები 16 კაცი. ამ კომისიის განკარგულებით შეპყრობილ იქნა ზოგიერთი საეჭვო პირები, რომლებიც ჯერ მოათვისეს სოხუმის მუსიკალური ჯგუფის შენობის სარდაფში, შემდეგ პოლიციასთან არსებულ სატიმოო სახლში. ამ საქმის გამო სამართალში იყო მოცემული 23 პირი, რომელთაგან ელეონორა მახვილაძეს (ექიმის ცოლი), თ-დ ემუხვარს, კილურაძეს, მარღანაძეს და ზახაროვს მიესაჯა ციხეში დაპატიმრება თითეულს ერთის წლით, 8-ს—სამი კვირით დაპატიმრება, დანარჩენნი გამართლებულ იქნენ.

4. რაჭის ორგანიზაცია.

„17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადების შემდეგ რაჭაში გაძლიერდა რევოლიუციონური მოძრაობა; როგორც ონში, ისე სოფლებში გაჩნდენ საიდუმლო რევოლიუციონული ორგანიზაციების აგიტატორები, რომლებიც აშკარად მოუწოდებდენ მცხოვრებთ შეკავშირებულიყვნენ არსებული მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. აგიტატორები არწმუნებდენ ხალხს, რომ არ გადაეხადათ მთავრობისათვის გადასახადი, არ მიეცათ სალდათები, არ მიემართათ მთავრო-

ბის სასამართლოსთვის, ბოიკოტი გამოეცხადებიათ ადმინისტრაციისა და პოლიციისათვის, არ მიეცათ მემამულეებისათვის მოსავლის 1/5 მეტი. ხალხის თვალში ხელმწიფის სახელის გასატეხად ორგანიზაციის წევრები კრებებზე უწმაწურის სიტყვებით იხსენიებდენ მეფეს, მემკვიდრეს და საერთოდ მეფის ოჯახობას, აშკარად შეურაცყოფდენ ხელმწიფის სურათს და ყოველგვარი ბოროტების მიზეზად სახავდენ მეფეს. მოძრაობას ხელმძღვანელობდა რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის ონის ანუ რაჭის ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას, როგორც გამოძიებამ გამოარკვია, სათავეში ედგენ გიორგი ლობჟანიძე, ალექსანდრე გუგუნავა, დანიელ რაზმაძე, სიმონ ჯაფარიძე, აკაკი ბაქრაძე (გარდაცვლილია), პორფირე იმედაშვილი, ნიკოლოზ ტომარაძე და სხ. ეს ორგანიზაცია მოთავსებული იყო დ. ონში ქრისტესი ლომჟანიძის სახლში, სადაც სამაზრო დღეებში, უფრო ხშირად პარასკევობით, იკრიბებოდენ ორგანიზაციის წევრები, იმუშავებდენ პროპაგანდის და სხვა დანაშაულობის გეგმებს. გაუქმებული ადმინისტრაციის და სოფლის მოხელეთა ნაცვლად ორგანიზაციამ დაწერა თვისი „ათისთავები", „ასისთავები" და „რაიონის წარმომადგენლები". დაწერეს სავალდებულო საკმილო გადასახადი ორგანიზაციის სასარგებლოთ და მომავალი აქტიური ბრძოლისათვის მთავრობასთან, მიტინგების და ორატორების დასაცავად დაარსა მებრძოლი რაზმი ანუ „წითელი რაზმი", ამ რაზმის წევრები ემსახურებოდენ რევოლიუციონური ტერორის მიზნებს და სისრულეში მოჰყავდათ ორგანიზაციის დადგენილებანი. რაზმის შესაიარაღებლათ მცხეურებთაგან იძულებით ჰკრეფდენ ფულს. რაზმი წითელი დროშით დადიოდა მაზრის სოფლებში. სოფლებში რაზმი ხალხს ეკლესიებში აფიცებდა რევოლიუციონური ორგანიზაციის ერთგულებაზე; მღვდლებს მუქარით აიძულებდენ არ მოეხსენებიათ წირვის დროს ხელმწიფე იმპერატორი და მისი ოჯახობა. 30—31 დეკემბერს წითელი რაზმი მთელი ხალხის დასანახად თავს დაესხა სამაზრო სამმართველოს, ხაზინას, მომრიგებელი მოსამართლის კამერას, საფოსტო კანტორას, გატაცებულ იქნა იარაღი. ამ თავდასხმას მეთაურობდენ გიორგი ლობჟანიძე, აკაკი ბაკურაძე, ნიკოლოზ ტომარაძე და სხ. სამაზრო სამმართველოს საქმეები დასწვეს, ფული გაიტაცეს, ხელმწიფე იმპერატორის სურათი შეურაცყყეს და დასწვეს. რაც რაზმს გადარჩა იარაღი, ის გადამალულ იქნა ორგანიზაციის წევრის ლუკა ბერიშვილის სახლში სოფ. მაიდანში, სადაც აღმოჩენილ იქნა პოლიციის დარაჯთაგან ჩამოთმეული 33 ვინტოვკა. ორგანიზაციის ბატონობა გაგრძელდა 1906 წ. 7 თებერვლამდე. ამ დღიდან კი მოსულმა მთავრობის ჯარმა აღადგინა წესრიგი. ამ საქმეზე პასუხის გებაში იყო მიცემული 7 კაცი, რომელთაგან ბერიშვილს, ბაკურაძეს და თაგვაძეს მიუსაჯა კატორღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 წლით თითეულს, სამს—სხირტლაძეს, კერვალიძეს და გოშაძეს სამუდამო გადასახლება; გძელიშვილს ერთი წლით ციხეში დაპატიმრება.

5. ზუგდიდის ორგანიზაცია.

„ზუგდიდის მაზრაში მოქმედებდა რუსეთის სოც. დემ. მუშ. პარტიის ორგანიზაცია (ზუგდიდის მომრიგებელ სასამართლოს შენობაში) და რუსეთის სოც. ფედერალისტების ორგანიზაცია, რომელიც მოთავსებული იყო საქალაქო სასწავლებლის შენობაში. ყოველგვარი განკარგულებანი ამ ორგანიზაციებიდან გამოდიოდა, ეს ორგანიზაციები გაერთიანებული მოქმედებდენ. ორგანიზაციას მინიჭებული ჰქონდა სასამართლოს და საადმინისტრაციო ყველა ფუნქციები, რასაც ხელს უწყობდა ადგილობრივი მთავრობის უმოქმედობა. ორგანიზაციამ გაუქმებული ადმინისტრაციის ნაცვლად შემოიღო ათისთავები, ასისთავები და რაიონის წარმომადგენლობა. ახდევინებდენ ორგანიზაციის საჭიროებისათვის გადასახადს კომლზე და დანიშნეს თავისი მოსამართლეები ყოველგვარი სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების გასარჩევად. შედგენილ იქნა წითელი რაზმი მთავრობასთან საბრძოლველად. ამ რაზმს სისრულეში მოჰყავდა ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი. მებრძოლი რაზმის შესანახ და შესაიარაღებელ ფულს მცხოვრებთაგან ჰკრებდენ იძულებით. სამხედრო საქმის მცოდნე პირები ამ რაზმებს ასწავლიდენ სროლას და სხვა სამხედრო საქმეს. 1905 წლის დეკემბრის 29 დ. ანაკლიიდან (შავი ზღვის პირად მდებარეობს) ზუგდიდში სამი ურმით მიზიდულ იქნა 300 თოფი და სხვა საომარი მასალა. ურმებს თან ახლდა 20 მილიციონერი და დიდძალი ხალხი ფედერალისტების რევოლიუციონერი ორგანიზაციის შენგელიას და ამილახვის (რომელიც შემდეგ მოკლულ იქნა) მეთაურობით. შუადღისას ორგანიზაციის წევრები ხალხს ურიგებდენ იარაღს და აწერინებდენ ხელს იარაღის მიღებაში. მოზიდული იარაღის ნაწილი მოთავსებულ იქნა უბნის პოქაულის კვარაცხელიას კანცელიარიაში, საიდანაც პოქაული განდევნილ იქნა, ორასამი დღის შემდეგ ეს იარაღიც დაურიგდა ხალხს. 1905 წ. 2 დეკემბერს ორგანიზაციის წევრებმა იარაღი გაიტაცეს რედუტ—კალეს პოლიციის უბნის პოქაულის ჩიქოვანის ბინიდან და კანცელიარიდან. 1905 წ. დეკემბრის 5-ს დ. ზუგდიდში ღამით რაზმელთა მრავალრიცხოვანი ბრბო თავს დაესხა სამაზრო პოლიციის იარაღის სათადარიგო საწყობს. წაიღეს 44 ვინტოვკა და 3800 ვაზნა. იმავე დღეს საღამოს 7 საათზე შეიარაღებულმა ბრბომ ადგილობრივი სოც. დემ. ორგანიზაციის წევრების ხელმძღვანელობით ალყა შემოარტყა მაზ-

რის. უფროსის კაპიტან სოლოროვის ბინას და მოითხოვეს იარაღი და როცა უარი მიიღეს, სოლოროვის სტრაჟნიკს პერტაიას წაართვეს ვინტოვკა და შიკრიკს ტარასი კუნცაის რევოლვერი. აქედან ბრბო წავიდა სამაზრო სამმართველოში, საიდანაც წაიღეს ყაზახის ორი ვინტოვკა და თოფი.

1905 წ. დეკემბრის 7-ს კვლავ გამოცხადდა შეიარაღებული ბრბო სამაზრო სამმართველოში, წაიღო ყველა იარაღები, რაც კი იქ მოიპოვებოდა. 6—7 დეკემბერს თავიანთ ბინებზე იარაღი აჰყარეს ბოქაულებს—შენგელაიას, კვარაცხელიას, ანთელავას და სხ. პოლიციელებს. კვარაცხელიას ბინიდან წაიღეს სამი რევოლვერი, რომელიც მას მიღებული ჰქონდა „გოროდოვოების“ შესაიარაღებლათ. 7 დეკემბერს გამომძიებელის კამერიდან წაიღეს რამდენიმე რევოლვერი, რაც საქმეებში ინახებოდა როგორც ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები. 7 დეკემბერს ზუგდიდის საპყრობილეს თავს დაესხა სოც. დემ. ორგანიზაციის მებრძოლი რაზმი და ძალით გაანთავისუფლა რვა ტუსაღი. 8—9 დეკემბერს საპყრობილეზე თავდასხმა განახლდა და განთავისუფლებულ იქნა 2 ტუსაღი. ჯარის ნაწილების მოსვლის შემდეგ ორივე ორგანიზაცია დაიწყრა. ამ საქმეზე პასუხისგებაში მიცემული იყო 20 კაცი, რომელთაგან 7-ს—ჩიკავას, შუშანიას, ჟვანიას, თოდუას, დოლაბაძეს, დოლბაიას და ალანიას მიესაჯა გადასახლება (ამათგან 6 კაცს უმაღლესი ბრძანებით გადასახლება შეეცვალა ციხეში დაპატიმრებით), ოთხს—ლოლუას, ასათიანს, ბასილაიას და ცაცავას გამასწორებელ სახლში დაპატიმრება: ლოლუას 2 წლით, დანარჩენთ 2 წლითა და 6 თვით, დანარჩენნი გამართლებულ იქნენ.

6. ჩხარის ორგანიზაცია

„შორაპანის მაზრის ჩხარის რაიონში არსებობდა ორგანიზაცია, რომელმაც მიითვისა „ჩხარის ორგანიზაციის“ სახელწოდება. ამ ორგანიზაციის სათავეში იდგა სხვათა შორის ცნობილი ყაჩაღი აფარსიონ მერკვილაძე. ორგანიზაცია მიტინგებს აწყობდა სოფ. ჩხარში, საზანოში, დედსუბანში, ალისუბანში და სხ. ამ მიტინგებზე ხალხს მოუწოდებდენ გაეწყვიტათ ყოველგვარი კავშირი მთავრობის აგენტებთან, არ გადაეხადათ გადასახადი, არ მიეცათ ჯარში ახალგაზრდები, ბოიკოტი გამოეცხადებიათ ადმინისტრაციისთვის, შეიარაღებულიყვნენ და საყოველთაო აჯანყების მოწყობით ჩამოეგდოთ არსებული რეჟიმი, გაეუქმებიათ ჯარი, მოეწვიათ დამფუძნებელი კრება და დაემყარებიათ დემოკრატიული რესპუბლიკა. ორგანიზაცია ფულსა ჰკრებდა გლეხებისაგან, რაც შეიარაღებას ხმარდებოდა და აგ-

რეთვე „წითელი რაზმის“ შენახვას, რომელიც შეიარაღებული მილიციონერებისაგან შესდგებოდა აფრასიონ მერკვილაძის მეთაურობით. მილიციონერების მთავარი დანიშნულება იყო შებრძოლებოდენ მთავრობის ჯარებს, უკეთუ საქმე შეიარაღებულ აჯანყებამდე მივიდოდა. ამას გარდა მილიციონერებს ორგანიზაციის მინდობილობით უნდა მოეხდინა ტერორისტული აქტები, დაეცვათ ორგანიზაციის მეთაურები პოლიციისაგან და თან უნდა ხლებოდენ ორგანიზაციის მეთაურთ სოფლებში, როცა ისინი საგანგებოდ წავიდოდენ ხოლმე. მიტინგებზე მილიციონერები წეს-რიგს იცავდენ და როცა ორატორები სიტყვას დაამთავრებდენ, ესენი სრულით უპასუხებოდენ. სხვათა შორის, წითელ რაზმელებმა იმავე მერკვილაძის მეთაურობით 1905 წლის ივლისში და აგვისტოში დაარბიეს მუხურის, ჩხარის, საზანოს და კიცხის სასოფლო მართველობანი, სადაც გაანადგურეს ხელმწიფე იმპერატორის სურათი და საქმის ქაღალდები, გაიტაცეს პასპორტის ბლანკები, თანამდებობის პირთ და მამასახლისებს ჩამოართვეს ნიშნები, ბეჭდები და სხ. სასამართლო პალატაზე ამ საქმის გამო გადაცემული იყო 6 კაცი, ამათგან ერთს—მიხეილ ჩუბინიძეს მიესაჯა 4 წლით კატორღა, გოგიაშვილს და თომა ჩუბინიძეს—სამუდამო გადასახლება, ხანთაძეს და კუპატაძეს თითო წლით ციხე და ნებიერიძე გამართლებული იქნა.

7. ლეჩხუმის ორგანიზაცია.

„დიდი მღელვარება ეტყობოდა ხალხს 1905 წლის შემოდგომიდან, მაგრამ აშკარად თავი არ უჩენია, რადგანაც იქ ჯარი იმყოფებოდა. 1905 წლის დეკემბერში გამოყვანილი იქნა ჯარი, ამის შემდეგ 30 დეკემბერს მოხდა ს. ცაგერში არსებულ სამაზრო დაწესებულებათა აკლება. ამ დღეს სოფ. ორბელში (ცაგერიდან 9 ვერსის მოშორებით) გამოჩნდა საკმაოდ მოწყობილი და შეიარაღებული ბრბო, რიცხვით 100 კაცამდე ასათიანის, ახვლედიანის და შანიძის მეთაურობით. ეს ბრბო თავს უწოდებდა „წითელ რაზმს“. „რაზმმა“ წინადადება მისცა ს. ორბელის მცხოვრებთ წასულიყვნენ ცაგერში მთავრობის დაწესებულებათა ასაკლებათ. ცაგერში მოსვლისთანავე 31 დეკემბერს დილით „წითელი რაზმი“ გაიყო სამ ნაწილად. ერთი ჯგუფი წავიდა მაზრის სამოლიციო სამმართველოსკენ, მეორე—მომრიგებელ მოსამართლის განყოფილებაში, მესამე—ფოსტა-ტელეგრაფში. მაზრის უფროსის თანაშემწე ბაქრაძე და სვანეთის ბოქაული იაშჩენკო დაპატიმრებულ იქნენ. 1 იანვარს ბაქრაძე გაშვებულ იქნა „თავდებს ქვეშ“ და მხოლოდ 10 დღის შემდეგ მიიღო რაზმის უფროსის ასათიანის წერილი, სადაც ასათიანი ატყობინებდა, რომ ცენტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური შტაბის განკარგულებით ის განთავისუფლებული იყო. იმავე წლის თებერვალში გამოუცხადა ლეჩხუმის მაზრის გამომძიებელს, რომ ის „დათხოვნილია სამსახურიდან". პოლიციის სამმართველოს, მომრიგებელი შუამავლის განყოფილების და ფოსტა-ტელეგრაფის ქალაქდები და საქმეები გამოჰქონდათ და სწევდენ. ასევე მოეპყრენ ცაგერის ნოტარიუსის საქმეებს. ფულებიც მიჰქონდა აჯანყებულებს, რასაც ანაწილებდენ წითელ რაზმელებს შორის ჰიპოკო ასათიანი და პლატონ ახელედიანი. საფოსტო განყოფილებიდან გატაცებულ იქნა ფულად, მარკებით და სხ. 1690 მან. ყველა დაწესებულებიდან გამოიტანეს მეფის სურათები და ყვირილით „ძირს ნიკოლოზი" გაანადგურეს. იანვრის გასულს ცაგერში ცნობა მიიღეს ქუთაისიდან ჯარის გასვლის შესახებ, ამის შემდეგ „წითელი რაზმი" გაჰქრა, დამნაშავეთა ნაწილი მიიმალა. სასამართლო პალატას გადაეცა ოცი კაცი. მათში 15 დამნაშავეთ იქნა ცნობილი და მიესაჯა—2-ს გადასახლება, 13-ს ციხეში დაპატიმრება 1 წლიდან 2 წლამდე და 4 თვემდე.

8. სამურზაყანოს ორგანიზაცია.

„სოხუმის ოლქის სამურზაყანოს ნაწილში 1905 წლის დასაწყისში მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას აქა-იქ ჰქონდა ადგილი. პროპაგანდას ეწეოდენ მასწავლებლები ქავკარაძე და შარია, თ-დნი პლატონ ემუხვარი და ლეონ ჩიჩუა და გლეხი გუულუა. მცხოვრებთ არც იმდენათ სურდათ მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევა, ამიტომ მეთაურებმა ყაჩაღებისაგან შეადგინეს „წითელი რაზმი". ხალხის სულიერ განწყობილებაში შესამჩნევი გარდატეხა მოხდა 1905 წლის დეკემბრის 9-ის შემდეგ, როდესაც მდ. ინგურის ნაპირად შეიკრიბა რამდენიმე ათასი კაცი იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოეღოთ ბოლო ყაჩაღობისათვის. ამ ყრილობაზე მოულოდნელად გამოცხადდა ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ყიფშიძე, რომელმაც სამურზაყანოელებს მიულოცა ბოძებული თავისუფლება და ახალი ცხოვრება. მას არ აუხსნია 17 ოქტომბრის მანიფესტით ბოძებული თავისუფლების მნიშვნელობა და შინაარსი. ყიფშიძის შემდეგ ილაპარაკა სტუდენტმა ლეონ შენგელაიამ, რომელმაც რევოლიუციონური წითელი დროშის ქვეშ წარმოსთქვა სიტყვა და მოუწოდა არსებულს წყობილების ძალადობით დასანგრევად. ამ ორმა სიტყვამ შთაუნერგა სამურზაყანოელებს ის რწმენა, რომ ყველაფერი, რაც მათ მიტინგებზე ჰქონდათ მოხსენებული, უნდა განხორციელებულიყო და ამ რიცხვიდან სახალხო მოძრაობა ჩქარის ნაბიჯით განვითარდა.

10 დეკემბრის ყრილობაზე უკვე გადაწყდა „სტრაჟნიკების" გაწიარაღება გალში. აქ იმყოფებოდა 15 კაცი ურიადნიკის ვოიტენ-

კოს მეთაურობით. 15 დეკემბერს ეკლესიის ზარის სამუალებით მიცემული ნიშნით გალის საბაზრო მოედანზე შეგროვდა შეიარაღებული ბრბო მებრძოლი რაზმის მეთაურობით. მათ წინადადება ძიასცეს „სტრაჟნიკებს" იარაღის გადაცემის შესახებ, რაც სისრულეში იყო მოყვანილი. ამის შემდეგ საპოლიციო ნაწილების მართველობა ამ დამნაშავეთა ორგანიზაციის ხელში გადავიდა. არჩეულ იქნენ „ათასისა" და „ასის თავები". წითელი რაზმი ყოველგან დადიოდა რევოლიუციონური დროშით, როშელზედაც ეწერა: „თავისუფლების დროშა", „ძირს მეფე" და სხ. 1 იანვარს ბრბო ეკლესიაში შეიჭრა რევოლიუციონური სიმღერებით. აგიტატორმა დემორიამ მღვდელს სვანძეს მოსთხოვა არ მოეხსენებია წირვის დროს მეფის სახელი. მღვდელი არ დაეთანხმა, რისთვისაც მას იქვე გამოეცხადა ბოიკოტი. იანვრის 5-ს გლინსკი (ბოქაული) დაპატიმრებულ იქნა; პატიმრობაში გაატარა 8 იანვრამდე, შემდეგ კი მიიღო რ. ს. დ. მ. პ. ბეჭედ დასმული ქაღალდი, სადაც მას წინადადებას აძლევდენ წასულიყო გალიდან, გლინსკი „სტრაჟნიკებით" გადავიდა ს. ოყუმში, მაგრამ 9 იანვარს იქ მივიდა პლატონ ემუხვარი და მცხოვრებთ მოსთხოვა გაეცათ გლინსკი. როცა ამაზე უარი მიიღეს, პლატონ ემუხვარის „წითელმა რაზმმა" ხალხს თოფებიდან დაუშინა, დაიჭრა ორი სოფელი. ასე დამთავრდა სამურზაყანოს ორგანიზაციის მუშაობა, რადგანაც ჩქარა გაჩნდა იქ მთავრობის ჯარი. ამ საქმეზე სასამართლოს გადაეცა 5 კაცი.

ამათში ერთს—ემუხვარის მეისაჯა 4 წლით კატორღა, ქავჯარაძეს, გულუას, ჩიჩუას და შარიას—ციხეში დაპატიმრება ორ-ორი წლით.

9. სვანეთის ორგანიზაცია.

„სვანეთში მთავრობის საწინააღმდეგო აზრები შეიტანეს სხვა ადგილებში სამუშაოდ წასულმა და შემდეგ სახლში დაბრუნებულმა სვანებმა. ახალ სახელმწიფო წყობილებამ—„ერთობა" მ სვანებს შორის მომხრეები მოიპოვა. სასამართლოზე გადაცემული იყო 37 კაცი. დამნაშავეთ იქნენ ცნობილი: მღვდელი მიხეილ სუჯაშვილი და გლეხი მაქსიმე გოშუანი იმაში, რომ 1905 წელს მათ მიიღეს მონაწილეობა საწინააღმდეგო ორგანიზაციაში—„რუს. სოც. დემ. მუშ. პარ. ქუთაისის კომიტეტის სვანეთის ორგანიზაციაში", რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული რუსეთში არსებული წყობილების შეცვლა. ამ მიზნით იმართებოდა კრებები, სადაც ორატორები მოუწოდებდენ ხელმწიფის ჩამოსაგდებათ და ხალხის მართველობის „ერთობის" დამყარებას. შედგენილი იყო მებრძოლი „წითელი რაზმი",

რომლის დახმარებით ხალხს აფიცებდენ „ერთობა"-ს ერთგულებაზე ხალხში ფულსა ჰკრეფდენ ორგანიზაციის სასარგებლოთ, შემოღებულ იქნა სოფლის თანამდებობის პირნი—„ასისთავები", „ათისთავები", შეკრებილი ფულით იძენდენ იარაღს და რევოლიუციონურ ლიტერატურას. 1905 წლის დეკემბერის 27 ღამით „სტრაჟნიკებს" იარაღი აჰყარეს. აგრეთვე პოლიციის სამმართველოდან წაიღეს იარაღი, ბოქაულს სიკვდილით დაემუქრენ, 30 დეკემბერს ღამით საპოლიციო ნაწილიდან წაიღეს დარჩენილი იარაღი, ოფიციალური ქაღალდები, თვით ბოქაული ყიფიანი წაიყვანეს სოფ. ლატალში, სადაც რამდენიმე ხნით დაპატიმრებული ჰყავდათ სკოლის ცივს შენობაში

გლეხები მამა ვიბლიანი, ვასილი კვანჩიანი, დავით კვინტელიანი კიარიმ პალიანი, ალექსანდრე გაბულდანი, არსენ ხვინტელიანი, სოს მირზაბეკისძე კვინციანი, ვასილი ბაკმურაზოვი, სატგერ არგვლიანი, ემუშა ცერედიანი, ჯანკვატ კვიციანი, მურზელ კვიციანი, დათა კვიციანი, კაუზაი გაბულდანი, დიტო არგვლიანი, რომანოზ კვიციანი, იოსებ ვიბლიანი, მუზა ხორგუანი ცნობილი იქნენ დამნაშავედ იმაში, რომ მონაწილეობდენ ისეთ ორგანიზაციაში, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ადგილობრივ მცხოვრებთა ამხედრება არსებულ წყობილების წინააღმდეგ, არ დამორჩილება კანონიერი მთავრობისათვის, გადასახადების არ გადახდა, მემამულეთათვის ღალაზე უარის თქმა, ჯარში არ გასვლა, უკეთუ ადგილობრივ მცხოვრებთ საშუალება არ მიეცემოდათ სამსახურის ადგილობრივ მოხდისა; ჰკრეფდენ ორგანიზაციის სასარგებლოთ ფულს. შემოიღეს სასჯუთარი სასამართლო, ვინც არ დაემორჩილებოდა ამ სასამართლოს განაჩენს—აჯარიმებდენ.

სასამართლო პალატამ მიუსაჯა—მღვდელ სუპატაშვილს და გლეხ მაქსიმე გოშუანს გადასახლება, მამა ვიბლიანს, ვასილი კვინჩიანს და დავით ხვინტელიანს $2^1/_2$ წლის ციხე, დანარჩენებ 2-დან ერთ წლამდე ციხე.

10. გაგრის ორგანიზაცია.

„გაგრაში რევოლიუციონური მუშაობა დაიწყო 1905 წლის სექტემბრის 28-ს სისხლის ღვრით. ამ დღეს მოჰკლეს გაგრის კლიმატიტური სადგურის უფროსი შერემეტიევსკი. მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყო 1905 წ. მაშინ დაიწყო საიდუმლო კრებების მოხდენა და არალეგალური ლიტერატურის გავრცელება. თავდაპირველად მთავრობის საწინააღმდეგო პარტიის მომწყობნი იყვნენ გაგრაში ტოპოგრაფი იოსებ შარუაშვილი და კლიმატიური სადგურის მოლარე ილია ჩიჩკანი. პირველი პროპაგანდას ეწეოდა ადგილობრივ (туземное) მცხოვრებთა შორის, მეორე—რუსებში. ესენი ორივე

ეკუთვნოდენ სოც. დემოკრატიულ პარტიის ბოლშევიკურ ფრაქციას. კრებებზე ისინი გაიძახოდენ: „ძირს მეფე", „ძირს თავად-აზნაურობა „ძირს შერემეტიევსკიო" შერემეტიევსკის ისინი და ევგენი ფერაძე თვლიდენ პარაზიტად, საჭიროდ მიაჩნდათ მისი გაძევება გაგრიდან ან განადგურება. ეს გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ შერემეტიევსკი თვალყურს ადევნებდა პოლიტიკურ მოძრაობას და ღებულობდა ყოველგვარ ზომებს მის წინააღმდეგ, რადგანაც მისი აზრით წესიერების დარღვევა ცუდათ იმოქმედებდა კურორტის ცხოვრებაზე. ყოველი მომხდარი კრების და აგრეთვე გამოსული პროკლამაციის შესახებ ის შიფრიანი დეპეშით ატყობინებდა პრინცს ალექსანდრე პეტრესძე ოლდენბურგს. ამიტომ გაგრაში გაძლიერებულ იქნა დაცვის საქმე—გამოგზავნილ იქნა ყაზახები, მატროსები, მომატებულ იქნა „სტრაჟნიკების" რიცხვი.

გაგრაში დაარსდა საიდუმლო ორგანიზაცია. მასში შედიოდენ ათის თავები, ასის თავები, რაიონის წარმომადგენლები. ორგანიზაციას ჰქონდა საკუთარი კასა. შერემეტიევსკის მოხსენების თანახმად მარუაშვილი და ჩიჩკანი გადასახლებულ იქნენ გაგრიდან. „ტუზემცებმა" მათი გაცილების დროს შეჰფიცეს, რომ შერემეტიევსკის სამაგიეროს მიუზღვნიდენ. შერემეტიევსკის მოკვლამდე სცემეს მოანგარიშე კოტეკს, რომელსაც შერემეტიევსკის „ჯაშუშად" თვლიდენ. კოტეკი ცემისაგან გარდაიცვალა აგვისტოს 22-ს. შერემეტიევსკის მკვლელობის და კოტეკის ცემის გამო პასუხის გებაში მიცემულმა ერასტო ჯინჭარაძემ აჩვენა, რომ მკვლელობა მოაწყო მოიჯარადრე ეფრემ ცინცაძემ და მასში მონაწილეობდენ გაგრელი მუშები: ორაგველიძე, ჯიქია, ბენდელიანი და თვით ჯინჭარაძე. მკვლელობის შემდეგ ჯინჭარაძე და ჯიქია ოჩამჩირეში მიიმალენ, სადაც მათ გაუგზავნეს ვინმე ბოლქვაძის ხელით 53 მან. 70 კაპ. ბოლქვაძის შეკითხვაზე, თუ რისთვის იყო ეს ფული გაგზავნილი ჯინჭარაძემ უპასუხა, რომ გაგრაში ხალხმა გადასწყვიტა ერთი კაცის მოკვლა, რომელიც ყველას ზიანს აყენებდა. კენჭის ყრით ეს საქმე მათ, ჯინჭარაძეს და ჯიქიას, შეხვდა...

შერემეტიევსკის მკვლელობის გამოსაძიებლათ გაგრაში მოვიდა პეტერბურგის საოლქო სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ბურცევი, რომელიც შეუდგა გამოძიებას, მაგრამ 1905 წლის 21 დეკემბერს ამ საქმის გამო წარმოებული ყველა აქტები გატაცებულ იქნა გაგრის სასტუმროდან, სადაც ბურცევი ბინადრობდა. საქმის გატაცების მიზანი იყო რქმის მოსპობა და იმ პირებზე გავლენის მოხდენა, რომელნიც ჩვენებას აძლევდენ.

გაგრის კომიტეტმა დაარწმუნა თავისი სასამართლო, აწყობდა გაფიცვებს, ერეოდა გაგრის კლიმატიური სადგურის საქმეებში, არ აძ-

ლევდა ქალაქში სურსათის შემოტანის ნებას, თუ მისგან ამისთვის ნებართვას არ მიიღებდენ, მოითხოვდა დაპატიმრებულ ჯარის კაცთა განთავისუფლებას და ასე სრულიად სპობდა მთავრობის დაწესებულებათ. ამ საქმის ბევრი მონაწილე მიიმალა. სასამართლოს გადაეცა 21 კაცი. სასამართლო პალატამ მიუსაჯა—ჯინჭარაძეს, ორაგველიძეს და ბენდელიანს კატორღა სხვადასხვა ვადით, ოლესინკევიჩს და კუხალეიშვილს —გადასახლება, დანარჩენთ ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით, სამი გამართლებულ იქნა.

11. საჩხერის ორგანიზაცია.

„1905 წელს სახერეში დარსებული „საჩხერის ორგანიზაცია" ისეთსავე მუშაობას აწარმოებდა როგორც სხვა ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციის წევრებმა დაიკავეს ქ. ელისაბედ წერეთლის ასულის სახლი. თვით წერეთელმა კი შიშით დასტოვა სახლი და ქალაქად გაიხიზნა.

სოფლის მამასახლისმა დარისპან სტეფანაძემ ასე დაახასიათა ეს ორგანიზაცია: „მთავრობის წინააღმდეგი იყო, სურდა მისი განადგურება და ახალი წყობილების დამყარება". ორგანიზაციის წევრები იწვევდენ მიტინგებს, ღამ-ღამობით ავრცელებდენ ფურცლებს, სადაც მოუწოდებდენ მთავრობის ჩამოსაგდებათ. არჩეული ჰყავდათ „ასის" და „ათისთავები", რაიონის წარმომადგენელი. ჰკრებდენ ფულს ორგანიზაციის სასარგებლოთ. მცხოვრებებმა სრულიად შეუწყვიტეს მთავრობის დაწესებულებებში სიარული. ორგანიზაციამ შემოიღო სახალხო სასამართლო. ოქტომბრის გასულიდან ორგანიზაციამ მოაწყო მებრძოლი „წითელი რაზმი". სულ რაზმში ირიცხებოდა 60 კაცი. 30 დეკემბერს დილით მომრიგებელი მოსამართლის კამერაში შევიდა 15 შეიარაღებული რაზმელი და წაიღეს იარაღი. ორგანიზაციის სათავეში იყო აზნაური ვლადიმერ იაშვილი, წევრებათ და რაზმელებათ იასონ ჩიგლაძე, სოლომონ ზვინკლიშვილი, როჭანოზ ხიხაძე, მიხეილ ხოჯალია, ილარიონ ვეფხვაძე, პაველ გულიაშვილი, დომენტი გულიაშვილი, მელიტონ გულიაშვილი, ვასილი გონგაძე, ანტონ ბერიძე, ვლადიმერ ვეფხვაძე, ზაქარია ვეფხვაძე, ნიკოლოზ ტყავაძე და ლავრენტი გძელიშვილი. სამართალში იყო მიცემული 18 კაცი. ამათში ექვსს მიესაჯა გადასახლება, თერთმეტს ციხეში დაპატიმრება 1 წ. და 8 თვით, ერთიც გამართლებულ იქნა.

„სხვა სახელმწიფოებრივი ხასიათის დანაშაულობათაგან, რომელშიაც მონაწილეობდენ არა ერთეულები, არამედ—მასსები და ორგანიზაციები ქუთაისის გუბერნიაში ყურადღების ღირსია: 1) 28—30

ნოემბერს ბათუმში მომხდარი არეულობა და 2) საქმე თედო სახოკიასი (იარაღის შემოტანა ზღვით).

ბათუმში არეულობა დაიწყო მას შემდეგ, რაც ლაბინის პოლკის ყაზახებს შეტაკება მოუხდათ ადგილობრივ მცხოვრებლებთან იმის გამო, რომ 28 ნოემბერს ღამით ერთ-ერთ ყაზახს ბოროტმომქმედმა „ვინტოვკა“ წაართვა. ყაზახებს, რომლებიც ჯარის სხვა ნაწილებზე უფრო ერთგულად უწყობდენ ხელს მშვიდობიანობის დამყარებას კავკასიაში, ადგილობრივი მცხოვრებნი არა სწყალობენ. მცხოვრებნი ამის გამო ყოველთვის მიმართავდენ ყაზახების წინააღმდეგ ძალადობას, რაც ყაზახების მხრით იწვევდა აღშფოთებას, გაღიზიანებას. მას შემდეგ, რაც ყაზახს თოფი წაართვეს, ქალაქის განაპირას ნახეს მოკლულ-დაჭრილი 11 ადგილობრივი მცხოვრები. ცნობა ამის შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა ქალაქში და 29 ნოემბერს ქალაქის საბჭოში მოწვეულ იქნა მიტინგი, სადაც მუშა ფედოროვი და არტილერიის პოდპორუჩიკი მღებროვი ხალხს მოუწოდებდენ იარაღისაკენ. მთელს ბათუმში დაიწყო თავდასხმა კერძო პირებზე და დაწვესებულებებზე იარაღის წასართმევად. რამდენიმე საათის შემდეგ მიტინგზე გამოცხადდა 1000-დე შეიარაღებული კაცი, რომელთაც თანხმობა განაცხადეს ხალხის დასაცავად გამოსულიყვნენ. პოდპორუჩიკი მღებროვი, კონდუქტორი მიხეილ მახვილაძე და ფერშალი მიხეილ შოპია ღამით გაემგზავრენ მიხეილის სანაღმო როტაში და ქალაქის საბჭოში მოიყვანეს 39 ჯარისკაცი. სამინტინგო სიტყვებით ხალხის აღელვება გაძლიერდა და ნოემბრის 30-ს რევოლიუციონური პარტიების გაელენის ქვეშ მოქცეული მცხოვრებნი შეუდგნენ ტელეგრაფის ბოძების მოჭრას, მავთულების დაგლეჯას, შეშისა და ბოჭკების ჭუჭებში გამოტანას და ასე ბარიკადების აგებას. კომენდანტის მოთხოვნით გამოწვეულ იქნა ჯარი. ჯარმა სროლა დაუწყო ბარიკადებს. ხერსონის პოლკის სასწავლო კამანდას, რომელსაც პრაპორშჩიკი დუნდუკი მეთაურობდა, რევოლიუციონერებმა სროლა აუტეხეს; გადაგდებულ იქნა აგრეთვე ყუმბარა, რომლითაც დაიჭრა ოფიცერი და სამი ჯარისკაცი. ამავე დღეებში სად. ბათუმის ქ-ნდარმთა უნტერ-ოფიცერთა ოჯახიდან გაიტაცეს იარაღი —რევოლვერები, ბერდანის სისტემის თოფები და ვაზნები. პასუხის გებაში იყო მიცემული 15 კაცი. ამათში ექიმი მაღალოვი და დისტანციის უფროსი კალატუზოვი. ორს მიესაჯა გადასახლება, ექიმ მაღალოვს 2 წლის ციხე, 2-ს ციხე ერთი წლით, 7 გამართლებულ იქნა—დანარჩენების შესახებ ჯერ კიდევ არ არის საქმე გარჩეული.

2) 1905 წლის დეკემბრის დამდეგს, გვიან ღამით, გაგრაში მცხოვრებ თავად ალექსანდრე იანალ იპასთან მივიდა 12 შეიარაღებული კაცი, რომელნიც ლაპარაკობდენ ჭართულად და მეგრულად, მათ მოი-

წვიეს თავადი და აუხსნეს, რომ ვინაიდან ზღვაზე ცუდი ამინდია, მათ უნდა გადმოტვირთონ ზღვით მოტანილი იარაღი მის მამულში. ნაპირად ამ დროს მართლა იდგა ნავი. ინალ-იპას პროტესტს არ მიაქციეს მათ ყურადღება, დატოვეს მასთან დარაჯი და რამდენიმე შეიარაღებული პირი და გადმოტვირთეს 45 ფუთი „ვეტერლინი“-ს სისტემის თოფები თვისი ვაზნებით. იარაღი მათ დამარხეს ამისთვის საგანგებოთ მოთხრილ მიწაში 100 საჟენის მოშორებით თავ. ინალ-იპას აგურის ქარხნიდან. ერთი კვირის შემდეგ იარაღის გადმოტვირთვიდან ალექ. ინალ-იპასთან მივიდა ქ. სოხუმის მცხოვრები საქართველოს სოც. ფედერალისტების პარტიის წევრი თედო სახოკია. მან განუცხადა ილან-იპას, რომ იარაღი ეკუთვნის მას, მოტანილია საზღვარ-გარეთიდან და რომ ამ იარაღს ის წაიღებს და დაურიგებს სხვა ადგილებს, ინალ-იპას მოიჯარადრებმა რა გაიგეს, რომ იარაღი ეკუთვნის სახოკიას, მივიდნენ მასთან და სთხოვეს იარაღი. სახოკიამ მათ განუმეორა, რომ იარაღი მას ეკუთვნის და ის მოტანილია ხალხისთვის, ამის შემდეგ უბრძანა მოეტანათ თითო ყუთი თოფი და ვაზნები და თავისი ამხანაგების თანდასწრებით დაურიგა მთხოვნელთ თითო თოფი და რამოდენიმე ვაზნა. ასე შეიარაღებულ იქნა 30 კაცამდე; მათ ეუბნებოდენ, რომ ეს იარაღი უნდა შეინახოთ რევოლიუციისათვისო, ვინც იარაღს მიიღებს, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს სოჩის შეიარაღებულ აჯანყებაშიო. 20 დეკემბრამდე მოზიდული იარაღის ნაწილი დაურიგდა ადგილობრივ მცხოვრებთ, რომლებიც იმავე სახოკიას ხელმძღვანელობით სწავლობდენ იარაღის ხმარებას. ამ იარაღის მეორე ნაწილი შეტანილ იქნა სოხუმის ოლქში შემდეგნაირად: 1905 წლის 24 დეკემბერს ნაშუადღევის 4 ს. ს. ბომბორის მამასახლისმა სტეფანოვმა შენიშნა მეზობელ გუდაუთიდან ზღვის მიმართულებით გაიარა ორმა ცარიელმა „დროგმა“. მან ეჭვი აიღო, რომ „დროგი“ მიდიოდა კონტრაბანდისთვის, ამიტომ ამის შესახებ აცნობა დაბის განაპირად დაბანაკებული ჯარის ნაწილს. როცა ყაზახები ზღვის მიმართულებით გაემართენ, მათ შეხვდა ორი უცნობი პირი, რომელნიც შეეცადნენ ტყეში დამალვას. შემდეგ ყაზახები შეხვდენ გუდაუთის საავადმყოფოს ფერშალს ორჯონიკიძეს, სხვა უცნობებთან, რომლებიც „დროგით“ მიდიოდენ. „დროგზე“ ნაბადი ქვეშ აღმოჩენილ იქნა ორი ხიშტი და სამი თოფი. მათ განაცხადეს, რომ თოფები და ხიშტები იპოვნეს ზღვის ნაპირად. ყაზახთა უფროსი ყაზახებითურთ ზღვის პირათ გაექანა, სადაც დაინახა რამდენიმე კაცი, რომელნიც გაიქცნენ. იმ ადგილას კი, სადაც ეს ხალხი იყო, აღმოჩნდა ერთი ყუთი ვინტოვკებით სავსე, ერთი დაძტვრეული ყუთი და ერთი ყუთი ვაზნებით. ამ დროს ნაპირს მოშორდა და ზღვაში მიიშალა „ფელიუკა“. ყაზახებმა მყისვე ალყა შემოარტყეს არე-მარეს

და დაედევნენ როგორც „დროგს", ისე ტყისკენ დასამალავად გაქცეულ ხალხს. სულ დაპატიმრებულ იქნა 10 კაცი, ერთ მათგანს აღმოაჩნდა ვაზნები „ვიტერლინის" სისტემის თოფისა, მეორეს—ვინტოვკა. დაპატიმრებულნი მოითხოვდენ განთავისუფლებას და ამბობდენ, რომ უკეთუ არ გაგვანთავისუფლებთ, ხალხი ციხეს დაამტვრევს და ძალათ გაგვანთავისუფლებს და ყაზახებს დახოცავსო. იმ დღეს დაკავებულ იქნა სულ 23 თოფი, 10 ხიშტი და 2200 ვაზნა. ამ საქმეზე პასუხისგებაში იყო მიცემული თედო სახოკია, ერასტი სასანია, დომენტი ჭუჭულორია, პეტრე კვარაცხელია და ვლადიმერ კარგოშიძემათ მიესაჯა გადასახლება. გურჯუას და ორჯონიკიძეს ციხე,—პირველს 1 წლით, მეორეს 8 თვით. სამი კაცი გამართლებულ იქნა.

ტფილისის გუბერნია.

1904 წელს გურიაში დაწყებული რევოლიუციონური მოძრაობის ტალღა ამ წლის გასულს მოედო ჯერ გურიის მეზობელ მაზრებს, შემდეგ მთელ ქუთაისის გუბერნიას და დაბოლოს 1905 წლის მარტში მოაღწია ტფილისის გუბერნიამდე. აქაც ისე, როგორც ქუთაისის გუბერნიაში, პირველად გლეხობა ჩაება. ტფილისის გუბერნიაში პირველი დემონსტრაცია გაიმართა ქ. თელავში 1905 წ. თებერვლის 28-ს. ამ დღეს მეზობელ სოფლებიდან თავი მოიყარა 500-მდე კაცმა და ყვირილით „თავისუფლება", „ერთობა" შეიპრა ქალაქში სროლით. ბრბო გარეკილ იქნა ერთი როტა ჯარისკაცების მიერ, ერთი ბრბოთაგან დაიჭრა ფეხში, პოლიციის ბოჭაული ქვით იქნა დაშავებული. ამავე დროს დაიწყო გლეხთა მოძრაობა გორის მაზრაში. პირველად აყენებდენ ეკონომიური ხასიათის მოთხოვნილებებს, მაგრამ ჩქარა ადმინისტრაციამ ცნობები მიიღო, რომ გლეხები იკრიბებიან, განზრახვა აქვთ გაიჭრონ მემამულეთა ტყეები და თავს დაესხან მემამულეთა სახლ-კარს. ამიტომ გლეხთა საჭიროების გამოსარკვევად და მოძრაობის აღსაკვეთად გორის მაზრაში გაგზავნილ იქნა ტფილისის მაზრის უფროსი ა-დი ჯანდიერი და ტფილისის გუბერნიის გლეხთა საკრებულოს ყოფილი წევრი ვეიდენბაუმი, როგორც კარგი მცოდნე ამ მაზრის გლეხთა ცხოვრებისა. კომისია გაემგზავრა გორის მაზრაში მარტის პირველ რიცხვებში. მარტის 1-ს დუშეთის მაზრის სოფ. მუხრანში, გორის მაზრის მეზობლათ, დაიწყო გლეხობამ თვითნებობით ტყის გაჩეხვა, რომელიც საუფლისწულო უწყებას ეკუთვნოდა. ტყის გაჩეხვა გაგრძელდა მარტის 5-მდე. ამ დღეს მუხრანის სოფლის კანცელარიაზე გამოწვეულ იყო სამი სოფლის გლეხობა, რომელნიც უმთავრესად ტყის გაჩეხვაში მონაწილეობდენ. გამოცხადდა არა მარტო სამი სოფელი, არამედ—თერთმეტი სოფელი. შეი-

კრიბა ბრძო 800 კაცამდე ჯოხებით და ნაწილობრივათ თოფებით შეიარაღებულნი და წარმოადგინა შემდეგი მოთხოვნილებები:

1) სოფლის საზოგადოება, რაიონების შემცირება და თითოეულ სოფლის მცხოვრებთადმი დეპუტატების არჩევის უფლება, რომლებიც ადგილობრივათ გაარჩევდენ განუსაჩივრებლათ ყოველგვარ სისხლის სამართლისა და სამოქალაქო ხასიათის საქმეებს;

2) გლეხთა საზოგადოებისათვის სრულ საკუთრებათ გადაცემა ხაზინის ყველა უძრავ ქონებათა, აგრეთვე კერძო პირებისაც მცირე სასყიდელის გადახდის ხაზინის სასარგებლოთ მხოლოდ საუკეთესო მიწებისათვის;

3) გლეხობისათვის მინიჭება იმ უფლებისა, რომ მან დააწესოს მღვდლების ჯამაგირი და მღვდელმოქმედების შესრულებისათვის განსაზღვროს სასყიდელი.

4) მიენიჭოს გლეხობას უფლება გახსნას წიგნთ-სიცავ-სამკითხველო ყოველგვარი ცენზურის გარეშე;

5) ახლად გაწვეულ ჯარისკაცების განაწილება მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში და მხოლოდ ომის დროს გადაყვან-გადმოყვანა ამიერ-კავკასიის ფარგლებში.

6) მიეცეს გლეხებს უფლება გახსნან მხოლოდ სამეურნეო სკოლები, სადაც სწავლება ქართულ ენაზე უნდა იყოს და ნაწილობრივათ რუსულად.

7) აქციზის და სააქციზო მართველობის სრულიად გაუქმება და

8) პრესის სრული თავისუფლება.

ამავე დროს ხალხმა განაცხადა, რომ ის ურთდება იმ რუსებს, რომელთაც „ბუნტოვჩიკებს" ეძახიან და რომ წარდგენილ მოთხოვნილებათა შესასრულებლათ იძლევიან ვადას 14 მარტამდე, რომ შემდეგ იტოვებენ უფლებას იმოქმედონ თავისუფლად. ამის გამო მუხრანის მახლობლათ მდებარე სოფლებში წესიერების აღსადგენათ და აგრეთვე ადმინისტრაციის დასახმარებლათ გაჩერილი ტყის სასყიდელის გადახდევინებაში დუშეთის მაზრაში გაგზავნა ერთი ბათალიონი ქვეითი ჯარი, რომლის შენახვა დაეკალა სამი სოფლის მცხოვრებთ, რომელთაც ყველაზე მეტი ბრალი ედებოდათ ტყის გაჩეხვაში. ჯარის მისვლის შემდეგ დუშეთის მაზრაში სიწყნარე ჩამოვარდა.

გორის მაზრაში თანდათანობით გამწვავდა მდგომარეობა. 7 მარტს კარალეთში გლეხებმა წითელი დროშებით დემონსტრაცია მოახდინეს, დაარბიეს სასოფლო კანცელარია და შემდეგ თანამდებობის პირების მიმართ მიმართეს სხვადასხვა ძალადობას. ეეიდენბაუმი და ჯანდიერი მთავარმართებლის განკარგულებით უკანე იქნენ გაწვეულნი და მათ ნაცვლად გაგზავნილ იქნა ყაზახთა ორი ასეული. არც ამ ღონისძიებამ გამოიღო შესაფერი ნაყოფი, რა-

დგანაც გლეხებმა იმის გარდა, რომ შესწყვიტეს მემამულეებთან მუშაობა, არა თუ მიუშვეს სხვები სამუშაოდ, თვით მემამულენიც აიძულეს დაეტოვებინათ მამული. მოითხოვდენ მათგან ხელწერილს სახნავ-სათესი მიწებისა და ტყეების დათმობის შესახებ. გლეხები შეუდგენ მემამულეთა ტყეების გაჩეხვას, ბაღების განადგურებას, მოჯამაგირეების დათხოვნას და მემამულეთა სახლ-კარის გადაწვას. ამავე დროს გლეხთა ბრბოები არბევდენ სასოფლო კანცელარიებს, ანადგურებდენ საქმეებს და სამსახურიდან ითხოვდენ თანამდებობის პირთ. ასე სოფლის ხელისუფლება გაუქმდა. გორის მაზრის უფროსმა მთავრობის დაწესებულებებს დაუგზავნა ცნობა, რომ მის მაზრაში გაგზავნილი უწყებები და მიწერ-მოწერა არ შეიძლება შესრულებული იქნას თავის დროზე, რადგანაც სასოფლო სამმართველოების გაუქმების გამო ამათი შესრულება უხდება მხოლოდ ბოქაულებსო. იძულებულნი გახდენ ზოგიერთი მომრიგებელი შუამავლებიც შეეწყვიტათ მოქმედება. ცხინვალში გლეხების ბრბომ სრულიად განდევნა მომრიგებელი მოსამართლე ანდრეევი და სოფლის ექიმი, რომელთა მოქმედებით მცხოვრებნი მადლიერნი არ ყოფილან.

„გორისა და დუშეთის მაზრების შემდეგ გლეხთა მოძრაობამ აგრეთვე იჩინა თავი ტფილისის მაზრაში. 21 მარტს გლეხები შეეცადენ კნ. მუხრანსკის ასულის ტყის გაჩეხას, რაიც მოლაპარაკებისა და „სტაჟიკების“ გაგზავნის შემდეგ არ მოუყვანიათ სისრულეში. საგარეჯოს მახლობლათ კი გლეხებმა გაჩეხეს სახაზინო ტყე და როცა ტყიდან დაბრუნდენ, სკოლის ფანჯრები ჩაამტვრიეს და სკოლის საქმეები გაანადგურეს. გამოიტანეს ქუჩაში არაყის სახდელი ქვაბები და მოხსნეს აქციზის ბეჭდები, შემდეგ შევიდნენ სააქციზო მოხელის ბინაზე და გაანადგურეს საქმეები. ტფილისის გუბერნიის გლეხთა მტრულმა განწყობილებამ გამოიწვია ამ გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებები, სადაც გამოითქვა აზრი თავად-აზნაურთა ახალგაზრდობისაგან შეიარაღებული რაზმების შედგენის შესახებ გლეხთა ძალადობისაგან თავდასაცავად.

„ამ მიმოხილვით ნათელია ის აზრი, რომ მთელი დასავლეთ ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური მოძრაობა, რამდენათაც მასში ჩართული იყო გლეხობა, გამოძახილია გურიის ამბებისა და სამართლიანად შეიძლება გლეხთა მოძრაობას კავკასიაში ეწოდოს „გურიის რევოლიუციონური მოძრაობა“. ეს სავსებით მტკიცდება ტფილისის გუბერნიის მაზრებში მომხდარი რევოლიუციონური მოძრაობით. გორის მაზრა მოსაზღვრეა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრისა. სულ ცოტა მანძილია გასაველი მთით, რომ გადახვიდეთ გორის მაზრაში შეუმჩნეველად. საერთო ენა და ეროვნება კიდევ უფრო ხელს უწყობენ აგიტაციის წარმოებას. სადაც ეს პირობები არ არის, იქ რე-

ეროლიუციონური მოძრაობა სუსტია, მაგალ, ახალციხის მაზრაში, სადაც მოსახლეობა უმთავრესად თათრებისა და სომხებისაგან შესდგება მოძრაობა სუსტია, მოძრაობა არ ყოფილა აგრეთვე არც ახალქალაქის მაზრაში, სადაც ქართველობა თითქმის არ არის. მეტის ძლიერებით, თუმცა არც იმდენით, როგორც გორის მაზრაში, მოძრაობამ თავი იჩინა კახეთში, სადაც, როგორც ვიცით, მუშაობდენ გურული აგიტატორები. სრულიად არ ყოფილა არაეთარი, მოძრაობა ზაქათალის ოლქში, სადაც ქართველობა არ არის. რომ გლეხთა მოძრაობა ხელოვნურია, რომ ის არ არის გამოწვეული ცხოვრების მძიმე პირობებით, არამედ გარეშე გაელენით, ეს სავსებით მტკიცდება იმ მოთხოვნებით. რომლებიც წარუდგინეს ვეიდენბაუმს და რომელიც მდგომარეობს, სხვათა შორის, გლეხების მიერ პრესის თავისუფლების მოთხოვნაში. გორის მაზრის მეზობლათ მდებარეობს დუშეთის მაზრა—ქართველებით დასახლებული და ამიტომ მოძრაობა ამ მაზრაში უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე სხვა მაზრებში.

ყველაზე მეტად ტფილისის გუბერნიაში რევოლიუციონურმა მოძრაობამ თავი იჩინა გორის მაზრაში. აქ განმეორდა გურიის ამბები. 1905 წ. თებერვალ—მარტში პროკურორმა ცნობები მოიღო ბრბოების მიერ ჩადენილ შემდეგ დანაშაულობათა შესახებ: 1) 27 თებერვალს დასწვეს წისქვილი თ. მიხ. ერისთავის მამულში; 2) 2 მარტს ცხინვალში დასწვეს მემამულე მებუნუთოვის და მელქუეთის ბაღები, 3) 2 მარტს დასწვეს თ. გრ. ერისთავის საბძელი სოფ. ფლოვში, 4) 2 მარტს ცხინვალში დასწვეს თ. მაჩაბლის წისქვილი და სახლი, 3) ს. რეხაში დასწვეს თ. ა. ერისთავის სახლი, 6) ყაჩაღები თავს დაესხენ მემამულე ბეგთაბეგოვს, 7) 11 მარტს დასწვეს თ. ივანე და დავით ციციშვილების კანტორა; 8) 11 მარტს ბრბომ სცემა მემამულეთ დიმ. ციციშვილს, 9) მოხდა ყაჩაღური თავდასხმა ინჟინერ კალატოზოვის მამულის გამგეზე, 10) 14 მარტს ს. ტირძინსში დასწვეს მემამულე სულხანოვის სახლი; 11) 14 მარტს განიზრახეს სოფ. დირბის მონასტრის დაწვა, 12) 15 მარტს დასწვეს სოფ. აჩაბეთში მემამულე ბაბუნიძის საბძელი, 13) 16 მარტს განიზრახეს ს. ბაკურიანში ადგილობრივი კანტორის დაწვა.

პოლიცია და სასამართლო ხელისუფლება ვერ ღებულობდა ცნობებს ყველა დანაშაულობათა შესახებ, რომელთაც გლეხები ჩადიოდენ მემამულეთა მიმართ, რადგანაც სოფლის ადმინისტრაციამ აგიტატორებისა და გლეხის ტერორის შიშით, სრულიად დაანება თავი თავის მოვალეობის შესრულებას. ერთ დროს მთავრობის დაწესებულებათა მოქმედება სოფლად სრულიად შესწდა, ასე რომ, აღარ შეიძლებოდა უწყების ჩაბარება. მტრული დამოკიდებულება მემამულეთადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესაც მოუწესრიგებელია *). ახლაც ზოგიერთი მემამულე იძულებულია მიმართოს ადმინისტრაციას, რათა აიძულონ გლეხები გადაუხადონ მათ ბეგარა. მემამულეებზე ძალადობა 1905 წლის შემდეგაც გაგრძელდა. 1905 წლის 12 აპრილს გორის მაზრის ს. პაკეში მოჰკლეს მემამულე ბეგთაბეგოვი. 1907 წლის 30 აგვისტოს მოჰკლეს მემამულე თავ. ილია ჭავჭავაძე—სახელმწიფო საბჭოს წევრი, გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ტფილისში, რამდენიმე წელწადს იყო ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მართველად. ის მოჰკლეს ქართველებმა სოც. დემ. პარტიის აგიტატორების წაქეზებით თავის გლეხებთან მომხდარი გაუგებრობის ნიადაგზე.

თვით ქალაქ ტფილისში ისეთ დანაშაულობათ მასის მხრით, როგორც ეს მაზრებში მოხდა, არ შეეძლო თავი ეჩინა ერთი იმიტომ, რომ არ შეეძლო აგიტატორებს 200 ათასი მცხოვრების თავის გავლენის ქვეშ დაყენება და მეორეც იმიტომ, რომ ქალაქში თავმოყრილია კავკასიის ცენტრალური მთავრობის ძალა. ჯარის მიერ მასაზე გავლენის მოსახდენათ რევოლიუციონური მოძრაობის განმავლობაში სამჯერ ჰქონდა ადგილი: 29 აგვისტოს, 22 ოქტომბერს და 18 დეკემბერს. ყველაზე თვალსაჩინოდ 22 ოქტომბერი ჩაითვლება. ამ ამბებს წინ უძღოდა მრავალრიცხოვანი კრებები გოლოვინის პროსპექტზე 18, 19 და 20 ოქტომბერს—როცა მიღებულ იქნა ტფილისში დეპეშა უმაღლესად ბოძებული 17 ოქტომბრის მანიფესტის შესახებ. ქუჩები სრულიად იყო გავსილი ხალხით. იკრიბებოდენ დილით და იშლებოდენ საღამოთი. გამოფენილი იყო წითელი დროშები და ამბობდენ უაღრესად მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს, კრებები უმეტეს შემთხვევაში თავდებოდა: „ძირს ნიკოლაზის“ ძახილით ბრბოს მიერ. 21 ოქტომბერს გოლოვინის პროსპექტით მშვიდობიანათ გაიარა მეფის მოადგილესთან მიმავალმა პატრიოტულმა პროცესიამ. შეორე დღეს გაიარა მეორე პროცესიამ, რომელიც რამდენიმე ათასი კაცისაგან შესდგებოდა. პროცესიას თან მიჰქონდა მეფის სურათი. ამ პროცესიას პირველი გიმნაზიის მახლობლათ ესროლეს და ყუბანაც გადაადგეს. ესროდენ ახლო მდებარე სახლებიდან. ამის შემდეგ ჯარმაც დაუწყო სროლა სახლებს, საიდანაც ისროდენ. ამ დღეს დაიჭირა და მოკლულ იქნა 100-მდე კაცი; ამის შემდეგ კრების მოხდენა და მანიფესტაციის გამართვა აკრძალულ იქნა.

1904 წლის გასულიდან ტფილისს დაეტყო რევოლიუციონური ორგანიზაციების გავლენა, ეს ორგანიზაციები ძირს წრაფვებოდენ პროლეტარიატის დიქტატურის განსახორციელებლათ, რომელსაც მოით-

*) 1909 წელს. რედ.

ხოვენ სოც. დემოკრატიული და სოც. რევოლიუციონერების პარტიები. ორგანიზაცია ერეოდა მოსამსახურეთა და დამქირავებელთა დამოკიდებულებაში, უბრძანებდენ პროკლამაციების საშუალებით საქმე გაეთავებიათ დაქირავებულთა სასარგებლოთ.

ამ დროს დაარსებულ იქნა სხვადასხვა პროფ. კავშირები, რომელთა დანიშნულება იყო ბრძოლის წარმოება მშრომელთა მიერ კაპიტალისტების წინააღმდეგ. რეპრესიების სახით იმართებოდა გაფიცვები ხან ეკონომიური, ხან პოლიტიკური—მცხოვრებთ წანდაწინ აცნობებდენ რომელი ხნიდან რამდენი ხნით გაგრძელდებოდა გაფიცვა. ასეთ შემთხვევაში ორგანიზაცია ხშირად ყოველ საზღვარს გადადიოდა და აწყობდენ გაფიცვას ისეთი უბრალო შემთხვევის გამო, როგორიც იყო 1905 წლის დეკემბერში ბაქოში მოკლული უბრალო მაჟი მუშის სოც. დემ. პეტრე მონტინის გამოსვენება ტფილისში. ამის გამო ბაქოდან გამოიგზავნა საგანგებო მატარებელი, რადგანაც რკინის გზა იმ დროს რევოლიუციონური ორგანიზაციის ხელში იმყოფებოდა.

მეტი გასავალი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ დოქტრინას, რაც საფუძვლად ედებოდა ყველა მოთხოვნებს. ცენტრი, საიდანაც ეს მოთხოვნები გამოდიოდა, იყო ამიერ-კავკ. რკინის გზის სადგური, სადაც გამართულია სახელოსნოები რამდენიმე ათასი მუშით. აქ შეეცადენ აგიტატორები მოეწყოთ ცხოვრება სოც. დემოკრატიზმის საფუძველზე.

დაიწყეს ჯერ ეკონომიური მოთხოვნების წამოყენება—სამუშაო დღის შემოკლება, ზედმეტი საათების სამუშაოს გაუქმება და სხ. ორგანიზაცია ცდილობდა მთელი მუშა ხალხის დამორჩილებას, რისთვისაც ყოველგვარ საშვალებას მიმართავდა: ტერორს, მკელელობას. რკინის გზის მოსამსახურეთა შორის ხშირი იყო მკელელობა და დაახლოვებით ჩამოთვლა ყველა იმათი, ვინც არ ემორჩილებოდა სოც. დემოკრატების დირექტივებს და ამიტომ იქნენ მოკლულნი, გვეუბნება, რომ ყოველ სამ დღეში 1905 წლის დასაწყისში ჰკლავდენ ან მოკვლის განზრახვით თავს ესხმებოდენ რკინის გზის თითო მოსამსახურეს, ამას გარდა იყო შემთხვევები ჩამომსხმელთა მთელი ცეხის მუშათა მოწამვლის განზრახვისა. ასეთმა ტერორმა და აგრეთვე მისი საშუალებით ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მისწრაფებამ სინამდვილეში გამოიწვია მუშათა ცხოვრების პირობების გაუარესება.

ამის გამო ტფილისის სადგურის მუშებში მაისიდან გაისმა პროტესტის ხმა. ჩქარა პროტესტანტების გარშემო შემოკრბა მუშების მთელი პარტია, რომელმაც შემდეგში მიიღო სახელწოდება პატრიოტული. ეს პარტია შესდგებოდა უმთავრესად რუსი მუშებისაგან, ამ პარტიამ მიზნად დაისახა ცხოვრების გაუმჯობესება შვიდრბიანის

საშუალებით, მთავრობის წინაშე შუამდგომლობით და აგრეთვე რევოლიუციონური პარტიების საწინააღმდეგო პოქმედებით.

ამ პარტიას დახმარების აღმოჩენა დაუწყო მთავრობამ. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააბოროტა მუშათა მოძრაობის' მიმდევრები პატრიოტებისადმი და გაუძლიერა მისწრაფება წესიერების პარტიის მოსპობისა.

ამ ნიადაგზე 15 ივნისს მოხდა ამ პარტიის გამოჩენილ წევრთა ნიკოლოზ სეჩენოვის და ალექსი რაკოვის მკვლელობა, აგრეთვე მოკლის განზრახვით თავს დაესხენ ბრიგადირ ბოროცოვს: ამ დანაშაულობის ჩამდენნი ოროვე შემთხვევაში ვერ აღმოაჩინეს, ასეთმა ძალადობამ პატრიოტულ პარტიაში გამოიწვია სათანადო აღშფოთება, რაც შემდეგში გამოიხატა: 17 ივნისს 10 რუსი მუშა შეხვდა ერთ ახალგაზრდას, რომელიც შემდეგ აღმოჩნდა მღვდლის ელადიმერ კოლტიპინის შვილი, მუშებმა ეჭვი მიიტანეს, რომ ის თითქოს აგიტაციას ეწეოდა მუშებში. მაგრათ სცემეს მას; მასთან ერთად სცემეს სამს ქართველს. ქართველებმა გამოძიების დროს აჩვენეს რუს მუშებთან ერთად მათ სცემეს მოსულმა ყაზახებმა და „გოროდოვებმა". ეს ცნობა გავრცელდა ქალაქში—დადიოდა ხმები, თითქოს პოლიცია აიარაღებს რუს მუშებს ადგილობრივ მუშების წინააღმდეგო. ამას მოჰყვა დიდ ძალი პროკლამაციების გავრცელება, სადაც სწერდენ „ხულიგნების" სისაძაგლეზე, რომელთაც პოლიცია მხარს უჭერსო: მოუწოდებდენ ხალხს შეიარაღებისაკენ.

21 ივნისს ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა მიტინგი, რომელმაც გაკიცხვა გამოუცხადა ადმინისტრაციას, დაადგინა ტფილისში საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება და წყალსადენის აფეთქება, ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომებით წყალსადენი დაცული იქნა, გაფიცვამ კი ფართო ხასიათი მიიღო. შესწყდა სტამბებში მუშაობა, ქუჩის ფარნები არ გაუნათებიათ. გაფიცვა 28 ივნისს შესწყდა.

ამ გაფიცვამ მცხოვრებთა შორის შექმნა არასასიამოვნო განწყობილება, რასაც ხელი შეუწყო მომხდარმა მთელმა რიგმა ტერორისტულმა აქტებმა. პირველი ტერორისტული აქტი მოხდა 23 ივნისს საღამოს 9 საათზე არტილერიის მოედანზე, ყაზახთა ყაზარმების ახლოს, სადაც პირველად გასროლილ იქნა პეტარდა, რითაც დაიჭირა მოედანზე მოთამაშე ბავშვები, შემდეგ გადაგდებულ იქნა ყუმბარა, რომელიც არ გამსქდარა.

მეორე დღეს საღამოს 7 საათზე იმ სახლის კუთხეში, სადაც გაჩერებული იყო ხუთი ყაზახი, გასქდა ყუმბარა, რითაც მოკლულ იქნა ორი ყაზახი, დაიჭრა ორი მეეზოვე და ადგილობრივი მცხოვრები შავი მუშა. იმავე საღამოს 8 საათზე მეორე ყუმბარა გასროლილ იქნა თათრის მოედანზე, რითაც დაიჭრა ბოქაული მისი თანა-

შემწე და უბნის მეთვალყურე, დაიჭრა აგრეთვე სამი კერძო პირი. რომელთაგან ორი გარდაიცვალა.

მესამე ყუმბარა იმავ საღამოს აელაბარში ესროლეს დარაჯ ყაზახებს, მაგრამ უშედეგოთ. 25 ივნისს ქალაქის იმავე ნაწილში მძიმეთ იქნა დაჭრილი ზურგში სადარაჯოზე მდგომი უბნის ჩქმახელი. იქვე მდგომმა ყაზახმა მსროლელს ხმლით თავი წასჭრა. ამის შემდეგ მეზობელ სახლებიდან სროლა დაუწყეს ყაზახებს, რომელთაც სროლითვე უპასუხეს. სროლის დროს დაიჭრა რამდენიმე კაცი, მოკლულ იქნა ერთი ქალი—ექიმი. მომხდარი ამბის ორი საათის შემდეგ ოლღას ქუჩაზე, სადაც ყოველთვის მრაველათ არის ხალხი თავმოყრილი, გასქდა ყუმბარა, რითაც სასიკვდილოთ დაიჭრა „გოროდოვოი" და ორი მეეზოვე, დაიჭრა მსუბუქათ შემთხვევით გამვლელი 12 კაცი. როგორც დამსწრეთ განაცხადეს, ყუმბარა გადაგდებულ იქნა ეტლიდან, რომელიც მიიმალა ბნელ ქუჩაში. აშკარა იყო, რომ ტფილისში დაარსდა რევოლიუციონური საზოგადოება, რომელმაც მიზნად დაისახა ასაფეთქებელი ყუმბარებით მოქმედება

გამოძიებამ გამოარკვია, რომ აპრილში რკინის გზის სახელოსნოებში კერძო „არტელჩიკმა" გიორგი მარუაველოვმა (?) ჩამოასხა ხის მოდელით რამოდენიმე ყუმბარა. მოდელები გააკეთა დურგლებმა ივანოვმა და კუჭურიძემ. შემდეგ შემთხვევით სახელოსნოებში აღმოჩენილ იქნა ეს მოდელებიც.

26 ივნისს სადგურის ახლოს შეპყრობილ იქნა მკერავი იმერელი ქალი ნინა მდინარაძე, რომელსაც კალათით სამი სასროლად გამზადილი ყუმბარა მიჰქონდა, იმავე დღეს ქუჩაში დაპატიმრებულ იქნა რკინის გზის სახელოსნოების ახალგაზრდა მუშა პავლე ანუსი, რომელსაც აღმოაჩნდა 52 სპილენძის „კაპსული" ყუმბარისა. დაბოლოს აგენტებისაგან მიღებულ ცნობების თანახმად გაჩხრეკილ იქნა ერთი აკარაკი რკინის გზის სადგურ ავჭალაში, სადაც აღმოჩენილ იქნა ასაფეთქებელ ნივთიერებათა ლაბორატორია, პიკფორდის ზონარი 4 ფუთი და 15 გრ. დინამიტი. ამას გარდა იქვე აღმოჩენილ იქნა 28 გამზადებული ყუმბარა ისეთივე კაპსულებით, როგორებიც აღმოაჩნდა ანუსს. ლაბორატორიაში შეპყრობილ იქნა უცნობი პიროვნება, რომელმაც თავს უწოდა ალექსანდრე სერგოსძე ვორობიევი. ის მთავრობებულ იქნა მეტეხის ციხეში, სადაც მეორე დღეს თავი ჩამოიხრჩო საკუთარი ქამრით.

ამ სახით რევოლიუციონური მოძრაობის დაწყებისთანავე ტფილისში გამოირკვა, რომ რკინის გზის მთავარი სახელოსნოები იძლევა ტერორისტებს. შემდეგში აშკარა გახდა, რომ რკინის გზის სახელოსნოები ერთავად იმყოფება გარევოლიუციონერებულ მოსამსახურეთა ხელში. იმ პირთა მკვლელობა და მოკვლის განზრახვა, რომელნიც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემორჩილებიან რეოლიუციონურ რეჟიმს, არ სწყდება დღემდე, თუმცა უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად შემცირდა. ისეთ პირებზე რომ არ ვილაპარაკოთ, რომელთაც დაბალი თანამდებობა უჭირავთ 1905-1909 წლამდე განიზრახეს რკინის გზის მაღალი თანამდებობის პირთა მოკვლა; სახელდობრ, ორჯერ დაესხენ თავს მოსაკლავად ჩამომსხმელ ცეხის გამგე ინჟენერ-ტეხნოლოგს ბერეზოვსკის, სად. ტფილისის უფროსს კრესლერს და სადგურის საწყობთა ზედამხედველს კორბოსს. მოკლულ იქნენ: სად. ტფილისის უფროსი ტერპილოვსკი, გზათა და რემონტის სამსახურის მოხელე ჩერნოვი, მთავარ სახელოსნოების უფროსის თანაშემწე ლეფეევრი, წევის სამსახურის უფროსი ვარტენბურგი, მოძრაობის ნაწილის უფროსი ბერნდტი, ნაწილის უფროსის თანაშემწე სტავრიკოვი და სხ. ყველა ეს მკვლელობა იმიტომ მოხდა, რომ მოკლულნი ეწინააღმდეგებოდნენ რეოლიუციონერებს. პატრიოტულ პარტიის დაარსებას საფუძვლად დაედო მუშათა მისწრაფება, რათა ტერორისათვის საწინააღმდეგო ძალა დაეპირდაპირებიათ.

„უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარტიის დამსახურება რეოლიუციონური და ტერორისტული ბრძოლის საქმეში დიდია. ამ პარტიამ, რომელიც მხოლოდ რუსებისაგან შესდგება, დაჰკარგა ბევრი მებრძოლი, რათა გაემაგრებია სახელმწიფოებრიობა კავკასიაში. ბრიგადირთა, ხელოსანთა, დარაჯთა და სხვა დაბალ მოსამსახურეთა უთვალავი რიცხვი, რომელნიც დაიხოცნენ ან დასახოცად ესხმოდენ თავს, ეკუთვნიან მხოლოდ პატრიოტების პარტიას. რამდენათ ძლიერ არიან გაბოროტებული რეოლიუციონერები პატრიოტებზე, ეს იქიდან შეკიცდება, რომ ამ პარტიის ერთ თვალსაჩინო წევრს პერუშკინს სამჯერ დაესხენ თავს თოფებით და ყუმბარებით

პატრიოტული პარტიის ორგანიზატორ და ხელმძღვანელს მისიონერთა მე-2 ეკლესიის მღვდელს სერგი გოროდცევს დაესხენ თავს და დასჭრეს რეოლვერით 1905 წლის 27 დეკემბერს.

პატრიოტების წინააღმდეგ გაბოროტებამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ 29 მაისს 1908 წელს ელისაბედის ქუჩაზე სამგლოვიარო პროცესიასაც სროლა აუტეხეს, როცა პატრიოტული პარტიის წევრის გორბაჩევის (წინადღით მოკლულის) ცხედარს მიასვენებდენ. რეოლიოციონურად განწყობილი რკინის გზის დაბალი მოსამსახურენი ტერიტორიალურად განთვითებით ცხოვრობენ, ისინი ტფილისის იმ ნაწილში ცხოვრობენ, რომლის დამახასიათებელი სახელწოდებაა „ნახალოვკა“. როგორც ირკვევა, იქ ყველაზე შავ-ბნელ დღეებში ჰქონდათ საკუთარი სოციალ დემოკრატიული საპყრობილე, იქვე მოეწყო „თავდაცვა“ და 1905 წ. 18 დეკემბერს ღამით თავდაცვის ჯგუფს შეტაკება ჰქონდა ჯართან, საჭირო დარჩა ორი ზარბაზნის ძალა ჯარის

მიერ. რკინის გზის მოსამსახურეთა რეზოლიუციონურმა მოქმედებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია 1905 წლის დეკემბერში, როდესაც რკინის გზა ხელში ჩაუვარდა გაფიცულთ. ამიტომ რკინის გზაზე სამხედრო მართველობის შემოღება და უფროსად სამხედრო პირის დანიშვნა გენერალ-გუბერნატორის სახით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.

თვით ქალაქ ტფილისში არეულობის დროს, შესრულებულ იქნა რამდენიმე ტერორისტული აქტი თანამდებობის პირთა მიმართ. მოკლულ იქნენ საქართველოს ეკსარხოსი, ყოვლად უსამღვდელოესი ნიკონი, კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი, ჟანდართა როტმისტრი რუნიჩი, რკინის გზის ჟანდართა სამმართველოს უფროსი სტანო, გორის მაზრის უფროსი გუგუშვილი, ტფილისის ფოსტ-ტელეგრაფის კანტორის უფროსი ჩიჟიკი, ბოქაულები სნიტკო და სკლიანჩენკო, ურნის ზედამხედველები ტერსაკოვი, კრუგლეცი, გაიდუკოვი, პოსლედოვი, საგინოვი, გოლუბაევი, კუზნეცოვი, მუსტიაცი, ნუკერიძე, ნევზოროვი, კისელი, ლაზარევი და 15 „გოროდოვოი". თავს დაესხენ მოსაკლავად ტფილისის დროებით გენ. გუბერნატორს ტიმოფეევს, სამხედრო სოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს ეოლკოვს, ტფილისის პოლიციმეისტერს კოვალიოვს, ტფილისის პოლიციმეისტერს მარტინოვს, (სამჯერ), ტფილისის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს ვოლკოვს, ტფილისის „ოხრანის" გნყოფილების უფროსს კარლოვს, კოვენდანტის სამმართველოს პორუჩიკს ტემნიკოვს, ბოქაულებს,—გლებოვს და დავიდოვს, უბნის ზედამხედველებს რაკინტინს, გაბილაიას, ლაზარევს, ტიუმენცოვს, შუმსკის, იაროშინსკის და სხ. ტერორისტების მიერ ყუმბარების გასროლა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. ამასთან სრულიად ყურადღებას არ აქცევდენ უდანაშაულო მსხვერპლთ. ასეთ შემთხვევათაგან აღსანიშნავია შემდეგი: 25 ივნისს 1906 წ. ვერის დაღმართზე გასროლილ ყუმბარისაგან დაიჭრა 10 კაცზე მეტი; 22 ოქტომბერს—ესროლეს პატრიოტულ მანიფესტაციას; 26 ოქტომბერს—„კრუეკოვის" შესავალთან—დაშავდა 13 კაცი; 23 დეკემბერს ელისაბედის ჭუჩაზე გასროლილ იქნა 8 ყუმბარა ჯარის ნაწილებსა და პატრიოტულ საზოგადოების წევრებზე; 1907 წლის 13 ივნისს—ერევნის მოედანზე 250 ათასი მანეთის გატაცების დროს.

ქ. ტფილისში და მაზრაში აღმოჩენილ იქნა ყუმბარების და ასაფეთქებელ ნივთიერებათა საწყობი, ამათში დიდ საწყობებათ ჩაითვლება: 1) 1905 წელს ავჭალაში აღმოჩენილი საწყობი, 2) 1905 წ. 29 აპრილს მიხეილ სულხანოვის სახლში აღმოჩენილი საწყობი—აღმოჩნდა 239 გამზადებულ ყუმბარა კიბაჭიჩის სისტემისა, 6 მაკედონის ტიპის, 35 გირანქა ასაფეთქებელი სითხე, 1067 კაპსული, 78 მისხ.

ციანისტი კალა, ორი პიროქსილის ხმალი, 592 ვაზნა და სხ. 3) 4 თებერვალს 1909 წ. ავლაბარში ფოსტის ქუჩაზე სახ. № 29 აღმოჩნდა 11 ყუმბარა, რევოლვერები და სხ. 4) 12 სექ 1908 წელს სამოვოლნი ქ. ბენდელიანის სახლში აღმოჩენილ იქნა 104 გატენილი ყუმბარა, 4 ფ. 10 გირ. დინამიტი, 276 არშინი ბიკფორდის ზონარი, 55 თოფი, 213 ცალი ჩამოხსმული ტყვია, 1400 ვაზნა და სხ.

მთავრობამ ვერ ამოაჩინა ტფილისში არსებული მთავრობის საწინააღმდეგო პარტიათა ცენტრალური კომიტეტი, საქმე ისეთი ორგანიზაციების შესახებ, რომელთაც მიმხრობოდენ მასსა, როგორც ეს იყო ქუთაისის გუბერნიაში, ტფილისში არ აღძრულა სასამართლო პალატაში გასარჩევად. იყო ისეთი საქმეები, რომელშიც დამნაშავეებათ გამოდიოდნენ კერძო პირები, ამა თუ იმ პარტიის წევრნი, კონსპირატიულად მომუშავენი.

სხვაზე უფრო საყურადღებოს აქმეებს რევოლიუციონურ საზოგადოებათა შესახებ წარმოადგენენ გაფიცვები რკინის გზაზე და ფოსტა-ტელეგრაფში; აგრეთვე შემდეგი საქმეები:

1) მეფის მოადგილის გენ. შირინკინის მოკვლის განზრახვა. საქმე ასე ეწყობოდა: 1905 წელს 13 ივლისს პოლიციელები და „ოხრანის“ განყოფილების აგენტები მივიდენ სასტუმრო „გრანდ ოტელში“; უცბათ შეიდენ მე 28 ნოემბერში და იქ ნახეს 4 კაცი, რომელნიც ისხდენ. მათ განიზრახეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მცირედი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ შეპყრობილ იქნენ. ამათგან ნომერი დაჭირავებული ჰქონდათ ტფილისის მცხოვრებ გლეხ დავით ნიკოლოზისძე კაჭაურს, დანარჩენი სამი მისი სტუმრები იყვნენ. მიხეილ პეტროვი, კასპარ კაჩაროვი და შიო პავლიაშვილი, წინააღმდეგობის გაწევის დროს კაჭაური შეეცადა „ფეჩისკენ“ წასვლას. გაჩხრეკის შემდეგ იქ აღოაჩნდა: 7 ყუმბარა, რომელთაგან ორი გამზადებული და ერთიც თუნუქის ყუთში. სამი სპილენძის მილი ასაფეთქებელ სითხით. გარდერობის შკაფში—ორი ვაზნა დინამიტი და სხ. საწერ მაგიდაზე იყო: გატენილი რევოლვერი, ამ რევოლვერის სავაზნე და სხ. ჩხრეკის დროს „ოხრანის განყოფილების უფროსის თანაშემწე კუბლიცკიმ ნახა ფოსტის ქაღალდის ნახევარი ფურცელი, რომელზედაც ქიმიური ფანქრით ეწერა: „სოციალისტ რევოლიუციონერების პარტია. ბრძოლაში ჰპოვეს შენს უფლებასა. სოც. რევოლიუციონერები ტფილისის მებრძოლი ორგანიზაცია გენ.-მაიორ შირინკინს უსჯის სიკვდილით დასჯას, სტამბა სოც. რევ პარტიისა.“ ამ წარწერას ახლი ბეჭედი წარწერით—„სოც-რევოლიუციონერების პარტიის მებრძოლი ორგანიზაცია“. კუბლიცკის და „ოხრანის“ განყოფილების მოხელის ონუფრი სივაკის ჩვენებით ხსენებული ხელნაწერი ნაპოვნი იყო № 28 იატაკზე. „ოხრანის“ მეორე „ჩინოვნიკმა“ ვოლობუევმა იპოვა ფო-

ტოგრაფიული ჯგუფი კავკასიაში ერობის შემოღების გამო, რომელმაც აღმოჩნდა მეფის მოადგილის გრ. ეორონცოვ-დაშკოვის და გენ. შირინკინის სურათები. შემდეგში კუბლიცკიმ წარუდგინა გამომძიებელს ხსენებული სიკვდილის განაჩენის ორი ცალი და განაცხადა, რომ აგენტურის ჩვენებით ისინი ნაპოვნია სასტუმროს ფეხის ალაგში. გამოძიების დროს გამოირკვა, რომ სხვებთან ერთად დაპატიმრებული პეტროვი ოხრანის განყოფილებაში მსახურებდა აგენტად და სოც.-რევ. ორგანიზაციაში იმ მიზნით შევიდა, რომ გამოეშკარავებია მოსალოდნელი ბოროტი განზრახვები. როცა პეტროვი ტფილისიდან ბაქოში მივიდა 1905 წ. 28 აგვისტოს, ის უცნობი ბოროტმოქმედის მიერ მოკლულ იქნა ქუჩაში ხანჯლით. ჩქარა ბაქოში გამოვიდა სოც.-რევ. პარტიის ბაქოს ორგანიზაციის პროკლამაცია, სადაც სწერდენ, რომ პეტროვი მოკლულია პარტიის განაჩენით იმისათვის, რომ მან გასცა ამხანაგებათ, ამას გარდა საქმეში ჩაკერებულ (სექტემბერი, 1905 წ.) ჟურნალ „რევოლიუციონურ რუსეთ"—ში მოთავსებული იყო ბაქოდან პროკლამაცია შემდეგის შინაარსისა: „28 აგვისტოს ჩვენი მებრძოლი რაზმის მიერ მძიმეთ იქნა დაჭრილი პროვოკატორი მიხეილ პეტროვი, იგივე აორნ აბრამისძე ლევენსონი (ფურიმი), რომელიც სამი დღის შემდეგ გარდაიცვალა საავადმყოფოში. ამ პროვოკატორმა ნდობა მოიპოვა საზღვარგარეთ ამხანაგებში, რომელთაც ის გამოგზავნეს რუსეთში. აქ ის შევიდა ტფილისის მებრძოლ ორგანიზაციაში და გასცა შირინკინის მკვლელობის მომწყობნი, ამას გარდა მან გასცა ყველა, ვისაც კი იცნობდა. ცნობები მისი პროვოკატორობის შესახებ მიღებულ იქნა მეტად დაგვიანებით. მოაწყო რა მან სასტუმროში კრება, სანამ პოლიცია მოვიდოდა, ის ტელეფონთან მივიდა და ვიღაცას შეატყობინა: „ყველაფერი მზადაა, შეგიძლიათ მოხვიდეთო". როცა ერთი ამხანაგი ფეჩისაკენ გაეჭანა ყუმბარისთვის, პეტროვი მას წინ შეეხეჩა და ასე ხელი შეუშალა." სასამართლო პალატამ ამ საქმეზე მიუსაჯა—კასპარ კაჩაროვს, შიო პავლიაშვილს, დავით კაჩაურს და პეტრე ბოსტრიჩეულს გადასახლება; ალექსანდრე ცქიფურიშვილი და ელადიმერ ხუდადოვი გაამართლა.

2) ტფილისის სოც. დემ. მუშათა პარტიის სამხედრო ორგანიზაციის საქმე.

საქმის შინაარსი ასეთია: 1906 წლის სექტემბერ—ოქტომბერში ქ. ტფილისში და ტფილისის გუბერნიის იმ ადგილებში, სადაც ჯარებია დაბანაკებული, გავრცელებულ იქნა რევოლიუციონური პროკლამაციები და ჟურნალები, რომლითაც მოუწოდებდენ ჯარის კაცებს არ აესრულებინათ სამსახური, ჩაედინათ ღალატი და მოეწყოთ შეიარაღებული აჯანყება. ყველა ეს პროკლამაციები და ჟურნალები, როგორც აღნიშნული იყო, დაბეჭდილი იყო რ. ს. დ. მ. პ. ადგილობ-

ბრივი ორგანიზაციების მიერ და ამიტომ დაიბადა აზრი, რომ ისინი დაბეჭდილი იყო ტფილისში. 1906 წლის 29 ოქტომბერს ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველომ ერთსა და იმავე დროს მოახდინა ჩრეკა სამს ალაგას: 1) ნინა სუნდუკიანცის ბინა (პაულიჩის ქ. მე 7 ნაწილში) 2) გრიგოლ მიქაძის ბინა სახ. № 25 კრასნოგორის ქ. მე 9 ნაწილი და მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის ალექსანდრე ლევანისძე თუმანოვის ბინა, ელისაბედის ქ. № 146 მე 10 ნაწილი. ამ ჩხრეკას შედეგათ მოყვა რამდენიმე ათასი არალეგალურ გამოცემათა—წიგნაკების, პროკლამაციების და ხელთნაწერების აღმოჩენა, რომელნიც დანიშნული იყო ჯარის ნაწილებში გასავრცელებლათ. ფურცლებში თავმოყრილი იყო ტენდენციური მასალა, ყოველგვარი შეთხზული ფაქტები ჯარისკაცთა და აფიცერთა ცხოვრებიდან და ყველაფერი მიმართული იყო იმისაკენ, რომ ჯარისკაცები აღელვებიათ აფიცერების წინააღმდეგ. აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა ნაწილებიდან თითქოს გამოგზავნილი ჯარის კაცთა ყალბი წერილები, სადაც აფიცერთა შემბღალავი ფაქტები მრავლად იყო მოყვანილი. ამას გარდა აღმოჩენილ იქნა ფულის შესაკრები საქვითარო წიგნაკები, რომელთაც ორგანიზაციის სასარგებლოდ ჰკრებდენ. აშკარა იყო, რომ მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდას მაგრად ჰქონდა ფეხი მოკიდებული ჯარში. ამ ორგანიზაციის სათავეში იდგა ორი კაცი, რომელთაც არ ინებეს თვის ვინაობის გამოაშკარავება და პროცესის ბოლომდე დარჩნენ გამოურკვეველნი. ერთი მათგანი თავს უწოდებდა მურგინს, მეორე სურკოვს. როცა 6 ოქტომბერს 1907 წელს მურგინს სასამართლო პალატამ 4 წლის კატორღა გადაუწყვიტა და ის ციხეში მიჰყვებოდა, მასთან სომხის ბაზარში მივიდა ვილაცა და ჰკითხა—„შენ ხარ სტანისლოვი“. როცა მურგინმა დადებითად უპასუხა, ცხენებს ყუმ ბარა ესროლეს, რომელიც გასქდა. არევ დარევის დროს მურგინი მიიმალა. პასუხისგებაში მიცემულ იქნა 12 კაცი—2 სტუდენტი და ჯარიდან გაქცეული, 1-ლი რკინისგზის ბათალიონისა ვასილევსკი. სამი ამათგანი გამართლებულ იქნა, 2 მიესჯა კატორღა 4 წლით თითეულს, ერთს გადასახლება, დანარჩენთ ციხეში დაპატიმრება სხვადასხვა ვადით.

ქუთაისის გუბერნიაში გარჩეული რევოლიუციონური ხასიათის საქმეების მსგავსი ტფ. გუბერნიაში ორი იყო 1) რუს. ს. დემ. მ. პარტიის გორის კომიტეტისა, (მიცემული იყო პასუხის გებაში 10 კაცი) და 2) ქარელის რაიონული ბიუროსი ქართლის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. ამ საქმეზე მიცემული იყო პასუხისგებაში 8 კაცი. საერთოდ ეს ორგანიზაციები იმავე მიზნებს ისახავდენ, რასაც ქუთაისის ორგანიზაციები, ე. ი. თანამდებობის პირთა არჩევა, ადმინისტრაციისა და სასამართლოს მოწყობა, ორგანიზაციის საჭიროებისათვის ფულების შეკრება, გაფიცვების მოწყობა.

უკანასკნელ ხანებში ტერორისტული აქტები ტფილისში და ტფილისის გუბერნიაში უმთავრესად მიმართულია მდიდრების წინააღმდეგ. იტაცებენ ფულს და ძარცვავენ მდიდრებს. ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებათ შემოიღეს „ტყვედ წაყვანა“. პირველი მაგალითი ტყვედ წაყვანისა მოხდა 1908 წლის ივლისის 26-ს, როცა ბოროტმომქმედებმა გაიტაცეს მდიდარი ვაჭრის ხარაზოვის 14 წლის შვილი. ის ყაჩაღებს ჰყავდათ 19 სექტემბრამდე და გაანთავისუფლეს მას შემდეგ, როცა მშობლებმა გადაიხადეს 17,000 მანეთი. შემდეგ გაიტაცეს თელავის მახლობლათ გრიგოლ სისოევი 1908 ს. 14 სექტემბერს. გაანთავისუფლეს 2 ოქტომბერს; 29 ოქტომბერს ტფილისში გაიტაცეს კონსტანტინე მირაქოვი, რომელიც გაანთავისუფლა პოლიციამ 14 დეკემბერს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ. 5 დეკემბერს—ტფ. მეორე გილდის ვაჭარი ალექსანდრე აივაზოვი, გაანთავისუფლეს 1909 წლის 23 იანვარს. 1908 წ. 16 დეკემბერს გაიტაცეს მდიდარი მალაკანის პეტრე ფეფელოვის შვილი, რომელიც 1909 წლის ივნისამდე არ დაბრუნებულა. მამა მისი, რადგანაც არ აასრულა ყაჩაღების მოთხოვნა, მოკლულ იქნა 1909 წლის 28 თებერვალს. ამას გარდა გატაცებულ იქნა, მაგრამ ადრე გაანთავისუფლეს 17 თებერვალს მეორე გიმნაზიის მოწაფე ევგენი ანდღულაძე და 1909 წ. 10 მარტს—1 გიმნაზიის მოწაფე არამ არუთინოვი. 16 აპრილს განიზრახეს ექვსი წლის ელადიმერ ტუშიშვილას გატაცება, მაგრამ ბოროტმომქმედნი შეპყრობილ იქნენ იმ დროს, როცა ეტლით ბავშვთან ერთად მიდიოდა „გოროდოვოი“ პეტროვი. 1907 წელს 22 დეკემბერს სად. ყარაიაზის ახლოს მატარებლის აფეთქების განზრახვა, 1908 წლის 4 თებერვალს ავლაბარში ასაფეთქებელ ნივთიერებათა აღმოჩენა, 11 მაისს მეტეხის ციხიდან ყუმბრების გადაყრით 18 ტუსაღის გაქცევა, ყაჩაღური თავდასხმა ტფილისის საბაყოზე 1908 წლის 29 მაისს და შეიარაღებული წინააღმდეგობა, რომელიც პოლიციას გაუწიეს 14 დეკემბერს კონსტანტინე მირაქოვის ტყვეობიდან განთავისუფლების დროს იმის მაჩვენებელია, რომ ყველაფერ ამას ახდენს ყაჩაღების ბრბო, რომელსაც მითვისებული აქვს „ახალ-ტერორისტთა“ სახელწოდება და რომელსაც დასახული აქვს არა პოლიტიკური, არამედ—ყაჩაღური მიზნები“.

ამავე დოკუმენტში მოყვანილია ცნობები სომხეთა და თათრებს შორის მოძრაობის შესახებ (აღმოსავლეთი ამიერ-კავკასია) დაწყებული 1903 წლიდან, როდესაც დაიწყო სომეხთა საეკლესიო ქონების ჩამორთმევა. ვეცდებით შემდეგ ნომერში მოვათავსოთ ეს ცნობებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვის დეკემბრის აჯანყების 20 წლის თავი.

1905 წლის აგვისტო იქნებოდა, როცა რამდენიმე ამხანაგი ბაქოს ცენტრალურ კომიტეტის საიდუმლო სტამბიდან დასასვენებლად გავემგზავრეთ.

ვინაიდან ბაქოს საიდუმლო სტამბაში მუშაობა ჩაკეტილში გვიხდებოდა წლობით და გარეთ მხოლოდ თვეში ერთხელ თუ გავიდოდით, ამიტომ მუშაობაც მძიმე პირობებში მიმდინარეობდა.

ცენტრალურ სტამბაში (ბაქოში) მაშინ მუშაობდენ: აბელ ენუქიძე, სიმონ (ტრიფონ) ენუქიძე, ვანო სტურუა, ვანო ბოლქვაძე, კატო მიქაძე და მე. სიღმისტრო თოდრია მუშაობდა ბაქოს ბოლშევიკურ ორგანიზაციის სტამბაში, რომელიც ცალკე იყო მოწყობილი, მხოლოდ იმ ხანებში ბოლშევიკურ ცეკას მიერ გაგზავნილი იყო რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში საიდუმლო სტამბების მოსაწყობად. სხვათა შორის ის სამარაშიაც იყო ამ საქმეზე მოკლე ხნით.

ტფილისში ყოფნის დროს მე დროგამოშვებით დავიარებოდი ჩუღურეთში ამხ. მიხო ბოჭორიშვილის ბინაზე, რომელიც ტფილისში პირველი მომწყობი იყო ყველა საიდუმლო მეუმრავლესეს ს. დემ. მუშათა წრეებისა და ტეხნიკის და მას მჭიდრო კავშირი ეჭირა ბოლშევიკურ ორგანიზაციების მოწინავე ამხანაგებთან.

მის ბინაზე ხშირად ხდებოდა თვალსაჩინო კონსპირატიული კრებები, სადაც თავს იყრიდენ დღევანდელი კომპარტიის ბელადები, როგორც, მაგალითად, ამხ. მიხა ცხაკაია, კობა—ჯუღაშვილი, ა. ენუქიძე, ვ. სტურუა, ს. თოდრია, ლადო დუმბაძე, ტრიფონ ენუქიძე და სხ.

ამ ბინაზე გადაწყდა ჩემი მოსკოვში გაგზავნა იმ საიდუმლო სტამბაში, რომელიც მოაწყო იქ ამხ. სიმონ. (ტრიფონ) ენუქიძემ 1905 წელს.

აგვისტოს მთელი თვის დასვენების შემდეგ მოსკოვში გაგზავნის საკითხი ცეკას განკარგულებით უკვე გადაწყვეტილი იყო, ვინაიდან იქაური ბოლშევიკური ორგანიზაცია ითხოვდა მომუშავე ასოთამწყობს და მცოდნე მემანქანეს, რომელშიაც კარგად დახელოვნელი იყო ამხ. სილ. თოდრია, მე კი, როგორც ასოთამწყობი, ოფ სულზედაც იმ ხანებში გვარიანათ ვმუშაობდი.

მე პასპორტი გამიკეთა ამხ. მიხო ბოჭორიშვილმა კიზირიას სახელზე, ამხ. სილ. თოდრიას კი—ზარდიაშვილის სახელზე ჭონდა პასპორტი და ის ბაქოში დაბრუნდა. ეი ასეთი პასპორტებით ჩვენც ბა-

ქოდან გავსწიეთ მოსკოვისაკენ, სადაც სექტემბრის 1-ლ რიცხვებშიეე ჩავედით.

მოსკოვში მაშინ საიდუმლო სტამბას ხელმძღვანელობდა ტრიფონ ენუქიძე. სტამბა ახალი იყო; მის მოსაწყობად ამხ. სიმონი ბაქოდან წინასწარ გაემგზავრა 6-7 თვით ადრე.

მოსკოვში ჩვენ დავბინავდით ერთ ერთ სასტუმროში.

არ გაუვლია დიდხანს და ჩვენთან მოვიდა სიმონიც, რომელსაც უნდა გავყოლოდით საიდუმლო სტამბაში. სანამ სტამბაში მუშაობას შეუდგებოდით, სიმონს ჩვენთვის ოთახი ეშოვნა სტამბასთან ახლოს, დაახლოებით 100 საჟენის მოშორებით.

ტვერის ბულვართან, ფილიპოვის საკანდიტეროს პირდაპირ არის ლევონტიევის ქუჩის შესახვევი; ამ შესახვევის კუთხეში ერთ გურულს, გვარად მენაბდეს, ჰქონდა კავკასიური რესტორანი, სადაც ჰქონდა კაშირი მოსკოვის ბოლშევიკურ ორგანიზაციას ამხანაგებთან.

ჩვენი საცხოვრებელი მოთავსებული იყო დოლგორუკოვის და ლესნოი ქუჩის კუთხეში, სახლის ნომერი იყო 90 და ეკუთვნოდა მიგაჩოვს; ეს სახლი სამ სართულიანი იყო; მესამე სართულში ჩვენთვის სიმონს ეშოვნა ერთი ოთახი; უმეტესად ამ მესამე სართულში სტუდენტობა ცხოვრობდა; ბინა ცალკე-ცალკე ოთახებად იყო დაყოფილი, რომლის პატრონი და გამქირავებელიც მოხუცებული ქვრივი ქალი იყო.

ამ სახლის პირდაპირ მოთავსებულია მოსკოვის ცენტრალური სატუსაღო „ბუტირკა“, რომლის სატუსაღო საკანებს ზემო სართულიდან თავისუფლად ვუყურებდით ყველა იქ მცხოვრები მდგურები.

აი ამ ბინიდან დავდიოდით საიდუმლო სტამბაში სამუშაოთ: უნდა გაგვეველო ციხის გალავანთან, სადაც დარაჯი დადიოდა ქვაფენილზე, გალავნის ბოლოს კი მოთავსებული იყო კავკასიური მაღაზია.

ამ მაღაზიის გამგეთ იყო ამხ. სილეგან კობიძე (დღეს ტყავტრესტის ქარხანაში მსახურობს), რომელიც თავის გარეგნობით მართლა გეგონებოდათ „კომერსანტი“, მასთან აგრეთვე იყო მისი მეუღლე, როგორც ოჯახის დიასახლისი; რომ პოლიციას ეჭვი არ აეღო მის „კომერსანტობაში“ და სახლის პატრონიც დარწმუნებულიყო, რომ ამხ. კობიძე მართლა ვაჭარია და არა უბრალო ვინმე, ამ მიზნით და კონსპირაციის მოსაზრებითაც მასთან ხელზე მოსამსახურეთ იყო მარია ტრუბა (დღეს საკავშირო საბჭ. რესპუბლიკების ცაკის წევრი), რომელიც ასრულებდა შავ სამუშაოს კობიძის ოჯახში, ნამდვილად კი კობიძის მეუღლესთან ერთად გვიმზადებდა კერძს და ყველაფერში გვეხმარებოდა საიდუმლო მუშაობის დროს.

კობიძესთან ერთად მის თანაშემწედ ითვლებოდა ერთი რუსი ამხანაგი ქალაქ ტულიდან (გვარი არ მახსოვს), რომლის მოვალეობას შეადგენდა მისვლა-მოსვლა და სხვადასხვა სავაჭრო ფირმებთან ვითომდა საქმის დაჭერა.

თვით სტამბაში მუშაობა მეტად ძნელი იყო სივიწროვის გამო; ორი კაცი იქ ვერ ეტეოდით, ერთი კაცის სამყოფი ჰაერიც არ იყო; გვედგა საბეჭდი პატარა ზომის მანქანა („პოსტონკა"), ორი კასა ასოებისათვის, საღებავი, მისი წასაცხები, დაჭრილი ქაღალდის დასტები და სხ. ამიტომ საჭიროება მოითხოვდა ამ სტამბაში მორიგეობით მუშაობას, რათა ასე ყოველ დღიურად მიგვეწოდებინა მოსკოვის ორგანიზაციისათვის საჭირო ფურცლები.

ჩვენ ამხანაგები: ასოთ-ამწყობებიდან—გიორგი სტურუა და მაღაზიის გამგე ს. კობიძე (ამხ. ს. იაშვილი შემდეგ ჩამოვიდა), რომლებსაც მე და ს. თოდრიაც შეუერთდით სამუშაოთ მივდიოდით დილიდან, სტამბაში შევდიოდით „მაღაზიის" კარებიდან და სანამ დაბნელდებოდა იქ ვიყავით, გიორგი სტურუა ბინათ ამხ. კობიძესთან იმყოფებოდა და იქვე მეორე ოთახში ცხოვრობდა, იაშვილი კი ბინადრობდა ჩვენი ბინიდან 30 საფენზე დაშორებით და ისიც ჩვენსავით რიგ-რიგობით დაიარებოდა სტამბაში სამუშაოთ. მოსკოვის ორგანიზაციასთან კავშირი სამონს ჰქონდა, მის შემდეგ კი ამხ. ს. თოდრიას და გიორგი სტურუას.

სექტემბრის 19-ს მოსკოვში პირველად გაიფიცნენ სიტინის სტამბის მუშები, ამ გაფიცვას მხარი დაუჭირა მოსკოვის თითქმის ყველა სტამბებმა და ფილიპოვის პურის საცხობმა ქარხანამ.

2 ოქტომბრიდან მუშათა გაფიცვები ლენინგრადშიაც დაიწყო და 10 ოქტომბერს მათი რიცხვი თანდათან ძლიერდებოდა. მოსკოვის ყველა რკინის გზების ხაზები გაფიცული იყო. მოსკოვის მაშინდელმა გაფიცვებმა გამოხმაურება ჰპოვეს რუსეთის თითქმის ყველა კუთხეებში, ციმბირიდან დაწყებული ამერ-კავკასიამდე. ასე რომ, ეტყობოდა, თვითმპყრობლობის დამხობის საათიც ახლო იყო.

17 ოქტომბრის შემდეგ სურათი სრულიად გამოიცვალა. ყოველდღიური მიტინგები და კრებები ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნა. უნივერსიტეტის კედლები ხალხს ვეღარ იტევდა ყოველ საღამოობით. ამ მიტინგების გამართვამ ძლიერ ფართო ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც ბუტირკის ციხიდან განთავისუფლებულ იქნენ პოლიტიკური პატიმრები 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ...

პოლიცია და მისი აგენტები სოროებშია მიმალული, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიან და პროვოკატორული გამოსვლით ცდილობდენ ხალხში არევ-დარევის შეტანას.

არ გაუვლია რამდენიმე დღეს ციხიდან გამოსვლის შემდეგ, რომ დოლგორუკოვის ქუჩაზე ამხ. ბაუმანს პროვოკატორმა რამდენიმე ტყვიით გული გაუგმირა და მოსკოვის პროლეტარიატს საუკეთესო ხელმძღვანელი ჩამოაშორა...

ამან და სხვა ასეთმა პროვოკაციამ მოსკოვის მუშათა კლასი აღელვების უკიდურეს წერტილამდე მიიყვანა. საჭირო იყო ორგანიზაციულად აღელვებული მუშათა კლასის დარაზმვა და მისი შეიარაღება. ხელმძღვანელი ამხანაგები მოსკოვის კომიტეტისა დარწმუნებული იყვნენ იმაში, რომ მეფის აგენტები უკან დახევის შემდეგ პირდაპირ თავდასხმაზე გადავიდოდენ, რასაც ბევრი მსხვერპლი მოჰყვებოდა. და რომ მუშათა კლასი მზად ყოფილიყო, ამისთვის ყველა მიტინგებზე და კრებებზე ირჩევდნენ სამხედრო ინსტრუქტორებს, რომელთაც დავალებული ჰქონდა მოწინავე მუშებისაგან არჩეულ პირებისათვის იარაღის ხმარების სწავლება.

ამხანაგები ინსტრუქტორების მეთაურობით გავდიოდით მოსკოვის ახლო მდებარე ცნობილ სასოფლო-სამეურნეო პეტროვსკო-რაზუმოვსკის ინსტიტუტის ბაღის უზარმაზარ ტყეში, სადაც მაუზერებიდან და რევოლვერებიდან ვსწავლობდით იარაღის ხმარებას.

მოთბინების ფიალა უკვე სავსე იყო, როცა პროვოკატორის მიერ ვერაგულად მოკლული ამხანაგი ბაუმანი დაასაფლავა მოსკოვის პროლეტარიატმა... მთელი მოსკოვმა, განურჩევლად მიმართულებისა და პარტიებისა, მოულოდნელად მიაცილა ამხ. ბაუმანი სასაფლაომდე.

საღამო მოახლოვებული იყო, როცა ბაუმანის დასაფლავების შემდეგ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებოდა უკან სასაფლაოდან; ხალხს თავი უნდა მოეყარა უნივერსიტეტში, მოხოვი ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო ყაზახთა რაზმიც. მთავრობამ იცოდა, რომ უნივერსიტეტში საღამოს მიტინგი იყო დანიშნული ბაუმანის დასაფლავების შემდეგ და ისიც მზადებაში იყო დემონსტრაციისათვის სამაგიეროო გადაეხადა. სასაფლაოდან დაბრუნებულნი ბლომად იყვნენ უნივერსიტეტთან თავმოყრილნი და ქუჩაში ბაასობდენ, როდესაც ჩასაფრებულმა ყაზახთა რაზმმა მანეჟიდან სროლა აუტეხა სრულიად მშვიდობიან მოქალაქეებს, რასაც მოჰყვა რამდენიმე ათეული დახოცილ-დაჭრილები...

ასეთი იყო მოსკოვი მანამ, სანამ მან იარაღს არ მოჰკიდა ხელი დეკემბრის დღეებში და არ ეკვეთა მეფის ჯალათებს სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ბარიკადებზე.

4 დეკემბერი იქნებოდა, როცა ამხ. იაშვილთან მივიდა მოსკ. ბოლშ. ორგანიზაციის ორი წევრი და ორგანიზაციის სახელით დავალება გადმოგვცეს, რომ მე და ამხ. სანდრო იაშვილი წავსულიყავით ლენინგრადში ამ ორ მოსკოველ ამხანაგებთან ერთად; როგორც

შემდეგ დავრწმუნდი, ჩვენი ლენინგრადში გამგზავრება გამოწვეული იყო იმ სამზადისით, რომელიც შეეხებოდა იარაღის ჩამოტანას მოსკოვის ორგანიზაციისათვის. თუმცა ჩვენთვის უცნობი ამხანაგებიც ჩვენთან ერთი მატარებლით მოდიოდნენ, მაგრამ კონსპირატიული მოსაზრებით ვაგონში ჩვენ მათთან თავს ვიკერდით, როგორც უცხო პირებთან; ლენინგრადში ბინათ დანიშნული გვქონდა სადგურთან ახლო სასტუმრო „პალე-როიალი“, სადაც ჩვენთან უნდა მოსულიყო ჩვენი მოსკოველი ორი ამხანაგი (მათი გვარები მაშინაც არ ვიცოდით, მხოლოდ ვიცოდით, რომ მოსკოვის ორგანიზაციის პასუხისმგებელი ბოლშევიკები იყვნენ): იარაღი უნდა მიგვეღო ლენინგრადში და ჩამოგვეტანა მოსკოვის ორგანიზაციისათვის; იმ ხანებში ყველა მოსკოვის ახლო-მახლო მდებარე რკინის გზის ხაზების მუშები გაფიცულები იყვნენ და მხოლოდ მატარებლების მიმოსვლა სწარმოებდა ლენინგრადსა და მოსკოვს შორის.

მოსკოვის აჯანყების დროს სწორედ ამ რკინის გზის ხაზმა ითამაშა უმთავრესი გადამწყვეტი როლი აჯანყების ჩაქრობის დროს, როდესაც ამ ხაზით მეფის მთავრობამ შესძლო საკმაო ჯარების შემოყვანა ლენინგრადიდან (ცნობილი სემენოვის ლეიბ-გვარდიის პოლკი და ქალაქ ტვერიდან ცხენოსანი პოლკი):

ჩვენ სასტუმროში ვცხოვრობდით და ველოდებოდით, რომ იარაღის მოსკოვში გადატანის საქმე მოგვეგვარებია. ლენინგრადის ბოლშევიკური ორგანიზაცია ობიექტიური პირობების გამო მოსკოვის აჯანყებას ვერ გამოეხმაურა შეიარაღებული აჯანყებითვე.

მხოლოდ ლენინგრადის 200.000 მუშამ საერთო გაფიცვით გამოუცხადა თანაგრძნობა მოსკოვის აჯანყებულ მუშებს, რომელიც ერთ კვირაზე მეტი გაგრძელდა, აჯანყება კი მოსკოვში 8 დეკემბერს მთელ ქალაქს მოეფინა.

ჩვენი გეგმებიც ცოტათი შეეასრულეთ და მხოლოდ ორი ყუთი იარაღი გამოვგზავნეთ მოსკოვისათვის.

ამხ. ტრიფონ ენუქიძე იმ ხანებში ამხ. კრასინთან იყო ჩასული მოსკოვიდან ლენინგრადში იარაღის მოსკოვში გადაგზავნის მოსაგვარებლად. ამხ. იაშვილი მოსკოვის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ უკანვე გაიწვია, რომ იარაღის საწყობისთვის მოეცლო, რომელიც მას ებარა.

8 დეკემბერს მოსკოვის ქუჩებში გამწვავებული ხელჩართული ბრძოლა დაიწყო.

არც მე დამიყოვნებია ბევრი და სამი დღის შემდეგ დავბრუნდი მოსკოვში...

რას წარმოადგენდა მოსკოვის ქუჩები გაფთრებული ბარიკადული ბრძოლის დროს? მთელი მოსკოვი თავგანწირვით იბრძოდა. როდე-

საც მოსკოვში ნიკოლოზის სადგურზე ჩამოვედი, მეეტლეები აღარ სჩანდნენ ქუჩებში; ქუჩების განაპირა ნაწილები გარიხული იყო ყველაფრით, რაც კი მოხედროდათ მუშებს ხელში. აქ იყო ყველაფერი გამოფენილი: მაღაზიის „ვიენესკები“, ფიცრები, რკინეულობა, ბოჭკები, ტრამვაის ვაგონები, სხვადასხვა ავეჯეულობა, ტელეგრაფის და ტელეფონის მავთულები, ხელოვნურად გაკეთებული სხვადასხვა თავშესაფარი-ადგილები; მიუხედავათ სუსხიანი ყინვებისა, ქვაფენილები აეყარათ, ბოთლის ნამტვრევები ქუჩებში, ჩალეწილი შუშაბანდების ჩარჩოები და კიდევ ვინ მოსთვლის ყველა იმას, რითაც ქუჩები იყო გარიხული; ტრამვაის ვაგონები გადაყირავებული, დამტვრეული, ტრამვაის ბოძები წაქცეული და ერთი-მეორეზე გადახლართული, რის გამოც განსაკუთრებით ძნელი იყო ცხენოსანთა თავისუფალი მიმოსვლა.

განსაკუთრებული უფლებებით მეფის მთავრობამ მოსკოვის შეიარაღებულ აჯანყების ჩასაქრობად დანიშნა ადმირალი დუბასოვი. დილიდან ჩამოსული, სანამ ჩვენს ბინაზე მივიდოდი, საღამოც გახდა. სადგურიდან ტეხნიკურ ინსტიტუტში შევიარე, რომ გამეგო საქმის ნამდვილი ვითარება თუ როგორ მიმდინარეობდა საერთოდ ბრძოლა. ზარბაზნების ყუმბარები თავზარსა სცემდა შეშინებულ მცხოვრებთ; მე მაინც ვსცდილობდი როგორმე ბინაზე მისვლას, რომ გამეგო ამ ხანაგების მდგომარეობა.

როგორც იყო, კედელ-კედელ სიარულით მივაღწიე იმ ქუჩას, სადაც მე და სილიბისტრო თოდრიას ბინა გვქონდა. ჩვენს ბინაზე მისვლამდე უნდა გზათ გამეელო სანდრო იაშვილთან და გამეგო მისი ვითარება. ამბ. იაშვილს მაშინ მოსკოვის ორგანიზაციის დავალებით ჩაბარებული ჰქონდა იარაღის საწყობი. ბუტირკის ციხის უზარმაზარ რკინის კარებთან თავმოყრილი ორიან ციხის დარაჯები და ჯარისკაცები, რომლებიც წამდაუწუმ თოფებს ისვრიან და ხოცავენ სრულიად უდანაშაულო ცნობის მოყვარე ხალხს. საშინელი სურათია; ციხის ჯარისკაცები სწორედ პირდაპირ მასწვრივ გაჰყურებენ იმ ქუჩას, რომელზედაც ამბ. იაშვილი ცხოვრობს; გამოჩნდება თუ არა ადამიანის აჩრდილი ამ ქუჩაზე, ჯარისკაცებს მიზანი ამოღებული აქვთ...

სროლა ზარბაზნებიდან და თოფებიდან არ სწყდება. ვინმე თავხედი დამკვრელი დრუკინის წვერი სახლის სახურავიდან მაუზერის ტყვიას აყრის სეტყვასავით ციხის დარაჯებს, ერთი, ორი წაიქცა... ამან უფრო გააცოფა ჯარის კაცები და განურჩევლათ აყრიან ტყვიებს ყველას, ვინც შემთხვევით გამოიყურება ან კარებიდან, ან ფანჯრებიდან... ასეთი 15-დე კაცი ჭალი და ბავში გამოასალმეს სიცოცხლეს რამდენიმე წუთის განმავლობაში. ჩემს სიხარულს საზღვა-

რი არ ჰქონდა, როცა ფანჯრიდან სანდრო იაშვილის ხმა მომესმა, ის ხელით მანიშნებდა მისი ბინისაკენ მიმეშურებინა. შევედი, გავიგე, რომ იარაღი, რომელიც მას ებარა, უვნებლად იყო და თვითონაც უვნებლად დაბრუნებულიყო ლენინგრადიდან.

ამასთან ერთად მან მეტად სამწუხარო ამბავი შემატყობინა:

— გუშინ საღამოს ქუჩაში სილია მაუზერით ხელში დაატყვევეს, არ ვიცით სად არის, თუ შეგიძლია, როგორმე ამაღამ ბინაზე მიდი და ყველაფერი საეჭვო თუ რამე გაქვთ ბინაზე, მოსპე, ვინაიდან შესაძლებელია ბინის გასაჩხრეკათ მოვიდეს ჟანდარმერია და შეშთხვევით სტამბის სული არ ეცეთო.

როცა საღამომ მოაწია გავწიე იმ ბინისაკენ, სადაც მე და სილ. თოდრია ერთად ვსცხოვრობდით ლენინგრადში წასვლამდე. ჩემი მისელა და სახლის პატრონის შეხვედრა ალაყაფის კარებთან ერთი იყო, რომელმაც გამაფრთხილა, რომ გიორგი მიხეილისძე ზარდიაშვილი (ს. თოდრია) დაიჭირესო.

მივწმინდ მოვწმინდე ოთახი, ყველაფერი საეჭვო მივმალე. დეკემბრის შუა რიცხვებიდან გამარჯვების სასწორი რეაქციისაკენ გადაიხარა. აქა-იქ, როგორც, მაგალითად, პრესნის რაიონი, წინააღმდეგობას უწევდენ მეფის მთავრობას. ამ რაიონში სახელი გაითქვა შმიდტის ავეჯჯულობის ქარხნის მუშათა დრუჟინამ, რომელიც ბოლშევიკებისა და მემარცხენე ესერების მეთაურობით გააფრთრებული ებრძოდა თავიდან ფეხებამდე შეიარაღებულ ჯარს; მეფის ჯალათებმა ამ მუშათა დრუჟინას ვერაფერი მოუხერხა, სანამ არტილერიით თვით შენობა არ დაანგრიეს, რის შემდეგაც მას ცეცხლი წაეკიდა და იქ მებრძოლი ამხანაგების უმეტესი ნაწილი დაიღუპა უთანასწორო ბრძოლაში. ასეთივე სურათი იყო აგრეთვე სიტინის უზარმაზარი სტამბის შენობაშიაც, სადაც წითელ დრუჟინას შტაბიც კი ჰქონდა; ეს შენობაც არტილერიის ცეცხლით გაანადგურეს.

ივივე ბედი ეწია სახმართო ბაღ „ერმიტაჟ"-საც სოდოვოის ქუჩისა და ტვერის პროსპექტის კუთხეში. ამ შენობაშიაც წითელი დრუჟინის შტაბი იყო მოთავსებული, რომელიც არტილერიით იქნა განადგურებული და დამწვარი.

სოდოვოი ქუჩის და ტვერის პროსპექტთან ერთ შენობაში წითელ დრუჟინაელებს გამართული ჰქონდათ რევოლიუციონური წითელი ჯვრის ბინა, სადაც ქუჩაში დაჭრილებს სანიტარები ჰკრეფდენ და ამ შენობაში მოჰყავდათ ჭრილობის შესახვევად; ამ სანიტარულ პუნქტის გამგეთ იყო ექიმი ვორობიოვი, რომელიც ასრულებდა თავის მოვალეობას პირნათლად ყველასათვის, ვინც არ უნდა ყოფილიყო დაჭრილებში; ის იყო გამსჭვალული ყველასადმი მხოლოდ ერთი მოვალეობით—მათთვის წყლულზე მალამო დაედვა და შეეშუბუქებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანჯვა გაფთრებულ სამოქალაქო ომის დროს. ხშირად ამ პუნქტზე ფარაჯაში გახვეული ჯარის კაციც კი მოჰყავდათ რევოლიუციის ხელმძღვანელთ და ჰრილობას უხვევდნენ.

როგორც მახსოვს, ამ შენობის აივანზე წითელი ჯვრის ბაირაღიც კი იყო გამოკიდებული, სადაც ეწერა „დაჭრილთათვის შესახვევი პუნქტი“

მიუხედავად ასეთი წარწერისა ტვერის პროსპექტის რაიონის ერთი ბოქაული (გვარი აღარ მახსოვს) შეეარდა თავისი შეიარაღებული პოლიციელებით, გამოიყვანა ექიმი ჭუჭაში და ხმლით თავი მოჰკვეთა.

ცნობილი ფიდლერის სახლი მოსკოვში და იქ თავმოყრილი შეიარაღებული მუშები ტყვიამფრქვეველებით და არტილერიის საშუალებით იქნენ დამორჩილებულნი...

ტვერის ბულვართან არის ერთი მონასტერი, რომლის გუმბათი მთელ მოსკოვის არე-მარეს დაჰყურებს და აქედან თითქმის ქალაქის ყველა რაიონები ნათლად სჩანს. აი ამ გუმბათის თავზე ადმირალმა დუბასოვმა ტყვიის მფრქვეველები დასდგა და აქედან ტყვიებს უშენდა აჯანყებით მოცულ მოსკოვის არე-მარეს.

აქა-იქ ზსრაბზნების ქუხილი კიდევ გაისმის და მისი ყუმბარები ხან ერთი რაიონში სცდება, ხან მეორეში; ნამტერევები ხანდახან ეზოებშიაც ეცემიან.

ერთი ყუმბარის მოზრდილი ნატეხი ჩვენს სახლსაც დაეცა, რამაც დიდი ალიაქოთი ატეხა.

ასე იყო თუ ისე, ამბ. სილიას დაპატიმრების გამო იძულებული შევიჭენი ბინა მომეტოვებინა და სადმე წავსულიყავი. ერთად ერთი კაეშირი განადგურებულ მოსკოვის ორგანიზაციასთან ჰქონდა ამბ. სანდრო იაშვილს ამბ. სოკოლოვთან, რომლის საშუალებით მან მომიტანა მისამართი, სადაც უნდა მივსულიყავი. ეს მისამართი არც ისე შორს იყო ჩვენი ძველი ბინიდან, იქვე დოლგორუკოვის ქუჩაზე ერთ კბილის ექიმ ქალთან (გვარი აღარ მახსოვს). ამ კბილის ექიმთან მივედი ღამით და იქ დარბაზში იატაკზე ბევრი დამხვდა ისეთები, რომელთაც ღამის გათევა სხვა ბინებზე უხდებოდათ. ათიოდე კაცზე და ქალმა მოვიყარეთ თავი აქ.

აი ამ ბინაზე მეორე დღეს ყველა იქ მყოფი ერთი-მეორეს გავეცანით; ზოგიერთი მათგანი სტუდენტები და კურსისტკები აღმოჩნდნენ, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დეკემბრის აჯანყებაში და რეაქციას ემალებოდნენ.

აქ ბინაზე კბილის ექიმის საშუალებით მე მივიღე საჭირო „პაროლი“ და მისამართი ამხანაგისა, რომელიც ცხოვრობდა „დევიჩი“ მონასტერთან, რაც კარგა მანძილით არის დაშორებული შუაგულ

მოსკოვის ცენტრს, დაახლოებით 6-7 ვერსი იქნება დოლგორუკოვის ქუჩიდან ამ მონასტრამდე; 8 თვე დავყავი მოსკოვში და ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არა მქონია საქმე ამ რაიონისაკენ. ასე რომ, სრულიად გამოუცდელი ვიყავი ამ სიშორეზე „პაროლით“ ამხანაგი მეძებნა.

დილიდან დაწყებული საღამომდე ვიარე; შემდეგ, როგორც იყო მივაღწიე სწორედ იმ ქუჩას, რაც მისამართში იყო. ზარის ხმაზე კარები გაიღო და სახლში მიმიწვიეს. ვინც მინდოდა იქ არ დამხვედა, მითხრეს ჩქარა მოვა და მოიცადეთო.

ბოლოს ვინც მინდოდა, ისიც მოვიდა; გავეცანით ერთმანეთს. ჩემთვის საჭირო იყო დახმარების აღმოჩენა და ბინის გამოცვლა, რაც მან აღმითქვა. თუ სახელდობრ ვინ იყო ეს ამხანაგი, არ ვიცი, მხოლოდ ერთი პასუხისმგებელი ამხანაგთაგანი უნდა ყოფილიყო, რომელიც ყველაფერს განაგებდა მოსკოვის აჯანყების დროს და მისი ჩაჩრობის შემდეგაც ცხოვრობდა ისეთ მიყრუებულ ადგილას, როგორიც არის „დევიჩი“ მონასტრის რაიონი, ცენტრიდან დაშორებული. მე ვიფიქრობ მაშინდელი მოსკოვის აჯანყების ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო დღევანდელი საკ სამჭ. სოც. რესპუბლიკების თავმჯდომარე ამხ. ა ი. რიკოვი.

გავიდა კარგა ხანი. თანდათანობით ცხოვრებაც თავის კალაპოტში ჩადგა; ბარიკადებისგან გასწმინდეს ქუჩები; ჩვენც მოვეწყეთ ახალ ბინაზე. აღარ მახსოვს კარგად, მაგრამ ორი ამხანაგი ისევ დავბინავდით დოლგორუკოვის ქუჩაზე კონსპირატიულად, საიდანაც ხან გამოშვებით სტამბაში დავდიოდით სამუშაოთ

დაჟასული ამხანაგები თანდათან იკრებდენ ძალებს და მიუხედავად რეაქციის თარეშისა, ორგანიზაციული რევოლიუციონური მუშაობა მაინც სწარმოებდა, თუმცა მეტი სიფრთხილით და თავდაჭერით. ცხეები 17 ოქტომბრის „ამნისტიის“ შემდეგ ისევ რევოლიუციონერებით აივსო, თვითმპყრობელობა თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა.. შესწყდა ყველგან მიტინგები და კრებები.

დადგა 1906 წელი. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩვენი სტამბის იქ გაჩერება შეუძლებელი იყო, 1906 წ. აგვისტომდე სტამბა ძველ ადგილას დარჩა. ზოგიერთი ამხანაგები უნდა წაჯსულიყავით სხვაგან სამუშაოდ; ყველას აქ დატოვება არ შეიძლებოდა, ჯერ ერთი უსახსრობის გამო, მეორეც—საქმეც აღარ გექონდა იმდენი.

მოსკოვის ორგანიზაციის რამდენიმე ამხანაგი ხელშეუხებელი დარჩა. ასთა-ამწყობთა შტატის შემცირების აუცილებლობასაც ჩვენ თვითონვე ვგრძნობდით, ვინაიდან პარტიას შემოსავლის წყარო ძლიერ შეუმოკლდა და ხარჯები კი იზრდებოდა, სტამბას კი ორი ასთა-ამწყობი სავსებით აკმაყოფილებდა, ხშირად ამის საქმეც არ იყო. ამი-

ტომ მოსკოვის კომიტეტის გადაწყვეტილებით მე უნდა წავსულიყავი ლენინგრადში ცეკას განკარგულებაში, რომელსაც თავისი სტამბა ჰქონდა „დელო"-ს ფირმით ფონტანკაზე. მეც გავემგზავრე ლენინგრადში, მოსკოვში კი დარჩენ ამხ. გ. სტურუა და ს. იაშვილი. ს. თოდრიას ციხიდან გამოსვლის შემდეგ ამ ამხანაგებმა სტამბა როჟდესტვენსკის გასავალში გადაიტანეს; აქვე გააღეს კავკასიური მაღაზია, რომლის გამგეთ შემდეგ იყო ამხ. არშაკ იაკუბოვი, აწ უკვე გარდაცვლილი; 1907 წ. გაზაფხულზე ეს სტამბა დაიღუპა. ლენინგრადში ჩასვლისას დამხვდენ შემდეგი ამხანაგები: ვანო ბოლქვაძე, ლადო დუმბაძე, სიმონი, მაკარი გოგუაძე, მარიამ გოგუაძე, (მაკარის მეუღლე), სოფიო თოდრია (სილიას მეუღლე) და ბევრი სხვა ამხანაგები, რომელთა რიცხვი სტამბა „დელო"-ში ბლომათ იყო რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში არსებული საიდუმლო სტამბებიდან და რომელნიც 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ გაწვეულნი იყვნენ ლენინგრადში პარტიის მოთხოვნილებით...

უშანგი ჯაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1905 წ. ოქტომბერი — დეკემბერი მოსკოვში.

(პარადი მოგონებიდან)

სწავლისათვის არ გვეცალა. უნივერსიტეტში მხოლოდ მიტინგებზე და კრებებზე დავიარებოდით.

ერთ ოთახში ვცხოვრობდით სამნი, ოსტროვენკაზე, მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრის ამხ. ლისენკოვის (მუშა) ბინაზე. ჩვენი ბინა ოქტომბრის გაფიცვის დროს მოსკოვის კომიტეტის წევრს და პასუხისმგებელ აგიტატორს სტანისლავ ვოლსკის „იავკებისთვის“ ჰქონდა მოწყობილი. სახლში იშვიათად დავდიოდით.

ჩვენი ინიციატივით უნივერსიტეტში დაარსდა კავკასიელთა სამხედრო რაზმი („დრუჟინა“). რევოლიუციის განვითარებასთან ერთად ამ რაზმის კავშირი და დავალებები სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტთან საათობით იზრდებოდა.

17 ოქტომბერმა ჩამოწოლილი რევოლიუციონური ატმოსფერა ოდნავათაც ვერ შესცვალა. მხოლოდ დაშინებულ მკვიხვრებთ აღუძრა თავისუფლების და შშვიდობიანობის იღიუზიები, და ასე რამდენიმე დღით ქუჩებში გამოფინა.

დილიდან დაწყებული მეორე დილამდე ყველა სასწავლებელში, საზოგადო დაწესებულებებში, მოედნებზე, ქუჩებში გაუთავებელი მიტინგები და კრებები იყო. ამბობდენ მჭიხარე სიტყვებს, იმღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს.

ჩვენი რაზმი იწვრთნებოდა, ფოლადდებოდა. რამდენიმე შეტაკება მოგვიხდა შავრაზმელებთან. შავრაზმელებს საკუთარი კავშირი ჰქონდათ. მათ მთავრობა ათრობდა, ურიგებდა ფულს, იარაღს და ხატებით ხელში ქუჩაში გამოჰყავდა. მაგრამ იარაღს უმეტესად შავრაზმელები ქუჩაში ჰყიდდენ, რასაც ყიდულობდენ სტუდენტები, მუშები. როგორც მახსოვს, 18 ოქტომბერს ღამით ტეერის და ბაღის ქუჩების კუთხეში ჩვენი დემონსტრაცია შეეხეჩა შავრაზმელთა პატრიოტულ მანიფესტაციას. დაგვიშინეს ქვები, შექმნეს ყიჟინა. რაზმელებმა მხოლოდ ერთხელ გაისროლეს. შავრაზმელები წამსვე გაიფანტენ. 20 ოქტომბერს დანიშნული იყო მოკლულ ამხ. ბაუმანის გასვენება.

მთელი ღამე მიტინგების შემდეგ უნივერსიტეტში მზადება იყო დემონსტრაციისათვის. ღამის 4 საათზე რაზმელები წავგიყვანეს ლეიბორ-

ტოვოში, ტეხნიკურ სასწავლებელში, საიდანაც ამბ. ბაუმანი უნდა გა-
მოგვესენებია. დილის 8 საათიდან დაიწყო ხალხმა სადემონსტრაციოდ
დენა და დარაზმვა. მოდიოდენ რაიონებიდან, პროფ. კავშირები და
სხ. აღფრთოვანებას იწვევდა ჯარების მონაწილეობა დემონსტრა-
ციაში. 11 საათზე პროცესია დაიძრა. ეს იყო სარევოლიუციო ძალ-
თა დათვალიერება. დემონსტრაცია გახცივრებას იწვევდა თავისი სი-
დიდით და წესრიგით. მხოლოდ განუსაზღვრელ. რევოლიუციონურ
ენტუზიაზმს და მოსკოვის პროლეტარიატის შეკავშირებას შეეძლო
ასეთი დიდებული დემონსტრაციის მოწყობა. შეწყდა ქალაქის მაჯის
ცემა. მთავრობა უძლური იყო.

მხოლოდ საათის ექვსზე, შებინდებისას. პროცესიამ შეუხვია მო-
სკოვის ქუჩიდან ნიკიტსკისკენ. სრული სიწყნარეა. მხოლოდ განკარ-
გულებანი და დროშათა შრიალი ისმენება. სიჩუმეს. კონსერვატო-
რიასთან დემონსტრაციას სიმებიანი ორკესტრი შეეგება. დიდი
სურათი იყო... მხოლოდ 11 საათზე დაიწყო დემოსტრაციის დაშლა
ჯუდრინის მოედანიდან სხვადასხვა მიმართულებით. რაზმი უნივერსი-
ტეტისაკენ გაეშურა. უნივერსიტეტამდე 2—3 ათასმა კაცმა მიაღწია.
აქ თურმე ცუდი ამბავი გველოდა. მთავრობას გადაეწყვიტა ჭურდუ-
ლად შურისძიება. უნივერსიტეტის კარები დაკეტილი დაგვიხვდა. ქუ-
ჩის ბოლოში „პეტერგოფთან", გამოჩნდა ბრძო, მოისმა პატრიოტული
ჰიმნი და დაიწყეს ჩვენსკენ სროლა. ეს იყო პროვოკაცია. რაზმელებ-
მა სროლითვე უპასუხეს. შავრაზმელები სწრაფათ დაიშალნენ. ჩვენ
თუმცა შევწყვიტეთ სროლა, მაგრამ სროლის ხმამ იმატა. მხოლოდ
შემდეგ მივხვდით, რომ ფანჯრებიდან გვესროდენ ჯარები, ყაზახები,
დრაგუნები. მოგვიკლეს ხუთი ამხანაგი, დაგვიჭრეს 35. მე გადავრ-
ჩი, მხოლოდ ქუდი და პალტო გამიხვრიტეს ტყვიით. შევანგრიეთ ჰი-
შკარი, თავი შევეფარეთ სილას და კირს, აშენებდენ ფილოლოგიური
ფაკულტეტის კორპუსს.

უნივერსიტეტის კარები დაკეტილი დაგვხვდა. ესარგებლეთ
ჩვენი იქ არ ყოფნით. სროლა შესწყდა, დაჭრილ მოკლულნი შენობა-
ში შევიტანეთ. მოვიდა წითელი ჯვრის რაზმი. იმ ღამეს უნივერსი-
ტეტში აღგზნებული სიტყვები და რევოლიუციონური სიმღერები აღარ
ისმოდა; იყო კვნესა და მტრის წყევა-კრულვა. რამდენიმე დაჭრილი
ამხანაგი, როგორც შემდეგ შევიტყვეთ, შეეთრიათ მანეჟში, ეწამე-
ბინათ... ჩვენ უძლურნი ვიყავით დაეხმარებოდით... 21 ოქტომბერს
დროშები და სალარო გადატანილ იქნა ბახმეტიევის ქუჩაზე, საინ-
ჟენერო სასწავლებელში. შავრაზმელები გათამამდენ. მოსალოდნელი
იყო საინჟენეროს სასწავლებელზე თავდასხმა. ღამე მშვიდობიანათ ჩა-
ტარდა. 22 ოქტომბერი კვირა იყო. დილით რაზმელები თანდათანო-
ბით დაიშალენ. გაიხსნა რკინის-გზელთა მიტინგი. დავრჩით მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ, კავკასიელები, და სტუდენტები—ინჟენერები, სულ 25 კაცი. დილის 11 საათზე მოგვივიდა ამბავი: „მარინეს როშჩი"-დან შავრაზმელების ბრბო მოდის დასარბევათო. ჩვენ მოვემზადეთ. საათის 12-ზე ბრბო, რამოდენიმე ათასი კაცისაგან შემდგარი, მოადგა სასწავლებელს. გაისმა: ყიჟინა, ქვების ზუზუნი. პირველსავე შეტაკების შემდეგ ამ ბრბოსაგან მხოლოდ 200-300 კაცი დარჩა, უმეტესობა მთვრალები. ჰაშკარს მტვრევა დაუწყეს. ჩვენ ავტეხეთ სროლა და გავედით ქუჩაში. ბრბო ორად გაიყო. ბრბოს ვიღაცა აქეზებდა. როგორც კი სროლას შევწყვეტდით და უკან დავიხევდით, ის მყისვე თავს იყრიდა და სასწავლებლისკენ იწევდა. ვიგერიებდით ბრბოს საღამომდე. საათის 6 ჯარი მოვიდა. მიტინგის ხელმძღვანელებმა განუცხადეს გენერალ-გუბერნატორს, რომ კაზაკებს, მით უფრო დრაგუნებს, ვერ ვენდობოდით. სასწავლებელში ჩხრეკა უნდა მოეხდინათ, იარაღი ჩამოერთმიათ. ჩვენ იარაღით ქუჩაში უნდა გავსულიყავით, შევერთებოდით ხალხს და ასე შეუმჩნეველად მიემალულიყავით. ჩვენთვის, „შავი" კავკასიელებისათვის, ეს ძნელი იყო, რომ ამ დროს აქ ქუჩაში მუშები არ ყოფილიყვნენ მრავლად თავმოყრილი. მუშები ჩვენ თანგვიგრძნობდენ, ვუყვარდით. ამის შემდეგ ჩვენი რაზმი ნახევრათ არალეგარულად მოქმედებდა. კარგი იარაღის შეძენას და რაზმის განმტკიცებას შევუდექით.

ჯარის ნაწილებთან კავშირი ყოველ დღე მტკიცდებოდა. არ დაგვიწყებია 5 დეკემბრის ღამე. მოიარბინა ვასო არაბიძემ და განაცხადა—გვიბარებენ ფიდლერის სასწავლებელშიო. 6 დეკემბერს დანიშნული იყო „როსტოვის პოლკის" გამოსვლა. მთელი ღამე არ შეწყვეტილა რევოლიუციონური კომიტეტის კრება. მოდიოდენ რაზმების და ჯარის ნაწილების დელეგატები... მაგრამ არც მეფის მთავრობას ეძინა, ყაზარმებს ალყა შემოარტყეს და ჯარისკაცები განაიარაღეს. მაგრამ ჯარის ნაწილებში მღელვარება კვლავ გაგრძელდა. სასაცილო იყო შავრაზმელთა მანიფესტაცია 6 დეკემბერს. ერთი კვირის წინ შავრაზმელთა პრესსა მოუწოდებდა „რუსის ხალხს" შეკრებილიყო წითელ მოედანზე და ეთქვა თავისი „მრისხანე სიტყვა" ურიების და „კრამოლნიკების" წინააღმდეგ. მოსალოდნელი იყო „პოგრომი". ჩვენ დაგვავალეს ტვერის ქუჩის დაცვა. პატრიოტულ მანიფესტაციას აქ უნდა გაეყლო. კრემლში, წითელ მოედანზე, თავი მოიყარა რამდენიმე ასმა კაცმა, უმეტესად გადაცმული პოლიციელები იყვნენ და „ოხოტნი რიადის" ვაჭრები. გზაში მანიფესტაციის ხალხი მრავლად შეემატა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა—მუშები. გენერალ-გუბერნატორი მომზადებული სიტყვით ელოდა, მაგრამ როგორ გუნებაზე უნდა დამდგარიყო ის, როდესაც მანიფესტაცია მოულოდნელად საწინააღმდეგო დემონსტრა-

ცხათ შეიცვალა. აქა იქ გაჩნდა წითელი დროშები, გაისმა მარსელიოზა. შაურაზმელები დაიფანტენ, გუბერნატორს არავინ უსმენდა.

ამ დღიდან მთელს მოსკოვში სამხედრო წესები გამოცხადდა. ყაზარმები საიმედო ჯარით იყო ალყა შემორტყმული. კაზაკები აღარ ჩანდნენ ქუჩებში. 8 დეკემბერს მიტინგზე „აკვარიუმ"-ში კაზაკების დელეგატები ფიცსა სდებდენ აჯანყებულ ხალხის წინაშე და ცოდვებს ინანიებდენ. პოლიციელები მიიმალენ, მხოლოდ ტანდარმები და ცხენოსანი დრაგუნები, უმეტესად მთვრალები, „ამყარებდენ წეს-რიგს."

დაიწყო შეიარაღებული შეტაკებები. გაჩნდა ბარიკადები. ჩვენი რაზმი ტოლმაჩოვის სახლებში იდგა (გაზეტნი შესახვევში), რამოდენიმე ბინაში ვცხოვრობდით. „შტაბი" გაზეთ „ნაჩალოს" კანტორაში გვქონდა. 9 დეკემბერს დაარბიეს ფიდლერის სასწავლებელი. ამ დღიდან ჩვენ სრულიად დავემორჩილეთ სარევოლიუციო კომიტეტს და მხოლოდ მის ბრძანებებს ვასრულებდით. 12 დეკემბერს გავგზავნეს კლინიკების რაიონში. დრაგომილოვის ქუჩის დასაწყისში შევეხეთ დრაგუნების პატარა რაზმს, მგონი 12 კაცი იყო. ოფიცერი მოუძღოდა. ჩვენთან ორი მატროსი იყო და ერთი ახალგაზრდა შეიარაღებული ქალი, რომელიც ჩვენს რაზმს არ შორდებოდა. მას „ესერკას" ვეძახდით. დრაგუნებს სროლა ავუტეხეთ. ოფიცერი და რამდენიმე დრაგუნი დაიჭრა და ცხენებიდან გადმოცვივდენ. დანარჩენები გაიქცენ, მხოლოდ ერთხელ თუ ორხელ კი მოასწრეს გასროლა. აქედან ჩვენ პაწია ქუჩებით „ნოვინსკი ბულვარზე" გავედით. აქ იწყებოდა „პრესნის ბარიკადები". საუცხოო სურათი იყო. როგორის გატაცებით მუშაობდენ მოხუცნი, ქალები და ბავშვები, ვისაც კი იარაღის ხმარა შეეძლო, რაზმს ურთებოდა. სუსხიანი, მაგრამ მზიანი დღე იყო; ძნელი იყო ამ მშვენიერი სურათის მიტოვება. წავედით ბინაზე. 13 დეკემბერს ღამით ჩვენი რაზმის ნაწილი გაიწვიეს „სოკოლნიკში". იქ „ტროიცკი ყაზარმებში" ჯარის აჯანყებას ველოდით.

14 დეკემბერს დილით მოსკოვში „სემენოვის პოლკი" შემოიჭრა. სურათი სრულიად შეიცვალა. პოლიციამ თავი წამოყო. ჩვენი ამხანაგები „სოკოლნიკიდან" ჯერ არ დაბრუნებულიყვენ. საათის 11-ზე ფანჯარაში გავიხედე, ეზო ავსილიყო შეიარაღებული „გოროდოვოებით" და სახლისთვის ალყა შემოერტყათ. მაგრამ ჩხრეკა მხოლოდ „ნაჩალოს" ბინაზე მოახდინეს... დააკაკეს 7 ახხანაგი. სამი შემთხვევით მოსული არა-რაზმელი. დაჭერილები წაიყვანეს. ამ სახლში დარჩენა უაზრობა იყო. წავედი ძველ ბინაზე, ქუჩაში მხოლოდ პოლიციელები და მთვრალი დრაგუნები დაძრწოდენ. ისმოდა ხარბაზნების გრიალი. სრულიად უმიზეზოდ ხოცავდენ ქუჩაში გამვლელთ... წაიყვანეს ამხანაგები; წაიყვანეს ჩემი ძმა (ნიკოლოზი). გადაწყვეტილი

მქონდა, რომ მათ გზაში უეჭველად მოკლავდენ. მიველდი ბინაზე. აქ ცოცხალს აღარ გველოდენ. იმავე დღეს ბინაზე ჩხრეკა იყო. შემოვიდა არტილერიის ოფიცერი რამდენიმე ჯარის-კაცით. არ ვიცი რა მოსახრებით, ოფიცერმა თითქოს დაიჯერა, რომ იარაღი არ მქონდა, ოთახი არ გაუჩხრეკია. შეიძლება ჩვენი თანამგრძნობი იყო. უფრო კი, ვგონებ, დაქანცული იყო. ისინი რომ წავიდნენ, მე თითონ გავჩხრიკე ოთახი. თურმე ბევრ რამეს აღმოაჩენდენ ჩხრეკა რომ მოეხდინათ.

დაიწყო რეაქციის შავი დღეები. თითქმის ორ თვეზე მეტი ქუჩაში გასვლას ვერიდებოდით. პროცესებს ჰქმნიდენ. შექმნეს სპეციალური პროცესი „კავკასიელთა სამხედრო დროებინი“-ს საქმე. 1907 წლის იანვარში მოხდა გასამართლება. ბრალდებულთ მიუსაჯეს თითო წელწადი ციხე წინასწარი დაპატიმრების ჩარიცხვით.

ვახო კანდელაკი



არსენ ჯორჯიაშვილი [1]).

„1906 წლის იანვრის 16-ს, დაახლოვებით დილის 11 საათზე ქ. ტფილისში, ბარათინსკის ქუჩაზე, უცნობმა ბოროტმოქმედმა ყუმბარა ესროლა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის გენ. გრიაზნოვის ეტლს. გენ. გრიაზნოვი დაჭრილ იქნა საფეთქელში და როცა

[1]) მასალები არსენ ჯორჯიაშვილის შესახებ შეკრებილ — დამუშავებულია საქ. სარევ. მუზეუმში ამხ. ვ. სვეტლოვას მიერ.

მიხეილის საავადმყოფოში მიჰყავდათ, გზაში გარდაიცვალა. ყუმბარის მსხვრეული ალექსანდროვის ბაღით გაიქცა, მაგრამ ის შეპყრობილ იქნა იქ მიშველა სამეფის პოლკის გადამწერი ჯარისკაცის მიერ, რომელსაც მიეშველა დარაჯი. გრძნობა დაკარგული შეპყრობილი გაგზავნილ იქნა საკომენდანტო სამმართველოში."

ასეთი იყო მოკლე ოფიციალური ცნობა მომხდარი მკვლელობის შესახებ.

მთელი ტფილისის ჟანდარმერია-პოლიცია ფეხზე იქნა დაყენებული, რათა გამოერკვიათ შეპყრობილის ვინაობა, რომელიც რამდენიმე დღე უგრძნობლად ეგდო, რადგანაც მისთვის საინჟინერო სამმართველოს ჯარისკაცებს ძალზე ეცემათ.

დამნაშავის ვინაობაც ჩქარა გამოირკვა—ის იყო არსენ ჯორჯიაშვილი.

*
* *

არსენ პავლეს ძე ჯორჯიაშვილი დაიბადა 1881 წლის აპრილის 7-ს. ღარიბი „სახაზინო" კლეხის (ასეა მოხსენებული მეტრიკულ ამონაწერში) პავლე სიმონისძე ჯორჯიაშვილის (ჯოიაშვილი) ოჯახში. დედის—დარია ივანეს ასულს და მამის გარდა ოჯახი შესდგებოდა ოთხი ძმისა (არსენ, მიხეილ, ალექსანდრე და ილია) და ორი დისგან (მარიამი და ელენე). არსენი უფროსი შვილი იყო. დედმამის სიღარიბის გამო არსენს დაბალი განათლებაც კი არ მიეღია. ის 14 წლისა რომ შეიქნა, უკვე ეხმარებოდა ოჯახს თავისი მცირედი ხელფასიდან.

1903 წლის რევოლიუციის დროს არსენი 23 წლის იყო. ამ დროს ის შავ-მუშად მუშაობდა ოკინის გზის ტფილისის სახელოსნოთა ჩამომსხმელ ცეხში. თვიურად ღებულობდა 20 მან; მაგრამ გაფიცვის შემდეგ ის დათხოვნილ იქნა და ეს მკირე ჯამაგირიც მოესპო და ასე, ის დარჩა ქუჩაში გამოგდებული. ამ ხნიდან ის საისებით ეძლევა რევოლიუციის ტალღებს.

მეორე რაიონის მუშათა მებრძოლი დრუჟინის (სოც. დემ.) დაარსებიდან 16 იანვარს გენ. გოიაზნოვის სახით მან გაანადგურა ისეთი ძლიერი პიროვნება, რომლის ხელშიაც თავმოყრილი იყო ამიერკავკასიის რეაქციის მთელი ძალები, რომელსაც სამართლიანად ჰქონდა დამსახურებული 1905 წლის რევოლიუციის სულთამხუთავის სახელი.

არსენის მიერ გასროლილ ყუმბარას დიდის სიხარულით გამოეხმაურა რევოლიუციონური ტფილისი. არსენა—ეს გუშინდელი შავი მუშა, დღეს სახალხო გმირად გადაიქცა. არსენის სახელი ყველას პირზე ეკერა; ბევრი ლექსი იქნა მიძღვნილი არსენის ხსოვნისადმი, ბევრი ხალხური ჰანგი იქნა შეთხზული მის პატივისაცემლად. ყველაზე

უფრო პოპულიარული ხალხური სიმღერა იყო მაშინ ერთი ჰანგი, რომელსაც, შემდეგ ნოტებზე გადაღებულს, უკრავდა მუსიკა „ჯორჯიაშვილის მარშის“ სახელწოდებით.

აი უცნობი ავტორის სიტყვები ამ მარშისა:

—

დედავ ნუ სტირი, მამავ ნუ სჩივი,
ხომ მოვიშორე ქვეყნისა ჭირი
მე მიყვარს ხელში წითელი ვაშლი
მისი გორება მისი გრიალი

—

ტალახაძისა მაღლა ფრიალი
მისი ფეხების მაღლა ტრიალი
მწარე ტანჯვებში იშვი იზარდე
ცხოვრებამ გაგკრა ბასრი ბრჭყალია.

—

ერთი მხრით ხედავ ტანჯულ ჩაგრულ ხალხს
მეორე მხრიდან ბედნიერებას.
ერთი მხრით გესმის სიცილ-ხარხარი
მეორე მხრიდან ტირილი, კვნესა.

—

გულს გიღელვებდა, გულს გიშფოთებდა
უსამართლობა ჯოჯოხეთური
გულით გიყვარდა მშრომელი ხალხი.
გძაგდა ამაყი და მედიდური.

—

და შენ დაჰყარგე კრება სამყარო,
რომელიც ქმნიდა მწარე ცხოვრებას
ქუჩაში შვილი ქუჩისა ბრძოლით
ითხოვდა მისგან ბედნიერებას.

—

შენ წმინდა დროშას ზედ წააწერე
ბრძოლა მტარვალებს შეუპოვარი
ხელში აიღე ბასრი მახვილი
გახდი ყველასთვის სწორ უპოვარი.

—

შენცა გაგწირა ბედმა მუხთალმა
გმირულმა ბრძოლამ გიმსხვერპლა შენცა

და რომ დადგება დრო სანეტარო
და მრისხანებით იჭექებს ზეცა

—

რომ სისხლის წვიმა წალეკავს ქვეყნად
საცა კი არის მტარვალთა ბინა
ის ეშაფოტი მაინც დაედგმის
ვინც სამუდამოთ შენ დაგაძინა.

—

როს აყვავდება ჩაგრულთ სამყარო
როს გაიხარებს ქვეყნად ყოველი
წითელი ასოთ ჩაიწერება
ისტორიაში შენი სახელი.

—

დედაც ნუ სტირი, მამაც ნუ სჩივი
ხომ მოვიშორე ქვეყნისა ჰირი
მე მიყვარს ხელში წითელი ვაშლი
ეისი გორება მისი გრიალი
ტალახებისა მაღლა ფრიალი.

—

გენ. გრიაზნოვის მოკვლამ პეტერბურგის „მაღალი სფერებიც“ კი შეაშფოთა—დეპეშას-დეპეშაზე გზავნიდენ ტფილისში პეტერბურგიდან: დაინტერესებული იყვნენ არსენ ჯორჯიაშვილის ბედით. დაბოლოს, ჩამოხრჩობის წინა დღით, ტფილისის ქანდარმერიამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა—

„პოლიციის დეპარტამენტს

„გენ. გრიაზნოვის მკვლელის ჯოჯიაშვილის ჩამოხრჩობა მოხდება მარტის 1-ს დილის 7 საათზე ქალაქს გარეთ—საგუბერნიო ციხეში. პოლკოვნიკი **ბეზგინი**“.

განაჩენის სისრულეში მოყვანის შემდეგ, რა თქმა უნდა, სადაც ჯერ იყო აცნობეს, რომ არსენ ჯორჯიაშვილი უკვე ჩამოეხერჩვეოო, მაგრამ თან დასძენდენ, რომ „ბოროტ-მოქმედების მონაწილენი“ ვერ აღმოვაჩინეთო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მიუხედავათ არსენის წარმოუდგენელი ტანჯვა-წვალებისა, ცემა-ტყეპისა, მას მონაწილე ამხანაგები არ გაეცა...

არსენასთან ერთად საკანში მყოფი ტუსაღების გადმოცემით ჩამოხრჩობის წინ არსენს თავი მხნედ ეჭირა, თუმცა ისე იყო დაუძლურებული, რომ ციხის „კოკიდან“ სახრჩობელამდე ის ხელით მიიყვანეს,—რადგანაც ისე იყო დასუსტებული, რომ თითონ სიარული არ შეეძლო.

ასე დაიღუპა არსენ ჯორჯიაშვილი...



გენ. გრიაზნოვი.

შავრაზმული წიგნი—„книга русской скорби". გამოცემული (1908 წ.) ცნობილი შავრაზმელის პურიშკევიჩის რედაქციით, ასე ახასიათებს გენ. გრიაზნოვს... „კავკასიაში ის (გრიაზნოვი) მოვიდა 1905 წელს, როდესაც მდაბალათ შთავრდნილ მთავრობას ამიერ-კავკასიაში აჯანყებულთა ხელში ჩაეგდო, რომელნიც უმოწყალოდ ხოცავდენ ხალხს მეფის მოადგილის ახლოს მდგომ მაღალი თანამდებობის პირებიდან მხოლოდ გრიაზნოვი შერჩა თავის მოვალეობას ერთგულად და მტკიცედ. უკეთუ ამიერ-კავკასია არ გადაიქცა ფინლიანდიათ და არ ჩამოშორდა რუსეთს—ეს მიეწერება გრიაზნოვის სიმტკიცეს და იმ გავლენას, რომელსაც ის ახდენდა მეფის მოადგილეზე, აღვივებდა რა ხელისუფლების მიმჭრალ ენერგიას. გრიაზნოვი საძირკველი იყო მცირერიცხოვანი რუსი ხალხის ჯგუფის, რომელთაც შერჩა ერთგულება სახალხო იდეალებისადმი; გენ. გრიაზნოვის დახმარებით ამ წრემ მიიღო ლეგალიზაცია და პატრიოტულ საზოგადოებათ შეკავშირება, რითაც თვალსაჩინო როლი შეასრულა ამიერ-კავკასიის რუსეთისათვის შენარჩუნებაში."

მას შემდეგ აგერ ოცი წელი გადის. დიდებული მოძრაობის ტალღებმა ძველი იმპერიის მთელი ტერიტორია შემოიარეს. წითელი დროშა ამაყად ფრიალებს ტფილისის სასახლეზე, რომელიც ოდესღაც მეფობის და რეაქციის ბურჯთ ითვლებოდა.

აქ კი, შორს, ქალაქ გარეთ, საგუბერნიო ძველ საპყრობილის ნანგრევებთან, გოროკის ძირში, მოსჩანს ობოლი საფლავი, რომელსაც აჭშვენებს თლილი ქვა წარწერით:

საფლავი არსენ ჯორჯიაშვილისა.
ჩემო გმირო ამხანაგო არსენ.
დიდებისა კიჟინი მომართულია შენსკენ.
შენს გმირობას არ ჰყავს ცალი, ბადალი.
გაბედულის ხელით შემსმელს შენ ესროლე ალი
თუმც დაიღუპე მტერიც დამარცხებული არის
თუმცა არ ხარ დღეს ჩვენთან ქვეყნის,
დიდებით ხარ შეკაზმული 1 მარტს 1906 წ.
აქ არის დასაფლავებული არსენ ჯორჯიაშვილი,
რომელმაც მოჰკლა გრიაზნოვი 1906 წ.

არსენ ჯორჯიაშვილის ჩამოხრჩობის გამო ჯარის კაცებისადმი გამოცემულ იქნა რუსულ ენაზე შემდეგი პროკლამაცია. მოგვყავს მისი თარგმანი:

ჯორჯიაშვილის სიკვდილის გამო.

ამხანაგებო! მარტის 1-ს დილის 7 საათზე საგუბერნიო ციხის მოედანზე თოკით დახრჩვეს ისეთივე ღარიბი, ისეთივე მშიერი, ისეთივე უუფლებო კაცი,— გვარად ჯორჯიაშვილი (ქართველი), როგორც ჩვენ ყველანი თქვენთან ერთად ვართ. ის ჩამოახრჩვეს იმიტომ, რომ მან მოჰკლა ხალხის ერთი მტარვალთაგანი გენ. გრიაზნოვი.

თუ ვინ იყო გენ. გრიაზნოვი, ამის შესახებ დაწვრილებით ჩვენ არ ვილაპარაკებთ. ჩვენ ძალიან კარგათ ვიცნობთ ყველა ამ გენერლებს, გენერალ-ლეიტენანტებს და სხვა ამგვარ ხალხს მკერდზე ოქროს ნიშნებით დამშვენებულთ. ამისათვის მოვიგონოთ ახხანაგებო, ყველა ის საშინელება და უბედურება, რასაც განიცდიდა რუსი ჯარის-კაცი ომში ამ გენერლების მისწრებით. მოვიგონოთ ის ცემა-ტყეპა, დამცირება, შეურაცყოფა, რასაც ჩვენ ყოველ დღე გვაყენებენ პოლკებში იმავე გენერლების წყალობით, მოვიგონოთ თუ როგორ იბარავენ ჯარის-კაცთა ღუნებს, მოვიგონოთ ჩვენი აყროლებული სასჭელ-საჭმელი და ასე დაუსრულებლივ. ჩვენს უბედურებას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ გენერლები.



მაშასადამე, ჯორჯიაშვილმა მოჰკლა გრიაზნოვი. შეიძლება აქ ჩადენილია მძიმე დანაშაული? მართლა უნდა ჩამოეხრჩოთ ჯორჯიაშვილი როგორც მოღალატე? ვნახოთ, თუ მართლა ასეა ეს, ამხანაგებო.

ჯორჯიაშვილმა მხოლოდ იმისთვის მოჰკლა გრიაზნოვი, რომ ის დიდათ ავიწროებდა ხალხს. გენ. გრიაზნოვის წყალობით ყაზახ-ოუსებმა აიშვეს—მათ ათობით და ასობით დახოცეს მშვიდობიანი მცხოვრებნი (29 ავგისტოს ქალაქის საბჭოში) გრიაზნოვმა მოაწყო გოლოვინის პროსპექტზე 22 ოქტომბერს დარბევა—ხოცვა-ჟლეტა, ნაძალადევში 9 მუშა გრიაზნოვმა დაახოცვინა ყაზახებს, გრიაზნოვი ატყუებდა ჯარის-კაცებს, ავრცელებდა მათში ჭორებს და ხმებს, უსისიანებდა მათ ტფილისის მცხოვრებთ, გრიაზნოვმა მოაწყო ტფილისში ხულიგანების სახოგადოება („პატრიოტული სახ.") ანუ ყაჩაღთა ბრბო. ოქინის სალტეებით ჰყავდა შემობოჭილი ჯარის-კაცები—გადაჰყავდა ჯარები ერთი ადგილიდან მეორეში სრულიად უმიზეზოდ, რომ ასე დაეტანჯა ჯარის-კაცები. ერთი სიტყვით, ძნელია ყველა იმ უბედურებათა ჩამოთვლა, რომელიც გრიაზნოვმა ხალხს მიაყენა.

აი ამისთვის იქნა მოკლული გრიაზნოვი.

ასე რომ, გრიაზნოვის მოკვლით დიდძალი ხალხი იქნა დახსნილი ახალ უბედურებათა და ტანჯვისაგან. მაშასადამე, გამოდის, რომ ჯორჯიაშვილი დანაშაულ კი არ არის, არამედ—ის ხალხის მხსნელია გრიაზნოვის ბინძური კლანჭებისაგან.

ჯორჯიაშვილი სიმართლისათვის იბრძოდა. მისი მიზანი იყო ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება რამოდენიმეთ მაინც. ის ხედავდა, რომ ისეთი საძაგელი პირები, როგორც გრიაზნოვი იყო, ცხოვრობენ მხიარულად, ბედნიერათ, ღარიბი, მშრომელი ხალხი კი იტანჯება. ჯორჯიაშვილმა ვერ გაუძლო ასეთ უსამართლობას და მოჰკლა გრიაზნოვი.

უკანასკნელ ხანებში რუსეთში, ამხანაგებო, ბევრი ასეთი ხალხი დაიღუპა სიმართლისათვის. გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული, რომ რუსეთში იანვარში და თებერვალში დახვრიტეს და ჩამოხრჩობილ იქნა 360 კაცი. როგორია დიდი ციფრია ამხანაგებო ეს—360 კაცი! ყველა ესენი იბრძოდენ სახალხო საქმისთვის და თავიანთ სიცოცხლეს არ იშურებდენ. ისინი მზად იყვნენ სასიკვდილოთ ისე, როგორც პირველი ქრისტიანები რომში. რომის მთავრობა ქრისტიანებს მხეცებს მიუგდებდა დასაგლეჯად. ჩვენი მთავრობა კი ხალხის მოამაგეთ ანადგურებს ტყვიითა და თოკით. ჩვენს მთავრობას ისეთები არ უყვარს, როშელნიც ხალხს სიმართლეს ეუბნებიან.

„ტფილისის პატრიოტული საზოგადოება“ (ხულიგანები) გთხოვენ თქვენ, ამხანაგებო, თავიანთ მოწოდებაში ფული გაიღოთ გრიაზნოვის ძეგლისათვის. მაგრამ ვის უდგამენ ძეგლს? ძეგლს უშენებენ ხალხის მტერს, ისეთ კაცს, რომელსაც ჩვენთვის ზარალისა და უბედურების მეტი არაფერი მოუტანია. არა, ამხანაგებო, ჩვენ ძეგლს ავუკეთებთ არა ჩვენს მტერს, არამედ—ჩვენს მეგობრებს, რომელთაც თავი დასდეს სახალხო საქმისათვის.

ამხანაგებო, ის ხალხი, რომელთაც მთავრობა ხვრეტს და აღრჩობს, დამნაშაულები არ არიან, რადგანაც საზარალო მათ არაფერი მოუმოქმედნიათ, ისინი მხოლოდ ღარიბ ხალხს იცავდენ ქურდების, მძარცველებისა და გაყვნილებისაგან, ე. ი. გენერლებისა, ჩინოვნიკებისა და მინისტრებისაგან. ეს ხალხი ცხვრებს (ხალხს) იცავენ მგლებისაგან—რაშია აქ დანაშაული? ბევრი მგელი ცხოვრობს წვინდა რუსეთში. ისინი ჭლეჭენ ხალხსა და სვამენ მის სისხლს.

„პატრიოტული საზოგადოება“ ამტკიცებს, რომ გრიაზნოვი მხოლოდ იმიტომ მოჰკლეს, რომ ის რუსია და ცხოვრობდა კავკასიაში, ქართველებს კი არ უნდათ, რომ აქ იყოს რუსის მთავრობა და რომ გრიაზნოვი იყო მეტად კარგი კაცი. არ არის ამხანაგებო, ეს მართალი. „პატრიოტული საზოგადოება“ თავის მოწოდებაში ყოველთვის სტყუის. მას არ შეიძლება ვენდოთ. აბა გაიხედეთ რუსეთისაკენ—განა იქ ცოტა მოჰკლეს რუსებმა რუსი მთავრობის წევრები. მოკლეს მაგ., შინაგან საქმეთა ორი მინისტრი, რომლებიც კავკასიაში არ ცხოვრობდენ, ისინი რუსეთში, პეტერბურგში, ცხოვრობდენ. ესენი იყვნენ პლევე და სიპიაგინი. მოჰკლეს გენ. გუბერნატორი სახაროვი, დასჭრეს გუბერნატორები უფის—ბოგდანოვიჩი და ვილნოს—ფონ-ვალი და სხ. ამათ გარდა რამდენი მოჰკლეს რუსი ჟანდარმები, გოროდოვოები და სხ. მთავრობის წარმომადგენლები—ყველას ვერც კი ჩამოვთვლით. ასე რომ, რუსეთში მეტსა ჰკლავდენ მთავრობის კაცებს, ვიდრე ჩვენში. ქართველები აქ არაფერ შუაშია, ისინი ისეთივე ადამიანები არიან, ამხანაგებო, როგორც ჩვენ თქვენთან ერთად. ისინიც ისე იტანჯებიან და წვალობენ ბოროტი მთავრობის წყალობით დიდი გადასახადებით, უმიწობით, უხეირო კანონებით, როგორც მთელი რუსის ხალხი. რუსის ხალხს სურს ჯალათებისაგან განთავისუფლება, ეს სურს ქართველ ხალხსაც—რუსეთში რომ მშვიდობიანობა იყოს, აქაც, კავკასიაშიაც ასევე იქნებოდა. სახელმწიფო მოღვაწეებზე თავდასხმას, მათი მოკვლას, შეიარაღებულ აჯანყებას და სხ. უწოდებენ პოლიტიკურ დანაშაულს. ზოგიერთ სახელმწიფოებში მაგ. საფრანგეთში, ინგლისში, შეერთებულ შტატებში პოლიტიკური დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა არ შეიძლება, ამისთვის იქ ასახლებენ სახელმწიფოს შორეულ ადგილებში ან ამწყვდევენ ციხეში. არც

ეს არის კარგი, მაგრამ ისე კუდი არაა, როგორც ეს ჩვენშია და ეს ხდება იმიტომ, რომ იქ სახელმწიფოს მართავენ არა მინისტრების ბრბო, არამედ ხალხის წარმომადგენლები—ამიტომ იქაური კანონებიც უკეთესია, იქ არც არაიან არის მოსაკლავი, რადგანაც იქ არ არიან არც მინისტრები, არც ჩინოვნიკები, არამედ—არიან ხალხის არჩეულები, რომელებიც მსახურებენ მინისტრებისა და ჩინოვნიკების ნაცვლად.

მაშასადამე, ამხანაგებო, თუ ჯორჯიაშვილი და სხვა ასეთი პირები მთელს რუსეთში ჩვენი მტრები არ არიან, თუ ისინი დამნაშავენი არ არიან, არამედ ხალხის ინტერესების დამცველნი, ისინი სიკვდილით დასჯის ღირსნი არ არიან.

მოვითხოვოთ ამხანაგებო—
ძირს სიკვდილით დასჯა,
ძირს ძველი კანონები,

გაუმარჯოს ხალხის მიერ არჩეულ ახალ მთავრობას, რომელიც გამოსცემს ახალ კანონს.

დავიცვათ იარაღით ხელში ეს მოთხოვნები.

24 მარტი 1906 წ.

ჯარისკაცთა კავშირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მასალები)

ძველ პარტიულ მუშაკთა კრების სტენოგრაფიული ანგარიშიდან*)

რაჟდენ კალაძე. მე, მეგობრებო, პირველად გავიგე სოციალისტი, როცა ცხრა წლის ვიყავ. ეს იყო 1881 წელს, როცა მე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ვსწავლობდი. ამ წლის მშვენიერ მარტის დღეს შემოდიან ნაცნობი დიაკვნები ეფისკოპოზის კანცელარიის მწერლის ბინაზე, სადაც მე ვცხოვრობდი და ერთმანეთს აღშფოთებით, დიდი აურ-ზაურით აუწყებენ, რომ ალექსანდრე მეფე, რუსეთის დიდი ხელმწიფე, მოკლესო. გავიგონე ისიც, რომ ამის გამო ჩვენი მაშინდელი სახელ-განთქმული მქადაგებელი ეფისკოპოზი [illegible] გაბრიელი ატირდა კიდეცო. მომესმა სამგლოვიარო ზარების ხმა. ეიფიქრე: ვინ გაბედა, ვინ შეახო ხელი ასეთ დიდ-კაცს, როგორიც იყო რუს ხელმწიფე. მაშ, ეს რაღაც უფრო დიდი ძალა უნდა იყოს! დამეუბადა ეს აზრი და ჩამეწერგა სიყვარული იმ გმირებისა, რომლებმაც ეს ისტორიული საქმე შეასრულეს. მე მაშინ ისიც მითხრეს, რომ ამ ხალხს ჰქვია სოციალისტებიო. აი ამ დღიდან ჩამენერგა სიყვარული და მისწრაფება სოციალისტებისადმი. ამის შემდეგ მე დიდხანს არ მქონია შემთხვევა გავცნობოდი სოციალისტურ მოძღვრებას. ჩემი რევოლუციონური მისწრაფება გამოიხატებოდა მხოლოდ ჩვენი ერის სიყვარულში და მისთვის თავდადებაში, იმ ქართველ „მოღვაწეების" შესწავლაში და პატივისცემაში, რომლებიც ქართველ ერისათვის თავს დებდენ. 1887 წ. ტფილისის სემინარიაში გავიგე, რომ საქართველოსთვის თავი დადეა დიმიტრი ყიფიანმა და გავიმსჭვალე მისდამი უდიდესი სიყვარულით. ჩემს სიხარბეს მისდამი იწვევდა არა ის გარემოება, რომ დიმიტრი ყიფიანი თავად აზნაურობის „წინამძღოლი" იყო, არამედ ის, რომ მან გაბედა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ გალაშქრება და ეგზარხოსს პაექრს საწინააღმდეგო წერილებით მიმართა. გავიდა ხანი კიდევ, რომლის განმავლობაში მე მხოლოდ ქართველ მწერლებს და ეროვნულ მიმართულებას ვეცნობოდი და

*) დასასრული, იხ. „რევ. მატ." № 2 (12), 1925 წ.

იმავე დროს სიყვარული სოციალისტებისადმი და სურვილი მისი შესწავლისა. მაყენებდა კრიტიკის გზაზე და მე ქართულ მწერლობას ჩაუკვირდი და დადგა დრო, როცა გამომიჩნდა ამ კრიტიკის გზაზე საყურეთესო ხელმძღვანელი. 1891 წელს მე ხშირად დავდიოდი ქართულ მწიგნობართან და გამომცემელთან ზაქარია ჭიჭინაძესთან, რომლისგანაც საკითხავ წიგნებს ვშოულობდი; ვკითხულობდი ეგნატე ნინოშვილის მოთხრობებს. განსაკუთრებით გამიტაცა და დამაინტერესა მოთხრობა — „სიმონა“-მ. ძალიან მსურდა მისი ავტორის გაცნობა და სწორედ 1892 წელს შემთხვევაზე მომეცა ეს ბედნიერი შემთხვევა და ნინოშვილი გავიცანი ზაქარია ჭიჭინაძის ბინაზე.

ეგნატე ნინოშვილი, რომელიც ერთ დროს დიდ პატივს სცემდა ზაქარია ჭიჭინაძეს, როგორც საზოგადო მოღვაწეს, ქართული წიგნების გამომცემელს და მასთან რევოლიუციის და სოციალიზმის მოტრფიალეს, ეხლა მას უნდა თვალით უყურებდა და მათ შორის დიდი უთანხმოება და განხეთქილება იყო ჩამოვარდნილი. ეგნატეს საშინლად აშფოთებდა ზაქარიას ზნეობრივი სახელი. და იგი იმდენად ფაქიზი აღმოჩნდა, რომ უარი უთხრა ზაქარიას მის ბინაზე და სამუდამოთ განშორდა მას. ამ ხანებში უკვე ვიცნობდი მეორე ქართველ რევოლიუციონერსაც: ეს იყო მიხა ცხაკაია. და როდესაც იმ დღეებში მას ვესტუმრე, გავიგე მისგან, რომ მეორე დღეს მის ბინაზე უნდა გადმოსულიყო ეგნატე ნინოშვილი. ეს რომ გავიგე, იმ დღეს განვეშ განზრახ მივედი მიხა ცხაკაიას ბინაზე, რომ უკეთ გავცნობოდი ეგნატე ნინოშვილს და დავუკვირდე მას. პირველი ჩვენი შეხვედრა მეტად საყურადღებო შეიქნა. ჩვენ პირველ შეხვედრისთანავე ჩამოვაგდეთ ლაპარაკი ილია ჭავჭავაძის მნიშვნელობაზე ქართულ ლიტერატურაში. აღმოჩნდა, რომ ჩვენ ორივე ერთი და იმავე აზრისა ვართ: ილია ჭავჭავაძეს ვთვლით დიდ რეაქციონურ ძალათ, რომელიც ყოველივე ახალ აზრს გაქნებას არ აძლევს და ამისათვის ორივე იმ დასკვნამდე მივდიოდით, რომ საჭირო არის შეიქმნეს და ახალ მიმართულების, ახალი გზის გაკაფვა ჩვენს მწერლობაში.

მე პირველად ვხედავდი ისეთ კაცს, რომელსაც ქართველთა შორის შეეძლება ვუწოდოთ პირველი რევოლიუციონერი. ეგნატე ნინოშვილი ჩვენი გაცნობის რამოდენიმე ხნის შემდეგ შეუდგა წრეების მოწყობას და აქედან მიჰყვა სისტემატიურ რევოლიუციონურ მოქმედებას მოსწავლე ახალგაზრდათა შორის. ეს იყო 92 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში. ეგნატი ნინოშვილი ეცნობოდა ჩემი და ისიდორე კვიცარიძის საშუალებით სემინარიელთა მოწინავე ელემენტებს და იქიდან არჩევდა ისეთ ახალგაზრდებს, როგორნიც უკეთესათ რევოლიუციონურად იყვნენ განწყობილნი და რომელთა იმედიც

ჰქონდა. მეორე მხრივ ის ცდილობდა გაცნობოდა სხვა სასწავლებლის მოწინავე ელემენტებსაც. სომეხ რევოლიუციონერ სტეფანე დანდუროვის საშუალებით ეგნატე მალე სამოსწავლო ინსტიტუტის მოწინავე ახალგაზრდობასაც გაეცნო.

შემდეგ სულ ცოტა ხნის განმავლობაში მან შესძლო ერთი წრის შექმნა, რომელიც უნდა მომზადებულიყო სოციალისტურად, რადგან მაშინ მარქსიზმს გაცნობილი თბილისში ჯერ კიდევ არავინ სჩანდა და ამ წრეს ხელმძღვანელობა უნდა გაეწია შემდეგში სხვებისათვის და ასე, ამ ნაირად, სოციალისტური პროპაგანდა გაგეჩაღებია. მიხა ცხაკაიას ბინაზე შესდგა ეს პირველი ისტორიული წრე. აქ შედიოდენ როგორც ხელმძღვანელი მოწინავე ამხანაგები: მიხა ცხაკაია, ნინოშვილი, დანდუროვი და მოსწავლეები ჩემს გარდა იყვნენ: ლადო დარჩიაშვილი, უჩხეძე, (სახელი არ მახსოვს) ანდრო ლეკვეიშვილი, კურდღელაშვილი ნიკო, იროდიონ ევდოშვილი და ისიდორე კვიცარიძე.

აქვე უნდა აღვნიშნო ის, რომ როდესაც წრეს სახელმძღვანელო წიგნი დასჭირდა, სხვა წიგნი არ მოიძებნა გარდა პეტრე ლავროვის „ისტორიჩესკაია პისმა"-სა. შემდეგ ეგნატე ნინოშვილის ხელმძღვანელობით და მეთაურობით შესდგა სხვა მეორე ხარისხოვანი, მეორე საფეხურის წრეები: ერთი იყო სემინარიელების, მეორე ინსტიტუტელების. თითოში შედიოდა თუ რვა ახალგაზრდა იყო. ეგნატე ნინოშვილი არ კმაყოფილდებოდა ამ წრეების შედგენით, ის ცდილობდა მთელი საქართველოს მასშტაბით მოეხდინა ყველა სოციალისტების კრება: მას უნდოდა მოეწყო დამფუძნებელი კრება იმ სოციალისტებისა, რომელთა დანიშნულება იქნებოდა პრაქტიკული პროგრამის შემუშავება. ხშირად ეგნატე ნინოშვილი გვირჩევდა, რომ არა ლეგალური ბროშიურები გვეკითხა. ხშირად გვაკითხავდა წერილებს, რომლებსაც იგი დებულობდა პეტროგრადიდან კბილის საქიმო კურსების სტუდენტის ვარლამ ჰოჰნაძისაგან. ამ წერილებში აღნიშნული იყო უმეტეს შემთხვევაში რევოლიუციონური მოძრაობა, უფრო კი გადაკერით ლაპარაკი ტერორისტულ აქტებზე. ერთი სიტყვით ეგნატე ნინოშვილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ რაგინდაც მოეემზადებინეთ მომავალ რევოლიუციურ მოქმედებისათვის და მომავალ საერთო დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებათ დეკემბერში მან უკვე გამოგვიცხადა, რომ ის აწყობს საერთო კრებას და ჩვენ მონაწილეობა უნდა მივიღოთ.

მას ამ საგანზე ქონდა მიწერ-მოწერა თავის ძველ ამხანაგებთან — ფილიპე მახარაძესთან და ნოე ჟორდანიასთან. (ნოე ჟორდანია ამ დროს გურიაში იყო, ფილიპე მახარაძე კი — ვარშავაში). 1892 წლის დეკემბრის 24-ს ჩვენ გავემგზავრეთ დაბა ზესტაფონში. იქ კრება მოხდა იოსებ კაკაბაძის სახლში. ტფილისიდან წავედით ეგნატე ნინო-

შვილის გარდა მიხა ცხაკაია, ისიდორე კიკარიძე და მე. იქ დაგხვდნენ ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე და დიმიტრი კალანდარიშვილი. სულ ათამდე ვიყავით. კრების ხელმძღვანელმა ეგნატე ნინოშვილმა უმთავრეს საკითხად დააყენა: მარქსიზმი თუ ნაროდნიკობა? ეს იყო უმთავრესი. მარქსიზმის მცოდნე აღმოჩნდა მხოლოდ ორი კაცი: კარლო ჩხეიძე და ნოე ჟორდანია, თუმცა იმავე დროს კარლო ნაროდნიკულ პოზიციაზე იდგა. მიხა ცხაკაია და ეგნატე ორივე, როგორც უაღრესად რევოლიუციონერები, უფრო ნაროდნიკები იყვნენ, ვიდრე მარქსისტები. კამათში ნაროდნიკების პოზიციაზე დადგა კარლო ჩხეიძე, ხოლო მარქსიზმს იცავდა ნოე ჟორდანია. აქ აღსანიშნავია ერთი მეტად საყურადღებო გარემოება. ვიდრე კრება დაიწყებოდა, წაკითხულ იქნა ვარშავიდან გამოგზავნილი წერილი ფილიპე მახარაძის. და როგორც მახსოვს, ამ წერილის შინაარსი უმთავრესად ეხებოდა ეროვნულ საკითხს. ფილიპე იწერებოდა, რომ აქ, პოლონეთში, ეროვნული საკითხი გადაჭრილია მარქსისტული თვალსაზრისით. წერილი მოკლე იყო და ფილიპე მახარაძე ურჩევდა კრებას ამ საზომით მიდგომოდა ეროვნულ საკითხს. როგორც წერილიდან სჩანდა, ფილიპეს და ნოეს ამის შესახებ მიწერ-მოწერა ჰქონოდათ გამართული. ფილიპეს წერილიდან ისიც სჩანდა, რომ ნოეს ახლით საქართველოს სოციალისტურ ორგანიზაციის სახელით „საქართველოს ნაციონალ დემოკრატიული პარტია“ უნდა დარქმეოდა. ამას ფილიპე ეწინააღმდეგებოდა. ფილიპეს წერილის შესახებ აღნიშნულ კრებაზე კამათი არ გახსნილა. კრებამ მიიღო ეს მხოლოდ ცნობათ და საყურადღებოთ.

კრება დასრულდა იმით, რომ აღიარებულ იქნა საჭიროება პარტიის დაარსებისა, მაგრამ რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა იქნეს გადადგმული, ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა. მახსოვს, რომ კრების გათავებისას უმცროს ამხანაგებს მოგვცეს რამოდენიმე ბროშურა რუსულათ გამოცემული, რომელზედაც იყო აღნიშნული „პროლეტარები ყველა ქვეყნისა შეერთდით“—გამოცემა სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციის. ამ ბროშურებში რუსეთში მომხდარი გაფიცვები იყო აწერილი. ზესტაფონში მომხდარი კრების ხასიათი იყო წვინდა ინტელიგენტური და ერთი სიტყვა არ თქმულა მუშათა მორაობაზე და ლაპარაკი იყო განსაკუთრებით ნაროდნიკებზე და იმაზე, თუ ეს ნაროდნიკული მოძრაობა რატომ ვერ აღწევდა მიზანს. იყო აგრეთვე მსჯელობა ეკონომიურ ვითარებაზე, მარქსისტულ მიმდინარეობაზე და სხვა.

თბილისში დაბრუნების შემდეგ ეგნატე ნინოშვილმა განაგრძო წრეებში მუშაობა, იგი ეხლა ისევ ახალ წრეებს აწყობს და მუშაობს.

ჩვენს ნაცნობთა შორის მხოლოდ ხაჭარია ჰიპნიძე იყო პირადათ დაახლოვებული მუშებთან. მაგონდება: ცნობილი რევოლიუციო-

ნერი მუშის, მიხა ბოჭორიძის პირველი ლექსთა კრებული ზაქარია ჭიჭინაძემ გამოსცა, მაგრამ ჩვენ ჭიჭინაძესთან უთანხმოება გვჭონდა.. იყო შემთხვევა, როცა ის ჩვენთან მიხას ბინაზე (სარდაფში) შემოვიდა და ჩვენ (მიხამ და ეგნატემ) პირდაპირ გავაგდეთ გარეთ და ამრიგად საბოლოოთ ჩამოვსცილდით მას. ამით ჩვენ მუშებთან დაახლოვების საშუალება მოვვესპო. ჩვენ პრინციპით პარტიის შენების გზაზე დავდექით, მაგრამ იმავე დროს ზაქარია ჭიჭინაძის მოშორებით და მასთან კავშირის გაწყვეტით მუშებსაც მოვწყდით.

მაგრამ მუშებთან დაახლოვების საკითხი ჩვენს წინაშე მწვავეთ იდგა და ჩვენც ვედილობდით როგორმე ეს პრაქტიკულათ გადაგვეჭრა.

მე რამდენთაც მაგონდება, ეგნატე ნინოშვილს ვერ მოუხერხდა თფილისის მუშებთან დაახლოვება და ისე წავიდა ტფილისიდან. სამაგიეროთ ის იყო ბათუმის მუშებთან დაახლოვებული და ამიტომ მან ბათუმისკენ მიაშურა 93 წელს. მაგრამ ამ დროს ის იმდენათ დაჟლრტულ ჰლექით, რომ აღარც პროპაგანდა, აღარც წერა აღარ შეეძლო. მე დავშორდი ნინოშვილს 93 წლის მარტში და მას შემდეგ ხელახლად ვხვდები მას 93 წლის სექტემბერში. ამ დროს უკვე გარკვეული. მტკიცე მარქსისტი იყო. გურიიდან სამტრედიაში მუშრდა—ტფილისში მივდივარ, შენი ნახვა მინდა და სამტრედის სადგურზე დამხვდიო. აი ამ შეხვედრიდან ირკვევა, თუ ვინ არის ჩვენში პირველი. მაისობის დღესასწაულის იდეის პირველი წარმომთქმელი. ამ შეხვედრის დროს ეგნატე ნინოშვილმა პირველად გამოთქვა ჩემთან აზრი, რომ უადრესად საჭიროა მუშებს ვადღესასწაულებოთ პირველი მაისობა. მან სთქვა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ოკისროს ეს საქმე და გამოიყვანოს პირველი მაისის სადღესასწაულოთ ბათუმის მუშები. მე მინდა ხაზი გაუსვა, რომ ეგნატე ნინოშვილს ეკუთვნის აზრი პირველი მაისობის დღესასწაულისა და აღვნიშნო ის გარემოება, რომ ჩვენ, ჩვენი მოძღვრის, ეგნატე ნინოშვილის აღთქმა, მისმა მოწაფეებმა შეასრულეთ მხოლოდ 5—6 წლის შემდეგ.

ჩვენზე ადრე (დაახლოებით 1894 წლიდან) ვასო ცაბაძესთან ერთად სოციალისტური და მარქსისტული იდეები მუშათა წრეებში შეჰქონდათ სახელოსნო სკოლის შეგირდებს: ძმებს არაეიაშვილებს—იოსებს და კრისტინეს. მაშინდელი მოქმედება რევოლიუციონური ჯგუფის დახასიათდება უმთავრესად კონსპერატიებით. მახსოვს ვასო ცაბაძე გამოცდას მიკეთებდა; პირველად მომცა წინადადება გაფიცულ მუშების სასარგებლოდ ფული შემეგროვებია. ხედავდა, რომ მე მწყურიდა რევოლიუციონური მოქმედება, მუშებთან დაახლოვება, რომ ის იყო ჩემი უდიდესი მოთხოვნილება; მაგრამ ამ ამხანაგმა, საუკეთესო რევოლიუციონერმა, იმით დამაკმაყოფილა, რომ მუშების სასარ-

გებლოდ რამდენიმე მანეთი შემაგროვებია და მეტი არაფერი. ამის მიზეზი იყო კონსპირაცია. მისი მეთოდი იყო, ვიდრე არ დარწმუნდებოდა „ახალი რევოლიუციონერის“ ერთგულებაში და თავდადებაში, მინამ მას საქმის ვითარების არ გააცნობდა. აი ამ მეთოდის მიხედვით მე შეუდექი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ფულების შეგროვებას გაფიცულ მუშების სასარგებლოდ. ეს გაფიცვები საკმაოდ ვრცელი იყო; როგორც თვით ვასო ცაბაძე გადმოგვცემდა, თამბაქოს ფაბრიკები ყველა გაფიცული იყო: ბოზარჯიანცის, ენფიანჯიანცის, საფაროვის და სხვა. გაფიცულ მუშებს სჭირდებოდა პროპაგანდისტა-აგიტატორები, პრაქტიკული ხელმძღვანელები. ასეთი ხელმძღვანელები იმათ არ ყაყათ. მაგრამ მიუხედავათ ამისა ვასო ცაბაძე, გაფიცვის ხელმძღვანელი—ინტელიგენციას უნდო თვალით უყურებდა.

„მესამე დასელთა“ ჯგუფი ამ დროს (1897 წელს) მუშებთან კიდევ არ იყო დაკავშირებული კარგათ, ამიტომ იგი უფრო ლიტერატურულ საქმეს აქცევდა თავის ყურადღებას. ჩემთან ერთად რამდენიმე ამხანაგმა იკისრა ინიციატივა ახალი გამომცემლი ამხანაგობის დაარსებისა, რომელსაც სახელათ „ახალი მკითხველი“ ეწოდებოდა. ჩემთან ერთათ ამ საქმეზე მუშაობდა: სეგერიანე ჯუღელი და პეტრე გულიშვილი. პირველ კრებას, რომელსაც გამომცემლობის წესდების პროექტი უნდა დაემტკიცებია, დაესწრო: ლადო დარჩიაშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე, მე და სხვები. და როდესაც ჩვენ ამხანაგებმა გამომცემლობის პროექტი წარვადგინეთ, რაც ერთგვარ კოოპერატიულ საფუძველზე იყო აგებული, ფილიპე მახარაძემ სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწია. ფილიპე მახარაძე არ დაგვეთანხმა, ჩვენ კიდევ ჩვენს გადაწყვეტილებას დავადექით და მისი აზრის წინააღმდეგ დაავარსეთ ეს ამხანაგობა—„ახალი მკითხველი“—(სილიბისტერო ჯიბლაძე მხარს გვიჭერდა.) თანხა ხელს მოწერით შეგროვეთ—სულ სამასამდე მანეთი, რითაც სულ ხუთიოდე წიგნი გამოვეცით მათ შორის ისეთი ბროშიურა, როგორიც არის „შრომა და კაპიტალი“ სვიდერსკის. ეს წიგნაკი საუკეთესო სახელმძღვანელო გამოდგა სპროპაგანდო წრეებისათვის.

97 წლის დასაწყისში მუშათა სპროპაგანდო წრეები ისე გამრავლდა, რომ მუშა-ხელოსან მარქსისტებს საკუთარი ძალა აღარ ყოფნიდათ და იძულებული გახდენ მიემართათ ინტელიგენციისათვის, რომ ისინი მიშველებოდენ მათ მუშებში მარქსიზმის იდეების გასავრცელებლათ. აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: როგორც იდეური, ისე პრაქტიკული მხრითაც მუშებს უკვე ჰყოლიათ ამ დროს მუშათა ხელმძღვანელების მიერ შემდგარი მუშათა კომიტეტი, რაც ჩვენ, ინტელიგენციამ, არ ვიცოდით 97 წლამდე. ეს იცოდა ჩვენ შორის მარტო ვასო ცაბაძემ და რენიგერმა. 97 წლის დამლევს ვასო

ცაბაძე მაძლევს წინადადებას, რომ შევიდე კომიტეტში, მაგრამ ვი დრე კომიტეტში შევიდოდი, მე მოვთხოვე მას გაეცნო ჩემთვის მო წინავე მუშები. მაგონდება ეხლა ის ნეტარი, ის ტკბილი წუთები, როდესაც მე პირველად შევხვდი მუშების პირველ მერცხლებს. ისინი მართლაც იყვნენ მატარებელი ახალი იდეის, რევოლუციის და სო ციალიზმის და რომელთა მოღვაწეობის ნაყოფს დღეს აშკარად ვხე დავთ. მაგონდება ისიც, თუ როგორი კონსპირაციით და საიდუმ ლოების დცვით ვასო ცაბაძემ წამიყვანა ავჭალის ქუჩაზე და შეი ყვანა იმ ბინაზე, სადაც მოწვეული ყავდა მას ეს მოწინავე მუშები. სულ დამხვდა სამი მუშა. ეს იყო მარტყოფის ქუჩაზე. იქ გავიცანი მიხა ბოკორაძის ბინაზე თვით მიხა, არაქელა და ზაქარია ჩოდრი შვილი.

იმ დროს ტფილისში შემდეგი მარქსისტები იყვნენ, რომლებიც ვმართავდით კრებებსა და საუბრებს ინტელიგენტთა შორის. ქარ თველთა შორის ცნობილი იყო უკვე მოშხადებული ამბ. სევერიანე ჯუღელი, ლადო კვაცხოველი და სხვები. რუსებიდან ივან ივანიჩ ლუ ხინი, კოგანი, კოოპტაციის გზით შემდგარ იქნა ახალი კომიტეტი 97 წ. დამლევს, რომელშიაც შედიოდენ შემდეგი ამხანაგი მუშები: ვასო ცაბაძე, ზაქარია ჩოდრიშვილი, არაქელა ოქუაშვილი, მიხა ბოკორაძე ხოლო ინტელიგენტი კი ჩემს გარდა იყო: სილიბისტრო ჯიბლაძე, ალექსანდრე შატილოვი (თვალის ექიმი) და სევერიანე ჯუღელი. ამ კომიტეტის ხელმძღვანელობით იმართებოდა პროპაგანდისტული წრეე ბი მუშათა შორის. ასე რომ, შემდეგი წლის დასაწყისში უკვე სისტე მატიურად მიცადინეობდა ათამდე წრე თუ მეტი არა და ეჩნეოდა, რომ სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა წინ მარქსისტული პროპაგანდა. მუ შებმა მალე შეამჩნიეს, რომ პროპაგანდა გადადიოდა მასებში და იწ ყებოდა მასიური მოძრაობა. როგორც ზემოთ ვსთქვი, ამას წინ უძღოდა მუშების ეკონომიური მასსიური მოძრაობა და ამ ახალმა შეერთებულმა კომიტეტმა მარჯვე ხელმძღვანელობა გაუწია მუშებს დიდი გაფიცვის მოწყობაში 98 წელს ამიერ-კავკასიის რკ. გზ. მთავარ სახელოსნოებში. მართალია, ამაზე წინადაც იყო გაფიცვა ფაბრიკაში, მაგრამ მას არ ჰქონდა გავლენა მთელი საქართველოს მასშტაბით. ამ გაფიცვას კი სწორედ მთელ საქართველოს მასშტაბით ჰქონდა გავლენა, რადგანაც აქ იყო თავმოყრილი მთელი საქართველოს სხვა დასხვა კუთხეებიდან მუშები და ამგვარად მოედო სოფლებსაც ეს იდეები. მასსიური მოძრაობა თანდათან ერცელდებოდა, ხოლო ჩვენი კომიტეტის ხელმძღვანელობა კი მეტად შეზღუდული იყო. ასე რომ, საჭირო შეიქნა ახალი მეთოდის შემუშავება, ახალი ნაბიჯების გადა დგმა. დაიწყო 99 წელი და ჩვენში დაიბადა აზრი პირველ მაისო-

ბის დღესასწაულისათვის, თუმცა ვიწრო არაოფიციალური, მარა მაინც მასიური ხასიათი მიგვეცა.

კომიტეტის სამაისო კრება მოხდა ამხ. ფილიპეს ბინაზე, თუმცა თვითონ ფილიპე კომიტეტში მონაწილეობას არ იღებდა, არ ითვლებოდა კომიტეტის წევრად. აი ამ კრებაზე, დაახლოებით აპრილის პირველ რიცხვებში, დაისვა საკითხი, თუ როგორ უნდა ვიდღესასწაულოთ მასსიურად პირველი მაისობა და ჩვენ მიეღოთ მონაწილეობა თუ არა? ამ კითხვაზე ერთი ნაწილი უპასუხებდა დადებითად. დასაბუთება ამის შემდეგნაირი იყო: მუშათა მოძრაობა ვითარდება, გადადის წრეების სისტემიდან მასიურ სისტემაზე და ამისათვის მასიური მეთოდი მოითხოვს გაიმართოს მასიური დღესასწაული — პირველი მაისობა. ამით ხასიათდება დასაწყისი მუშათა მასიური მოძრაობისა. ჩვენთან ერთად ინტელიგენტთა შორის ცქაფდა ამ აზრს სეეერიანე ჯუღელი. მუშები კი ყველა ერთხმად ეხმაროდა ამას. თქვენ (კალაძე მიმართავს კომისიის წევრებს) ყველანი დამეწმენით, რომ ჩვენ დიდი მომზრენი ვიყავით პირველი მაისობის გამართვისა (მართალია). ვასო ცაბაძემ — ინიციატორმა, თავი შეიკავა ის, რასაკვირველია, ებრძოლა ამას, მაგრამ წინააღმდეგი წავიდა, რადგან ეს მისი აზრით კონსპირაციას არღვევდა. წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ: სილიბისტრო ჯიბლაძე, და ალექსანდრე შატილოვი. ამგვარად ხმის უმრტესობით თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა დაადგინა გამართოს მასსიური დღესასწაული. საქმის შესრულება მიენდო ორ ამხანაგს — მე და სეეერიანე ჯუღელს.

ეს პირველი მაისობა გადავიხადეთ 1899 წლის აპრილის 18-ს ნაძალადევის განაპირას ერთ-ერთ მიყრუებულ ხევში. წაკითხულ იქნა ჩემ მიერ ნოე ჟორდანიას პირველი მაისობის მოწოდება. დაესწრო სულ 70-მდე მუშა. იყო რამდენიმე რუსი, სომეხი არც ერთი.

99 წლის პირველ მაისობაზე აღარ ვილაპარაკებ, რადგანაც ამხანაგებმა აქ უკვე იღაპარაკეს ამის შესახებ. მე აქ მინდა მხოლოდ მოვიგონო ერთი დიდი გაფიცვა, რომელიც მაშინ დიდმნიშვნელოვანი შეიქმნა. იმ დროს მე ვმუშაობდი „კონკის“ კანდუქტორების წრეში, ეს იყო 99 წ. მიწურულში. მუშებმა მაცნობეს, რომ მათ შორის დიდი უკმაყოფილებაა გამოწვეული იმ დროის „კონკის“ დირექტორის რობის წინააღმდეგ. ეს ცნობა მე გადავეცი კომიტეტს და კომიტეტმა ერთხმად დაადგინა ესარგებლა ამ შემთხვევით და გაფიცვის მოწყობა გადაწყდა. ამ გაფიცვის მოწყობა დაევალა ჩემს გარდა ვასო ცაბაძეს და ლადო კეცხოველს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს გაფიცვა იყო აშკარად პოლიტიკური ხასიათის. ჩვენ შესაფერი დრო შევურჩიეთ (1 იანვარი, ახალი წლის დღე) და გაფიცვა მოვახდინეთ. ამ გაფიცვის მეთაურები იყვნენ „კონკის“ კონდუქტო-

რები: მათ შორის მეთაურობდა კონდუქტორი კაკაბაძე და არტემ ჩაჩავა. სწორედ იმ მომენტში, როცა ჩვენ საამისო აგიტაციას ვეწეოდით კანდუქტორებში, კრება მოვაწყვეთ ღამით (ნაშუაღამევს) კაკაბაძის ბინაზე, ეხლა რომ ტრამვაის პარკია იმის პირდაპირ. 120-მა თუ 150-მა კაცმა მოიყარა თავი. მე და ლადო კეცხოველს გადაგვაცვეს კონდუქტორის შინელები. ლადო კეცხოველი რუსულათ მიესალმა მუშებს და აღნიშნა, რომ ხვალ ახალი წელია, ყველა დღესასწაულობს და თქვენ კი ასეთ მდგომარეობაში ხართო. მუშებმა აქ ერთხმად დასდეს ფიცი და აღვუთქვეს, რომ პრძოლაში მოინაწილეობას მიიღებენ.

ამ ხანებში მარქსისტულ ინტელიგენციის ჯგუფს ჯერ კიდევ ახალგახრდა ნოე ჟორდანია მეთაურობდა. ის ამ ჯგუფს ხუმოთ აწერილ ღამეს ვასო გოგოლაძის სახლში მოუწყო სახალხწლო შეხვედრა და იქ ჩვენს სადღეგრძელოებს მიირთმევდა. საყურადღებოა ის, რომ ამ შეხვედრის მონაწილე მუშები,—არაქელა, ვანო სტურუა და მიხა ბოჭორიძე დილას გაფიცულ მუშებს შეხვდენ „კონკის“ პარკთან, მიესალმენ მათ, აგიტაცია გაუწიეს და ამ რიგათ გაფიცვა გაამაგრეს. მეორე დღეს დილის 10 საათზე გაფიცვა მთავრობის ძალდატანებით გატყდა. დაატუსაღეს ყველა გაფიცვაში მონაწილე კონდუქტორი და „კუჩერი“. პირველ მომენტშივე მოხდა შეტაკება პარკის წინ პოლიციელთა და მუშებს შორის; დაიღვარა სისხლი როგორც მუშების, ისე პოლიციელების. 70 „გოროდოვოი“ გაილახა ამ ადგილზე მუშების ხელით. აი ეს იყო პირველი შეტევა ტფილისში, სადაც პირველი სისხლი დაიღვარა მუშების. ლადო კეცხოველის გატაცება-აღტყინება იქამდე მივიდა, რომ ერთ ალაგას პლეხანოვის პროსპექტზე მან მოინდომა პოლიციას თავს დასხმოდა და დაჭერილი მუშები გაენთავისუფლებია. და რომ ის არ შეგვეკავებია ამხანაგებს, ამას კიდეც შეასრულებდა.

ლადომ სხვა მხრივაც მოინდომა გაფიცვის გამაგრება: უნდოდა თავდასხმოდა „ტეროროთ“ შტრეიკბრეხერების დაფრთხობა. ამას ამბ. არაქელამაც დაუჭირა მხარი და მისი მეთაურობით ათიოდე შეიარაღებული მუშა უნდა დასხმოდა თავს მოღალატეებს—შტრეიკბრეხერებს. ამის შესახებ კრება ჰქონდათ მოწვეული კოწია მიქაბერიძის ბინაზე არაქელას, ლეონტი მაშალაძეს და ვანო სტურუას. მაგრამ კომიტეტმა საჭიროდ არ დაინახა მათი საქმეში ჩარევა და ამნაირად გაფიცვა შეწყდა. დატოვა კი დიდი შთაბეჭდილება ხალხზე და „საზოგადოებაზე“. ამის შემდეგ მუშათა მოძრაობა თანდათან ფართოვდება, ინტელიგენცია უფრო ებმება რეეოლიუციონურ მოქმედებაში და იმართება დიდი პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაცია—ცხრაასი წლის მასიური (ისევ ფარული) პირველი მაისობა. და მეორე მხრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმართება მთავარ სახელოსნოში დიდი გაფიცება (მეორეთ). ეს მეორე გარემოება საფუძველს უდებს მას, რომ ტფილისში რევოლიუციონური მოძრაობა გაფართოვდა და მალე ტფილისის ფარგლებს გაწორდა, მოედვა საქართველოს დაბა—ქალაქებს და საერთოდ მთელ ამიერკავკასიას. პირველი მაისობის გამართვა 1900 წელში და რკინის გზის სახელოსნოს გაფიცვის შედეგი იყო, რომ მარქსისტული, რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატია ამოძრავდა არა მარტო საქართველოს სხვა დანარჩენ დაბებსა და ქალაქებში, არამედ ამიერ-კავკასიის მეორე მუშათა ცენტრში—ბაქოშიაც გადავიდა. „კოხკაზე" გაფიცვის შემდეგ ბევრი ჩვენი ამხანაგებიდან გაიფანტენ სხვადასხვა კუთხეებში. პირადათ მე და ამბ. ლადო კეცხოველი გადავედით ბაქოში. როგორც ვსთქვით, დასაწყისი მისცა მოძრაობას, მთავარ სახელოსნოების გაფიცვის გამო ბაქოში გადასახლებულმა შეგნებულმა მუშებმა. პიონერი, რომელმაც ბაქოს მუშებში შეიტანა მარქსისტული სოციალისტურ-რევოლიუციონური იდეები, იყო ვანო სტურუა. იქ მუშაობდენ აგრეთვე ლადო კეცხოველი, აბელ ენუქიძე, კოლია მაჭარაძე და სხვები.

ხ. **ფარნიევი.** ეს იყო დაახლოვებით 95 წელს. ჭადის-ჯვრის მიდამოებში ბაგრატიონ-მუხრანსკის გლეხები ეცხოვრობდით. აქ ხოხდა ერთგვარი შეტაკება გლეხებსა და მთავრობის შორის. მოხდა სროლა. მამაჩემი ამ დროს იყო თავადის მზარეული. სოფელში ამ არეულობის დროს რამოდენიმე კაცი მოჰკლეს. მე ამ დროს მამასთან ვიყავი სტუმრად. ბატონი ჩვენს სოფელთან ახლოს ცხოვრობდა. ამ ამბებმა ჩემზე ვერ მოახდინა კარგი გავლენა. მამაჩემს შეეშინდა, რომ იქ სოფელში რაღაც ხდებაო და როდესაც ის ბატონთან ერთად ტფილისში ბრუნდებოდა, მეც თან წამომიყვანა. ეს იყო 95 წ. შემოდგომაზე. 96 წელში მე უკვე პაპოვიჩის სახელოსნოში—საზენკლოში მემამაძრეს. აქ 96 წელში უკვე კარგი წრეები იყო მოწყობილი. მე აქ ვხედავდი მუშებს, რომლებიც წრეებში მუშაობდენ და ხშირად ინტელიგენტებიც მოდიოდენ, მაგალითად სეეროიანე ჯუღელი, ლადო კეცხოველი, იაშვილი და სხვები. ისინი ხშირად დადიოდენ მუშებთან და მათთან კავშირი ჰქონდათ. ამას მე ხშირად ვხედავდი.

მე ვიცნობდი უფრო მუშათა წრეს. პარტიის მსხვილ ინტელიგენციას არ ვიცნობდი, ძალიან იშვიათად ვხდებოდი, ვინაიდან ინტელიგენციის წრეებში არ მიველია. იქ დადიოდა ვინც მოზრდილი თაობა იყო, აქ თვით მუშათა წრე იყო; მუშები იყო ზაქარია ჩოდრიშვილის წრეებში. მივედი 97 წლებში. სახარება მიყვარდა რაღაც და როდესაც ზაქარიამ ილაპარაკა ბუნებაზე და მაზედ, თუ რა არის ღმერთი, მე გავბედე და ვუთხარი: ღმერთზე ლაპარაკი როგორ შეიძლება. ის ამბობდა დედამიწა ბრუნავს და სხვა ასეთს, რომელიც მე

ძალიან მაკვირვებდა. ვასო ცაბაძეს უფრო ხშირად ვხედავდი. ნახსოვს და დღესაც ვერ დავივიწყებ, როგორ ყური ამიწია არაკელამ. ეს იყო 96 წელში შემოდგომაზე. რკინის გზის პირდაპირ ვიღაცას დუქანი ჰქონდა. ჩემი ოსტატი, რომელთანაც მე ვმუშაობდი, მეუბნებოდა, რომ, როდესაც მე აქ არ ვარ და ხაზეინი მოვა, შემატყობინეო. მეც წავედი, დავუდექი გვერდზე ხაზეინს, ეს ხაზეინი კი ზაქარია ჩოდრიშვილი იყო. მე რა ვიცოდი. მაგათ არ ვიცნობდი. მე ვატყობინებდი ოსტატს, როდესაც ხაზეინი მიდიოდა. ეს შეატყო არაკელამ და ამიწია ყური. მერმედ, როდესაც ზაქარიას წრეში მოვხედი, მე გავახსენე მას, ამა და ამ დროს ერთმა წეერიანმა კაცმა ყური ამიწია და ვინ იყო თქო.

მას აქეთ დიდი დრო გაეიდა. ახლა ჩვენ ერთი მეორეს მთლად ვიცნობთ. გვარს ვეღარც კი მოეიგონებ. ეს იმიტომ ხდება, რომ ბევრი მათგანი ამ ბოლო დროსდე აქტიური მუშები აღარ არიან, მაშინ კი ჩვენთან მუშაობდენ. მას შემდეგ კი ნელ ნელა ჩამოგვშორდენ და მათ ვინაობის გაგება-გახსენება ძნელია. ხშირად ისინი ფსევდონიმებით მუშაობდენ და მათი გვარების გახსენება ამიტომ გვიძნელდება. ამ ხანებში იყო ორი კომიტეტი: უფლებიანი და უფლებო, უკანონო. ერთს უკანონოს უძახოდენ იმას, რომელიც იყო მუშების, იმისთვის, რომ ამ კომიტეტის ასარჩევად არჩევნები არ იყო, მაშინ ესენი ასე ირჩევდენ, აი ერთი, აი მეორე და თქვენ იყავით ხელმძღვანელებიო, ბათუმში მე მახსოვს ესსენები იყვნენ—ცოლი და ქმარი, კომიტეტიც ისინი იყვნენ და ყველაფერი. ამ კომიტეტს უფლებო კომიტეტს უძახოდენ, მეორე კომიტეტი კი ინტელიგენტურ წრეებში იყო. არჩევნები არც აქ იყო, მაგრამ ერთმანეთს დაასახელებდენ. მუშურ კომიტეტს უფრო აქტივობა ეტყობოდა, რიცხვით უფრო დიდი იყო, ამათში მუშაობდენ ვანო სტურუა, არაკელა, ზაქარია ჩოდრიშვილი, ვასო ცაბაძე, გიორგი ჩხეიძე, კოპალეიშვილი და სხვები. აქ თავს იყრიდა ზოგი სტამბიდან—ზოგი თამბაქოს ქარხნებიდან. ბი ამათ ჰქონდა ჯგუფებ და მუშაობდენ. მე მაშინ ლაპარაკი კარგათ არ ვიცოდი, მაგრამ მაინც დავდიოდი და ყურს ვუგდებდი. აი ეს კომიტეტი ხელმძღვანელობდა გაფიცვას. მუშების მოთხოვნილება იყო მაშინ: ზრდილობიანი მოპყრობა, სამუშაოდ გაშვება, ხელსაბანის მოწყობა და სხვა ამისთანა წვრილმანები. 97 წ. მოხდა პაპოვიჩის ქარხანაში შეგირდების გაფიცვა. მე მახსოვს მაშინ იქ მოვიდა ზაქარია ჩოდრიშვილი, გაფიცვა მოხდა აგრეთვე იარალოვის ქარხანაში. იყო გაფიცვა რკინის ქარხანაშიაც, მაგრამ გაფიცვები ასე ტარდებოდა. გამოჩნდებოდენ,—ვიღაცას რაღაცას ჩაულაპარაკებდენ და გაფიცვებს მოაწყობდენ, ჩვენ პატარებს გვიხაროდა: გაფიცვაა, მორჩა და გათავდა. ყველა ამას აკეთებდა უუფლებო კომიტე-

ტი. ინტელიგენტები კი უფრო თეორიულ მსჯელობის დროს ჯდებოდნენ. ხავოდებში შესვლა მაინცა და მაინც არ შეეძლოთ. და ქარხნებში რომ გაფიცვები ხდებოდა,—მაგალითად პაპოვიჩის ქარხანაში რომ გაფიცვა მოხდა შეგირდების, ამას მუშები ხელმძღვანელობდნენ. ეს გაფიცვები ეკონომიური ხასიათის იყო. პოლიტიკური კითხვები მაინცა და მაინც არ ედვა მას სარჩულად.

აქ იყო გაფიცვები ნამდვილი ეკონომიური ხასიათისა. მაშინ ჩვენს შორის ასეთი გარჩევა არ იყო. მახსოვს ესერები ჩვენთან იყო და 900 წლიდან ეს ესერები რაღაც განზე გადგენ. ეამპობდი რაშია საქმე. იდეური განხეთქილება ჩამოვარდაო. 1900 წელში დაარსდა კომიტეტი და აქ შედიოდენ არავინშვილი, არაქელა, ჩხეიძე. ყველა არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს მაშინ იყო ერთგვარი დავა. 96-დან იყო დიდი მუშაობა ყველა ზავოდებში, ხშირათ ვხვდებოდი ყველას, გამოსულებს ვესწრებოდი ყოველთვის. მეტ წილად ჩვენთან მოდიოდა ზაქარია ჩოდრიშვილი, მგონია ის მაშინ დათხოვნილი იყო სამსახურიდან, დადიოდა ამ ზავოდებში და გვეუბნებოდა, ამ დროს აქ უნდა მოხვიდეთ, ამ დროს აქაო და სხვა.

ეს მუშაობა იყო ინტელიგენციის გარეშე. ინტელიგენციას ამ დროს უკვე ჰქონდა კავშირი ჩვენთან, თურმე იმათთან ახალ წესსაც ხდებოდენ, როგორც ახლა გადმოგვეცენ, ჩვენ კი არაფერი არ ვიცოდით, ეს უფროსები იყვენ. ინტელიგენცია, როგორც მაგ., ცხაკაია, სილიბისტროო ჯიბლაძე, მახარაძე, ჯორდანია უმეტესად მეცადინეობდა უფრო მომზადებულ წრეებში. ჩვენთან კი იყვენ ზაქარია ჩოდრიშვილი, ეასო ცაბაძე, ბოჭორიძე, ლეკანტი მამალაძე, მოხევე და სხვა. ჩვენ უფროსებს ხშირად არ ვნახულობდით, ვინაიდან ჩვენში თაიანთი ტოლები ახალგაზრდები უფრო მუშაობდენ. მართალია, ზეპირად იყო ყველაფერი—ფულის შეგროვება და სხვა. დემონსტრაცია რომ გავმართეთ,—მაისობა—ეს იყო 98 წელში. მაგრამ მაისში კი არ ვმართავდით, აპრილში ვმართავდით. ეს მაისობა მოდგა 98 წელში ორ ადგილას—ერთი ტფილისის და ავჭალის შორის და მეორე ვერისაკენ. რა თქმა უნდა, ამას არ ჰქონდა მასიური ხასიათი, მაგრამ წრეები კი იყო. ეს იყო უფრო, ასე ვთქვათ, ძალების გადასინჯვა. მე მაშინ ყველაზე პატარა ვიყავი ამ წრეში. მაგრამ მიედიოდი ხან ერთთან და ხან მეორესთან. ამ დღეს ჩვენთან იყვენენ ბევრი მუშები თამბაქოს ქარხნებიდან—ადელხანოვის და სხვა.

ნინა ალაფუალოვა. ყრუ ხმებმა ლონდონის ყრილობაზე მომხდარი უთანხმოების შესახებ, როცა პარტიაში რასკოლი მოხდა, თანდათან ტფილისამდეც მოაღწია. ამხანაგები მოულოდნელად ელოდენ ყრილობიდან დელეგატების დაბრუნებას, რათა დაწვრილებით გაცნობოდენ თუ რა მოხდა ყრილობაზე. როცა დელეგატები დაბრუნ-

დენ კავკასიიდან—ბოგდან ხნუნიანცი და არშაკ ზურაბოვი კავკასიის საკავშირო კომიტეტმა, რომლის წევრებათ მაშინ იყვნენ მიხა ცხაკაია, პოსტალოვსკი, მიხო ბოჭორიძე, ხნუნიანცი და არ. ზურაბოვი დაადგინა მოეწვია პლენუმი და გამოერკვია თავისი დამოკიდებულება ყრილობაზე მომხდარ უთანხმოებისადმი.

აქ დადგა კავშირის კომიტეტის წინაშე საკითხი იმის შესახებ, თუ სად შეკრებილიყვნენ, რომ თათბირისთვის ჟანდარმებს არ მიეგნო. იმ დროს მეტად გულმოდგინეთ ადევნებდენ კომიტეტის წევრთა ყოველგვარ მოქმედებას თვალყურს, ამიტომ საჭირო იყო მეტის-მეტი სიფრთხილე. დღისით არ გამოდიოდენ გარეთ, სახლში ღამე არ ათევდენ და სხ.

დიდი ხნის მოფიქრების შემდეგ გადავწყვიტეთ შეკრებილიყვითო ა. ზურაბოვის ბინაზე. ეს ბინა მოხერხებული იყო იმიტომ, რომ როგორც ცოლშვილიანის ბინა, ჟანდარმებისთვის იქნებოდა თვალის ამხვევი. კრება დავნიშნეთ ნათლისღებისათვის ე. ი. 5 იანვრისათვის. გახსნილებელი სამხადისი გვქონდა დავალებული მე და ამხ. როზა ლაკერმანს, რომელიც გამოქცეული იყო ტაგანროგის ციხიდან და დროებით არალეგალურად ცხოვრობდა ტფილისში. საქმაო მუშაობის შემდეგ მზად ვიყავით „სადღესასწაულოთ". როგორც კი შებინდდა, „სტუმრებმაც" იწყეს შეკრება. საღამოს 7 საათზე კავშირის კომიტეტის წევრები უკვე შეკრებილი იყვნენ და „გახსნილების" შემდეგ შეუდეკით საქმეს...

დაახლოვებით ღამის 11 საათზე, როცა გაცხარებული მუსაიფი იყო, არშაკი უცბათ წამოდგა ადგილიდან, ჩუმად ჩაილაპარაკა—„წყნარად ამხანაგებო"—და გავიდა აივანზე. იმავე წამს შემობრუნდა ოთახში და დაიძახა: „ჟანდარმები". ის გაექანა მაგიდისაკენ, ხელი მოხვია ქაღალდებს და გაექანა თავისი ცოლის ოთახისაკენ. რომელიც ავადმყოფი იწვა, იქითვე გაეკვეხა მე და ბალიშიდან გამოვიღე მთელი მოკვრა არალეგალური ლიტერატურა.

ჩვენ თითქოს ყველანი ერთსა და იმავე დროს შევთანხმდით—ყველა ქაღალდები, რაც კი მოგვეპოვებოდა არშაკის ცოლის საბანში ჩავდეთ. იმ წამში კარებში გამოჩნდა ჟანდარმის ფიგურა. არშაკი არ დაიბნა და ჟანდარმთა ოფიცერს სთხოვა მისი ავადმყოფი ცოლის ოთახში არ მოეხდინა ჩხრეკა. ოფიცერი დასთანხმდა იმ პირობით, რომ ამ ოთახში არავინ შესულიყო. ამ სახით ყველა საყურადღებო ქაღალდები უშიშარ ადგილას აღმოჩნდა.

დაიწყო დამსწრეთა აღწერა და ვინაობათა გამორკვევა. ყველამ განაცხადა, რომ არშაკის სტუმრები იყვნენ და შეიკრიბნენ გასახსნილებლად, სთხოვეს განთავისუფლება, რაზედაც პირველად მათ უარით უპასუხეს.

ყველანი თითეულად გაჩხრიკეს. არავის არაფერი საწინააღმდეგო აღმოსჩენია და ყველას, გარდა კნუნიანცისა, რომელმაც რაღაც ქაღალდი დაგლიჯა, წასვლის ნება დართეს. მაგრამ განთავისუფლებული ამხანაგები არ მიდიოდენ და მოითხოვდენ კნუნიანცის, როგორც უკანონოდ დაპატიმრებულის, განთავისუფლებას. კნუნიანცმა მოხერხებულათ მოუგო, რომ იმ ქაღალდზე დაწერილი იყო იმ პირის მისამართი, სადაც ის ცხოვრობს და დაასახელა ვიღაც გავლენიანი პირი. ასე მან სრულიად გაასულელა ჟანდარმი და სხვასთან ერთად ისიც გაუშვა. აქ არ შეგვიძლია მოვიგონოთ შემდეგი კურიოზი: ყველას ჩამოართვეს საცხოვრებელი ბინის მისამართები; ყველამ მისცა, რა თქმა უნდა, გამოგონილი მისამართი. აფიცრის ასეთი გულუბრყვილო ქცევა თურმე მისი გამოუცდელობის ბრალი იყო. ეს იყო თურმე მისი პირველი დებიუტი. ამის გამო ეს აფიცერი დასაჯეს, ის გადაიყვანეს ორენბურგის გუბერნიაში.

შეუდგენ მაღალი ბინის ჩხრეკას, რომელიც გაგრძელდა ნაშუადღევის 3 საათამდე. ჩხრეკვის დროს ჩვენ მშვიდათ ვიყავით, დამედებულნი, რომ ყველა აკრძალული ქაღალდები უკვე გადამალული იყო, მაგრამ როგორი იყო ჩვენი განცვიფრება და შიში, როცა მაგიდის ყუთიდან აფიცერმა ამოიღო არშაკის მიერ არალეგალური ჟურნალის „ბრძოლა"-სთვის დამზადებული წერილი. სიხარულისაგან აფიცერს სახე გაუღიმდა და წერილი ჯიბეში ჩაიდო. როცა ის ოქმის შედგენას შეუდგა—ჩხრეკის შემდეგ ეს წერილი სრულიად დაავიწყდა. და შემდეგ, არც დაკითხვის, არც ბრალდების წამოყენების დროს არშაკისთვის ამ დოკუმენტის შესახებ აღარაფერი უთქვამთ, ეს წერილი თითქოს დედამიწამ ჩაყლაპაო. შემდეგ არა ერთხელ გაუცინია გულიანად ხოლმე ამის გამო არშაკს.

ჩხრეკის გათავების შემდეგ ჟანდარმთა სამმართველოს მოწერილობის თანახმად არშაკს წინადადება მიეცა წასულიყო ციხეში, სადაც სამი თვის შემდეგ გადასახლებულ იქნა ადმინისტრაციული წესით ასტრახანში.

კიდევ რამდენიმე სიტყვა. არშაკის წაყვანის შემდეგ მე და ანი. როჭა შეეუდექით ოთახის მოწესრიგებას, რომელიც ერთიანად არეულ-დარეული იყო. როგორი იყო ჩემი განცვიფრება და სიხარული, როდესაც ჩემი „კროვატისა" და კედლის შუა აღმოვაჩინეთ დაწერილი ქაღალდები, რომელნიც ჟანდარმებს შეუმჩნეველად დარჩენოდათ. ეს იყო საკვირველი კომბინაცია რეზოლიუციის პროექტი ლონდონის ყრილობის შესახებ. რეზოლიუციაში მოწონებული იყო ბოლშევიკების ხაზი. როგორც შემდეგ გამოირკვა, ამ. მიხა ცხაკაიას მოხერხებულ დროს ეს რეზოლიუცია ჩემს ოთახში შეეგდო იმ იმედით, რომ მის გადამავალს მე მოვახერხებდი დროულად. საბედნიეროდ, ეს საყურადღებო დოკუმენტი გაუსხლტა ხელიდან ჟანდარმებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიბუნა.

საქართველოს კომ. პარტიის ისტორიისთვის*).

(კრიტიკული შენიშვნები ამხ. ფ. მახარაძის და სევასტი თალაქვაძის საისტორიო ნაწერების შესახებ).

კომპარტიის **ისტორია** ეს ოთხი თუ ხუთი წელიწადია მუშავდება რუსეთში. **ეს არის კომპარტიის ძირითადი ისტორია.** მაგრამ იმის შესამცნობ-გასაგებად, თუ რა სახე და განსაკუთრებული ელფერი მიიღო ამ პარტიამ სხვადასხვა ქვეყანაში და ხალხში, საჭირო ხდება შემუშავდეს და შედგეს ამ ხალხების კომპარტიის ისტორიაც. ერთი იმ ხალხთაგანი, რომლის მუშათა კლასის მოწინავე რაზმები ამ პარტიის პირველ რიგებში ჩადგენ, ქართველი ხალხიც არის.

ამიტომ საჭიროა შედგეს და შემუშავდეს საქართველოს კომპარტიის ისტორიაც.

როგორც ვიცით, ამ საჭიროებას ეხსახურება საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანო, ჟურნალი „რევ. მატიანე", საიდანაც გადმობეჭდილია ორი ზემოდ დასახელებულ ამხანაგის ნაშრომ-ნაწერი.

პირველი თვითონ ბელადია საქართველოს კომპარტიისა, ხოლო **მეორე** პარტიის წევრია, რომელსაც დაკისრებული აქვს პარტიის ისტორიისათვის მასალები აგროვოს და შეძლებისდაგვარად დაამუშაოს იგი.

მაშასადამე, ორივეს მოეთხოება, როცა საქართველოს კომპარტიის ისტორიას გვიწერენ, გამოარკვიონ და აღნიშნონ ის ნიშანდობლივი თვისებებიც, რითაც ამ პარტიის სახე და ელფერი მისი დედა-პარტიის—რუსეთის კომპარტიისაგან განსხვავდება; გამოარკვიონ და აღნიშნონ პარტიის საქართველოს პირობებში განვითარების სხვაობა და ამრიგად ახსნას მისი ნაკლი ან ღირსება, რაც დედა-პარტიას არ აქვს.

ამაშია მთავარი აზრი და მნიშვნელობა ცალკე ერის კომპარტიის ისტორიისა, თვარა წინააღმდეგ შემთხვევაში იგი საჭირო აღარ იქნებოდა. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ ზემოდ დასახელებულ ამხანაგების ნაშრომ-ნაწერს—„თბილისის ორგანიზაციის 30 წლის

*) გაზ. „კომუნისტი"-დან (№№ 262, 263, 264 და 265—1925 წ.).

არსებობა“ და „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის“—უნდა ვთქვათ, რომ ორივე ეს ნაწერი ზემოთ დასახელებულ მეთოდოლოგიურ ღირსებას მოკლებულია.

მართალია ამხ. ფილიპე მახარაძე, როგორც ძველი მარქსისტი და გამოცდილი იდეოლოგ-ლიტერატორი ანალიზს უკეთებს ჩვენი ცხოვრების ეკონომიურ მხარეს და აქედან გამოყავს ჩვენი მუშათა კლასის შექმნის და მისი მოძრაობის აუცილებლობა, მაგრამ ის იმავე დროს სრულიათ უყურადღებოთ სტოვებს იმ საზოგადოებრივ-სოციალურ მოძრაობას, რასაც „ეროვნული მოძრაობა“ ეწოდება.

ცხადია, თვით რუსეთში (ველიკოროსია) ადგილი არ ჰქონდა ასეთ მოძრაობას, რადგან იქ იყო ეროვნული **მედიდურება** და „დიდმპყრობელობა“ და არა ჩაგრული ერის „ეროვნული მოძრაობა“. ამიტომ საჭირო იყო ჩვენ ისტორიკოსებს ყურადღება მიექციათ ამ გარემოებისათვის და ჩვენი ისტორიის ეს განსაკუთრებული მხარე მეცნიერულათ გამოერკვიათ.

ამ მხრით, როგორც ვსთქვით, ამხ. ფილიპეს ნაწერიც კოჭლობს. მაგალითად ამხ. ფილიპე მახარაძე სწერს... „სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობა გაჩნდა ჩვენში განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში“... და მერე ცოტა ქვევით განაგრძობს... სოც. დემოკრ. მუშათა მოძრაობას (ეს რუსეთში. რ. კ.) წინ მიუძღოდა რამდენიმე ეტაპი **რევოლიუციონური მოძრაობისა. ლენინის განცხადებით... სრულებით არ ვუარვყოფთ იმ მდიდარ მემკვიდრეობას, რომელიც ჩვენ დაგვიტოვეს წინანდელმა მოძრაობებმა**“... (იხ. დასასრული ბროშურის). ორივე ეს მტკიცება სწორია და მისაღები და ამიტომ ისინი მკლევარს ავალებენ სწორეთ ასეთი მეთოდით მიუდგეს თავის საგანს.

თუ საქართველოს ს. დ. მუშათა მოძრაობა განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში გაჩნდა, თუ ლენინისაგე მტკიცებით „ჩვენ არ ვუარყოფთ იმ მემკვიდროებას, რომელიც წინანდელმა მოძრაობებმა დაგვიტოვეს“, მაშინ ფილიპე მახარაძეს თავის ნაწერ-ნარკვევში უნდა აუცილებლად აღენიშნა „ის განსაზღვრული **ისტორიული პირობები**“, რომლებშიაც მისი სიტყვით ჩვენი ს. დ. მუშათა მოძრაობა გაჩნდა და კარგად დაეხასიათებია ის „მემკვიდრეობა“, რომელიც ქართველ ხალხს (მისი წიაღიდან გამოსულ მუშათა კლასსაც) „წინანდელმა მოძრაობებმა“ დაუტოვეს.

და მაშინ მკითხველისთვისაც გასაგები და ახსნილი იქნებოდა ის ერთი შეხედვით საოცარი მოვლენა, რასაც ფილიპე მახარაძე შემდეგი სიტყვებით აღნიშნავს... „ჩვენს მუშებში **შედარებით** (ალბად ორს. მუშებთან. რ. კ.) ჩქარა გაღვივდა და განვითარდა **პოლიტიკური** ან კლასობრიული **თვითშეგნება**“... (იხ. მე-17 გვ.)

მაგრამ მკვლევარმა სწორეთ ამ „ისტორიულ პირობებს და წარსულ მოძრაობის „მემკვიდრეობას“ არ გაუწია ანგარიში, არ გაუკეთა ანალიზი და ამიტომაც მან შეცდომათა მორევში შეტოპა.

იგი სწერს: „ამ თვითშეგნების განვითარებას ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი“ ჩვენში: 1) მეფის მთავრობის მეტათ უხეშმა და ტლანქმა პოლიტიკამ მუშების მიმართ... 2) მუშათა კლასის ჩამოყალიბება ჩვენში და **მარქსიზმის** გაცნობა მოხდა თითქმის ერთდაიმაე დროს: ასე რომ მუშათა მოძრაობა საქართველოში თაეიდანეე დაუკავშირდა მარქსისტულ თეორიას“...—(იხ. ბროშიურის მე-17 გვ.)

რამდენადაც **მეორე გარემოება** განსაკუთრებულია და დამახასიათებელი ჩვენი მუშათა კლასის მოძრაობისა, იმდენათ პირეელი საერთოა და ერთნაირათ მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მუშათა მოძრაობისათვის. მე მგონია, რომ არავითარი განსხვავება არ ყოფილა მეფის მთავრობის პოლიტიკაში საქართველოსა და რუსეთის მუშების მიმართ „უხეშობისა და სიტლანქის“ მხრით. მუშათა მოძრაობასთან ბრძოლაში რუსეთის მთავრობის მხრით ჩვენში თუ რაიმე განსხვავება იყო, ეს მხოლოდ იმ მხრით, რომ აქ მუშას ებრძოდენ არა მარტო როგორც მუშას, არამედ როგორც „ინოროდეცს“. მაშასადამე, პირეელი გარემოება—უხეშობა და „სიტლანქე“,—როგორც საქართველოს მუშათა თვითშეგნების „განვითარების“ ხელის შემწყობი, მოსატანი არაა.

ხოლო, რაც შეეხება მეორე გარემოებას, თითქმის ერთდაიმაეე დროს ჩვენში ადგილი ჰქონდა მუშათა კლასის ჩამოყალიბების და მისი მოწინაეე წარმომადგენლების მიერ მარქსიზმის გაცნობას—სრულ სინამდვილეს შეიცავს და მას მართლა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მუშათა კლასისათვის ჩვენებურ სახოგადოებრივ მიმართულებათა ორიენტაციის საკითხში.

მაგრამ მარტო ეს გარემოება მაინც ვერ ახსნის იმას, თუ ქართველმა მუშებმა, ამ გუშინდელმა გლეხებმა, რუსის მუშა პროლეტარებთან შედარებით რატომ უფრო ჩქარა, უკერო ინტენსიურათ და უფრო **მასიურათ შეითვისეს რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეა.**

ამ კითხვაზე ჩვენ ავხ. ფილიპე მახარაძის ნაწერი-ნარკვევი ვეროფერს გვეუბნება.

რაც შეეხება ამხ. სევასტი თალაქვაძის წიგნაკს, რაც გაცილებით მეტი მასშტაბით და პრეტენზიებით არის დაწერილი, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ თუმცა ავტორი ცდილა ამ კითხვაზე პასუხი მოეცა, მაგრამ ის კიდეე უფრო იბნეია და საკითხს სრულიად შეუფერებლათ უდგება.

ის თავის „შრომის“ დასაწყისიდანვე თითქო ცდილობს გამოარკვიოს, თუ როგორი იყო ქართული საზოგადოება 1850 წლიდან 1870 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, როცა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმი შემოიჭრა და სახალხო მეურნეობა კაპიტალისტურ გზაზე შედგა.

ავტორი სრულიად საბუთიანად და სწორი დებულებით იწყებს:

„ერთა შორის ბრძოლის ისტორიულმა კანონებმა საქართველო,— ამიერ კავკასიის ეს კულტურული ცენტრი—მე-19 საუკუნიდან მჭიდროთ დაუკავშირეს დიდმპყრობელი რუსეთის ერის ბედს“.

და მეორე შემდეგი აბზაცით ამას სრულიად შეუფერებელ და გაუმართლებელ დებულებას უმატებს.

„რევოლიუციური მოძრაობის დასაწყისს და **პარტიების წარმოშობას საქართველოში ამიტომ ისეთივე ისტორიული წარსული აქვთ, როგორც მათ რუსეთში ჰქონდათ**“. (იხ. „საქართველოს კომპარტიის ისტორისათვის“ გვ. 5).

ავტორს ჰგონია: რაკი „ერთა შორის ბრძოლის კანონმა საქართველო რუსეთის ერის ბედს დაუკავშირა“, ამიტომ საქართველოს რევოლიუციური პარტიების წარმოშობის ხასიათი და პროცესიც ისეთივეა, როგორიც არის რუსეთის (ველიკოროსიის) პარტიების. **ეს კი აშკარა შეცდომაა.**

სხვა რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ჩვენებური „საქართველოს სარევოლიუციო პარტიის“, სოციალ-ფედერალისტური (ნაშდვილად ნაციონალისტური) პარტიის წარმოშობის ისტორია მაინც აშკარათ ღაღადებს, რომ ჩვენში ზოგი პარტიის წარმოშობის ერთი მთავარი მომენტთაგანი **ეროვნული მოძრაობა** იყო, რასაც რუსეთის არც ერთი პარტიის წარმოშობაში ადგილი არ ჰქონია.

ავტორს ჰგონია: რაკი რუსეთშიც და საქართველოშიაც რევოლიუციური მოძრაობა“, „ანტი-მონარქისტული იყო“, ამიტომ რევოლიუციური პარტიები იქაც და აქაც ერთ და იმავე მიზანს ისახავდენ, ამ პარტიებს აქაც და იქაც ერთნაირი წარსული ჰქონდათ.

ჩვენთვის კი აშკარაა, რომ საქართველოს ანტი-მონარქისტულ პარტიას—ნაციონალ-ფედერალისტურ პარტიას მიზნათ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენდა ჰქონდა დასახული.

როგორც ვიცით საქართველოს სოციალ-დემოკრატიაც რევოლიუციური ანტი-მონარქისტული პარტია იყო, მაგრამ ის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას მიზნათ სულაც არ ისახავდა.

პროგრამით მისი მიზანი იყო: რუსეთის ხალხთან ერთად რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობა და „სრულიად რუსეთის დემოკრატ. რესპუბლიკის“ დაარსება.

მაგრამ რუსეთის ოქტომბრის (პროლეტარული) რევოლიუციის გამარჯვებამ გამოააშკარავა, რომ სინამდვილეში საქართველოს სო-

ციალ-დემოკრატიული მოძრაობის მიზანი არა მარტო რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობა იყო, არამედ მასთან ერთად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებაც, ე. ი. **საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენა**. ამ მხრით იგი სოციალ-ფედერალისტებისაგან თითქმის არაფრით განსხვავდებოდა.

ამბ. ფილიპე მახარაძესაც და სეფასტი თალაქვაძესაც ჰგონიათ, რომ საქართველოს მუშათა მოძრაობის იდეურობისათვის მხოლოდ ნაროდნიკობის და „ობშჩინას" ჰქონდა მნიშვნელობა.

არა, ნაროდნიკულ იდეებს, როგორც თვითონ ფილიპეც აღნიშნავს, იმ შემთხვევაშიც არ ექნებოდათ ის გასავალი ქართველ ხალხში, როგორც ეს იმ იდეებს რუსეთში ჰქონდა, თუნდაც მარქსისტულ იდეების გავრცელება მუშათა წრეებში დაგვიანებულიყო.

პატარა საქართველოში ხალხმა ბატონყმობის გაუქმებისთანავე გადალახა თემური ზღუდეები და კერძო მესაკუთრეობის განმტკიცებას შეუდგა: ის უყალოესათ წვრილ მესაკუთრეობის იდეოლოგიით გაიყვანეთა. ასეთ ხალხიდან გამოსული მუშათა კლასი წვრილი მესაკუთრეს ფსიქოლოგიით უფრო იყო გამსჭვალული, ვიდრე თემურის.

ამით აიხსნება, რომ ჩვენში ნაროდნიკულმა იდეებმა სამოცდაათიან წლებშიაც კი ფეხი ვერ მოიკიდეს და მისი მატარებელნიც მალე „გადაგვარდენ".

ამნაირათ ასახსნელია, თუ რატომ ისე ადვილათ ჩაქრა ჩვენში ნაროდნიკული „მოძრაობა" და ისე უმნიშვნელო შეიქნა მისი იდეური გავლენა ჩვენს მუშათა მოძრაობაში მაშინ, როდესაც ეროვნულმა იდეამ ჩვენში სოციალ-დემოკრატიის ერთი ნაწილის (მენშევიკურის) ნაციონალისტურ პარტიათ გარდაქმნაც კი შესძლო მისი იდეოლოგიური (მარქსისტული შემეცნების თვალსაზრისით) სისუსტის და ჩვენი ქვეყნის სოციალურათ განუვითარებლობის გამო.

რით აიხსნება ეს?

ამაზე, ვიმეორებ, არც ერთი ავტორი კრინტს არ ძრავს: თითქო ეს სასტიკათ აკრძალული იყოს.

ნამდვილათ კი ეროვნული საკითხის ნათლად გამორკვევა და მისი პრაქტიკულათ ჯეროვანი გადაჭრა კომპარტიას ჯერ იმ დროიდანაც აქვს მიზნათ დასახული, როცა იგი ს. დ. მუშათა პარტიის რევოლიუციურ ფრაქციას წარმოადგენდა. (მოიგონეთ ბოლშევიკების 1905 წ. ეროვნული პროგრამა).

ამნაირათ ამ საკითხისადმი სრული უყურადღებობა ორივე ავტორის ნაშრომ-ნაწერის ნაკლს წარმოადგენს. ხოლო სხვა მხრივ ისინი ერთი მეორეს შორდებიან და თვითეული მათგანი სხვადასხვა იდეურ ღირებულებას შეიცავს.

შევეხოთ მათ ცალცალკე.

ამხ. ფ. მახარაძის—„თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა“-ს გამო.

ეს სტატია, როგორც ვიცით, გამოიწვია თბილისის კომპარტიული ორგანიზაციის 30 წლის თავის დღესასწაულის გადახდის განხრახვამ. ამ მიზნით შედგა „განსაკუთრებული კომისია“, რომელმაც ამხ. ფილიპე მახარაძეს მიანდო „თბილისის ორგანიზაციის დაარსების წინა ხანის გაშუქება“, ე. ი. ისტორიულად გამოკვეთა იმისი, თუ როგორ და როდის ჩაისახა და წარმოიშვა თბილისის ს. დ. მუშათა რევოლიუციური ორგანიზაცია.

აქ საიუბილეო კომისიისათვის უმთავრესად საჭიროა იმ თარიღის გამორკვევა, რომლის მიხედვითაც მან მომავალი დღესასწაულის დრო უნდა დაასახელოს.

ცხადია, აქ ს.-დ. ორგანიზაციის ჩასახვის ის მომენტი უნდა იქნას მხედველობაში მიღებული, როცა თბილისში პირველად შედგა ს.-დ. მუშებისა და ინტელიგენტებისაგან ისეთი ჯგუფი, რომელმაც იკისრა ერთი მხრით ს.-დემოკრატიული იდეების თბილისის მუშათა შორის გავრცელება, ხოლო მეორე მხრით ახალათ აღძრული მუშათა სტიქიური მოძრაობის შეძლებისდაგვარათ ხელმძღვანელობა და რომელიც ამ მიზნით რეგულიარულათ იკრიბებოდა, რა თქმა უნდა, საიდუმლოთ, ფარულად და თავის კრებაზე რევოლიუციონური დადგენილებები გამოჰქონდა.

რა პირობებში, ვისგან და როდის, სად შედგა ასეთი ჯგუფი თბილისში? რითი აღნიშნა მან თავისი ს.-დ. რევოლიუციონური მოქმედების პირველი ნაბიჯი?

რას გვეუბნება ამხ. ფილიპე მახარაძის ნარკვევი—სტატია ყველა ამ კითხვებზე?

აი რას:

1896 წლის დასაწყისში, სწერს ამხ. ფილიპე, პირველათ გაეცანი მესამე დასელთა ჯგუფს, რომელიც ს. ჯიბლაძის ირგვლივ იკრიბებოდა... ესენი იყვნენ თითქოს მომზადებული ახალგაზრდები, მაგრამ მარტო თავის თავზე ჩაუნავდენ, ე. ი. თვითგანვითარებისთვის (იმ ჯგუფის უპრაველესობა მართლაც ასეთი იყო. რ. კ.)... მე ვეკითხებოდი ყველას ამხ. არაქელ ოქუაშვილის შესახებ, რომელსაც მე 1837 თუ 8 წლიდან ვიცნობდი... მე მწამდა, რომ არაქელ ოქუაშვილის საშუალებით ჩვენი ამხანაგები დაუახლოვდებიან თბილისის მუშებს... 1896 წელს, არ მახსოვს რომელ თვეში, მე დავიწყე მუშაობა ჟურნალ „კვალი“-ს რედაქციაში... აი სწორედ ამ დროს მოხდა ჩემი შეხვედრა არაქელასთან... მასთან მე გავიცანი ზ. ჩოდრიშვილიც. მე ვეცნობოდი ამათი საშუალებით მუშების წრის შედგენას

პოლიტიკური ეკონომიის ანბანის შესასწავლათ... მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უნდა ავბარგებულვიყავ თბილისიდან და მინდოდა გადამეცა ისინი ს. ჯიბლაძისათვის.. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამათ უკვე წრე ჰქონებოდათ და კონსპირაციის მოსაზრებით თურმე მე მიმალავდენ. (იხ. ამხ. ფილიპეს წიგნაკი გვ. 28).

ამხ. ფილიპეს განცხადება სრულიათ ადასტურებს იმ ჩემს მოსაზრებას, რომელიც მე არაქელას მიერ მუშაბის წრეში ამხ. ფილიპეს მიწვევის შესახებ ჟურნ. „რევოლიუც. მატიანე" 1925 წ. №1 (12) ში) გამოვთქვი (იხ. აღნიშნული ჟურნ. გვ. 149).

ამაზე ამხ. სევასტი თაყაქაძე შენიშნავს, ვითომ ეს ჩემი მოსაზრება „ლოიკური შეუსაბამობა და შეცდომა იყოს". (იხ. „რევ. მატ." № 1 (12) გვ. 150). აქ ამხ. სევასტი სწერს:

„ძველი მისი (ამხ. ფილიპეს) ნაცნობი მუშები—არაქელ და ზაქრო—შეხვდნენ ვარშავიდან ჩამოსულ ძველ ნაცნობს—ფილიპე მაზაიაძეს 1896 წლის დასაწყისში. ამის უფლება, როგორც ორგანიზაციის წევრთ, მათ ჰქონდათ „მორალურადაც" და „იურიდიულათაც". აქ ამით არავითარი კონსპირაცია არ ირღვეოდა მათ მიერ. შეხვდნენ ისინი ფილიპეს, მაგრამ მაშინვე, პირველ ხანებში, პირველ შეხვედრისთანავე კი არ გაუმხელიათ ფილიპესთვის ორგანიზაციის არსებობა და მისი მუშაობა" (იხ. „რევოლიუციის მატიანე" №1 (12) 1925 წლ. გვ. 149).

აქედან გამოდის ვითომ მე ვფიქრობდე, რომ არაქელას და ზაქროს არც „მორალურათ" და არც „იურიდიულათ" უფლება არ ჰქონდათ ვასო ცაბაძის „ნებადაურთველათ" შეხვედროდენ ამხ. ფილიპეს და გაემხილათ მისთვის თბილისში უკვე არსებული ს.-დ. ორგანიზაციის შუშაობა.

როგორც მკითხველი ხედავს, მე აქ არც „მორალური", არც „იურიდიული" და არც არავითარი იმ დროინდელი „უფლება" მხედველობაში არა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს, როგორც რევოლიუციონერ-მარქსისტ-კომუნისტს.

ანგარიშ გასაწევია ხმოლოდ კონსპირატიული მოსაზრება, როგორც ამას თვითონ ამხ. ფილიპე აცხადებს—„კონსპირაციის მოსაზრებით თურმე მიმალავდენ"-ო. ამ „დამალვისათვის" ამხ. ფილიპე არც უსაყვედურებს მათ. რევოლიუციონერისათვის კონსპირაციის უფლება ყველა სხვა უფლებაზე მაღლა სდგას. ეს უნდა ესმოდეს ყოველ რევოლიუციონერს.

ამასთან, როგორც თვითონ ამხ. ფილიპეს გადმოცემით ვიცით, კონსპირაციას ამ შემთხვევაში არა მარტო იმ ჯგუფის ინტერესები მოითხოვდა, რომელსაც არაქელა და ზაქრო ეკუთვნოდენ, არამედ—კიდევ უფრო თვითონ ამხ. ფილიპეს „ნახევრათ ლეგალური მდგომა-

რეობაც (იმ დროს იგი ჯერ კიდევ ქანდარმერიის საიდუმლო მხედველობის ქვეშ იმყოფებოდა). მხოლოთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამხ. ფილიპეს ძალიანაც „უნდოდა" მუშათა წრეში მეცადინეობა, რასაც მას ს. ჯიბლაძის რჩევა—„დე, მაგი (ფილიპე) იჯდეს თავის ოთახში, იკითხოს და როგორც თეორეტიკი მარტო (აქ „ქართული" ამხ. სევასტისაა) თეორიული საკვები მიაწოდოს ორგანიზაციასო"—ვერ დაუშლიდა, თუ რომ ზემოთ დასახელებული ნახევართა არა ლეგალური მდგომარეობა არ ყოფილიყო.

ამას ამხ. ფილიპე თითონვე აცხადებს ზემოთმოყვანილ სიტყვებში, საიდანაც ნათლათ სჩანს, რომ იგი „მუშათა წრეში სამეცადინოთ" არ წასულა. ამხ. სევასტი კი ამხ. ფილიპეს დაჟინებით გზავნის „მუშებთან სამეცადინოთ" და მერე არა ერთ წრეში, არამედ „წრეებში".

იგი სწერს... „ამ რიგათ ვ. ცაბაძეს ეძლევა შემთხვევა წაიყვანოს ფილიპე მახარაძე მუშათა არალეგალურ წრეებში სამუშაოთო". (იხ. „რევოლიუც. მატიანე"-ს № 1 (12) გვ. 152).

მე იმაზე აქ არაფერს ვიტყვი, თუ რათ დასჭირდა ამხ. სევასტის ასეთი სიცრუის შეთხზვა (დე, ამას თვითონ მკითხველმა დასდოს მსჯავრი) ვაცხადებ მხოლოდ, რომ ამხ. ფილიპეს შესახებ მე ბევრჯერ შევკითხვივარ ვასო ცაბაძეს (რადგან ვეუბნობდი: იქნებ მე ვერ შევნიშნე მეთქი) და ყოველთვის მისგან უარყოფითი პასუხი მიმიღია. ამასვე დაამოწმებენ თვითონ ამხ. არაქელა, ვანო და გიორგი რომელთა მეთაუროთით მაშინ „მუშათა წრეები" დგებოდა. მე მგონია, რომ ამასვე დაამოწმებს თვითონ ამხ. ფილიპე მახარაძეც. ამის შემდეგ, მე აღარ ვიცი, რა ფასი უნდა ჰქონდეს ამხ. სევასტი თალაქვაძის მიერ შეთხზულ „შენიშვნებს და ისტორიებს".

მაგრამ დავანებოთ თავი ამხ. თალაქვაძის „შენიშვნებს", მით უფრო, რომ შემდეგ წერილში მას ცალკე უფრო ვრცლად შევეხები, მიუბრუნდეთ თვით ამხ. ფილიპეს ნარკვევს.

ის ემყარება უმთავრესად ვასო ცაბაძის მოგონებას და მუშათა ს. დ. ორგანიზაციის თბილისში ჩასახვის ასე აგვიწერს:

„...1894 წლის ოქტომბრის თვეში ს. ჯიბლაძე და ვასო ცაბაძე წასულან ჩვეულებრივ კრებაზე, სადაც ლაპარაკი და მსჯელობა ყოფილა მარქსის ფილოსოფიაზე, აქ გაუცვნიათ მათ ვინმე სტანისლავ რენიგერი. ამ რენიგერის საშუალებით ვასო ცაბაძე გაეცნო ერთ პატარა ჯგუფს მარქსისტებისას, რომელსაც გადაეწყვიტა თბილისის მუშებში მუშაობის დაწყება. ეს ჯგუფი შესდგებოდა სულ ოთხი კაცისაგან: „სტანისლავ რენიგერი" („იუსტინე"), თედორე აფანასიევი, მ. კლიმიაშვილი და კოკი. ამ ჯგუფის საშუალებით **პირველი წრე მუშებიდან დაარსებულა დაახლოვებით იმავე წლის (1894 წ.) ნოემ-**

ბერში. (წრეში ითვლებოდა 6 კაცი). წრე შესდგომია სისტემატიურ მუშაობას, როგორც თვითგანვითარების, ის მუშებში პროპაგანდის გაწევის მიზნით...

დამოუკიდებლათ ამ წრისა 1893 წელს თბილისის რკ. გზ. სახელოსნოებში შემდგარა მუშების წრე (6 თუ 7 კაცი), რომელშიაც შედიოდენ მარტო რუსები. ე. ყიასაშვილის გადმოცემით 1894 წელს ჯაფხუაში რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებლის მოწაფეებისაგან შემდგარა წრე (4—5 კაცისაგან).

ასე რომ 1894 წელს ხელმძღვანელ ჯგუფის გარდა თბილისში დაარსებულა კიდევ 4 წრე, რომელიც ერთნაირ სისტემატიურ მუშაობას აწარმოებდა".

ქვეეით ამბ. ფილიპე განაგრძობს: „საქმე დაწყებული 1894 წ. მიწურულში, ჩაჭრა ისე გაფართოვდა და გაიზარდა, რომ უკვე 1896 წლის დასაწყისში როგორც გადმოგვცემს ამბ. გიორგი ჩხეიძე, თბილისის რკინის გზის სახელოსნოებში შესდგა უკვე ორი ძლიერი წრე, ანუ უჯრედი. ამ წრეს ხელმძღვანელობა უნდა გაეწია მთელი სახელოსნოს მუშებისათვის იმით ბრძოლაში მთავრობის წინააღმდეგ"...

„აქედან ჩვენ ვხედავთ, დაასკვნის ამბ. ფილიპე, რომ 1894—96 წწ. განმავლობაში მუშათა-მარქსისტულ წრეების შედგენა-მოწყობაში ჩამხდარა ერთნაირი შერჩევა და გადაჯგუფ-გაღმოჯგუფება. ყოველ შემთხვევაში ზემო დასახელებული ორი წრე ცახდა მთელი თბილისის ორგანიზაციის, და ჟრა მარტო თბილისის, არამედ მთელი საქართველოს და შემდეგ მთელი ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების დედაბოძად"... აქედან დასკვნა: **„ასე რომ 1896 წლის დასაწყისში იწყებენ რევოლიუციონურ მოქმედებას უკვე საქმარისად მომზადებული მარქსისტული წრეები ანუ უჯრედები...** („იხ. ამბ. ფილიპე მახარაძის წიგნაკი „თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა"-ს გვ. 28-32).

მაშასადამე, ამბ. ფილიპეს გამორკვეით თბილისის ორგანიზაციის ჩასახვის თარიღათ 1896 წლის დასაწყისი უნდა მივიღოთ, ასე რომ, 30 წლის თავი შესრულდება 1926 წლის დასაწყისს. და თუ შეეძლებოდით იმ რევოლიუციური ნაბიჯის დათარიღებას, რომელიც ამ ს. დ. რევოლიუციურ ჯგუფს ამ 1896 წლის დასაწყისში პირველათ გადაუდგამს, მაშინ ჩვენ ის დროც განსაზღვრული გვექნებოდა, რა დროსაც საქართველოს კომპარტიამ ეს დღესასწაული უნდა გადაიხადოს. ამის ცდას კი ჩვენ ამბ. ფილიპეს ნარკვევში ვერ ვხედავთ, რაც მის ნაკლს წარმოადგენს.

ამ ნაკლის შესავსებათ კი ჩემის აზრით საკმაო იყო მხედველობაში მიეღო მას ვ. ცაბაძის მოგონება, სადაც ეს თარიღიც აღნიშნულია, სხვა დოკუმენტი ამაზე არ მოიპოვება.

ვასო ცაბაძე სწერს: „...1895 წლის დამლევს ჩვენ უკვე გვყავდა მოწინავე მუშათა კონტინგენტი, რომელიც ხელმძღვანელ ჯგუფს დიდ დახმარებას უწევდა და მუშათა ფართო წრეებში დიდ აქტიურ მუშაობას აწარმოებდა (იხ. „რევ. მატ." № 3—1923 წლ.).

„ხოლო 1896 წლის ზაფხულზე—განაგრძობს ვასო,—გარდა რკინის გზის დეპოს სახელოსნოსი, ფართო კავშირი გავებით თბილისის თითქმის ყველა თამბაქოს ფაბრიკის მუშებთან... ამ ფაბრიკებში გაფიცვები წინადაც ყოფილა, ხოლო გაფიცვას არასოდეს ისეთი ფართე, ხანგრძლივი და მტკიცე ხასიათი არ ჰქონია, როგორც 1896 წ. **ჩვენმა ჯგუფმა აქ პირველად აიღო თავის თავზე ამ გაფიცვების ხელმძღვანელობა**... გაფიცვა მოხდა შემდეგ ფაბრიკებში: ბოზარჯიანცის, ენფიაჯიანცის, საყაროვის და სხ. გაფიცვა დაიწყო იელისის პირველ რიცხვებში... გაფიცვა გაგრძელდა ერთ თვეზე მეტი. კუკიის სასაფლაოს იქით ღამ-ღამობით ხდებოდა გაფიცული მუშების დიდი კრებები, რომელზეც სისტემატიურად ესწრებოდა 100-200 კაცამდე. ამ კრებებზე ხელმძღვანელი ჯგუფი ეწეოდა ფართო აგიტაციას — როგორც ეკონომიურის, ისე პოლიტიკური ხასიათის... გაფიცვანი გაფიცულების შხრივ ყველაზე აქტიურ როლს ითამაშობდენ: **გიორგი აზნაუროვი, სანდრო ბაჯიაშვილი, ვანო მანჯავიძე** თათარი ასაოა... მოუხედავათ გაფიცვის დამარცხებისა, გაფიცულ მუშებსა და ჩვენს შორის სამუდამო კავშირი მოეწყო. გაფიცული მასსა ძალიან მალე დადგა ჩვენი გაელვების ქვეშ... ჩვენ აქ პრაქტიკულად დავრწმუნდით იმაში, რაც კარგათ ვიცოდით თეორიიდან. თუ წრეების საშუალებით წლებია საჭირო მუშებში კლასობრივი თვითშეგნების შესატანათ—გაფიცვების წყალობით ეს შეგნება სულ რამდენიმე დღეს ხდება".

„1896 წლის დამლევს უკვე სისტემატიურათ იკრიბებოდა და მეცადინეობა სწარმოებდა დაახლოებით 25 მუშათა წრეში"... (იხ. „რევ. მატ." მე № 5, 1923 წლ. გვ. 178 და 180.

ასე აგვიწერს ვასო ცაბაძე თავის მოგონებაში თბილისის ორგანიზაციის პირველ ჩანასახს – პირველ ხელმძღვანელ ს.-დ. ჯგუფის „რევოლიუციური მოქმედების" განვითარების პროცესს.

აქედან ნათლად სჩანს შემდეგი:

1894 წლის დამლევს თბილისში შემდგარი ს. დ. ჯგუფი, რომელიც ყველაფერათ მზათ იყო მუშებში ს. დ. პროპაგანდის გასაწევათ, 1895 წელს საკმაოთ ფართოვდება და მუშებისაგან აწყობს რამდენიმე ისეთ წრეს, რომელთა წევრებს შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ხელმძღვანელ ჯგუფს. ხოლო **1896 წლის ზაფხულზე ეს ჯგუფი იმდენათ მოლონიერებული-მომზადებულია**, რომ ის გაბედულათ ხელმძღვანელობას უწევს მუშათა „ფართო და ხანგრძლივ" გაფიცვას. ეს

იმას ნიშნავს, რომ იგი ვიწრო წრეებში მოქმედებიდან ფართე მასსებში მოქმედებაზე გადადის. **სიტყვით პროპაგანდასთან ერთად საქმით პროპაგანდას, ე. ი. აგიტაციას აწარმოებს. ვიწრო პროპაგანდიდან ფართე მასიურ აგიტაციაზე გადადის.** ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი მომენტია რევოლიუციურ ორგანიზაციის ცხოვრებაში და მე მგონია უმჯობესი იქნებოდა სადღესასწაულო-საზეიმო მომენტათ ეს დრო მივეცეო. მით უფრო, რომ ამისი თარიღი არავისთვის საეჭვო არაა.

1896 წლის ივლისი, აი ეს თარიღი.

თბილისის ორგანიზაციის 30 წლის თავი ამ ორგანიზაციის გაჩენის ორ მომენტიდან ერთ-ერთს უნდა შეუფარდოთ: ან მისი პირველი ხელმძღვანელი ჯგუფის პირველ ნაბიჯს, როცა მან ს.-დ. მუშური ბიბლიოთეკა მოაწყო და მუშათა პირველი საპროპაგანდო წრე შეჰქმნა. (ეს იყო 1894 წლის ნოემბერი) ან და ზემოთ აწერილი მისი მასიური სააგიტაციო მასსელა (ე. ი. 1896 წლის ივლისი). მე მგონია, ვიმეორებ, პირველზე უფრო მნიშვნელოვანი და ღირსალსანიშნავი მეორე მომენტია და ეს მიღებულ უნდა იქნეს მით უფრო, რომ პირველი მომენტის ზეიმით აღნიშვნის დრო ჩვენ უკვე გაეუშვით.

ამხ. ს. თალაქვაძის – „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის"

ამ სათაურით გამოვიდა 166 გვერდიანი წიგნაკი ამ ერთი თვის წინად და ალბად დღეს იგი ქართველ მკითხველთა შორის ვრცელდება.

ეს გარემოება და კიდევ ის, რომ ამ წიგნაკის ავტორი დღეს „პარტიის" სათავეში დგას და მას, შეიძლება, ამის გამო პეწრი რამ შეუმოწმებლად დაუჯეროს მკითხველმა, მაიძულებს ისტორიულ-მეთოდოლოგიური თვალსაზრისით განვიხილო ეს „ნაშრომ-ნაწერი".

ამას წინად ამხ. პავლე საყვარელიძემ გაზეთ „მუშა"-ში (იხ. № 875—1925 წ.) ხელაღებით დაჰგმო ეს „შრომა" და მკითხველები გაფრთხილა: ამხ. თალაქვაძეს არ ენდოთ, ვინაიდან იგი ისტორიას კი არ ამუშავებს და არკვევს, არამედ „არაკებს" სთხზავსო". მაგრამ ვაფრთხილებ მარტო არ კმარა: შეიძლება ეს ვისმე უსაბუთო ეგონოს. ამიტომ აუცილებელი ხდება დასახელებული წიგნი განვიხილოთ და თავიდან ბოლომდე მასში გაბნეული შეცდომები აღვნიშნოთ.

ავტორის მთავარ მეთოდოლოგიურ შეცდომაზე მე პირველ სტატიაში უკვე ვილაპარაკე. ეხლა საჭიროა აღვნუსხო მისი იდეოლოგიური და ფაქტიური შეცდომები. მაგრამ ვიდრე ამ აღნუსხვას შეუდგებით, ერთი საერთო ხასიათის შენიშვნა კიდევ საჭიროთ მიმაჩნია

აღვნიშნო. ეს წიგნაკი მეტად „ზერელეთ“ არის დაწერილი, ე. ი. ამბ. ბუბნოვის თქმისა არ იყოს (სხვა შემთხვევის გამო) იგი „უფილოსოფო ისტორიას“ წარმოადგენს; ალბად აეტორი ამხ. ვ. ნევსკის თუ ბაძავს.

ჩვენ კი ასე გვგონია და დღესაც ვფიქრობთ, რომ მარქსისტული ისტორია უაღრესად „ფილოსოფიურია“.

და ვინც „უფილოსოფიო“ ისტორის სწერს, იგი მეცნიერულ მეთოდსაც და კვლევა-ძიების სწორ გზასაც დაშორებულია. შევეხოთ აეტორის შეცდომებს.

პირველი იდეოლოგიური შეცდომა

აეტორი, სხვათა შორის, მოგვითხრობს, თუ როგორ დაარსდა 1904 წელს პარიზში „სოციალისტ“-ფედერალისტების სარევოლიუციო პარტია“, აღნიშნავს, რომ ამ ჯგუფის მეთაურობით სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები შეთანხმდენ და გაერიანდენ ერის ნაციონალურ (!) საფუძველზე გამოკვეთილ პარტიაში, და დასკვნის: „ასეთია საფუძველი, რაზედაც აეგო „სოციალისტ-ფედერალისტების“ პარტია საქართველოში“ (იხ. წიგნაკის 102 გვერდი). თუმცა ძნელია გაიგოთ, თუ რას ნიშნავს ამხ. ს. თალაქვაძის გამოთქმა „ერის ნაციონალურ საფუძველზე გამოკვეთილი პარტია“, მაგრამ ვიგულისხმოთ აქ ის აზრი, რომ „სოციალ-ფედერალისტების“ ძირითადი იდეა, ეს ეროვნული იდეა იყო.

ეს მართალია, მაგრამ ისტორიის მკვლევარის ყალამი ანალიზით უნდა შეეხოს ამ ეროვნულ იდეას და მის წარმომშობ მიზეზებს და არ დაკმაყოფილდეს სრულიად უმნიშვნელო წამოძახილით: „ასეთია საფუძველიო“; და ეს მით უფრო არ უნდა ჩაიდინოს ჩვენი ისტორიის მკვლევარმა რომ, როგორც თვითონ ამხ. თალაქვაძეც აღიარებს, ამ პარტიის ორგანში „პროლეტარულ რევოლიუციონური ნაწილიც“ იდგა. თუმცა აეტორი თვითონვე აცხადებს: „ეს ნაწილი დღეს უკვე კომპარტიის დროშის ქვეშ იმყოფებაო“, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რამ უფრო მიიზიდა ისინი „კომპარტიის დროშის ქვეშ“,— ჩვენი პარტიის კლასობრივმა ხასიათმა, თუ ჩვენი პარტიის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენამ „ფედერაციის“ ფორმით. ამაზე ამხ. ს. თალაქვაძე, ცხადია, ვერაფერს გვეტყვის. სამაგიეროთ ამ პარტიის შექმნის მიზეზს ასე განმარტავს: „სოციალ-ფედერალისტების პარტიის შექმნაში ჩემი შეხედულებით როლი ითამაშეს ზოგიერთ სოციალურ ელემენტების, ქართველ თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიული ინტელიგენციის პატრიოტულ-სეპარატისტულმა გრძნობებმაო“. შეიძლება ითქვას, რომ „პატრიოტულ-სეპარატიულმა“

გრძნობებმა, უკეთ—ინტერესებმა, ქართველი თავად-აზნაურულ ბურჟუაზიული ინტელიგენცია მიიყვანოს რომელიმე ნაციონალისტურ პარტიაში, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ სეპარატიულ გრძნობებს ესერთა პარტიის შექმნაში როლი „ეთამაშნოს", ყოვლათ უსაფუძვლოა. მით უმეტეს, რომ სეპარატიზმი უარყოფაა ფედერალიზმის და, მაშასადამე, სეპარატისტები და ფედერალისტები ერთ პარტიაში ვერ მოთავსდებიან.

ჩვენებური ყოველი ნაციონალური პარტია, მართალია, მიზნათ ისახავდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, მაგრამ ნაციონალისტების ერთმა ჯგუფმა არჩილ ჯორჯაძის მეთაურობით ანალიზი გაუკეთა საართაშორისო მდგომარეობას და საქართველოს ისტორიულ პირობებს და მან თავისი პოლიტიკური იდეალის განხორციელება შესაძლებლად სცნო მხოლოდ ფედერატიული ფორმით. წარმოიშვა ჩვენში „სოციალისტ-ფედერალისტების", უკეთ, -ნაციონალ-ფედერალისტების პარტია. რაც შეეხება ნაციონალისტურ პრინციპს, ეს მან მის მიერ აღიარებულ რუსეთის ნაროდნიკული იდეოლოგიის სალაროდან ისესხა და შეეცადა საქართველოს მშრომელი ხალხის სოციალიზმისაკენ მისწრაფებისათვის შეეწყო იგი. მანაც ეს პრინციპი ისევე გულწრფელად წამოაყენა, როგორც ამას რუსეთში ნაროდნიკები შვრებოდნენ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი უტოპიური არ იყო ან წვრილ ბურჟუაზიულ სოციალიზმს არ წარმოადგენდა. ისტორიულმა მსელელობამ რუსეთში ბევრებსაც კი დაანახვა, რომ დიდათ გულწრფელი და სახელოვანი რევოლიუციონერები—სოციალისტ-ნაროდნიკები წვრილ ბურჟუაზიულ-უტოპიური იდეოლოგიის წარმომადგენლები იყვენ და მეტი არაფერი.

ასე მოუვიდათ ჩვენში იდეურ „სოციალისტ ფედერალისტებსაც". მათ სწამდათ ქართველი მშრომელი ხალხის „სოციალისტობა", მაგრამ ამავე დროს ეს არ ესმოდათ, რომ ნამდვილი სოციალიზმი-კომუნიზმი ეს—მხოლოდ სამრეწველო პროლეტარიატის იდეოლოგიაა და მუშათა კლასის ხელით, მისი ხელმძღვანელობით განხორციელდება იგი.

ხოლო რაც შეეხება ამ პარტიის ძირითად იდეას, ეროვნული იდეის ფედერატიული ფორმით განხორციელებას,—ეს რუსეთის პროლეტარულმა რევოლიუციამ სრულიად გაამართლა, მაგრამ არა „სოციალ-ფედერალისტების" ან მათი მონათესავე ესერების ხელმძღვანელობა-წინამძღოლობით, არამედ კომპარტიის. ამიტომაც „სოციალ-ფედერალისტების" პროლეტარულ-რევოლიუციონური ნაწილი დადგა დღეს კომპარტიის დროშის ქვეშ და ამნაირად ნაციონალურ-ფედერალურ პარტიას ნიადაგი გამოეცალა, იგი დაიშალა.

მეორე იდეოლოგიური შეცდომა

„რატომ" გაიმარჯვა მენშევიზმმა საქართველოში 1905 წლის დასაწყისში,—კითხულობს ამხ. სევასტი თალაქვაძე თავისი წიგნაკის მე-113 გვ. და ამის პასუხათ 13 გვერდის სიერცეზე ამხ. ფილიპე მახარაძის აზრსა თუ დებულებას გადმოგვცემს. მისი გადმოცემით, ამხ. ფილიპე მახარაძე თურმე იმ აზრისაა, რომ მენშევიზმის გაბატონება საქართველოში „**მოულოდნელი და შემთხვევითი ზეგავლენის შედეგია**" (იხ. წიგნაკის 113 გვ.). ჩვენ აქ არ გამოუდგებით იმის გაშორკვევას, თუ როგორია ამხ. ფილიპე მახარაძის ნამდვილი აზრი ამ საკითხზე, მხოლოდ ვიტყვით, რომ ზემოთ აღნიშნული აზრი და გაგება ამხ. სევასტი თალაქვაძეს სრულიათ დამტკიცებულათ მიაჩნია და თავის წიგნაკში დიდ ჰოპულიარიზაციას" უკეთებს, მაშინ როდესაც კომპარტიას არ შეუძლია ეს მტკიცება მიიღოს და მას დაეთანხმოროს. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ მოვლენის—მენშევიზმის საქართველოში გაბატონების სევასტისებურათ ახსნა-განმარტება დიდი შეცდომა და გაუგებრობაა.

მენშევიზმი, როგორც ვიცით, რუსეთის ს. დ. მუშათა პარტიაში გაჩენილი მიმდინარეობაა, რომელსაც ახასიათებს: „ეკონომიზმი", რეფორმიზმი და ოპპორტუნიზმი: მაგრამ როგორც ისტორიიდან ვიცით, ეს თვისებები, სამუშაროთ, მსოფლიო მუშათა მოძრაობას თავიდანვე თან დაჰყვა. ვინ არ იცის, მაგალითად, ინგლისის მუშათა მოძრაობის—ტრედუნიონიზმის ეს ნაკლი. აკი ხოკჯერ მენშევიკებს ტრედუნიონისტებს უწოდებენ ხოლმე (იხ. მაგალითად კოხას ბროშიურა „პარტიულ უთანხმოებაზე გაკვრით" 1904 წ.). ამასთან ჩვენ ისიც ვიცით, რომ მსოფლიო მუშათა მოძრაობა მეორე მხრით ხასიათდება სოციალისტური იდეალით და მისწრაფებით, და რეფორმიზმით. ამნაირათ მუშათა მოძრაობაში თავიდანვე იბრძვის ეს ორი მიმდინარეობა: მენშევიზმი და ბოლშევიზმი. ეს ს.-დ. სპეციფიური თვისება როდია, არამედ ის მუშათა მოძრაობის ძირითად ხასიათს წარმოადგენს და როცა ეს ბრძოლა ბოლშევიზმის გამარჯვებით გათავდება, მაშინ მუშათა მოძრაობაც თავის საბოლოო მიზანს მიაღწევს, ე. ი. კომუნიზმს დაამყარებს.

დღეს კი ჩვენ ეხედავთ, რომ მსოფლიო მუშათა მოძრაობაში რეფორმიზმი კიდევ ძლიერია, ხოლო ბოლშევიზმი დედამიწის მხოლოდ მეექვსედზეა გამოცხადებული და იგი სრული გამარჯვებისაკენ თანდათან გზას იკაფავს.

საქართველოში 15 წლის განმავლობაში (1905—21-მდე), ხოლო გერმანიაში დღესაც მენშევიზმის ბატონობაა. ამის მიზეზი ღრმათ მარხია საერთოდ მუშათა მოძრაობის ზემოთ აღნიშნულ ხასიათში,

რომელიც თავის მხრით მუშათა კლასის შემადგენლობის სხვადასხვაობით და ისტორიით აიხსნება. ცხადია, საქართველოში მენშევიზმის გაბატონების მიზეზები ერთია, ხოლო გერმანიაში და სხვაგან მისი ბატონობის კიდევ სხვაა. ყოველ შემთხვევაში, ეს მიზეზები არც საქართველოში და არც სხვაგან „მოულოდნელობით და შემთხვევითი" თვისებით არ ხასიათდება. ისინი ყველგან კანონშეწონილობას შეიცავენ. რა თქმა უნდა აქაც, როგორც სხვაგვარ საზოგადოებრივ მოვლენებს, განვითარების ან შეჩერების ტენპს „ხელს უწყობს" სხვადასხვა ადგილობრივი პირობები და „შემთხვევები", მაგრამ „მოულოდნელი" და წინასწარ გაუთვალისწინებელი არც ეს პირობები და შემთხვევებია, **ადგილობრივი ისტორიული პირობები და „ადგილობრივ-შემთხვევითი"**,—აი რა უნდა გავარჩიოთ ჩვენ ერთი მეორისაგან, როცა რომელიმე ქვეყნის მუშათა მოძრაობას ანალიზს ვუკეთებთ. ამ. სევაზე თალაქვაძის მტკიცებით საქართველოს სოციალ-დემოკრატია 1905 წლამდე ერთიანათ ბოლშევიზმით იყო გაჟღენთილი, ხოლო საზღვარ-გარეთიდან ნ. ჟორდანიას „მოულოდნელი" ჩამოსვლით და ციმბირიდან „შემთხვევითი" ამ დროს დაბრუნებული „მისი მეგობრის", სილიბისტრო ჯიბლაძის „ზეგაელენით" ერთობაშათ გაძერშევიკდა.

ნამდვილათ კი საქართველოს სოციალ-დემოკრატიაშიც ისე, როგოროც სხვა ქვეყნის სოციალ-დემოკრატიაში, დღიდან მისი გაჩენისა, ჩაისახა ორგვარი მიმდინარეობა, ოროგვარი ტენდენცია, რაც შემდეგში მენშევიზმათ და ბოლშევიზმათ ჩამოყალიბდა.

მართალია საქართველოს ს. დ. პირველ ორგანიზაციაში თავიდანვე მუშური ელემენტები 50 პროც. შეადგენდენ (პირველ ინიციატურ ს. დ. კომიტეტში მაგალითად 4 მუშა იყო და ოთხი ინტელიგენტი 1897 წლიდან, იხ. ჟურნ. „რევ. ძატიანე"-ს მე-3 №-ში გვ. 29, 1923 წლ.) და ამ კომიტეტის 1899 წლის დასაწყისში გამართული სხდომის შინაარსი აშკარათ გვიჩვენებს, რომ საქართველოს ს. დემოკრატიაში ორი სხვადასხვა მიმდინარეობა უკვე იმ დროიდანვე ისახებოდა.

პირველივე სოც. დემოკრატიის პირველი კომიტეტის ამ სხდომაზე პირველად გაირკვა ჩვენში პირველ მაისობის დღესასწაულის პოლიტიკური მიზანშეწონილობა; და აღმოჩნდა, რომ ამ კითხვამ კომიტეტი ორათ გაყო: ერთი მუშური ჯგუფი, რომელიც მაისობის გამართვას მიზანშეწონილათ სცნობდა, ხოლო მეორე, ინტელიგენტური, რომელიც ამ დღესასწაულის გამართვას ამ წელს (1899 წ.) ორგანიზაციის დაუფეხვათ სთვლიდა და განუსაზღვრელ დროისთვის მის გადადებას ლამობდა *).

*) ამის შესახებ იხ. ჩემი სტ. „ქართული მუშათა ჟურნალ-გაზეთის ისტორია"—1923 წლ. „რევოლ. მატიანეს" № 3—29 გვ. ბოლო აბზაცი.

მეორე ჯგუფს მეთაურობდა სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც ამბ. სევასტი თალაქვაძის ცნობითაც ნოე ჟორდანიას მეგობრათ ითვლებოდა: იგი მართლაც ნოე ჟორდანიას არალეგალურ დამატებას წარმოადგენდა და რაც ოპორტუნისტული, ნაციონალისტური ან რეფორმისტული რამ სჩირდა პირველს, იმას მეორე პრაქტიკაში ატარებდა და როდ ნ. ჟორდანიას ს.-დ. მსოფლმხედველობა, მისი „მარქსისტული“ იდეოლოგია ერთიანათ ოპორტუნიზმით და ნაციონალიზმით იყო გამსჭვალული ჯერ კიდევ 1892—3 წლებში, ამას სხვათა შორის თვითონ ამბ. სევასტი თალაქვაძის წიგნის ის ადგილი მოწმობს, სადაც სწერია: „აქ სჩანს ნ. ჟორდანიას ნაციონალისტური გადახრა, მისი მარქსიზმის ოპპორტუნისტული სამოსელი“ (იხ. ამბ. თალაქვაძის წიგნაკის 14 გვ. მეორე შენიშვნის ბოლო, რომელიც ნოე ჟორდანიას მიერ 1892—3 წლებში დაწერილ სტატიას „ეკონომიური წარმატება და ეროვნებას“ შეეხება)

ამნაირათ საქართველოს ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციაში ნოე ჟორდანიას ოპპორტუნიზმი ჟურნალ „კვალის“ და სილიბისტრო ჯიბლაძის საშვალებით იქნა შემოტანილი ჯერ ისევ 1897 წლიდან.

ხოლო მეორე მხრით იმავე წლებში და იმავე ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შემოტანილ იქნა რევოლიუციონიზმი და ინტერნაციონალიზმი მუშური ელემენტების საშუალებით (ზაქარო ჩოდრიშვილი, მიხა ბოჭორიძე, არაქელა ოქუაშვილი).

ეხლა თუ ვიკითხავთ „რატომ გაიმარჯვა“ მენშევიზმმა და არა ბოლშევიზმმა საქართველოში 1905 წლის დასაწყისში, მაშინ ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ ყველა ის ადგილობრივი პირობები, რომლებიც ერთი მხრით ხელს უწყობდენ დიდიდან ჩასახვის, ს.-დემოკრატიაში გაჩენილ ოპპორტუნისტულ-ნაციონალისტურ მიმდინარეობის გავრცელება-გამაგრებას, ხოლო მეორე მხრით ხელს უშლიდენ ინტერნაციონალურ-რევოლიუციონურ მიმდინარეობას იმავე სოციალ-დემოკრატიაში.

ასეთი პირობები იყო: საქართველოს ხალხში დაწყებული კლასობრივი დიფერენციაციის ნაკლები განვითარება, აქედან დიდი უმრავლესობის წვრილ-ბურჟუაზიული ბუნება, „მეშჩანობა“, ხოლო მეთაოა კლასის რიცხვითი სიმცირე და იდეურათ გამოურკვეველობა: მისი ჩამოყალიბებული კლასობრივი იდეოლოგიის და ფსიქოლოგიის უქონლობა; გარდა ამისა ს. დემოკრატიის ოპპორტუნის ჭულ-ნაციონალისტური მიმდინარეობის მატარებელ ინტელიგენტების იდეოლოგიური ძლიერება და ნიჭიერება (ნოე ჟორდანია, როგორც ნიჭიერი პუბლიცისტ-ლიტერატორი და მეცნიერული ცოდნით აღჭურვილი, ხოლო მისი მეგობარი სილიბისტრო ჯიბლაძე ნიჭიერი ორატორი, დიდი ენტუზიასტი და ორგანიზატორი, რომლის ნებისყოფას თვითონ ნოე ჟორდანიაც კი ემორჩილებოდა).

აქ ამ უკანასკნელ პირობაზე შეიძლება ითქვას, რომ ის არის თითქოს „შემთხვევითი“, რის გამოც ამხ. სეფასტი თალაქვაძე და მისი ცნობით ამხ. ფილიპე მახარაძეც მენშევიზმის საქართველოში გამარჯვების თეორიას ჰქმნიან. მაგრამ თუ ამ მოვლენასაც ღრმა ანალიზს გაუკეთებთ, აღმოჩნდება, რომ არც ის არის შემთხვევითი და ან კი რა არის შემთხვევითი ამ ქვეყნათ. ასეთი რამ მეცნიერებამ არ იცის.

და მართლაც, რომელს შეეძლო ვრცელი ევროპიული „განათლება“ მიეღო იმ ახლად აღორძინებულ ბურჟუაზიულ სახოგადოებიდან გამოსულ ორ ნიჭიერ და ძლიერ პიროვნებათა შორის, ეგნატე ინგოროყვას, ღარიბ-ღატაკი გლეხის შვილს, თუ გურული სოფლის შეძლებული და დაწინაურებული აზნაურის შვილს, ხოე ჯორდანიას?. ცხადია, რომ ხოე ჯორდანიას, მისი ეკონომიურ სოციალური მდგომარეობა მას იდეოლოგიურ ძლიერებასაც ანიჭებდა და როცა ის ს. დემოკრატიულ ორგანიზაციაში მოხვდა, მან იქ თავისი იდეოლოგიური ძლიერებით თავისი ოპპორტუნიზმიც განმტკიცა.

სულ სხვა იქნებოდა თუ რომ ეგნატეს დასცლოდა, სიღატაკით გაწამებული უდროოთ სიცოცხლე არ მოსპობოდა, თუ რომ მას „ევროპიული“ განათლების მიღება შესძლებოდა და სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შესელას მოსწრებოდა, უთუოდ თავის რევოლიუციონიზმს შეიტანდა იქ და ხოე ჯორდანიას სასტიკ, დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებდა. მაგრამ, როგორც იცით, სიღარიბემ და მისმა სოციალურმა მდგომარეობამ მას უდროოთ ბოლო მოუღო და იგი საქართველოს ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციას მოაკლო. გაიგივებს „შემთხვევითია“? არა, აქ იგივე ისტორიულ-სოციალური მიზეზი მოქმედობს და განსაზღვრულ დრომდე რევოლიუციონიზმის მატარებელ ძლიერ ელემენტებს სიცოცხლის და მოქმედების საშუალებას არ აძლევს.

ამიტომ ყოველათ უსაფუძვლოა იმის მტკიცება, თითქო საქართველოში მენშევიზმის 1905 წელს გამარჯვება შემთხვევითი და მოულოდნელი იყოს.

არა, იგი სავსებით გამოწვეულია ქართველი ხალხის ზემოთ აღნუსხულ ისტორიული პირობებით.

კიდევ ერთი საერთო ხასიათის შენიშვნა.

ამხ. თალაქვაძე თავის „მრომის“ პირველ ნაწილს სოც-დემოკრატიის „1905 წლის დამარცხებული რევოლიუციის ფონზე“ შექმნილ ვითარების დახასიათებით აბოლოებს.

ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი მომენტია: აქ უნდა გამოჩენილიყო პოლიტიკური ორგანიზაციის, პარტიის სიმტკიცე და გამძლეობა

და მერე როგორ აქვს წარმოდგენილი ამბ. თალაქვაძეს საქართველოს ს. დემოკრატიის ვითარება?

მისი გაგებით რუსეთის სოც.-დემოკრატია უიმედობამ შეიპყრო: „რევოლიუცია დაუბრუნებლად, სამუდამოთ წაგებულად იყო წარმოდგენილი. ერთად ერთი ბოლშევიკური ფრაქცია ლენინის მეთაურობით არ ფიქრობდა ასე, არ ეძლეოდა სასოწარკვეთილებას" (იხ. გვ. 164.).

შემდეგ ავტორი საქართველოს ს. დ. ვითარებას ეხება და სწერს: „საქართველოში ისე მოეწყო საქმე, რომ ბოლშევიკები საქართველოში სრულებით არ აძლევდენ ანგარიშს (?) მენშევიკებით (!) გაბატონებულ ორგანიზაციას".

სხვანაირათ რომ ვსთქვათ, ავტორის წარმოდგენით, საქმე ასე ყოფილა: რუსეთის ს. დემოკრატიაში „ლიკვიდატორული" მიმდინარეობა გაბატონებულა და რევოლიუციურს, პრაღეგალურ საქმეს მხოლოდ ბოლშევიკები აკეთებდენ, ხოლო რაც შეეხება საქართველოს, პარტიის ვითარება აქაც ასეთივე შექმნილა, როგორც რუსეთში: იოტის ოდენა განსხვავებაც არ გამოჩენილა, პირწმინდა შაბლონი ჩამოყალიბებულა. **შაბლონობის** წინააღმდეგ თავის წიგნის ერთ ადგილას (იხ. 113 გვ.) ამბ. სევასტი თალაქვაძე მეტად ცხარე კილოთი ილაშქრებს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როცა საქმე ამბ. ფილიპე თამარაძის მიერ წამოყენებულ დებულებას და აზრს ეხება; ხოლო როცა კითხვა საქართველოს ს.-დემოკრატიის ვითარებას განსაზღვრულ მომენტებს შეეხო, მაშინ იგი თვითონვე თავით ფეხამდე შაბლონში გადაეშვა.

ეს შარცხი ავტორს არ მოუვიდოდა, რომ მას სწორი და უტყუარი ისტორიულ-მარქსისტული მეთოდი გამოეყენებია და ისე მისდგომოდა საკითხს.

საქმე იმაშია, რომ ყოველი სოციალური მოვლენა განსაზღვრულ პირობებში თავისებურ განსხვავებულ სახეს ღებულობს და მის განვითარება-პროცესში განსაზღვრული ცვლილება ხდება.

როგორც ვიცით, და როგორც ამას რუსეთის კომპარტიის „ისტორიკოსები" ამოწმებენ (ამბ. ზინოვიევი, ბუბნოვი, ლიადოვი, ბატურინი და სხვები), რუსეთის სოციალ დემოკრატიაში აღნიშნულ ხანაში ეგრეთ წოდებული „ლიკვიდატორობა" გაბატონდა, ხოლო საქართველოში სოც. დემოკრატიობა **უმთავრესათ** „პარტიული" დარჩა.

ყველას ახსოვს, თუ როგორი ერთნაირი გატაცებით მიეგება ჩვენში ბოლშევიკიც და მენშევიკიც პეტროგრადში ჟურნალ „ზვეზდას" გამოსვლას (1910 წ.), რომელსაც პლეხანოვი და ლენინი ერთად თანამშრომლობდენ იხ. ამის შესახებ 185 გვ. ნ. ბატურინის და ოლმინსკის ისტორიული წერილების თარგმანი: ნ. ბატურინი „ნარკვევი

სოციალ-დემოკრატიის ისტორიისა რუსეთში" და მ. ოლმინსკი „ომამდე (1906—14 წ.)" გამოცემა საქართველოს კომ. ც. კ. აგიტპროპისა № 17). მაშასადამე, არ შეიძლება ითქვას, როგორც ამას ამხ. თალაქვაძე სჩადის, რომ სოციალ-დემოკრატიული არალეგალური ანუ პარტიული აპარატის დამცველნი „ერთად-ერთი ბოლშევიკები იყვნენ ლენინის მეთაურობით როგორც რუსეთში, ისე საქართველოში"-ო.

ნამდვილად კი საქმე ასე იყო: პარტიულობის და არალეგალური აპარატის დამცველათ რუსეთში ლენინთან ერთად გიორგი პლეხანოვიც დიდი ენერგიით გამოვიდა (იხ. იმაზე ამხ. ზინოვიევის წიგნი „ისტორია რუსეთის კომუნისტურ პარტიისა" 1925 წლ. გამოცემა, გვ. 154). ამის გამო ამხ. ზინოვიევი სწერს: „პარტიისათვის ამ განსაჯარ წლებში პლეხანოვმა დაუფასებელი სამსახური გაუწია მას: ის ბოლშევიკების მხარეზე დადგა და არალეგალობის მომღერალი გახდა". როგორც ვიცით, აქ ამ პოზიციაზე იმ ხანაში პლეხანოვი მარტო არ იდგა, არამედ მასთან ერთად იყო მენშევიკების ერთი ნაწილი, რომელსაც „პარტიულებს" ეძახდენ.

რა მოხდა საქართველოში?

ის, რომ აქ მენშევიკების არა მარტო ერთი ნაწილი, არამედ თითქმის მთელი სოციალ-დემოკრატია დადგა „პარტიულობის" პოზიციაზე და თვითონ საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მაშინდელმა ბელადმა ნოე ჟორდანიამ ერთ დროს შესაფერი თეორიაც შეთხზა: მენშვიზმ-ბოლშევიზმის სინთეზი, რის წინააღმდეგ შემდეგში წინანდელი „გაკაჟებული" ბოლშევიკები ნოე რამიშვილი და ნოე ხომერიკი წავიდენ.

1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ (საქართველოში რევოლიუციური მოძრაობა რუსეთთან შედარებით ცოტა უფრო გვიან იქნა ჩამქრალი) კიდევ კარგა ხანს თანამშრომლობდენ ჩვენში ბოლშევიკები მენშევიკებთან ერთად.

ვის არ ახსოვს ფილიპე მახარაძის და კოპა—სტალინის მაშინდელ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში „ელვა"-ში და „ტალღა"-ში თანამშრომლობა?

მართალია, მენშევიკები ჩვენშიაც უფრო ლეგალობისაკენ იხრებოდენ, ვიდრე არალეგალობისაკენ; ისინი უფრო ლეგალურ შესაძლებლობის გამოყენებას და სახელმწიფო დუმაში მოღვაწეობას ეწეოდენ, ვიდრე არალეგალურ ასპარეზზე მუშაობას, ბაკრამ მათ საქვეყნოდ ლიკვიდატორობისათვის თანამოაზრეობა აშკარად არ გამოუცხადებიათ.

მართალია, ჩვენი მენშევიკებიც დიდათ აფასებდენ დანს, ლიკვიდატორების ბელადს, მაგრამ არა მისი ლიკვიდატორობისათვის, არამედ მისი ძველი პარტიული მოღვაწეობისა და ნიჭისათვის.

რუსეთში ლიკვიდატორები და ლიკვიდატორობა მენშევიკმა მუშებმა დრომდის „მოითმინეს“, ხოლო ჩვენში ჩვენმა მენშევიკებმა რაკი იცოდენ, რომ ჩვენი მუშები ამ ლიკვიდატორობას ერთ წუთსაც არ მოითმენდენ, ამიტომ ისინი თავის ლიკვიდატორულ ბუნებას და ხასიათს საქართველოს მუშების წინაშე ვერ გაამჟღავნებდენ.

„...1911 წელს რუსეთის მუშები მხოლოდ ითმენდნენ ლიკვიდატორობას, მაგრამ თავის თავად არაფერი საერთო არ ჰქონდათ მასთანო“—სწერს მაშინდელი ცნობილი სოც.-დემოკრატიის მწერალი ოლმინსკი ზემოდ დასახელებულ წერილში (იხ. გვ. 184).

რაც შეეხება საქართველოს, აქ მენშევიკმა მუშებმა, როგორც კი დაატყვეს საქართველოს ს.-დემოკრატიას, რომ ის ლიკვიდატორობისაკენ იბრებოდა (ნოე რამიშვილის და ნოე ხომერიკის მეთაურობით), მაშინვე კავშირი გასწყვიტეს მასთან და ცალკე ჯგუფი, „რვა მუშის ჯგუფი“ შეადგინეს და მოლიკვიდატორო სოციალ-დემოკრატიას ბრძოლა გამოუცხადეს (იხ. ამაზე ჩემი სტატია „ქართული მუშათა ჟურნალ-გაზეთის ისტორია“, ჟურნალი „რევოლიუციის მატიანეს“ 1923 წ. № 5 გვ. 37—38).

აი განსხვავებაც აქ არის. იქ, რუსეთში, მუშები ლიკვიდატორობას 1911—12 წლამდის, ე. ი. 3—4 წლის განმავლობაში „ითმენდნენ“, ხოლო ჩვენში მენშევიკები დიდხანს ლიკვიდატორობის გამოჩენას ვერ ბედავდენ, და როგორც კი ლიკვიდატორობამ თავი იჩინა მათში, მაშინვე ჩვენში მუშებმა ბრძოლა გამოუცხადეს.

რატომ მოხდა ეს ასე საქართველოში,—აი კითხვა, რომელზედაც უნდა უპასუხოს ჩვენმა ისტორიკოსმა, და არა სევასტიისებურათ მხოლოდ ასეთი განცხადებით დაკმაყოფილდეს: „ბოლშევიკები საქართველოში მენშევიკების უნებართვოთ და დაუკითხავად აკეთებდენ რევოლიუციონურ საქმესო“ (იხ. სევასტი თალაქვაძის წიგნის მე-165 გვ.).

ამით ვამთავრებ თალაქვაძის წიგნის იდეოლოგიური ხასიათის შეცდომების აღნუსხვას და გადავდივარ ფაქტიური შეცდომების განხილვაზე.

დავიწყოთ თავიდან და მივყვეთ თვით ავტორს კვალდაკვალ.

ამხ. ს. თალაქვაძის „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის“

შეცდომა პირველი

ილია ჭავჭავაძე და მისი მკვლელები.

წიგნაკის მეორე და მესამე გვერდზე თითქმის იმდენი შეცდომაა, რამდენიც სტრიქონია. არის მეტად საყურადღებო და ყოველთ საფუძვლიანი დებულებაც. სახელდობრ შემდეგი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ყველაფერი ის, რაც მიმართული იყო თვითმპყრობელი მეფის წინააღმდეგ, იმ მეფის წინააღმდეგ, რომელიც ჩაგრავდა სხვა მრავალ წვრილ ერებთან ერთად ქართველ ერსაც, ახარებდა, ახლოდგმულებდა მათ (ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, დიმიტრი ყიფიანს და სხვებს), **ულვიძებდა იმედს ქართველი ერის „განთავისუფლებისა“.** (იხ. მე-7 გვ.).

აქედან **ავტორს ჰგონია,** რომ „ყოველნაირი“ პროგრესიული, რევოლიუციურ-სოციალისტური და ბუნებრივ-პროტესტანულ აზრების რუსეთიდან საქართველოში „შემომტანი და გამავრცელებელი ზემოთ ჩამოთვლილი პირები იყვნენ“. (იხ. მე-6 გვ.).

პირიქით, სწორედ ეს პირები (განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძე) უარყოფდენ არა თუ ყოველნაირ სოციალისტურ, არამედ ყოველნაირ რევოლიუციონურ-ეროვნული აზრის გავრცელებას საქართველოში. ამაში დასარწმუნებლად მარტო ის ფაქტიც კმარა, რომელიც თვითონ ავტორს ამხ. მიხა ჩოდრიშვილის მოგონებიდან ამოუღია და რომელიც ილია ჭავჭავაძის მიერ ვასო რცხილაძის არალეგალური ფურცლის საქართველოში გავრცელების უარყოფას შეეხება. „ეს (ე. ი. არალეგალური ფურცლის გავრცელება) საქართველოს სულერთიანად დაღუპავსო“, მიუწერია ილიას ვასო რცხილაძისათვის ჯერ ისევ 70-იან წლებში, როცა ილია, ამხ. თალაქვაძის სიტყვითვე, „ლიბერალი იყო და არა შოვინისტ-რეაქციონერი“.

ავტორი ამავე გვერდზე შენიშვნაში ილია ჭავჭავაძის შესახებ ერთ ყალბ ცნობას აღნიშნავს. იგი ამბობს: „1907 წელს აგრარულ ნიადაგზე ილია მოჰკლეს თავის სოფელში **გლეხებმა,** როგორც შემამულე, ახალ პირობასთან შეურიგებელი რეაქციონური თავადი“. (იხ. მე-6 გვ. 2 შენიშვნაში). როგორც ხედავთ. ავტორმა აქ ილია ჯერ რევოლიუციონურ-სოციალისტური აზრების შემომტან-გამავრცელებლად დაგვიხატა, მერე კი იგი გლეხებს მოაკლევინა და შაურაზმელთა ბანაკში გადაისროლა.

ნამდვილათ კი ილია ჭავჭავაძე ყოველნაირი რევოლიუციონურ-სოციალისტური აზრების საქართველოში გავრცელების წინააღმდეგ დიდი მებრძოლი იყო და იმავე დროს იგი მებრძოლი იყი ყოველნაირი თვითმპყრობელური შაურაზმული და „ხულიგანური“ მოქმედების წინააღმდეგაც. იგი იყო მტკიცე, შეუპოვარი **ნაციონალ-ლიბერალი,** თავადი, როგორც აზროვნობით ისე გრძნობით და პრაქტიკით. მართალია მას დავა ჰქონდა 1905 წლის რევოლიუციურ პირობებში თავისი სოფლის გლეხობასთან, რომელთა რევოლიუციონერობა მას არ მოსწონდა ისე, როგორც არ მოსწონდა არავითარი რევოლიუციონერობა.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, **გლეხებს** საქართველოს ეს **დიდი მწერალი** არ მოუკლავთ. ეს ბრალდება ჩვენს გლეხებს უნდა მოეხსნათ. გარდა ამისა, როგორც ვიცით, დიდი ჭორი და ცილისწამებაა გავრცელებული ჩვენს ნაციონალისტურ ინტელიგენციაში ილია ჭავჭავაძის მოკვლის გამო იმ დროინდელ თბილისის ს. დ. ორგანიზაციაზე და იმ დროინდელ ბოლშევიკური ფრაქციის ერთ ლიდერთაგანზე. ჩვენი ვალია ეს ჭორი და ცილისწამება დღეს მაინც ერთიანათ გავაქროთ.

ეს მკვლელობა მოხდა წიწამურში, 1906 წელს, როცა ჩვენში აგრარულ ნიადაგზე წარმოშობილი გლეხთა მოძრაობა უმაღლეს წერტილს მიღწეული და 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების გაელენის ქვეშ მოქცეული თავქვე დაეშვა, აირია, რის-გამოც ჩვენში ყოველი „გარეწარი" და ანტი-საზოგადოებრივი ელემენტი შემჭნელ მდგომარეობას თავის საპირადო, ქვენა ინტერესების დასაკმაყოფილებლათ იყენებდა.

ამ მკვლელობის გამოყენება იმ ხანათ, როგორც ვიცით, საქართველოს ყველა ნაციონალისტურმა პარტიებმა სცადეს თავისი მოწინააღმდეგე ძლიერი პარტიის, ს.-დემოკრატიის, სახელის გასატეხათ. აქ საჭიროა გამორკვეულ იქნას, თუ ვინ, რა მიზნით მოაწყო ეს მკვლელობა და რა საზოგადოებრივ ელემენტებს წარმოადგენდენ მისი ორგანიზატორნი და შემსრულებელნი.

მკვლელობის ჩამდენთა ვინაობა და პირობები, რომელშიაც ის მოხდა იმდროინდელი ჩვეულებრივი სასამართლოს წესით კარგათ არის გამორკვეული და „საქმეები" ამაზე ჩვენს იუსტიციის სახალხო კომისარიატის არქივში ინახება, საიდანაც ყველა ადვილათ დარწმუნდება იმაში, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მომწყობი იყო თვით ილიას გაძვერა-გაქნილი მოურავი დომიტრი ჯაში, რომელსაც რაღაც ნაირი მიზნით ამოქმედებდა ჯერ ისევ გამოუცნობ-გამოურკვეველო ჯგუფი: ხოლო მკვლელობის ჩამდენი, იმ დროინდელი „წითელრაზმელები", რომლებიც რეაქციის დაწყების გამო ტყეში იყვნენ გახიზნულნი, ხსენებულმა ჯაშმა და მის'მა მომავლინებელმა **უცნობმა-ჯგუფმა**, ს. დ. ყალბი დოკუმენტის ყალბათ მიწოდების საშუალებით შეცდომაში შეიყვანეს, მოჰკლეს ილია „მაღრანის ტყეში" გახიზნულ „ტყის ძმებიდან" „ნამამასახლის" და „ნადიაკენო" ვანო ინაშვილმა და „დეზერტირმა" გიორგი მოძმანაშვილმა.

ორივე ეს უკანასკნელი ჩამოხრჩობილ იქნა, როგორც მკვლელობის შემსრულებელნი, ხოლო მკვლელობის მომწყობი მოურავი—ჯაში, დაუსჯელი დარჩა. ეს გარემოებაც აშკარათ მოწმობს იმას, რომ ილიას მკვლელობაში მთავრობის და „მაღალ სფეროს" პირებიც მონაწილეობდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ს.-დემოკრატიული (მენშევიკური) ორგანიზაციის მიერ იმ ხანებში შედგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც ამ „საქმის“ გამორკვევა ჰქონდა მინდობილი და რომლის ორი წევრი ჩვენ შორის იმყოფებიან. მათ ამ საქმის გამოსარკვევად საკმაო მასალა აქვთ შეკრებილი.

როგორც ირკვევა ს.-დ. რაიკომის ბეჭედ დასმული „ქაღალდი“ ყალბათ არის შედგენილი „ტყის ძმების“ ხელმძღვანელის შეცდომაში შეყვანის მიზნით.

ვინ შეადგინა სახელდობრ ეს ყალბი „ქაღალდი“, ან ჰქონდა თუ არა ამ საყალბესთან რაიმე კავშირი რომელიმე სოციალ-დემოკრატს, ეს დღესაც გამოურკვეველია.

ყოველ შემთხვევაში ის კი აშკარაა, (ჩვენ აქ აღვნიშნავთ ფაქტს), რომ ამ მკვლელობაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მიწის მუშას, გლეხს.

მაშ, ვის-რა საბუთი აქვს სთქვას: ილია ჭავჭავაძე გლეხებმა მოკლესო, როგორც ამას თალაკვაძე ჩადის.

შეცდომა მეორე

ნაროდნიკები და პირველი არალეგალური სტამბა ჩვენში.

საქართველოში ჩვენებური „ნაროდნიკების“ მოღვაწეობის შესახებ ამხ. თალაქვაძის წიგნის მე-8 და მე-10 გვერდზე რამოდენიმე შეცდომაა გამოთქმული. ავტორს სხვათა შორის ნიკო ნიკოლაძეც რევოლიუციონერთა რიცხვში ჰყავს ჩათვლილი მაშინ, როდესაც ჩვენ ვიცით ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიიდან, რომ იგი რევოლიუციურ მოღვაწეობას და საქმიანობას გაურბოდა.

ნიკო ნიკოლაძე ცნობილია ჩვენს საზოგადოებრიობაში, ეხოლოდ როგორც დიდათ ნაჭერი და მოხერხებული ლიბერალ-დემოკრატი

ავტორი ჩვენებური ნაროდნიკების არალეგალურ საქმიანობას ისე აზვიადებს, რომ ერთი დიდი ტყუილის შეჰპარვია. იგი მე-6 გვერდზე სწერს: „ეწყობა არალეგალური ქართული პატარა სტამბები (!) აქა-იქ ქალაქში, თუ სოფლად“... ეს ხდება ავტორის ცნობით 1872—6 წ.წ., ნამდვილათ ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ 1884—5 წლებში ნაროდნიკ-სოციალისტი გოლა ჩიტაძე თავის თორგმანს—„ოთხი ძმის ზღაპარს“ გეტტოგრაფზე ბეჭდავდა და ისე აფრცელებდა: მან პირველმა სცადა სტამბის მოწყობა თბილისში, მაგრამ, როგორც მისი ბიოგრაფები, ზ. ჭიჭინაძე და მიხა ჩოდრიშვილი გადმოგვცემენ, ეს სა. ქმე მალე ჩაიშალა (იხ. ამაზე ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე“-ში—ჩემი სტატია—„ქართულ მუშათა ჟურნალ-გაზეთის ისტორია“—1923

წლის №—2 გვ. 10—12. აგრეთვე—აიხ. სევასტი თალაქვაძის სტატია „რეფორმაციის მატიანეს" №—1—1923 წ. გვ. 60—62).

მაგრამ ისიც შეიძლება, რომ „სტამბები" მართლაც იყო მოწყობილი იმ დროს (1872—6 წლებში) ჩვენი ნაროდნიკების მიერ საქართველოში, მაგრამ მისმა ნაშთებმა ვერ მიაღწიეს 1885 წლამდე ჟანდარმერიის მხრით სასტიკი დევნის გამო. მაშინ ხომ ამ „სტამბების" და ამ დევნის კვალი ცნობილ ჟანდარმის, „ხრისტოფოროვის მოხსენებაში" უნდა აღმოჩენილიყო?!

მაშ, გადავსინჯოთ ეს ისტორიული დოკუმენტი და ვნახოთ რას გვეტყვის ის ამაზე.

აი რას ამბობს ეს დოკუმენტი:

„... საზოგადოებას (არალეგალურ ნაროდნიკულ ორგანიზაციას. რ. კ.) ფული არა აქვს (ჯაშუშ იაგორა იოსელიანის გადმოცემით) ჯერ-ჯერობით საზოგადოების მუშაობა გამოიხატება დიდძალი აკრძალულ წიგნების გავრცელებაში... მომავალი მუშაობის გეგმას გამოიმუშავებს **ყრილობა, რომელიც იქნება მოწვეული საბეჭდავი მანქანების მიღებისთანავე**...

წარმოდგენების დადგმით მოაგროვეს 600 მან. შობამდის (1876 წლის) 300 მ.—შემდეგ, **რომელი თანხაც უნდა მოხმარდეს საბეჭდავ მანქანის შენძენას**...

1876 წლის ივნისში მიხეილ ყიფიანი იაგორა იოსელიანის თანხლებით მიემგზავრება მეორეთ ისიდორე ქიქოძესთან ოზურგეთს სათათბიროთ...

ამ შემთხვევის დროს ისიდორე ქიქოძე და მიხეილ ყიფიანი თათბირობდენ შემდეგ კითხვებზე: ა) მოკლე დროში მიიღებენ ბათომში შეიცარიიდან გამოგზავნილ 1600 ც. სხვადასხვა სახელწოდების აკრძალულ წიგნებს ხალხში გასავრცელებლად, ბ) **საბეჭდავი მანქანა მიღებისთანავე გადმოტანილ იქნება და დადგმული გურიაში** ნაკაშიძის მამულში, საღარიბოს ტყეში, ნაკოლუსის ახლო და სხ.

2 აგვისტოს (1876 წლის) კონფერენციაზე სხვათა შორის მესამე კითხვის გამო აირჩიეს „რამოდენიმე კაცი თავიანთ შორის, „რომელთაც **ევალება მოსკოვში წასვლა და ფულის ვალათ აღება იქაური წრისაგან—ორი ათასი მანეთისა საბეჭდავი მანქანის შესაძენათ**".

ამ მოხსენებას შტაბს-კაპიტანმა ხრისტოფოროვმა თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს საყურადღებოთ სხვათა შორის ასეთი რჩევა-წინადადება დაუმატა:

„...უკეთუ ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით აღმოჩნდება, რომ აკრძალული წიგნების **და საბეჭდავი მანქანის მოტანა განუსაზღვრელი დროისათვის გადაიდება, ან სულ უარს იტყვიან და არ შემოიტანენ მათ ბათომიდან, მაშინ შეუდგებით მოქმედე-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას იმ მასალათა მიხედვით, რომელიც ხელთ გვაქვს“... (იხ. ჟურ. „რევოლ. მატიანეს“ № 1 (11) 1925 წლ. გვ. 62, 63, 64, 66, 71, 74, 76 და 78.

ამის შემდეგ, როგორც თვით „რევ. მატიანე“-ს რედაქცია დოკუმენტის შინაარსს გადმოგვცემს, თბილისის ქანდარმთა სამმართველოს უფროსმა მიიღო სახეში ხრისტოფოროვის მიერ მოყვანილი საბუთები და დაადგინა მოხსენებაში დასახელებული პირების გაჩხრეკა და აღმოჩენილ საბუთების მიხედვით მათი დაპატიმრება, რომლის სისრულეში მოყვანა განკარგულებით 1876 წლის 4 ოქტომბრის თარიღით ისევ ხრისტოფოროვს მიენდო...

ამ ხრისტოფოროვმა ეს დაკალება შეასრულა იმავე წლის ოქტომბრის დამლევს: ყველა შენიშნული პირები და თანამგრძნობნიც კი ზოგი დატუსაღებულ იქნა და ზოგიც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ დაყენებული. ჩხრეკა-გამოძიებამ აღმოაჩინა მიწერ-მოწერა, აკრძალული მრავალი წიგნი, რუსული და ხელთნაწერი თარგმანები, მაგრამ არა თუ „სტამბები“, არამედ ერთი სტამბაც კი არსად არ აღმოუჩენია.

აქედან ცხადია, რომ ჩვენებური ნაროდნიკ-რევოლიუციონერები ისე დაიღუპენ ქანდარმერიის ერთი ხელის მოსმით, ისე გაჭრენ, რომ მათი არა თუ გამოწერილი „საბეჭდავი“ მანქანის ნაშთი, არამედ მათგან აკრძალული ბროშიურების თარგმანების და ორიგინალური პროკლამაციების კვალიც კი აღარსად დარჩა.

1876 წლიდან გავიდა 8—9 წელიწადი და ჩვენ „ოთხი ძმის ზღაპარს“ ისევ გექტოგრაფზე დაბეჭდილს ვხედავთ; ვხედავთ, რომ ჩვენებური სოციალისტ-რევოლიუციონერი გოლა ჩიტაძე თბილისში „სტამბის“ მოწყობაზე ოცნებობს და, როგორც ზემოთ ვსთქვი, ახერხებს კიდეც თბილისში პირველად მის მოწყობას 1885 წელს. მაგრამ, როგორც ვიცით, ეს სტამბაც იმავე წელს დაიღუპა, გაჭრა და მისი კვალიც აღარსად დარჩა.

გადის კიდევ ჩვიდმეტა წელი და თბილისში პირველად გადმოაქვთ ბაქოდან პატარა არალეგალური (ლადო კეცხოველის მიერ გაკეთებული) „სტამბა“ (1903 წელს). აი როგორია ჩვენში არალეგალური სტამბის მოწყობის ნამდვილი ისტორია.

მეცდომა მესამე

„მესამე დასი“ და მარქსისტული მუშათა ჯგუფი.

მე-12-და მე-18 გვერდზე ავტორი გვიპასუხებს კითხვაზე: ვინ **შემოიტანა და რა გზით პირველად საქართველოში მარქსისტული**

იდეები და როგორ და რა გზით გავრცელდა ეს იდეები საქართველოს მუშათა წრეებში.

„მისი შემომტანიო, სწერს ავტორი, საქართველოში იყვნენ პოლონეთის დედა-ქალაქში, ვარშავაში, ნამყოფი ნ. ჟორდანია და ფ. მახარაძე; რამოდენიმედ აგრეთვე ევროპიდან დაბრუნებული ე. ნინოშვილი (!) და გადმოსახლებული რუსი პოლიტიკურებიო".

რა იდეები, სახელდობრ, და რა სახით შემოიტანეს ამათ საქართველოში და როდის?

ავტორის აზრით ნ. ჟორდანია და ფილიპე მახარაძე მარქსისტულ იდეებს გაეცნენ ქ. ვარშავაში იქაურ მარქსისტ ინტელიგენტთა წრეში 1891—2 წელს და ამავე წლის შემოდგომაზე ორიეემ დასწერა სტატიები: პირველმა — „ეკონომიური წარმატება და ეროვნება", ხოლო მეორემ -- „უთავბოლობის ნაყოფი". პირველში თვით — ამბ. სევასტი თალაქვაძის სიტყვით „გადაწყვეტილი იყო მარქსისტული ჯგუფების მთელი სამოქმედო პროგრამა, რაც გამოიხატებოდა ქართველი ხალხის ინტერესებისათვის ეროვნულ ფარგლებში მარქსისტული მიდგომით (!) მუშაობაში"... „ხოლო ფილიპე მახარაძის წერილიდან „მისი თბილისელი მეგობრები ეცნობიან (?) მარქსისტულ-მატერიალისტურ მსოფლმხედველობას"...

რაც შეეხება ეგნატე ნინოშვილს, იგი ავტორის გადმოცემით, 80 იან წლების მიწურულში (!) ეეროპიდან დაბრუნებული გასცნობოდა (?) მარქსიზმს, მუშათა კლასის იდეალებს... **ეგნატე ნინოშვილი ნ. ჟორდანიას პირადი დახმარებით და ფილიპე მახარაძის წერილებით გახდა მომწიფებული მარქსისტი**" და ის 1893 წელს იწყებს... პირველათ მარქსისტულად წერას, რაც გამოიხატა ამ წლის ჟურნალ „კვალში" მოთავსებულ მის პირველ პუბლიცისტურ და პოლემიკურ წერილებში. ნინოშვილის პირველ პუბლიცისტურ წერილს აშკარათ ატყვია ფ. მახარაძის დაუბეჭდავი წერილის გავლენა... ამ წერილის დედა-აზრები ავტორის აზრით ნინოშვილის სტატიაში არის განმეორებული *).

„გადმოსახლებულ პოლიტიკურებშიც, განაგრძობს ავტორი, ერიენენ მარქსისტები... მაგრამ, ისინი სწორედ იმ დროს გაჩნდნენ, როცა მარქსისტ-ინტელიგენტთა ქართული ჯგუფი უკვე ჩასახული იყო... მეორე—მათ, როგორც უცხოელთ, ნაკლები სარბიელი ჰქონდათ თბილისში... მარქსიზმს... მათგან ითვისებდა მხოლოდ თითო ოროლა პირი, ესენი იმ დროს გამონაკლისს შეადგენდნენ.

*) სწორეთ ასეთ აზრს გამოთქვამს თვით ფ. მახარაძე თავის ბროშიურის — „თბილისის ორგანიზაციის 30 წლ. არსებობის მე-19—20 გვერდზე ტექსტის ქვემოთ მე-2 შენიშნვაში.

არ არის სადაო ავტორის აზრით ის, რომ ეს იდეოლოგია ე. ი., მარქსიზმი) მუშებმა მიიღეს ინტელიგენტ — მარქსისტებისაგან... „მესამე დასის“ სახით...

ასეთს ცნობებს და დასკვნებს აწვდის ამბ. სეფასტი თალაკაძე მკითხველებს რევოლიუციონურ-მარქსისტულ იდეების საქართველოში შემოტანა-გავრცელების შესახებ.

მისი წარმოდგენა ამ საგანზე, გადაჭრით უნდა ითქვას, რომ თავიდან ბოლომდე ფეტიში, სიყალბე და სიცრუეა.

მისი წარმოდგენით იდეების შემოტანა-გავრცელების საშუალება თითქო მარტო პიროვნებებია. ავიწყდება ავტორს, რომ პიროვნებებზე უფრო მეტად და სწრაფად იდეები წერილობის საშუალებით ვრცელდება. ამ გარემოებას თუ მხედველობაში მივიღებთ, მაშინ უნდა ვიკითხოთ: რაგვარი ლიტერატურით გავრცელდა საქართველოში მარქსისტული იდეები როგორც ინტელიგენტთა შორის, ისე მუშებში.

ცხადია, რომ პირველ ხანებში მაინც ერთად ერთი საშუალება ამ იდეების გავრცელების **რუსული ლიტერატურა იყო.** ჭართულზე არც ერთი ნამდვილი მარქსისტული წიგნაკი ან სტატია (დაბეჭდილი და არა ხელნაწერი), ჩვენი გამომცემლობა — „ახალა მკითხველის“ დაარსებამდე (1897 წლის შემოდგომამდე): არ მოგვეძებნა (იხ. „რევოლიუციის მატიანე № 3—1923 წლ. გვ. 35).

მაშ საიდან მომზადდენ თბილისის რკინის გზის ტეხნიკური სკოლების მუშა-ხელოსნები: ცაბაძე, გოგუა, ენუქიძე, არაეიაშვილები, ჩოდრიაშვილი და სხვები **1892 — 3 წლებში.**

ამბ. თალაქვაძის აზრით ისინი „მესამე დასის“ წარმომადგენლების ამა წლის ჟურნალ „კვალში“ მოთავსებულ სტატიებს და კრებულ-მახარაძის წერილებს მოუმზადებიათ რევოლიუციონერ მარქსისტებათ.

ცხადია, ყველა ამათ თავის მხრით გავლენა ჰქონდა რამდენიმეთ ზოგ მოწინავე მუშაზე, მაგრამ ისინი უმთავრესად მოემზადენ რუსეთიდან ხხვადასხვა გზით (უმეტესად პოლიტიკურ გადმოსახლებულებისაგან) შემოტანილ რუსული ლიტერატურით. როცა „ახალი მკითხველი“ დაარსდა და მარქსისტული წიგნაკის გამოცემა მოვიდომეთ აღმოჩნდა, რომ სვიდერსკის — „შრომა და კაპიტალი“ ვასო ცაბაძეზე ადრე არჩილ არაეიაშვილს ეთარგმნა. ეს დაახლოებით იქნებოდა 1894 წ.

ვასო ცაბაძის მოგონებიდან ვიცით, რომ თბილისის ორგანიზაციის დამაარსებელ პირველ ჯგუფს, ჯერ ისევ 1894 წელს მეტად მდიდარი ლეგალურ-არალეგალური ბიბლიოთეკა ჰქონდა მოწყობილი, სადაც ყოველნაირ მარქსისტულ ლიტერატურას იპოვნიდით. (იხ. „რევოლიუციის მატიანე“ № 2—1923 წ. გვ. 135—6). ამას ამბ. მიშა

კლიმაშვილიც დაამოწმებს, რომელიც ხსენებული ჯგუფის წევრი იყო. მეორე მხრით დანამდვილებით ვიცით, რომ „მესამე დასის“ არც ერთ წევრს არც სიტყვიერი და არც წერილობითი პროპაგანდა მუშათა შორის 1897 წლამდე არ გაუწევია. 1892 წელს დაწერილი ნოე ჟორდანიას ეთითმდა „მარქსისტული“ სტატია დაიბეჭდა დაგვიანებით (1894 წელს) ჟურნალ „მოამბეში“, რომლის ნომრები, ვეჭვობ, რომ რომელიმე მუშას გაეტანოს.

აქ ამბ. ფილიპეს წერილის „უთავბრილობის ნაყოფს“ მუშებზე გავლენას ხომ სულ ვერ ვახსენებთ, რადგან ეს სტატია მხოლოდ დღეს გამოქვეყნდა. დაგვრჩა 1893 წლის „კვალი“-ს სტატიები და მერე რა იყო—მარქსისტული ამ წერილებში—თითქმის არაფერი გარდა მარქსის და ეკონომიური მეცნიერების ხსენებისა: ასე მარქსის სახელს და მის „კაპიტალს“ იმ ხანებში ცნობილი ვ. წ. (ვასილ წერეთელი) და რომანოზ ფანცხავაც ხშირად ახსენებდენ, მაგრამ მათ განა მარქსიზმის ჩვენში შემომტანათ ჩავთვლით, თუმცა რომანოზ ფანცხავა თავის მოგონებაში (იხ. „რევ. მატიანე“ № 2, 1923 წ.) აცხადებს, რომ იმ დროს (1890—91 წლ.) მე და ვ. წ. პირველ მარქსისტებათ ვითვლებოდითო.

გადახედეთ—1893 წლის ჟურნალ „კვალ“-ის №№-ებს და იქ თქვენს ყურადღებას მხოლოდ ეგ. ნინოშვილის მოთხრობები თუ შეაჩერებთ, რაც, ცხადია, მარქსიზმათ არ ჩაითვლება.

მაშასადამე, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მოწინავე მუშების მთელი ჯგუფი გამარქსისტდა ქართველ ინტელიგენტ-მარქსისტების დამოუკიდებელათ რუსული ლიტერატურის საშუალებით და რუსეთიდან გადმოსახლებული მარქსისტების გავლენით და ამ ჯგუფმავე გადადგა პირველი ნაბიჯი „მესამე დასის“ დამოუკიდებელათ და გარეშე 1894—6 წლებში მუშათა მასსებში სოციალ-დემოკრატიული იდეების გავრცელებისაკენ (იხ. ვ. ცაბაძის მოგონება „რევოლ. მატიანე“ № 3—1923 წ. გვ. 193—4).

მაშ, როგორ უნდა წარმოვიდგინოთ საქმის მსვლელობა? ეი როგორ:

თბილისის მოწინავე მუშებიც (განსაკუთრებით თბილისის სახელოსნო და რკინის გზის ტეხნიკური სკოლის მოსწავლენი) და ქართველნი ახალგაზრდა რევოლიუციური სულისკვეთების ინტელიგენტებიც ხარბათ ეწაფებოდენ იმდროინდელ (1890—3 წლების) რუსულ სოციალისტურ რევოლიუციონურ ლიტერატურას, სადაც ისინი ხშირად მარქსისტულ შინაარსის წიგნებს და სტატიებს ხვდებოდენ. ზოგჯერ ჯგუფურად წრეებშიაც რეფერატებს კითხულობდენ და თანდათან ხედავდენ, რომ ძველ ნაროდნიკულ იდეოლოგიას ცვლის სრულიად ახალი იდეოლოგია—რევოლიუციონური მაქრსიზმი.

ამ საერთო იდეოლოგიურ პროცესში თითქმის **ერთი მეორეზე დამოუკიდებლათ** შედგა ჩვენში მარქსისტთა ორი ჯგუფი. ერთი წვინდა ინტელიგენტური, ხოლო მეორე უმეტესად **მუშური.**

პირველმა თავი იჩინა 1894 წლის 12 მაისს (25 მაისს) ეგნატე ნინოშვილის გასვენების დროს ს. **ჩანჩეთის** ეკლესიის გალავანში, სადაც სილიბისტრო ჯიბლაძემ, „მესამე დასის“ წარმომადგენელმა, დეკლარაციული სიტყვა წარმოსთქვა. ხოლო **მეორემ** (მუშურმა ჯგუფმა) თავი იჩინა ქ. თბილისში იმავე 1894 წლის ნოემბერში როცა ვასო ცაბაძის მიერ პირველათ თავმოყრილ იქნა რკინის გზის მთავარ სახელოსნოების ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული მუშები, რომელთაც განუმარტეს პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელობა მუშათა კლასისათვის და მოუწოდებდენ „სამეცადინო წრეები“ დაეარსებინათ **რევოლიუციური მარქსიზმის** შესასწავლათ. (იხ. „რევოლ. მატიანე“ ვ. ცაბაძის მოგონებიდან გვ. 148). ეს ორი მარქსისტთა დამოუკიდებელი ჯგუფი საქართველოში, „მესამე დასი“ პროვინციაში, ხოლო **მუშური ჯგუფი თბილისში** დამოუკიდებლად მოქმედობდენ, მარქსისტულ პროპაგანდა-აგიტაციას ეწეოდენ. **პირველი** უმეტესათ წერილებით და წიგნებით, მხოლოდ მოსწავლე ახალგახრდობაში, ხოლო **მეორე** თბილისის მუშათა წრეებში 1897 წლამდე. ხოლო 1897 წ. კი ვასო ცაბაძე (მუშური ჯგუფის მეთაური) და სილიბისტრო ჯიბლაძე „მესამე დასის“ ლიდერი, უფრო მჭიდროთ უკავშირდებიან ერთი მეორეს და ადგენენ პირველ შეერთებულ კომიტეტს, რომელშიაც შედის 4 მუშა და 4 ინტელიგენტი, აქედან იწყება ქართველ მარქსისტების, როგორც მუშების, ისე ინტელიგენტების, შეერთებულ-შეთანხმებული ს. დემოკრატიული რევოლიუციური პროპოგანდა-აგიტაცია თბილისის მუშათა შორის.

აქ უნდა აღვნიშნო შემდეგი: ბევრს აინტერესებს ჩვენში თუ ვინ იყო პირველი მარქსისტი ქართველებიდან, ვინ სთქვა პირველი მარქსისტული სიტყვა?

მე მგონია ამაზე უფრო საყურადღებო და საინტერესო იქნებოდა კარგათ გაგვეგო, თუ ვინ შეასრულა ჩვენში პირველათ მარქსისტულ-რევოლიუციონური საქმე? ვინ, რომელმა ქართველმა, ან უკეთ რომელი კლასიდან გამოსულმა მარქსისტმა „შეიტანა“ პირველათ ს. დემოკრატიული „შეგნება“ მუშათა წრეებში.

მე მგონია, მან, რომელმაც პირველმა შეადგინა მუშების პირველი კრება, რომელზედაც ს. დემოკრატიული პროპაგანდა-აგიტაცია გასწია და არა იმ „მესამე დასის“ ლიდერმა, რომელმაც ნინოშვილის სასაფლაოზე მხოლოდ დეკლარაციული სიტყვა წარმოსთქვა, და ისიც არა მუშათა წინაშე, არამედ გლეხობისა და ინტელიგენტების მოსასმენათ.

პირველი იყო, როგორც ვთქვით, უღარაბესი გლეხის (გორის მაზრიდან) შვილი, თბილისის სახელოსნო სკოლის მოსწავლე, ხელობით დურგალი, ვასო ცაბაძე, ხოლო მეორე – ს. ამაღლების (გურიაში) მღვდლის შვილი, ინტელიგენტი სემინარიიდან, სილიბისტრო ჯიბლაძე.

ეხლა მანამ, ვიდრე ვიკითხავთ: ვინ სთქვა პირველათ მარქსისტული სიტყვა, ან ვინ დასწერა პირველათ მარქსისტული წერილი საქართველოში, ქართულ ენაზე, უნდა გარკვეულათ ვიცოდეთ, თუ რა ღირსების იყო ის სიტყვა, ან წერილი, რადგან მარქსისტულიც არის და „მარქსისტულიც".

მაშ, უნდა ვიკითხოთ: ვინ იყო ჩვენში პირველი მარქსისტი? თუ კითხვას ასე დავაყენებთ, აღმოჩნდება, რომ პირველი რევოლიუციონერ-მარქსისტული სიტყვა ჩვენში საქვეყნოთ (მასის გასაგებათ) წარმოსთქვა **სილიბისტრო ჯიბლაძემ** 1894 წლის 12 მაისს (25 მაისს ახალი სტილით, რ. კ.) ხოლო პირველი რევოლიუციურ-მარქსისტული წერილი პირველად დაიბეჭდა იმავე წლის მაის—ივნისის ჟურნალ „კვალში" იმავე სილიბისტრო ჯიბლაძის...

ეხლა ისიც ვიკითხოთ, თუ ვინ სთქვა საერთოდ რაიმე „მარქსისტული", ან ვინ დასწერა პირველათ.

თუ ძველ ჟურნალისტს, რომანოზ ფანცხავას დაუჯერებთ, პირველი მარქსისტული სტატიები 1890—2 წლებში დაუწერია მას და ვასილ წერეთელს გაზ. „ივერიაში" და ჟურნალ „თეატრში" (იხ. რომანოზ ფანცხავას მოგონება „რევოლ. მატიანეში" № 2—1923 წლ.).

რაც შეეხება ამბ. ფილ. მახარაძეს 1892-ს პირველ ნახევარში (ნ. ჯორდანიას) 1892 წლ. მეორე ნახევარში და ეგნატე ნინოშვილს (1893 წლის ივლის—აგვისტოს „კვალში") წერილებს დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მათ ნაწერებში გამოთქმული „მარქსისტული აზრები იმდენათ იყო ბურუსში ან ვიწრო ფარგლებში გახვეული, რომ მათი გავლენა ვიწრო ინტელიგენტურ ჯგუფს არ გაცილებია.

ამბ. ფილიპე მახარაძე და ამბ. სევასტი თალაკვაძე ამტკიცებენ, რომ პირველი მარქსისტული სტატიის „ჩვენი უთავბოლობის ნაყოფის" გავლენა აწყარათ ატყვია ეგნატე ნინოშვილის პირველ პუბლიცისტურ პოლემიკურ სტატიას, რომელიც 1893 წლის „კვალი"-ს №-ში დაიბეჭდა. ამბ. ფილიპე ამას იმით ასაბუთებს, რომ ნინოშვილი თავის სტატიაში **მაჩხანელის დეპო-კასებს** კრიტიკულათ უყურებს და შულჩ-დელჩიჩის თეორიებს დაცინვით იხსენიებსო. აქედან მას გონია, რომ ეს აზრები ეგნატეს მისი „უთავბოლობის ნაყოფიდან" აქვს ნასესხები.

რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეგნატემ ეს აზრები უფრო სხვა წყაროებიდან გაიგო და შეითვისა, ვიდრე მისი სტატიიდან?

არა თუ შეიძლებოდა, არამედ ეს ნამდვილათ ასედაც იყო. ამაში ადვილად დავრწმუნდებით ერთი მხრით, თუ ეგნატეს სტატიის დაწერის თარიღს მივიღებთ მხედველობაში, ხოლო მეორე მხრით მოვიგონებთ იმ გარემოებას, თუ როდის გახდა ეგნატე ნინოშვილი მარქსისტი. ამეების გამოსარკვევათ ერთის მხრით უნდა მივმართოთ 1893 წლის „კვალი"-ს №-რებს და აღვნიშნოთ ეგნატეს ხსენებული სტატია, ხოლო მეორე მხრით გადავშალოთ ეგნატე ნინოშვილის ვრცელი ბიოგრაფია ჩემ მიერ შედგენილი და ვნახოთ იქ თავი სათაურით: როდის გახდა ეგნატე ნინოშვილი ნამდვილი მარქსისტი. თუ ამ პროცედურას გავაკეთებთ, აღმოჩნდება შემდეგი: ეგნატეს თავისი სტატია იმ ხანებში დაუწერია, როცა იგი ევროპიდან შემოსულ რუსულ მარქსისტულ გამოცემებს სწავლობდა თავის სოფელში.

აღნიშნულ ბიოგრაფიაში სწერია შემდეგი:

... „1893 წლის ზაფხული ეგნატემ გურიაში გაატარა... და აქ მას აცნობა სიყრმის მეგობარმა სილიბისტრო ჯიბლაძემ, რომ საზღვარ-გარეთედან მიიღო არაღეგალური ლიტერატურის მთელი ტრანსპორტი"... ეს იყო „შრომის განთავისუფლების ჯგუფის" გამოცემები ჟურნალ სოც-დემოკრატიის 1889 წლის №№, ავრეთვე პლეხანოვის და აქსელროდის ბროშიურები... ამ დღიდან თავაუღებლივ შეუდგა კითხვას და როგორც კი გაერკვა ზოგ კითხვაში და დროც ნახა ამისათვის, მაშინვე დასწერა... გაზ. „ივერიის" თანამშრომლის... ნ. ხიზანოვის წინააღმდეგაც: „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის".. და ჟურნალ „კვალს" გაუგზავნა დასაბეჭდათ (იხ. ეგ. ნინოშვილის ნაწერების 1 ტომის 102 გვ. ბიოგრაფიისა).

ეს ის სტატიაა, რომელსაც ამხ. ფილიპე მახარაძე და სევასტი თალაკვაძე იხსენებენ როგორც „უთავბოლობის ნაყოფის" გავლენის ქვეშ დაწერილს.

ვთქვათ ამხ. ფილიპე მახარაძის წერილი ეგნატეს წაკითხული ჰქონდა ხელნაწერში ჯერ ისევ თბილისში ცხოვრების დროს 1892—3 წ. ზამთარში.

ზაფხულში მან თავის სოფელში შეისწავლა „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მდიდარი გამოცემები და იმავე ზაფხულში (ალბათ ივლისის თვეში) დასწერა ზემოთ დასახელებული თავისი სტატია. ახლა მკითხველმა განსაჯოს, თუ რომელი წყაროს: ფილიპე მახარაძის წერილის—„უთავბოლობის ნაყოფს", თუ „შრომის განთავისუფლების" გამოცემების—გავლენის ქვეშ უფრო იქნებოდა ეგნატე, როცა ის თავის სტატიას სწერდა?

შ ე ც დ ო მ ა მ ე ო თ ხ ე

იმის შემდეგ, რაც ზემოთ ვთქვით ორ ჩვენებურ მარქსისტთა ჯგუფის—მუშაურის და ინტელიგენტურის ურთიერთ დამოუკიდებულებაზე, პირდაპირ გაოცებით, როცა ამხ. თალაქვაძის წიგნაკში ასეთ სიტყვებს წააწყდებით: „1893-4 წლიდან ამათ მოწაფეებათ და შემდეგ **მუშებში მარქსიზმის გამავრცელებელ აგიტატორებით**(!) **ხდებიან ვასო ცაბაძე და არჩილ არავიაშვილი რენიგერთან და აფანასიევთან ერთად**".

ვითომდა „მესამე დასელების" „მოწაფეებად" გახდენ აქ ჩამოთვლილი პირები, რომლებმაც შემდეგ (1893-4 წლის შემდეგ) მუშებში მარქსიზმის აგიტატორობა დაიწყეს.

სიტყვა აგიტატორობა რომ პროპაგანდისტობით შევცვალოთ, მაინც არა გამოვა რა: არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი პირი არასოდეს „დასელის" მოწაფე არ ყოფილა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არც არჩილ არავიაშვილი და არც აფანასიევი არც ნინოშვილს, არც მ. ცხაკაიას და არც რომელიმე ცნობილ „დასელს" არ იცნობდა.

ამხ. სევასტი თალაქვაძე კი ცოტა ზემოთ, წიგნაკის იმაყე გვერდზე კიდევ უფრო საოცარ ამბავს სთხზავს. იგი ამბობს: „1893 წ. ბოლოს ლადო კეცხოველი, სევერიანე ჯუღელი და სხვები(!) **ეგნატე ნინოშვილისა და მიხა ცხაკაიას ხელმძღვანელობით ქმნიან** მარქსისტულ-რევოლიუციურ წრეებს, სადაც მარქსიზმის შესწავლასთან ერთად ახშირებენ ბრძოლას რევოლიუციურ გამოსვლებს, პოლიტიკურ დემონსტრაციებს(!) მძიმე რეჟიმის წინააღმდეგ"-ო.

ალბათ ამ სიტყვების გამო უწოდა ამხ. პაქლე საყვარელიძემ ამხ. სევასტი თალაქვაძის მიერ მოთხრობილ „საისტორიო ამბებს" „არაკები". მართლაც, რომ საარაკო გამოცანას გვაძლევს ამხ. სევასტი თალაქვაძე. როგორ შეეძლო ეგნატე ნინოშვილს სემენარიელებისაგან შემდგარი(!) მარქსისტულ რევოლიუციური წრეების ხელმძღვანელობა 1893 წ. ბოლოს. ეგნატეს ჯანი ამ წლის შემოდგომის ბოლოს, ექიმების შემოწმებით, სახეთათო მდგომარეობაში იყო და იგი უკვე ბათომში გაგზავნეს სამკურნალოთ (იხ. ამაზე ბიოგრაფიაში).

რისთვის დასჭირდა ავტორს აქ ერთ გვერდზე ამდენი ტყუილების თავის მოყრა?

ალბათ იმიტომ, რომ მკითხველი დააჯეროს: საქართველოში ვითომ გარეშე „მესამე დასელთა" ლიდერებისა 1892-4—წლებში არა-

ვინ გამარჯვისტებულა. მაგრამ ეს მტკიცება, როგორც დავინახეთ, ყოველთ უსაფუძვლოა.

წიგნაკის მე-24 გვერდზე ასეთი შეუსაბამო ადგილია: . . . . 1896 წ. ბოლო ხანებში . . . . . მრავალრიცხოვანი წრეების მუშაობის შედეგი იყო პირველი გაფიცვები . . . . ბოზარჯიანცის, ეფინჯიანცის და საფაროვის თამბაქოს ფაბრიკებში ჩაბმულ მუშებისა"....

თვით ამ წრეების და ამ გაფიცვების მთავარი ხელმძღვანელის, ვასო ცაბაძის მოგონებიდან კი ვიცით (იხ. „რევოლ. მატიანე" 1923 წ. მე 2 და მე-3 ნომრები), რომ ხსენებული გაფიცვები გაიმართა 1896 წლის ზაფხულს და ივლისის ბოლოს მარცხით დასრულდა: ასე რომ, „მრავალრიცხოვანი წრეების შედეგი" კი არ იყო გაფიცვა, არამედ, პირიქით, სტიქიურად აღძრულ გაფიცვებში ხელმძღვანელი ჯგუფის ჩარევის შედეგი იყო მრავალრიცხოვანი მუშათა წრეების მოწყობა.

ერთი ტყუილი კიდევ.

მე-27 გვ. სწერია: „ამ წლის (98 წ.) მიწურულიდან თბილისის გარდა, ბაქოში და ბათომშიც როტშილდისა და ნანთაშვილის ნავთის სამრეწველოს ქარხნებშიც ჩაისახენ.. რევოლიუციურად მომქმედი მარქსისტული ორგანიზაციის უჯრედი".

ბათომის არ ვიცი, და ბაქოს რაც შეეხება, „ჩემი თვალით" ვნახე, რომ იქ ჯერ ისევ არა თუ 98 წლის „მიწურულში", არამედ 1900 წლის დასაწყისშიაც არავითარი ორგანიზაცია, არც უჯრედი, არ ჰაჰანებდა: იყვნენ მხოლოდ თითო ოროლა მომარქსისტო პირები, რომლებიც ჯერ კიდევ ორგანიზაციულად ვერ შეკავშირებულიყვნენ. საფუძველი ბაქოში ს.-დ. ორგანიზაციას **ლადო კეცხოველმა, აბელ ენუქიძემ, ვანო სტურუამ და დიტო ბაქრაძემ** ჩაუყარეს მხოლოდ 1900-1—წელს. (იხ. „რევოლ. მატიანეში" აბელ ენუქიძის მოგონებიდან და ავტობიოგრაფია ვანო სტურუასი *).

*) აქ უნდა შევასწოროთ ის შეცდომებიც, რაც აბელ ენუქიძეს მოსვლია თავის მოგონებაში და ლადო კეცხოველის ბაქოში გადასვლის და იქ რევოლიუციონური მოქმედების დაწყების შესახებ. თარიღი არაა სწორი; მე და ლადო კეცხოველი ერთ დროს ერთად წავედით ტფილისიდან ბაქოში, რადგან ტფილისის „კონკახე" მომზდარ გაფიცვის გამო (1900 წ. 1 ინვარის ძველი სტ.) იძულებული ვიყავით ცანცარმერიას დავშლოდით, მაგრამ ჩვენ ბაქოში მოვხვდით 1900 წლის იანვრის შუა რიცხვებში. მართალია ამბ. აბელი იქ დაგიხვდა თავის აზხანაგებით და ამხანაგურადაც მიგვიღო, მაგრამ ორგანიზაციულ რევოლიუციური ნაშაფწყალი არ ეჭნიოდა მათ მოქმედება-ცხოვრებას ჯერ ლადო და შემდეგ ვანო სტურუამ პირველებმა მოაწყვეს ბაქოს მუშათა შორის „წრე" და სისტემატიურ ჩუმ არალეგალურ აგიტაციასაც ეწეოდენ მუშათა შორის, მაგრამ ეს იყო 1900 წლის დასასრული და არა 1899 წელი, როგორც ამბ. აბელი სწერს.

თუ რანაირი არეული და ცრუ წარმოდგენა აქვს ავტორს ჩვენი პარტიის პირველი ორგანიზაციის პირველ ნაბიჯებზე, სხვათა შორის, ეს ნათლად სჩანს ვასო ცაბაძისადმი მის დამოკიდებულებაში.

ავტორი ჯერ რომ მას ჩრდილში აყენებს, „მიხა ცხაკაიას მოეფეთა“ და „აგიტატორათა“ სთვლის, მეორე უცბათ მთელი ორგანიზაციის წარმომადგენლათ რუსეთის ს.-დემოკრატიის პირველ ყრილობაზე დელეგატათ არჩევს და (98 წელს) სრულიათ მოულოდნელათ ჟანდარმებს აჭერინებს.

დანამდვილებით ვიცით, რომ ვასო ცაბაძე 98 წელს დელეგატათ არავის აურჩევია და არც დაუჭერიათ ის ამ წელს ჟანდარმებს. ვასო თვითონ ამბობს თავის მოგონებაში, რომ იგი ციხეში პირველათ 1902 წელს მოხვდა. სწორეთ ის იყო ვასოს უაღრესათ დამახასიათებელი, რომ ის ზედმიწევნით კონსპირატორი იყო და მისი სიმტკიცე და ნიჭი ამ მხრით ყველა მის მაშინდელ ამხანაგებს გვხიბლავდა და გვიზადავდა. იგი ამ მხრით ყველა ჩვენთაგანისათვის მისაბაძი გახდა.

მან სრული (1894 წლიდან—1902 წლამდე) 7 წელი სრულიათ შეუმჩნეველად იმოქმედა რევოლიუციონურ ასპარეზზე, რაც თუ არ ვცდები, პირველი მაგალითი უნდა იყოს რუსეთის რევოლიუციური პარტიების ცხოვრებაში. არც შეიძლება ეს ამბავი—მისი დელეგატათ არჩევა და მისი მოულოდნელი დაჭერა—მისმა თანამედროვე ამხანაგებმა არ ვიცოდეთ და ყველას (მე, არაქელას, ვანოს და სხვებს) დავვიწყებოდეს.

მხოლოდ უნდა გამოვტყდე, ვერ გამიგია: საიდან და როგორ შეთხზა ავტორმა ასეთი **„არაკი“**.

შეცდომა მეხუთე

პირველი მაისობა ჩვენში პირველათ

ავტორს ვერ გამოუურკვევია ჩვენში პირველ მაისობის პირველათ გამართვის თარიღი და ხასიათი.

მე-30 გვერდზე ის სწერს;... „1898 წელს თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ... მოაწყო... დღესასწაული—პირველი მაისობა. ამ სამაისო **დემონსტრაციაში** მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 30—35 კაცმა, მათ შორის იყვნენ ივანე ლუზინი და ინტელიგენტი კოგანი... სიტყვები წარმოსთქვა სევერიანე ჯუღელმა, მიხა ბოჭორიძემ და ზაქრო ჩოდრიშვილმა... 1 მაისობის **საზეიმო დემონსტრაცია** უფრო ფართე და მრავალრიცხოვანი გაიმართა მეორეთ 1899 წელს“...

აქ, ამ ცნობაში, ორგვარი შეცდომაა შეპარული: ერთი ის, რომ არც 98 წლის (თუ კი ის მართლაც იყო) და არც 99 წ. პირველ მაისობა „დემონსტრაცია" არ იყო. დემონსტრაცია მხოლოდ 1901 წლის (22 აპრილს) პირველ მაისობას შეიძლება ვუწოდოთ. მეორე ის, რომ 98 წელს გამართული პირველ მაისობა არ იყო მუშური და მასიური ხასიათის და თუ იყო, ამის მზგავსი რამ, ყოველ შემთხვევაში, ეს მაშინდელი ს.-დემოკრატიული კომიტეტის ხელმძღვანელობით და დადგენილებით არ მომხდარა. 98 წელს ჩემს დაუსწრებლათ კომიტეტს არც ერთი სხდომა არ მოუხდენია, მით უფრო ისეთ მნიშვნელოვან სხდომას, როგორიც არის დადგენილების გამოტანა, შეუძლებელია არ დავსწრებოდი.

ეს რომ არ იყოს და ესთქვათ რაიმე მიზეზით ამ სხდომას ვერ დავესწარი, მაშინ, თუ 98 წლის პირველ მაისობაზე სევერიანემ, ხაქარიამ და მიხა ბოჟორიძემ სიტყვები წარმოსთქვეს, შეუძლებელია ეს იმათგან მაინც არ მცოდნოდა, მით უფრო, რომ სწორეთ ეს ამხანაგები იყვნენ ჩემთან ერთად მაშინდელი ს.-დ. კომიტეტის წევრები.

ვთქვათ ეს ყველაფერი მე დამავიწყდა, მაშინ ერთი ვინმე დღეს ცოცხალთაგანი უნდა ამოწმებდეს ამ ფაქტს.

ვნახოთ რას ამბობენ ისინი, რომლებიც ან დასწრებიან პირადათ ამ (98 და 99 წლის (?)) პირველმაისობას ან გაუგონიათ რამე ამაზე. 99 წელს გამართული პირველმაისობის მეორეწეს—მუშა კოლა მაჭარაძეს (ყოფილი მენშევიკია) რომ შევეკითხე ამაზე, მან მიპასუხა: „მახსოვს პირველმაისობა გავმართეთ „მლაშე ტბასთან", სადაც შენმა ძმამ, ნესტორ კალაძემ (ყოფილი მენშევიკია) სიტყვა წამოსთქვა, მაგრამ რომელი წელი იყო, კარგათ არ მახსოვსო.

ამხ. არაქელამ, რომელიც მთავარი ინიციატორ-ორგანიზატორი იყო 99 წლის პირველმაისობისა, ჩემს შეკითხვაზე მიპასუხა: „არ გახსოვს 98 წელს „მლაშე ტბასთან" შენც იყავი და სიტყვა რომ წარმოსთქვიო, იგივე ამხ. არაქელა ამხ. მიხა ჩოდრიაშვილთან პოლემიკაში ამტკიცებს, რომ პირველი და მეორე მაისობა „ლოტკის გორაზე" იყო გამართული და არა „მლაშე ტბასთანო".

როგორც ხედავთ, ორიეე ამხანაგის პასუხიდან აშკარათ სჩანს, რომ ისინი დროს, ადგილს და პირებს ერთმანეთში ურევენ.

ეს იქიდან სჩანს, რომ მე „მლაშე ტბასთან" არ ვყოფილვარ და დღესაც არ ვიცი თბილისის რომელ მხარეზეა ეს „მლაშე ტბა". ის კი კარგად უნდა ვიცოდე და კარგადაც მახსოვდეს, მგონია, თუ რას აკეთებდა 98 წელს ჩემი ძმა, ნესტორ კალაძე, რომელიც იმ ხანათ ჩემს ოთახში სცხოვრობდა, და როგორც იმ ხანათ არა წევრი არალეგალური ორგანიზაციისა, არალეგალურ პირველმაისობას ვერც დაესწრებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, გიორგი ჩხეიძე, ვანო სტურუა და ჩვენთან ერთად ყველა იმდროინდელი ს.-დ. თანახმა ვართ იმაში, რომ 1899 წელს 18 აპრილს გაიმართა საიდუმლო მუშური მასიური ხასიათის პირველმაისობა „სუფრის გაშლით“, სიტყვების წარმოთქმით და წითელი დროშის (რომელზედაც მარქსის და ლასალის პორტრეტები იყო) აღმართვით ნაძალადევის დასავლეთ-ჩრდილოეთის მხარეზე ერთ-ერთ ხევში.

ხოლო 98 წელს გაიმართა პირველმაისობა თუ არა, ეს დანამდვილებით არავის ახსოვს. ყოველ შემთხვევაში არა სჩანს იმისი დოკუმენტი არც წერილობითი და არც სიტყვიერ გადმოცემითი, რომელიც გვიჩვენებდეს ამ მაისობის თარიღს და ხასიათს.

ამბ. ვანო სტურუა თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ პირველი მაისობა პირველათ გაიმართა 1899 წელს.

მე მგონია, რომ რაღაც პირველმაისობის მაგვარი ამ 98 წელსაც მოხდა, მარა ეს მხოლოდ ერთ-ერთ ს.-დ. ჯგუფის ინიციატივით თუ იყო. ერთი კი აშკარაა: სახელდობრ ის, რომ ამ პირველმაისობას არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არა ჰქონდა **თბილისის ორგანიზაციასთან** იმ დროს (98 წელს).

აქედან 98 წლის პირველმაისობას, თუნდაც ის მართლაც მოხდარიყოს, ჩვენ თბილისის ორგანიზაციას ვერ მივაწერთ. ამიტომ ერთხელ და სამოლოოთ უნდა დადგენილ იქნას ის ფაქტი, რომ თბილისის ს. და ორგანიზაციამ ორგანიზაციულათ **პირველათ** პირველმაისობა მოაწყო 1899 წლის 18 აპრილს და არა 1898 წელს.

შეცდომა მეექვსე

„ეკონომიზმი“ ჩვენებურ სოციალ-დემოკრატიაში.

მეექვსე შეცდომა ჩვენებურ ს. დემოკრატიაში ეგრეთ წოდებული „ეკონომიზმი“-ს გაჩენას შეეხება. ჩამოყალიბდა ჩვენში ეს მიმდინარეობა და გამოიხატა იგი რაშიმე, თუ არა?

ამ კითხვაზე ავტორი ასე გვიპასუხებს:

„...1897—98 წლებში თბილისის ორგანიზაციის მიერ გამართულ არალეგალურ კრებებზე... რუსეთიდან პოლიტიკურმა გადმოსახლებულმა ვინმე ბერნშტეინელმა „მარქსისტმა“ **ვლადიმერ როდზევიჩმა** პირველათ წამოაყენა ეკონომიზმი“-ს პლატფორმა, მისი „პროგრამა“ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში“...

აქვე უნდა აღვნიშნო ის, რომ აქ დასახელებული როდზევიჩი არასოდეს ს. დ. კომიტეტის არც ერთ სხდომას არ დასწრებია და არც შეიძლებოდა დასწრებოდა, რადგან კონსპირატიული მოსაზრებით ჩვენს კრებებზე ჟანდარმერიის მხედველობის ქვეშ მყოფ პირებს

არ ვისწრებდით, თუნდაც ისინი ძალიან საყურადღებო რევოლიუციონერები და მარქსისტებიც ყოფილიყვნენ. მაგალითად გადმოსახლებული ივან ივანიჩ ლუზინი და ინტენერი კოგანი არც ერთს ჩვენს არალეგალურ კრებას არ დასწრებია.

ზემოალნიშნული როდზევიჩის „გამოსვლა“ სადმე რომელიმე განცალკევებული როდზევიჩივით „შენიშნული“ ს.-დ. ბინაზე თუ მოხდა, რასაც ს.-დ. ორგანიზაციასთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა.

ავტორის წარმოდგენით ვითომ ამ როდზევიჩმა თბილისის ს. დ. კომიტეტის ერთი ინტელიგენტ წევრთაგანიც—სილიბისტრო ჯიბლაძე—კი „დაიმწუფა“ (იხ. ბროშიურის 48 გვ.) „და საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა ნოე ჟორდანიამ... უარყო ყოველივე არალეგალური რევოლიუციური ნიშან-წყალის“.....“.

თუნდაც რომ ასედაც იყოს, ამას თბილისის ს.-დ. ორგანიზაციაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია; სილიბისტრო ჯიბლაძეს არასოდეს ორგანიზაციაში „ეკონომიზმის“ მაგვარი არ წამოუყენებია და არც ცდილა სადმე ის ასეთი ფორმულის დაცვას. ეს ცილისწამება იქნებოდა სილიბისტრო ჯიბლაძეზე.

რაც შეეხება ნოე ჟორდანიას, მისი „ეკონომიზმი“-ს ნიშნები მის პირველ „შრომაშივეა“ ჩაქსოვილი. მე ვამბობ მის სტატიაზე—„ეკონომიური წარმატება და ეროვნება“.

მაგრამ აქედან არ შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ს.-დ. ორგანიზაციაში ეკონომიზმი“, როგორც მიმდინარეობა, წამოჭრილი იყოს და რაიმე მნიშვნელობა ან გავლენა მოეხდინოს მის პოლიტიკურ საქმიანობაზე, როგორც ეს რუსეთის ს.-დემოკრატიაში იყო.

სწორეთ ეს არის ერთ-ერთი განმასხვავებელი გარემოება თბილისის ს.დ. ორგანიზაციისა რუსეთის ს.-დემოკრატიისაგან.

ჩვენში „ეკონომიზმის“ ტენდენციის ნიშნები მხოლოდ ლეგალურ ორგანოში, ჟურნალ „კვალში“ გამოიხატა, მაგრამ ეს, ვიმეორებ, თბილისის არალეგალურ ს. დ. ორგანიზაციას არ დატყობია.

ნ. ჟორდანიას და სილიბისტრო ჯიბლაძის შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი არალეგალურ საქმეს მეორე რიგში აყენებდენ და ეგონათ, რომ მუშათა კლასი კლასობრივი თვითშეგნების და ბრძოლის გზაზე ლეგალური საშუალებით უფრო მეტს შეიძენს. აქედან წარმოიშვა შემდეგში მათი ოპპორტუნისტობა და „ლიკვიდატორობა“.

ნოე ჟორდანია რევოლიუციონიზმსაც და მუშათა მოძრაობასაც თავის ეროვნულ იდეის პრიზმაში ატარებდა და ქართული საზოგადოებრივობის საერთო განვითარების ჩარხით, დედაბოძით, სამრეწველო პროლეტარიატი კი არ მიაჩნდა (რადგან მისი ანალიზით ასეთი პროლეტარიატი ჩვენში თითქმის არც იყო), არამედ ქართველი დე-

მოკრატია, რომელიც „გაევროპიელების გზას“ უკვე დაადგა (იხ. ამაზე მისი სტატია „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“, აგრეთვე —„ქართული პრესა“).

მან სამრეწველო პროლეტარიატის ჰეგემონია ჩვენში „მშრომელი დემოკრატიის“ ჰეგემონიით შეცვალა და ამით მარქსიზმი გააყალბა.

ილია ჭავჭავაძეს იგი საქართველოს მუშათა კლასის სახელით კი არ ებრძოდა, არამედ „მშრომელი დემოკრატიის“ სახელით (მოიგონეთ მისი გამოსარჩლება „ას ერთი ხელზე მოსამსახურის“, რომელთა წინააღმდეგ ილიამ გაილაშქრა (იხ. 1900 წლის იანვრის „კვალი“-ს №№-ბი).

ეროვნული ბრძოლის იდეა და „მშრომელი დემოკრატიის“ ჰეგემონია,—აი ორი პრინციპი, რომლებიც ნოე ჟორდანიას მიერ შემოტანილ იქნა საქართველოს ს.-დ. ორგანიზაციის იდეოლოგიურ სალაროში და საიდანაც შემდეგში საქართველოს მენშევიკური სოციალ-დემოკრატია წარმოიშვა.

ორივე ამ პრინციპს საქართველოს სოციალ-ფედერალისტების ბელადი არჩილ ჯორჯაძეც აღიარებდა, მაგრამ ნოე ჟორდანიასაგან ის იმით განსხვავდებოდა, რომ ეკონომიკას კი არ უდებდა საზოგადოებრივ განვითარებას საფუძველსა, არამედ „კრიტიკულ აზროვნებას“, ე. ი. იდეოლოგიას, იდეას. ერთის სიტყვით, ნოე ჟორდანია „ეკონომიური მატერიალისტი იყო, ხოლო არჩილ ჯორჯაძე კი ნაციონალისტ იდეალისტი, სხვა მხრივ მათ შორის განსხვავება არც იყო.

ამით მთავარი ფაქტიური შეცდომები მე უკვე ამოწურულათ მიმაჩნია. არის წიგნაში მასთან გაფანტული ბევრი სხვა „წვრილმანი“ შეცდომებიც, რომელთა აღნუსხვა ძალიან დიდ დროსა და ადგილს მოითხოვს.

საერთოდ ძალიან უყვარს ავტორს ამოჩემებულ პირის გაზვიადებულათ შექება, ხოლო სხვების ათვალისწუნება და დამცირება.

მაგალითად, ჟურნალ, „მოგზაური“-ს თანამშრომელთა შორის რატომღაც ცნობილ ნიჰილერ იუმორისტს, „ეშმაკს“ (ნესტორ კალანდაძეს) არ იხსენიებს მაშინ, როდესაც მალვა შარაშიძე („თაგუნა“) „ნიჰილერ იუმორისტათ“ ჰყავს მოხსენებული.

მეორე მაგალითი კიდევ უფრო საყურადღებოა. ავტორი იხსენიებს „მოგზაური“-ს თანამშრომელთა შორის „მუშათა ნიჰილერ პოეტს“ იროდიონ ევდოშვილს, რომელიც თურმე, ავტორის სიტყვით, 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ **„სრულებით ჩამოშორდა ყოველგვარ (!) რევოლიუციურ-სოციალისტურ პარტიებს (!), გარეკაკიონერდა (!)“** (იხ. „პროშიორის“ 129 გვ.). ეს არაა მართალი.

შეიძლება რეაქციონერობა უწოდო რომელიმე ს. დ. ნაციონალისტურ პარტიაში გადასვლას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ეს ყოველგვარი პარტიის ჩამოშორება არ იქნება.

იროდიონ ევდოშვილმა, როგორ ვიცით, დატოვა ს.-დ. პარტია და სოციალისტ.-ფედერალისტებში ჩაეწერა.

მას ასულდგმულებდა „ეროვნული“ იდეა, რადგან ის ვერ ბე დავდა შესაძლებლობას, რომ ს.-დემოკრატიის ერთი ნაწილი მაინც შემდეგში ნაციონალისტურ პარტიათ გარდაიქმნებოდა. ამიტომ მან დროზე არჩია ამ პარტიის დატოვება და თაკის შესაფერ პარტიას მიაშურა. მე მგონია, ნოე ჟორდანიაც რომ ასე მოქცეულიყო, ს.-დ. ამით ბევრს მოიგებდა.

როგორც ევდოშვილის ბიოგრაფიიდან ვიცით, ის სოც.-ფედერალისტთა პარტიაში მონაწილეობისთვის დასჯილიც იყო მთავრობისაგან (გადაასახლეს). სჩანს, „სარევოლიუციო“ პარტიას „არ ჩამოშორებია“.

ავტორი ერთ ადგილას, სადაც გურიის გლეხკაცობის აგრარულ მოძრაობას ეხება და მთავრობის მიერ მათ დასაწყნარებლათ სულთან-კრიმ-გიერის მოკზაურობას აგვიწერს, სულაც არ იხსენიებს იმ რევოლიუციურ როლს, რომელიც მაშინ ნოე ჟორდანიამ შეასრულა.

ევროპის სოციალ-დემოკრატიას ჰყავს „ძველი და ახალი“ კარლ კაუცკი, რუსეთს კიდევ „ძველი და ახალი“ პლეხანოვი.

ჩვენც გვყავს, თუ არა „ძველი და ახალი“ ნოე ჟორდანია?

მე ვერ ვიტყვი, რომ ნოე ჟორდანიასაც ისეთი როლი შეესრულებინოს ჩვენში, როგორც ევროპაში კარლ კაუცკის, ხოლო რუსეთში პლეხანოვმა შეასრულეს. პირველიც და მეორეც ერთ დროს, ე. ი. ძველათ ნამდვილი რევოლიუციური მარქსისტები იყვნენ. ეს კი არ ითქმის ნოე ჟორდანიაზე, რადგან ეს უკანასკნელი თავიდანვე **ნაციონალისტი და დემოკრატი იყო.**

პირველთა სიძველეს ახასიათებს რევოლიუციური მარქსიზმი, ხოლო მეორისას ნაციონალ-დემოკრატიზმი. **საერთო კი მათ შორის არის მხოლოდ ეკონომიური მატერიალიზმი და საერთო ხასიათის რევოლიუციონიზმი.**

ამ საერთოს გამო ჩვენ არც ნოე ჟორდანიას ის ისტორიული როლი შევუვიძლია დავიწუროთ, რომელიც მან ჩვენ საზოგადოებრიობაში. და ახროვნებაში შეასრულა: მისი სიძველეც ერთგვარ ღირებულებას შეიცავს, რისთვისაც ის შესაფერისად დაფასებულ უნდა იქნეს, ვინაიდან ჩვენ გვწერთ **ისტორიას.**

სტატია გაგვიგრძელდა: შეუძლებელი ხდება ყველა შეცდომების ამოწურვა და გაზეთის ფურცლებზე მათი გადმოტანა. მეორე

მხრით ისიც აშკარაა, რომ შეუძლებელია მკითხველი სისწორით გაეცნოს ჩვენ მიერ განხილულ წიგნში კომპარტიის ისტორიას.

აქედან ერთად ერთი დასკვნა: **ჩვენი პარტიის ისტორიის მასალები ხელახლავ განხილულ-ამოწურულ უნდა იქნას და ისტორიაც უნდა შესაფერი მეთოდით შემუშავდეს.**

რაჟდენ კალაძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის.

(ამხ. რაჟდენ კალაძის საპასუხოდ)

I

გაზ. „კომუნისტი"-ს №№-262, 263, 264 და 265-ში, სათაურით „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის", „კრიტიკული შენიშვნები„-ს სახით მოთავსებულია ამხ. რაჟდენ კალაძის ფელეტონები, სადაც ავტორი „არჩევს" ამხ. ფილიპე მახარაძისა და ჩემს საისტორიო წიგნაკებს: 1) „ტფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა"-ს და 2) „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის".

აგრეთვე იგი ეხება „რევ. მატიანე"-ში მოთავსებულ ზოგიერთ ჩვენ წერილ-შენიშვნებს.

პირველი ფელეტონი უმთავრესად ეხება ამხ. ფ. მახარაძის ხსენებულ წიგნაკს. მე იქ მეხება გაკვრით, ჩემზე იგი ჩერდება დიდხანს დანარჩენ ფელეტონებში.

ამხ. რაჟდენი იწყებს ძალიან შორიდან.

იგი ამხ. ფილიპეს და მე „გვისაყვედურებს"—რატომ არ ავიღეთ და გავაშუქეთ მე XIX-ტე საუკუნის ქართული საზოგადოებრიობა ფართოდ, ისე, როგორც ეს ამხ. კალაძეს ესმოდა და უნდოდა; რატომ არ ავხსენით ნაროდნიკების უნიადაგობა საქართველოში ისე, როგორც ეს ამხ. რაჟდენს ესმოდა და უნდოდა; რატომ არ გავარკვიეთ ქართველი მუშათა კლასის თითქმის ერთ და იმავე დროს ჩაძოყალიბება და მარქსიზმის დროშის ქვეშ დადგომა ისე, იმნაირად, როგორც ეს ამხ. კალაძეს ესმოდა და სურდა.

თავის „აზრებს" ამხ. რაჟდენ კალაძე ქვევით მეტად გაუგებრად, მარქსიზმის სამოსელში გამოწყობილს, ნაციონალისტური „ფილოსოფიით" ანვითარებს.

ისეა ამ „ფილოსოფიაში" ერთმანეთს დაშორებული აზრები, რომ მეტად ძნელი ხდება ავტორის მთავარ აზრის დაჭერა, მისთვის ხელის ჩაჭიდება.

ამხ. რაჟდენ კალაძის ამ „ფილოსოფიაში“ ტვინის ძარღვის დიდი დაჭიმვით შეიძლება შემდეგის გაგება: ქართველი გლეხი, ქართველი მუშა თავისებურია კულტურით; ქართველი ხალხი არა ჰგავს და არ უნდა ჰგავდეს რუსეთისას; ქართველი გლეხის გარეფოლიციონერება ქართველური თავისებურობით აიხსნება; ქართველი მუშების რუს მუშებზე უფრო მალე გაძარცსტება და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მეტი ინტენსიური ბრძოლის წარმოება მის მხრივ. **ეროვნული მომენტით**, ქართველი ხალხის მამოძრავებელ-ნაციონალური პრინციპებით აიხსნებაო და სხვა.

აქედან ვხედავთ: ყველაფერი, ყოველგვარი რეფოლიუციონური მოძრაობა საქართველოში ამხ. რაჟდენი ცდილობს „ეროვნულ მომენტის“, **ნაციონალურ პრინციპების** ადლით გაზომოს და განსაზღვროს. ამ ადლით უნდა მიუდგეს ამხ. კალაძეს სოციალიზმს, კომუნიზმს; ამ ადლს აფარებს იგი პროლეტარულ ბრძოლის ფილოსოფიას—ბოლშევიზმს.

აი როგორ იწყებს ამხ. რაჟდენი თავისი „კრიტიკის“ შესავალს: ... „ორივეს (ესე იგი ფილიპეს და მე) მოეთხოვება (ჩვენ კი მოგვეთხოვება“, მაგრამ ამხ. რაჟდენი თუ ფიქრობს,—მასაც **მოეთხოვება** პასუხი მარქსიზმისა და კომუნიზმის სახელით რომ ქადაქებს ანტიინტერნაციონალურ იდეას,—ს. თ.), როცა საქართველოს კომპარტიის ისტორიას გვიწერენ, გამოარკვიონ და აღნიშნონ ის ნიშანდობლივი (ეროვნულ ნაციონალური, არაჟ! ს. თ.) თავისებებიც, რითაც ამ პარტიის სახე და ელფერი მისი დედა-პარტიის—რუსეთის კომპარტიისაგან განსხვავდება; გამოარკვიონ და აღნიშნონ პარტიის საქართველოს პირობებში განვითარების სხვაობა“.

ვთქვათ მოხდა „სასწაული“: ქართველი ხალხი საშინლად დაემსგავსა რუსეთისას არა მარტო რევოლიუციის ისტორიით, კულტურით, ეკონომიკით,—სახით, ენით, ჩვეულებით, ტანისამოსითაც. აქ აღარ დარჩა არაფერი განსაკუთრებული, თავისებური.—ჰგავს, ჰგავს რუსეთს ყველაფერში საქართველო... მაშინ? მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ? არ უნდა დავსწეროთ კომპარტიის ისტორიაზ?..

ამ „შემთხვევაში იგი საჭირო აღარ იქნებოდა“-ო უპასუხებს ჩვენი „ფილოსოფიის“ მოყვარე „კრიტიკოსი“.

ამხ. რაჟდენისებურად გამოდის: რადგან რუსები ერთმანეთს ჰგვანან ყველაფრით, მარტო ერთ ლენინგრადის ან მოსკოვის კომპარტიის ორგანიზაციის შესახებ დაიწერებოდა ისტორია და კმაროდა მთელი უზარ მაზარ რუსეთისათვის. სხვა სამრეწველო რაიონებისა და გუბერნიების პარტიული მოძრაობის შესახებ წერა ზედმეტი იქნებოდა, რადგან იქ ეროვნულ თუ ნაციონალურ თავისებურებას

ხომ ადგილი არ ჰქონდა და ისე კი კომპარტიის ისტორია ამბ. რა-ტდენის „ფილოსოფიით“ რა საინტერესოა, რა მნიშვნელობისაა:..

კომუნისტის, ინტერნაციონალისტის ამაზე მეტი დაკნინება შეიძლება!!!

მაგრამ მე ჩემი ისტორიული წიგნაკის წერის დროს ეს „სასწაული“ სრულებით არა მქონია მიდგელებაში. მე ვიცოდი და უწევდი ანგარიშს იმას, რომ ყველა ერებს ანსხვავებს ერთი მეორისაგან თავიანთი **ეროვნული თავისებურებები** და აგრეთვე ქართველ ერსაც რომ ჰქონდა ეს თავისებურობა, ქართველი მუშებიც რომ ხატავდენ თავიანთი განსხვავებული ყოფა-ცხოვრებით მას.

ამისათვის მე ჩემ წიგნაკში—„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის“, თავიდან ბოლომდის, **ყოველგან** და ყოველთვის, საცა კი ეს **თავისებურობა**, ქართველური **ელფერი** თავს იჩენდა პარტიულ-რევოლიუციონურ მუშაობაში,—ყოველთვის ხაზს ვუსმობდი, აღვნიშნავდი.

ყველა მიუდგომელი, საქმიანი, არა მოცლილი, არა კირკიმალა მკითხველი ჩემი წიგნაკის კითხვის დროს პირველ გვერდიდანვე ვიდრე უკანასკნელ გვერდამდის დაინახავს ამას.

მაგრამ ვინ გაბედავს და მომთხოვს (გარდა პავლესა და რაჟდენისა), რომ მე დაუხატო მათ ჩვენს ისტორიულ წარსულში ისეთი ქართული **საზოგადოებრივობა**, რომელსაც არ ჰქონდეს რუსეთის საზოგადოებრივობის ზეგავლენა, რომელიც არ ყოფილიყოს მიბაძვა რუსეთისა,—გადმოქართულებული რუსულიდან!?.

60-ანი წლების მოღვაწეთა—ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, დიმიტრი ყიფიანის, ერისთავისა, ღოღობერიძეებისა და სხვების ლიბერალიზმი პირდაპირ რუსეთიდან **წარმოღებული**, დიახ, წამოღებული და ქართულ მიწა-წყალზე გადმორგული იყო. ამ ეპოქის მებაირახტრის—ილია ჭავჭავაძის ნაწერები აშკარათ ატარებს ტურგენევისა, დოსტოევსკისა, ნეკრასოვისა და სხვების გავლენას. ასეთივეა აგრეთვე ერისთავისა, აკაკისა და სხვებისაც.

70-იანი წლების მოღვაწენი—ეს ხომ პირდაპირი ნაროდნიკებია, ქართველი ნაროდნიკები, რუსეთის ნაროდნიკების პროგრამით ხელში, რუსეთის ნაროდნიკებთან იდეურათ და ორგანიზაციულად დაკავშირებულები. სხვა კითხვაა ის, რომ მათ ნაკლები ნიადაგი დაურჩა აქ, საქართველოში. მაგრამ ხომ ვერ იტყვის ვინმე, რომ ამ ეპოქების, ამ წლების სიგრძეზე **განსაკუთრებული** საზოგადოებრივი, **განსაკუთრებული** იდეოლოგიური, წმინდა ქართული სახით ძოლებნილი რამე აღმოცენებულიყო, ყოფილიყო ასეთი რამე საქართველოში... და ეს სულ ადვილი ასახსნელია. **საზოგადოებრივობის, იდეოლოგიის ჩასახვას** სჭირია, როგორც ობიექტიური, ისე სუბიექტიუ-

რი პირობები. ერთმანეთის დაშორებით ესენი ვერ ჩაისახებიან. შეიძლება მოხდეს მარტო სუბიექტიური პირობების მზად ყოფნით მისი ჩასახვა, მაგრამ ეს იქნება უნიადაგო (როგორც მაგალ. ნაროდნიკობას მოუვიდა საქართველოში) და ვერ იხარებს, ჩქარა მოკვდება...

ჩვენ ვიცით — საქართველო რუსეთთან დაკავშირების დღიდან, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად, აგრეთვე კულტურულადაც დაუნათესავდა რუსეთს... ჩვენი ახალგაზრდები, ჩვენი მომავალი თაობები განათლებას ღებულობდენ ხომ რუსეთის უნივერსიტეტებში უმთავრესად და უპირველესად იდეოლოგიის წარმომადგენელი საქართველოში იყვნენ ხომ აი ეს განათლებულები.

რა სახისა და შინაარსის უნდა ყოფილიყო ეს მათი იდეოლოგია აჭ, საქართველოში?.. რა თქმა უნდა, ისინი მზა-მზარეულად ღებულობდენ მას რუსეთიდან და გადმოჰქონდათ ჭართულ ნიადაგზე (ჯერ საქართველოს ისტორიამ არ იცის ისეთი გენიოსი მათ შორის, რომელსაც ქართული **ორიგინალური** იდეოლოგია შეექმნას საქართველოში).

ესენი ქართველი სინამდვილის მიხედვით ღებულობდენ მხოლოდ ქართულ ელფერს, ეწყობოდა ქართულ სამოსელში.

ტყვილად ასახელებს ამბ. რაჟდენი ქართველ ფედერალისტებს. იმათ იდეოლოგიაში არაფერი ქართული არ იყო. ნუ ოუ რაჟდენმა დღევანდლამდის არ იცის, რომ ამ იდეოლოგიის საფუძველი — **მსოფლმხედველობა,** ესერების იდეალისტურ შეხედულება-პრინციპებზე არის დამყარებული, რომ ქართველი „სოციალ"-ფედერალისტების მთელი სამოქმედო პროგრამა „სოციალისტურ შემოქმედების" სფეროში რუსეთის სხვა და სხვა ჯგუფის ესერებიდან არის აღებული!? ჩვენს ფედერალისტებს ქართული ჰქონდათ **შოვინისტური, ეროვნული გრძნობა,** რომელიც პრაქტიკაში ვერ იფერებდა, სრულებით ვერ იფერებდა არსებითად ინტერნაციონალურ ესერების სოციალიზმს, რუსეთის ესერების გადმოქართულებულ რევოლიუციონურ იდეოლოგიას.. ისინი იცვამდენ ია რუსულ ფართალს ქართულ ყაიდაზე შეკერილს, ვერ „იმშვენებდენ" ტანს, ატყუილებდენ სხვას, ატყუილებდენ თავს თავიანთ სოციალისტობაში, შოვინისტური ბუნება მათი ვერ იფარებოდა სოციალისტურ ნიღაბში.

და მერე იხვირეს მათ? ამ შოვინისტურმა ბუნებამ მაინც მისცა მათ რამე?

ვინ არ იცის, რომ ჩვენი წარსული რევოლიუციონური და სოციალისტური მოძრაობა იმით დაიწყო, რომ მშრომელი ქართველი ხალხი მასიურად გამოემიჯნა ყოველი ჯგუფის ნაციონალ-სოციალისტურ პარტია ჯგუფებს და მასიურად დადგენ სოციალ-დემოკრატიის ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ; სოციალ-დემოკრატია საქართვე-

ლოში გაიზარდა, მომწიფდა და გამაგრდა სწორედ ამ ნაციონალ-სოციალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში!!

სხვათა შორის, გადაჭრით შეიძლება თქმა, რომ ჩვენს რევოლიუციონურ წარსულში, განსაკუთრებით 90-იანი წლებიდან მოყოლებული, როცა გამოიჩეკა ქართველი მუშათა კლასი და მოევლინა მას მარქსისტული იდეოლოგია, გაუჩნდა წინამძღოლი-ავანგარდი—მარქსისტული ორგანიზაციის სახით, ვიდრე 1917 წლის თებერვალ-ოქტომბრის რევოლიუციამდე, მენშევიკების გაბატონებამდე საქართველოში,—ქართველ მუშებში, ქართველ მშრომელ გლეხებში არავითარ ეროვნულ მომენტს, არავითარ ნაციონალურ გადახრებს და ნაციონალურ შეხლა-შემოხლებს, რომლისთვისაც დანას ეხეცა, „ჰკუას“ ჰკარგავს ამბ. რაჟდენი, ადგილი არა ჰქონია. აქ იმ ხანებში ქართველ მშრომელ ხალხს რუსეთის რევოლიუციონურ მშრომელ ხალხთან ერთად, ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ხელმძღვანელობით ჰქონდა ერთი ამოცანა, ასისხლხორცებდა ერთი მიზანი—მონარქიული მეფის მოვარობის დამხობა, ყველა ერის მყლეფელთათვის ლაგამის ადება, შრომის სამეფოს შექმნა; რომ ქართველ მშრომელ ხალხისთვის იმ ხანებში არ იდგა ნაციონალური საკითხი.

ჩემს წიგნში, რამდენადაც მისმა პატარა ზომამ ნება მომცა, მე აღვნიშნე, გავუსვი ხაზი „ეკონომიზმისა“, მენშევიზმისა და სხვა „იზმების“ თავისებურობას საქართველოში. ეს თავისებურობა, გადაჭრით ვაცხადებ მე, რამდენადაც იგი მართლა არსებობდა და იჩენდა თავს აქ, წითელი ზოლივით არის გატარებული ჩემ წიგნაკში; მას მხოლოდ ობიექტიურად მიდგომა და გულდასმით წაკითხვა უნდა (ამას კი ამბ. რაჟდენ კალაძე ვერას გზით ვერ იზამს, რადგან მას წიგნაკის ავტორის ფიზიონომია თითონ საშინლად არ მოსწონს; არაა იგი კარგ განწყობილებაში მასთან. ისეთი პირა, რომელიც არ მოსწონს რაჟდენს, წინდაწინ იცის, რომ ვერაფერს „სასიამოვნოს“ დასწერს.)

მაგრამ ამბ რაჟდენი ასეც რომ მისდგომოდა მას, მე რომ მისი ნაციონალისტური ბუნება ვიცი, ეს არ დააკმაყოფილებდა მაინც მას.

ამბ. რაჟდენ კალაძეს უნდა, სავშინლად უნდა, რომ ნაციონალისტური გამიჯვნით დაიხატოს საქართველოში სოციალიზმიც და კომუნიზმიც!

ჩვენ „ცოდვილები“ კი ამას ვერ ვშერებით, ისტორიული სინამდვილე ამის ნებას არ გვაძლევს, თან ჩვენი პროლეტარული პარტიის ინტერნაციონალური ინტერესებიც არ გვირჩევს ასე მოქცევას.

დაბოლოს, ვისთვისაა საჭირო ეს ანტი-ინტერნაციონალური მიდგომა!

უნდა ვიფიქროთ, რომ მხოლოდ მტრებისთვის, პროლეტარიატის მხოლოდ ორგულებისთვის.

ეხლანდელი ნოე ჟორდანია ხომ მთელ „მეცნიერებას ჰქმნის", მთელ „ფილოსოფიას" აშენებს იმისათვის, რომ დაამტკიცოს ქართველი ხალხის განსხვავება რუსი ხალხისაგან, წინააღმდეგ წინანდელი ჟორდანიის მთელ ათეული წლების სიგრძეზე მტკიცებისა, რომ ამით მან გაამართლოს თავისი შოვინისტური და კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯები, მწრომელი კლასის წინააღმდეგ მიმართული თავისი კონტრ-რევოლიუციონური სამზადისი.

ამხ. რაჟდენი კი სამწუხაროდ ამ მართლაც და „თავისებურ, რაჟდენისებურ" ყალბი მტკიცებით გვერდს უმაგრებს ჟორდანიებს.

ამხ. რაჟდენი ამით არ კმაყოფილდება, ასეთი ანტი-ინტერნაციონალური მეთოდით რომ უდგება და აშუქებს საკითხებს, იგი აგრეთვე არ ამბობს ხომ უარს ჩემი აზრების დამახინჯებულად მოყვანაშიც!

„ერთა შორის ბრძოლის ისტორიულმა კანონებმა საქართველო,— ამიერ-კავკასიის ეს კულტურული ცენტრი მე 19 საუკუნიდან მჭიდროთ დაუკავშირეს დიდ მპყრობელ რუსეთის ერის ბედს". აქ რაჟდენი უსვამს წერტილს და ქვევით, ახალი სტრიქონით შენიშნავს: „და მეორე შემდეგი აბზაცით ამას სრულიად შეუფერებელ და გაუმართლებელ (ვისთვის, როგორ (!) **ს. თ.**) დებულებას უმატებს". და მოყავს ქვევით ჩემი შემდეგი აზრი:

„რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყისს და **პარტიების წარმოშობას** საქართველოში **ამიტომ ისეთივე ისტორიული წარსული აქვს, როგორც მათ რუსეთში ჰქონდათ** (ხაზგასმული ამხ. რაჟდენის არის ყველგან) ამის შემდეგ იგი იწყებს თავისი „ფილოსოფიის" განვითარებას.

ჩვენ ამ ჟამად ეს „ფილოსოფია" არ გვაინტერესებს, მას ხვედრი უკვე შევეხეთ.

მე აქ მინდა მკითხველ ამხანაგებს დავანახვო, თუ როგორ „სათუოდ" და „პატივისცემით" ეპყრობა ამხ. რაჟდენი სხვის აზრებს.

მე ვწერდი:' „ერთა შორის ბრძოლის ისტორიულმა კანონებმა საქართველო,—ამიერ-კავკასიის ეს კულტურული ცენტრი მე 19 საუკუნიდან მჭიდროთ დაუკავშირეს დიდმპყრობელ რუსეთის ერის ბედს **როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად და დაუნათესავეს იგი კულტურულადაც**".

როგორც მკითხველი ხედავს, ამხ. რაჟდენმა დასვა წერტილი იქ, საცა მე არც წერტილი მქონდა დასმული და არც სასვენი ნიშანი; მან გამოტოვა, წაგლიჯა ჩემ მიერ ეხლა ხაზგასმული რვა სიტყვა.

რად დასჭირდა ეს ამხ. რაჟდენს!

ამით დამახინჯდა თუ არა ჩემი დებულების აზრი?! ამით მოაკლდა თუ არა დებულებას საჭირო მოტივები?!

თუ ამ ხაზგასმულს მოვაკლებთ და რაც დენისებურად წერტილს დაუსვამთ:.....—„მე 19 საუკუნიდან მჭიდროთ დაუკავშირეს დიდმპყრობელი რუსეთის ერის ბედს“, – მაშინ შეიძლება ფიქრი, რომ საქართველო **ძალით დაიპყრო** დიდმა რუსეთის **ერმა**, წაართვა მას თავისუფლება, დაიმონა ძალით, მაგრამ ქართველმა ხალხმა შეინახა მაინც თავისი ეკონომიური დამოუკიდებლობა, **შეინახა თავისი კულტურული სხვაობა**. მოკლედ—ქართველი ხალხი დარჩა ხელუხლებელი შინაურ პოლიტიკურ უთრთიერთობაში, ეკონომიურისა და კულტურული ცხოვრების სრული თავისებურობის შერჩენით. აქედან კი ლოღიკურად ქართველი ხალხი დარჩა რუსეთის ხალხთან **იდეოლოგიურადაც დამოუკიდებელი**.

ეს უნდოდა ხომ რაქდენს?! ასეთი მიდგომა—დახასიათებებისათვის „გვახრჩობს“ ხომ იგი ჩვენ?!

მოუსმინოთ, რას ამბობს ამხ. კალაძე ამ თავის „გემოზე“, მის მიერ დამახინჯებულ ჩემს დებულებაზე: „ავტორი სრულიად საბუთიანად და სწორი დებულებით იწყებს“.

აი თურმე როგორ უჩვილებს ამხ. რაქდენს გულს ადგილი წიგნში, რომელიც ენათესავება მას, რომელიც ცოტაც არის ჩამოჭკრავს ხოლმე „თითებს“ რაქდენის სულის სიმებზე!!.

მაგრამ უნდა მოვახსენოთ ამხ. რაქდენს, რომ მე ვერაფრით ვერ გავახარებ მას. ეს დებულება (რა თქმა უნდა მის მიერ მოპარულ იმ **რვა სიტყვების** დამატებით, რომელიც ეხლა უკან მოვატანეთ) მთლიანად, ყოველი ასოებითაც კი წინააღმდეგია იმ აზრის, იმ შეხედულების, რომელიც ამხ. რაქდენმა გამოათრია ჩემი წიგნაკიდან.

ნუ იტყვით, თურმე შეიძლება სხვისი აზრის ცოტა „შელამაზება“ და შემდეგ იქიდან საკუთარი აზრების მიღება!

მე კი დღეგანდლამდის ეს არ ვიცოდი.

... და კიდევ, ამის შემდეგ, როცა ქვეყით ჩემი დაუმახინჯებელი აზრები აღარ მოეწონა,—„აზრთა წინააღმდეგობაშიც“ რომ მიჭერს, „ულოლიკობასაც“ რომ მწამებს!!—

მეორე დებულება პირველს ეწინააღმდეგებაო, ამბობს!...

მე აქ არაფერს არ ვიტყვი, პირუთვნელი მკითხველი თითონ დასდებს მსჯავრს ამხ. რაქდენს.

აი, როგორ ჩაჭრილობს თურმე ამხ. რაქდენი „ისტორიის წერას“!

...ამხ. კალაძემ იგი ვერ შესძლო, რომ ამხანაგის წიგნაკიდან ერთი პატარა ადგილი სწორათ, მიუდგომლათ გადაეცა მკითხველებისათვის, და მე არ ვიცი როგორ უნდა დაუჯერონ მას ერთობ შორეულ ისტორიულ წარსულის მოთხრობა, რომელსაც ეხლა მისცა ადგილი მან გაზეთის ფურცლებზე რამდენიმე ფელეტონის სახით.

აქ აღსანიშნავია კიდევ უსაფუძვლო დაჟინება ამბ. რაჟდენისა ერთ პატარა მნიშვნელობის ფაქტზე.

ამბ. ფილიპეს წერილებიდან, ამბ. არაქელა ოქუაშვილის მოგონებიდან და კიდევ სხვა ძველი რევოლიუციონერების გადმოცემიდან მე ვიცოდი, რომ არაქელას; ხაჭრო ჩოდრიშვილისა და ვასო ცაბაძის მეოხებით ამბ. ფილიპე მახარაძეს მოუხდა ორ-სამჯერ მუშათა წრეში მეცადინეობა, რასაც ჩქარა თავი დაანება მან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

ეს მე, „რევ. მატიანე"-ს № № 1 (11)-ში ამბ. რაჟდენისადმი მიმართულ ერთ პატარა „საშენიშვნო" ჩემს წერილში აღვნიშნე.

ამაზე ლაპარაკობს ეხლა რაჟდენი:

...„ამბ. სევასტი კი ამბ. ფილიპეს დაჟინებით გზავნის „მუშებთან სამეცადინოთ" და მერე არა ერთ წრეში, არამედ „წრეებში" და ქვეითი შენიშნავს: „მე იმაზე არაფერს ვიტყვი, თუ რათ დასჭირდა ამბ. სევასტის ასეთი სიცრუის შეთხზვა (დე, ამას თვითონ მკითხველმა დასდოს მსჯავრი) ეცხადებ ბოლოდ, რომ ამბ. ფილიპეს შესახებ მე ბევრჯერ შეკითხვივარ ვასო ცაბაძეს (რადგან ვეჭვობდი: იქნებ მე ვერ შევნიშნე მეთქი) და ყოველთვის მისგან უარყოფილი პასუხი მომიღია (მე მივსცემ ნებას ჩემს თავს არ დაუჯერო ეს ამბ. რაჟდენს, რადგან მე პირადათ ბევრჯერ მჭონდა შემთხვევა, უნებლიე თუ ნებსითი, ტყუილებში დამეჭირა იგი. ს. თ.).

„ამასვე დაამოწმებენ თვითონ ამბ. არაქელა, ვანო და გიორგი (ტყვილათ გაქვთ მაგის იმედი ახბ. რაჟდენ!), რომელთა მეთაურობით მაშინ „მუშათა წრეები" დგებოდა. მე მგონია, (ჰო, ჰო, თქვენ ამბ. რაჟდენ ყოველთვის ყველაფერი „გგონიათ" და ნამდვილათ კი ყოველთვის სხვა გამოდის), რომ ამასვე დაამოწმებს თვითონ ამბ. ფილიპე მახარაძეც. ამის შემდეგ, მე აღარ ვიცი, რა ფასი უნდა ჰქონდეს ამბ. სევასტი თალაქვაძის (გვარსაც რომ მიმახსნევდეს! არ უნდა ამბ. რაჟდენს დასწეროს ისე, როგორც მე ვაწერ—თალაკვაძე) მიერ შეთხზულ „შენიშვნებს და ისტორიებს"—დაასკვნის ბოლოს ამბ. კალაძე.

მე კი დაუმატებ ამბ. რაჟდენის „დასკვნას": თუ ზემოთ ჩამოთვლილი პირები თანახმა იქნება ამბ. რაჟდენის, მაშინ არა თუ მარტო „ფასზე" შეიძლება ლაპარაკი ჩემი „შენიშვნა-ისტორიებისა", არამედ მე სასტიკადაც უნდა დავისაჯო ასეთი ზღაპრული სიყალბის შეთხზვისათვის. უნდა ვაფიქროთ,—თუ ყველაფერი ეს სწორია, ამოწმებენ ზემოთ ხსენებული ძველი ამხანაგები ამბ. რაჟდენის ამ „მტკიცებას" და მე მიუხედავად ამისა მაინც ვწერ ასეთ „ფაქტს"—მე მაშინ, პირდაპირ ჯუაზე შერყეული ადამიანი ვყოფილვარ! არა! წარმოუდგენია მაინც ვინმეს ასეთი ახირებული ამბავი—კაცი, რომელიც ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობს, მოგვითხრობს, რომ არ გამიკეთებია **მაშინ** ეს და ეს საქმეო, მაინც დაჟინებით ეუბნებოდე „კი, კი გააკეთეო“!

ამხ. რაჟდენი ამბობს: **ვასო ცაბაძემ მითხრა, არაქელაც ასე იტყვის და ფილიპეც დამემოწმება ამაშიო.** (ხაზს მე ვუსვამ).

ამხ. არაქელა „იტყვის“, ამხ. ფილიპე „დამემოწმება“ ამხ. რაჟდენს, მაგრამ ხომ არ „უთქვამს“, ხომ არ „დაუმოწმებია“; ხომ კიდევ კითხვა იყო მისთვის—მოიქცეოდენ თუ არა ისე, როგორც რაჟდენს „უნდოდა“, როგორც ამხ. რაჟდენს „გამოადგებოდა“.

ამაზე მეტი საცოდავი, ამაზე მეტი ახირებული „მტკიცება“ შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს! მაშ, აბა მე ვინ მიკარნახა, რისთვის და ვისთვის დავწერე ეს!.. ეს ხომ მართალი „არ ყოფილა“?! და მერე კიდევ ამ „ტყუილს“ არ ღებულობს ხომ ის, ვისაც ეს ეხება, ვისიც მე „განდიდება“ მოვინდომებია ამ „ტყუილებით“.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საკითხავია მაინც—ჰგავს ჭკუათა მყოფი ადამიანის მსჯელობას ეს? არის ამ მტკიცებაში ლოღიკის რამე!?.

მაგრამ მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ ვასო ცაბაძეს არაფერი ისეთი რაჟდენ კალაძისთვის არ უთქვია, არ შეეძლო ეთქვა, რადგან ჩემთან, როგორც პარტიაში მომუშავესთან, ჰქონდა მას მჯიდრო დამოკიდებულება, ბევრს სხვა ამგვარ ისტორიულ წარსულებზე წერილობითი მიწერ-მოწერაც. (ზოგიერთი ასეთი პატარა წერილები ჩემს მისამართზე ამხ. რაჟდენსაც მოხდა ხელში, რასაც ვერ უარყოფს).

მე რამდენჯერმე გადამიცია ხოლმე ამხ. რაჟდენისთვის ვასო ცაბაძის შემდეგი ნათქვამი, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში—„ორჯელ თუ სამჯერ მოშიხდა ფილიპეს წრეებში წაყვანა. შემდეგ რაღაც გარემოებამ მისი წრეში გაძოყენება დაგვიშალა“-ო და სხვა. მაგრამ მაშინ ამხ. რაჟდენს არაფერი ამის წინააღმდეგ არ უთქვამს. სთქვა მხოლოდ ეს—„რა ვიცი მე არ მახსოვს, ჩემს დღიურში არ მიწერია“-ო. (სხვათა შორის ამხ. რაჟდენს აქვს რაღაც ძველი ხელნაწერი რვეული და ამბობს—ეს ჩემი დღიურია, რომელიც ჩვენ წარსულ მუშაობას შეეხებაო, რაც მე პირადათ ძალიან საეჭვოდ მივიჩნიე ჩემ მიერ შემთხვევით გაკეთებულ ცოტაოდენი ანალიზის შემდეგ). რაც შეეხება ამხ. არაქელა ოქუაშვილს, რომელიც ყველაზე უფრო ახლო დგას ამ „ამბავთან“, იგი თავის მოგონება—ავტობიოგრაფიით ადასტურებს ჩემს აზრს, მეც უმთავრესად მას ვემყარებოდი აქ: იგი ცოცხალია და დაინტერესებულთ შეუძლიან შეეკითხონ. მე კი ამხ. რაჟდენის ამ „კრიტიკის“ შემდეგაც მჭონია ამის შესახებ მასთან ლაპარაკი და განმეორებით სთქვა: „დაახლოვებით ფილიპე თვე-ნახევარი დადიოდა ჩვენს წრეში, საცა იყო ხაქრო ჩოდრიშვილიც. შემდეგ

იგი იძულებული შეიქნა ოზურგეთში გადასახლებულიყო და წრე სილიბისტროს გადასცა“.

ამბ. ფილიპეც თავის უკვე **დაწერილებით** და **ნათქვამით** ადასტურებს ყოველივე ამას. ამბ. ვანომ და გიორგიმ ამის შესახებ ცოტა იციან.

...არა, როგორ მისცა მაინც ამბ. რაჟდენმა უფლება თავის თავს წინასწარ ემტკიცებინა, რომ ეს ფაქტი შეეხსნელია, რომ მე „ცრუ“ ვარ! ამით ხომ მარტო ჩემს წინაშე არ ჩაიდინა მან დანაშაული; მან დააშავა ისტორიის წინაშე, დააშავა მკითხველ ამხანაგების წინაშე... რა იცოდა ამბ. რაჟდენმა, რომ ეს იმათი ცრობები ამ „ფაქტის“ შესახებ მე არ მჭონდა. არა, ეს ყველაფერი ამბ. რაჟდენმა, პირიქით, იცოდა, მაგრამ მაინც გაიხადა საჭიროდ ასე მოქცევა! ამით ამბ. რაჟდენმა მოინდომა—რამდენიმე დღით (სანამ მე უპასუხებდი) მაინც შეეჩერებია მკითხველ საზოგადოების ყურადღება იმაზე, რომ მე „ცრუ“ ვარ, არა ვარ „მართალი კაცი“, რაც ახარებს ასიამოვნებს რატომღაც ამბ. რაჟდენს.

უნდა ითქვას, რომ ამ „ფაქტს“—იყო თუ არა ის მართალი,—ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა მაინც არა აქვს, პარტიის ისტორიაც უიმისოდ არაფერს არა ჰკარგავს; არც ამბ. ფილიპე მახარაძეს ჰშატებს ის „ღმაცა“ დიდ რამეს. მისი გარეთ, ისტორიის ფურცლებზე გადმოტანა, ბჰოლოდ უბრალო საინფორმაციო (ფაქტის აღნიშვნა) მიზანი იყო და არაფერი მეტი. არაფერი მეტი მნიშვნელობა მე პირადათ მისთვის არ მიმიცია. არც ამბ. რაჟდენისთვისაც არაფერი მეტი მნიშვნელობა მას არა აქვს, მაგრამ თუ მაინცა და მაინც ჩაჰკიდა მან ხელი და ააშენა ზედ თავისი საყვარელი „ფილოსოფია“ აქ მას მიზანი ჰქონდა სხვა. ეს ის, რომ მოეგონებია მკითხველები—ამბ. ფილიპე კი არ დადიოდა წრეებში, არამედ მე, მე და რატომ ამაზე „თალაქვაძე“ არაფერს არ ამბობსო.

მე, რა თქმა უნდა ვიცი, ეს,—უდასტურებ ამბ. რაჟდენს იმას, რომ იგი დადიოდა წრეებში და ეწეოდა მუშაობას მათში. მაგრამ ისტორიისათვის ასე პატარა მნიშვნელობის ფაქტები, როგორიც არის ამბ. რაჟდენისა და სხვა იმ დროინდელი მის გვარი წვრილი მუშაკების წრეებში მუშაობა,—არ დავინახე საჭიროდ ხაზ გასმით აღმენიშნა. მე უფრო იმ მსხვილ მუშაკებზე შეეჩერდი, რომლებუც პოლიტიკას ჰქმნიდენ, ახლად ჩასახულ მუშათა კლასს ბრძოლის გზებს უჩვენებდენ, თეორიულ საკვებს აწოდებდენ, პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობდენ. ასეთები იყვნენ მაშინ ჩემის აზრით: მიხა ცხაკაია, სილიბსტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე, ნოე ჟორდანია, ზაქრო ჩოდრიშვილი, ვასო ცაბაძე და სხვები. არა მხოლოდ ამბ. რაჟდენ კალაძე, ალექსანდრე შატილოვი და სხვა კიდევ ორ-ს-მი ინტელიგენტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც 1897 წლიდან (ამხ. რაჟდენისე დამოწმებით) მოიწვიეს ორგანიზაციებში ჩაბმულმა მუშებმა თავიანთ შორის და იხმარიებდენ თვითგანვითარების მიღებაში. ამხ. რაჟდენს კი სურდა, რომ უფრო ფართედ ყოფილიყო წარმოდგენილი. აი ეს გრძნობა **ამოძრავებს** მას დღეს და ვერას გზით ვერ ხედავს ჩემს წიგნაკში „ნაკლულოვანებებთან" ერთად **დადებითი** მხარეებსაც. ამიტომ არ შედის მის „ამოცანაში" უკანასკნელი.

II

შემდეგ თავის კრიტიკას ამხ. რაჟდენი ჩემს წიგნაკიდან—„საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის"-იწყებს.

შესავალში, რომ თავიდანვე დაარწმუნოს მკითხველი, ამხ. რაჟდენ კალაძე მახასიათებს მე მოკლეთ—პარტისის სათავეში კია, მაგრამ მაინც არაფერი დაეჯერებაო—ამბობს ჩემზე: შემდეგ ცდილობს დაეუბაროს ამხ. პავლე საყვარელიძის „ავტორიტეტს", მოყავს რა მისი „ნაშრომიდან" ჩემი „მომსპობი" ადგილები (მან საჭიროდ არ დაინახა ეთქვა თან ისიც, რომ მე ამხ. პ. საყვარელიძესთან ვალში არ დავრჩენილვარ) ბოლოს ქვევით ჰკითხულობს „ლექციებს" ჩემს მეთოდოლოგიურ „შეცდომებზე" და აფრთხილებს მკითხველებს, რომ მე „ფილოსოფია" არ მესმის. მეც მაშინებს, რა თქმა უნდა, იგი ამ თავისი „ფილოსოფიით".

„ეს წიგნაკი მეტად „ზერელეთ" არის დაწერილი, ე. ი. ამხ. ბუბნოვის თქმისა არ იყოს (სხვა შემთხვევის გამო) იგი „უფილოსოფო ისტორიას" წარმოადგენს; ალბად აეტორი ამხ. ე. ნევსკის თუ ბაძავს.. ჩვენ კი ასე გვგონია და დღესაც ვფიქრობთ, რომ მარქსისტული ისტორია უაღრესად „ფილოსოფიურია"... და ვინც „უფილოსოფიო ისტორიას სწერს, იგი მეცნიერულ მეთოდსაც და კელევაძიების სწორ გზასაც დაშორებულია". ასკვნის ამხ. რაჟდენი და გადადის ჩემი წიგნაკის „კვალ და კვალ" გარჩევაზე.

ამხ. რაჟდენი ისე უდგება ჩემი წიგნაკის „გარჩევას", რომ აზრი უკვე წინ და წინ აქვს შედგენილი. ეს აზრი არის: თალაკვაძის ისტორია „ფილოსოფიას" მოკლებულია,—მაშასადამე, არა-მეცნიერულია და სხვა.

უნდა ვთქვა, რომ სამწუხაროთ „ბედს" არ ურგუნებია ჩემთვის ფილოსოფია და მეცნიერება, როგორც საგანი, შემესწავლა; საერთოდ ჩემს სოციალურ მდგომარეობას არ გაუხდივარ მე ღირსი ამხ. რაჟდენ კალაძესავით მენახა სასწავლებლის კარები, ელემენტარული განათლება მაინც მიმეღო, მაგრამ პრაქტიკაში, ფიზიკური შრომის პროცესში, მე ვეცნობოდი რევოლიუციონურ და სოციალისტურ მოძღვრებას, ვსწავლობდი მუშების საქმიანობაში პროლე-

ტარიატის კლასთა ბრძოლას, ვითვისებდი მის იდეოლოგიას — მარქსიზმს, მისი პრაქტიკული მნიშვნელობით უმეტესად, მგონია გამეგება. მთელი ოცი წლის ჩემი რევოლიუციონური საქმიანობის სიგრძეზე არავის არ უთქვია — არა მარქსისტულად ფიქრობო, არა მარქსისტულად მუშაობო და მეც ამან გამაბედვია დამეწერა პატარა სქემატური წიგნი საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის შესასწავლად გამოსაყენებელი. ჩემი ამ შრომის შედგომას უმთავრესად იმან შეუწყო კიდევ ხელი, რომ ამისთანა **საქმეების** სუეროში ვმუშაობდი.

ჩემს ხელში იყო არა მარტო ამბ. რაჟდენის მოგონება-ცნობები შორეულ პარტიულ და რევოლიუციონური წარსულისა; პარტიის იმ დაწესებულებას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ მთელი ორი-სამი წლის მუშაობის შედეგათ დაგროვილი და შესაფერად გადამუშავებული მოპოვებობდა მთელი რიგი პასუხისმგებელ და „არაპასუხისმგებელ“ ძველი, იმ ხანების მომსწრე ამხანაგების მოცემული, როგორც წერილობითი, ისე პირადათ ნათქმი ყოველგვარი ცნობები, აგრეთვე პარტიულ-რევოლიუციონური და ქანდარმერიის ყოფილი არქივები. (იხ. ზოგი „რევ. მატ.“-ში, ზოგი პარტიის განყოფილებაში და რევოლიუციის მუზეუმში).

ამ წიგნაკზე მუშაობის დაწყების წინ მე მქონდა ცეკას მიერ დანიშნული, მეტად ავტორიტეტიან (ამ ისტორიის საკითხში მაინც) კომისიის ნამუშევარი, რომელიც საფუძვლად დაუდეკი ჩემს შრომას, რომელიც მაინც არ უნდა ვოფილიყო სადაეო, მაგრამ წარმოიდგინეთ, ყველაზე მეტი იერიში სწორედ წიგნაკის ამ ნაწილზე მიიტანა ამხ. რაჟდენ კალაძემ, იმ ამხ. რაჟდენმა, რომელიც მონაწილე იყო კომისიის ამ მუშაობისა, რომელმაც მაშინ ვერ წამოაყენა ასეთი საწინააღმდეგო „არგუმენტები“.

მაგრამ, მიუხედავათ კომისიის ამ მუშაობა-დადგენილების საფუძვლად დადებისა ჩემი წიგნისათვის და ის გარემოებაც, რომ პირადათ ამხ. რაჟდენიც არ ეწინააღმდეგებოდა მას, მე მაინც არ ვთვლიდი თავს ისე დაზღვეულად, რომ ჩემი წიგნაკი მთელად აღებული უნაკლულოდ და შეუცდომლად წარმომედგინა, მე, პირიქით, ვეუპრობდი, რომ მას ალბად ბევრი რამე ეკლება, როგორც ფაქტების მხრივ — ისე იდეოლოგიური ხაზის მხრივაც, მაგრამ გამოვა სინათლეზე წაიკითხავენ როგორც პირველ ცდას და პირუთვნელი, ამ საქმის მცოდნე, ჩვენი პარტიის ისტორიით დაინტერესებული ამხანაგები შესაფერ შენიშვნებს გააკეთებენ, შესაფერ კორრექტივს შეიტანებენ შიგ და მეც მივიღებ შემდეგ გამოცემაში, მეც გამოვასწორებ მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი პროლეტარული რუსეთის სახელოვან კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლაც ხომ ასე ხდება!

ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ ამხანაგებს უნდა მოეხსენებოდეს, რომ რუსეთში არ გამოსულა არც ერთი ისეთი ისტორიული შრომა (დაწერილები ძალიან დიდ და „ყველაფრის მცოდნე" ძველი ამხანაგებისაგან), რომელშიც მრავალი შეცდომა-დეფექტები არ ენახათ, არ აღენიშნათ... ამ კრიტიკა-შენიშვნით უსარგებლია ავტორს, შეუვსია, გამოუსწორებია ნაკლულოვანებები და ასე მიუღიათ შემდეგ კომპარტიის შედარებით სწორი ისტორია.

და რა გასაკვირია ეს შეცდომები ჩემ დაწერილში, აქ, საქართველოში, საცა არავითარი და არავისი მთლიანი შრომა ჩვენი პარტიის ისტორიის შესახებ არ მოიპოვება, იქნებოდა და ეამბობ, მჭიდებოდა უნდა კიდეც. წინააღმდეგი აზრით არ ვიტყუებოდი თავს... მოველოდი კრიტიკას, **მასწავლებელ კრიტიკას**, ობიექტიურ, საქმიან კრიტიკას!..

და ეს კრიტიკა იკისრა ამხ. რაჟდენ კალაძემ.

თუ ვინმე კი დასწერდა კრიტიკას ჩემს ისტორიულ წიგნაკზე, ეს ყველაზე ადრე და უფრო უნდა დაეწერა ამხ. რაჟდენს, როგორც მონაწილეს და მცოდნეს ამ ისტორიულ წარსულისა.

მაგრამ არის მართლა ეს კრიტიკა ისეთი, როგორიც საჭირო იყო, როშელზედაც უნდა მესწავლა?

მოუტანს იგი სარგებლობას ჩვენი კომპარტიის ისტორიის შესწავლას?

ვარგა მის მიერ „გამოჯენული" ისტორია?.

ჩვენ ზეითი გაუსინჯეთ კბილები ამხ. რაჟდენის „მარქსისტულ" მიდგომას, „მარქსისტულ-მეცნიერულ" ძიების მეთოდს. ჩვენ აქ მხოლოდ შეეცდებით რაც შეიძლება მოკლედ გადმოვშალოთ ის, თუ რა გააკრიტიკა და როგორ გააკრიტიკა მან.

ამხ. რაჟდენი იწყებს ჩემი იდეოლოგიური შეცდომებიდან.

ასეთი იდეოლოგიური შეცდომა მე მან მინახა ორი.

პირველ იდეოლოგიურ შეცდომას იგი ხედავს ჩემ მიერ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წარმოშობის ისტორიის მოთხრობაში. მოყავს ამხ. რაჟდენს ამონაწერი ჩემი წიგნაკიდან—„სოციალ-ფედერალისტების პარტიის შექმნაში ჩემი შეხედულებით როლი ითამაშეს ზოგიერთ სოციალურ ელემენტების—ქართველ თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიულ ინტელიგენციის პატრიოტულ-სეპარატისტულმა გრძნობებმა"-ო,—ქვევით შენიშნავს: შეიძლება ითქვას, პატრიოტულ-სეპარატისტულმა გრძნობებმა, უკეთ—ინტერესებმა, ქართველი თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია მიიყვანოს რომელიმე ნაციონალისტურ პარტიაში, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ სეპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტისტულ გრძნობებს ესფერთა პარტიის შექმნაში როლ „ეთამაშნოს, ყოველად უსაფუძვლოა“-ო.

არაა შაბლონი, უსიცოცხლო შაბლონი ეს დებულება?!

რევოლიუციის იმ გაზაფხულზე, როცა აზღვებული ქართველი მშრომელი ხალხი მპოლოდ რევოლიუციონერებს **ელაპარაკებოდა**, რევოლიუციონერების გარშემო **იკრიბებოდენ**, როცა მოდაში და მოწონებაში იყო რევოლიუციონერობა, ხოლო რევოლიუციონერი კი აუცილებლად უნდა ყოფილიყო სოციალისტიც,—აი ასეთ პირობებში, რატომ, რომელი მეცნიერული კანონის ძალით უნდა ყოფილიყო შეუძლებელი, რომ საქართველოს „მოყვარულ-მონატრულ“, საზღვარ-გარეთელ ქართველ ინტელიგენტებს, გამზადებულთ რევოლიუციის გარიჟრაჟზე მყოფ საქართველოში წამოსასვლელად, ერთი პატრიოტულ-ქართველური გრძნობით აღეჭურვილ სხვადასხვა ჯგურის ამ უპრინციპო ქართველებს სწორეთ რევოლიუციონური და სოციალისტური ნიღაბის მატარებელი „პარტია“ დაეარსებიათ და არა ანტი-რევოლიუციონური, მით უმეტეს, რომ თითონ ამბ. რაჟდენის დამოწმებითაც მათ შესძლეს ამ სახელწოდების პარტიაშიც ჩაედგათ ეროვნულ-ნაციონალისტური შინაარსი, პრაქტიკაში შემოეგლიჯათ მისთვის სოციალისტური სამოსელიც!

მე ჩემს წიგნში ამგვარად დაარსებული პარტია მოენათლე უდღეურად, ყალბ, უპრინციპო, შენხანხლულ პარტიათ.

მე ვსწერდი: „ჩვენ ვიცით: რევოლიუციონურ-სოციალისტური **პარტია იქმნება** (ხაზი მაშინდელი გასმულია) ერთი ეკონომიური მდგომარეობის, ერთი პოლიტიკური მიმართულების, ერთი იდეისა და პრინციპების მქონე, ერთი მიზნით გამსჭვალული და მებრძოლი ადამიანების ჯგუფისაგან.

„აქ კი, **სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის შესაქმნელად** ეს ელემენტები არ მოიპოვებოდენ; სოციალისტ ფედერალისტების პარტიის დაარსება ასე არ მომხდარა“-მეთქი.

არავითარ იდეოლოგიურ შეცდომას მე აქ არ ვხედავ. ასეთი „კურიოზები“ ისტორიაში არ არის მარქსიზმისათვის მიუღებელი. ეს ფაქტია, რასაც ამბ. რაჟდენიც ვერ ახერხებს უარყოფას. ფილოსოფიური კუდის გამობმა ამისთვის,—ეს ამბ. რაჟდენმა იცისროს. მე არ შემიძლია.

ამას გარდა არ შეიძლება არ მიუთითოთ კიდევ ამბ. რაჟდენს ჩემი აზრის ყალბად მოყვანა.—

მე წიგნში მიწერია: „სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის შექმნაში, ჩემის შეხედულებით, როლი ითამაშა ზოგიერთ სოციალურ ელემენტების ქართველი თავად-აზნაურობის და ბურჟუაზიული ინტელიგენციის პატრიოტულ-სეპერატისტულმა გრძნობებმა, **რამაც და-**

ფარა „კონფერენციის“ წევრებში არსებული სხვადასხვა იდეური, პოლიტიკური და პრინციპიალური შეხედულება—მიწამსი“. როგორც მკითხველი ხედავს, სიტყვა „გრძნობებმა“-სთან, საცა ძმიმე ნაშანი მაქვს დასმული და არა წერტილი (საიდანაც სჩანს, რომ აზრი დამთავრებული არ არის) ამბ. რაკდენმა გასწყეტა და ყველა, რაც ეხლა ჩემ მიერ ხაზგასმულია მოაშორა. რომ ეს არ მოეგლიჯა ამბ. რაკდენს, მისთვის ზედმეტი იქნებოდა შენიშვნაში ჩემი ფრაზის, „გრძნობებმა“-ს ხმარების დროს, თავისი ორი ფრაზა „უკეთ ინტერესებმა“-ს დამატება. აი, რაკდენის მიერ ამ ორი ფრაზის დამატებაში და უადგილო ადგილას აზრის გაწყვეტა-წაგლეჯაში სჩანს ის, რომ ამბ. რაკდენმა ვერ გაიგო, არ გაიგო ჩემი აზრის მნიშვნელობა...

ვინ იცის წინააღმდეგ შემთხვევაში არც დასჭირვებოდა შეიძლება ამდენი სიტყვების ამაო დახარჯვა ჩემს „იდეოლოგიურ შეცდომებზე“ და თითონვე არ ჩავარდნილიყო ამ შეცდომებში...

ასე ემართება ხოლმე ყველა მათ, რომლებიც წინასწარ შეაყენებენ შრომაზე აზრს, შრომას არ გაეცნობიან კარგად, ავტორის ფიზიონომიის მიხედვით ზომავენ მას.

მეორე იდეოლოგიური შეცდომა მე ამბ. რაკდენმა მინახა წიგნში იქ, საცა მენშევიზმის გამარჯვებაზე მაქვს ლაპარაკი. მან აქ ჩაჭკიდა ხელი საქართველოში მენშევიზმის გაბატონების ახსნისათვის ნახმარ ამბ. ფილიპეს ფრაზას-„მოულოდნელი და შემთხვევითი ზეგავლენის შედეგია“-ს, რომელიც მე მოვიყვანე სხვათა შორის და დავიცავი. ამბ. რაკდენი მესხმის თავს და შემინიშნავს, რომ-„მოულოდნელ და შემთხვევითი ზეგავლენის შედეგია“-თ ახსნა მენშევიზმის გაბატონება საქართველოში შეცდომა და გაუგებრობაა.

მეც არ ვამტკიცებ წინააღმდეგს, ანუ უკეთ, ჩემს წიგნაკში არაა დაცული ისეთი ახსნა, როგორც ეს რაკდენს მოუწერია ჩემზე. აქ მის მხრივ **გაუგებრობას** აქვს ადგილი, ანდა ჩვეულებრივ წინასწარი უარყოფითი აზრით მიუდგა და დაინახა თავისი „სასურველი“ ჩემი შემცდარი ადგილი.

„მოულოდნელი და შემთხვევითი ზეგავლენის“ მომხდენის როლში აქბ. რაკდენის აზრით მე წარმოდგენილი მყავს ნოე ჟორდანია და სილბისტრო ჯიბლაძე.

ეს ასეც რომ იყოს, ამ „მოულოდნელ და შემთხვევითი ზეგავლენა“-თი მარტოდ არ ამიხსნია მე მენშევიზმის გაბატონების მიზეზი საქართველოში. ეს მოვიყვანე მე ობიექტიურ პირობების ერთ შემადგენელ ნაწილად. გარდამტეხ სუბიექტიურ პირობების ერთ ელემენტთაგანათ... ვინჭარ იცის (ამის ცოდნას ფილოსოფოსობა არ უნდა, საჭიროა მარქსიზმის ელემენტარული ცოდნა), რომ ჩვენ, მარქსისტები, **პიროვნების სურვილზე** არ ვყიდებთ ისტორიის კანონებს, მაგრამ

ამავე დროს ვინ გაბედავს უარჰყოს პიროვნების, ამ ისტორიულ კანონების შეცნობა ძლიერ პიროვნების როლი ისტორიაში, არ შეიტანოს იგი ობიექტიურ და სიბიექტიურ პირობების ერთ მძლავრ ფაქტორად!

ასეთი ფაქტორები იყვნენ მარქსი და ლენინი ისტორიაში.

ასეთ ფაქტორებად უნდა ჩავთვალოთ ჩვენს პატარა საქართველოში ორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, მიხა ცხაკაია. ფ. მახარაძე და სხვები. რა თქმა უნდა, ამხ. რაჟდენ კალაძისა და ჩემისთანა პიროვნებები ვერ ჩაითვლებიან სუბიექტიურ და ობიექტიურ პირობების ასეთ ფაქტორებად.

ამათ გარდა და პირველ რიგში მე დავასახელე სხვა პიროვნებიც, მაგალითად: კავშირის კომიტეტის და ტფილისის კომიტეტს შორის შექმნილი ანტაგონიზმი. აი რას ვსწერდი მე: „პირველი იყო ის, რომ კავშირის კომიტეტის ხელმძღვანელ ამხანაგებს (მ. ცხაკაია, კობა-სტალინი, საშა წულუკიძე, მიხო ბოჭორიძე და სხვები) და ტფილისის კომიტეტის ხელმძღვანელთა (ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, ბადრიძე და სხვები) შორის თავი იჩინა ანტაგონიზმმა, შეუთანხმებლობამ პრაქტიკულ ნიადაგზე. ანტაგონიზმი გამოიწვია პირველის (კავშირის კომიტეტის) ერთობ ცენტრალისტურმა, ადგილობრივ ქვემდებარე ორგანიზაციებისადმი სათანადო ანგარიშის გაუწევლობამ, რამაც მოამზადა უკანასკნელის (ტფილისის კომიტეტის) მეორე უკიდურესობა—სეპარატისტული გამოსვლები, საკუთარ ძალებზე დაყრნობილ-დამოუკიდებელი მოქმედებები". (იხ. 119 გვ. მეორე სტრიქონით.)

მე მოშყავდა აგრეთვე ქართველ მენშევიზმის განსაკუთრებული თვისება, მისი ორი სახით შეპოსვლა,—ორგანიზაციულ-პრაქტიკულში არ (ანუ ვერ) შორდებოდენ ბოლშევიზმს, ლენინიზმს, მხოლოდ თეორიაში ინახავდენ მას მეთქი.

ამხ. რაჟდენი ტყუილა იწუხებს თავს და მოჰყავს შორეულ წლების გრძელი ისტორია მენშევიზმის გაბატონების ასახსნელად. ამისათვის მას შორს წასვლა არ მოუხდებოდა. ჩემი წიგნის ეს პირველი ნაწილი, სწორედ მე 40-ცე გვერდიდან იწყებს **მენშევიზმ—ბოლშევიზმის ჩასახვისა, წარმოშობისა და განვითარება-მომწიფების ისტორიას.** წაკითხვა და გაგებაა მხოლოდ საჭირო.

ამრიგად მე არ გამომიდის ისე, რომ თითქო საქართველოში მენშევიზმის გაბატონებას „შემთხვევით და მოულოდნელ" გაელენად ვთვლიდე.

ამ რიგად „მეორე იდეოლოგიური შეცდომა", ჩემზე მოწერილი, შეუძლია ამხ. რაჟდენმა უკან დაიბრუნოს.

აქ ერთი პატარა შენიშვნა მის მართლაც და დიდ იდეოლოგიურ შეცდომაზე: ამხ. რაჟდენი ბოლოს უპირდაპირებს ნ. ჯორდანიას ეგნატე ნინოშვილს და გამოყავს ასე: რომ ნინოშვილი, ღარიბი ნინოშვილი არ მომკვდარიყო, დასცლოდა, განათლება მიეღო, იგი ერთი შეებრძოლებოდა ნ. ჯორდანიას, დაამარცხებდა მას და... ბოლშევიზმიც საქართველოში იხარებდა, იგი დაუძლეველი იქნებოდაო. რა არის ეს? იგივე სუბიექტივიზმი არ არის, რასაც მე მიკიჟინებს ამხ. რაჟდენი?!. არ გამოდის მისი აზრით, რომ ობიექტიური პირობები კი არ ყოფილა აუცილებელი, სუბიექტიური კმარა თურმე მარტო!!.

დაბოლოს ამხ. რაჟდენ კალაძე, თავისი—„კიდევ ერთი საერთო ხასიათის შენიშვნა"-ს სახით, სჩადის დიდ შეცდომას, გაუგებრობას აძლევს ადგილს.

პირველი ის, რომ ჩემი წიგნაკი თავდება 1905 წლის რეოლიუციის პერიოდის დამთავრებით—1906 წლისა და 1907 წლის საზღვარით. იგი კი ავრცელებს თავის „კრიტიკას" შემდეგ წლებზე—1908, 1909, 1910, 1911 და სხვა, რომლებზედაც მე ჩემი აზრი არ გამომითქვამს. ლაპარაკობს ლიკვიდატორობაზე და სხვა.

მეორე ის, რომ ამ „კრიტიკის" დროს მას ხელი ჩაუკიდია მენშევიკებთან ოპოზიციაში მყოფ „რვა მუშის" ოპოზიციონერებისათვის, ასალებს მას ლიკვიდატორ-მენშევიკების მოპირდაპირეთ... ნუთუ დღევანდლამდის არ იცის ამხ. რაჟდენმა (მიუხედავად იმისა, რომ თითონ იყო ერთი „საყველ-პურო" ხელმძღვანელთაგანი მათი), რომ ეს მენშევიკებთან უკმაყოფილობით წარმოშობილი „რვა მუშელის" ჯგუფი უფრო მარჯვნით იდგა, ვიდრე ლიკვიდატორი მენშევიკები, ის ნამდვილი ტრედ-უნიონისტული, ანტი-მარქსისტული, ანტი-რეოლიუციონური ჯგუფი იყო. მაგრამ ჩვენ, ბოლშევიკებს თუ გვჭონდა მათთან **ლაპარაკი**, ეს არა იმიტომ, რომ ისინი მენშევიკების მეშვეობით ფრთათ გვეყვდა ჩათვლილი... ჩვენ ვიყენებდით მათ მენშევიკების წინააღმდეგ, როგორც ოპოზიციას მენშევიზმთან ბრძოლაში.

ასე რომ, ამ დამპალი საჭონლის გამოტანა პოლიტიკურ-რეოლიუციონურ ბაზარზე ვერ შემატებს ამხ. რაჟდენს ვერაფერ კარგს, ამიტომ ასეთები რომ სრულებით არ მოიხსენიოს, სჯობია.

III

ჩვენ დაგვრჩა კიდევ ორი ფელეტონი გაურჩეველი. საპასუხო წერილი ერთობ გაგრძელდა. ამიტომ შევეცდები მოკლედ მოვიყვანო ამხ. რაჟდენის კრიტიკის ნიშანდობლივი ადგილები და მოკლედვე გავსცე პასუხი.

ამხ. რაჟდენი იწყებს ჩემი „შეცდომებით".

ასეთი „შეცდომები“ მან აღმოაჩინა ჩემს წიგნაკში ექვსი.

პირველ შეცდომათ ამბ. რაედენს მიაჩნია ის, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამედროვეები 60—იან წლების ეპოქაში მე მყავს წარმოდგენილი იმ დროინდელი რუსეთის ლიბერალურ-რევოლიუციონურ იდეების საქართველოში შემომტანად, ხოლო შემდეგ ეპოქებში, და განსაკუთრებით 1905 წლის რევოლიუციის პერიოდში, გლეხების არ დამწყობ მემამულედ, რეაქციონერად, რამაც, თავისი სოციალის გლეხების აგრარული მოძრაობის დროს იმსხვერპლა კიდეც იგი. ✓

არავითარ შეცდომას აქ არა ვხედავ მე!

ისტორიის მატერიალისტური შემეცნება, შემეცნების მარქსისტული გაგება ე. ი. მარქსიზმის დიალექტიკა გვასწავლის ჩვენ (ამის ცოდნა სავალდებულოა ამბ. რაედენისათვისაც), რომ რაც ერთ განსაზღვრულ ეპოქაში რევოლიუციონურია, კარგია, მეორეში, მესამეში და ასე შემდეგ ეპოქებში ისტორიის კანონების ძალით იგი კონტრ-რევოლიუციონურია, რეაქციონურია, ცუდია. რეაქციონერი და უვარგისია ის პირი, რომელსაც იმ წარსულ ეპოქის იდეოლოგია ვერ დაუტოვებია ახალი ეპოქაში გადასვლის დროს, ცდილობს ძველი ეპოქის იდეოლოგიის ხელუხლებლად დატოვებას მისთვის შეუფერებელ ახალ ეპოქის ახალ პირობებში.

ასეთი არ იყო ილია ჭავჭავაძე?!

იგი 60-იან წლებში, როცა რუსეთიდან ახლად დაბრუნებული იყო, როცა ახალგაზრდას მას ჯერ კიდევ ეტყობოდა რუსეთის ახალ-საზოგადოებრივობის გავლენა,—ლიბერალობდა, ეროვნიყებოდა დაბალ მშრომელ ხალხს, იწონებდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის რევოლიუციონური ხასიათის მოძრაობას.

ამ ხანის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული შრომები სავსეა ასეთი აზრებით! არ შეიძლება, რომ ეს არ მოეხსენებოდეს ამბ. რაედენსაც. თუ გინდ აი, ეს, მისი ლექსის ერთი ადგილი: „მესმის, მესმის ბორკილთ მტვრევა, ხმა ბრძოლისა სანატრელი“.. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ეროვნულ ჩარჩოებში, ნაციონალური გამომიჯვნით იყო. მაგრამ იმ ხანებში, როცა ქართველ ერს სულს უხუთავდა, განვითარების საშუალებას არ აძლევდა თვითმპყრობელ რუსეთის მეფე, ეს ნაციონალური მოძრაობაც იყო ხომ რევოლიუციონური, ახალ-საზოგადოებრივი მისწრაფება?!. შემდეგ? შემდეგ ეპოქებში ილია ჭავჭავაძეს ეს აზრები არ გამოადგა. მან არ განვითარა იდეა... იგი ღალატსა რევოლიუციისა და პროგრესის ბორბლებში, რის წინააღმდეგ ბრძოლა დასჭირდა რევოლიუციონურ ქართველი ხალხის ბელადთ ათეული წლების სიგრძეზე (ესეც უნდა მოეხსენებოდეს ამბ. რაედენს. ამისათვის გრძელი ისტორია საჭირო არ არის).

ახლა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე.

ამბ. რაჟდენ კალაძეს უნდა დაარწმუნოს ვინმე, რომ ილია მოკლა თვით მონარქიული მთავრობის „ოხრანულმა" ორგანიზაციამ, გაუგონია „ყურწაკრული" ამბავი ვიღაცადან და ის უნდა ჰეშმარიტებად გაასაღოს.

ტყუილია ეს!!.

აბა ვის მოუვა აზრად ის, რომ იმ დროს, როცა ღელავდა და ბობოქრობდა ქართველი რევოლიუციონური მშრომელი ხალხი, დღე-დღეზე ემუქრებოდა რუსეთის რევოლიუციონურ ხალხთან ერთად მონარქიული ძთავრობას წაქცევას, როცა ილია ჭავჭავაძე, როგორც მემამულე თავადი, მჭონებელ კლასის ბანაკში მყოფი,-ობიექტიურად ხელს უწყობდა მთავრობას თავისი ანტი-რევოლიუციონერობით და მშრომელ ხალხის მებაირახტრე-სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოძულეობით, როცა იგი, როგორც ნაციონალისტი, როგორც ქართველი სეპარატისტი, ქართველ ხალხში გაბატონებულ ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიასთან ბრძოლაში დასუსტებული იყო, წამლილი იყო მისი როლი უკვე და რუს-შოვინისტებისათვის არავითარ საშიშარ ძალას არ წარმოადგენდა,—მას მოჰკლავდა მონარქიული მთავრობის რუსი-აგენტები, მათი ორგანიზაცია!?

ეს მხოლოდ ქართველური ნაციონალისტური ახსნაა გარემოების, ეს მხოლოდ ნაციონალისტური მიდგომაა საკითხზე.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ამბ. რაჟდენ კალაძე ხშირად იფლება ამ წუმპეში.

ფაქტია ის, რომ ილია ჭავჭავაძე მსხვერპლი გახდა აგრარულ ნიადაგზე თავისი სოფლის გლეხობისა. ამ აგრარულ მოძრაობის მონაწილე და ამ მკელელობის ამბავის კარგად მცოდნე დუშეთელ ამხანაგებს ვიცნობთ ჩვენ—ისინიც ადასტურებენ ამას.

ილია ჭავჭავაძე გახდა მსხვერპლი, როგორც მემამულე, გამწარებულ, უმიწაწყლო ქართველ გლეხობისა—გაუსვათ უნდა ამას ხაზი და დავიმახსოვროთ.

ასე შევა ეს ისტორიაში, ვინც და რამდენიც არ უნდა ეცადონ მის შეცვლას, შელამაზებას.

შემდეგ მიდის ჩემი „მეორე შეცდომა", მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელო რამ არის, რომ მაზე შეჩერება არ ღირს. თუნდაც ისე იყოს მართალი (კითხვა ეხება ნაროდნიკების სტამბის არსებობას 70-იან წლებში), როგორც ეს ამბ. რაჟდენ კალაძეს უნდა,-ჩემი „ისტორია" ამით მაინც და მაინც არაფერს არ ჰკარგავს.

მიუთითებ ამბ. რაჟდენს მხოლოდ წაიკითხოს სოფრომ მგალობლიშვილისა და დავითაშვილის მოგონებები „რევ. მატიანეში". იქ ნახავს ჩემი აზრის დამამტკიცებელ საბუთებს.

უფრო სერიოზული არის „მესამე შეცდომა“, რომელიც ეხება „მესამე დასი“-სა და მარქსისტულ მუშათა ჯგუფის წარმოშობას.

მე წიგნაცში ვწერდი, რომ მარქსიზმის საქართველოში შემოტანა და გავრცელება მოხდა 1892 წლის ბოლო ხანებიდან, ერთი მხრივ ჟორდანიასა და ფილიპე მახარაძის მეოხებით, მეორე მხრივ ტფილისში გადმოსახლებულ პოლიტიკურებით და რამოდენიმეთ ეგნატე ნინოშვილისა, რომელიც არ იყო კარგად გარკვეული მარქსისტი, არ გაუკეთებია მარქსისტული საქმეები, მაგრამ მაინც იდგა, ასე ვსთქვათ, მარქსიზმისა და ნაროდნიკული იდეოლოგიის საზღვარზე. უმთავრესად მარქსიზმის პიონერებად მე ვსთვლიდი ჟორდანიას და ფ. მახარაძეს, რომლებიც განსაკუთრებულ პირობებში მოხვედრის (პროლეტარულ ცენტრში—ვარშავაში იყვნენ) შედეგით გახდენ მარქსისტები, დაასწრეს გამარქსისტება საქართველოში მცხოვრებ თავიანთ უფროს მეგობრებს და შემოტანეს საქართველოში, მწერლობით თუ სიტყვიერად, უფრო მწერლობით, ეს მარქსისტილი მოძღვრება, რისი შედეგი გახდა ყვირილის პირველი კრება—კონფერენცია და მარქსისტული მიმართულების მიღება, ანუ „მესამე დასი“-დაარსება მეთქი.

ამას ამბ. რაჟდენი არ ეთანხმება და ცდილობს გრძელი „ისტორიით“ დამტკიცოს, რომ მარქსიზმის შემოტანაში არც ერთ ამათ პირველი როლი არ უთამაშია. მისი აზრით მარქსიზმი გადმოიტანა მხოლოდ და მარტოდ გადმოსახლებულმა რუს-პოლიტიკურებმა, რომლის საშუალებითაც ვ. ცაბაძე და სილიბისტრო ჯიბლაძე გაეცვნენ მარქსიზმს,—პირველმა მუშებში გადაიტანა ის, უკანასკნელმა ქართველ ინტელიგენტებში: პირველი გახდა მუშა-მარქსისტების ლიდერი, უკანასკნელი ინტელიგენტ მარქსისტების ლიდერიო.

მერე გავს ეს სიმართლეს? ფაქტი ამისი? ფაქტი ამხანაგ რაჟდენს არ მოყავს.

ერთი ვთხოვოთ ამბ. რაჟდენს დაგვისახელოს—რომელ წელში, რომელი პოლიტიკური (თუ პოლიტიკურები) იყო აქ გადმოსახლებული, რომელმაც პირველათ შემოიტანა ეს მარქსისტული იდეა? ამბ. რაჟდენი ვერ ასახელებს ამას. იგიც ჩერდება იმ წყაროზე, რაზედაც მე, ე. ი. რენიგერზე. ფედია აფანასიევზე, ლუბინზე და კოგანზე, მაგრამ ამათ აქ საქართველოში ვხედავთ მხოლოდ 1893, 94, 95 და 96 წლებში. მე კი მარქსიზმის შემოტანა-გავრცელების ხანას ვიწყებდი 1892 წლის მეორე ნახევრიდან; ხოლო ამ ხანებიდან აქ პირველ მარქსისტებათ გვევლინებიან ნოე ჟორდანია და ფ. მახარაძე, როგორც მარქსისტული ლიტერატურის შემოტანით, ზეპირი გადმოცემით, ისე მწერლობით... აი ამ წლის შემდეგ—93, 94 და 95 წლებში ვხედავთ ჩვენ გამარქსისტებულ ნინოშვილს, ჯიბლაძეს, ვ. ცაბაძეს და სხვებს. აგრეთვე გადმოსახლებულ მარქსისტ-პოლიტიკურებს... და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არღვია ეს ამბ რაკდენმა? მოიყვანა რამე მან ამის საწინააღმდეგო? არა!

ამას გარდა ამბ. რაკდენი გვარწმუნებს, ნინოშვილს არ დასჭირდებოდა ფილიპესაგან მარქსისტული აზრის „სესხება"-ო და ამის დასამტკიცებლად მოჰყავს სათუო „არგუმენტები". — ნინოშვილს უამრავი მარქსისტული ლიტერატურა მოსდიოდა საზღვარ-გარეთიდან, სწავლობდა მას და იქიდან აიღებდა მარქსისტულ აზრებს და არა ფილიპესგანო, ამბობს ამბ. რაკდენი.

ვის რა, ან მე რა უნდა მჭონდეს საწინააღმდეგო ამისი, რომ ეს ასე იყოს, — ნინოშვილს ყველა ვსცემთ პატივს, მისი სახელი ყველასათვის საყვარელი და ძვირფასია, მაგრამ ეს ასე არ არის. ფაქტი სხვას ლაპარაკობს.

მოვუსმინოთ როგორ მოგვითხრობს თითონ ამბ. კალაძე ნინოშვილის გამარქსისტებას.

„1893 წ. ზაფხულზე ეგნატე ნინოშვილი სოფელში იყო, როცა სილიბისტრო ჯიბლაძემ აცნობა „ოსვობოყდენიე ტრუდა"-ს მარქსისტული გამოცემების მიღება. ამ დღიდან შეუდგა ნინოშვილი მარქსიზმის სწავლას"-ო ამბობს ამბ. რაკდენი.

ვთქვათ, თუ განდ ეს „გამოცემები" მართლა მიიღეს და აქედან დაიწყო მეცადინეობა მარქსიზმის შესწავლისათვის ეგნატემ. ეს მერე არღვევს ჩვენს აზრს? მე კი 1892 წლის ბოლო რიცხვებიდან „დაუმოწმე" ეგნატე ნინოშვილის მარქსისტობა. ე. ი. ერთი წლით თითქმის უფრო ადრე: ამ ერთი წლის წინეთ მიეცა სწორედ ადგილი მარქსიზმის შემოტანა-გავრცელებას ქორდანიასა და ფილიპე მახარაძის შეოხებით, რამაც ხელი შეუწყო ნინოშვილს ჩქარა შეეთვისებია მათი დახმარებით მარქსიზმი შეთქი... აი სწორედ ამ ხანებში შეეძლო ნინოშვილს „ესესხა" ფილიპესაგან მარქსისტული აზრები, მარქსისტული გაგებანი და არა სხვა ვინმესაგან, როცა ეს სხვა „ვინმე" არც არსებობდა... არსებობდა მხოლოდ ეს ფილიპეს ხელნაწერი, რომელიც იყო ნინოშვილის განკარგულებაში... 1893 წლიდან ხომ მთელი რევოლიუცია მოხდა მარქსისტულ ლიტერატურის მიღებაში. ეს არავის არ უარყვია...

ამბ. რაკდენ კალაძის „კრიტიკის" გრძელი ადგილი ამის შესახებ სრული უსაფუძვლოა, მხოლოდ მეტი სიტყვების დახარჯვა, მხოლოთ „წილა-დობილაა", თავის ქცევაა და მეტი არაფერი.

წერა იცის, კალამი ემარჯვება ამბ. რაკდენს და რა ქნას, — სწერს.

შეიძლება აქ, მარქსიზმის შემოტანა-გავრცელების საკითხში, მომავალში შეიცვალოს ზოგიერთი რამ; უფრო ნათლად გამოირკვას ეს საკითხი, — ჩვენს „ისტორია"-ს არ ვთვლი ამიტომ **სრულად** აქ,

მაგრამ რომ ჯერ ეს ასე ძალაში რჩება და ამხ. რაჟდენ კალაძემ ვერაფერი თავისი „კრიტიკით“ ვერ შესცვალა, ვერაფერი წინააღმდეგი ვერ დაამტკიცა—ამას გადაჭრით ვაცხადებ მე მისი „კრიტიკის“ შემდეგ კიდევ უფრო.

ძალიან ბევრი რამე შეიძლებოდა აქ ამხ. რაჟდენის „კრიტიკის“ წინააღმდეგ კიდევ მეთქვა, კიდევ მომეყვანა მისგან ბევრი ისტორიულად შემცდარი და დასკვნების მხრივაც ყალბი ადგილები, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, მკითხველ ამხანაგებსაც, ვინ იცის, თავს მოვაბეზრებდით და ამიტომ ვწყვეტავ.

IV

თავის უკანასკნელ ფელეტონში ამხ. რაჟდენი განაგრძობს ჩემი „შეცდომების“ „მხილებას“.

ასე, ამ ფელეტონში იგი ახერხებს ჩემი „მეოთხე„, „მეხუთე“ და უკანასკნელი „მეექვსე“ „შეცდომების“ მოყვანა-გაკრიტიკებას და მით დაბოლოს „კრიტიკის“ დასრულებასაც.

აქ, ამ „შეცდომებში“ ამხ. რაჟდენი შენიშნავს ამხ. აბელ ენუქიძესაც, უარჰყოფს ბაქოს ორგანიზაციის **დაგათ** 1899 წელს,—რადგან ამხ. რაჟდენი ჯერ კიდევ 1900 წელს ყოფილა თურმე ბაქოში და ორგანიზაციის არსებობის შესახებ არავის არაფერი მისთვის არ უთქვამს (ნუ იტყვით, თურმე იმითომ არ შეიძლება 1899 წლის დატის მიღება. **ს. თ.**), იგი უარყოფს აგრეთვე პირველად ტფილისში 1898 წ. მუშების მიერ ჩატარებულ პირველ მაისობას არალეგალურად,—რადგან როგორც კომიტეტის წევრს, ამხ. რაჟდენს არა სცოდნია ეს დღესასწაული, ვერ დასწრებია მას, მომხდარა საშინელი საქმე (მაშ, ამა როგორ შეიძლებოდა მაისობის ჩატარებულად ჩათვლა!) იგი უარყოფს, რომ ქართველ მუშებს 90-იანი წლებში „დასელები“-ს მეოხებით მიეცოთ მარქსისტული მსოფლ.-მხედველობა, „დასელების“ დაზმარებით გამხდარიყვნენ მარქსისტები,—რადგან, როცა 1897 წელს ამხ. რაჟდენი მიიწვიეს წრეში, მუშები უკვე მარქსისტები ყოფილან, ან 1894-95 წელს, როცა ამხ. რაჟდენმა ვ. ცაბაძე გაიცნო, იგი უკვე მარქსისტობდა, ესმოდა თურმე მარქსიზმი (რა თქმა უნდა, თითონ, რომ ამბობს ვ. ცაბაძე—„93—94 წლებში „დასელებში“ ვტრიალებდი, ბევრი ვიკითხე, ბევრი გავიგე“,—ეს ხომ არ არის დასაჯერებელი!! **ს. თ.**), იგი უარყოფს იმ ფაქტს, რომ თავის მიერ მუშა მარქსისტების „ლიდერათ“ მონათლული ვ. ცაბაძე ყოფილიყო რუსეთის პირველ ყრილობაზე არჩეული,—რადგან ეს ამხ. რაჟდენმა როგორც კომიტეტის წევრმა, არ იცოდა (იმას ხომ ვერ დაიჯერებს ამხ. რაჟდენი, რომ სხვა, კომიტეტის უფრო აქტიური და გაელენიანი წევრები ამას ისე იზამდენ, ისე კონსპირატიულად მოაწყობდენ, რომ ამხ. რაჟ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენს არც კი ჰკითხავდენ, არც კი ეტყოდენ... „დემოკრატიული“ პრინციპი ეხლა, ჩვენს დროს „არ არის“, თორემ მაშინ ხომ იყო!! **ს. თ.**), ამას გარდა ამბ. რაჟდენი უარყოფს იმასაც, რომ ვ. ცაბაძე იმ დროს დაეკავებიოს (არა დაეჭიროს, ასე მაქვს რუსულ წიგნში, ქართულში კორექტურული ან სტილისტური შეცდომა უნდა იყოს) შემთხვევით ჟანდარმერიას,—რადგან ვ. ცაბაძე ამ პატარა „შემთხვევის“ შესახებ თავის მოგონებაში არაფერს არ სწერს (რაც მე მითხრა პირადათ, როგორც მუშაკს და დაინტერესებულს ამ სფეროში, ის ხომ დასაჯერებელი არ არის!), იგი უარყოფს იმ ფაქტს, რომ 1893 წ. სემინარიელთა „ბუნტის“ ხელმძღვანელთ—ლადო კეცხოველს, სევერიანე ჯუღელს, ამ ახალგაზრდა რევოლიუციონერთ ჰქონებოდეს ამ **ბანებში** მ. ცხაკაიასთან ერთად ნინოწმილოანაც კავშირი, პოლიტიკური დამოკიდებულება, ესწავლოთ მარქსიზმი მათგან და გადაეტანათ ეს სემინარიის მოწაფეებში,—რადგან ეგნატე ნინოწმილი ამბ. რაჟდენის ბიოგრაფიული ცნობით ზაფხულზე უკვე გურიაში და ბათომში იყო, როგორც ავადმყოფი (მთელი ნახევარი წლის სიგრძეზე **უსათუოდ** იწვა ლოგინად და ხომ არ შეიძლებოდა ერთხელაც არის მოეკითებია, წამომდგარიყო ზედ და ერთხანს კიდევ ტფილისში, იქ, საცა თავისი საყვარელი მეგობრებიც ეგულებოდა—წამოსულიყო! **ს. თ.**)... და ასე მრავალი, მრავალი ამ ამბ. რაჟდენ კალაძის „გემოს“ ზღაპრები, ულოღიკო, საცოდავად დასკვნილი ზღაპრები.

სრულიად ზედმეტად მიმაჩნია ამაზე შევჩერდე.

მე გადაჭრით ვაცხადებ, რომ აქ არაფერი სწორი და მართალი არ არის. ეს მხოლოდ ამბ. რაჟდენ კალაძის საკუთარი ფანტაზიის ნაყოფია. რომ მას რაღაც „სტკივა“ და ამით გულს იოხებს. მაგრამ რომც დაუშვათ და წარმოვიდგინოთ ეს ყველაფერი სისწორეთ, ისეთი უბრალო დეფექტებია ეს, რომ იგი ოდნავათაც არა სცვლის ჩემი „ისტორიის“ აზრს და მნიშვნელობას.

ამისათვის მე მგონი და მკითხველებიც დამეთანხმება—არ ღირდა „კორიანტელის“ აყენება; შეიძლებოდა მისი მშვიდათ, არა ფართი-ფურთით ჩვენება.

განსაკვირი ის კი არ იქნებოდა, რომ ასეთი შეცდომები აღმოჩენილიყო ჩემს წიგნაკში, არამედ ის, რომ ჩვენს **პირობებში** არ შემპაროდა ასეთი შეცდომები.

მაგრამ მე კიდევ ვიმეორებ,—ვერც ერთი ამბ. რაჟდენსა ვერ დაამტკიცა და არც ერთ მის შენიშვნა-შესწორებებს მე არ მივიღებ.

დე, აწი მკითხველმა ამხანაგებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი ობიექტიურად—მე მათ მოუსმენ.

დაბოლოს ერთი პატარა შენიშვნა: ამბ. რაჟდენს სულ იმაზე აქვს ლაპარაკი, თითქმის ყოველ აბზაციდან-აბზაცზე გადასვლის დროს

ასკვნის და ახლა დასასრულ, თავისი „კრიტიკის" ბოლოშიც იმეორებს: „ჩვენი პარტიის ისტორიის მასალებიც ხელ-ახლა განხილულ-ამოწურული უნდა იქნას და ისტორიაც უნდა შესაფერი მეთოდით შეიშავდეს".

ეს ყველაფერი კარგია თუ გადალახეს დაბრკოლებები და „შეუსმინეს" ამბ. რაჟდენს. (ჩვენც ვართ მაგის მომხრე **ს. თ.**), მაგრამ მაინც საკითხავია—ვინ უნდა ჰქნას ეს? ამხ. ფილიპეს არ ვარგა. ჩემი ხომ არა და არა, რა თქმა უნდა... თუ თავის თავი ჰყავს ამბ. რაჟდენს მხედველობაში, მე ვფიქრობ ამხ. რაჟდენი ამას ვერ **მოერევა**, აქ ანგარიში მას დაებნევა. ამხ. რაჟდენის დაწერილი ისტორია ჩვენ პარტიას არ გამოადგება. ამხ. რაჟდენმა სცადა ხომ სხვა დარგში ამ „ისტორიის" დაწერა, მაგრამ არ გამოდგა. ამხ. რაჟდენს ამ „ისტორიის" წერაში არ გამოადგა არც თავისი „მეთოდოლოგია" და არც თავისი „იდეოლოგია-ფილოსოფია"...

„ჟურნალ" რევოლ. მატ"-ში პირველი ნორმიდანვე იბეჭდება ამხ. რაჟდენ კალაძის ისტორიული წერილები—„მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია-ს სათაურით. ამ შრომის დასასრული მიდის ჟურნალის ამ ნომერში-№ 1 (6). ამხ. რ. კალაძის ამ შრომაში რედაქცია თავიდანვე ამჩნევდა ზოგიერთ დატებით არა სწორ და დასკვნებითაც შემცდარ ადგილებს, ამ შემცდარმა ადგილებმა და—კიდევ მეტი—ისტორიული მომენტების არასწორმა შეფასებამ, ამ შეფასების თავისებურად გამოხატვამ, მეტად ინინა თავი უკანასკნელ სამ წერილში, განსაკუთრებით აშკარად სჩანს ეს იმ უკანასკნელ წერილში, რომელიც მიდის ამ ნომერში № 1 (6).

ამხ. რ. კალაძე თავიდანვე, რევოლიუციონური მუშაობის დაწყებიდან საქართველოში, ახლო იდგა პარტორგანიზაციებთან; ამიტომ რედაქციამ არ მისცა თავს ნება შეესწორებია, ან შეეცვალა მისი წერილები და ისე დაებეჭდა; რედაქციამ ისიც არ დაუშვა, რომ გზა და გზა ამ წერილებისათვის გაეკეთებია საჭირო შენიშვნები; არ დაბეჭდა ამ საგანზე ის წერილიც, რომელიც მას მკითხველი ამხანაგებისაგან ჰქონდა მიღებული.

რედაქციამ უფრო მიზან შეწონილად მიიჩნია ასეთი შენიშვნების დაბეჭდვა და ავტორის დასკვნა—შეხედულებათა გაკრიტიკება მას შემდეგ, როცა მისი შრომა სრულიად დაიბეჭდებოდა. აი ეს შრომაც დამთავრებულია და რედაქცია ფიქრობს შემდეგი ნომრიდან საჭირო შესწორება—შენიშვნების დაბეჭდას".—აი როგორ შენიშნავდა „რევ. მატ."-ნეს რედაქცია ამხ. რ. კალაძის „ნაშრომის" შესახებ.

ახლა მოვსმინოთ, რას სწერს ჟურნალ „რევ. მატ."-ნეს შემდეგ № 2—3 (7—8)-ში. ამხ. ვ. ბახტაძე ამ „შრომაზეგე".

...„დასახელებულ ფაქტების და ცნობების მოცემაში და გაშუქებაში ამხ. კალაძე ღალატობს არა მარტო ისტორიულ წარსულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლით გადმოცემას, არამედ—ურჩხულიეთ იგი ამახინჯებს აგრეთვე ჩვენი პარტიის შინაარსსაც".

შენიშვნები ეხებოდა ამბ. რაჟდენ კალაძის „მუშათა ქართულ ჟურნალ-გაზეთის ისტორიაა"-ს.

ამბ. რაჟდენს არ დაუნახავს საჭიროთ პასუხი გაეცა ამისათვის. ამისთანა ამბანავს, ამისთანა „ისტორიკოსს" შეუძლია განა სწეროს კრიტიკა, ასწავლოს სხვას ისტორიის წერა?!.

მგონი, კმარა.

სევასტი თალაკვაძე.

P. S. დაბოლოს კიდევ ერთი პატარა პასუხი,—ჩემის აზრით, უმნიშვნელო კითხვაზე:

ამბ. რაჟდენი უპირდაპირებს რა ნოე ჟორდანიას კაუცკის და პლეხანოვს, ასკვნის—არც ერთს იგი არ მიეტოლება, არც ერთს იგი არა ჰგავდაო, რომ ჟორდანია თავიდან იყო, რაჟდენის აზრით, (ჩემი აზრითაც) ყალბი მარქსისტი და ასეთი დარჩა ბოლომდეო, მაგრამ შემდეგ, ქვევით, რაჟდენი მაინც მისაყვედურებს და შენიშნავს: რატომ მე არ მოვიხსენიე ის ისტორიული როლი, რომელიც ჩვე ჟორდანიამ შეასრულა ჩვენი საზოგადოებრიობის ახალგაზრდობაშიო, როშელიც შეიცავს ღირებულებასო და სხვ.

ჩემი წიგნაკი თითქმის პირველი გვერდის გადაფურცლით იწყება ნოე ჟორდანიით და თავდება ნოე ჟორდანიით.

მე ამ „მინძილით" ლაპარაკი მაქვს ჟორდანიას მიერ ათეულ წლების სიგრძეზე შესრულებულ ისტორიულ როლზე, მისი მუშაობა-მოღვაწეობის მნიშვნელობაზე მხოლოდ ეს „ლაპარაკი" შეიცავს ჟორდანიას კრიტიკას, ჟორდანიას შემოქმედების ჩვენი,—კომუნისტური თვალთახედვის ისრით შეფასებას. მე, რა თქმა უნდა, არ მიკისრია და ვერც ვიკისრებდი ჟორდანიას „ქების ფურცლის" დაწერას. ამისთვის ალბად გაძოჩნდება სხვა ვინმე შესაფერი პირი—მეწეეკი, ან ნაციონალ-დემოკრატი და ის აიღებს ამ „ვალს" თავის თავზე—შეასხამს „ქება ხოტბას" ჟორდანიას. ეს „საქმე" არ მოუხდება არც ამბ. რაჟდენს ჩემის აზრით. მაგრამ მან იცის... თუ ძალიან უყარკვეს მოსვენებას მისი „შეუქებლობა", თვითონ შეაქოს.

მე დავწერე წიგნაკი „საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის" და აი, ვინც ამ კომპარტიის შექმნა-განმტკიცებისათვის როლი ითამაშა, ის მოვიწონე, ის **შევაქე**, თუ მაინც და მაინც ამ „შექებაზეა" საქმე. ხოლო ჟორდანიას, როგორც ვიცით, აქ არაფერი ასეთი როლი არ უთამაშია თვით ამბ. რაჟდენის დამოწმებითაც (ხომ ამბ. რაჟდენიც ამბობს, რომ ჟორდანიას „ბოლშევიკობა" ვერ შეადარებ კაუცკისა და პლეხანოვისასო). ეერაფერით ვერ ამიხსნია ამბ. კალაძის ასეთი უსაფუძვლო საყვედური—შენიშნავ! რა უნდა ამბ. რაჟდენს?..

ს. თ.